დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეთაურო-საშტაბო სკოლა

# საქართველოს სამხედრო ისტორია

(მოკლე კურსი)

I

ნაწილი

თბილისი

2013

წინამდებარე სახელმძღვანელო არის დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო სკოლისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ერთობლივი ნაშრომი.

წიგნში განხილულია ჩვენი ქვეყნის წარსულში მომხდარი ბრძოლების გამომწვევი მიზეზები, დინამიკა და შედეგები; მოცემულია მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს თვითონ შეძლოს ამა თუ იმ საბრძოლო მოქმედების ანალიზი. აღნიშნული საკითხები გაშუქებულია როგორც საქართველოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე საერთო პოლიტიკური პროცესების ჭრილში.

სახელმძღვანელოზე მუშაობა დაიწყო 2009 წელს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამხედრო ისტორიის განყოფილებამ (განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი დ. მაღლაკელიძე, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ე. კუპატაძე), მაგრამ წიგნის გამოცემა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხერხდა.

ნაშრომი განკუთვნილია ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელებისათვის და საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებისათვის, როგორც ძირითადი სახელმძღვანელო სახელმწიფოებრივი მომზადების ფარგლებში.

ავტორები ინტერესით მიიღებენ მკითხველის შენიშვნებსა და წინადადებებს.

**ავტორთა ჯგუფი:**
მ. ბახტაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ე. კუპატაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი +
დ. მაღლაკელიძე – ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი
ზ. მჭედლიშვილი – ისტორიის დოქტორი, ვიცე-პოლკოვნიკი
თ. ასათიანი – ისტორიის დოქტორი, მაიორი
ჯ. სამუშია – ისტორიის დოქტორი
ა. გვიმრაძე – ისტორიის დოქტორი
შ. გლოველი – ისტორიის დოქტორი
ა. გოგოლაძე – ისტორიის დოქტორი
მ. გოგოლაძე – ისტორიის დოქტორი
ხ. იოსელიანი – ისტორიის დოქტორი
შ. ბიწაძე – ისტორიის დოქტორი
თ. ჯოჯუა – ისტორიის დოქტორი
კ. ჭუმბურიძე
კ. ზარნაძე +

**მთავარი რედაქტორი:**
ზ. მჭედლიშვილი – ისტორიის დოქტორი, ვიცე-პოლკოვნიკი

**სარედაქციო ჯგუფი:**
ზ. პაპავაძე – სამხედრო დოქტორი, პოლკოვნიკი
ნ. ხორბალაძე – პოლიტიკის დოქტორი, ვიცე-პოლკოვნიკი
გ. ცხოვრებაძე – ისტორიის დოქტორი
ლ. თავაძე – ისტორიის დოქტორი

**რუკების რედაქტორი:**
თ. გორგოძე

**სქემების ავტორები:**
დ. მაღლაკელიძე – ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი
გ. დანელია – სამხედრო დოქტორი, პოლკოვნიკი
თ. ასათიანი – ისტორიის დოქტორი, მაიორი

**გამოცემის რედაქტორი:** ქ. ოსეფაიშვილი
**სტილისტი:** ა. ბექაური
**დამკაბადონებელი:** ნ. კასრაძე

# შესავალი

„გსურს გაიგო, „ვინა ხარ“? – უნდა შეიტყო, „ვინ იყავ“;
გინდა იქცე „რამედ“? – უნდა შეიტყო: „რა განვლე“;
„საითკენ“ მიზანმხვედრია მაშინ, თუ ესეც იცი: „საიდან“.
ისტორია არის არა მარტო ხსოვნა წარსულისა –
იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა.“

**3 გრიგოლ რობაქიძე**

სამშობლოზე ძვირფასი განა რამე აქვს ადამიანს? – არაფერი. ამიტომ სჭირდება მას თვალისჩინივით გაფრთხილება, დაცვა და პატრონობა. ადამიანი მხოლოდ მაშინაა სამშობლოსათვის თავდადებული, როცა უყვარს იგი. რომ გიყვარდეს, უნდა იცნობდე. „სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?!...“

საქართველოს მიწა ჩვენი სახელოვანი წინაპრების ოფლითა და ჯაფით არის ნაფერები, უთვალავ თავდაცვით ომში დაღვრილი სისხლით არის გაპოხილი. ქართული მიწის არც ერთი გოჯი სხვისი არ არის და არც დაითმობა.

საქართველო განუმეორებელია თავისი რწმენით, ბუნებით, ხალხით, ისტორიით, ადათ-წესებით. რომელიმე მათგანის გარეშე იგი უკვე არასრულყოფილია. ამ ყველაფერს დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. ჩვენი ქვეყნის სახელოვანი წარსულის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია ქართული მიწის მოვლა-პატრონობა.

ქართველი ერი განეკუთვნება ერთეულ, უნიკალურ რიგს იმ ერებისა, რომლებიც განადგურებას გადაურჩნენ და უძველესი დროიდან დღემდე მოვიდნენ. ჩვენი ერი დამსახურებულად იქცა სამხედრო ხელოვნების ფასდაუდებელი საგანძურის მცველად და მემკვიდრედ.

ერის სიცოცხლისუნარიანობის ყველაზე სასტიკი, მაგრამ უტყუარი შემოწმება ომებით მისი გამოცდაა. ვინც ამ გამოცდას ვერ უძლებდა, ისტორიული არენიდან ქრებოდა. მხოლოდ ის ერი განაგრძობს არსებობასა და განვითარებას, რომელსაც შესწევს ძალა წარმატებით გაუძლოს ომის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას და მას თავისი სულიერი და ფიზიკური სიცოცხლისუნარიანობა დაუპირისპიროს. ამიტომ ომების ისტორია, ზოგადად, სამხედრო ისტორია (ერის ბრძოლა საკუთარი გადარჩენისათვის) არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო მიმართულება იმ მეცნიერებათა შორის, რომლებიც ერის რაობისა და არსებობის ფენომენს შეისწავლის.

საქარველოს სამხედრო ისტორია საკმაოდ მრავალფეროვანია: ჯარის სახეობები და ორგანიზაცია, სამხედრო აღჭურვილობა, სამხედრო წვრთნები, ფორტიფიკაცია, სამხედრო ხელოვნება და სხვა. თითოეული მათგანის ერთ წიგნში მოქცევით აკადემიის მსმენელებს შესაძლებლობა ექნებათ წარმოდგენა შეიქმნან სამხედრო მიღწევებზე, მით უფრო, როცა სრულიად სამართლიანად საქართველოს ისტორიას „ომების ისტორიასაც“ უწოდებენ; თუმცა საქართველოს სამხედრო ისტორიის შესახებ თანამიმდევრული სახელმძღვანელო ჯერ არ შექმნილა. ამ წიგნის მიზანია აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივ აღმოფხვრა.

ომი ანტიკური და შუა საუკუნეების საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა იყო. რადგან ამა თუ იმ საზოგადოების კულტურის დონე თვალნათლივ ჩანს მის სამხედრო ხელოვნებაში, ამიტომაც ამ უკანასკნელის ისტორია კულტურის ისტორიის ნაწილიცაა.

სამხედრო ორგანიზაცია სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია. ჯარი თავისი აღჭურვილობითა და მასშტაბით ქვეყნის ეკონომიკური დონის განმსაზღვრელია. საზოგადოების მისწრაფებები, მისი კულტურული დონე ყველაზე უკეთ არმიაზე აისახება. ამდენად, სამხედრო ისტორიის შესწავლით წარსულის ისეთი დეტალების აღდგენაა შესაძლებელი, რომლებიც სხვადასხვა ეპოქის გაცოცხლებაში გვეხმარება.

მომავალ ოფიცერს წარსულის შესასწავლად აუცილებლად ესაჭიროება სამხედრო ისტორიის ზედმიწევნით ცოდნა. წინამდებარე სახელმძღვანელოს ამოცანაც სწორედ ეს არის.

საქართველო თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო უძველესი დროიდან იზიდავდა დიდ იმპერიებს, რომლებიც ამ ქვეყანაში გაბატონებას ძალუმად ცდილობდნენ. ამიტომაც ქართველ კაცს ერთ ხელში მუდამ ხმალი ეჭირა, მეორეში – გუთანი. ქართველთა თავგადასვლის ამსახველი კრებული, „ქართლის ცხოვრება“, პირველივე გვერდიდან მოგვითხრობს სამხედრო შეტაკებებზე, ლაშქრის წყობაზე, იარაღზე.

საბრძოლო სულისკვეთებას ქართველს პატარაობიდანვე უნერგავდნენ. საქართველოში ნადირობასა და სხვადასხვა სახის სპორტულ თუ ხალხურ თამაშობას სამხედრო მნიშვნელობა ენიჭებოდა. საცხენოსნო სპორტის სახეობები – ყაბახი, ისინდი, მარულა, მკერდაობა, მთიდან დაშვება და სხვა – მომავალი მეომრის გაწვრთნის ერთადერთი საშუალება იყო. ალბათ ეს იგულისხმა ბიზანტიაში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა მხედართმთავარმა გრიგოლ ბაკურიანისძემ,

როდესაც ქართველ კაცზე თქვა: „ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობითა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხორებასა ჩუეულნი“.

შორეული წარსულის ბრძოლებში ჩასახული და დაფუძნებული ქართული სამხედრო ხელოვნება თაობებს გადაეცემოდა.Ქეს ხელს უწყობდა შეტევითი, თავდაცვითი და შემხვედრი ბრძოლების სრულყოფას. ამას ერთვოდა რთული გეოგრაფიული გარემოს დეტალური შესწავლა და ომის დროს მისი საზრიანად გამოყენება. ეს განაპირობებდა რიცხობრივად ჭარბ არმიებზე ჩვენს გამარჯვებებს. სწორედ ასეთმა სამხედრო წარმატებებმა, რომლებსაც ქართველები მოწინააღმდეგის ყოველგვარი უპირატესობის მიუხედავად აღწევდნენ, საშუალება მისცა ჩვენს ერს, რომ გაეძლო და გადარჩენილიყო. სამხედრო გამარჯვებები ერის კონსოლიდაციას იწვევდა. სულიერი და ფიზიკური სიძლიერე სამშობლოსათვის სამართლიანი ბრძოლის რწმენას ეფუძნებოდა. სწორედ სამხედრო გამარჯვებებშია გამოხატული ქართული მხედრობისა და მთელი ერის გმირული სული, რომელიც მუდამ მშობლიური მიწის სიყვარულს ეფუძნებოდა.

იმის გამო, რომ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ქვეყანა იყო, მასზე მოწინავე ქვეყნების ცივილიზაციები ზემოქმედებდნენ, თუმცა მისი განვითარების საფუძველი ეროვნული ნიადაგი იყო. მუდმივ ბრძოლებში ვითარდებოდა და იხვეწებოდა ქართული სამხედრო ხელოვნება, რომელზეც კეთილისმყოფლად ზემოქმედებდა დამპყრობთა იმდროინდელი სამხედრო გამოცდილება.

საქართველოს ირგვლივ მყოფ დიდი ტერიტორიის მფლობელ სახელმწიფოთა მხედართმთავრებს ომების მსვლელობისას დროის მოგების, ძალთა შევსება-გადაჯგუფებისა და ქვეყნის სიღრმეში დახევის შესაძლებლობა ჰქონდათ. შესაბამისად, მათ ფართომასშტაბიანი ოპერაციების ჩატარება ისე შეეძლოთ, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის ცენტრებისათვის დიდი საფრთხე არ შეექმნათ.

საქართველოს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას თუ გავითვალისწინებთ, ტერიტორიული სიმცირისა და რელიეფის გამო, ასევე, სახელმწიფოს უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ამავე მასშტაბის ბრძოლა ქართველებს არ შეეძლოთ. ქართველი სარდლები ოპერაციათა დაგეგმვისას ამ ფაქტორს ყოველთვის ითვალისწინებდნენ. მიუხედავად ამისა, მათი ბრძოლები მცირე სივრცესა თუ მოკლე დროში მაინც სწრაფი და თავბრუდამხვევი იყო. ქართველ მხედართმთავართა სამხედრო მიღწევების შეფასებისას ეს ფაქტი აუცილებლად გასათვალისწინებელია.

სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებდა რელიგია, შეიარაღებისა და საბრძოლო აღჭურვილობის განვითარება, მათი გონივრული გამოყენება, ეროვნული ტრადიციები, მოწინააღმდეგის შეიარაღება და მოქმედებათა ტაქტიკა.

ქართულ სამხედრო ხელოვნებას აქვს სპეციფიკური ნიშნები:

- განვითარების ხანგრძლივობით იგი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში;
- მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის გამუდმებული თავდასხმების მოგერიებასა და მიღწეულ წარმატებაში გამოვლენილი ბრძოლის მეთოდები თუ ხერხები, შეძლებისდაგვარად, შემოქმედებითად ვითარდებოდა;
- გამოირჩეოდა მებრძოლთა ინდივიდუალური საბრძოლო მომზადების მაღალი დონით;
- ქართული სამხედრო ხელოვნების პრინციპებს იყენებდნენ იმ ქვეყნებშიც, რომლებშიც ჩვენი თანამემამულენი დიდ სამხედრო-სამეთაურო თანამდებობებზე მსახურობდნენ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მხედართმთავარები ეფექტურად იყენებდნენ როგორც აღმოსავლურ, ისე ჳდასავლურ საბრძოლო გამოცდილებას. სწორედ ამით იყო ქართული სამხედრო ხელოვნება გამორჩეული და ორიგინალური.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველმა ერმა ბრწყინვალე გამარჯვებებთან ერთად დამარცხებათა სიმწარეც ბევრჯერ იგემა. ეს უკანასკნელი ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილები იყო, რომელთა შესწავლამ ცხადყო, რომ მოწინააღმდეგის გამარჯვება ხშირად განპირობებული იყო არა მხოლოდ მრავალრიცხოვანი მტრის გამუდმებული თავდასხმებით, არამედ ქართველთა ღალატით, უდარდელობით, ურთიერთდაპირისპირებით, ეკონომიკური საფუძვლების მოშლით, ბრძოლის არასწორი დაგეგმვითა და ხელმძღვანელობით.

წიგნში განხილულია მხოლოდ ისეთი მნიშვნელოვანი ბრძოლები, რომლებიც სამხედრო ისტორიისა და განსაკუთრებით სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით არის საინტერესო. ამასთან ერთად, უმთავრესი ყურადღება ეთმობა ქართული სამხედრო ხელოვნების იმ პრინციპების წარმოჩენას, რომელთა უნარიანი გამოყენებითაც უმეტესად ვამარცხებდით და ვანადგურებდით ურიცხვ მოწინააღმდეგეს. მრავალსაუკუნოვანი ქართული სამხედრო ისტორიისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ წარსული ბრძოლებისა და ომების სიხშირე, არამედ, თითქმის ყოველთვის, მცირერიცხოვანი ძალებით გაცილებით მრავალრიცხოვანთა დამარცხება ან განადგურება. ეს ბრძოლები უნიკალურია მსოფლიოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში და მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე ნაწილია.

# თავი I

## საქართველო და ძველი აღმოსავლეთი

### §1. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო და გეოპოლიტიკა

საქართველო გეოგრაფიული მდებარეობით ორი კონტინენტის – ევროპისა და აზიის საზღვარზე განთავსებული ძველი ცივილიზებული სამყაროს შემადგენელი ნაწილია.ემისი ასეთი მდებარეობა ხელს უწყობდა საქართველოს სამეურნეო-კულტურულ წარმატებას, მაგრამ ზოგჯერ იგივე გარემოება ხშირად ჩვენი ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის მიზეზიც ხდებოდა, რის გამოც ქვეყნის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური საზღვრები მუდმივი არ იყო და საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის, პოლიტიკური ძლიერებისა თუუდასუსტების შესაბამისად.

საქართველო ძირითადად მთაგორიანი ქვეყანაა. ეს რეალობა სამხედრო თვალსაზრისით გააზრებას მოითხოვს – მთებში ჭარბადაა რთული მისადგომები და ეს ზემოქმედებს მოქმედებათა მსვლელობაზე. რელიეფი ძალთა გამტარუნარიანობასა და გადაადგილების ტემპს ზღუდავს. ამასთანავე, მთიანი რელიეფი მოქმედ ძალებს არათანაბარ დანაწევრებას აიძულებს, რაც მათი მართვისა და ურთიერთქმედების პროცესს ართულებს.

საქართველოს რელიეფის ძირითადი გეომორფოლოგიური ერთეულებია: კავკასიონი, მცირე კავკასიონი და მათ შორის მოქცეული დაბალი ზონა, რომელიც საქართველოს ფარგლებში კოლხეთის დაბლობით, სურამის ქედითა და ბორცვიანი წინა მთებით არის წარმოდგენილი. იგი ერთიანი მასაა, არსად იკვეთება მდინარეებით და სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მდინარეთა წყალგამყოფია.

მხარეთა ურთიერთობისათვის კავკასიონის ქედზე საკმაოდ ბევრი საუღელტეხილო გზა და ბილიკია, რომელთაგან მნიშვნელოვანია: ჯვრის ანუ ხევისწყლის (2388 მ), როკის (2995 მ), მამისონის (2829 მ), ქლუხორის (2816 მ) და სხვა.

მთავარი ქედი, მართალია, ერთგვარი ბუნებრივი მიჯნის როლს ასრულებდა თავის ორივე მხარეს მდებარე ქვეყნებს შორის (მეტადრე ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს თვალსაზრისით), მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არ იყო გადაულახავი ბარიერი და ხევ-ხევ ამყოლი გზა თუ საცალფეხო ბილიკი ოდითგანვე ურთიერთთან მჭიდროდ აკავშირებდა ქართველებსა და კავკასიონის ჩრდილო კალთებზე მოსახლე ხალხებს.

მცირე კავკასიონს ამიერკავკასიის სამხრეთი ზოლი უჭირავს და დიდ კავკასიონს სურამის (ლიხის) ქედით ებმის. იგი საქართველოს ფარგლებში არსიანის, შავშეთ-ერუშეთისა და თრიალეთ-ჯავახეთის ქედებით, წალკისა და ჯავახეთის ვულკანური ზეგნებით შემოდის. ამ უკანასკნელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 1500-2000, ქედებისა კი 2 000-3 000 მეტრში მერყეობს.

საქართველოს ბარი შედგება კოლხეთის დაბლობისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ბარის მესამედი ნაწილისაგან, რომელიც მესხეთსა და ქართლ-კახეთზე მოდის. მათ ერთმანეთისაგან ყოფს შავი და კასპიის ზღვების აუზების წყალგამყოფი სურამის ქედი (1500მ).

კოლხეთის დაბლობი სამი მხრიდან შემორკალულია ბორცვიანი წინა მთებით, რომელთა სიმაღლე 600 მეტრს არ აღემატება. ზღვისპირა ზოლში 2-10 მეტრი სიმაღლის ქვისგორიანი სერებია (დიუნები), რომლებიც ქობულეთიდან გაგრამდეა გადაჭიმული. ეს ნაზურგა სერები, გარდა იმისა, რომ საკმაოდ მოხერხებული სამოსახლო ადგილები იყო ძველად, მნიშვნელოვანი რაოდენობის ლითონის მადანს შეიცავდა, რომლისგანაც ამ მხარეში მოსახლე ტომები მაღალხარისხოვან რკინის ნედლეულს ღებულობდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარიდან აღსანიშნავია შიდა ქართლის ვაკე (ტირიფონისა და მუხრანის ველები), რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთით, მცხეთიდან, ებმის ქართლის ბარი და საქართველოს ბეღლად წოდებული ალაზნის ველი, ანუ კახეთის ვაკე, გადაჭიმული 160 კილომეტრზე კავკასიონსა და ცივგომბორის მთას შორის. ალაზანსა და მტკვარს შორის ივრის უწყლო ზეგანია, რომლის ერთ ბოლოზე სამგორის, ხოლო მეორეზე – შირაქ-ელდარის ველებია გადაჭიმული.

ქვეყნის მდინარეთა ფართო ქსელი ორ აუზს შორის არის განაწილებული. დასავლეთ საქართველოს წყალუხვი მდინარეები: რიონი, ბზიფი, კოდორი, ენგური, ცხენისწყალი, ყვირილა, ჭოროხი, ხანისწყალი და სხვა შავ ზღვას უერთდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები: ლიახვი, ქსანი, არაგვი, იორი, ალაზანი, ფოცხოვი, ალგეთი, ხრამი და სხვა – კასპიის ზღვას. სამხედრო კუთხით ამ მდინარეთა უმრავლესობა ძველთაგანვე გამოიყენებოდა როგორც სანაოსნოდ, ასევე, მოწინააღმდეგის თავდასხმისას – ბუნებრივ დაბრკოლებად.

საქართველოს საზღვრების ფიზიკურ-გეოგრაფიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ჩრდილოეთი ნაწილი ძირითადად ძნელად გადასალახავ ქედებს მიუყვება, სამხრეთ საზღვარზე კი შედარებით ადვილად დასაძლევი საშუალო და დაბალი მთებია. მცირეა საზღვარზე ისეთი მონაკვეთები, რომლებიც ემთხვევა მდინარეთა ხეობებს. საზღვრები, თავისი ხასიათით, ბარიერული და კონტაქტურია. პირველი მათგანი ხელს უშლის, ხოლო მეორე, პირიქით, ხელს უწყობს მეზობლებთან ნორმალურ ურთიერთობას. საზღვრების ცვალებადობა მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამხედრო-პოლიტიკურ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ფაქტორებს.

საქართველოს ისტორიის მანძილზე შედარებით ნაკლებად შეიცვალა მისი ჩრდილოეთი საზღვარი და ეს გასაგებიცაა, რადგან იგი მიუყვება მკვეთრად გამოხატულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ერთეულს – რთულად გადასალახავ კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ და გვერდითა ქედებს. სამხრეთის საზღვარი, რომელიც მკვეთრი ფიზიკურ-გეოგრაფიული ბარიერი არაა, ძვ საუკუნეშიც კი შეიცვალა.[1]

აღსანიშნავია, რომ 3ქართველთა ისტორიული განსახლების არეალები ცალკეულ შემთხვევებში არ ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს და სცილდება მას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ პონტოს მთების ჩრდილო-აღმოსავლეთი დაბოლოება (ლაზისტანი) და კახეთის კავკასიონის უკიდურესი აღმოსავლური ნაწილი (საინგილო). საინტერესოა, რომ ამ ტერიტორიებისათვის დამახასიათებელი ბუნება ფართოდაა წარმოდგენილი კახეთსა და კოლხეთში.

---

[1]საქართველოს ძირძველი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მკაფიოა საზღვრების ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათი, მით უფრო მეტად ემთხვევა იგი ქართველი მოსახლეობის განსახლების არეალს. იქ, სადაც ადვილად გასასვლელი მონაკვეთებია (მაგალითად, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი ჯავის რაიონში), იყო და არის სხვა ერების შემოსახლების მაგალითები.

კლიმატური პირობები იყო და არის გეოგრაფიული გარემოს ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებდა საბრძოლო მოქმედებების წარმართვაზე წარსულშიც და ახლაც. იგი ძირითადად გამოიყენებოდა მოულოდნელობის პრინციპის შესაქმნელად. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს მიმოხილვიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კავკასიონის მთავარი ქედით შემოვლებული ჩრდილოეთის საზღვარი წლის უმეტეს დროს თითქმის გადაულახავი დაბრკოლება იყო გარეშე მტრების თავდასხმისათვის, მაგრამ არა შეუძლებელი. აქ ხელოვნური თავდაცვითი ნაგებობებითა და შედარებით მცირერიცხოვანი ძალებით შეიძლებოდა მოწინააღმდეგისათვის გზის ჩაკეტვა თუ ქვეყნის სიღრმისაკენ წინსვლის შეჩერება.

დასავლეთით შავი ზღვა ასევე უდიდესი მნიშვნელობის ბუნებრივი თავდაცვითი ზღუდე იყო ორთქლისძრავიანი ფლოტის გაჩენამდე.

სამხრეთით მცირე კავკასიონი ერთგვარ დამაბრკოლებელ ფაქტორს ქმნიდა მტრის შემოჭრისათვის. მისი დაძლევაც შედარებით ადვილი იყო. სამხრეთიდან მტრის შემოჭრა შეიძლებოდა ძირითადად სამი სტრატეგიული მიმართულებიდან: 1) ახალციხე-ქუთაისის; 2) ახალციხე-ხაშურის; 3) ახალციხე-თბილისის მხრიდან; ამიტომაც საქართველოზე შემოსევები და თავდასხმები სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებებიდან იყო. თუმცა, საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე – რომელი აგრესორი მძლავრობდა – შესაბამისი იყო გარეშე მტრების თავდასხმებიც: სამხრეთ-დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ან ჩრდილო-დასავლეთიდან. აქედან გამომდინარე, სამხედრო თვალსაზრისით, აუცილებელი იყო სამხრეთისა და აღმოსავლეთის სტრატეგიულ მიმართულებათა გამაგრება.

საქართველოს ტერიტორიის სიმცირე, ასევე, მოსახლეობის შეზღუდული რაოდენობა ჩვენი ქვეყნის რეალური დაპყრობის საფრთხეს ქმნიდა. ამიტომ ქართველობა იძულებული იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართა მოწინააღმდეგეებთან. მაგრამ მარტო თავგანწირვა არ კმაროდა. საჭირო იყო თავდაცვით ნაგებობათა კომპლექსის შექმნა. ჯერ კიდევ თემურ-გვაროვნული წყობილების დროს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, თავისებური გეოგრაფიული პირობების გამო, ჩვეულებრივ, ერთი თემი ერთ ხევში იყო დასახლებული, რამდენიმე მეზობელი თემის გაერთიანება კი უკვე ტომს შეადგენდა.

ჯერ სპილენძის, შემდეგ ბრინჯაოსა და ბოლოს რკინის იარაღის დაუფლებამ და შემდგომმა სრულყოფამ შესაძლებელი გახადა სამშენებლო საქმის განვითარება და სამხედრო-თავდაცვით ნაგებობათა სისტემის შექმნა.

საქართველოში მუდმივად იყო ციხესიმაგრეთა მშენებლობა. პირველ რიგში, ყურადღება ეთმობოდა სტრატეგიული ადგილების ჩაკეტვას, საკვანძო ცენტრებისა და ქალაქების მისადგომების გამაგრებას, მნიშვნელოვანი გზაჯვარედინების, მდინარეთა და, საერთოდ, ხეობების შესასვლელ-გასასვლელებზე საყრდენი თავდაცვითი პუნქტების მოწყობას. დანიშნულების მიხედვით შენდებოდა სტრატეგიული და ტაქტიკური მნიშვნელობის ციხეები, სათვალთვალო-საგუშაგო და სასიგნალო კოშკები.

თავდაცვისათვის გამოიყენებოდა როგორც ბუნებრივი მღვიმეები, გამოქვაბულები, ასევე კლდეებში ხელოვნურად გამოკვეთილი ციხე-ქალაქები (უფლისციხე, ვარძია და სხვა), მთიანი ნაწილის ძნელად მისასვლელი ადგილები, წყალუხვი და სწრაფი დინების მდინარეები, აგრეთვე სხვა ბუნებრივი დაბრკოლებები.

ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირის პირობებში მრავალრიცხოვანი მტრების მუდმივი თავდასხმები ჩვენი ქვეყნის მესვეურთ იძულებულს ხდიდა მცირერიცხოვანი ძალებით შებმოდნენ მოწინააღმდეგეს, შესაბამისად დაესახათ მტრის განადგურების სტრატეგიული გეგმა და ოპტიმალურად გამოეყენებინათ ადგილმდებარეობის ხელსაყრელი პირობები, რომელთა გათვალისწინებითაც გამოიყენებოდა მრავალი სამხედრო-ტაქტიკური ფორმა.

ნიშანდობლივია, რომ რიცხობრივად ჭარბ მოწინააღმდეგეს ქართველები უმეტესად შეტევებითა და თავდასხმებით უფრო პასუხობდნენ, ვიდრე თავდაცვით. სამხედრო ხელოვნების პრაქტიკაში კი ასეთი რამ ან ძალზე იშვიათია, ან საერთოდ არაა. ამ ფენომენის ახსნა ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება. შევეცდებით მას მხოლოდ ფსიქოლოგიური ასპექტი (საფუძვლები) მოვუძებნოთ.

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულმა გარემომ თავისი ყველა კომპონენტით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელი შეუწყო ქართველი ერის, როგორც მებრძოლი ხალხის, ერთიანი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას, რომლის შესახებაც ცნობილი ეთნოფსიქოლოგი ტ. სტეპანენკო აღნიშნავდა: ,,საქართველოში უხსოვარი დროიდან განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ სამხედრო საქმეს. მძიმე დროს ქვეყნის დამცველთა რიგებში ქალებიც დგებოდნენ. ყოველი მამაკაცი მებრძოლად ითვლებოდა, რომელსაც უნდა დაეცვა სამშობლო, ნათესავები, ახლობლები და საკუთარი თავი. იარაღს ის კარგად უნდა ყოფილიყო დაუფლებული. ქართველებისათვის დამახასიათებელია გამბედაობა, მეომრული სულისკვეთება და სიმამაცე. სხვადასხვა რიტუალსა და წეს-ჩვეულებაში ხშირად გამოიყენებოდა იარაღი, როგორც ბოროტებასთან ბრძოლის სიმბოლო... ცივი იარაღის ტარება ეროვნულ ტრადიციად იქცა. საქართველოს ისტორიულ სიმბოლიკაში ვაზის ლერწი და მახვილი იმ პატივისცემაზე ლაპარაკობს, რომლითაც, ჩვეულებრივ, გარემოცულია მამაკაცი, როგორც მშრომელი და სამშობლოს დამცველი მებრძოლი.

ქართველებს გამახვილებული აქვთ ეროვნული სიამაყისა და ღირსების გრძნობა, რომელიც ეფუძნება საკუთარი ქვეყნის სიდიადის მაღალ შეგნებას და საქართველოს გმირულ ისტორიულ წარსულს; იმ ქვეყნისა, რომელიც ყოველთვის იმარჯვებდა თავის მტრებზე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი თვისებებია მცოდნე, განათლებული ადამიანების პატივისცემა, გონებამახვილობა, მოხერხებულობა (საზრიანობა), მოთმენის უნარი, ოპტიმიზმი, სიცოცხლის უდიდესი ადამიანური სიყვარული“.

ეს თვისებები ქართველებს მრავალსაუკუნოვან განუწყვეტელ ბრძოლებში მტერზე გამარჯვებაში ეხმარებოდა.

საქართველოს გეოპოლიტიკური განზომილება მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მასში, პირველ რიგში, იგულისხმებოდა ქვეყნის მდებარეობა მის უშუალო სამეზობლოსთან.ეს სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ ეთნოკულტურული და რელიგიური ტრადიციებით, რომელთაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა.

ისტორიულად, საქართველო ქრისტიანული (ევროპული) და მუსლიმური (აზიური) ცივილიზაციების დამაკავშირებელი ხიდია. რელიგიური სხვადასხვაობა უდიდეს გავლენას ახდენდა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე. მსოფლიო პოლიტიკა ყოველთვის იყო უაღრესად დინამიური პროცესების ერთობლიობა და, შესაბამისად, ქვეყნის გეოპოლიტიკური ვითარება ცვალებადობდა სივრცესა და დროში.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა უმეტესად განისაზღვრებოდა საერთაშორისო სატრანსპორტო კომუნიკაციებისადმი მისი დამოკიდებულების მიხედვით.ე მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საზღვაო ქვეყანა იყო, მას თითქმის არ ჰყავდა საზღვაო ფლოტი, ეს კი ხელს უშლიდა შესაბამისი კავშირების განვითარებას. რაც შეეხება სახმელეთო-სატრანსპორტო კომუნიკაციებს, მათი როლი უფრო მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მდებარეობისათვის. ისტორიულად ცნობილია, რომ უძველესი დროიდან საქართველოზე გადიოდა ევროპის აზიასთან დამაკავშირებელი საერთაშორისო-სავაჭრო, ე.წ. „აბრეშუმის დიდი გზა“. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საქართველომ დაკარგა კუთვნილი ისტორიული საერთაშორისო დატვირთვა.

ქვეყნის მდებარეობის კუთხით, მნიშვნელოვანია სახელმწიფო საზღვრების სხვადასხვა მონაკვეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით შეფასება. მაგალითად, კავკასიონის ქედის რთულად მისადგომი მთები, რომელთაც საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი მიუყვება, ნაკლებად ხელსაყრელი იყო ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად. ამ ადგილებში საქარავნო გზებზე მოძრაობა იზღუდებოდა, განსაკუთრებით კი ზამთრის პერიოდში. ა

საქართველოს სახელმწიფოებრიობა ისტორიულ მეზობლებთან აქტიური ურთიერთობების ფონზე ყალიბდებოდა. ძირითადი პოლიტიკური პრობლემა საგარეო-პოლიტიკური მოკავშირის ძიება გახლდათ, ეს კი უშუალოდ უკავშირდებოდა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

საქართველოს სამხრეთით გავლენის სფეროებისათვის იბრძოდნენ ისეთი იმპერიული სახელმწიფოები, როგორებიც იყვნენ: ელინისტური საბერძნეთი, რომის იმპერია, ბიზანტია, არაბული სახალიფო, მონღოლები, ირანი, ოსმალეთი; ჩრდილოეთით – რუსეთის იმპერია.აამ უკანასკნელმა შექმნისთანავე დაიწყო ექსპანსიური პოლიტიკა და ერთ-ერთ საგარეო-პრიორიტეტულ მიმართულებად კავკასია აირჩია. ჩრდილო კავკასიის ხალხებს გაუჩნდათ რუსეთისაგან თავდაცვის პრობლემა. მას შემდეგ, რაც ჩრდილო კავკასია ისლამური გახდა, ჩვენი სამხრეთელი მეზობლების (ირანი, ოსმალეთი) წაქეზებითა და ხელშეწყობით, ჩრდილო კავკასიელმა მუსლიმებმა საქართველოზე თავდასხმები დაიწყეს. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ქართველი მეფეების რუსეთთან დაახლოების პოლიტიკური ინტერესი. მათი მოსაზრებით, აღნიშნულ სახელმწიფოსთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირით შესაძლებელი იქნებოდა ქრისტიანულ და მუსლიმურ ძალთა გაწონასწორება და ქართული სახელმწიფოსთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.ა

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური ნიშნით კავკასია ჩამოყალიბდა როგორც ერთგვარი „ბუფერული ზონა“ ჩრდილოეთსა (ქრისტიანობა) და სამხრეთს (ისლამი) შორის. თითოეული ამ გეოპოლიტიკური ძალის გააქტიურება კავკასიაში იწვევდა საწინააღმდეგო ძალთა გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებდა დამაბალანსებელი პოზიციების მქონე ძალების გაჩენას, კავკასია კი დიდ როლს თამაშობდა ამ ურთიერთობათა მოწესრიგების საქმეში.

ქართველობა კავკასიის უძველესი მოსახლეობაა. ძვ. წ. ბრ ათასწლეულში ქართველ ტომთა განსახლების არეალი საკმაოდ მასშტაბური იყო. იგი მთლიანად მოიცავდა საქართველოს დღევანდელ ტერიტორიას და სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწებს. ბიბლიური ვერსიით, საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა ზოგიერთი ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ტომიც, რომლებმაც ქართულ ეთნოსთან ასიმილაცია განიცადეს.

ქართველურ ტომთა პირველი პოლიტიკური გაერთიანებები: დიაოხი მდ. ჭოროხის აუზში (გვიანდელი ტაო) და კოლხა (კოლხეთის ძველი სამეფო) ძვ.წ. ბრ ათასწლეულის ბოლოს შეიქმნა შავი ზღვის აუზში (მის აღმოსავლეთ სანაპიროზე). ისინი ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ტომებმა (სკვითები, კიმერიელები) გაანადგურეს. ძვ.წ. ხრ საუკუნეში ჩამოყალიბდა ეგრისის, ანუ კოლხეთის

ახალი სამეფო. იგი თითქმის მთლიანად აერთიანებდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს და სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავამდე აღწევდა. ძვ. წ. IV საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში იქმნება იბერიის, ანუ ქართლის სამეფო, რომელიც მდინარეების – მტკვრისა და ჭოროხის – აუზების დიდ ნაწილს მოიცავდა.ემას დასავლეთიდან შავი ზღვა, ხოლო სამხრეთიდან მდინარე არაქსის ზემო წელი და სევანის ტბა ესაზღვრებოდა.

ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს ქართლი და ეგრისი რომის იმპერიამ დაიმორჩილა. ქართლი ჯერ რომის მოკავშირე და ვასალი იყო, მოგვიანებით – სპარსეთის. ეგრისიც შევიდა რომის იმპერიის დაქვემდებარებაში, მაგრამ შემდგომში ეს უკანასკნელი იძულებული გახდა ეგრისელთა თვითმმართველობა ეცნო. ეგრისის ტერიტორიაზე ოთხი სამთავრო შეიქმნა: ლაზების, აფშილების, აბაზგებისა და სანიგების. მათგან განსაკუთრებით ლაზების სამთავრო გაძლიერდა, რომელმაც თავის გავლენას დაუქვემდებარა დანარჩენი სამი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რასაც შედეგად მოჰყვა ერთიანი სახელმწიფოს – ლაზიკის შექმნა. ეს უკანასკნელი თავდაპირველად რომის, შემდეგ ბიზანტიის ვასალი იყო.

IIIს. საუკუნეში ირანმა ქართლში მეფობა გააუქმა. IVს. საუკუნეში საქართველოსა და მთელ ცივილიზებულ სამყაროს ახალი მრისხანე ძალა – არაბთა სახალიფო მოევლინა. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (თბილისის საამიროს სახით) სახალიფოს უშუალო დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. დანარჩენი მხარეები არაბთა ვასალები გახდნენ.

VIII–IX საუკუნის ბოლოს მდინარეების: არაგვის, ივრისა და ალაზნის ზემო წელის აუზში შეიქმნა კახეთის სამთავრო, იგივე საქორეპისკოპოსო (ცენტრი თიანეთი), მის აღმოსავლეთით კი (მდ. ალაზნის შუა და ქვემო წელი) ჩამოყალიბდა ჰერეთის სამეფო (ცენტრი შაქი). დასავლეთ საქართველოში აბაზგების სამთავრომ (აფხაზთა საერისთავო) შეიერთა აფშილეთი, ჯიქეთი (სანიგთა სამთავრო) და ბოლოს – ეგრისიც.ასე შეიქმნა აფხაზთა სამეფო (ეგრის-აფხაზეთი), რომელიც დასავლეთ საქართველოს მთლიანად მოიცავდა.ემისი დედაქალაქი ქუთაისი იყო. IXს. საუკუნის დამდეგს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შეიქმნა ტაო-კლარჯეთის სამთავრო (დედაქალაქი არტანუჯი), რომელსაც ქართველთა სამეფო ეწოდა. თბილისის მუსლიმური საამიროს (რომელიც VI საუკუნის დასაწყისიდან ფაქტობრივად დამოუკიდებელი იყო ბაღდადის სახალიფოსაგან) ტერიტორია მოიცავდა შიდა და ქვემო ქართლის ძირითად ნაწილს.

VI საუკუნიდან ჩნდება პოლიტიკური ტერმინი – საქართველო, როგორც გაერთიანებული ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო. VI–VII საუკუნეების მიჯნაზე აფხაზთა და ქართველთა სამეფოები გაერთიანდა. VIII საუკუნის დასაწყისში დავით III აღმაშენებელმა, აფხაზთა და ქართველთა მეფემ, ჯერ კახეთ-ჰერეთი (რანთა და კახთა სამეფო), შემდეგ ლორე-ტაშირი და ბოლოს, თბილისიც შემოიერთა. ერთიანმა ქართულმა სახელმწიფომ ქართველებით დასახლებული ყველა ტერიტორია მოიცვა.

VIII საუკუნის ბოლოს და VIII–IX საუკუნის დამდეგს საქართველოს სახელმწიფო მოიცავდა არა მარტო ძირძველ ქართულ ტერიტორიას, არამედ ჩრდილოეთ სომხეთსა და დღევანდელი რუსეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის მნიშვნელოვან ნაწილსაც (შავშეთი, კლარჯეთი, არტაანი, კოლა, ბასიანი, დვალეთი, ჰერეთ-საინგილო, დიდოეთი). ჩრდილოეთ კავკასიის უდიდესი ნაწილი, აზერბაიჯანისა და სომხეთის უმნიშვნელოვანესი რეგიონები, საქართველოს ვასალები იყვნენ (ქაშაგეთი, ოვსეთი, ძურძუკეთი, ხუნძეთი, ლეკეთი, დარუბანდი, შირვანი, რანი, ადარბადაგანი, ნახჭევანი, შაჰ-არმენთა (იგივე ხლათის) სახელმწიფო, ერზინკის სასულთნო, არზრუმის საამირო, ტრაპიზონის იმპერია).ამრიგად, ამ პერიოდისათვის თითქმის მთელი კავკასია და შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს მეფეს (თამარი) ემორჩილებოდა.

VIII–IX საუკუნეში მონღოლთა შემოსევებმა ჩვენი ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. მათ საქართველო ფაქტობრივად ორ ნაწილად (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოებად) გაჰყვეს და ორმეფობაც დაადგინეს (დავით ულუ, დავით ნარინი).ვგარდა ამისა, მესხეთი (სამცხე-საათაბაგო) გამოეყო საქართველოს და უშუალოდ დაექვემდებარა მონღოლთა ყაენს. VIIს საუკუნეში საქართველო კვლავ გაერთიანდა და ძველი დიდებაც აღიდგინა (გიორგი V ბრწყინვალეს ეპოქა). მაგრამ, იმავე საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ ქვეყანა მიწასთან გაასწორა.ამას მოჰყვა ისლამური სახელმწიფოების – ირანისა და ოსმალეთის – აგრესია, ჩრდილოკავკასიურ ტომთა თავდასხმები და შინააშლილობა.ამ მიზეზების გამო გაერთიანებული საქართველო IXს საუკუნის ბოლოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. საქართველოს ტერიტორიაზე სამი სამეფო (ქართლის, კახეთისა და იმერეთის) და ერთი სამთავრო (სამცხე-საათაბაგო) ჩამოყალიბდა. XIIს საუკუნეში იმერეთის სამეფოს ფაქტობრივად ჩამოსცილდა გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები, თუმცა იურიდიულად ისინი მაინც იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

XIIს საუკუნეში ირანმა და ოსმალეთმა, 1555 წლის ამასიის ზავის თანახმად, ქართული სამეფო-სამთავროები „გაინაწილეს“. ირანის ხელში აღმოჩნდა: ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი (ახალციხის ჩათვლით); ოსმალეთს წილად ხვდა: იმერეთის სამეფო, ოდიშისა და გურიის სამთავროები, სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი და ლაზისტანი ტრაპიზონის საზღვრამდე. კახეთის სამეფომ დაკარგა აღმოსავლეთი ნაწილი (ჰერეთი,

იგივე საინგილო), რასაც ჩრდილო კავკასიიდან ლეკების მასობრივი ჩამოსახლება და მკვიდრი მოსახლეობის გამაჰმადიანება მოჰყვა. კახეთის სამეფოს ასევე ჩამოსცილდა დიდოეთი და წახაური (თანამედროვე დაღესტნის მაღალმთიანი რაიონები). ქართლის სამეფომ დაკარგა დვალეთი, შიდა ქართლის მთიან ნაწილში დაიწყო ოსების თანდათანობითი ჩასახლება, ქვემო ქართლში კი თურქმანული მოდგმის ტომი – ბორჩალუ დამკვიდრდა.ჳგურიის სამთავროს ოსმალეთმა სამხრეთ ზღვისპირეთის ნაწილი – ქობულეთი წაართვა. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს ტერიტორია სულ უფრო მცირდებოდა, რის ხარჯზეც აფხაზეთის სამთავრო ფართოვდებოდა. სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარმა მდ. კოდორიდან ჯერ მდ. ღალიძგაზე, შემდეგ კი მდ. ენგურზე გადაინაცვლა.

ᲣᲠᲠᲠ საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის მეფე თეიმურაზ ირ-ის გარდაცვალების შემდეგ (1762 წ.) კახეთის მეფე ერეკლე ირ-მ ქართლისა და კახეთის სამეფოები გააერთიანა.ემან ასევე თავისი გავლენის სფეროში მოაქცია განჯის, ერევნისა და ნახჭევანის სახანოები.აამავე პერიოდში რუსეთის იმპერიის სამხრეთით გაფართოების მცდელობამ კავკასიის ანექსიის საფრთხე შექმნა. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა.

1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და თბილისის გუბერნიის სტატუსით შეიერთა. ᲣᲫᲣ საუკუნის დასაწყისში რუსეთის ქვეშევრდომობა დანარჩენმა ქართულმა სამეფო-სამთავროებმაც აღიარეს, რასაც მოგვიანებით ასევე მოჰყვა მათი გაუქმება და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა (იმერეთი – 1810 წ., გურია – 1829 წ., სამეგრელო – 1857 წ., სვანეთი – 1859 წ., აფხაზეთი – 1864 წ.). გარდა ამისა, რუსეთმა ირანსა და ოსმალეთთან წარმოებული ომების შედეგად შეიერთა საქართველოს დაკარგული ისტორიული ტერიტორიები: ჭარ-ბელაქანი ანუ ისტორიული ჰერეთი, იგივე საინგილო (1830 წ.), სამცხე-ჯავახეთი, იგივე ისტორიული სამცხე-საათაბაგო (1829 წ.), აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ნაწილი (1878 წელი).

ამრიგად, ᲣᲫᲣ საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს ისტორიული ტერიტორია თითქმის მთლიანად (ლაზეთისა და ტაოს სამხრეთი ნაწილის გამოკლებით) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა ორი გუბერნიისა (თბილისისა და ქუთაისის) და ყარსის ოლქის ჩრდილოეთი ნაწილის სახით.

1918 წელს, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა აღიდგინა ი დემოკრატიული რესპუბლიკის სახით. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ფართობი 1921 წლის დასაწყისისათვის 93 ათასი კვადრატული კილომეტრი იყო.

1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად საქართველომ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის 3 მარტის ზავის თანახმად, რუსეთმა თურქეთს გადასცა 1878 წელს შემოერთებული ყველა ქართული მიწა, აჭარის გარდა. მოგვიანებით საინგილო შევიდა აზერბაიჯანის, ხოლო ლორე სომხეთის შემადგენლობაში. საქართველოს ტერიტორიის ფართობი შემცირდა 69.7 ათას კვადრატულ კილომეტრამდე. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ხელოვნურად შეიქმნა სამი ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული: აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკა (1931 წლიდან ავტონომიური რესპუბლიკა), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. 1944 წელს საქართველოს სსრ-ს ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაციიდან შემოუერთდა დაახლოებით 6 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორია, მდ. ყუბანის ზემო დინების აუზის ნაწილისა (ქლუხორის რაიონი) და ჩეჩნეთ-ინგუშეთის მაღალმთიანი რეგიონის (ახალხევის რაიონი) სახით. აღნიშნული ტერიტორიები 1957 წელს რსფსრ-მ უკან დაიბრუნა.

ეს მონაცემები ისტორიულად შექმნილი ვითარების მიხედვით იცვლებოდა. პროფესორ ჯ. კეკელიას სავარაუდო გამოთვლით, ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიის ფართობი დაახლოებით იყო 140.4 ათასი კვ.კმ; ი–ᲘᲔ საუკუნეებში – 134,2 ათასი კვ.კმ; ᲘᲡ-Ს საუკუნეებში – 131 ათასი კვ.კმ; ᲣᲠᲠᲠ საუკუნის დასაწყისში – 205,3 ათასი კვ.კმ; ᲣᲔᲠᲠ საუკუნის მეორე ნახევარში – 133,1 ათასი კვ.კმ; ᲣᲫᲣ საუკუნის ბოლოს – 102 ათასი კვ.კმ.

მიუხედავად დიდი ისტორიული კატაკლიზმებისა, საქართველოს გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანა ყოველთვის იყო საქართველოს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო კონტაქტების სრულყოფით მიიღწეოდა, რასაც ხელს უწყობდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობის ტრადიციები. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი ხალხის ევროპული ცხოვრების წესისადმი ინტერესის გააქტიურებას, რაც განპირობებული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის დასავლურ-ქრისტიანულ ცივილიზაციასთან განსაკუთრებული სიახლოვით.

ომებისა და ბრძოლების სასურველი შედეგებით დამთავრებისათვის ადგილმდებარეობის ფაქტორს ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გამოჩენილი ჩინელი სამხედრო თეორეტიკოსი სუნ ძი, რომელიც ჯარების განლაგების სხვადასხვა ვარიანტს გვთავაზობს.

საბრძოლო ვითარების ერთ-ერთი ძირითადი და მუდმივმოქმედი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებდა საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვაზე, წარმართვასა და აღსრულებაზე, იყო ადგილმდებარეობა. ამ უკანასკნელის გონივრული გამოყენება უზრუნველყოფდა მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებებისაგან თავდაცვას, აგრეთვე, ეს ხელს უწყობდა ჯარების მანევრირების ამაღლებას და მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელი დარტყმის მიყენებას, სხვადასხვა სახის იარაღის გამოყენებას. ამდენად, საბრძოლო მოქმედებების დროს ადგილმდებარეობის ზუსტად შესწავლა-შეფასება მის უკეთესად გასათვალისწინებლად და გამოსაყენებლად თითოეული სამხედრო მოსამსახურისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების თანახმად, გეოგრაფიული გარემო აჩქარებდა ან ანელებდა საბრძოლო მოქმედებების განვითარებას.

## §2. უძველესი ქართული სახელმწიფოები

პრიმიტიული სამხედრო იარაღები ქვედა პალეოლითის ხანაში შეიქმნა. იმ პერიოდის ადამიანის ნამოსახლარებში სხვადასხვა სახის საჩეხ-საჭრელი იარაღი აღმოაჩინეს: სახოკები, დანები, საფხეკები, ხელცულები. ქვედა პალეოლითში ადამიანმა ქვისწვერიანი ირაღის დამზადება ისწავლა.

ზედა პალეოლითში იარაღი უფრო სრულყოფილი გახდა. ამ ეპოქაში პრიმიტიული ყუნწგამოყვანილი ისრის წვერები გვხვდება, რომლებიც მშვილდ-ისრის ხმარებაზე უნდა მიანიშნებდეს. ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ეპოქაში ადამიანმა ქვის დამუშავების ტექნოლოგიაში ახალი ფორმების დამკვიდრება შეძლო. იარაღი პატარავდებოდა, იხვეწებოდა და კომპაქტური ხდებოდა.

მეზოლითის ეპოქაში დიდი რაოდენობით გვხვდება მცირე ზომის ისრისპირები. მიკროტექნიკის გავრცელებამ ადამიანს შუბის პროპორციების შემცირების საშუალება მისცა. ასე მივიღეთ ისარი, რომელიც შუბის ფორმის, მისი დაპატარავებული ვარიანტი იყო. სპეციალური მოწყობილობის – მშვილდის საშუალებით შესაძლებელი გახდა ისრის გაცილებით შორ მანძილზე გასროლა, ვიდრე ეს შუბის გამოყენებით ხერხდებოდა.

მშვილდ-ისრის პირველი გამოსახულება საქართველოში მეზოლითის ეპოქიდან გვხვდება. მდინარე პატარა ხრამის ვიწრო ხეობაში, კლდოვან ზედაპირზე, ამოკაწრულია სხვადასხვა ცხოველი, მითოლოგიური არსებები, მშვილდიანი კაცუნები. აღსანიშნავია, რომ პატარა ხრამის პეტროგლიფებში ადამიანის სამი ფიგურაა გამოსახული და ყველას გვერდით მშვილდ-ისარია დახატული, რაც მიუთითებს, რომ ამ პერიოდიდან ეს იარაღი ადამიანის განუყრელი ნაწილი იყო.

რევოლუციური მნიშვნელობა შეიძინა ქვის იარაღის ბრინჯაოთი შეცვლამ, ხოლო მოგვიანებით – რკინის იარაღების შემოღებამ. როგორ მზადდებოდა ბრინჯაოსა და რკინის იარაღები? მაგალითად: კალიანი ბრინჯაოს მახვილები შეიცავდა სპილენძს, კალას, ტყვიას, ანთიმონს, რკინასა და ალუმინს. ამგვარი იარაღი სიმტკიცით ხასიათდებოდა. ბრინჯაოში კალის რაოდენობის გაზრდა შენადნობის სიმკვრივის კოეფიციენტს ზრდიდა. უმჯობესდებოდა ჩამოსხმის ტექნოლოგია და, რაც ყველაზე მთავარი იყო, მცირდებოდა პლასტიკურობა. საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღი დაახლოებით შეიცავდა 85-97% სპილენძს, 3-12% კალას და მცირე დოზით სხვა მინარევებს. თუ ლითონი შეიცავდა 6-7%-მდე კალას, დასაშვები იყო მისი ცივად ჭედვა, ხოლო თუ კალის რაოდენობა მეტი იყო, მაშინ მას ცხლადვე ჭედავდნენ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ უძველეს გამაგრებულ პუნქტებზე. მართალია, გალავანი არ აქვს შემოვლებული მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ ნასახლარს – ქვაცხელებს, მაგრამ სახლების განლაგება ისეა დაპროექტებული, რომ შემოსევის შემთხვევაში მტერს ნასოფლარის დარბევა გასძნელებოდა.

მეორე ათასწლეულის მიწურულიდან საქართველოში პირველი ციხე-ქალაქები ჩნდება: უფლისციხე, სარკინე და სხვა. ბუნებრივია, გალავნით შემოსაზღვრული დასახლების გაჩენა სამხედრო მიზეზით იყო განპირობებული.

იარაღის გამოგონებამ დღის წესრიგში დააყენა მისგან თავდაცვის საშუალებების საჭიროება. ამ მიზნით, ადამიანმა შექმნა აბჯარი. თავდაპირველად ის მაგარი ტყავისაგან მზადდებოდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალა არ იძლევა საშუალებას, რომ უძველეს ქართულ ტომებში გავრცელებულ აბჯრის ტიპებზე სრულყოფილი წარმოდგენა შევიქმნათ. მაგრამ მახლობელ აღმოსავლეთში იმხანად დამკვიდრებული აბჯრის სახეობა ჩვენშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო.

მსუბუქი აბჯრის სახეობას ეკუთვნოდა ტანზე შემოხვეული ტყავის გრძელი ჯავშანი. მკერდსა და ზურგზე ჯვარედინად შემოჭერილი ტყავის ან ქსოვილის რამდენიმე ფენისაგან შემდგარი ნაჭერი მეომრის ტანის ზედა ნაწილს იცავდა. პოპულარული იყო ფოცხვერის, ვეფხვისა და ლომის ტყავები. მათგან საგანგებო მოსასხამს ამზადებდნენ, რომელიც ასევე თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა. მოგვიანებით, უფრო მეტი უსაფრთხოებისათვის, აბჯარს ხის დეტალები დაუმატეს – ტყავს ხეზე აკრავდნენ.

ძვ. წ. მეორე ათასწლეულიდან იწყება ლითონის აბჯრის გამოყენება. თავდაცვის ამ საშუალებამ, ევოლუციის მიუხედავად, თითქმის 3 ათასწლეული იარსება.

სამხედრო საქმის განვითარებაში მნიშვნელოვანი იყო ცხენის მოშენება და საბრძოლო მიზნით გამოყენება. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ ცხოველის მოშინაურება პირველად სამხრეთ რუსეთის სტეპში, კავკასიასა და მცირე აზიაში დაიწყეს.

ძვ. წ. ᲐᲓ-ᲐᲐᲐ ათასწლეულებში ცხენის კულტი უკვე არსებობდა სხვადასხვა ხალხებში. ეს ცხოველი თავდაპირველად საომარ ეტლებში გამოიყენებოდა, რომლებიც, ყველაზე განთქმული, ძველ აღმოსავლეთში ხეთებს ჰქონდათ. პირველად ბრძოლის ველზე მსუბუქი სამხედრო ეტლები სწორედ მათ გამოიყენეს. იმ დროისათვის ისინი საოცარი სისწრაფით გამოირჩეოდა.

პირველი ომი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში წერილობით არის დაფიქსირებული, იყო ძვ. წ. 2470 წელს, ევფრატისა და ტიგროსის შუამდინარეთში, ქალაქებს – უმასა და ლაგეშს შორის. ამის შემდეგ საომარი მოქმედებები ნელ-ნელა გავრცელდა მესოპოტამიის ველებიდან კავკასიონის მთებამდე. აღნიშნულ პროცესებს ხელს უწყობდა ეგვიპტესა და შუამდინარეთს შორის ფარაონების საომარი დაპირისპირება. წინა აზიაში მცხოვრებ მრავალ ტომს შორის პირველ ომებში მონაწილეობდნენ ქართველური ტომებიც. აღნიშნული ბრძოლები ხელს უწყობდა საერთო ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომების დაახლოებას. სწორედ გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობის აუცილებლობამ განაპირობა ქართველური ტომების გაერთიანება და პირველი სახელმწიფოების (დიაოხი და კოლხა) ჩამოყალიბება.

ძვ. წ. ᲐᲐ ათასწლეულში ამიერკავკასიის სამხრეთით არსებობდა დიდი სახელმწიფოები – მითანისა და ხეთების სამეფოები. ქართველური ტომები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ მითანელების დაპყრობით ომებში. კერძოდ, ხეთებმა შექმნეს აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო და ეგვიპტესთან ხანგრძლივი ომი წამოიწყეს. მათ მიზანი სირიის დაპყრობა იყო. ხეთების საგარეო პოლიტიკა საუკეთესო საბრძოლო თვისებების მქონე არმიასა და საბრძოლო ეტლებით აღჭურვილ ძლიერ სამხედრო სისტემას ეფუძნებოდა.ემოქნილი დიპლომატიის წყალობით, არმიაში მათ უზარმაზარი სამეფოს თითქმის ყველა ტომი, მათ შორის ქართველური ტომებიც მიიზიდეს. კარნაკის ტაძარმა ეგვიპტეში შემოგვინახა ბრძოლის სრული ტექსტი, ჯარების დაჯგუფებებით, მხარეთა გეგმებით, ბრძოლის მსვლელობითა და შედეგებით. აღნიშნული ტექსტი ეხება ძვ. წ. 1312 წელს ქალაქ კადეშთან ეგვიპტელებისა და ხეთების არმიების დაპირისპირებას. დასახელებულ ბრძოლაში ამ უკანასკნელებმა სძლიეს ეგვიპტელებს და ხელში ჩაიგდეს სირია. ხეთების მხარეზე იბრძოდნენ ქართველური ტომებიც.

ხეთური ცივილიზაცია წინა აზიაში ჩაისახა. რადგან მას კავკასიის რეგიონთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა, სამხედრო ხელოვნებაში ხეთების მიერ შეტანილ სიახლეს ქართველური ტომებიც ეზიარებოდნენ, მით უმეტეს, რომ ცხენის მოშინაურების სამშობლოდ კავკასიაც სახელდება. შაქართველოს ტერიტორიაზე საომარი ეტლის არსებობა არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. მართალია, ის შედარებით გვიანდელია, მაგრამ სოფ. გოხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სკულპტურული გამოსახულება – ორთვლიანი საომარი ეტლის ნიმუში – ძვ. წ. ი ათასწლეულის ი ნახევრით არის დათარიღებული.

ცხენზე მეომარი შედარებით გვიან ამხედრდა. კავალერიის შექმნამ დაპყრობითი ომების არეალი მნიშვნელოვნად გაზარდა და საბრძოლო მოქმედებებშიც ცვლილებები შეიტანა. საქართველოს ტერიტორიაზე ცხენზე ამხედრებული ადამიანის ერთ-ერთი უძველესი გამოსახულება თრელის სამაროვანში აღმოჩენილ ბრინჯაოს ბალთაზეა შემონახული, რომელიც ძვ. წ. ᲡᲐᲐ-ᲡᲐᲐ საუკუნეებით თარიღდება. თუმცა ძნელი სათქმელია, პირველად ვინ გამოიყენა ცხენოსანთა ჯარი ბრძოლის ველზე. შეიძლება ასეთებად აღმოსავლეთ ევროპაში მომთაბარე სკვითები და კიმერიელები, ან ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხები მივიჩნიოთ. ცხენოსანთა მძლავრი არმიის შექმნას მეცნიერები ასურეთის მეფეებსაც მიაწერენ.

მითანის დასუსტების შემდეგ ასურეთის სამეფო გაძლიერდა, რომელმაც ჩრდილოეთით დაიწყო ექსპანსია და უშუალოდ ქართველურ ტომებთან წამოიწყო ბრძოლები. ეს ხდებოდა ძვ. წ. ᲡᲐᲐ-Ს საუკუნეებში. მცირე პერიოდის შემდეგ ამავე არეალის სიახლოვეს ურარტუს ძლიერი სამეფო გაჩნდა.

ამრიგად, მცირე აზიის რამდენიმე ძლიერი სახელმწიფო ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა. სწორედ მათ წინააღმდეგ საუკუნეების მანძილზე გამუდმებით იბრძოდა დიაოხი. ამ უკანასკნელისა და კოლხას პერიოდის სამხედრო ხელოვნების შესახებ მწირი ცნობები არსებობს, თუმცა ზოგადი წარმოდგენა ამ მონაცემებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია. ინფორმაციის ძირითადი წყარო ასურეთისა და ურარტუს მეფეთა წარწერებია, რომლებშიც საუბარია მათ ბრძოლაზე ქართველურ ტომებთან.

უძველეს ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში (კოლხეთი, კოლხა, დიაოხი), ასურული, ურარტული თუ ბერძნული წყაროების ცნობით, ჩამოყალიბებული სამხედრო სისტემა არსებობდა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას მეფისა თუ ადგილობრივი დიდებულების გამოყვანილი ჯარი და ციხესიმაგრეთა მთელი სისტემა განსაზღვრავდა. ამ პერიოდის ქართველი მეომრის სრული სამხედრო აღჭურვილობა ჩვენამდე მოღწეული არ არის, არც წერილობითი წყაროები იძლევა მისი აღდგენის საშუალებას, მაგრამ ამ დანაკლისის შევსება არქეოლოგიური მასალის მიხედვით არის

შესაძლებელი. ძვ. წ. ⅀ი ათასწლეულის ⅀ი ნახევრისა და ი ათასწლეულის ი ნახევრის სამარხებში აღმოჩენილია სამხედრო აღჭურვილობის ზოგიერთი ელემენტი. სწორედ მათ საფუძველზეა შესაძლებელი ძველი ქართველი მეომრის შეიარაღებისა და ჩაცმულობის აღდგენა. ჩაფხუტი წალკის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი მასალის მიხედვით არის აღდგენილი; იარაღი და სარტყელი მცხეთაში, სამთავროში აღმოჩენილი მახვილის ტარისა და ქარქაშის, სატევრის, ცულისპირის, შუბისპირის, შუბისტარზე ქვემოდან წამოსაცმელისა და სარტყლის მსგავსია; მეომრის სახე აღებულია სამთავროსა და წალკაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკებიდან; ტანსაცმელი და ფეხსაცმელი წინააზიურ გამოსახულებათა მიხედვით შეიქმნა.

უძველესი დროის ერთ-ერთი ძლიერი სამეფოს, ასურეთის, ჩრდილოეთით ყველაზე მყარი ძალა „ნაირის ქვეყნები“ იყო. ეს მდინარეების — ყარა-სუსა (დასავლეთი ევფრატი) და მურად-სუს შორის მდებარე ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანება იყო. მისი წამყვანი ძალა „დიაოხი“ იყო, როგორც მას ურარტულელები უწოდებდნენ. მისი მეორე სახელი დაიანე იყო. დიაოხი ქართული ტომების სამშობლო გახლდათ. ეს კარგად ჩანს იქიდანაც, რომ ეს სახელწოდება შემორჩა „ტაოხების“ ფორმით (ტაო). ამ ტომს იხსენიებს ქსენოფონტე, ⅆ საუკუნის ბერძენი ავტორი. აღნიშნული ტომის შტამომავლები უნდა იყვნენ დღევანდელი ტაოს (ტაო-კლარჯეთი, უძველესი ქართული მხარე) მკვიდრნი.

დიაოხის სამხრეთი პერიფერია დღევანდელი არზრუმისა და ყარა-სუს სათავეების ტერიტორიები უნდა ყოფილიყო. მის მეზობლად იხსენიება მეორე ქართული პროვინცია „ზაბახა“, რომლის სახელწოდებაც დღევანდელ „ჯავახეთშია“ შემონახული.

დიაოხის შესახებ ცნობებს ვხვდებით ასურულ ლურსმულ წარწერებში, რომლებშიც დაწვრილებითაა აღწერილი ასურეთის მეფეების ლაშქრობა ნაირის ქვეყნებში. ძვ. წ. ⅀ი⅀ი საუკუნიდან დიაოხი ნაირის ქვეყნების ყველაზე ძლიერი სამეფო კოალიციის მეთაურად გვევლინება. ის საკმაოდ დაწინაურებული ქვეყანა გახლდათ. აქ განვითარებული იყო ლითონის წარმოება, მებაღეობა, მევენახეობა. გაჩნდა გამაგრებული ციხე-ქალაქები. თავიდან გავრცელებული იყო ე. წ. „ციკლოპური“ ციხესიმაგრეები, ანუ უზარმაზარი, ტლანქად გათლილი ქვებისგან მშრალი წყობით ნაგები გალავნები, რომელთა შიგნით მოწყობილი იყო მთავარი ციტადელი. ამ გალავნებს ზოგჯერ ღრმა თხრილები ჰქონდა შემოყოლებული, რათა მტერს უფრო გასძნელებოდა მათი დაპყრობა. მტრის შემოსევის დროს მოსახლეობა ამ ციხეებს აფარებდა თავს. ციკლოპური ციხესიმაგრეების ნაშთებს დღესაც მრავლად ვხვდებით იმ ტერიტორიებზე, სადაც დიაოხი მდებარეობდა. მოგვიანებით აშენდა უფრო მტკიცე და თავდაცვისუნარიანი ციხესიმაგრეები. ჩანს, აქ მაღალ დონეზე იდგა სამხედრო საქმე, იყენებდნენ საბრძოლო ეტლებს, რაც აშკარად მეტყველებს იმ პერიოდში სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე.

დიაოხი მუდმივად იყო თავისი ძლიერი მეზობლის — ასურეთის თავდასხმის ობიექტი. ასურულ წარწერებში დაწვრილებითაა აღწერილი დიაოხში ჩატარებული ლაშქრობები, საიდანაც ჩანს, რომ დიაოხის წინააღმდეგ ილაშქრეს ასურეთის მეფეებმა: ტიგლათფილესერ ⅈ-მა (ძვ. წ. 1112 წ.) და სალმანასარ ⅈⅈⅈ-მ (ძვ. წ. ⅈ⅀ ს-ის შუახანები). ასურეთის მეფეები და მეომრები განსაკუთრებული სისასტიკით ხასიათდებოდნენ, რასაც ლურსმული წარწერები ადასტურებს.

ტიგლათფილესერ ⅈ-ის ლაშქრობის დაწვრილებითი აღწერა შემორჩენილია ერთ-ერთ წარწერაში, საიდანაც ვიგებთ, რომ მან დაამარცხა ნაირის ქვეყნების კოალიცია, რომლის სათავეშიც დიაოხის მეფე იდგა: „მათ შეკრიბეს თავიანთ ქვეყანაში ეტლები და ჯარები და საბრძოლველად გამოემართნენ. მე გავანადგურე... 120 საბრძოლო ეტლი ხელში ჩავიგდე, ქალაქები გადავწვი“.

ტიგლათფილესერმა დიაოხის მეფე თან წაიყვანა ასურეთში და იქ შეიწყალა. როგორც ჩანს, პოლიტიკური თვალსაზრისით, წამგებიანად ჩათვალა დიაოხის მეფის დასჯა და ცოცხალი გაუშვა თავის ქვეყანაში.

შემდგომი პერიოდი ასურეთის დასუსტების ხანაა. იგი დაპყრობით ომებს ვეღარ მიმართავდა და ამის გამო ასურულ წყაროებში აღარც დიაოხის შესახებ გვხვდება ცნობები.

ძვ. წ. ⅈ⅀ საუკუნიდან ვითარება შეიცვალა. ასურეთი ისევ გაძლიერდა და დაკარგული პრიორიტეტის აღდგენას შეეცადა. ამავე დროს ჩამოყალიბდა ახალი და ძლიერი სამეფო — ურარტუ. ის ვანის ტბის მიდამოებში მდებარეობდა, დღევანდელი ქალაქის, ვანის ადგილას, თურქეთში. დედაქალაქი იყო ტუშფა. ურარტუმ ფართომასშტაბიანი დაპყრობითი ომები დაიწყო. მან თითქმის მთლიანად დაიპყრო კავკასიის მიმდებარე ტერიტორიები. ამ ომებში ურარტუს ყველაზე ძლიერ წინააღმდეგობას დიაოხის სამეფო უწევდა.

დიაოხის მეფემ ასურეთთან სცადა მოლაპარაკება, რათა ახლად გაჩენილ ძლიერ მოწინააღმდეგესთან, ურარტუსთან, ბრძოლაში მოკავშირე ჰყოლოდა. თუმცა ურარტუმ მალევე მოახერხა ასურეთის დამარცხება და დიაოხი პირისპირ დარჩა უძლიერესი სახელმწიფოს წინაშე. დიაოხის გარშემო დაირაზმა სამხრეთ კავკასიასა და მის მიდამოებში მცხოვრები ყველა ტომი, რომლებიც შეწუხებული იყვნენ ურარტუს დაპყრობითი ომებით და ერთიანი წინააღმდეგობა გაუწიეს მას.

ძვ. წ. ⅈ⅀ ს-ის ბოლოსა და ⅆⅈⅈⅈ ს-ის დასაწყისში დიაოხის წინააღმდეგ ილაშქრა ურარტუს მეფე მენუამ. ინფორმაცია ამ ლაშქრობის შესახებ შემონახულია დღევანდელი არზრუმის (ყოფილი დიაოხის) ტერიტორიაზე, კლდეზე ამოკვეთილ წარწერაში, რომლის მიხედვით, ჩანს, რომ მენუას დაუმარცხებია დიაოხი და დიდი ხარკიც შეუწერია მისთვის. საინტერესოა, რომ ამ წარწერაში

დიაოხი იხსენიება, როგორც „ძლევამოსილი ქვეყანა", რაც აშკარად მეტყველებს მის ძლიერებაზე, რადგან ურარტულ წერილობით ძეგლებში მსგავსი ეპითეტით არც ერთი სხვა ქვეყანა არ იხსენიება.

დიაოხის წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდა აგრეთვე მენუას მემკვიდრე არგიშთი ი (ძვ. წ. 786-764 წლები). დიაოხში მან პირველად ძვ. წ. 785 წელს ილაშქრა. ამის შესახებ ცნობები შემონახულია ვანის კლდეზე ამოკვეთილ წარწერაში, რომელშიც ნახსენებია აგრეთვე დიაოხის მეზობელი ქვეყნების — ზაბახას (ჯავახეთის) და ვიტეროხის (ოძრხე — ქართული პროვინცია) დალაშქვრაც.

ამ ბრძოლებში დიაოხს, როგორც ჩანს, ისევ კოალიცია შეუკრავს და გაერთიანებული ძალებით დახვედრია ურარტუელთა ლაშქარს. თუმცა ამას შედეგი მაინც არ გამოუღია. ცნობების მიხედვით, არგიშთის 453 დასახლებული პუნქტი გადაუწვავს, 15 181 ყრმა, 2734 მამაკაცი, 10 604 დედაკაცი, 4426 ცხენი, 10 478 სული მსხვილფეხა და 73 770 სული წვრილფეხა პირუტყვი წაუყვანია. ამასთანავე, დიაოხის მეფეს მან ხარკის სახით დააკისრა 41 მინა სუფთა ოქრო (მინა — 505 გ), 37 მინა ვერცხლი და ამდენივე სპილენძი, 1000 ცხენი და სხვა.

როგორც ხარკის ოდენობიდან ჩანს, დიაოხი საკმაოდ ძლიერი და მდიდარი ქვეყანა ყოფილა, განსაკუთრებით განვითარებული იყო მესაქონლეობა და მეტალურგია.

ურარტუმ ბოლომდე მაინც ვერ დაიმორჩილა დიაოხი. მისი მეფე უტუფურსი ძვ. წ. 786 წელს აჯანყდა და ურარტუს კვლავ მოუწია დიაოხში გალაშქრება. ამის შემდეგ მხოლოდ ძველბერძნულ წყაროებში ვხვდებით დიაოხის შესახებ ცნობებს.

ძვ. წ. 401 წელს ბერძენთა ათიათასიანმა ლაშქარმა დიაოხისა და მისი მეზობლების ტერიტორიები მოითარეშა. ამ ლაშქარში იყო გამოჩენილი ძველი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე, რომელიც საკუთარი თვალით ნანახ მოვლენებს აღწერდა. ქსენოფონტეს დახასიათებით, ტაოხები, ანუ დიაოხის მოსახლენი, განსაკუთრებული სიმამაცითა და თავისუფლებისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. მასვე დაწვრილებით აქვს აღწერილი დიაოხის თავდაცვითი ნაგებობები. ეოსახლეობა ცხოვრობდა მიუვალ და გამაგრებულ ადგილებში. მათ ჰქონდათ გალავანშემოვლებული ციხესიმაგრეები, სადაც მტრის შემოსევის დროს ხალხი თავისი ავლადიდებით აფარებდა თავს. ერთ-ერთი ასეთი თავშესაფარი მოწყობილი ჰქონდათ მიუვალ მთის წვერზე, თუმცა მაღალი გალავნის შიგნით ნაგებობები არ არსებობდა. როგორც ჩანს, ეს დროებითი თავშესაფარი იყო. ბერძნებმა მაინც შეძლეს ამ ადგილის აღება, მიუხედავად იმისა, რომ მთის წვერიდან დიდ ლოდებს აგორებდნენ, რომელიც მუსრს ავლებდა ბერძენთა ჯარს. დამარცხებული დიაოხელები მტერს ცოცხლად არ ნებდებოდნენ და უფსკრულში ხტებოდნენ თავიანთ ბავშვებთან ერთად.

ურარტუ ისევ აგრძელებდა ბრძოლებს დიაოხის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, მან მოახერხა დიაოხის სამხრეთი ტერიტორიების დაპყრობა. განუწყვეტელმა შემოსევებმა დაასუსტა დიაოხი და ბოლოს განადგურდა კიდევაც. როგორც ჩანს, მისი საბოლოო განადგურება მეორე ქართველურმა სამეფომ, კოლხამ მოახერხა. ამის შემდეგ ურარტუ და კოლხა უშუალო მეზობლები გახდნენ და ბრძოლები უკვე მათ შორის მიმდინარეობდა.

ასეთ ვითარებაში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა კოლხეთის სამეფო, რომელიც ურარტულ წყაროებში „კილხის" სახელწოდებით იხსენიება. კოლხეთი უძველესი დასავლურქართული სამეფოა, რომლის შესახებაც მრავალი მითი და თქმულება იქმნებოდა. კოლხეთის განთქმულ მეფე აიეტს უკავშირდება ყველასათვის ცნობილი არგონავტების მითი. აღნიშნული სამეფოს ჩამოყალიბების თარიღი დღემდე მეცნიერთა დისკუსიის საგანია.

ურარტული და ძველბერძნული წყაროების მიხედვით, კოლხეთი ძლიერი სამეფოა, რომელშიც ყველა დასავლურქართული ტომი იყო გაერთიანებული. მეფე აიეტი „მზის შვილად" იწოდებოდა. მას ჰყავდა დიდი ლაშქარი, ძლიერი ფლოტი, ჰქონდა მშვენიერი სასახლე და ფლობდა „ოქროს საწმისს".

არქეოლოგიური მონაპოვრებით დასტურდება, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდში ნამდვილად არსებობდა განვითარებული და მაღალი კულტურის მქონე სამეფო, რომლის დედაქალაქადაც „კუტაია" — ქუთაისი არის მიჩნეული.

ძვ. წ. 750-748 წლებში ურარტუ პირველად დაესხა თავს კოლხეთს. ამ დროს ურარტუს მეფე იყო სარდურ იი. მისი მოღვაწეობის ამსახველ წარწერებში კოლხეთში ორი ლაშქრობის შესახებაა მოთხრობილი.

პირველი ლაშქრობის დროს სარდურ იი-ს კოლხას სამხრეთი პერიფერიები დაურბევია და ტყვეები წაუყვანია. ჩანს, ამ დროს გენერალური ბრძოლა არ გამართულა, ვინაიდან წარწერაში კოლხეთის მეფეზე არაფერია ნათქვამი.

მეორე ლაშქრობისთვის ურარტუს მეფე სარდურ იი უკეთესად მოემზადა და ფართომასშტაბიანი დაპყრობითი ომი გამართა. როგორც ერთ-ერთი ლურსმული წარწერა მოგვითხრობს, სარდურ იი-ს კოლხეთში მეორეჯერ ძვ. წ. 747-741 წლებში ულაშქრია: „ჩემი მეომრებით მე, როგორც კალია, ისე შევესიე მათ ქალაქებს... მე გადავწვი მათი ლამაზი სახლები... პურითა და ქერით სავსე ბეღლები. მეომრებს ვუბრძანე, რომ სურსათი, რომლის მოგროვებაზეც ეს ხალხი წლობით შრომობდა, მათთვის წაერთმიათ, დაეტვირთათ მათ ცხენებზე, აქლემებზე, ჯორებსა და სახედრებზე და ბანაკში მოეტანათ... დავანაყრე ყველა ჩემი მეომარი, რომლებმაც სამეფოში გასაგზავნად

უზარმაზარი სურსათ-სანოვაგე შეაგროვეს. მე ასევე გავაჩეხინე მათი ხეხილის ბრწყინვალე ბაღები, ურიცხვი ვენახი, ყველა დახუნძლული ხე და ქვეყანა უდაბნოდ ვაქციე... ამ ქვეყნის 146 ქალაქი გადავწვი, როგორც სარეველა ბალახი და, ვით ქარიშხალმა, ცა კვამლით გადავფარე. მონებად წამოვიყვანე 8100 კაცი და 9110 ქალი, ასევე წამოვასხი 17 300 მსხვილფეხა და 31 600 წვრილფეხა საქონელი... ვერც ერთმა მეფემ ჩემამდე ვერ დაამარცხა კოლხები და მოსხები და არავის დაუმორჩილებია ისინი...“

სარდურ ი‑ი მოგვითხრობს აგრეთვე ქართველთა ბაღ-ვენახებზე, რომლებიც „წვიმასავით უხვ მოსავალს“ იძლეოდა და აღფრთოვანებულია იმ შესანიშნავი ღვინით, რომელსაც პირდაპირ ქვევრებიდან სვამდნენ მისი მეომრები. სარდური კოლხებს უწოდებს „ამაყ და უდრეკ, დაუმორჩილებელ ხალხს“, რომელმაც ბრძოლებში დიდი ზიანი მიაყენა მას. იგი გაოცებულია ქართველთა უბადლო ცხენოსნობითა და იარაღის გამოყენების საოცარი ოსტატობით ცხენზე თუ საომარ ეტლში.

სარდურ ი‑ი ასევე გვაწვდის ცნობებს ძლიერ ციხესიმაგრეებზე, რომლებიც მთავარ სტრატეგიულ პუნქტებში მდებარეობდა. მათ გარს ერტყა სქელგალავნიანი კოშკური სისტემა ღრმა წყალ-თხრილებით. „თვით ჩვეულებრივი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ქვისა და აგურისგან არის მკვრივად ნაშენი, თავდაცვით ნაგებობას წააგავს“, – წერს იგი. ქართველებს მაღალ მთებში ჰქონდათ საგანგაშო კოშკების მთელი სისტემა, საიდანაც კოცონისა და კვამლის საშუალებით ერთმანეთს მტრის მოახლოებას ატყობინებდნენ.

კოლხეთის სამეფო ურარტუს შემოსევებს მაინც გადაურჩა, მაგრამ საშინელი განსაცდელი მას თავს დაატყდა ჩრდილოეთიდან შემოსული კიმირიელების სახით.

კიმირიელები ყუბნისპირეთსა და ყირიმში ცხოვრობდნენ. ეს იყო მომთაბარე ველური ტომი, რომელმაც გაანადგურა ყველაფერი, სადაც კი ფეხი დადგა. კიმირიელები საუკეთესო ცხენოსნები და დაუნდობელი მეომრები იყვნენ. მათ ძვ. წ. ი‑ი ს-ში ილაშქრეს კავკასიაში და გაანადგურეს კოლხეთის ძლიერი სამეფო, დაამარცხეს ურარტუ, გაიარეს მცირე აზია და ეგვიპტის საზღვრებს მიადგნენ.

ძვ. წ. ი‑ი ს-ში კოლხეთის სამხრეთი რაიონები სპარსეთმა დაიმორჩილა. კოლხეთი სპარსეთს ხარკს უხდიდა და მისი ერთ-ერთი მე-19 სატრაპია (ადმინისტრაციული ერთეული) იყო.

ძვ. წ. ი‑ი ს-ში სპარსელების ძალაუფლება შესუსტდა, თუმცა კოლხეთში მალევე შემოვიდა ბერძენთა მოთარეშე არმია.

ბერძენთა ლაშქარი, როგორც დაქირავებული ჯარი, მონაწილეობდა სპარსელთა ომში. უფლისწულმა კიროსმა თავისი უფროსი ძმის – სპარსეთის მეფე არტაქსერქსე ი‑ის წინააღმდეგ ომი წამოიწყო. მან დასახმარებლად ბერძენთა 13 000 მებრძოლისაგან შემდგარი ლაშქარი დაიქირავა, რომლის ერთ-ერთი სარდალი ქსენოფონტე იყო. ეს ბრძოლა კიროსის დამარცხებით დამთავრდა, ბერძენთა ლაშქარი კი სამშობლოში დაბრუნდა. გზაში მათ საკვები შემოელიათ და ძარცვით ირჩენდნენ თავს. ისინი შავი ზღვისკენ გაღწევას ცდილობდნენ, რათა საზღვაო გზით გადასულიყვნენ სამშობლოში.

ქსენოფონტე აღწერდა ყველაფერს, რაც საომარი მოგზაურობის დროს ხვდებოდა. მის თხზულებაში, „ანაბაზისი“ (ძვ. წ. ი‑ი ს.), აღწერილია ერთ-ერთი ბრძოლა, რომელიც კოლხებთან მოუხდათ. ეს უკანასკნელნი გამაგრებული იყვნენ ერთ-ერთ მაღალ გორაკზე, რომლის აღებაც ბერძნების ტრადიციული საბრძოლო წყობით შეუძლებელი იყო, ამიტომ ქსენოფონტემ ჯარის წყობა შეცვალა – ფალანგა ტაქტიკურ ერთეულებად დაშალა. გარდა ამისა, მსუბუქად შეიარაღებული მეომრებისგან შეადგინა სამი რაზმი (თითოში 600 კაცი). კოლხებმა სცადეს ფალანგებიდან შემორტყმოდნენ მტრის ლაშქარს, მაგრამ ამ მანევრის შედეგად მათი ცენტრი გაიყო. ბერძნებმა ამით ისარგებლეს და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაგრე აიღეს. მიჩნეულია, რომ საბრძოლო წყობის ტაქტიკური დაყოფა საორგანიზაციო დაყოფის საფუძველზე ახალი სიტყვა იყო სამხედრო ხელოვნებაში. ის შემდგომში სრულად რომაელებთან განვითარდა. ბერძნებმა კოლხების ტერიტორია დატოვეს. ამის შემდეგ, ძვ. წ. ი საუკუნემდე, კოლხეთში შედარებით მშვიდობა იყო. ვითარდებოდა ეკონომიკა, ვაჭრობა, თუმცა იქ პონტოს სამეფო ბატონობდა. მალე ის რომაელებმა დაიპყრეს და კოლხეთიც მათ ძალაუფლებაში მოექცა.

ამ მოვლენების შედეგად კოლხეთის სამეფო დაიშალა. შეიქმნა რამდენიმე გაერთიანება, რომლებიც რომაელებს ებრძოდნენ. ახ. წ. 69 წელს კოლხეთის მოსახლეობა რომაელებს აუჯანყდა. აჯანყებულები ტრაპეზუნტში შეიჭრნენ და ამოხოცეს რომაელი ჯარისკაცები, შემდეგ პატარა ხომალდებით, „კამარებით“ (ერთ-ერთი უძველესი ქართული ნავის სახეობა), დაიწყეს ზღვის გაკონტროლება. რომაელებმა დამატებითი ძალები გამოგზავნეს და შეძლეს აჯანყებული კოლხების (მეთაური – ანიკენტი) დამარცხება.

რომაელების ბატონობა დასავლეთ საქართველოში უფრო მეტად გაძლიერდა. მათ თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს ციხესიმაგრეებში, ზოგიც თვითონ ააშენეს და იქ დაბანაკდნენ. რომაელები ჩადგნენ ფაზისში, სებასტოპოლისში, აფრარში (დღევანდელი გონიო). ამ უკანასკნელში რომაელთა ყველაზე დიდი გარნიზონი იდგა – 3000 მეომრის შემადგენლობით. გონიოს ციხე, რომელიც დღესაც კარგადაა შემონახული, ძირითადად რომაელების აგებული და გამაგრებულია.

ფაზისის ციხესიმაგრე გალავნითა და ორმაგი თხრილით ყოფილა დაცული. აქ რომაელთა 400 რჩეული მეომარი დაბანაკებულა. რაც შეეხება დიოსკურიას (სებასტოპოლისი – სოხუმი), აქ რომაელთა ცხენოსანი რაზმები ყოფილან დაბანაკებული.

ი-ი საუკუნეებში კოლხეთში ვითარება არ შეცვლილა. რომაელები მხოლოდ ზღვისპირა ქალაქებს აკონტროლებდნენ. ი საუკუნეში ჩრდილო შავიზღვისპირეთში შემოღწევას ცდილობდნენ გუთები – გერმანელი ტომები. ამ დროს რომი შედარებით დასუსტებული იყო, ხოლო ლაზიკა ნელ-ნელა ძლიერდებოდა.

გუთები ხომალდებით მიადგნენ დასავლეთ საქართველოს და თავს დაესხნენ პიტიუნტს (ოჩამჩირე). იგი საკმაოდ გამაგრებული, დიდი გალავნით დაცული იყო და ჰქონდა კარგი ნავსადგური. რომაულმა გარნიზონმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გუთების შემოტევა მოიგერიეს და სასტიკად დაამარცხეს. გუთებმა შემდეგ შეუტიეს ფაზისს, მერე ისევ პიტიუნტს და მოახერხეს მისი აღება. მათ სასტიკად დაარბიეს ქალაქი, უამრავი ტყვე იგდეს ხელთ და გაბრუნდნენ.

ი-ი საუკუნეები ლაზიკის ძლიერების ხანა იყო. მის ქვეშევრდომობაში მეტ-ნაკლები სისრულით მოექცა მთელი დასავლეთ საქართველო. მას ეგრისის სამეფოს სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. მისი ტერიტორია სამხრეთით მდინარე ჭოროხის შესართავამდე ვრცელდებოდა, აღმოსავლეთით – სურამის ქედამდე, ჩრდილოეთით კი მოიცავდა აფხაზეთსა და სვანეთსაც.

# თავი II

# საქართველო და ანტიკური სამყარო

## §3. მეფე ფარნავაზი

**პოლიტიკური ვითარება.** ძვ. წ. ი-ი საუკუნეში მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო. იგი „ბერძნული ფალანგის“ გამოგონებასთან არის დაკავშირებული. ამიერიდან ბრძოლები ახალი სისტემით იმართებოდა. შეტაკებისას ბერძენი მეომრები მოწინააღმდეგის რიგებში უკვე აღარ იჭრებოდნენ. ისინი მკაცრად განლაგებულ მწკრივებად მოძრაობდნენ. მეომართა რიგი ბრძოლის მთელ ხაზზე იყო გაჭიმული და შეტევაზე გადასვლისას ეს მწკრივი არ ირღვეოდა. ფალანგის სიღრმე 8 მებრძოლისაგან შედგებოდა. მეომრები ერთმანეთის ზურგს უკან ისე იდგნენ, რომ პირველ მწკრივში მებრძოლის სიკვდილისა თუ დაშავებისას მის ადგილს მეორე მწკრივის მეომარი იკავებდა.

ახალი სახის მებრძოლებს საბერძნეთში **ჰოპლიტებს** უწოდებდნენ, რაც შეჭურვილ მეომარს ნიშნავს. ისინი 2-2.5 მეტრის შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი. მათი სხეული აბჯრით იყო დაცული. თავზე მუზარადები ეხურათ. ფალანგა დროთა განმავლობაში მოდიფიცირდებოდა.

ფილიპე ი მაკედონელის დროს, „ბერძნული ფალანგის“ ევოლუციის შედეგად, „მაკედონური ფალანგა“ წარმოიშვა. შეიცვალა ფალანგის წყობა და მეომრის აღჭურვილობა. ამიერიდან ფალანგის სიღრმე 16 მეომარი იყო, 8-ის ნაცვლად. მაკედონელთა არმია მცირე ერთეულებად დანაწილდა. აუცილებლობის შემთხვევაში მათ დამოუკიდებლად მოქმედება შეეძლოთ. ფალანგის ფრონტის ხაზზე მდგარი 16 მეომარი, თითოეულ მწკრივში მყოფ 16 მეომართან ერთად, შეადგენდა სინტაგმას (16×16=256 მეომარს). 6 სინტაგმა ქმნიდა პოლკს ანუ ტაქსისს (6×256=1536 მეომარი). მაკედონური ფალანგა შეიძლებოდა ორგვარი ყოფილიყო: „მცირე“ და „დიდი“. „მცირე ფალანგაში“ 16 (16×256=4096 მეომარი), ხოლო „დიდ ფალანგაში“ 64 სინტაგმა (64×256=16 384 მეომარი) შედიოდა. ბრძოლის ველზე „დიდი“ ფალანგის გაშლის დროს ფრონტის ხაზი 1024 მეომარს ითვლიდა და 1.3-1.5 კილომეტრამდე იჭიმებოდა.

ფილიპე ი-ის დროს მეომრის აღჭურვილობაში ახალი დეტალიც გაჩნდა: მაკედონელი ფალანგისტების შუბი (სარისი) 5-5.5 მეტრამდე გაიზარდა, წონა იყო 6-7 კგ. შუბი საგანგებოდ მზადდებოდა და სიმკვრივის შესანარჩუნებლად ტარზე დამატებით რგოლებს უკეთებდნენ. ასეთ

იარაღს ბრძოლაში ორი ხელით იყენებდნენ. ამიტომაც, ბერძენი ჰოპლიტებისაგან განსხვავებით, მაკედონელი მეომრები დიდ ფარებს ვეღარ ატარებდნენ. პატარა ფარები (დიამეტრი დაახლოებით 60სმ) მხრებზე ისე ჰქონდათ დამაგრებული, რომ ტანის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავდა. შუბის სიგრძემ ფალანგა კიდევ უფრო მრისხანე ძალად აქცია. სინტაგმის პირველ 5 მწკრივს შუბი (სარისები) ჰორიზონტალურად ეკავა. ამიტომ ბრძოლის ხაზის გარღვევა მოწინააღმდეგისათვის წარმოუდგენელი იყო. სიღრმეში მდგომ მეომარს ბრძოლის დაწყებისას შუბი ვერტიკალურად ეკავა, წინა რიგებში გადანაცვლებისას კი ის საბრძოლო პოზიციას იღებდა.

ფილიპე IIი მაკედონელის არმიის მნიშვნელოვანი ძალა სხვა სამხედრო შენაერთებიც იყო. ფალანგის ზურგს მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები იცავდნენ, ხოლო ფლანგებზე მხედრობა იყო განლაგებული. შემდგომმა ბრძოლებმა აჩვენეს, რომ მაკედონური ფალანგის მოქმედების პარალელურად, ფლანგებიდან ღრმა იერიშებზე გადასვლა მტერზე თავზარდამცემად მოქმედებდა.

ფილიპე IIი მაკედონელი უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე იყო, მაგრამ საკუთარი ვაჟის – ალექსანდრე მაკედონელის სიდიდემ იგი ნაწილობრივ დაჩრდილა. არა და სწორედ ფილიპეს რეფორმების წყალობით იქცა მაკედონია უძლიერეს სახელმწიფოდ. მისი სამხედრო სისტემა იმ პერიოდისათვის საოცრად ნოვატორული და ახალი ეტაპი იყო სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. მაკედონური ფალანგა, რომელმაც თავზარი დასცა აზიას, პირველად სწორედ ფილიპე IIი-მ გამოიყენა.

სტრატეგია სულ უფრო სრულყოფდა ომის მომზადების პერიოდს და სამხედრო მოქმედებათა თეატრის შესწავლას, ჯარების მართვას, ბრძოლის ადგილისა და დროის შერჩევას, მთავარი დარტყმის მიმართულების განსაზღვრასა და ჯარის უზრუნველყოფას. შესაბამისად, ტაქტიკაც სულ უფრო რთული და მრავალმხრივი ხდებოდა. ქვეით და ცხენოსან მეომართა დიდი მასების ეფექტურ განლაგებას, მათი მანევრირების შესაძლებლობის განსაზღვრას სულ უფრო სპეციფიკური და სიღრმისეული ცოდნა ესაჭიროებოდა. მუშავდებოდა და ინერგებოდა მსუბუქი ქვეითი ჯარის, მოისრეების, მძიმედ აღჭურვილი ცხენოსნების, საბრძოლო ეტლებისა და სხვა ნაწილების ერთმანეთთან ურთიერთქმედების ხერხები, რომლებიც, საერთო ჯამში, ჯარის ბრძოლისუნარიანობასა და მანევრირების ზრდას უწყობდა ხელს.

როგორც წესი, საბრძოლო შეჯახება სატყორცნი იარაღის მოქმედების რადიუსში იწყებოდა და ვითარდებოდა როგორც მსუბუქი ქვეითი, ისე ცხენოსანი ჯარის ფრონტალური და ფლანგური შეტევებით, რასაც დევნა და საფარში განლაგებული ძალების ამოქმედება მოჰყვებოდა. ხშირად მთელი ომის ბედი ერთადერთ ბრძოლაში წყდებოდა, რომელშიც მოწინააღმდეგეთა მთელი საბრძოლო ძალები მონაწილეობდნენ.

ძვ.წ. IVე საუკუნის დასაწყისიდან საბერძნეთში მნიშვნელოვნად განვითარდა საალყო ტექნიკა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ონაგის ანუ ლოდსატყორცნი იარაღის გამოგონება. ამავე პერიოდში შემოდის საქართველოშიც აღნიშნული იარაღი და სხვადასხვა დიდ ქალაქში მისი გამოყენების კვალსაც ვხედავთ.

ძვ.წ. IVე საუკუნის 30-იან წლებში ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაწყებულმა დაპყრობებმა ძირფესვიანად შეცვალა მრავალი ხალხისა და სახელმწიფოს განვითარების გზა. ძველი მსოფლიოს ისტორიის ამ უდიდესმა მოვლენამ საქართველოზეც იმოქმედა.

ძვ. წ. 336 წელს მაკედონიის ტახტი ოცი წლის უფლისწულმა ალექსანდრემ დაიკავა. 334 წელს მან სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო, რომელიც უდიდესი წარმატებით დაასრულა. შეიქმნა ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან და ეგვიპტიდან ინდოეთამდე გადაჭიმული იმპერია. 323 წელს ალექსანდრე მაკედონელი თავისი შექმნილი იმპერიის სატახტო ქალაქ ბაბილონში გარდაიცვალა. ამის შემდეგ მის სარდლებს შორის სასტიკი ბრძოლა ატყდა, რომელიც ცნობილია დიადოხოსების (მემკვიდრეების) ბრძოლის სახელით. ის ძვ. წ-ის 323-281 წლებში მიმდინარეობდა. საბოლოოდ, ალექსანდრე მაკედონელის იმპერია ძირითადად სამ ნაწილად დაიშალა: სელევკიდების სამეფო, რომელიც სირიას, შუამდინარეთს, მიდიასა და აზიის სხვა პროვინციებს მოიცავდა; ეგვიპტე, სადაც პტოლემაიოსის შთამომავლები მბრძანებლობდნენ; მაკედონია, რომელსაც ანტიგონეს მემკვიდრეები ედგნენ სათავეში. არსებობდა ბევრი სხვა წვრილ-წვრილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნიც. სწორედ ამ დროს ქართლში, ანუ აღმოსავლეთ საქართველოში, სახელმწიფო ყალიბდება.

**სამხედრო მოქმედებები.** ლეონტი მროველის გადმოცემით, ქვეყნის დაპყრობის მიზნით ქართლში ალექსანდრე მაკედონელი შემოვიდა. მას აქ საკმაოდ კარგად გამაგრებული ქალაქები დახვდა: წუნდა, ხერთვისი, ოძრხე, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, მცხეთა. ალექსანდრემ თავისი ლაშქარი რამდენიმე ნაწილად გაყო და ამ ქალაქებს ალყა შემოარტყა. ექვსთვიანი ბრძოლის შემდეგ მან თითქმის ყველა ქალაქი დაიმორჩილა, გარდა თუხარისისა. ამის შემდეგ ალექსანდრემ ადვილად დაიპყრო მთელი ქართლი და აქ მმართველად თავისი სარდალი აზო დანიშნა, რაც სხვა ისტორიული წყაროებით არ დასტურდება.

აზომ ყველა ქალაქს გალავანი მოუნგრია, მათ შორის, მცხეთასაც. ამ ქალაქში მან მხოლოდ ოთხი მთავარი ციხე დატოვა, რომლებშიც თავისი ჯარი ჩააყენა. აზომ ეგრისიც (დასავლეთ საქართველო) დაიპყრო და, ქართლის მსგავსად, მასაც ხარკი დააკისრა. ალექსანდრეს

გარდაცვალების შემდეგ აზომ კერპთაყვანისმცემლობა აღიარა და ორი კერპი – გაცი და გაიმი აღმართა. აზო ძალიან მკაცრი და სასტიკი მმართველი იყო.

აზოს წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში მცხეთის მამასახლის სამარას ძმისშვილი – ფარნავაზი ჩაუდგა. მან ეგრისის მმართველ ქუჯის მოკავშირეობა და აზოს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა. ფარნავაზი აზოს დაპყრობილ ჩრდილოეთ კავკასიელებსაც დაუკავშირდა და შემწეობა სთხოვა. ამ უკანასკნელებმა ჯარი გამოგზავნეს მას. ბრძოლის წინ აზოს ათასი რჩეული მეომარი განუდგა და ფარნავაზის მხარეს გადავიდა. აზო თავის ლაშქარს ველარ ენდო, მცხეთა მიატოვა, კლარჯეთში წავიდა და იქ გამაგრდა. ფარნავაზმა მცხეთა გაათავისუფლა და იმავე წელს დაიქვემდებარა მთელი ქართლი, კლარჯეთის გარდა. ფარნავაზმა ელჩები და საჩუქრები გაუგზავნა მეფე ანტიოქოსს და დახმარება სთხოვა.

მეორე წელს აზომ ბერძენთა ანუ პონტოს სამეფოს ჯარი დაიხმარა და გაძლიერებული გამოემართა ფარნავაზთან საბრძოლველად. ამ უკანასკნელმა ქუჯი იხმო. მასთანვე გამოცხადდნენ ანტიოქოსის მიერ გამოგზავნილი სარდლები. კვლავ დიდი ბრძოლა გაიმართა.

**მოწინააღმდეგე ძალები.** ფარნავაზისა და აზოს ჯარების რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. პირველს მხარს უჭერდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო და ეხმარებოდნენ ჩრდილო კავკასიელები. მას დამხმარე ძალა გამოუგზავნა სელევკიდების სამეფოს მბრძანებელმაც (სავარაუდოდ, ანტიოქოს ი-მა). აზოს მხარს უჭერდა სამხრეთ საქართველო და მისი მოკავშირე იყო პონტოს სამეფო, საიდანაც მიიღო კიდეც სამხედრო დახმარება. სავარაუდოა, რომ რიცხობრივი უპირატესობა ფარნავაზის მხარეს იყო. აზოს ჯარი დამარცხდა, თვითონ კი ბრძოლაში დაიღუპა. ფარნავაზმა კლარჯეთიც დაიკავა და გამარჯვებული დაბრუნდა მცხეთაში, სადაც ქართლის მეფედ ეკურთხა.

**რეფორმა.** გამარჯვებულმა ფარნავაზმა სახელმწიფოში რეფორმები დაიწყო, რომელთა შორისაც ერთ-ერთი მთავარი სამხედრო-ადმინისტრაციული იყო. საქართველო საერისთავოებად დაიყო. ერისთავებს ევალებოდათ საკუთარ საერისთავოში ჯარის შეკრება და მისი სარდლობა. სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი პროვინცია, შიდა ქართლი, სპასპეტს დაექვემდებარა. იგი მეფის შემდეგ მეორე პირი იყო სამეფოში. სპასპეტი სამხედრო უწყებას განაგებდა და ქვეყნის შეიარაღებული ორგანიზაციის მართვა ევალებოდა. იგი ასევე პასუხისმგებელი იყო ჯარების შეკრებასა და საბრძოლო მზადყოფნაზე. სპასპეტს პირადად ემორჩილებოდნენ ერისთავები. სულ რვა საერისთავო შეიქმნა: კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, არგვეთის, კლარჯეთის, ოძრხის, წუნდისა და ეგრისის.

საერისთავო სამხედრო პრინციპზე აგებული ადმინისტრაციული ერთეული იყო. ერისთავს ხელქვეითი მოხელეები ჰყავდა: სპასალარი, ათასისთავი და ასისთავი. არსებობს მოსაზრება, რომ თითოეულ საერისთავოს 10 ათასამდე მოლაშქრე გამოჰყავდა. ჩვენი აზრით, საერისთავოების ჯარის რაოდენობის ზუსტი დადგენა ძალიან ძნელია. პირველ რიგში, ეს დამოკიდებული იქნებოდა საერისთავოს მოსახლეობის რაოდენობაზე, რაც სხვადასხვა საერისთავოში განსხვავებული უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველასათვის ერთი – განსაზღვრული რაოდენობა საერისთავოდან გამომავალი ლაშქრისა არ უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ციხესიმაგრეთა მშენებლობას (მცხეთა, არმაზციხე და სხვა), რასაც სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ისეთი მოვლენები, როგორებიცაა: ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ცენტრით მცხეთაში, გაერთიანებული ქართული ჯარის აზოსთან ბრძოლა, სტრატეგიული კავშირები მონათესავე მთის ტომებთან იყო ხარისხობრივად ახალი მოვლენა, რომელიც მოწმობდა, რომ ერთ სახელმწიფოში, ერთი დროშის ქვეშ გაერთიანებული ქართველი ერის ძალასა და რწმენას შეუძლია რიცხობრივად ბევრად მეტი და ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება. შედეგად, ხალხმა მიიღო ხანგრძლივი მშვიდობა და ეკონომიკისა და კულტურის ინტენსიური განვითარების შესაძლებლობა. ქართველური ტომების ისტორიულად უფრო სუსტი და დროებითი გაერთიანებები სტაბილურმა სახელმწიფომ შეცვალა, რომელსაც ჰქონდა ერთიანი, გამოკვეთილი ორგანიზაცია, ნათელი სტრუქტურა და იერარქიული მმართველობის ყველა საფეხური.

ფარნავაზმა 65 წელი იმეფა. მან გაატარა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი რეფორმები, რის შედეგადაც, სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფო უფრო მაღლა დადგა, ვიდრე მისი მეზობლები. ამ ყოველივემ, საბოლოოდ, უზრუნველყო ქვეყნის სამხედრო ძლიერება. ერთიანი საქართველოს პირველი მეფე 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.

## §4. რომაელების ლაშქრობა საქართველოში. მეფე არტაგი

**პოლიტიკური ვითარება.** ალექსანდრე მაკედონელის უზარმაზარი იმპერია ძვ.წ. 323 წელს მისი გარდაცვალებისთანავე მცირე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად დაიშალა. ყველა სარდალმა საკუთარ რეგიონში თავი მეფედ გამოაცხადა. ერთ-ერთი სარდალი, სელევკი, მართავდა აზიას, რის გამოც სელევკიდების ახალი სამეფო წარმოიშვა. ძვ.წ. 301 წელს გარდაიცვალა ანტიგონე მონოფთალმოსი, რომელიც მაკედონიის იმპერიის მეფობას იჩემებდა და მის სამეფოს ძვ.წ. 302 წელს გამოეყო პონტოს სამეფო.

ამავე დროს ძვ.წ ააი ს-ის შუა წლებში, უფრო ზუსტად, ძვ.წ. 247 წელს, სელევკიდების სამეფოს აღმოსავლეთით გაჩნდა არშაკიდების დინასტიური სახელმწიფო, პართია, რომელიც მალე მთელ წინა აზიაში უძლიერეს სამეფოდ ჩამოყალიბდა. სამხრეთ კავკასიაში კი, სელევკიდების დასუსტებასთან ერთად, შეიქმნა ორი სომხური სახელმწიფო: სოფენე და ე.წ. დიდი არმენია.აგრესიული საგარეო პოლიტიკისა და პართიის მხარდაჭერის შედეგად, მათ მოახერხეს ქართლის სამეფოს სამხრეთ ტერიტორიების ნაწილის ჩამოჭრა და სომხეთისათვის მიერთება. კამბისენაც (ქართული ოლქი კამბეჩოვანი) სომხეთის პროვინცია გახდა. ქართლის სამეფოს აღმოსავლეთით კი, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, შეიქმნა ალბანეთის სამეფო, რომელზეც ასევე პართიის გავლენა ვრცელდებოდა. აღნიშნული სახელმწიფოს მზარდ ძლიერებას ახლო აღმოსავლეთში რომის ექსპანსიური პოლიტიკა დაუპირისპირდა.

ანტიკურ ეპოქაში სამხედრო საქმემ ყველაზე სრულყოფილი სახე სწორედ რომის იმპერიაში მიიღო. მსოფლიო იმპერიად მისი გადაქცევა სამხედრო პოტენციალმა განაპირობა. რომის სამხედრო წარმატებები მხოლოდ მოსახლეობის რიცხოვნობაზე არ იყო დამოკიდებული. რომაელებმა შეძლეს მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინათ არსებული სამხედრო ტაქტიკა და სტრატეგია. ბერძნული ფალანგის რომაული მანიპულარული ლეგიონებით შეცვლამ არმია უფრო ბრძოლისუნარიანი გახადა.

რომის სიძლიერე მძლავრ სამხედრო პოტენციალს ეფუძნებოდა. გამორჩეული იყო რომაელი მეომრის აღჭურვილობა, საბრძოლო წყობა, ზოგადად, არმიის შეიარაღება. რომაული ლეგიონები საკმაოდ მრისხანე ძალა იყო. ძვ. წ. ააი ს-ის მიწურულს რომის სამხედრო სისტემაში კრიზისი დაიწყო. ამან უბიძგა რომაელ სარდალსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, გაიუს მარიუსს, ძვ.წ. 105 წლისათვის სამხედრო რეფორმა გაეტარებინა. თუ მანამდე ჯარი ცენზის მიხედვით კომპლექტდებოდა და იქ სამსახური დაბალ ფენებს ეკრძალებოდა, რეფორმის შემდეგ რომის არმია სახალხო ლაშქრის პრინციპს დაეფუძნა, მეომრობა კი ყველას შეეძლო. ჩამოყალიბდა პროფესიული არმია. მეომარს ხელფასი ეძლეოდა, მის აღჭურვილობასა და კვებაზე სახელმწიფო ზრუნავდა. 16-20 წლის სამსახურის შემდეგ მეომრებს მიწის ნაკვეთსაც აძლევდნენ. რეფორმამ რომის ჯარი მნიშვნელოვნად გააძლიერა და გაზარდა ლეგიონების რიცხვი.

ძვ. წ. ი ს-ის დასაწყისში საქართველოს სამხრეთით მდებარე მხარეში დიდი ამბები მოხდა. უმთავრესი პონტოსა და მეზობელი სომხეთის სახელმწიფოს გაძლიერება იყო. უკვე მეფობის დასაწყისში პონტოს მეფე მითრიდატე ააი ევპატორმა (ძვ. წ. 121-63 წლებში) თავის სამეფოს შეუერთა ჩრდილო შავიზღვისპირეთი, კერძოდ, ბოსფორის სამეფო, კოლხეთი და „მცირე არმენია“. მითრიდატეს დამორჩილდა სამხრეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების დიდი ნაწილიც. ამის შემდეგ მითრიდატემ ბრძოლა გააჩაღა მთელი მცირე აზიის დაუფლებისათვის. აღნიშნულ საქმეში მისი მოკავშირე სომხეთის მეფე ტიგრან აი გახდა. ამ ქვეყნის მთავარი მოწინააღმდეგე ამ დროს პართია იყო. ტიგრანმა პონტოსთან კავშირში შეძლო დაებრუნებინა პართიის მიერ ადრე მიტაცებული მიწები, აგრეთვე გააფართოვა თავისი სამეფო მრავალი მიმართულებით: შეიერთა პართიის ჩრდილო-დასავლეთი მხარეები, განავრცო თავისი ძალაუფლება თანამედროვე ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანზე, შეიერთა სოფენა, პონტოს რომთან ბრძოლების პერიოდში დაეუფლა აგრეთვე სირიას, ფინიკიას და კილიკიის ნაწილს.

პონტოსა და სომხეთის გაძლიერებას წინ აღუდგა რომი, რომელიც უკვე ძვ. წ. აი საუკუნიდან აქტიურად ერეოდა მცირე აზიის საქმეებში და მას საკუთარი ინტერესების სფეროდ თვლიდა. მითრიდატემ მოხერხებულად გამოიყენა ანტირომაული განწყობილება მცირე აზიის მოსახლეობაში, რომელმაც საკმაოდ იგემა რომაელთა მხრიდან ძარცვა და ექსპლუატაცია, აგრეთვე მიმართა სოციალურ დემაგოგიას დაბალი ფენების გადმოსაბირებლად და სხვა. ამ ბრძოლას მითრიდატემ დასაწყისში რომის წინააღმდეგ აზიელთა საღვთო ომის ხასიათი მისცა და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. მან მოახერხა რომაელთა განდევნა მცირე აზიიდან და ერთხანს საბერძნეთსაც კი დაეუფლა, მაგრამ პონტოს მეფის დესპოტია რომის ბატონობაზე უკეთესი არ გამოდგა და მითრიდატეს აუმხედრდნენ მცირე აზიასა და სხვა დაპყრობილ მხარეებში. ამასობაში რომაელებმაც თავისი ძალების კონცენტრაცია შეძლეს და რამდენჯერმე გაიმარჯვეს მითრიდატეს ჯარებზე. მითრიდატე თავს დამარცხებულად მაინც არ ცნობდა. ძვ. წ. 73 წელს მან გააჩაღა ახალი, მესამე ომი რომთან. რომაელებმა ლუკულუსის სარდლობით ამჯერადაც რამდენჯერმე დაამარცხეს მითრიდატე და სომხეთის მეფის – პონტოს მოკავშირე ტიგრან აი-ის სამფლობელოებში შეიჭრნენ.

ძვ. წ. 69 წელს, ხანგრძლივი ალყის შემდეგ, რომაელებმა სომხეთის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი ტიგრანაკერტი აიღეს, (ტიგრან აი-ის მიერ დაარსებული ქალაქი მდ. ტიგროსის ჩრდილოეთით, დღევანდელი ქ. ფარკინის ადგილას). ქართლის სამეფო, ისევე როგორც მეზობელი

ალბანეთი, ამ დროს პონტოსა და სომხეთის მოკავშირე იყო. პლუტარქეს ცნობით, ტიგრანაკერტთან ბრძოლაში სომხების მხარეზე იბერები და ალბანელები (პლუტარქე, ლუკულუსი) იბრძოდნენ. მომდევნო წელს (68 წ.) რომაელებმა გეზი სომხეთის დედაქალაქ არტაშატისაკენ (არაქსის შუა წელზე) აიღეს. ქალაქის მისადგომების დამცველთა შორის იბერებს კვლავ ასახელებს პლუტარქე. მისი თქმით, ლუკულუსის წინააღმდეგ მებრძოლი სომხეთის ლაშქრის წინა რიგში იბერიელი მშვილდოსნები იდგნენ. მათი იმედი, მათივე ვაჟკაცობის გამო, ტიგრანს სხვებზე მეტად ჰქონდა. პლუტარქე სომხებთან ერთად მებრძოლ იბერიელ ჯარისკაცებს „მოქირავნეებად“ მოიხსენიებს. ტიგრანაკერტთან ბრძოლის მონაწილე იბერიელები კი მათ შორის დასახელდნენ, ვინც ტიგრანთან საბრძოლველად „ტიგრანის კეთილგანწყობილებითა თუ საჩუქართა მიღების სურვილით ამოძრავებულებად“ გამოცხადდა.

იბერიისა და ალბანეთის ერთგვარი პოლიტიკური დამოკიდებულება თავისი ძლიერების ზენიტში მყოფ სომხეთის მიმართ გამორიცხული არ უნდა იყოს. თუმცა, ამავე დროს, უნდა ვიფიქროთ, რომ იბერიისა და ალბანეთის მმართველნი მოსალოდნელ საფრთხეს რეალურად აფასებდნენ და სომხეთს ნებაყოფლობით ეხმარებოდნენ.

არტაშატის მისადგომებთან ლუკულუსმა ტიგრანზე გაიმარჯვა, მაგრამ მოახლოებული ზამთრისა და რომაელთა ლაშქარში გავრცელებული უკმაყოფილების გამო იძულებული გახდა შემდგომ სვლაზე უარი ეთქვა და უკან, დასავლეთით, გაბრუნებულიყო.

ძვ. წ. 66 წელს მითრიდატესა და ტიგრანის წინააღმდეგ ომის წამოწყება რომის სენატმა ლუკულუსის ნაცვლად გნეუს პომპეუსს დაავალა და იგი აღმოსავლეთის პროვინციებში განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა. მითრიდატეს ამ დროისათვის ძალები ფაქტიურად აღარ ჰყავდა და პომპეუსთან შეტაკებაში, მცირე არმენიაში, სასტიკად დამარცხდა. მითრიდატემ პონტო სასწრაფოდ მიატოვა და მცირე ლაშქრით კოლხეთისაკენ გაიქცა. ზამთრის გატარება დიოსკურიაში მოუხდა, რადგანაც ბოსფორის სამეფო, საითკენაც იგი მიემართებოდა, მისმა ვაჟმა მახარემ ჩაიგდო ხელში. მეორე წელს მითრიდატემ, მეოტური ტომების დახმარებით, ხელთ იგდო ბოსფორი. იგი ოცნებობდა რომის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებაზე, ჩრდილოეთიდან იტალიაში შეჭრაზე და სხვა, მაგრამ 63 წელს მეორე ვაჟის (ფარნაკი) მიერ მოწყობილი აჯანყების შედეგად, ძალაუფლება დაკარგა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამრიგად, უკვე 66 წელს პონტომ ფაქტობრივად წინააღმდეგობა შეწყვიტა, ამიტომაც გნეუს პომპეუმა საომარი მოქმედება პონტოს ამიერკავკასიელი მოკავშირეების – სომხეთის, ალბანეთისა და იბერიის წინააღმდეგ გააჩაღა. სომხეთმა მალე შეწყვიტა წინააღმდეგობა. ტიგრან III პომპეუსს დანებდა და ძვ. წ. 66 წელს ზავი დადო, რომლის ძალითაც სომხეთმა დაკარგა ახლად შემოერთებული ბევრი ოლქი და ექვსი ათასი ტალანტის კონტრიბუციის გადახდაც იკისრა. ტიგრან III-მ „რომის მეგობრისა და მოკავშირის“ წოდება მიიღო, რაც ამ სიტუაციაში რომისადმი პოლიტიკური დაქვემდებარების აღიარებას მოასწავებდა.

ამის შემდეგ პომპეუსის მიზნად ალბანეთის, იბერიისა და კოლხეთის დალაშქვრა იქცა. მას მარტო მითრიდატეს დევნა, მის მოკავშირეთა დასჯა ან რომის სამფლობელოების გაფართოება არ ჰქონდა დასახული. როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ რომაელებს სხვა უფრო სპეციფიკური ინტერესებიც ამოძრავებდათ. მათთვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ამიერკავკასიის, როგორც სტრატეგიული ბარიერის, მნიშვნელობა ჩრდილოეთის მომთაბარეთათვის კავკასიონის გზების ჩასაკეტად. გარდა ამისა, ამიერკავკასია უმნიშვნელოვანესი არტერია იყო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან დასაკავშირებლად, რომელიც რომაელებს ძალიან იზიდავდა, როგორც მონების მოპოვების ერთ-ერთი წყარო. ეს მხარე რომაელთა ყურადღებას უეჭველად იქცევდა აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთთან (ინდოეთთან, შუა აზიასთან) სავაჭრო-სატრანზიტო გზად გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისითაც. პლინიუსმა შემოგვინახა პომპეუსის ლაშქრობის მონაწილის – მარკუს ტერენციუს ვარონის ცნობა, რომ ლაშქრობისას ინდოეთიდან ბაქტრიაში მისვლა 7 დღეში იყო შესაძლებელი: ჯერ მდ. ბაქტრითა და მდ. ოქსით კასპიის ზღვაში, შემდეგ – მდ. მტკვრით, საიდანაც ხმელეთით 5 დღეში შეიძლებოდა ინდოეთის საქონლის მიტანა ფაზისში. პომპეუსი ამიერკავკასიაში ლაშქრობისას სწორედ ამ სავარაუდო სავაჭრო გზის მარშრუტით მოძრაობდა. ეს, ალბათ, შემთხვევითი არ იყო. მას ერთ-ერთ მიზნად ამ გზის შესწავლაც ჰქონდა. ამ დროს განსაკუთრებით იგრძნობოდა ასეთი გზის საჭიროება პართიის გაძლიერების გამო, რომლის ტერიტორიაც ევფრატიდან ინდოეთის საზღვრებამდე იყო გადაჭიმული და რომელსაც, რომთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში, ინდოეთიდან და ჩინეთიდან ხმელთაშუაზღვისპირეთში მომავალი სამხრეთის გზების ჩაკეტვა შეეძლო.

ძვ. წ. 65 წელს პომპეუსმა გადაწყვიტა თავდაპირველად იბერიაზე გაელაშქრა და შემდეგ კოლხეთში გადასულიყო. ამ დროს იბერიაში არტაგი (ანტიკური წყაროები მას არტოკს უწოდებენ) მეფობდა. პლუტარქე წერს დიდი ბრძოლის შესახებ, რომელშიც იბერიელები სასტიკად დამარცხდნენ. მათ მოუკლეს 9000 მებრძოლი, 10 000-ზე მეტი კი ტყვედ ჩავარდა. პლუტარქეს გადმოცემით, ასე გაიკვლია გზა პომპეუსმა კოლხეთისკენ, სადაც ქალაქ ფაზისთან სერვილიუსი უცდიდა ფლოტით.

პომპეუსის ლაშქრობა იბერიაში დაწვრილებით აღწერა დიონ კასიუსმა. მისი თქმით, ძვ. წ. 65 წელს პომპეუსს ბრძოლა მოუხდა როგორც ალბანელების, ისე იბერიელების წინააღმდეგ. პირველად მან იბერიელებზე ილაშქრა. ამ უკანასკნელთა მეფე არტოკმა პომპეუსს დესპანი გაუგზავნა მეგობრობის აღთქმით, მაგრამ მალულად უეცარ თავდასხმას ამზადებდა (დიონ კასიუსი, რა თქმა უნდა, რომაულ ვერსიას გადმოგვცემს). პომპეუსმა ეს შეიტყო, მომზადება და ძალზე ძნელი გასასვლელის დაკავება იბერიელთა მეფეს არ აცალა და ქვეყანაში მოულოდნელად შეიჭრა. არტოკმა ეს თავდასხმა მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც პომპეუსი აკროპოლისს (შიდაციხეს, არმაზციხეს) მოადგა. არტოკმა ციხის დაცვა ვეღარ მოახერხა, იძულებული გახდა საჩქაროდ მიატოვა, მტკვრის მეორე (მცხეთის) მხარეზე გადავიდა და ხიდი გადაწვა (ეს ის ხიდია, რომელიც დღევანდელი მცხეთის სადგურთან, ყველაზე ვიწრო ადგილას იყო აგებული). არმაზციხის გარნიზონი ბრძოლაში დამარცხდა და პომპეუსს დანებდა, რომელმაც მტკვრის მარჯვენა ნაპირი მთლიანად დაიმორჩილა და მეორე მხარეზე გადასასვლელად მზადება დაიწყო. იქვე იმყოფებოდა არტაგიც. მან დესპანები გაგზავნა და პირობა დადო, რომ ხიდს თავადვე ააგებდა და რომაელთა ლაშქარს სურსათსაც მიაწვდიდა. მან აღთქმული შეასრულა, მაგრამ ახლა პომპეუსმა დაარღვია პირობები და მტკვარზე გადასვლა დაიწყო. არტაგი მდ. პელორისაკენ (არაგვი) გაიქცა, სადაც იყო მცხეთის მეორე მთავარი ციხე სევსამორა, ანუ ზადენციხე. პომპეუსი მას დაეწია და დაამარცხა. პელორზე გადასვლის შემდეგ არტაგმა ხიდი დაწვა. მდინარის მეორე მხარეს დარჩენილი არტაგის მეომრები მის გადაცურვას შეეცადნენ, მაგრამ უმეტესობა დაიღუპა. ბრძოლაში დაეცა ბევრი იბერიელი მეომარი, მრავალმა ტყეებს შეაფარა თავი და პომპეუსის მებრძოლებს ისრებს მაღალი ხეებიდან უშენდნენ. რომაელებმა ხეების მოჭრა გადაწყვიტეს. ასე დაიღუპნენ იბერიელი მეომრები.

პომპეუსსა და არტაგს შორის მოლაპარაკება კვლავ გაიმართა. პომპეუსი მძევლად არტაგის შვილებს ითხოვდა. არტაგი არ თანხმდებოდა, მაგრამ როდესაც ზაფხულის სიცხეების გამო არაგვი ადვილად გადასალახავი გახდა და პომპეუსის ლაშქარი მასზე გადავიდა, არტაგმა მძევალი მისცა და ზავიც შეიკრა. პლუტარქეს ცნობით, პომპეუსმა არტაგისაგან მიიღო ოქროს საწოლი, ტახტი და მაგიდა.

იბერიიდან პომპეუსი კოლხეთში უმოკლესი გზით – სურამის უღელტეხილით გადავიდა. დიონ კასიუსის ცნობით, პომპეუსმა იბერიაში ყოფნისას შეიტყო, რომ მდ. ფაზისი ახლოს იყო და გადაწყვიტა მისი დინების გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო. პომპეუსს, როგორც ჩანს, სხვადასხვა გაერთიანებათა მიწა-წყალზე მოუხდა გავლა. დიონ კასიუსი ამბობს, რომ პომპეუსმა (ფაზისის გაყოლებით) გაიარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე. იგი ზოგან დაშინებით, ზოგან შთაგონებით მოქმედებდა. ასე მიაღწია ქ. ფაზისს. იქ მას რომაული ესკადრით ელოდებოდა პუბლიუს სერვილიუსი. კოლხეთში პომპეუსს, უეჭველია, ბევრჯერ მოუხდა ბრძოლით გზის გაკვლევა. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ რომში დაბრუნებულ პომპეუსს ტყვეთა შორის მოჰყავდა „კოლხების სკეპტუხი (კვერთხის მპყრობელი) ოლთაკი“ (აპიანე). გამარჯვებული პომპეუსის ტრიუმფალური სვლის დროს რომში, აღნიშნულ ოლთაკსა და ბევრ სხვასთან ერთად, ყველაზე უფრო წარჩინებულ ტყვეთა თუ მძევალთა შორის დასახელებულია „იბერთა სამი და ალბანელთა ორი წინამძღოლი (ჰეგემონი)“.

ფაზისში ჩასვლის შემდეგ პომპეუსმა კოლხეთში თავისი ლაშქრობა დამთავრებულად ჩათვალა. მან შეიტყო, რომ მითრიდატე შორს, ბოსფორში გახიზნულიყო. იქ მისი დევნა შეუძლებლად მიიჩნია. გზა ჩრდილოეთისკენ გადიოდა მრავალი უცნობი მეომარი ტომის მიწა-წყალზე. საშიში იყო საზღვაო გზაც – არ იყო ნავმისადგომები, ხოლო ზღვის პირას მეტად მკაცრი მოსახლეობა ბინადრობდა. პომპეუსმა დაუმორჩილებელ ალბანეთზე ილაშქრა აქედან, ამასთანავე არა მოკლე გზით (იბერიაზე რომ გადიოდა), არამედ არმენიაზე გავლით. ალბანელები დამარცხდნენ და ზავი შეკრეს. მათი მეფე ოროისი, ისევე როგორც იბერიელთა მეფე არტაგი, პომპეუსმა „რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ“, ე.ი. რომზე დამოკიდებულ მმართველად გამოაცხადა.

ძველი წელთაღრიცხვის 65 წლის ზაფხულში მდ. ალაზნის ნაპირას რომის იმპერიის ლეგიონებსა და ალბანეთის სამეფოს ლაშქარს შორის მოხდა ბრძოლა, რომელიც მნიშვნელოვანია იმით, რომ დღევანდელი დედოფლისწყაროს რაიონის ტერიტორიაზე შესაძლებელია დადასტურდეს რომაელთა ლეგიონების მოძრაობა და მსოფლიოში სახელგანთქმული მხედართმთავრის – პომპეუსის ყოფნა. ბრძოლის პერიპეტიები აღწერილია პლუტარქეს ცნობილ ნაშრომში „პარალელური ბიოგრაფიები“, რომლიდანაც, მწირი ინფორმაციის მიუხედავად, შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოვიტანოთ.

„რისხვითა და შურისძიებით ანთებული პომპეუსი ალბანთა წინააღმდეგ დაიძრა. მან დიდი წვალებითა და თავგანწირვით კვლავ გადალახა მტკვარი, რომლის სანაპირო ბარბაროსებს მთელ სივრცეზე მესრით გაემაგრებინათ. აქედან პომპეუსს უწყლო და მეტად მძიმე სავალი გზა მოელოდა. სწორედ ამიტომ მან წყლით აავსებინა ათი ათასი გუდა და სწრაფად დაიძრა მტრისაკენ. ალბანელებს იგი მდინარე აბანტუსის (ალაზნის) სანაპიროზე შეხვდა. 60 ათასი ქვეითი მეომრისა და 12 ათასი მხედრისაგან შემდგარი მტრის ჯარი უკვე საბრძოლველად იყო დარაზმული, მაგრამ ძალზე ცუდად იყო შეიარაღებული. ჯარისკაცთა უმრავლესობას ნადირთა ტყავები ეცვა. ამ მხედრობას წინამძღოლობდა ალბანთა მეფის ძმა – კოსისი.

გაჩაღდა თუ არა ხელჩართული ბრძოლა, კოსისი ეკვეთა პომპეუსს და ჯავშნის ნაკეცში შუბი აძგერა. პომპეუსმა ხელი გამოიღო და ალბანთა წინამძღოლი განგმირა. ამბობენ, რომ ამ ბრძოლაში ბარბაროსების მხარეზე მდინარე თერმოდონიტის გასწვრივ მდებარე მთებიდან ჩამოსული ამაზონებიც (ამორძალები) მონაწილეობდნენ. მართლაც, ბრძოლის შემდგომ, როცა რომაელები დახოცილ ბარბაროსებს იარაღს აცლიდნენ, წააწყდნენ ამაზონურ მსუბუქ ფარებსა და მაღალყელიან წაღებს; თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქალის გვამი არავის უნახავს.

ალბანელებთან ბრძოლის შემდეგ პომპეუსს გულით სურდა სამი დღის სავალ მანძილზე მდებარე ჰირკანიისა და კასპიის ზღვისაკენ გაჭრა, მაგრამ ამ მხარეში იმდენი შხამიანი გველი იყო, რომ პომპეუსი იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო. მან მცირე სომხეთისაკენ დაიხია“.

ბრძოლის აღწერიდან ვარკვევთ, რომ ალბანთა ლაშქარში იყო 60 000 ქვეითი მეომარი და 12 000 მხედარი. რა ძალები ჰყავდათ რომაელებს? – შესაძლებელია, 3 ლეგიონი, დამხმარე ძალებითურთ (იმ პერიოდში ლეგიონების შემადგენლობა ითვლიდა 4800 ჯარისკაცს). სწორედ ასეთი ძალებით იბრძოდა პომპეუსი იბერიის მეფე არტაგის წინააღმდეგ ძვ. წ. 65 წლის გაზაფხულზე. ალბანელების არმიის რიცხვი შეიძლება გაზვიადებული იყოს.

ჩვენ უკვე ვიცით მოწინააღმდეგეთა სავარაუდო რაოდენობა; ის, რომ ბრძოლის ადგილი ალბანელებმა აირჩიეს. ისინი, ალბათ, გადაკეტავდნენ უმოკლეს გზას, რომელიც კამბისენეზე გადიოდა (აღწერილი აქვს სტრაბონს). ამ გზის მახლობლად ალბანელები საბრძოლველად აირჩევდნენ ისეთ ადგილს, სადაც რიცხობრივ უპირატესობას სრულად გამოიყენებდნენ.

კოსისმა სარდლის ფიზიკური განადგურება გადაწყვიტა. მან ძლიერი იერიში დაიწყო პომპეუსის მიმართულებით. მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. მასში, სავარაუდოდ, მონაწილეობდნენ ალბანელებისა და რომაელების საუკეთესო მებრძოლები, რომელთა ნაწილი დაიღუპა. კოსისმა მოახერხა – მიეჭრა პომპეუსს და შუბი ჩაარტყა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი სასიკვდილოდ დაჭრა.

თუ გავითვალისწინებთ მანძილს, რომელიც რომაელებმა გაიარეს (ისინი საკმაოდ ჩქარობდნენ), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი ბრძოლის შემდეგ დასასვენებლად დაბანაკდებოდნენ. ეს ადგილი შეიძლება მდებარეობდეს დღევანდელი დედოფლისწყაროს რაიონის ტერიტორიაზე. რომაელების მოძრაობის მარშრუტი შესაძლებელია ააა საუკუნის რომაელი ისტორიკოსის, დიონ კასიუსის მონათხრობის მიხედვით დავადგინოთ: „ალბანეთზე კოლხეთიდან სომხეთის გავლით გალაშქრებული პომპეუსი ფეხდაფეხ გავიდა კირნოსზე (მდ. მტკვარი), სადაც ზაფხულის სიცხეების გამო ის ადგილი გასავლელი გახდა... მან დინების გაყოლებით გადასვლა უბრძანა ჯერ ცხენოსან ჯარს, შემდეგ აღალს, ბოლოს კი ქვეითებს, რათა ცხენებს თავიანთი სხეულით შეეჩერებინათ დინება, ხოლო თუ აღალიდან რაიმე მაინც გადატრიალდებოდა, შეხვედროდა ორივე მხრივ მიმავალ ხალხს და შორს არ წაღებულიყო. აქედან კამბისამდე (მდ. იორი) პომპეუსს არავითარი ვნება არ შეხვედრია მოწინააღმდეგეებისაგან, მაგრამ, მთელ თავის ჯართან ერთად, იგი ძალიან შეაწუხა სიცხემ და წყურვილმა, ამიტომ გზის დიდი ნაწილი ღამით გაიარეს. მეგზურებმა, რომლებიც ტყვეთაგან იყვნენ, წაიყვანეს ისინი ნაკლებად მოსახერხებელი გზით, თუმცა არც მდინარე აღმოჩნდა მათთვის სასიკეთო: არაჩვეულებრივად ცივმა წყალმა, რომელიც ბევრი დალიეს, მრავალს ავნო და ასე მივიდნენ აბანტუსამდე (მდ. ალაზანი). თან მიჰქონდათ მხოლოდ წყალი, დანარჩენს ადგილობრივ მცხოვრებთაგან ნებაყოფლობით ღებულობდნენ, რის გამოც მათ არაფრით ავიწროვებდნენ “.

რაც შეეხება კოლხეთს, იგი თავიდანვე მოექცა მითრიდატე დიდ ევპატორის ყურადღების არეში და მისი იმპერიის შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. ბერძნულ-რომაულ მწერლობაში ეს რეალობა მწირადაა ასახული. პონტო-კოლხეთის ურთიერთობას შედარებით ვრცლად ეხება სტრაბონი. მის i:„გეოგრაფიაში“ საინტერესო ცნობებია კოლხეთის წარსულის, განსაკუთრებით – პოლიტიკური სტატუსის შესახებ; მოთხრობილია იმ როლზე, რომელიც კოლხეთს ჰქონდა დაკისრებული პონტოს ფლოტის აღჭურვაში. სტრაბონი წერს: „რამდენად იყო ეს ქვეყანა სახელგანთქმული ძველად, გვიჩვენებს მითები, რომლებიც, თუმცა ბუნდოვანი ფორმით, მოგვითხრობს იაზონის ლაშქრობაზე, რომელმაც მიაღწია მიდიამდე, ასევე – კიდევ უფრო ადრინდელ ფრიქსეს ლაშქრობაზე. მომდევნო მეფე-მემკვიდრეები ფლობდნენ ქვეყანას, დაყოფილს „სკეპტუხიებად“, მაგრამ მათი კეთილდღეობა მცირე იყო. როდესაც მითრიდატე ევპატორის ხელისუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, ქვეყანა დაექვემდებარა მის ბატონობას. მეფე მუდმივად გზავნიდა ვინმეს „მეგობრებიდან“, „მოადგილის“ ან „გამგებლის“ ხარისხით. ამ ქვეყნიდან მეფე ღებულობდა უმეტესად დახმარებას თავისი ფლოტის აღსაჭურვად. მითრიდატეს ძლიერების დაცემის შემდეგ მთელი მისი სახელმწიფო დაიშალა და დანაწილდა მრავალ მმართველს შორის. ბოლოს კოლხეთს დაეუფლა პოლემონი, მაგრამ ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ ქვეყანას მართავდა მისი მეუღლე პითოდორიდა, რომელიც იყო კოლხეთის, ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის დედოფალი“. სტრაბონის თანახმად, სკეპტუხიებად დაყოფილი კოლხეთის კეთილდღეობა (უნდა ვიგულისხმოთ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური) სასურველ სიმაღლემდე ვერ აღწევდა. დაქუცმაცებულმა ქვეყანამ გაძლიერებულ პონტოს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ევპატორი თავის ბატონობას კოლხეთში იმდენად შეუვალად გრძნობდა, რომ ამ უკანასკნელის ბედს საკუთარი შეხედულებების შესაბამისად განიკითხავდა. სტრაბონის ინფორმაციას საფუძვლად ოჯახური გადმოცემები უდევს.

მითრიდატე ევპატორის ძლიერების ხანაში კოლხეთის სამი „გამგებლისა“ თუ „მეფის“ სახელია ცნობილი. სტრაბონის ცნობას თუ დავეყრდნობით, მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, რადგან კარგად ინფორმირებული ისტორიკოსი გარკვევით წერს, რომ ევპატორი დაპყრობილი ქვეყნის მმართველად კოლხეთში თავის მეგობრებს ხშირად აგზავნიდა. ამ უკანასკნელთაგან სტრაბონმა მხოლოდ თავისი დედის ბიძის სახელი დაუტოვა ისტორიას. დანარჩენი ორის შესახებ ცნობებს სხვა ავტორები გვაწვდიან. რომთან პირველი ომის (ძვ. წ. 89-84 წლები) მომდევნო ხანებში ევპატორმა, ავჯანყებული კოლხების ინიციატივით, მათ ქვეყანაში მეფედ საკუთარი ძე მითრიდატე დანიშნა. უფლისწულის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მრისხანე მამას შვილის ერთგულებაში ეჭვი შეეპარა, თითქოს კოლხებსა და მითრიდატე მცირეს შორის საიდუმლო შეთანხმება არსებობდა, რომელიც მიზნად ისახავდა პონტოსაგან კოლხეთის ჩამოშორებას. პონტოს მეფემ შვილი გაიწვია, ოქროს ბორკილები დაადო და საპყრობილეში ჩასვა. მოკლე ხანში კი, როგორც მოღალატე, სიკვდილით დასაჯა.

რაც შეეხება მესამე „მეფე-გამგებელს“, ოლთაკეს, იგი მითრიდატე ევპატორის ხელისუფლების უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. მისი დანიშვნა არაორდინალურ სიტუაციაში მოხდა. „მითრიდატული ომების“ ავტორის – აპიანეს ყურადღება ოლთაკემ, როგორც კოლხეთის მეფემ, მიიპყრო და ამიტომ მიუჩინა თვალსაჩინო ადგილი ისტორიაში.

მითრიდატე ევპატორთან ერთად მთელი ელინისტური აღმოსავლეთი დამარცხდა. ეს დიდი გამარჯვება რომაელებმა გრანდიოზული ზეიმით აღნიშნეს, რაც ძლევამოსილ სარდალ გნეუს პომპეუსის ტრიუმფში გამოიხატა. გამარჯვებულთა ცერემონიალი კარგად არის აღწერილი ანტიკურ წყაროებში. პომპეუსის ტრიუმფი ყველაზე ვრცლად აპიანეს „მითრიდატულ ომებშია“ აღწერილი. ისტორიკოსის თანახმად, საზეიმო განწყობას ტრიუმფს აღმოსავლეთის დამარცხებული სამეფოს ოჯახის წევრები მატებდნენ. პომპეუსის ეტლს, ტყვეებისა და მძევლების სახით, წინ მიუყვებოდნენ დიდებულები, მეფეთა შვილები და სარდლები, რომელთა რიცხვი სულ 324 იყო. მათში ტიგრან ტიგრანის ძე, მითრიდატეს ხუთი ვაჟი (არტაფერნე, კიროსი, ოკსატრი, დარიოსი, ქსერქსე) და ორი ასული (ორსაბარისი, ევპატრა) იყვნენ. მოდიოდა კოლხების მეფე ოლთაკე და იუდეის მეფე არისტობულე... იბერთა სამი და ალბანთა ორი წინამძღოლი. აპიანეს ჩამოთვლილი ჰყავს აგრეთვე აზიის ყველა დამარცხებული ხალხის მეფე-მთავრები.

პლუტარქე პომპეუსის ტრიუმფზე მხოლოდ დამორჩილებულ ქვეყნებთან მიმართებით საუბრობს. მისი სიტყვით, საზეიმო პროცესიაზე მოჰქონდათ დაფები, რომლებზედაც დამარცხებული ქვეყნების სია იყო ჩამოწერილი: პონტო, სომხეთი, კაპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხეთი, იბერია, ალბანეთი, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკიისა და პალესტინის ტომები, იუდეა, არაბეთი.

კოლხეთში პომპეუსს მითრიდატეს არმიის ნაშთი აღუდგა წინ ოლთაკეს სახით. რომაელ სარდალს ბრძოლა ევპატორის უკანასკნელ „მეგობართან“ არ გასძნელებია. ოლთაკეს დატყვევებით რომაელებმა მითრიდატეს მომხრეთა განადგურება შეძლეს. ოლთაკე უკანასკნელი მეომარი იყო, რომელიც მითრიდატეს მხარეს იბრძოდა. ამიტომ მიანიჭა გამარჯვებულმა პომპეუსმა მის პიროვნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა და კოლხეთის „გამგებელი“ უმაღლესი რანგის ტყვეთა სიაში ჩარიცხა.

ამრიგად, სომხეთი, ალბანეთი და იბერია რომს დაექვემდებარნენ. სომხეთმა ტიგრან ⅿⅿ-ის დროს შეძენილი მიწების დიდი ნაწილიც დაკარგა და საგრძნობლად დასუსტდა. დასავლეთით მდებარე სახელმწიფოები (პონტო, მცირე არმენია, კოლხეთი) რომაელები კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრდნენ. ეს ქვეყნები პომპეუსმა სამართავად მითრიდატესთან ომში ჩაბმულ მოკავშირეებს ჩააბარა. გალატიის მეფე დეიოტარს, პაფლაგონიის გარდა, დაექვემდებარა ჰალისის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის ერთი ნაწილი, მათ შორის ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის სანაპირო მცირე არმენიასა და კოლხეთამდე. ზოგიერთი ანტიკური მწერლის ცნობით, დეიოტარის ქვეშევრდომობაში შევიდა მცირე არმენიაც (ⅾⅾ ს. ავტორი ევტროპიუსი). საფიქრებელია, რომ დეიოტარს მცირე არმენიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაექვემდებარა, უფრო სამხრეთით მდებარე მიწები (სოფენა, გორდიენა) კი კაბადოკიის მეფე არიობარზანის სამფლობელოებს შეუერთდა. ამ ოლქებს აპიანე „მცირე არმენიის“ შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევს. პომპეუსის ლაშქრობას ამიერკავკასიაში (ძვ. წ. 65 წ.) რომისადმი იბერიის დაქვემდებარება მოჰყვა. მაგრამ სულ მალე იბერია ამ დამოკიდებულებისაგან უნდა განთავისუფლებულიყო. ამისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, ერთი მხრივ, შინაპოლიტიკური ვითარების გართულება რომში, მეორე მხრივ – ურთიერთობის გამწვავება რომსა და პართიას შორის.

არამდგრადი მდგომარეობა იყო რომის მიერ დაპყრობილი ქვეყნების აღმოსავლეთ პერიფერიაზეც, სადაც იბერიაც მდებარეობდა. ძვ. წ. 53 წელს პართელებმა კარასთან ბრძოლაში თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს „პირველი ტრიუმვირატის“ (პომპეუსი, კეისარი, კრასუსი) ერთ-ერთი წევრის, მარკუს ლიცინიუს კრასუსის, მეთაურობით შემოჭრილი რომაელების ლაშქარი. ამ დროს დაიღუპა მეთაურიც. აღნიშნულმა ბრძოლამ ზღვარი დაუდო რომაელთა წინსვლას აღმოსავლეთისაკენ და შექმნა პოლიტიკური წონასწორობის ატმოსფერო რომსა და პართიას შორის, რომელიც თითქმის პართიაში არშაკიდების დინასტიის დაცემამდე (ახ. წ. ⅽⅽⅽ საუკუნის დასაწყისი) გაგრძელდა. ძვ. წ. ⅰ ს-ის მეორე ნახევარში პართია განსაკუთრებით ძლიერი იყო და ძლევამოსილ

რომს ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა და ხშირად ავიწროებდა კიდეც. პართიის ცენტრიც დასავლეთისაკენ ინაცვლებდა. იგი ჯერ ეკბატანაში (ძველი მიდიის მიწა-წყალი) იყო, ახ. წ. ი საუკუნიდან კი მან კტეზიფონში, მდ. ტიგროსის მახლობლად არსებული დიდი ელინისტური ცენტრის – სელევკიის მახლობლად გადაინაცვლა. რომაელთა პოზიციები აღმოსავლეთში, კერძოდ, სომხეთში, მნიშვნელოვნად შეირყა. სომხეთი პართიას ნაკლებ საფრთხედ თვლიდა, ამიტომ იგი პართიის მხარეს აღმოჩნდა კრასუსის შემოსევისას. ძვ. წ. 40-იან წლებში, პართელებისა და სომხების წარმატებული ლაშქრობების შედეგად, მთელი სირია, პალესტინა და მცირე აზია პართელების ხელში აღმოჩნდა. მაგრამ მალე, ძვ. წ. 36 წელს, ერთ-ერთმა ახალმა ტრიუმვირმა მარკუს ანტონიუსმა პართელები დაამარცხა. თუმცა, მისი პართიაზე ლაშქრობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რაშიც იგი სომხებს ადანაშაულებდა.

ამ ამბების დროს, ძვ. წ. 50-30-იან წლებში, იბერია და მისი მეზობელი ალბანეთი სრულად განთავისუფლდნენ რომზე დამოკიდებულებისგან, რომელსაც უფრო მახლობელი სომხეთის დამორჩილების თავიც არ ჰქონდა, მით უმეტეს ხელმიუწვდომელი იყო მისთვის იბერია და ალბანეთი.

იბერიის მმართველებს რომთან დამოუკიდებელი პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ. ამ ფაქტს ადასტურებს იბერიის ურთიერთობა ანტონიუსის ძვ. წ. 36 წლის ლაშქრობასთან, რომლის წინ ანტონიუსმა რომაელთა რაზმი, პუბლიუს კანიდიუს კრასუსის მეთაურობით, იბერიაში გაგზავნა. დიონ კასიუსის ცნობით, კრასუსმა იბერიის მეფე ფარნავაზ ირ დაამარცხა, მოკავშირედ გაიხადა და მასთან ერთად ალბანეთში შეიჭრა. იქ მათ ქვეყნის მეფე ზობერი დაამარცხეს და მასთანაც იგივე მოიმოქმედეს. დიონ კასიუსის თქმით, ანტონიუსი დიდად ამაყობდა იბერებსა და ალბანელებთან კავშირით. ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა, რადგან ანტონიუსს სომეხთა მეფე არ მიეშველა. იბერებსა და ალბანელებზე არაფერია ნათქვამი. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ანტონიუსის ერთგულთა ბანაკში ბოლომდე დარჩნენ.

ძვ. წ. 36 წლის შემდეგ რომაელები იბერიაში დიდხანს აღარ გამოჩენილან. სტრაბონი, რომელიც თავის თხზულებას ავგუსტუსისა და ტიბერიუსის მეფობაში წერდა, ახ. წ. ი საუკუნის პირველ ათეულ წლებში იბერიაში შესასვლელ გზებს აღწერს და დასძენს, რომ ამ გზით შეიჭრა იქ ჯერ პომპეუსი (65 წ.), შემდეგ კი კანიდიუსი (36 წ.). ეტყობა, რომელიმე სხვა ლაშქრობის შესახებ მან არაფერი იცოდა. ამ პერიოდში იბერიაც, ალბანეთის მსგავსად, რომისაგან დამოუკიდებელი იქნებოდა.

სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი რომსა და იბერიას შორის ნებაყოფლობით კავშირსა და ინტერესთა თანხვედრაზე დამყარებულ ურთიერთობას, რომელიც ასე რელიეფურად გამოჩნდა ცოტა უფრო გვიან, ახ. წ. ი-ირ საუკუნეებში. რომს, რომელსაც ძალა არ შესწევდა იარაღის ძალით ჰყოლოდა დამორჩილებული ეს შორეული ქვეყანა, ხელს აძლევდა, მისი სახით ჰყოლოდა ერთგული მოკავშირე პართიასთან დაწყებულ ბრძოლაში სომხეთის კონტროლისათვის. ამ ბრძოლაში იბერიას არსებითი როლის შესრულება იმითაც შეეძლო, რომ მის ხელში იყო კავკასიონის გადმოსასვლელები, ასევე პართიასთან ბრძოლაში ჩრდილოელ მომთაბარეთა გამოყენების შესაძლებლობა. მეორე მხრივ, რომთან კავშირი იბერიის წინაშე დიდ პერსპექტივებს ქმნიდა საკუთარი საზღვრების გასაფართოებლად, კერძოდ, წინა პერიოდში, სომხეთის სასარგებლოდ, დაკარგული მიწა-წყლის დასაბრუნებლად. სომხეთის ზედა ფენებში პართიის სასარგებლო განწყობილებათა ბატონობის პირობებში (რომის სასარგებლო განწყობილება თავს იჩენდა მხოლოდ სომხეთის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში), პართიასთან კავშირი სარგებელს ვერ მოუტანდა იბერიას, რომელსაც აღნიშნული სახელმწიფო და პროპართიულად განწყობილი სომხეთი უფრო მეტ საფრთხედ მიაჩნდა, ვიდრე რომი.

ასეთი სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარების თვალსაზრისით, საყურადღებოა რომის იმპერატორ ავგუსტუსის ცნობა, რომელშიც იგი თავისი მმართველობის ბოლოს აჯამებს საკუთარ მოღვაწეობას. მათ შორის, ვინც მასთან მეგობრობას ეძიებდა, იგი ასახელებს ალბანელების, იბერიელებისა და მიდიელების მეფეებსაც. საინტერესოა, რომ ალბანელებისა და იბერიელების მეფეები აქ იხსენიებიან სწორედ „მიდიელთა მეფის“ გვერდით.

## §5. მეფეები – ფარსმან ი და ფარსმან ირ ქველი

**პოლიტიკური ვითარება.** ახ. წ. ი საუკუნეში რომაელებმა იბერიის (ქართლის) სამეფოზე, დასავლეთ საქართველოს მსგავსად, ვერ შეძლეს ზეგავლენა. ეს მხარე მათი მოქმედების არეალიდან შორს მყოფი და ადგილმდებარეობის გამო ძნელად დასამორჩილებელი იყო. რომის იმპერია, სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე, იძულებული გახდა ქართლის სამეფოსთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. ეს განაპირობა იმან, რომ ქართლი ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელ გზებს აკონტროლებდა, რითაც დაიცავდა რომის სამფლობელოებს ჩრდილოეთის მომთაბარე ტომთა შემოსევებისაგან.

ამ დროს რომსა და პართიის სამეფოს (ჩრდილოეთ ირანის ტერიტორია კასპიის ზღვამდე) შორის ურთიერთობა სომხეთის გამო გამწვავდა. ამ დაპირისპირებაში ქართლის მოკავშირეობა რომისთვის უაღრესად სასარგებლო იყო. რომს ქართლის გამოყენება სურდა სომხეთთან ბრძოლაში, ხოლო ქართლი ამ გზით სომხეთის დაუფლებას ცდილობდა.

**ბრძოლისწინა მდგომარეობა.** ახ. წ. 35 წელს რომის იმპერატორმა ტიბერიუსმა იბერიის მეფე მითრიდატეს თხოვნით მიმართა, რათა სომხეთი გაეთავისუფლებინა, სამაგიეროდ, სომხეთის ტახტს მის უმცროს ვაჟს შეჰპირდა, ასევე მითრიდატეს. ქართულ ჯარს მეფის უფროსი ვაჟი ფარსმანი სარდლობდა. ქართველებმა პართელებს უეცარი თავდასხმით შეუტიეს და სომხეთის დედაქალაქი არტაშატი დაიკავეს. ამან პართიის შაჰ არტაბან ირი-ის აღშფოთება გამოიწვია. მან სომხეთის ხელმეორედ დასაპყრობად დიდი ჯარი გაგზავნა თავისი ძის — ოროდის სარდლობით. ქართველებმა მოწინააღმდეგის პირველი იერიშები მოიგერიეს.

დაიწყო გენერალური ბრძოლისათვის მზადება. ორივე მხარემ სცადა ჩრდილო კავკასიელი ტომების დაქირავება. საბოლოოდ, ქართველებმა დაასწრეს. გადამწყვეტი მოქმედებების დაწყების წინ პართელთა ძალების ბლოკადა კარგად იყო ორგანიზებული. მათ სადარაჯო რაზმებს იბერები დღისით და ღამით ესხმოდნენ თავს და ჯარის მომარაგებაში ხელს უშლიდნენ.

ბრძოლის წინ უფლისწულმა ფარსმანმა მეომრებს სიტყვით მიმართა: „რაც უფრო დიდი იქნება ჩვენი მონდომება, მით უფრო მეტი იქნება დიდება გამარჯვების შემთხვევაში. თუკი ზურგს შევაქცევთ მტერს, თავს შევირცხვენთ საუკუნოდ და კიდევ უფრო გაიზრდება საფრთხე, რომლის წინაშეც ვდგავართ. შეხედეთ ჩვენს მრისხანე რიგებს და მერე ოქრომკერდით მორთულ პართელთა ურდოებს: აქ ვაჟკაცები არიან, იქ — ნადავლი“.

**ბრძოლის მსვლელობა.** დაიწყო მძაფრი ბრძოლა. მოწინააღმდეგის ცხენიდან ჩამოგდებულ და დაჭრილ მხედრებს ქვეითები ხოცავდნენ, ქართველი ცხენოსნები კი ამაზე დროს არ კარგავდნენ და სწრაფად განაგრძობდნენ შეტევას. ფარსმანმა ბრძოლაში გამოიწვია მოწინააღმდეგის სარდალი ოროდი და დაჭრა იგი. პართელებს ეგონათ, უფლისწული მოკლესო და მათ საბრძოლო წყობაში დაიწყო პანიკა. ქართველებმა ამით ისარგებლეს, დაამარცხეს მტრის ქვეითები და მათი სახელგანთქმული ცხენოსნები.

ქართველთა ამ გამარჯვების გამო პართიას მოუწია კავკასიაში ჰეგემონობაზე დროებით ხელის აღება. მათ უკვე სომხეთშიც ვეღარ გაატარეს აქტიური დაპყრობითი პოლიტიკა. იქ გამეფდა უფლისწული მითრიდატე.

მამის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტზე ასულმა ფარსმანმა მთელი სომხეთის შემოერთება და ქართლის გაფართოება განიზრახა.ემან სომხეთის ტახტიდან ძმის ჩამოგდება და შვილ რადამისტის გამეფება ჩაიფიქრა. ფარსმანის ვაჟი იყო „ტანით მაღალი, ძალიან ძლიერი, ყოველგვარ ვარჯიშობაში დახელოვნებული და სახელგანთქმული ყველა მეზობელ ერს შორის“, როგორც გადმოგვცემს ისტორიკოსი ტაციტუსი.ემაგრამ ფარსმანს არ სურდა, რომ ამ ფაქტს რომის წინააღმდეგ ღიად დაპირისპირების სახე მისცემოდა.

ფარსმანმა მზაკვრული გეგმა შეიმუშავა მიზნის მისაღწევად: მამისაგან ვითომ დევნილი ფარსმანის ვაჟი, უფლისწული რადამისტი, მითრიდატესთან მივიდა და თავშესაფარი სთხოვა. ბიძამ იგი შეიფარა. რადამისტი სომხეთში დარჩა და დიდებულების ნაწილიც ჩუმად თავის მხარეზე გადაიბირა. ამის შემდეგ უფლისწული ქართლში დაბრუნდა. ტაციტუსის გადმოცემით, რადამისტმა მამას ასეთი სიტყვებით მიმართა: „რაც მზაკვრობით უნდა გაკეთებულიყო, შესრულებულია.ა დანარჩენი ახლა იარაღის ძალით უნდა აღსრულდეს“.

ახ. წ. 52 წელს სომხეთში ჯარით შესულმა რადამისტმა ბიძა დაამარცხა და ტახტს დაეუფლა. დამარცხებულმა მითრიდატემ რომაელთა გარნიზონს შეაფარა თავი ოჯახით. რადამისტმა გარნიზონის უფროსი მოისყიდა, რომელმაც დევნილები მტერს გადასცა. რადამისტმა მითრიდატე და მისი ცოლ-შვილი სიკვდილით დასაჯა.ჟამ ფაქტის გამართლების მიზნით, ფარსმან ირ-მა ძმას რომის ღალატი, პოლიტიკური კურსის შეცვლა და პართიული ორიენტაციისაკენ გადახრა დასწამა.

რადამისტი სასტიკი და ეჭვიანი მმართველი გამოდგა. მან სომხეთში 3 წელი იმეფა. მას სომეხი დიდებულები აუჯანყდნენ რეპრესიების გამო. რადამისტი ფეხმძიმე მეულლესთან — ზენობიასთან ერთად ქართლში გამოიქცა.ე მდევარი მოსაკლავად მას ფეხდაფეხ მოსდევდა. როდესაც დაინახა, მტერი ეწეოდა, ზენობიამ მეუღლეს სთხოვა, მოეკლა იგი, თვითონ კი თავისათვის ეშველა. რადამისტმა მას მახვილი ჩაარტყა, არაქსში გადააგდო, თვითონ მდინარე გადალახა და ქართლს შეაფარა თავი. დაჭრილი ზენობია მდინარემ გამორიყა, იგი მწყემსებმა იპოვეს, შეიფარეს და გადაარჩინეს.

ეს ამბავი ტაციტუსის „ანალებში“ აისახა და საფუძვლად დაედო ფრანგი დრამატურგის, პროსპერ ჟოლიო დე კრებილიონის (1674-1762 წლები) ტრაგედიას „რადამისტი და ზენობია“, რომელიც პირველად 1717 წელს დაიდგა. ევს სიუჟეტი გამოიყენა გერმანელმა კომპოზიტორმა გეორგ ფრიდრიხ ჰენდელმა (1685-1759 წლები) ოპერა „რადამისტოსათვის“ (დაიდგა 1720 წლის 12 აპრილს ჰეიმარკეტში და უდიდესი წარმატება ჰქონდა).

ქართველი უფლისწულის ტრაგიკული ცხოვრების ეპიზოდი სახვით ხელოვნებაშიც აისახა: ნ. პუსენმა, ლ. საბატელიმ და ვ. ბუგრომ შესანიშნავი ტილოები შექმნეს ამ სიუჟეტზე. ცნობილ რუს მწერალს, ა. გრიბოედოვს, დაუმთავრებელი დარჩა პიესა „რადამისტი და ზენობია“, ხოლო 1916 წელს აღმოჩენილ კომეტას ზენობიას სახელი უწოდეს.

ზენობია ქმარს აღარ შეხვედრია. მცხეთაში მისული რადამისტი ფარსმან ირ-მა მალევე მოაკვლევინა, რომის წინაშე თავი რომ გაემართლებინა — თითქოს რადამისტი მამის დაუკითხავად

მოქმედებდა. რეალურად, ფარსმან ი-ის ამ ავანტიურით რომმა სომხეთზე კონტროლი დროებით დაკარგა და იქ პართელთა გავლენა გაიზარდა.

ახ. წ. 63 წელს რომსა და პართიას შორის ზავი დაიდო, რომლითაც სომხეთში არშაკიდების უმცროსი შტოს წარმომადგენლები გამეფდნენ, სამეფო კი რომის ვასალი გახდა.

**შედეგი.** ამ პერიოდში ქართლის სამეფო კიდევ უფრო გაძლიერდა. იგი რომის იმპერიის აღმოსავლეთის კარიბჭე და მისი სტრატეგიული მოკავშირე გახდა. ჩრდილო კავკასიელებსა და პართელებთან წარმატებული ბრძოლებით ფარსმან ი სამხრეთ კავკასიაში საქართველოს დომინირებას უზრუნველყოფდა, დახმარებას უწევდა რომაელებს, რისთვისაც მას საბატონოდ სომხეთის რამდენიმე ოლქი გადასცეს. რომის იმპერატორ ვესპასიანეს ბრძანებით, ახ. წ. 75 წელს, ფარსმან ი-ის ძის, იბერიელთა მეფე მირდატის პატივსაცემად აღდგა და გამაგრდა ქართლის დედაქალაქ მცხეთის გარე გალავანი და ჩატარდა თავდაცვითი საინჟინრო სამუშაოები.

**ფარსმან იი.** განსხვავებული სურათი იყო დასავლეთ საქართველოში. ერთხანს მისი პოლიტიკური სტატუსი რომის ვასალ პონტოს სამეფოსთან იყო დაკავშირებული,ემაგრამ ახ. წ. 63 წელს რომმა პონტოს სამეფო გააუქმა და კოლხეთიც რომის პროვინციად, გალათეად აქცია. ამ პერიოდიდან დაწყებული კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში რომაული გარნიზონები ჩადგნენ.

რაც შეეხება სომხეთს, 114-116 წლებში იმპერატორ ტრაიანეს სარდლობით პართიის წინააღმდეგ ჩატარებული წარმატებული ლაშქრობების შედეგად, რომაელებმა მთლიანად დაიკავეს ანატოლია, სომხეთის ზეგანი და მესოპოტამია. სომხეთი რომის პროვინცია გახდა.

იბერია განსაკუთრებით გაძლიერდა. იი საუკუნის 20-60-იან წლებში, ფარსმან იი ქველის მეფობის დროს, მისი ტერიტორია გაიზარდა. იბერიამ გააფართოვა საზღვრები შავი ზღვის სანაპიროზე. იმ დროს მის სამფლობელოში მდ. ჭოროხის ქვემო ხეობის ტერიტორიაც იყო. რომი იძულებული გახდა ეცნო ეს ფაქტი, რადგან მისი მთავარი მიზანი იყო, რომ იბერია საიმედო სამხედრო მოკავშირედ ჰყოლოდა.

იმპერატორი ტრაიანე, რომელმაც განაახლა ხელშეკრულებები კოლხებსა და იბერიელებთან, მეგობრობდა ქართლის მეფესთან. გაფართოვდა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის სფერო. ტრაიანეს პოლიტიკა განაგრძო იმპერატორმა ადრიანემ, თუმცა ფარსმან იი-ს თავი დამოუკიდებლად ეჭირა. აღნიშნული იმითაც მტკიცდება, რომ ადრიანეს (117-138 წლები) მოთხოვნაზე – გამოცხადებულიყო მასთან – ფარსმანმა უარი განაცხადა. რომაელებს ისევ საჩუქრებით უცდიათ ქართლის მეფის კეთილგანწყობის მოპოვება.[2] ფარსმან იი-ს საჩუქრად სამხედრო რაზმი და სპილო გაუგზავნეს. ქართლის მეფე მაინც არ გამოცხადდა იმპერატორთან და საპასუხო საჩუქრები – ძვირფასი ოქროსფერი მოსასხამები – გაუგზავნა. ამით განაწყენებულმა ადრიანემ, ფარსმანის საჩუქრების აბუჩად ასაგდებად, მოსასხამებით გლადიატორების შემოსვისა და არენაზე გაშვების ბრძანება გასცა. შეურაცხყოფილმა ფარსმან ქველმა საპასუხოდ დარიალის კარი გახსნა, ალან-ოსები გადმოიყვანა და აღმოსავლეთ პროვინციებს შეუსია. ზემოაღნიშნული იი საუკუნეში ქართლის სამეფოს ძლიერებაზე მიუთითებს.

რომისა და ქართლის ასეთი დაძაბული ურთიერთობა შედარებით მოწესრიგდა ადრიანეს გარდაცვალების შემდეგ.აახალმა იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა (138-161), დიდი პატივისცემის ნიშნად, ფარსმან იი ქველი რომში მიიწვია და მისი ამალა დიდი პატივით მიიღო. იმპერატორმა ცნო ქართლის სამეფოს მიერ შავიზღვისპირა ტერიტორიების შეერთება. დიონ კასიუსის მიხედვით, ფარსმანის რომში ჩასვლის შემდეგ იმპერატორ ანტონინუსს „გაუფართოვებია მისი სამფლობელოები“, ესე იგი უცვნია იბერიის შორს გაწეული საზღვრები.

მარსის ველზე გამართულ სანახაობაზე ქართლის მეფემ და მისი ამალის წევრებმა იარაღის უნაკლო ფლობითა და საბრძოლო ოსტატობით გააოცეს ბევრისმნახველი რომაელები. იმპერატორის ბრძანებით, ფარსმან იი-ს ნება დაერთო კაპიტოლიუმში შეეწირა მსხვერპლი, რაც უცხოელთათვის უდიდეს პატივად ითვლებოდა.ემარსის ველზე დაიდგა ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება, რაც არც მანამ და არც შემდეგ არ ღირსებია არც ერთ არარომაელს.აამიერიდან ფარსმან იი იწოდებოდა „კეისრისა და რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ“. იგი არმაზის ორენოვან წარწერაშიც მოიხსენიება.

ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ასე ახასიათებს ფარსმან იი-ს: „ხოლო ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხვად მომნიჭებელი, შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებული, ბრძოლისა უშიშარი, ვითარცა უხორცო“. ლეონტი მროველისავე ცნობით იბერიაში დაბრუნებული ფარსმან იი ქველი პართელებმა მოწამლეს.

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ი-იი სს-ში ქართველები სამხედრო ხელოვნებაში (საბრძოლო მოქმედებების მომზადებისა და ჩატარების თეორია და პრაქტიკა) აშკარად მოწინავე პოზიციებზე იდგნენ. ქართულ საბრძოლო ხელოვნებაში შერწყმული იყო ბერძნულ-რომაული

[2]რომის პოლიტიკა ქართლთან მიმართებით მეტად ფრთხილი გახდა. სტრატეგიულ პარტნიორობაზე მისი დაყოლიება ეფექტური იყო, რაც რომს მომავალი მიზნების განხორციელებაში ეხმარებოდა.

სამხედრო სკოლის გამოცდილებაც, რაც ხშირად უზრუნველყოფდა მცირე ძალებით მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეზე გამარჯვებას.

განსხვავებული ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც რომაელებმა თავიდანვე საკუთარი მმართველობა დააწესეს. მოსახლეობა ვერ ეგუებოდა მათ ბატონობას. 69 წელს კოლხეთში დიდი აჯანყება დაიწყო, რომელსაც ყოფილი მონა – ანიკეტი ხელმძღვანელობდა, მან ტრაპიზონის აღებაც კი მოახერხა, მაგრამ რომი სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. დამარცხებულმა ანიკეტმა თავი მდინარე ხობისწყლის ხეობას შეაფარა.

ი-ი საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში უკვე რამდენიმე დამოუკიდებელი სამთავრო გაჩნდა: ლაზების, აფშილების, აბაზგებისას და სანიგების, რომლებსაც ადგილობრივი მთავრები მართავდნენ. თუმცა, შავიზღვისპირა საპორტო ქალაქებში რომაელებს რამდენიმე კოჰორტა ჰყავდათ ჩაყენებული.

226 წელს რომთან ომებით დასუსტებულმა პართიის სამეფომ არსებობა შეწყვიტა. მის ადგილას აგრესიული სახელმწიფო – სასანიდური ირანი გაჩნდა, რომელიც პართიაზე მეტად ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.მისი ოფიციალური რელიგია ზოროასტრიზმი ანუ მაზდეანობა (ცეცხლთაყვანისმცემლობა) იყო.

მიუხედავად სასანიდური ირანის გაძლიერებისა, ანტიკური ხანის ქართლის მეფეთა საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია დასავლური იყო, რაც თითქმის სამი საუკუნე გრძელდებოდა. ჩვენი მეფეები ტერიტორიულად შორეულ რომთან ნომინალური დამოკიდებულების შენარჩუნებას ამჯობინებდნენ მზარდი და აგრესიული სასანიდური ირანის უღელქვეშ ყოფნას.ამ შემთხვევაში გადამწყვეტი რელიგიური ფაქტორი იყო.უკვე ი საუკუნიდან ქართლსა და კოლხეთში, ქრისტეს მოციქულების (ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მატათა) ქადაგებით, ქრისტიანობა გავრცელდა, რომელიც ი საუკუნის დასაწყისში ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მანამდე, 313 წელს, მილანის ედიქტით, რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა იმპერიაში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. იმპერიისა და ქართული პოლიტიკური ერთეულების დამაკავშირებელი საფუძველი ქრისტიანობა გახდა.

## §6. ანტიკური ეპოქის ავტორთა ცნობები ქართველთა საბრძოლო ხელოვნების შესახებ

უძველეს ისტორიულ წყაროებში მრავალი საინტერესო ცნობაა ჩვენი ერის საბრძოლო ხელოვნების შესახებ.

ქრისტემდე მე-6 საუკუნეში მცხოვრები ეზეკიელ წინასწარმეტყველი ძველ აღთქმაში ასე აღწერს მუშქთა და თუბალთ: „დიდებულად შემოსილი უშქარი კრებული, თოროსანნი და ფარისმპყრობელნი, მახვილიანნი... ყველანი ცხენზე ამხედრებულნი“.

ამ პერიოდში კოლხები ქმნიან ძლიერ სამეფოს, რომელიც ურარტულ ლურსმულ წარწერებში კულხა/კოლხას სახელით იხსენიება. სტრაბონი შემდეგ ცნობას გვაწვდის კოლხეთის შესახებ: „თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, მოწმობს მითები იაზონის ლაშქრობაზე, ხოლო მასზე ადრე ფრიქსეს [ლაშქრობაზე]... ამ ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლითა და რკინით იყო ნამდვილი მიზეზი ამ ლაშქრობებისა“.

კოლხთა მეფე აიეტი მოხსენიებული ჰყავს ჰესიოდეს (ქრისტემდე ი-ი ს.), ხოლო არგონავტების მითის უძველესი ვარიანტი მოყვანილია ევმელოს როდოსელის „კორინთიკაში“ (ქრისტემდე ი-ი ს.). ევმელოსის აზრით, კოლხთა მეფე აიეტი კორინთოდან იყო წარმოშობით. მითის თანახმად, მას მემკვიდრეობით ერგო კორინთო, მაგრამ კოლხეთი ირჩია. ამ მოსაზრებაში იკითხება წინარექართული ტომთა ხმელთაშუა ზღვიდან აღმოსავლეთით მიგრაციის ცოდნა.

ჰეროდოტეს (480-426 წწ. ქრისტემდე) ცნობით, „ხალიბებს თავზე ეხურათ სპილენძის მუზარადები, სპილენძისაგან ნაკეთები ხარის ყურებითა და რქებით... მარებს თავებზე ჰქონდათ ადგილობრივი მოწნული მუზარადი, ტყავის პატარა ფარები და ხელშუბები, ხოლო კოლხებს გამოუქნელი მუზარადები, ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები, ამას გარდა, ჰქონდათ დანები... მოსხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, ფარები და შუბები – პატარა, შუბის წვერები კი გრძელი. ლაშქრობდნენ რენები, მაკრონები და მოსინიკები, რომლებიც მოსხებივით იყვნენ შეჭურვილი“.

ქსენოფონტე (431-354 წწ. ქრისტემდე) ხალიბთა შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „ეს იყო უმამაცესი ხალხი მათ შორის, ვისთანაც კი საქმე ჰქონდათ ელინებს თავიანთი ლაშქრობის დროს. ეს ყველაზე უკეთ მათ იგრძნეს, ვინც მათთან ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობდა. ხალიბებს ჰქონდათ სელის ჯავშანი. მისი ქვედა ნაწილი შედგებოდა სქლად ნაქსოვი ზონრებისაგან. მათ ჰქონდათ აგრეთვე ანქერი და მუზარადი, ქამრებზე კი ეკიდათ ხმლები, დაახლოებით სპარტული მახვილების ზომისა. ამ ხმლებით ხალიბები ხოცავდნენ ყველას, ვისაც კი მოიხელთებდნენ. ისინი თავსაც კვეთდნენ მათ და მიჰქონდათ წინ ცეკვითა და სიმღერით, მტრის დასანახავად. ხალიბთა შუბების სიგრძე 15 ბერძნულ არშინს აღწევდა და ერთ მხარეს გამახვილებული რკინა ჰქონდა. ისინი თავიანთ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ხოლო როდესაც ელინები მახლობლად გაივლიდნენ, დაედევნებოდნენ და ებრძოდნენ“...

„ტაოხების ქვეყანაში ელინთა ჯარის შესვლის დროს მთელი ხალხი დადგა ფეხზე. ქალები მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ. ტაოხები თავისუფლების დაკარგვას სიკვდილს ამჯობინებდნენ და მტერს ტყვედ არ ნებდებოდნენ“...

„ბარბაროსები მრავალ სიძნელეს უქმნიდნენ (ელინებს) მაშინაც კი, როცა მწვერვალს მიაღწევდნენ და ისევ ძირს ეშვებოდნენ. ისინი იმდენად მარდები იყვნენ, რომ რაც უნდა ახლოს მისულიყვნენ (ელინებთან), მაინც ახერხებდნენ გაქცევას. მათ არ ჰქონდათ სხვა იარაღი, მშვილდ-ისრის გარდა. ისინი ბრწყინვალე მშვილდოსნები იყვნენ. მათ ჰქონდათ სამწყრთიანი მშვილდები, რომელთა ისრები 2 წყრთას არ აღემატებოდა. სროლის დროს ისინი (მშვილდის) ბოლოს აჭერდნენ მარცხენა ფეხს და ისე მოზიდავდნენ ხოლმე ლარს. მათი ისრები ფარებსა და ჯავშანში ატანდა. როცა ელინები ხელთ იგდებდნენ ხოლმე ამ ისრებს, უკეთებდნენ საბრძოლო ღვედებს და, როგორც სატყორცნ შუბებს, ისე ხმარობდნენ“...

„აქედან ელინებმა ტაოხების ქვეყანაში ხუთ გადასავლად 30 ფარსანგი იარეს. იქ მათ შემოაკლდათ სანოვაგე, რადგან ტაოხები ცხოვრობდნენ მიუვალ სიმაგრეებში და მთელი თავიანთი სურსათიც იქ ჰქონდათ ატანილი. ელინები მივიდნენ ერთ გამაგრებულ ადგილთან, რომელიც არ იყო ქალაქი და არც შენობები მოიპოვებოდა. იქ თავი მოეყარათ მამაკაცებსა და ქალებს მრავალ პირუტყვთან ერთად. ხეიროსოფოსი მისვლისთანავე თავს დაესხა მათ. იერიშის დროს, როცა პირველი რაზმი იღლებოდა, მას ენაცვლებოდა მეორე, შემდეგ კი სხვა, რადგან გარშემო ციცაბო ადგილი იყო და ერთობლივი გარემოცვა არ ხერხდებოდა. იქ ელინები საზარელი სანახაობის მოწმენი გახდნენ: ქალები ბავშვებს უფსკრულში ისროდნენ და თვითონაც თან მიჰყვებოდნენ. ასევე იქცეოდნენ მამაკაცებიც“.

აი კიდევ ქსენოფონტესეული მონაცემები ქართველურ ტომთა თავგანწირვის შესახებ: „ამ დროს ლოხაგოსმა ენეოს სტიმფალიოსელმა დაინახა ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი, უფსკრულში გადასავარდნად რომ მიისწრაფოდა. ის ეცა შესაჩერებლად, მაგრამ მან თან წარიტაცა იგი. ერთიცაა და მეორეც გადაეშვნენ და დაიღუპნენ. აქედან ხალხი ცოტა წაიყვანეს“.

იგივე ავტორი მოგვითხრობს უძველეს ქართველთა საბრძოლო ადათებზე: „...ლაკონური ხმლის მსგავსი სატევრით კლავდნენ მას, ვის ძლევასაც შეძლებდნენ, სჭრიდნენ თავს და თან მიჰქონდათ. ამასთან, ხალიბები მაშინ მღეროდნენ და როკავდნენ, როდესაც მტერი უყურებდათ. მათ ეკავათ წყრთის სიგრძის შუბები, რომლებსაც მხოლოდ თითო შუბისპირი ჰქონდა. ისინი რჩებოდნენ პოლისებში და როდესაც ელინები ჩაუვლიდნენ, მუდამ ბრძოლით მისდევდნენ. ხალიბები ცხოვრობდნენ სიმაგრეებში და სურსათიც იქ ჰქონდათ ატანილი. ამის გამო ელინებმა ვერაფერი წაიღეს და იკვებებოდნენ ისევ იმ პირუტყვით, რომელიც ტაოხებს წაართვეს“.

დრილები, ქსენოფონტეს ცნობით, „ცხოვრობენ ძნელად მისადგომ მთებში. ისინი პონტოს ყველაზე უფრო მეომარი ხალხია“. კარდუხები „საუცხოო მშვილდოსნები იყვნენ. მათი მშვილდები სიგრძით თითქმის სამ არშინს აღწევდა, ხოლო ისრები ორ არშინზე მეტი იყო. სროლის დროს, საბლის მოჭიმვისას, მარცხენა ფეხს მშვილდის ქვედა ბოლოს ადგამდნენ. მათი ისრები ფარსა და ჯავშანს ხვრეტდა“.

„ანაბაზისშივე“ ვხვდებით ცნობებს, რომლიდანაც გამოსჭვივის უძველესი ქართველური ტომების საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვის ხელოვნება, თანამედროვედ – ოპერატიული აზროვნება და აგრეთვე ნაოსნობის განვითარების დონე: „ტრაპეზუნტელებმა იქ არ წაიყვანეს ელინები, სადაც ადვილი იყო სურსათის შოვნა, რადგან ისინი, ვისაც სურსათი ჰქონდათ, მათი მეგობრები იყვნენ; მაგრამ სიამოვნებით წაიყვანეს მათ შემავიწროველ დრილებთან – მთიან და მიუვალ ადგილებში პონტოსპირელთაგან ყველაზე მეომარ ხალხთან (საუბარია მოსინიკებზე). მათ (მოსინიკებმა) უპასუხეს [ქსენოფონტეს]: ჩვენ შეგვიძლია საწინააღმდეგო მხრიდან შევიჭრათ თქვენთვისაც და ჩვენთვისაც მტრულ ქვეყანაში, აქ კი გამოგიგზავნოთ ნავები და ხალხი, რომელნიც თქვენთან ერთად იბრძოლებენ და გზას მიგითითებენ“. ამის შემდეგ მათ მისცეს ერთმანეთს ერთგულების ფიცი და პირიქითელი მოსინიკები წავიდნენ. მეორე დღეს ისინი მოვიდნენ მთლიანი ხისგან გამოთლილი სამასი ნავით. თითოეულში სამ-სამი კაცი იჯდა. ორი მათგანი გადმოდიოდა ნაპირზე და იარაღს ისხამდა – საბრძოლოდ ემზადებოდა, ერთი კი ნავში რჩებოდა და უკან ბრუნდებოდა.

როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს იმდროინდელ სადესანტო ოპერაციასთან. ჩანს, ამგვარ საომარ ხერხს მოსინიკები ხშირად მიმართავდნენ, რადგან აღწერილობაში ჩანს, რომ მოქმედებების პროცედურები მეტად ორგანიზებული და დახვეწილი იყო.

„ისინი დანაწილდნენ დაახლოებით მხეცურად, მსგავსად გუნდებისა, სწორ მწყობრად, ერთიმეორის პირდაპირ. ყოველ მეომარს ხელში ეკავა სუროს ფოთლის მსგავსი ფარი, ხარის თეთრბეწვიანი ტყავით დაფარული, ხოლო მარჯვენა ხელში – წყრთიანი შუბი, თავში წვეტით, ბოლოში სფეროთი. მათ ეცვათ ტილოს სიმკვრივის მოკლე ქიტონები, რომლებიც მუხლებს ვერ სწვდებოდა; თავზე ეხურათ პაფლაგონიურის მსგავსი ტყავის მუზარადები, შუაში ჯიღით, რომელიც ემსგავსებოდა ტიარას. მათ აგრეთვე ჰქონდათ რკინის ორლესული ცულები. როდესაც დაიარაზმნენ, ერთ-ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, დანარჩენებმა მას ფეხი აუწყვეს და გაემართნენ. მათ ელინების რაზმებსა და ბანაკს შუა გაიარეს და მაშინვე გაეშურნენ მტრის იმ სიმაგრისაკენ, რომელიც ყველაზე სუსტი ეგონათ. ის მდებარეობდა იმ ქალაქის წინ, რომელსაც მეტროპოლისი

ეწოდებოდა და მოსინიკების ქვეყანაში ყველაზე მაღალი ადგილი ეკავა. მტრობა ამ ქალაქის გამო იყო ჩამოვარდნილი, რადგან მისი მფლობელი მთელი მოსინიკების ხელისუფლად მიიჩნეოდა. ამბობდნენ, რომ ამ ქალაქის მპყრობელებს იგი კანონიერად კი არ ეკუთვნოდათ, არამედ თავიანთი უპირატესობა მათ საერთო სამფლობელოს დაპყობით მოიპოვეს.

პირიქითელ მოსინიკებს თან გაჰყვა ზოგიერთი ელინთაგანი, ოღონდ არა სტრატეგოსის ბრძანების შესაბამისად, არამედ ძარცვის მიზნით. ვიდრე პირიქითელი მოსინიკები ელინებს წინ მიუძღვოდნენ, მტერი არ იძროდა, მაგრამ როდესაც სიმაგრესთან ახლოს მივიდნენ, მტერი გამოუხტათ. მან უკუაქცია, დახოცა მოიერიშე ელინები და მრავალი ბარბაროსი; სდია მათ მანამ, სანამ არ შეამჩნია საშველად მოსული ელინები. მხოლოდ მაშინღა შეტრიალდნენ და წავიდნენ; გზადაგზა ისინი თავებს სჭრიდნენ დახოცილებს და უჩვენებდნენ ელინებსა და თავის მტრებს, თან რაღაც ჰანგზე როკავდნენ და მღეროდნენ“.

ევსტათის კომენტარებში დიონისე პერიეგეტის შესახებ ვხვდებით შემდეგ ცნობას: „დიონისე ლაპარაკობს, რომ იქ ცხოვრობენ კადუსიანები, რომელთა ქვეყანა მთაგორიანია. ისინი მარდად დაძვრებიან მთებზე, სტრაბონის თქმით, საუცხოოდ ტყორცნიან შუბს და ცხენოსანთა წინააღმდეგ კლდოვან ადგილებში წარმატებით იბრძვიან ქვეითად“.

ტიბარენები თამაშობათა მოყვარულნი ყოფილან. ეფორნის მე-5 წიგნში ნათქვამია, რომ ტიბარენები ხალისით თამაშობენ, მხიარულობენ და დროის ამგვარი ტარება დიდ ბედნიერებად მიაჩნიათ. აპოლონ როდოსელი აღნიშნავს, რომ ტიბარენები ყველაზე უფრო სამართლიანნი არიან. ისინი არასოდეს ჩაებმებიან ბრძოლაში, სანამ არ დაადგენენ მის ადგილს, დღესა და დროს.

ვნახოთ, კიდევ რას გვამცნობს აპოლონ როდოსელი ქართველთა თაობაზე: „...ხოლო კოლხებმა დაუყოვნებლივ გამართეს ყველა საბრძოლო გემი, იმავე დღეს სწრაფად აღჭურვეს და ზღვაში ჩაუშვეს სანაპიროზე გამწკრივებული ურიცხვი ხომალდი. კაცი იტყოდა: გემთა კრებული კი არაა გასული გაშლილ ზღვაში, არამედ ფრთაგაშლილ ფრთოსანთა გუნდი გაფრენილაო ჟივილ-ხივილით“.

სტრაბონი გვიამბობს: „სოანები... თავიანთი სიმამაცითა და სამხედრო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხზე უფრო სახელოვანნი არიან. ისინი ცხოვრობენ კავკასიის მაღლობებზე, დიოსკურიის ზემოთ და მართავენ თავის გარშემო მოსახლე ყველა ხალხს“.

ფლავიუს არიანე სანთა (ჭანთა) შესახებ წერს: „ხალხები, რომელთა ქვეყნები ჩვენ გავიარეთ, შემდეგია: ტრაპეზონდელების მოსაზღვრე – კოლხები, როგორც ამბობს ქსენოფონტე; მეორე ხალხს, მეტად მეომარსა და ტრაპეზონდელთა მიმართ მტრულად განწყობილს, ქსენოფონტე დრილებს უწოდებს. მე კი მგონია, რომ ეს სანებია, რადგან ისინი დღემდის ძლიერ მეომარნი და ტრაპეზონდელებისადმი მეტად მტრულად განწყობილნი არიან. ეს ხალხი მიუდგომელ ადგილებში სახლობს და მათ მეფეები არა ჰყავთ“.

ასევე არიანე მოგვითხრობს კოლხური ფორტიფიკაციული ნაგებობებისა და თავდაცვითი პოზიციების მოწყობის შესახებ: „თვით ციხე-სიმაგრე (საუბარია ფაზისის, თანამედროვე ფოთის ციხეზე), რომელშიც თავსდება 400 რჩეული მეომარი, მეტად მიუდგომლად მეჩვენა, ადგილის ბუნების მიხედვით, ხოლო უშიშროების თვალსაზრისით, ის მეტად მოხერხებულია. კედელს ორმაგი თხრილი ერტყმის – ორივე ფართო. წინათ კედელი თიხისა იყო და მასზე ხის კოშკები იდგა, მაგრამ ახლა კედელიცა და კოშკებიც გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული; ერთი სიტყვით, ყოველმხრივ იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ბარბაროსთაგან ვერავინ მიუახლოვდება და არც ალყის საფრთხე ემუქრება ციხის დამცველთ. რადგან ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდებისთვის, საიმედო უნდა გამხდარიყო აგრეთვე სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებითა და ვაჭრებით დასახლებული ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც. გადავწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილიდან მდინარემდე სხვა თხრილი გამეყვანა, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლის გარეთ მდგომ სახლებს“.

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი მოგვითხრობს ლაზთა შესახებ: „ძლიერი და მამაცი ტომია ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ხელმძღვანელობდნენ; ამაყობდნენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობდნენ, შესაძლოა, არც თუ უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, მიუწვდომელი თავისი სიმდიდრით, ქვეშევრდომთა სიმრავლით, მიწა-წყლის სიჭარბით, მოსავლიანობით, ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით“.

აგათია სქოლასტიკოსს მოხსენიებული ჰყავს რომაელთა ტომით ქართველი სარდალი თეოდორე, რომელსაც „რომაელ სამხედრო მეთაურებს შორის პირველი ადგილი ეკავა“. მისივე თქმით, ლაზები ფრიად დახელოვნებული ზღვაოსნები იყვნენ.

იბერ მებრძოლთა პატივისცემის მეტად საინტერესო ტრადიციაზე მოგვითხრობს არისტოტელე: „სკვითებში არ იყო ნება, რომელიმეჯდღესასწაულზე ჩამოტარებული სასმისი დაელია მას, ვისაც არც ერთი მტერი არ ჰყავდა მოკლული, ხოლო იბერთა შორის, რომელიც მეომარი ტომია, წესით, იმდენი ქვის პატარა სვეტი უნდა დაირჭოს კაცის საფლავის ირგვლივ, რამდენი მტერიც ჰყავს მას მოკლული“.

გადავხედოთ ანტიკურობის კიდევ ერთი უდიდესი ისტორიკოსის – ტაციტუსის ცნობებს ქართველ ტომთა შესახებ: ,,უფლისწულთა შორის პირველად მითრიდატემ წააქეზა ფარსმანი, ძალითა და ხერხით დახმარებოდა მის მცდელობას. მათ მოძებნეს მექრთამეები ბევრი ოქროთი, არშაკის მსახური დაიყოლიეს ბოროტ ქმედებაზე; ამასთან, იბერიელები დიდძალი ლაშქრით შეიჭრნენ არმენიაში და ქალაქი არტაქსატა დაიპყრეს. ეს რომ ბუდაბანმა შეიტყო, თავისი ძე ოროდი გაამზადა შურის საძიებლად: გადასცა ის პართთა ლაშქარს და გაგზავნა (კაცები) დამხმარე ჯარის დასაქირავებლად. საწინააღმდეგოდ, ფარსმანმა მოიხმო ალბანები, მოუწოდა სარმატებს, რომელთა სკეპტუქოსები, იღებენ რა საჩუქრებს (სასყიდელს, ქირას) ორივე მხრიდან, მამაპაპური ჩვეულების თანახმად, ორივე მხარეს იბრძვიან; მაგრამ ადგილების მფლობელი იბერები კასპიის გზით სასწრაფოდ შეუშვეს არმენიელების წინააღმდეგ, ხოლო მათ, ვინც პართელებთან მიდიოდნენ, ადვილად აჩერებდნენ, რადგან სხვა გასასვლელები მტერმა ჩაკეტა, ხოლო ერთადერთი დარჩენილი გასასვლელი ზღვასა და ალბანთა მთის კიდეს შორის ზაფხულში გაუვალია, რადგან პასატის ქარები წყლით ფარავენ მეჩეჩიან ნაპირს, ხოლო ზამთარში სამხრეთის ქარი უკან ერეკება ტალღებს და, როცა წყალი დაიწევს, სანაპიროს ვიწრო გასასვლელი შიშვლდება.

ერთადერთი ძალა მხედრობა იყო, ფარსმანს კი ქვეითებიც ძლიერი ჰყავდა, რადგან იბერები და ალბანები, რაკი მთაგორიან ადგილებში ცხოვრობდნენ, უფრო მეტად იყვნენ ამტანნი და მომთმენნი. ამბობენ, რომ ისინი თესალიელებისაგან არიან წარმოშობილნი იმ დროს, როცა იასონი, მედეას წაყვანისა და მასთან შვილების გაჩენის შემდეგ, დაბრუნდა აიეტის ცარიელ სასახლეში, თავისუფალ (უმეფო) კოლხეთში.

როდესაც დასტები ორივე მხარეს საომრად განეწყვნენ, პართმა ბევრი ილაპარაკა აღმოსავლეთზე მბრძანებლობასა და არშაკიდების ბრწყინვალებაზე, თანაც დაუპირისპირა მდაბიო იბერიელს (თავისი) როქის სპა. ფარსმანმა უთხრა თავისიანებს: პართთა ბატონობა არ გვიწვევნია და, რაც უფრო ვეცდებით, მით მეტ სახელს მოვიხვეჭთ გამარჯვებით, ხოლო თუ მტერს ზურგი ვუჩვენეთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩავცვივდებითო; ამასთანავე, – მიუთითა თავიანთ მრისხანე საომარ წყობასა და მიდიელების ოქროთი აღკაზმულ რაზმებზე, – აქ ვაჟკაცები არიან, იქ კი საშოვარიო.

მაგრამ წარმატებას მარტო სარდლის სიტყვა არ განსაზღვრავს – თვითონაც აქეზებენ ერთმანეთს, რომ მშვილდოსნებს ბრძოლა არ დაანებონ, მტერი დააბნიონ შეტევითა და ხელჩართული ბრძოლით. ამიტომ აქ მებრძოლთა სხვადასხვა სახეობაც იყო; მაშინ, როდესაც პართმა, ერთნაირად ნაჩვევმა დევნასა თუ გაქცევას, გაშალა მხედართა რაზმები და ეძიებდა შესატევ სივრცეს, სარმატებმა თავი მიანებეს მშვილდს, რომლითაც უფრო ახლო მანძილზე მძლავრობდნენ და მტერს შუბითა და მახვილით ეძგერნენ. ცხენოსანთა ბრძოლის წესის მიხედვით, ხან პირდაპირ უტევდნენ ან ზურგს უბრუნებდნენ, ხან კი შეჯგუფებულ დასტებად სხეულისა და იარაღის ძალით აწვებოდნენ მტერს, ანდა პირიქით. უკვე ალბანებმა და იბერებმა დაუწყეს ხელის ტაცება, ცხენებიდან ჩამოყრა მტერ და საეჭვო გახადეს ბრძოლის ბედი (მტრებისათვის). ზემოდან მხედრები, უფრო ახლოს კი ქვეითები აყენებდნენ მტერს ჭრილობებს. ამასობაში ფარსმანი და ოროდი, რომელნიც მამაცებს აგულიანებდნენ და შემკრთალთ შეეწეოდნენ, შესამჩნევნი და ამით შეცნობილნი, ყიჟინითა და შუბების [სროლით] ცხენდაცხენ მიაშურებდნენ ერთმანეთს, ოღონდ ფარსმანი უფრო ფიცხლად, რადგან ჩაჩქანი გაუხეთქა და დაჭრა [ოროდი], ოღონდ დარტყმის მონაცვლება ვეღარ შეძლო, რადგან ცხენმა გაიტაცა დაჭრილი, თანაც უმამაცესმა მხლებლებმა დაიფარეს; მაგრამ მისი მოკვლის შესახებ გავარდნილმა ცრუ ხმამ, რომელიც ირწმუნეს, დააფრთხო პართები და მათ დათმეს გამარჯვება".

წმინდა ნინო ასე აღწერს არმაზის კერპს: ,,ვიხილე და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაი: და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვი ოქროისა: და ჩაფხუტი ოქროისა: და სამხარნი ესხნეს: ფრცხილი და ბივრიტი და ხელსა მისსა აქუნდა ხრმალი ლესული: რომელი ბრწყინვიდა და იქცევოდა ხელსა შინა რეცა თუ: რომელნი შეეხებიან თავი თვისი სიკვდიდ განიწიროს... და მარჯულ მისა დგა კერპი ოქროისა, და სახელი მისი გაცი: და მარცხლ მისა კერპი ვერცხლისაი: და სახელი მისი: გა: რომელნი იგი ღმერთად ჰქონდეთ მამათა თქუენთა არიან ქართლით".

ასე იქნებოდნენ აღჭურვილ-შეიარაღებული მაშინდელი დიდგვაროვანი იბერიელნი, რადგან იმხანად და შემდგომ კიდევ დიდხანს, საუკუნეების მანძილზე, კერპებს, ფრესკებსა თუ მინიატურებზე გამოსახულ პერსონაჟებს, ბარელიეფებზე გამოსახულ პირებსა თუ სხვათ თავიანთი ეპოქის ტანისამოსსა და აღჭურვილობაში გამოსახავდნენ შემქმნელნი.

## §7. ნაოსნობა ანტიკური ეპოქის საქართველოში

ანტიკური ხანის ცნობების თანახმად, ფასისში თავს იყრიდა სამოც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი. აქ გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც შორეული ინდოეთიდან მოემართებოდა კასპიის ზღვამდე, ხოლო შემდგომ, ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლით (მდ. მტკვარი – სურამის უღელტეხილი – მდ. ყვირილა – რიონი), აღწევდა შავ ზღვამდე, დღევანდელ ფოთთან (ძველი ფასისი). ამ გზის ცალკეული მონაკვეთები, რომლებსაც

თავდაპირველად ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდა, ისახებოდა ჯერ კიდევ წინარე ელინისტურ პერიოდში. ელინისტური ხანიდან კი, როდესაც ვაჭრობამ „მსოფლიო“ ხასიათი მიიღო, ერთიანი გზა გაიმართა ფასისიდან ინდოეთამდე.

სტრაბონის ცნობით, ფასისში დიდი მოცულობით იწარმოებოდა გემთსაშენი მასალა: ხე-ტყე, სელის ტილო, ქერელი, ფისი და ცვილი. მისივე თქმით, შავ ზღვაზე ჰენიოხები ბატონობდნენ. ისინი მეკობრეობდნენ 25-30-კაციანი ვიწრო, მსუბუქი ნავებით – „კამარებით“. ამგვარი ნავებით ჰენიოხები ქმნიდნენ ფლოტს და იტაცებდნენ სავაჭრო გემებს. „კამარებს“ გემებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა, რადგან განსაკუთრებული ნავმისადგომი არ სჭირდებოდა. ისინი ზურგით გაჰქონდათ ნაპირზე და ტყეში მალავდნენ, რის გამოც პრაქტიკულად მოუხელთებელნი ხდებოდნენ.

აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. ირი საუკუნე) ცნობით, „კოლხებს შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წერილსვეტები და იმ კირბებზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა“.

გერმანელი მკვლევრის, კარლ რიტერის აზრით, „ეს ფირფიტები იყო პირველდაწყებითი რუკები და, შესაძლოა, ისინი ჰქონოდა ჰეროდოტეს, როცა მან ჩამოთვალა ჩრდილოეთის ხალხების, ბოსფორისა და პონტოს სავაჭრო გზები“. მისივე აზრით, „კარტოგრაფიული ხელოვნების პატივდიდება სრულიადაც არ ეკუთვნით მცირე აზიის ბერძნებს. ამ ფირფიტებს ბევრად უფრო ადრე იყენებდნენ კოლხი მოგზაურ-ვაჭრები“.

ზემოთქმული იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი წინაპრები არა მარტო თავისი დროის მოწინავე საზღვაოსნო ცოდნას, არამედ დამწერლობასაც ფლობდნენ.

სახელგანთქმული მკვლევარი ტურ ჰეიერდალი მიიჩნევს, რომ ხის გემების აგება ფინიკიელებზე ბევრად ადრე უნდა დაეწყოთ ხეთებსა და ხმელთაშუა ზღვის მცირე აზიის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებს, რომელთაც კედრის ხის მასალა უხვად ჰქონდათ. აქვე გავიხსენოთ რუსთაველის აღწერილი მეკობრეთა ნავი: „გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა, მას ნავსა, ნავთ სალეწელად, სახნისი ჰგია ძელითა“.

კოლხთა მაღალი სანაოსნო კულტურა ნათლად ჩანს არგონავტების მითშიც. თავად ბერძენთა აღიარებით, რომ არა ჯადოქრობა, არგონავტები თავს ვერ დაიხსნიდნენ აიეტის დადევნებული ფლოტისაგან. ასევე მრავლისმეტყველია დღემდე შემორჩენილი გამოთქმა: „ლაზის ბაღი ზღვააო“. ტროადან ლტოლვილი ენეასიც ხომ გემებით მიემგზავრება (კართაგენის გავლით) რომის დასაარსებლად.

მდინარის სწრაფი გადალახვის მიზნით საგანგებო სამარჯვების გამოყენების კვალი კი ძიძ საუკუნემდე მოდის. როგორც ჩანს, ეს იყო სახელდახელო ბორანის მსგავსი რამ, რუმბებისა თუ ტიკებისაგან შეკრული.

# თავი III

# საქართველო ადრეფეოდალურ ეპოქაში

## §8. მეფე ვახტანგ რ გორგასალი

**საერთო ვითარება.** ი საუკუნის ირ ნახევარი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეს, მეფე ვახტანგ გორგასალს უკავშირდება და ამ პერიოდსაც ვახტანგ გორგასლის ეპოქას უწოდებენ. ქართველი მეფე უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, დიდი მხედართმთავარი, მეომარი და შესანიშნავი რეფორმატორი იყო.

ვახტანგ გორგასლის შესახებ მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი, ჯუანშერი, თავის თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“, რომელიც დაწერილი უნდა იყოს ძრ (ზოგიერთი მოსაზრებით, ირირ) საუკუნეში. ვახტანგ გორგასლის შესახებ ცნობებს გვაწვდის მისი თანამედროვე (ი საუკუნის ირ ნახევარი) სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეციც.


ქართველ მეფეთაგან ვახტანგ გორგასალი ერთ–ერთი ყველაზე გამორჩეული მხედართმთავარი და სარდალია. იგი 7 წლის იყო, როდესაც მამა მირდატი გარდაიცვალა. მისი მცირეწლოვანების გამო რეგენტის უფლებით ქვეყანას ვახტანგის დედა – რანისა და მოვაკანის სპარსელი ერისთავის, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მარზპან (ირანულად – ქვეყნის მცველი) ბარზაბოდის ქალიშვილი – საგდუხტი განაგებდა. ამ დროს საგრძნობლად გაძლიერდა ირანის გავლენა ქართლზე. გარდა ამისა, ქართლის სამეფოს დასავლეთიდან ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) იმპერია ემუქრებოდა, ჩრდილოეთიდან კი ჩრდილო კავკასიის მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ხალხები არ აძლევდნენ მოსვენებას. ტახტზე ახალი ასული იყო მცირეწლოვანი ვახტანგ გორგასალი, როცა ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ალანებმა 452 წელს ქართლის დიდი ნაწილი დაარბიეს.

გორგასლის მოღვაწეობის უმთავრესი მხარე სამხედრო საქმე იყო. ის მშვიდობიანობის დროსაც კი ცდილობდა შეექმნა და გაეწვრთნა ჯარი თავდაცვითი თუ შეტევითი მოქმედებებისათვის.

საამისოდ იგი აქტიურად მიმართავდა დიპლომატიას და ხშირად უმთავრეს მოწინააღმდეგესაც კი ქართლის ინტერესებისათვის იყენებდა. ვახტანგმა ალანების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი საომარი ღონისძიებები ჩაატარა და ილაშქრა ქართლის სამეფოს უმთავრესი მოწინააღმდეგის – სპარსეთის მოკავშირეობით. მას კარგად ესმოდა, რომ მოწინააღმდეგე მხარესთანაც შეიძლებოდა საერთო სტრატეგიული ინტერესების გამონახვა და მისი ძალის გამოყენება.

**რეფორმები.** მეფის ხელისუფლება ძირითადად სამხედრო ძალაზე იყო დამყარებული. იგი სახელმწიფოს წარჩინებულთა ფენებსა და საეკლესიო ხელისუფლებასთან ერთად მართავდა. ამის მაგალითია ჯუანშერის ცნობა ოსეთში გალაშქრების წინ ვახტანგის მიერ მოწვეული საბჭოს შესახებ. მას ესწრებოდნენ: მეფე, მეფის უახლოესი მრჩევლები, ჯუანშერ სპასპეტი (ჯარების სარდალი), ეპისკოპოსები და ცეცხლთაყვანისმცემელი კულტის მსახურები (იმდროინდელ ქართლში ქრისტიანობასთან ერთად მაზდეანობას ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობასაც მისდევდნენ, რაც ირანში იყო გავრცელებული), ერისთავები, პროვინციის გამგებლები, ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენლები. სამხედრო უწყების მეთაურები, სპასპეტისა და ერისთავების ხელქვეითნი, „ათასისთავნი და ასისთავნი“, სამეფო საბჭოს დამსწრე საზოგადოება, რომელიც ჯარის ძირითად ბირთვს ქმნიდა, ფეხზე იდგნენ. მაშასადამე, აქ წარმოდგენილია სახელმწიფოს მმართველობის სქემა: მეფე, სამხედრო ხელისუფალნი (სპასპეტი, ერისთავები, ათასისთავები, ასისთავები). მნიშვნელოვანია იმდროინდელი ერისთავის ფუნქცია: ის იყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ხელისუფალი. ამის მიზეზი ის იყო, რომ ადრეფეოდალურ ხანაში სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება ერთმანეთისაგან არ იმიჯნებოდა. ერისთავის უპირველესი ფუნქცია მაინც ლაშქრის მეთაურობა იყო. მას ევალებოდა თავისი სამართავი ადმინისტრაციული ერთეულიდან (საერისთავო) გამოეყვანა სათანადო ლაშქარი, ჩასდგომოდა მას სათავეში და საერთო ლაშქრობაში მიეღო მონაწილეობა.

ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ლაშქრის ორგანიზაციის პრინციპს ემყარებოდა. იმდროინდელი ქართლის სამეფოში ათი მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული, საერისთავო, არსებობდა. ერთი იყო შიდა ქართლი, მმართველი – ჯუანშერი, ამავე დროს – სპასპეტი, ანუ „მფლობელი ყოველთა ერისთავთა“.




ამის შემდეგ წყაროში ჩამოთვლილია დანარჩენი საერისთავოები და მათი ერისთავები: ,,დემეტრე – ერისთავი კახეთისა და კუხეთისა; გრიგოლ – ერისთავი ჰერეთისა; ნერსარან – ერისთავი ხუნანისა; ადარნასე – ერისთავი სამშვილდისა; სამნაღირ – ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა; ბაკურ – ერისთავი მარგვისა და თაკუერისა; არტავაზ – ერისთავი კლარჯეთისა; ნასარ – ერისთავი წუნდისა და ბივრიტიან – ერისთავი ოძრხისა“. ქვეყნის საერისთავოებად ანუ ასეთ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის სისტემა ქართლის სამეფოში უძველესი დროიდან იღებდა სათავეს და ტრადიციული იყო. ამგვარი სისტემაა წყაროებში დაფიქსირებული ფარნავაზის დროსაც. გორგასლისდროინდელი ქართლის სამეფოს ლაშქრის ორგანიზაციასთან ერთად, საინტერესოა მისი რაოდენობის საკითხიც. როდესაც ჩრდილო კავკასიაში გალაშქრება გადაწყდა, ვახტანგმა მოუწოდა ,,ყოველთა სპათა ქართლისათა... და იყო ასი ათასი მხედარი და სამოცი ათასი ქვეითი“. აქ გასათვალისწინებელია ადრეფეოდალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი თვისება: ამ დროს ლაშქარს მთელი მოსახლეობის უნარიანი მამაკაცები ქმნიდნენ და არა ცალკე არსებული საჯარისო დანაყოფები. ეს რაოდენობა, შესაძლოა, რეალურიც ყოფილიყო, თუმცა გაზვიადებულადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

**ლაშქრობა ალანებზე.** ჩრდილო კავკასიის გადასასვლელებს უმთავრესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქართლის, ასევე სპარსეთისთვისაც. ამავდროულად, მათი კონტროლი საკმაოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული უპირატესობა იყო. ამ უპირატესობის მიღწევა გორგასალმა ალანების წინააღმდეგ სწორედ სპარსეთის საშუალებით შეძლო. მეფე დაახლოებით 7 დღე ზვერავდა მტრის ჯარს. იქ იმართებოდა ბუმბერაზთა ორთაბრძოლები, რომლებშიც ვახტანგ გორგასალიც მონაწილეობდა. ეს იყო შერკინების ძალზე გავრცელებული ფორმა. 3

შუა საუკუნეებში ორთაბრძოლებს ხშირად მართავდნენ. ის სერიოზულ სანახაობად იქცეოდა ხოლმე. ამგვარ ორთაბრძოლებს, გარდა ძალის გამოვლინებისა, სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულებაც ჰქონდა: ეს იყო ჯარის ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა, მასზე ზეგავლენა. ორთაბრძოლებში

მხარეებს, როგორც წესი, ყველაზე ძლიერი მეომრები გამოჰყავდათ. მასში მონაწილეობდნენ თავად მეფეებიც, რომელთა უძლეველობაში ჯარი დარწმუნებული იყო. თუ ორთაბრძოლაში მთავარსარდალი ან ბრძოლის სარდალი გაიმარჯვებდა, მის ლაშქარს საბრძოლო განწყობა ექმნებოდა, რაც აუცილებელი იყო მხედრის გამარჯვებისათვის. საკმარისი იყო სარდალი დამარცხებულიყო, რომ ჯარიც იბნეოდა. გამარჯვებული სარდლის წარმატებით გაგულადებული ლაშქარი დემორალიზებულ მტერს ადვილად ამარცხებდა. ჯარისა და ომის ფსიქოლოგია ვახტანგ გორგასალსაც კარგად ესმოდა, თვითონ ამიტომაც მონაწილეობდა ამგვარ ორთაბრძოლებში, საკუთარი გამარჯვებით ჯარს ბრძოლის სტიმულს აძლევდა და გამარჯვების რწმენას უნერგავდა.

ჩრდილო კავკასიაში ამ დროს თურქული მოდგმის ხალხი ბატონობდა, შუა აზიიდან მოსული ჰუნები, რომელთაც ემორჩილებოდა ჩრდილო კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მომთაბარე სხვადასხვა ტომი, მათ შორის – ოსებიც, რომელთაც მაშინ მდინარე თერგის ზედა ნაწილის გაყოლებითა და მის დასავლეთით საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია ეკავათ. ყველა ეს მომთაბარე და მეომარი ტომი კავკასიონის ხაზის მთელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებს ავიწროებდა. მათთან ძალაუნებურად დაკავშირებული იყვნენ ოსებიც. ამ უკანასკნელთა თარეში ქართლისათვის იყო უშუალო საფრთხე.

458 წელს ვახტანგი დიდი ცხენოსანი ჯარით, სპარსელებისა და ვაინახების (ჩრდილო კავკასიელები, ჩეჩენ-ინგუშები) ლაშქართან ერთად, დარიალის გზით გაემართა ჩრდილოეთით, ოსეთისაკენ. ჯარმა გაიარა დარიალის ხეობა, მდინარე თერგის მეორე ნაპირზე გამოჩნდა ოსების ჯარიც. ბრძოლა მოხდა მდ. თერგთან. მოწინააღმდეგე მხარეები განლაგდნენ ერთმანეთის მოპირდაპირედ მდინარის ორივე მხარეზე. მაშინდელი ჩვეულების თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეებიდან გამოდიოდნენ ცალკეული ბუმბერაზები (ასე უწოდებდნენ რჩეულ მეომრებს) და ებრძოდნენ ერთმანეთს. ოსების ჯარში მყოფ თურქ-ხაზართაგან გამოვიდა დიდი ტანის მეომარი, სახელად თარხანი. ქართველებთან ერთად იქ სპარსელების ჯარიც იყო. ამ უკანასკნელთაგან თარხანთან შესაბრძოლებლად გამოვიდა განთქმული მეომარი ფარსმან-ფარუხი. თარხანმა პირველი შეხვედრისთანავე რკინის ჩაბალახზე დაჰკრა მას ხმალი, გაუპო თავი, ჩაატარა ბეჭამდე და მოკლა. ქართველები და სპარსელები დაღონდნენ.

იმ ღამეს ვახტანგმა გადაწყვიტა თვითონ შებმოდა იმდღევანდელ გმირს. მეორე დილას თარხანი კვლავ გამოვიდა მდინარე თერგის მეორე ნაპირას და შესაბრძოლებლად იწვევდა ქართველთა და სპარსელთაგან ვინმეს. ვერავინ ბედავდა გასვლას. მაშინ ვახტანგმა თვითონ გამოთქვა მასთან შებრძოლების სურვილი. ქართველი წარჩინებულნი ვახტანგის საბრძოლველად გასვლის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ საკუთარი ძალის მოიმედე ვახტანგი ვერ შეაჩერეს. თარხანმა დაცინვით დაიძახა:

„მე გოლიათთა და გამოცდილ გმირთა მებრძოლი ვარ და განა შენისთანა ყმაწვილზე დავიმდაბლებ თავსაო?!“ მაგრამ ვახტანგმა შეუტია, შუბი სარტყელში ისე მძლავრად აძგერა, რომ ჯავშანი გაურღვია და მოკლა თარხანი, მერე თავი მოჰკვეთა და თავისიანებისაკენ გაეშურა. ისინი აღტაცებული შეხვდნენ გამარჯვებულ მეფეს.

მეორე დღეს მოწინააღმდეგის ბანაკიდან გამოვიდა მეორე ბუმბერაზი, წარმოშობით ოსი, სახელად ბაყათარი. ეს მეომარი მეტად დიდი ტანისა იყო. მისი მშვილდის სიგრძე 12, ისარი კი 6 მტკაველი გახლდათ. ბაყათარი მოდგა მდინარის პირას და დაიძახა: „ვახტანგო, ნუ განლაღდები თარხანის მოკვლისათვის, რადგან ის არ ეკუთვნოდა გოლიათთა რიცხვს. თუ გამოხვალ ჩემთან საბრძოლველად, ვერ გადამირჩები, ან არა და, გამოვიდეს ვინმე შენი ჯარიდან და მე მზად ვარ შესაბრძოლებლადო“.

ვახტანგმა დააწყო თავისი ჯარი, მიუახლოვდა მდინარის ნაპირს და იქიდან გასძახა ბაყათარს: „მე წარჩინებული ვარ და ამიტომ ვერ გამოვალ მდინარეზე, რადგან ჩემი სიკვდილით დაიღუპება ჩემი ჯარი, შენ კი მონა ხარ და შენი სიკვდილით ოსების ჯარს არაფერი ევნება („შენ მონაი ხარ და წარწყმედითა შენითა არა ევნების სპასა ოვსეთისასა, ვითარცა ძაღლისა ერთისა“); ამიტომ გამოდი მდინარეს და აქ შევებრძოლოთ ერთმანეთსო“.

ბაყათარმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ მოითხოვა, რომ მდინარეზე გადასვლისას მისთვის არ ესროლათ და ვახტანგსა და მის ჯარს უკან დაეხია 3 უტევანით (დაახლ. 500 მეტრი). ქართველთა მეფემ და მისმა ჯარმა თხოვნა შეასრულეს. ბაყათარი გამოვიდა მდინარის მეორე ნაპირას. ორივე ჯარი ბუკებისა და დაფდაფების ხმაურით, ყვირილით ამხნევებდა თავის მებრძოლებს – ბაყათარს და ვახტანგს. პირისპირ შეტაკებაში მეფემ ბაყათარს სძლია და ხმლით გაუპო მკერდი. ამ გამარჯვებით გამხნევებული ქართველები ოსების წინააღმდეგ შეტევაზე მწყობრად გადავიდნენ.

ამ ორთაბრძოლაში დემორალიზებულმა ალანებმა არჩიეს არა შეტევითი, არამედ თავდაცვითი ბრძოლის ტაქტიკა. მათ შეარჩიეს სათანადოდ ხელსაყრელი პოზიცია. ისინი მაღლობ ადგილას გამაგრდნენ, იქედან უყურებდნენ გზას, რომელზეც ქართველთა ჯარი გაივლიდა, შეტევის შემთხვევაში. ასეც მოხდა: ქართველებმა შეტევაზე გადასვლა გადაწყვიტეს. ალანებმა მაღლობიდან ისრები დაუშინეს. ამის მიუხედავად, ქართველებმა სიმაღლეებამდე მიაღწიეს და ბრძოლაც იქ გაჩაღდა. იერიში ჯერ ცხენოსნებით, შემდეგ ქვეითებითა და ცხენოსანი რეზერვის საშუალებით წარიმართა.

ოსები დამარცხდნენ და გაიქცნენ. ქართველები გამოეკიდნენ და ბევრი მატგანი ტყვედ ჩაიგდეს. ერთ-ერთი ცნობით, ტყვეების რიცხვი სულ 6416 იყო. მათი ერთი ნაწილის გაცვლით ქართველებმა თავიანთი 358 ტყვე დაიბრუნეს. მათ ტყვეობიდან დაიხსნეს ვახტანგის და, მირანდუხტი. ქართველთა ჯარს სრული გამარჯვება ხვდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში წარმატებული ლაშქრობის შემდეგ ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა დასავლეთ საქართველოში, ეგრისში. ამ დროს ის, როგორც ცალკე სამეფო, ბიზანტიის იმპერიის ვასალი იყო. თუ ქართლის სამეფოს ძირითადად სპარსეთთან უწევდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, დასავლეთ საქართველოს სუვერენიტეტს ბიზანტია ემუქრებოდა. Დ საუკუნეში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ეგრისის სამეფოშიც. 50-იან წლებში დაიწყო ავჯანყება, რომლის წინააღმდეგაც ბიზანტიამ სამხედრო ძალა გამოიყენა. ეგრისში, ფაქტობრივად, ომი იყო. მათ მხარდასაჭერად ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა მეფეც ჩაება.

ვახტანგ გორგასალმა ისარგებლა მოულოდნელობის ფაქტორითა და მტრის დაბნეულობით და ეგრისის მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავა. გადამწყვეტ ბრძოლაში არტანუჯთან ვახტანგმა ორთაბრძოლაში გამოიწვია ბიზანტიელთა მთავარსარდალი პოლიკარპოსი და პირველსავე შეტაკებაში ხმლით გაუპო თავი. მთავარსარდლის გარეშე დარჩენილი ბიზანტიელთა არმია დაბნეულობამ მოიცვა და ქაოტურად გაიფანტა. ქართულმა არმიამ ბიზანტიელთა რაზმები ალყაში მოიმწყვდია ზღვის პირას და ნაწილ-ნაწილ გაანადგურა. მეფემ დაიბრუნა ბიზანტიელებისგან მიტაცებული ქართული მიწები, ხოლო კლარჯეთის საერისთავოს ცენტრად არტანუჯი აქცია: „უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვითგან ვიდრე არსიანამდე...“

ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის ვახტანგმა სტრატეგიულად ხელსაყრელი დრო შეარჩია:Ɛ მტრის პასიურობა მისი შიდა პრობლემებით იყო გამოწვეული და მას ეგრისისათვის არ ეცალა. იმპერიაში რელიგიური ომები მიმდინარეობდა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის. გარდა ამისა, ბიზანტიის იმპერატორი ლეონ ი (457-474 წწ.) ვესტგუთებისა და ვანდალების გამუდმებულ თავდასხმებს იგერიებდა. ვახტანგ ი სწორედ ამ ლაშქრობის ბოლოს დაუზავდა ბიზან-ტიას და იმპერატორთან ნათესაური ურთიერთობაც დაამყარა. ზავის ერთ-ერთი პირობა იყო ვახტანგის დანიშვნა იმპერატორის ასულ ელენეზე. ამან ირანის შაჰ ჰორმიზდ იიი-ის უკმაყოფილება გამოიწვია.

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე ვახტანგის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება ახალი დედაქალაქის – თბილისისათვის საფუძვლის ჩაყრა იყო. მართალია, მის დასრულებას თავად ვერ მოესწრო, მაგრამ მეფის არჩევნის გონივრულობა სულ მალე დაადასტურა იმ სტრატეგიულმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა მნიშვნელობამ, რომელიც ქვეყნისათვის თბილისმა შეიძინა.

**ანალიზი.** ქართული ჯარის ვახტანგისდროინდელი წყობა-აღჭურვა ძალზე ეფექტური იყო. ცხენოსანთა დაჯავშნული ნაწილი თავიდანვე უმნიშვნელოვანეს დარტყმას აყენებდა მოწინააღმდეგეს და ამაში იმდროინდელი აღჭურვილობაც ხელს უწყობდა. ამ იერიშით მტრის უმთავრეს ძალას ისინი მნიშვნელოვან ზარალს აყენებდნენ და თავიდანვე ანგრევდნენ მის ძირითად სამხედრო ძალას; ე. ი. ეს იყო ფრონტის გარღვევა. ამიტომ ბრძოლის პირველ ეტაპზე მტრის ჯარში არეულობა შეჰქონდათ და მის დემორალიზებას იწვევდნენ, რასაც ვახტანგისდროინდელი ქართული ჯარის მეორე და მესამე სამხედრო-საბრძოლო ხაზის ქვეითთა ჯარის შეტევა და მოწინააღმდეგის სრული მარცხი მოსდევდა. საჭიროების შემთხვევაში, ბოლო ეტაპზე, ბრძოლაში ერთვებოდა სარეზერვო ნაწილი, რომელსაც თვითონ მეფე სარდლობდა. ასე მოხდა ალანებთან ბრძოლის დროსაც.

ძალზე მნიშვნელოვანია ვახტანგ გორგასლის, როგორც სამხედრო სტრატეგის, მოღვაწეობა. ქართლის სამეფოს ლაშქრის ორგანიზებულობასთან დაკავშირებით, ლაზარ ფარპეცი წერდა, რომ ვახტანგ გორგასალი მიმართავდა ხერხს „ალექსანდრე მაკედონელის ეშმაკობის მსგავსად“. ეს ნიშნავს, რომ ქართველმა მეფემ ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო ხელოვნება კარგადაც იცოდა და მისეულ მეთოდებს კიდეც იყენებდა, წინა ეპოქებისა და ჩვეულებებისაგან განსხვავებით, როდესაც მტრის გამოჩენისას ქაოტურად მიემართებოდნენ მასთან საბრძოლველად. ვახტანგის დროს, Დ საუკუნის იი ნახევარში, უკვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო-საბრძოლო წყობას. ამ დროის ქართლის სამეფოში ეს წყობა უკვე სამხაზოვანი იყო:

**ი**. პირველ ხაზს მძიმე კავალერია წარმოადგენდა („ცხენ-თოროსანნი და ჯაჭუ- ჩაბალახოსანნი, წინა კერძო“). აქ მეომარიცა და მისი ცხენიც ჯავშნით იყვნენ დაცულნი. პირველი ხაზის კავალერიის შეიარაღებაში შედიოდა შუბი და მახვილი;

**იი.** სამხედრო-საბრძოლო წყობის მეორე ხაზს წარმოადგენდა ქვეითთა ჯარი. ბუნებრივია, მათაც ჰქონდათ შეიარაღება და სათანადო აღჭურვილობა, თუმცა ისტორიულ წყაროებში ამ დეტალებზე საუბარი იშვიათია. მათ აღჭურვილობაში შედიოდა ხმალი, ხანჯალი, მშვილდ-ისარი, ფარი, აბჯარი, ჩაჩქანი;

**ააი**. ძალზე მნიშვნელოვანი იყო მსუბუქი ცხენოსანი ჯარი, რომელიც საგანგებოდ იქმნებოდა, როგორც ერთ-ერთი სამხედრო-საბრძოლო დანაყოფი.

გარდა ამისა, უდიდესი როლი ენიჭებოდა ზურგის გამაგრების საკითხს. ვახტანგ გორგასალს რჩეული მეომრების ცხენოსანი რაზმი ჰყავდა ზურგში დაყენებული. ეს იყო სარეზერვო ძალა,

რომელიც ბრძოლაში ებმებოდა განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ეტაპზე. თუ რომელი იყო აღნიშნული ეტაპი, ამას ბრძოლის დროს წყვეტდა მთავარსარდალი. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ძირითადი ძალები ველარ უმკლავდებოდნენ მტერს და ბრძოლის გაგრძელება, ფაქტობრივად, აღარ შეეძლოთ; ან როცა ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე განსაკუთრებით ძლიერი შეტევა იყო საჭირო. ამ სარეზერვო ძალას ბრძოლის შედეგზე გამორჩეული როლი უნდა ეთამაშა.

**შედეგები.** ქართლის სამეფომ ზემოთ აღნიშნულ ბრძოლებში გამარჯვების შემდეგ ალანებთან საზავო ხელშეკრულება დადო. მაგრამ, ამის მიუხედავად, ვახტანგ გორგასალმა დამატებითი ღონისძიებებიც გაატარა ჩრდილოეთ კავკასიის გადასასვლელების გასაკონტროლებლად; მან კოშკები გაამაგრა ალან-ქართლის გზაზე და ამით იგი თავის მუდმივ კონტროლს დაუქვემდებარა, რაც სამომავლოდ ქვეყანას თავიდან აცილებდა ჩრდილოეთიდან მტრის მოულოდნელ შემოჭრას. გარდა ამისა, სატრანზიტოდ ჩრდილოეთიდან ქართლის გზაზე მომავალნიც კონტროლდებოდნენ. ქართლის სამეფოს საზღვრის გადმოკვეთაზე მათაც ამ ქვეყნის მეფის ნებართვა ესაჭიროებოდათ. ამგვარად, მემატიანის ცნობით, ირკვევა, რომ გორგასალს ჰყავდა იმ დროისათვის ძალზე მოქნილი, გაწვრთნილი და კარგად აღჭურვილი ჯარი. ისტორიული წყაროების მიხედვით, ვახტანგი ძალზე კარგი სამხედრო სტრატეგი, სახელმწიფო მოღვაწე და მეომარი ჩანს. მან, იმდროინდელი რეალობის გათვალისწინებით, შესანიშნავად განჭვრიტა ქვეყნის სასაზღვრო დაცვის პოლიტიკა და, საზღვრის კონტროლის თვალსაზრისით, შემოიღო იმ დროისათვის ეფექტური მექანიზმი. იმ საკონტროლო-სასაზღვრო ციხეებსა და კოშკებში ჩააყენა გარნიზონები, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი მთიელებისაგან შედგებოდა. ეგრისში ბრძოლისას ვახტანგმა გამოიყენა დიპლომატია და ბიზანტიელებისაგან ეგრისელების გასათავისუფლებლად სპარსეთის მოკავშირედ გამოვიდა. ამ ქმედებით, ვახტანგ გორგასალი სპარსეთს იყენებდა ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რეალურად კი, ამ ძალის გამოყენებით, ეგრისს ათავისუფლებდა ბიზანტიის გავლენისაგან. იმ პერიოდში ერთმანეთს უპირისპირდებოდა ბიზანტიისა და სპარსეთის ინტერესები და საკუთარი ინტერესების კუთხით ამ მდგომარეობის გამოყენება გამოცდილ დიპლომატიურ ქმედებად უნდა მივიჩნიოთ. ამ ნაბიჯის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ეგრისი დროებით ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

**ომი ირანთან.** განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ვახტანგ გორგასლის ომები ირანთან. როგორც ცნობილია, ირანი ქართლის სამეფოზე გავლენის მოპოვება-შენარჩუნებაზე დიდ ყურადღებას ამახვილებდა და იქ საკუთარი პოზიციების შესუსტებას ვერ ეგუებოდა. ამიტომ ირანისთვის აუცილებელი იყო ქართლში მისი მომხრე, ვასალი მეფის მმართველობა, მაგრამ ხედავდა, რომ ვახტანგის ირანთან მოკავშირეობა მხოლოდ დიპლომატიური სვლა იყო, რეალურად ის ქართული სამეფოს გაძლიერებაზე ზრუნავდა. ცხადი იყო, რომ ომი გარდაუვალი იქნებოდა. გარდა ამისა, ირანი ვერ ეგუებოდა ამიერკავკასიაში ვერც ერთ ძალას, რომელიც აქ მას ჰეგემონობაში შეეცილებოდა, არადა რომის აღმოსავლეთ იმპერია, ბიზანტია, სულ უფრო და უფრო მეტად იკიდებდა ფეხს ამ რეგიონში. ასეთ ვითარებაში ირანისათვის ქართლის მეფედ თავისი ერთგული პირის ყოფნა ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

ირანთან ომამდე ვახტანგმა ჩრდილოეთი და დასავლეთი საზღვრები განიმტკიცა. ამის შემდეგ უკვე ირანთან ღია დაპირისპირებაც შესაძლებელი გახდა. ქვეყანას ირანის ვასალობისგან თავი უნდა დაეღწია, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართლსაც იგივე ბედი ეწეოდა, რაც ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებს. ირანი არ სჯერდებოდა ვასალურ ურთიერთობებს, მას ამიერკავკასიის სახელმწიფოებში მეფობის გაუქმება სურდა. იმხანად მას უკვე გაუქმებული ჰქონდა მეფობა სომხეთსა და ალბანეთში (სომხეთში 428 წელს, ალბანეთში 461 წელს). ვახტანგ გორგასალი კარგად ხედავდა, რომ ქართლის სამეფოსაც სომხეთისა და ალბანეთის ბედი ეწეოდა და ირანთან ურთიერთობაში საგანგებო მდგომარეობა შექმნა.

მაშინ, როცა ირანი სომხეთისა და ალბანეთის სამეფოებს აუქმებდა, ქართლში დასაყრდენ ძალას ეძებდა, რომელიც ქვეყანას შინაგანად დაასუსტებდა, მეფის ცენტრალიზებულ ხელისუფლებას დაუპირისპირდებოდა და ირანს საკუთარი ზრახვების განხორციელებაში დაეხმარებოდა. ამგვარად განწყობილი დიდებულებიც მოიძებნენ. მათ ქვემო ქართლის პიტიახშში – ვარსქენი მეთაურობდა. ის დაადგა მეფის ხელისუფლებისაგან განდგომის გზას და ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლების პოზიციას ამგვარად არყევდა.

ვახტანგის საომარი სამზადისი რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა: შიდა და საგარეო პოლიტიკა. ქვეყნის შიგნით ის ამაგრებდა ქალაქებს, ციხეებს, საგუშაგოებს, გარნიზონებს; აძლიერებდა და წვრთნიდა ლაშქარს მომავალი ომისათვის. გარდა შიდა მზადებისა, ის დაუკავშირდა ამიერკავკასიის სახელმწიფოების – სომხეთისა და ალბანეთის თავკაცებს, რომლებსაც ირანმა მეფის ხელისუფლება ანუ სახელმწიფოებრიობა გაუუქმა და მათთან შეთანხმებით შექმნა მოკავშირე ძალები. ამასთანავე, იგი ხედავდა, რომ ირანთან დაპირისპირების დროს, გარდა მცირე მოკავშირეებისა, აუცილებელი იყო უფრო ძლიერის პოვნაც, ამიტომაც გორგასალი დაუკავშირდა ბიზანტიის იმპერიას, რომელიც იმ დროს ამიერკავკასიაში საკუთარი პოზიციების გაძლიერებისაკენ ისწრაფოდა. ამ შემთხვევაში ვახტანგისა და ბიზანტიის ინტერესები დაემთხვა და გორგასალმა ეს

მომენტიც გამოიყენა. გარდა ამისა, ქართლის მეფე დაუკავშირდა ჰუნებს, რომლებიც ჩრდილო კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპის მხარეებში მომთაბარეობდნენ.

ირანის გავლენა ქართლში არა მარტო სამხედრო აგრესიით გამყარდა. ის აქ თავისი სარწმუნოების – მაზდეანობის გავრცელებას ცდილობდა, მაშინ როცა ქართლის სამეფო ოფიციალურად უკვე ქრისტიანული სახელმწიფო იყო. ქართლისა და ბიზანტიის კავშირს აშკარად აღრმავებდა რელიგიური ფაქტორი, რადგან ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად ჩვენში ბიზანტიიდან შემოვიდა.

უკვე ყველა პირობა არსებობდა, რომ ირანს, სომხეთ-ალბანეთის მსგავსად, სამეფო ქართლშიც გაეუქმებინა, თუმცა ეს მისთვის ადვილი არ იქნებოდა, რადგან ვახტანგი საკმაოდ ნიჭიერი მეფე და კარგი მხედართმთავარი იყო. გარდა ამისა, გორგასლის დიპლომატიურმა სვლებმა აშკარა გახადა, რომ ქართლში მეფობის გაუქმებას ფართომასშტაბიანი კონფლიქტი მოჰყვებოდა ირან-ბიზანტიას შორის, თანაც ირანს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა თავის აღმოსავლეთ საზღვრებზე. ის ეომებოდა ცენტრალური აზიიდან მოსულ ჰეფთალიტებს, ორ ფრონტზე სერიოზულ ბრძოლას კი ერიდებოდა. ჰეფთალიტებთან დაზავების შემდეგ ირანმა ყურადღება კავკასიას მიაპყრო. საბოლოოდ, ომის დაწყების უშუალო მიზეზად ქართლში ირანის მთავარი რეგენტის – ვარსქენ პიტიახშის მოკვლა შეიძლება ჩაითვალოს. 482 წელს ის ვახტანგ მეფის ბრძანებით მოკლეს. ვარსქენის პროირანულობა აშკარა იყო და მისი მოკვლა ომის გამოცხადების ტოლფასად აღიქვა ირანმა. ასეც იყო რეალურად. მისი სიკვდილით ვახტანგმა ასევე ნათლად გამოხატა ანტიირანული პოლიტიკის გატარების განზრახვა.

ქართლის მეფის პოლიტიკამ სომხეთსა და ალბანეთში დიდი მხარდაჭერა ჰპოვა. მალე ამ ქვეყნებშიც ანტიირანული აჯანყება დაიწყო. ამან განარისხა ირანი და შაჰმა პეროზმა 483 წელს აჯანყებულთა წინააღმდეგ დიდი ჯარი გამოგზავნა. ირანელები ალბანეთში გამაგრდნენ და ქართლისაკენ დაიძრნენ. მტერი ქვეყნის საზღვართან დაბანაკდა. ვახტანგ გორგასალს შეტევითი გეგმა ჰქონდა. მას სურდა სომხურ-ქართული ჯარით იერიში მიეტანა ქართლის საზღვრებთან დაბანაკებულ ირანელებზე, სომეხთა ჯარის სარდლებმა კი თავი შეიკავეს. ამ დროს ვახტანგს ჰუნებმაც უღალატეს, რომელთაგან, დიდძალი მოლაშქრეებით დახმარების ნაცვლად, მეფეს მხოლოდ 300 მეომარი მოუვიდა.

ირანთან ომის დროს ვახტანგ გორგასალმა რამდენიმე ხერხი გამოიყენა, რომლებიც საომარი მოქმედებების დროს ძალზე ეფექტური იყო. მან მიმართა იმიტაციისა და დეზინფორმაციის მეთოდს, რითაც რთული საომარი მდგომარეობიდან მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღო. სომეხთა ჯარის მეთაურებს აშფოთებდათ, რომ ჰუნების ლაშქარი არ ჩანდა, რომელთა დახმარება ვახტანგსაც ძალიან ესაჭიროებოდა; ამავე დროს, აუცილებელი იყო აქტიური შეტევა და მტრის უკუგდებაც, სანამ იგი ქართლის შიდა რაიონებში შეიჭრებოდა და იქაურობას ააოხრებდა.

ვაჰან მამიკონიანს, სომეხთა ჯარის გამორჩეულ სარდალს, დამხმარე ძალების გარეშე იერიშის მიტანის ეშინოდა. მას მიაჩნდა, რომ ირანელთა მრავალრიცხოვან ჯარს მხოლოდ ქართველები და სომხები ვერ გაუმკლავდებოდნენ. მას ისიც ადარდებდა, რომ სომეხთა ჯარში ერთსულოვნება არ იყო, რაც, საბოლოო ჯამში, მებრძოლთა მხნეობას ასუსტებდა. ლაზარ ფარპეცის ცნობით, ვაჰანმა „იცოდა სომეხთა ჯარის სისუსტე და ხედავდა, რომ მას დაჰკარგოდა მხნეობა, დაუძლურებულიყო და სრულებით არ ჰგავდა ადრინდელ გულმოდგინე და მონდომებულ ლაშქარს“. სომეხთა სარდალს თავის თანამომმეთა იმედიც არ ჰქონდა: „თქვენც გიცნობთ, ჩემი გამოცდილებით, თუ როგორ მიგიციათ ფიცით აღთქმა ჩვენი მამებისათვის და მოგიტყუებიათ“.

სწორედ ამიტომ, სომეხთა ჯარის გასამხნევებლად, ვახტანგმა მიმართა იმიტაციასა და დეზინფორმაციის ხერხს: მათ აცნობა, რომ ჰუნებმა დიდი ლაშქარი მოაშველეს. ამის დასამტკიცებლად სომეხ მზვერავებს სპეციალურად მოწყობილი, საჩვენებელი და იმიტირებული ბანაკი დაანახეს, სინამდვილეში კი ის ქართველების იყო. ბევრგან ენთო კოცონი, რომელთა გარშემოც მეომრებივით შემოელაგებინათ კუნძები. შორიდან ის ნამდვილ ბანაკს ჰგავდა, ხალხმრავალსა და ძალის მომცემს. ომის დროს, როცა ფსიქოლოგიურ ფაქტორს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ამგვარი იმიტაციები და სტიმული კარგი შედეგის მომცემია. ამგვარი მეთოდებით ჯარის სტიმულირება თანამედროვე პერიოდშიც გამოიყენება. რაც მთავარია, ეს არის ომის ფსიქოლოგია, რომელიც ვახტანგ გორგასალს ჯერ კიდევ V საუკუნეში შესანიშნავად ესმოდა. მეფის ტაქტიკურმა ხერხმა შედეგი გამოიღო: მერყევი პოზიციის მქონე სომეხი სარდლები დაიყოლია და, ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით, სომეხთა ლაშქარი ჭარმანიანის ველზე, ქართველებთან ახლოს დაბანაკდა. ეს მინდორი მაშინდელი ქართლის სამეფოს (თანამედროვე აზერბაიჯანი) ტერიტორიაზე, ქალაქ თუაზის მახლობლად მდებარეობდა, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. სწორედ აქ იყო დაგეგმილი გადამწყვეტი ბრძოლა ირანელებთან. ბოლოს, როდესაც სომხები რეალობაში გაერკვნენ, ვახტანგი არწმუნებდა მათ, რომ არ იყო აუცილებელი ჰუნთა დახმარება, რომ ირანელებზე გასამარჯვებლად ისედაც საკმარისი იყო მათი რაოდენობა. ამის მიუხედავად, სომეხთა სარდლობაში არ იყო ერთიანობა. ნაწილს ეშინოდა და ომს თავს არიდებდა, ზოგიერთმა სომეხმა ფეოდალმა კი ირანელებს აცნობა, თითქოს ვაჰან მამიკონიანმა ძალით მიიყვანა ისინი ბრძოლის ველზე, სინამდვილეში კი არ სურდათ ირანელების წინააღმდეგ ომი. მათ შეუთვალეს ირანელებს, რომ

ბრძოლის დაწყების შემთხვევაში არ მიიღებდნენ მასში მონაწილეობას. ლაზარ ფარპეცი აღწერს, რომ მოღალატე სომეხმა ფეოდალებმა შიკრიკები გაუგზავნეს თავიანთ ახლობლებს ირანის ჯარში და შეუთვალეს:

„ამ საქმეს ჩვენ სომეხთა ზორავარის – ვაჰანის იძულებით დავდგომივართ და არა ჩვენი ნებით. ასეთნი ბევრნი ვართ, მაგრამ ჩვენი გონება და ზრახვა თქვენთანაა... ხვალ, როდესაც ბრძოლის ველზე გამოვალთ, ჩვენ თვითონაც გავიქცევით და სხვა მრავალსაც თან გავიყოლებთ ჩვენი ჯარიდან“.

ასეც მოხდა. ბრძოლის ცენტრი და მარჯვენა ფრთა სომხებმა დაიკავეს, ქართველები კი მარცხენაზე განლაგდნენ. დასაწყისში მოკავშირეები შეტევაზე გადავიდნენ, გადალახეს მდ. მტკვარი, მაგრამ მალე სომეხმა მოღალატეებმა დანაპირები შეასრულეს და დატოვეს ბრძოლის ველი, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა შედეგებზე. თავდაპირველად ქართველებისა და სომხების გაერთიანებულმა ლაშქარმა ვახტანგ გორგასლისა და ვაჰან მამიკონიანის სარდლობით მტერი უკუაქცია. მაგრამ შეტევა გათვლილი იყო ამ გაერთიანებული ლაშქრის მეომართა რაოდენობაზე, ხოლო როცა მოღალატეებმა დატოვეს ბრძოლის ველი და გაიქცნენ, გარდა მოლაშქრეთა რიცხვის შემცირებისა, ამან ჯარში დაბნეულობა და არეულობა გამოწვია. ამით ისარგებლეს ირანელებმა და წარმატებას მიაღწიეს: ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ჯარი უკუაქციეს, ტყვეები ხელთ იგდეს, ბევრიც დახოცეს. ბრძოლის ამგვარი განვითარების მიუხედავად, ვახტანგ გორგასალი მაინც არ ეგუებოდა მარცხს და ბოლომდე მედგრად ეწინააღმდეგებოდა მტერს. შედეგად, ირანელთა სარდალმა, მიჰრანმა, შეწყვიტა ბრძოლა და 483 წლის სექტემბერში სამშობლოში დაბრუნდა.

ვახტანგ გორგასლის ომმა ირანთან, ბრძოლის ტაქტიკამ და პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ ირანმა ქართლისაგან მიიღო იმგვარი წინააღმდეგობა, როგორიც მას ამიერკავკასიაში არც ერთი სახელმწიფოსაგან არ მიუღია მაშინაც კი, როცა ამ უკანასკნელში მეფის ხელისუფლებას აუქმებდა. ვახტანგის ამგვარი მოღვაწეობის შედეგი იყო ისიც, რომ, საბრძოლო მარცხის მიუხედავად, ირანმა მთელი ამიერკავკასიიდან მხოლოდ ქართლში ვერ შეძლო მეფობისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმება.

ვახტაგ გორგასლის მედგარი წინააღმდეგობის, მოქნილი სახელმწიფო და სამხედრო პოლიტიკის საპირისპიროდ, სპეციალური სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიებები დაიგეგმა ირანში.

შაჰმა პეროზმა 484 წელს ამიერკავკასიაში სამხედრო აგრესიისათვის სამხედრო მობილიზაცია დაიწყო. ამ ლაშქარს სათავეში სარდალი ზორმიჰრ ჰაზარავუხტი ჩაუდგა. ლაზარ ფარპეცის ცნობით, შაჰმა მას უბრძანა, „წასულიყო ქართლში, მისი მეფე ვახტანგი შეეპყრო, მოეკლა, ან და იმ ქვეყნიდან გაეძევებინა“.

484 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიაში ირანელებთან ომი განახლდა.

ვახტანგ გორგასალმა იმთავითვე იცოდა, რომ ირანი მას არ აპატიებდა ავჯანყებას, მაგრამ ის მაინც უძლური აღმოჩნდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მას ცდა არ დაუკლია: ავჯანყებული ალბანელები და სომხები გვერდით დაიყენა, ბიზანტია და ჰუნები მოკავშირედ გაიხადა, მაგრამ რეალური დახმარება მათგან ვერ მიიღო. ვახტანგის ქმედებებში ჩანს მართლაც მოაზროვნე სახელმწიფო მმართველის პოლიტიკა, დიპლომატიისა და სამხედრო საქმის უბადლო ცოდნა, თუმცა იმდროინდელ რეალობაში ღალატი ჭარბობდა; ამიტომ, როცა ირანელები კვლავ შემოიჭრნენ და სომხეთ-ალბანეთის აჯანყება სისხლში ჩაახშვეს, ვახტანგს დიდი წინააღმდეგობის გაწევის საშუალება აღარ ჰქონდა. ამ მდგომარეობას შიდა ღალატიც ემატებოდა: ქართველ დიდებულთა ნაწილი, სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ირანელების მხარეს გადადიოდა. ვახტანგმა აქაც სწორად შეაფასა ვითარება და თუ წინა წელს შეტევაზე გადავიდა, ამჯერად თავდაცვითი ტაქტიკა გამოიყენა.

ბრძოლა მცხეთასთან გაიმართა. ქართული ჯარი ორ ნაწილად გაიყო და, დაახლოებით, 25 კილომეტრის თავდაცვით ზოლზე დაბანაკდა. უმეტესნი ცხენოსნები იყვნენ. ჯარის ერთი ნაწილი არაგვის ქვემო წელზე დადგა. ამ რაზმს ჯუანშერ სპასპეტი სარდლობდა. ქართველთა მეორე ნაწილი არმაზიდან თბილისამდე ტერიტორიაზე გაჩერდა. ამ რაზმს მეთაურობდნენ ნასრა და მირდატ ერისთავები. საგანგებოდ იყო გამაგრებული მცხეთა-არმაზის სიმაგრეებიც. ამ 25 კილომეტრიანი თავდაცვითი ზოლის ცენტრალურ გამაგრებულ ნაწილში მოექცა მცხეთა-არმაზი. ამგვარი განლაგებით მტერს გზა გადაეღობა ქვემო ქართლში შეღწევის შემთხვევაში. ამით გამოვლინდა ვახტანგ გორგასლის, როგორც დიდი სამხედრო სტრატეგის, განსაკუთრებული ნიჭი.

ამ ბრძოლისათვის მცხეთის ხიდი გაფართოვდა მტკვარზე, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დიდძალი ჯარის გადასვლა სწრაფად და მოქნილად მოხერხებულიყო. ამ ბრძოლის საერთო სარდლობა ვახტანგ გორგასალმა ითავა. „გორგასალი“ (ანუ „მგელთავი“), მუზარადზე გამოსახული მგლის გამო, ამ ბრძოლაში უწოდეს მას. როდესაც ირანელები ბრძოლის ველზე ვახტანგ მეფეს დაინახავდნენ, ერთმანეთს უყვიროდნენ: „ჯურ აზ გორგასალ“, რაც ნიშნავს: „ერიდეთ მგლისთავას“. ქართველი მემატიანე ჯუანშერი ასე გადმოგვცემს ვახტანგ მეფის ამბავს:

„ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნითაც მიმართის და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. მიერითგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან:

„დურ აზ გორგასალ“, რომელ არს ესე: „მირიდეთ თავსა მგლისასა“. და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ“.

მაშინ, როცა ქართველთა ჯარი შერჩეულ პოზიციებზე იყო დაბანაკებული, მტერი მდინარის ნაპირზე განლაგდა. ირანელები ქართველებს ერთ-ნახევრით სჭარბობდნენ. მათი მთავარი ბანაკი დიდუბის ველზე იყო. ბრძოლები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. სწორედ ასეთ ვითარებაში შეიტყვეს ქართლში მყოფმა ირანელებმა, რომ შაჰი პეროზი ჰეფთალიტებმა მოკლეს. ამან ფსიქოლოგიურად იმოქმედა ირანელებზე, მათმა სარდალმა ჰაზარავუხტმა ბრძოლა შეწყვიტა და ირანში გაბრუნდა.

პეროზის სიკვდილის შემდეგ ირანში მისი ძმა ვალარში გამეფდა. მან ქვეყნის მართვა დაიწყო ძალზე რთულ ვითარებაში. ხანგრძლივმა ომებმა დაასუსტა ქვეყანა როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე ეკონომიკურად. აუცილებელი იყო ქვეყნის გაძლიერება. საინტერესო ფაქტია, რომ მას ამიერკავკასიის ხალხებთან დაზავება ურჩია ირანელმა სარდალმა ჰაზარავუხტმა, რომელიც იბრძოდა ქართლში და კარგად იცოდა ქართველების დაუმორჩილებლობის ამბავი. ჩანს, იმ წინააღმდეგობების შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასლისაგან მიიღო ჰაზარავუხტმა, ახალ მეფეს ურჩია, ხელი აეღო ქართლსა და ამიერკავკასიის ქვეყნებზე გალაშქრებისაგან, რაც ადვილი საქმე არ იყო და ისედაც დასუსტებული ირანის ეკონომიკას კვლავ სერიოზულ ტვირთად დააწვებოდა. შაჰმა ვალარშმა გაითვალისწინა ჰაზარავუხტის რჩევა და ამიერკავკასიის ხალხებს დაუზავდა: აღუთქვა ავტონომიური უფლებები, შეუნარჩუნა ქრისტიანობა, მაგრამ მათგან მოითხოვა ირანის უზენაესობის აღიარება და, საჭიროების შემთხვევაში, ირანელთათვის სამხედრო დახმარება.

488 წელს ირანის ტახტზე ახალი შაჰი ავიდა, პეროზის ძე, ძლიერი და ენერგიული კავად ი.ემან მოკლე ხანში დაამარცხა და განდევნა ჰეპტალები, მოახერხა შიდა დაპირისპირებების აღმოფხვრა და სამეფოს შემდგომ გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა. მალე მან ახალი ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარება დაიწყო დასავლეთის მიმართულებით. 502 წელს კავად ი-მა ბიზანტიაზე გალაშქრება გადაწყვიტა და ვახტანგისგან სამხედრო ალიანსის შეკვრა მოითხოვა. მეფემ უარი შეუთვალა. სწორედ ეს გახდა ქართლში ირანელთა ახალი შემოსვლის საბაბი.ა ლაშქარს ამჯერად თავად შაჰი ჩაუდგა სათავეში. მასთან იყო ტახტის მემკვიდრე, უფლისწული ბარტამიც.

**უჯარმის ბრძოლის მიზეზები**. ირანს ვახტანგ გორგასალთან ომი რამდენიმე ფაქტორმა გადააწყვეტინა: ჯერ ერთი, ქართლში მეფობა ვერ გააუქმა (სომხეთისა და ალბანეთის მსგავსად), რაც ვახტანგ გორგასლის დამსახურება იყო; მეორეც, ამიერკავკასიაში ბიზანტიის ბატონობას ვერ ეგუებოდა, თანაც კარგად ახსოვდა, რომ ვახტანგი ამ ქვეყანასთან მოკავშირეობას ირანის საწინააღმდეგოდ ცდილობდა. ირანი ბიზანტიის წინააღმდეგ დიდ საომარ ოპერაციას აპირებდა, მაგრამ ქართლში პრობიზანტიური პოლიტიკის გამტარებელი მეფე უშლიდა ხელს. ირანი ბიზანტიასთან ბრძოლას მანამ ვერ დაიწყებდა, სანამ ჩრდილოეთიდან მისი ლაშქრის მარჯვენა ფლანგს საფრთხე ემუქრებოდა გორგასლის ჯარისგან; სანამ შესაძლო იყო, რომ ქართველებს მათზე ზურგიდან დაერტყათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმატების შემთხვევაში, ლაშქრის მარჯვენა ფლანგის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნებოდა.

**სამოქმედო რაიონი.** უჯარმის ველი მდებარეობს დასახლებული პუნქტების – პალდოს, ხაშმის, მულანლოსა და უჯარმას შორის. თბილისიდან 31 კმ-ზე უჯარმა სამხრეთ მიმართულებიდან ერწო-თიანეთის ბუნებრივი კარიბჭეა, მდ. იორის ხეობის ნაწილი. ჩრდილოეთით უჯარმის ციხისკენ მიმავალი უსწორმასწორო გზა ვიწრო ხევს მიუყვება. ციხე ერთ-ერთი მთის ქიმზე, მტრისთვის რთულად მისადგომზე, ბრძოლის ადგილიდან 5-6 კმ-შია. ბრძოლის ველი, სადაც შეტაკება მოხდა, საკმაოდ ვრცელი ვაკეა (15 ჰექტრამდე), რომელიც შემოფარგლულია ტყიანი მთის ფერდობებით,ა.ალაგ-ალაგ ხევებს უერთდება და აქვს ნალისებური ფორმა. დღევანდელი სამხედრო ტერმინით, მას შეიძლება დავარქვათ სასიკვდილო ზონა. ნაწილობრივ ამითაც იყო განპირობებული ის, რომ გორგასალმა მოწინააღმდეგე საზღვართან არ შეაჩერა, ასეთ ადგილზე შემოიტყუა და დიდი ძალებით მანევრირების შესაძლებლობა მოუსპო.

**საბრძოლო წყობა.** ვახტანგი გრძნობდა, რომ საბოლოოდ მაინც ვერ ასცდებოდა ირანელებთან სერიოზულ დაპირისპირებას, ამიტომ მტრის მოახლოებამდე ხალხს მოუწოდა, რომ თავი მთებისა და ტყეებისთვის შეეფარებინათ.

გორგასალმა შეკრიბა ჯარი და უჯარმის შესასვლელში, მდინარე იორის ხეობაში დადგა. როგორც ჩანს, ასეთი მოქმედებით გახიზნულ მოსახლეობას იცავდა, თანაც ეს მხარე, მთებისა და ტყეების გამო, ძნელად მისადგომი იყო, რაც ირანელებს სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდა. ჩანს, ვახტანგი, გარდა სტრატეგიული მომენტებისა, იმასაც ითვალისწინებდა, რომ ირანელები რიცხოვნობით აღემატებოდნენ ქართველებს და დამატებით წინააღმდეგობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ქალაქ მცხეთაში სამი ერისთავი დატოვა, დიდი გარნიზონით.

საინტერესო იყო უჯარმის ბრძოლაში ქართული ჯარის საბრძოლო წყობა, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგებოდა:

**ი.** ცენტრალური – სათავეში მეფით;

**იი.** კლდოვანი ადგილებიდან შემტევი მარცხენა ფრთა – მხოლოდ ქვეითები;

**ააა**. მარჯვენა ფრთა – ქვეითები და ცხენოსნები.

მოწინააღმდეგის საომარი ეტლებისა და კავალერიის შესაჩერებლად მეფემ საბრძოლო ილეთი გამოიყენა: უჯარმის ველზე ღრმა თხრილები გააკეთებინა, შუბები და ხმლები პირით ზევით დაასმევინა და ფიჩხი და ბალახი წააყრევინა.

**ბრძოლის მსვლელობა.** ირანელები უჯარმის კარიბჭეს მიადგნენ და სოფელ ხაშმის მიმდებარე ტერიტორიაზე დაბანაკდნენ. თავად ვახტანგი, სამეფო კარსა და უმაღლეს სამღვდელოებასთან ერთად, უჯარმის ციტადელში დადგა და ბრძოლის პროცესს იქიდან წარმართავდა. უჯარმასთან ბრძოლა სამ დღეს მიმდინარეობდა. პირველ დღეს ირანელებმა ქართული ჯარის ცენტრს შეუტიეს, მაგრამ ფლანგებიდან მათი მეისრეების ცეცხლქვეშ აღმოჩნდნენ. ბრძოლა მთელ დღეს გრძელდებოდა. მეორე დღეს ირანელებმა უშუალოდ უჯარმის მიმართულებით დაიწყეს შეტევა, მაგრამ ქართული ქვედანაყოფების სიმტკიცის შედეგად ეს შეტევაც მარცხით დასრულდა. უშედეგო აღმოჩნდა ფლანგებიდან შეტევებიც. მეოთხე დღეს ვახტანგ გორგასალმა თავად შეუტია.

უჯარმის ბრძოლაში ქართველებმა სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. მემატიანის ცნობით, ვახტანგ გორგასალი თავად შეიჭრა მტრის ჯარში და მოკლა სპარსთა მეფის ძე ბარტამი, მაგრამ თვითონაც ამ ომშივე დაიჭრა სასიკვდილოდ. კავად ი-მა გაქცევით უშველა თავს.

ჯუანშერის ცნობით, „სპარსმა ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა“.

არსენ ბერის (ᲡᲛᲘ ს.) „ცხოვრებაი ნინოის“ პერიფრაზით: „მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვსაი ღლიასა ქუეშე და აღიპყრა რაი ხრმალი თვსი, რაითა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუეშე და მით მოკუდა“.

ამ ორ ცნობას თუ ერთმანეთს შევადარებთ, გამორიცხული არ არის, ვივარაუდოთ, რომ სპარსი ყოფილა ის მონაყოფილი, რომელმაც ვახტანგ გორგასალი დაჭრა სასიკვდილოდ. როგორც ცნობილია, მონათა უმეტესობა სწორედ სამხედრო ტყვეები იყვნენ. არ არის გამორიცხული, ვახტანგის სპარსი მკვლელიც მონა, ანუ ყოფილი სამხედრო ტყვე ყოფილიყო.

ირანელები დამარცხდნენ. მათ რუსთავისაკენ დაიხიეს. ვახტანგ გორგასალი, ჯერ კიდევ დაჭრილი, შეიყვანეს უჯარმაში. საინტერესოა, რომ მეფემ ჯარს არ მისცა მტრის დადევნების ნება. როგორც ჩანს, ვახტანგი ხედავდა, მისი დაჭრით რამდენად დაიბნა და აირია ჯარი. ამას გარდა, ქართველებს საკმაო დანაკლისი ჰქონდათ ოთხდღიან ბრძოლაში და ვახტანგ გორგასალს არ უნდოდა, რომ მსხვერპლის რაოდენობა გაზრდილიყო.

როცა ირანელებმა ვახტანგ გორგასლის სასიკვდილოდ დაჭრის ამბავი გაიგეს, მოარბიეს ქართლის მხარეები, მაგრამ მცხეთა-არმაზის სიმაგრეები მაინც ვერ დაიპყრეს. 502 წელს ისინი საქართველოდან გავიდნენ.

**ანალიზი.** ისტორიის ყველაზე მკაცრი მსაჯული ხალხია. იგი დიდებით მოსავს ქვეყნისთვის თავდადებულ გმირებს. ვახტანგ გორგასალი სწორედ იმ სახელმწიფო მოღვაწეთა რიცხვშია, რომლებმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს შთამომავალთა ხსოვნაში.

სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა ხალხმა შეიყვარა იგი. ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ, რომელიც უმნიშვნელოვანესი წყაროა, მრავალი თქმულება თუ ლექსი შემოგვინახა გმირებზე. ხალხური გადმოცემები ხშირად უფრო ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის, ვიდრე საგანგებოდ შექმნილი ისტორიული თხზულებები. ერთ-ერთი ასეთი ლექსი ვახტანგ გორგასალზეცაა შემორჩენილი, რომელიც მისდამი ხალხის დამოკიდებულებას ასახავს:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა – დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.
ოსებში გადაიარა, ჩერქეზები გადარეკა.“

ვახტანგ გორგასალი არა მარტო ჯუანშერისათვის, არამედ სხვა ეპოქის მემატიანეებისათვისაც სამაგალითო იყო. „მატიანე ქართლისას“ ავტორი, საუბრობს რა ბაგრატ ააა-ზე, დასძენს: „და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა“.

აღსანიშნავია, რომ „გორგასლიანობა“ გახდა ქართულ ცნობიერებაში სიმხნევის, სიდიადის, ახოვნებისა და სიძლიერის აღმნიშვნელი ტერმინი. თამარის გარდაცვალების შემდეგ, მემატიანის ცნობით, ლაშა-გიორგის ვაჟკაცობის ხილვით გახარებული დიდებულები, ასე მიმართავდნენ მას: „„დიდი ნუგეშინისცემა მოგუემატა ღმერთისა მიერ, რამეთუ გპოვეთ ახოვანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავითიანი“.

საქართველოს სამეფო დროშასაც „გორგასლიანი“ უწოდეს, სამეფო სპას ბრძოლებში თეთრი სამეფო „გორგასლიანი“ დროშა მიუძღვოდა წინ, რომლის დიდება ვახტანგს უკავშირდება. მემატიანე აღნიშნავს: „აქა ჟამამდე სვიანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული არა-სადა ძლეულ-იყო“.

გორგასლის სამხედრო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო:

– სტრატეგიული ხედვა და მოკავშირეთა გონივრული გამოყენება;
– ადგილმდებარეობის ეფექტური გამოყენება და ძალთა არათანაბარი გადანაწილება;

– მოწინააღმდეგის ძალთა დემორალიზება, მათი მეთაურების ორთაბრძოლაში განადგურებითა და პირველი ეშელონის მოქმედებით;
– ქართველ მეფეთაგან პირველად სამთო ბრძოლების შემოღება;
– ლაშქრის გვარეობათა (ცხენოსანი, ქვეითი) კოორდინირებული მოქმედება;
– მძიმედ აღჭურვილი ცხენოსნების გარღვევის უბანზე და მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნების რეზერვში გამოყენება;
– საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა;
– თავდაცვითი და შეტევითი ბრძოლების წარმართვა და რთულ რელიეფზე მარშირება.

**შედეგები.** ვახტანგ გორგასალმა შეძლო სახელმწიფოს მართვის სისტემის შექმნა, იმ დროისათვის ანგარიშგასაწევი ჯარის ჩამოყალიბება და საფორტიფიკაციო მშენებლობების განვითარება. ირანის წინააღმდეგ აშკარა ამბოხისა და ომების მიუხედავად, მან ქართლის სამეფოსა და ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების შენარჩუნება სიცოცხლის ბოლომდე მოახერხა.

## §9. ირან-ბიზანტიის ომები და საქართველო

**პოლიტიკური ვითარება.** IV ს-ის პირველ ნახევარში, ირანსა და ბიზანტიას შორის ომის დაწყებისას, ბიზანტიას დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ირანს აღმოსავლეთ საქართველოზე ჰქონდა გავლენა, თუმცა ორივეს ქართველ მეფეთა ხელისუფლების გაუქმება სურდა. საქართველოსადმი ბიზანტიისა და ირანის მძაფრი ინტერესი განპირობებული იყო საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობით.

ირანს დასავლეთ საქართველოში გაბატონება სურდა. ამით მას ევროპაზე ზღვით გასვლის შესაძლებლობა გაუჩნდებოდა და, საჭიროების შემთხვევაში, უკიდურესად შეზღუდავდა ბიზანტიის სამხედრო-პოლიტიკურ გავლენას წინა აზიაში. ირანის მიერ ეგრისის დამორჩილებით ქართლის სამეფოც დაუძლურდებოდა და უფრო მეტად დამოკიდებული გახდებოდა მასზე.

ბიზანტიისათვისაც უმნიშვნელოვანესი იყო ეგრისის ტერიტორია. მისი სტრატეგიული გეოპოლიტიკა ირანთან მეტოქეობის შესანიშნავ საშუალებას იძლეოდა. ეგრისის სამეფოთი ბიზანტია ირანს შავ ზღვაზე გასასვლელს უკეტავდა. გარდა ამისა, იმდროინდელ ჩრდილო კავკასიას მნიშვნელოვანი დონორული ფუნქციაც ჰქონდა დიდი იმპერიებისათვის. აქ მომთაბარე-მოსახლე ტომები (თურქული წარმოშობის ჰუნები, ირანული წარმოშობის ალანები) ადვილად ებმებოდნენ დიდ ბრძოლებში. შესაძლებელი იყო მათი დაქირავება და ამით საჯარისო დანაყოფების შევსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ მსოფლიო ბატონობისათვის ორი ცივილიზაციის (ქრისტიანული და მაზდეანური) დაპირისპირება მიმდინარეობდა. სტრატეგიულად მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიაზე კონტროლის დაწესებას, რადგან არსებული პრობლემის მოგვარების გასაღები სამხრეთ კავკასიაში იყო. ქართული სამეფოები, თავიანთი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩათრეული აღმოჩნდნენ აღნიშნულ პროცესში. იმის გამო, რომ ეგრისსა და ქართლს იმ დროისთვის ორ ძლიერ იმპერიასთან დაპირისპირების საკმარისი ძალები არ ჰქონდათ, იძულებული იყვნენ შექმნილი ვითარების შესაბამისად მიმხრობოდნენ იმ მხარეს, რომელთანაც სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების შესაძლებლობა ექნებოდათ. სწორედ ეს იყო მიზეზი მომავალი ბრძოლებისა, რომლებსაც სამხედრო ისტორიის კუთხით განვიხილავთ.

**მებრძოლი მხარეები.** ბიზანტიის ჯარის მთავარი ნაწილი იყო ბარბაროსთა ცხენოსანი რაზმები. მძიმე შუბოსანი კავალერია გერმანული ტომებისაგან შედგებოდა. აღმოსავლეთ ევროპიდან და ჩრდილო კავკასიიდან დაქირავებული ნაწილებისაგან ბიზანტიის იმპერიის ცხენოსან მოისართა რაზმებს აყალიბებდნენ. ქვეითთა ნაწილს ქირაობდნენ მცირე აზიასა და ბალკანეთის მთიან რეგიონებში. ასეთი ჯარის დაქირავება და სხვადასხვა ტომისაგან შექმნა ხელსაყრელი იყო, მაგრამ მებრძოლთა მრავალეთნიკურობა საფრთხესაც შეიცავდა, ამიტომ მათ იმპერიის გამოცდილი მაღალჩინოსანი რომაელი სარდლები მეთაურობდნენ. ისინი ქმნიდნენ მოქნილი კონტროლისა და მართვის სისტემებს. სამხედრო ხელოვნება რომაულ ტრადიციებზე იყო დაფუძნებული.

ბიზანტიის ჯარი ეგრისში იდგა. მათი მთავარი გარნიზონი პეტრას ციხე-ქალაქში იყო (დღევანდელი ციხისძირი, აჭარაში). ციხესიმაგრე აგებული იყო ზღვის პირას, კლდეზე. აქ იყო ბიზანტიის იმპერიის ჯარის სარდლის – სტრატეგოსის რეზიდენცია ეგრისის სამეფოში. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიამ ვერ შეძლო მეფობის გაუქმება ეგრისში, აქ რეალური ძალაუფლება მიანიჭა სტრატეგოსს.

ამ დროს ეგრისის მეფე იყო გუბაზ III. მას მმართველის სახელი ფორმალურად ჰქონდა. მეფის ფუნქციის რეალური მატარებელი ფაქტობრივად სტრატეგოსი იყო და ყველა საქმეს იგი განაგებდა. ამ მდგომარეობით სარგებლობდნენ ბიზანტიელი მოხელეები, რომლებიც თვითნებობდნენ, მოსახლეობას ავიწროებდნენ, მათი მოთხოვნების შესრულებას აიძულებდნენ. ისინი ანგარიშს არ უწევდნენ არც მაღალი, არც დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებს. უკმაყოფილება იზრდებოდა ეგრისის თითქმის ყველა ფენაში. ამიტომ მეფე გუბაზმა გადაწყვიტა, ბოლო მოეღო

ბიზანტიის ეგრისზე გავლენისათვის და სათანადო ძალა მოეძებნა. მან ირანში გააგზავნა ელჩები დახმარებისათვის.

ამ პერიოდში აღნიშნულ ქვეყანას ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე – შაჰი ხოსრო ი ანუშირვანი, ხოლო ბიზანტიას ასევე ცნობილი და დიდებული იუსტინიანე მართავდა.

შაჰმა ანუშირვანმა მიიღო მეფე გუბაზის თხოვნა და 542 წელს ეგრისში ლაშქარი გამოგზავნა. ირანის მრავალრიცხოვან ჯარს თვითონ ხოსრო ი ხელმძღვანელობდა. ირანელებმა გაიარეს ქართლი და ეგრისის საზღვარი გადალახეს. ხოსრო შუა ეგრისში (ქუთაისი-სამტრედიის ტერიტორია) შეხვდა გუბაზს. ეგრისელთათვის მიმხრობამ განაპირობა ის, რომ ირანელებმა მთელი ეგრისი სწრაფად გაიარეს.

გუბაზმა და ხოსრომ ერთად შეიმუშავეს სამომავლო მოქმედებების გეგმა. გადაწყვიტეს, რომ თავდაპირველად იერიში პეტრას ციხეზე მიეტანათ, სადაც იდგა ბიზანტიელთა გარნიზონი იოანე ციბეს მეთაურობით. პეტრას აღებით ბიზანტიელთა მთავარ სიმაგრეს დაეუფლებოდნენ, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღმოსავლეთ პროვინციებიდან და ირანის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრებიდან შემომავალ გზას კეტავდა. მეორე მნიშვნელოვან გზას, რომელიც ეგრისში სამხრეთიდან შემოდიოდა, აბასთუმნის, ზეკარის გადასასვლელითა და ბაღდათით, უკვე ირანი აკონტროლებდა. ამიტომ, პეტრას აღებით, იგი სრულად დაეუფლებოდა მთელ სტრატეგიულ ხაზს ბიზანტიისაკენ.

ხოსრომ ჯარის ნაწილი, ანიაბედის მეთაურობით, პეტრასკენ გაგზავნა, ხოლო მეორე ნაწილი – ჩრდილოეთით, პიტიუნტისა (ბიჭვინთა) და სებასტოპოლისაკენ (სოხუმი). ამ ადგილებში მდგარმა ბიზანტიურმა ჯარებმა გადაწვეს ქალაქები და ტრაპეზუნტში გაიქცნენ.

**პირველი ბრძოლა პეტრას (ციხისძირი) ციხისათვის.** როცა ეგრისელები და ირანელები პეტრას მიუახლოვდნენ, ბიზანტიელმა სარდალმა იოანე ციბემ ხერხს მიმართა. მან ბრძანა, ჩუმად ყოფილიყვნენ და ქალაქის ზღუდეს არ გასცილებოდნენ. ამ ხერხმა გაჭრა. ირანელთა სარდალ ანიაბედს ბიზანტიელები პეტრადან გაქცეული ეგონა, მაგრამ, როცა ხოსროს აცნობა ამის შესახებ, სამხედრო ხელოვნებაში კარგად გათვითცნობიერებული შაჰი მიხვდა, რომ ეს სატყუარა იყო. მან ანიაბედს დამატებითი ძალები მიაშველა, თან შეტევა უბრძანა. ქალაქის კარს მიაყენეს კედლის სანგრევი მანქანები (ტარანები). სანამ ირანელთა ჯარის ნაწილები ანიაბედის სარდლობით პეტრას ასაღებ სამხედრო ოპერაციას ატარებდნენ, ხოსრო ბრძოლის მსვლელობას მაღალ გორაზე დაბანაკებული ადევნებდა თვალს. შაჰის გაფრთხილების მიუხედავად, ანიაბედი დარწმუნებული იყო, რომ პეტრა ცარიელი იყო და ამიტომ თამამად მიადგა მას. ამ დროს ბიზანტიელთა გარნიზონის ჯარმა ქალაქის ჭიშკარი სწრაფად გააღო და ეგრის-ირანის გაერთიანებულ ჯარს ეძგერა. ამ ხერხმა შედეგი გამოიღო: ირანელები დაიბნენ, სამხედრო საბრძოლო წესზე დაწყობა ვერ მოასწრეს. ამან ისინი დიდად დააზარალა. გადარჩენილებმა ანიაბედთან ერთად გაქცევით უშველეს თავს. ხოსრო საშინლად განრისხდა და ამ მარცხის გამო სარდალი სიკვდილით დასჯა. ამის შემდეგ სამხედრო ოპერაციას თვით შაჰი ჩაუდგა სათავეში და პეტრაზე ყოველმხრივი შეტევა დაიწყო. სიმაგრის კედლებიდან ბიზანტიელები ისრებს ისროდნენ. ამითვე პასუხობდნენ ირანელებიც. მთელი დღე გრძელდებოდა ბრძოლა. დღის ბოლოს იოანე ციბეს ისარი მოხვდა და დაიღუპა. ამ ფაქტმა ცუდად იმოქმედა ბიზანტიელებზე. ჯარი დაიბნა, მაგრამ ბრძოლა მაინც არ შეწყვეტილა.

მეორე დღეს, გამთენიისას, ბრძოლა განახლდა. ირანელთა ჯარის ერთმა ნაწილმა ქალაქის ერთ-ერთი კოშკის ქვეშ გვირაბი გათხარა, ქვები გამოიღო, შეშით ამოავსო, ცეცხლი წაუკიდა და კოშკი ასე დაანგრია. ირანელთა ჯარის მეორე ნაწილმა კედლის სანგრევი მოწყობილობა გამოიყენა. ეგრისში ბიზანტიელთა მთავარი გარნიზონი – პეტრას ციხესიმაგრე ირანელებს დანებდა. ხოსრომ პეტრაში ირანული გარნიზონი ჩააყენა, თავად კი ბიზანტიელ ტყვეებთან ერთად წავიდა ირანში, სადაც ბიზანტიელი სარდალი ველიაზარი იყო შეჭრილი.

545 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის ზავი დაიდო. პეტრა ირანელთა მთავარი გარნიზონის პლაცდარმი გახდა ეგრისის სამეფოში, რომელიც ირანის გავლენის ქვეშ მოექცა. ეგრისელები ისე იყვნენ ბიზანტიელთაგან შეწუხებული, რომ ირანელები მხსნელებად მიიჩნიეს, მაგრამ ამ უკანასკნელთა რეალური ზრახვები მალე გამომჟღავნდა. კერძოდ, შაჰმა ეგრისელთა აყრა, გადასახლება და ირანული მოდგმის ტომების ჩამოსახლება მოისურვა. გარდა ამისა, ხოსროს გუბაზ მეფის მოკვლაც უნდოდა. საამისოდ მან ერთ საიმედო კაცს, ფაბრიზს, სამასი სანდო მეომარი ჩააბარა და ქართველი მეფის მოსაკლავად ეგრისში გამოაგზავნა. ჩამოსვლისთანავე ფაბრიზი ადგილობრივ აზნაურს – ფარსანს დაუკავშირდა, რომელიც მეფე გუბაზს ემტერებოდა. ფარსანისთვის ნათელი გახდა ირანელთა გეგმები. ის მიხვდა, რომ ისინი ამით არა გუბაზს, არამედ ეგრისს უქადდნენ საშინელებას და, პირადი მტრობის მიუხედავად, გუბაზს მათი განზრახვა აცნობა.

როცა ეგრისელებმა შეიტყვეს ირანელთა რეალური ზრახვები, კვლავ ბიზანტიას დაუკავშირდნენ. გუბაზმა ამჯერად იუსტინიანეს სთხოვა, ეპატიებინა მისთვის განდგომა და დახმარებოდა ეგრისის სამეფოდან ირანელთა განდევნაში. ბიზანტია კმაყოფილი დარჩა ეგრისელთა გადაწყვეტილებით და 549 წელს მათ 8 000 მეომარი გაუგზავნა, რომელთაც ედგისთე სარდლობდა. ბიზანტიისა და ეგრისის ჯარები გაერთიანდნენ და პეტრაში გამაგრებულ ირანულ გარნიზონს ერთობლივად შეუტიეს. მტერი კარგად იყო გამაგრებული. მას სურსათ-სანოვაგეც

მომარაგებული ჰქონდა, რაც ომის დროს წარმატებისათვის მნიშვნელოვანია. ირანელები ვარაუდობდნენ, რომ დამხმარე ძალა მოდიოდა მათი ქვეყნიდან სარდალ მერმეროეს მეთაურობით და დრო გაჰყავდათ. გუბაზმა სწორად შეაფასა ვითარება და გადაწყვიტა, ეგრისელებისა და ბიზანტიელების გაერთიანებულ ჯარს ორი მიმართულებით ემოქმედა, კერძოდ: პეტრასთვის ალყა არ უნდა მოეხსნათ, დაგისთეს ჯარის ნაწილებით ეგრისში შესასვლელი გზები უნდა გაეკონტროლებინათ. თავად გუბაზს ეგრისელთა ჯარით ქართლიდან ეგრისში გადმოსასვლელი გზები უნდა ჩაეკეტა, რითაც გამოირიცხებოდა პეტრას ირანული გარნიზონისათვის დამხმარე ძალის მიშველება ირანიდან. ამ სტრატეგიული გადაწყვეტილებით გამოჩნდა, რომ გუბაზ მეფემ სამხედრო საქმე კარგად იცოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაგისთე უფრო გამოუცდელი აღმოჩნდა.ომან სათანადოდ ვერ შეაფასა გუბაზის გადაწყვეტილება და გზების ჩასაკეტად მხოლოდ 100 მებრძოლი გაგზავნა.

ბიზანტიელი სარდლის არასწორი სამხედრო ტაქტიკური გადაწყვეტილების გამო, გენერალური ბრძოლის მიუხედავად, ბიზანტიელები იძულებული გახდნენ პოზიციები დაეთმოთ. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი მოქმედება მათი სტრატეგიული ჩანაფიქრის ნაწილი იყო. როგორც ჩანს, ვარაუდობდნენ, რომ საკუთარი ძალების პასიურობით დროს მოიგებდნენ და ორ საქმეს ერთდროულად გააკეთებდნენ, კერძოდ: ბრძოლაში ირან-ეგრისი დაზარალდებოდა და, რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაცლის შემთხვევაში, ამ მხარეს ადვილად შეერთებდნენ საკუთარ იმპერიას.

კოლხეთი თოვლით დაიფარა. ირანელებს გაუჭირდათ. ისინი ზამთარში ბრძოლას არ იყვნენ ჩვეული, აღარც სურსათ-სანოვაგე ჰქონდათ. მერმეროემ თავისი 30 000-იანი ჯარიდან ეგრისში 5 000 მებრძოლი დატოვა, დანარჩენი პერსარმენიაში (ირანის ბატონობას დაქვემდებარებული სომხეთის ტერიტორიები) გადაიყვანა და ქალაქ დვინში დააბანაკა.

გუბაზი შეწუხებული იყო ბიზანტიელთა და ეგრისელთა მარცხით. ვერ ეგუებოდა, რომ ირანელები კვლავ ბატონობდნენ ეგრისში. ის ქართლიდან ეგრისში გადასასვლელი გზების კონტროლს განაგრძობდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამით შესაძლებელი გახდებოდა ეგრისის დაცვა ირანული ძალებისაგან. გუბაზი ცდილობდა, რომ ირანელები ეგრისის ცენტრალურ რაიონებში მაინც არ შემოეშვა. ამიტომ რიონის მარჯვენა სანაპირო ზოლი საგანგებოდ ჰქონდა გამაგრებული. დაგისთეც და ირანელთა ჯარებიც რიონის მარცხენა სანაპიროზე იდგნენ. ამ ვითარებაში იუსტინიანე და ხოსრო ახალი შეტევისთვის ემზადებოდნენ, რომელიც 550 წლის გაზაფხულზე უნდა განახლებულიყო.

სანამ ირანელებს ახალი ძალები დაემატებოდა და გამოზაფხულდებოდა, გუბაზმა გადაწყვიტა, მერმეროეს მიერ დატოვებული 5000 ირანელი მაინც გაენადგურებინა. ამ მიზნით მიმართა დაგისთეს, გაერთიანებულიყვნენ ოპერაციის ჩასატარებლად. დაგისთე, რომელიც ირანელების მსგავსად რიონის მარცხენა სანაპიროზე იდგა, გამოუყვა მდინარეს და იმ ადგილას დადგა, სადაც რიონის მარჯვენა ნაპირზე გუბაზი იდგა. ეგრისელებმა, ირანელებისა და ბიზანტიელებისაგან განსხვავებით, კარგად იცოდნენ მდინარის გადასასვლელები და რიონზე ისე გადავიდნენ, რომ ირანელებსა და ბიზანტიელებს ვერც კი წარმოედგინათ მდინარის ამგვარი გადალახვის შესაძლებლობა იმ ადგილებში. გუბაზისა და დაგისთეს ჯარები გაერთიანდნენ. ეგრისის მეფემ ტყვედ ჩაიგდო ირანელთა ორი მზვერავი, მათგან შეიტყო მათი მზვერავი რაზმების განლაგება, დაესხა თავს და დაამარცხა. ამის შემდეგ გუბაზმა გადაწყვიტა, რომ ირანელთა დარჩენილ 4 000 მეომარს დასხმოდა თავს. მტრის მთავარ ბანაკს მშვიდად ეძინა. გამთენიისას მას თავს დაესხნენ ეგრისელთა და ბიზანტიელთა ჯარები. დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლა. მოულოდნელი თავდასხმის შედეგად ირანელები სასტიკად დამარცხდნენ. მათი დიდი ნაწილი განადგურდა, დანარჩენი კი ტყვედ ჩავარდა. ირანელთა იარაღი, ცხენები, სახედრები, ფული და დროშები მოკავშირეებს დარჩათ. გუბაზმა ქართლში გარეკა გაქცეული ირანელები და მათგან გაწმინდა თავისი სამეფო. ირანელთა გარნიზონი მხოლოდ პეტრაში დარჩა. 551 წელს ბიზანტიელმა სარდალმა ბესამ 6 000 მებრძოლით რამდენიმე დღეში მთლიანად გაანადგურა პეტრას ციხესიმაგრეში დარჩენილი 2 300 ირანელი. ბიზანტიამ კოლხეთში დასაყრდენი კვლავ მოიპოვა.

**ბრძოლა ცხენისწყალთან.** 550 წელს ეგრისს ირანის მრავალრიცხოვანი ჯარი შემოესია ხორიანეს სარდლობით. ბანაკი მდინარე ცხენისწყალთან გაშალეს. მათთან ერთად იყვნენ ალანებიც, რომლებიც ირანელებმა ეგრისელებთან საომრად დაიქირავეს. ცხენისწყლის მეორე მხარეს განლაგებული იყვნენ ეგრისელები და ბიზანტიელები.

გუბაზმა და ბიზანტიელთა სარდალმა დაგისთემ ეგრისში სამხედრო თათბირი გამართეს. აქ უნდა გადაეწყვიტათ, ირანელების იერიშს დალოდებოდნენ, თუ თავად გადასულიყვნენ შეტევაზე. სამხედრო თათბირზე ბრძოლის გეგმა იხილებოდა. გუბაზ მეფე და მისი მომხრე ეგრისელები მოითხოვდნენ, რომ შეეტიათ, ასევე ცალ-ცალკე ებრძოლათ ირანელების წინააღმდეგ. მათი აზრით, ბრძოლის მოტივაცია განსხვავებული იყო: ეგრისელებს საკუთარი ოჯახებისა და სამშობლოს დასაცავად უნდა ებრძოლათ და ამიტომ ეს იქნებოდა ძალზე თავგანწირული შებრძოლება. ამგვარი მკაფიო და მძაფრი მოტივაცია ბიზანტიელებს არ ჰქონდათ და ერთობლივი შეტევის პირობებში მათ უმოქმედობას, შეიძლებოდა, ეგრისელებისათვის ხელიც კი შეეშალა. ამის მაგალითი ამ უკანასკნელთ პეტრადან დაგისთეს სამარცხვინო გაქცევის სახით ჰქონდათ კიდეც. ამიტომ გადაწყდა, რომ შეტევაზე თავად გადასულიყვნენ.

მეფე გუბაზმა მებრძოლებს სიტყვით მიმართა, რაც ჯარის სულისკვეთების ასამაღლებელი და საბრძოლო მუხტის მიმცემი იყო. ეგრისელთა და ბიზანტიელთა ჯარს შემდეგნაირი საბრძოლო წყობა ჰქონდა:

– პირველ ხაზზე იყო ეგრისელთა ცხენოსანი ჯარი;
– მათ უკან განლაგებული იყო ბიზანტიელებისაგან შემდგარი კავალერია;
– ზურგში იდგნენ მთავარსარდლები – გუბაზი და დაგისთე, რომლებსაც თავიანთი ქვეითი ჯარი ჰყავდათ.

ხორიანემ ბანაკში დატოვა რაზმი, მთავარი ძალა კი, მისი სარდლობით, საომარი ადგილისაკენ გაემართა. მათ წინ მიუძღოდა ირანელთა მზვერავი (ავანგარდი) ათასეული.

ბრძოლა პირველმა ხაზმა, ეგრისელმა ცხენოსნებმა დაიწყეს. მათ ირანელებს შეუტიეს და შემდეგ ჯარის სხვა ნაწილებიც ჩაებნენ ბრძოლაში. ირანელებმა და მათ მიერ დაქირავებულმა ალანებმა საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ეგრის-ბიზანტიის ლაშქარს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეს უკანასკნელნი ფალანგისებურ საბრძოლო წყობაზე გადავიდნენ. ის აუცილებელი ხდებოდა მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი ჯარის შეტევიდან თავდაცვაზე გადასვლისას. ასეთ დროს მხედრები ჩამოქვეითდებოდნენ და მჭიდროდ შეკრულ „კედელს“ ქმნიდნენ. ასეთ მეომრებს საშუალება ეძლეოდათ, ფარებით დაცულებსა და შუბმომარჯვებულებს, მოეგერიებინათ მტრის კავალერია. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ამ დროს ერთ-ერთი მეომრის ნასროლმა ისარმა ირანელთა სარდალი ხორიანე მოკლა. ამ ფაქტმა გადამწყვეტად იმოქმედა ბრძოლის შედეგზე: სარდალმოკლული ჯარი დაიბნა, დაიშალა და დემორალიზებული უკუიქცა.

**მეორე ბრძოლა პეტრას ციხისათვის.** ირანელებთან ბრძოლაში ბიზანტიელთა სარდალ დაგისთეს სამარცხვინო მარცხის შემდეგ იმპერატორმა იუსტინიანემ იგი დააპატიმრა, მის მაგივრად კი 70 წლის სარდალი ბესა გამოგზავნა.

551 წლის გაზაფხულზე მან ალყა შემორტყა პეტრას, რომელშიც ირანელები იყვნენ გამაგრებული. ბესამ ციხის კედელთან გვირაბის გათხრა ბრძანა, სწორედ იქ, სადაც ეს დაგისთემ გადაწყვიტა. მაშინ ეს ფაქტი ირანელებმა შეიტყვეს, გვირაბი სხვადასხვა საშუალებით ამოავსეს და ზედ კედელიც დააშენეს, ამიტომ, როცა ბესამ იმავე ადგილზე გათხარა გვირაბი, მიწის გამოღების შემდეგ კედელმა ჩაიწია და მთელი სივრცე ამოავსო. მართალია, კედელი დადაბლდა, მაგრამ მასზე გადასვლა მაინც შეუძლებელი იყო.

დაქანებული და უსწორო ადგილების გამო პეტრას ციხესთან ლოდსატყორცნების მიყენება ჭირდა. ეს მანქანები სახლის ფორმის იყო, ოთხი დიდი ბოძით აგებული საგორავებზე დადგმული დიდი ნაგებობა. ბიზანტიელთა ჯარში მებრძოლი ჰუნების მიერ საბირების გამოგონებამ ეს მანქანები მათი ახალი სახით ჩაანაცვლა. ეს იყო ერთმანეთთან გადაბმული ღობურა. მანქანა მთლიანად ტყავით იფარებოდა. შიგნით თოკებზე ერთი რკინით თავმოჭედილი ძელი ეკიდა, რომელიც კედელს ეჯახებოდა და ანგრევდა. ასეთი მანქანები მსუბუქიც იყო. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა პეტრას სიმაგრის კედლებთან მათი მიტანა და ციხის ნგრევა. მეომრები გრძელი შუბებით კედელთან იდგნენ მანქანასთან ერთად. როცა ეს უკანასკნელი კედლის ქვებს არყევდა, მეომრები მათ შუბებით იღებდნენ. ასე, თანდათანობით, ინგრეოდა კედელი.

ამის საპასუხოდ, ირანელებმა მნგრეველებს გოგირდით, შავი ფისითა და ნავთით შეზავებული მასისგან ანთებული ქოთნები დაუშინეს, რითაც წვავდნენ მოიერიშეებს.

ბესამ კედელს მიადგა კიბეები, ავიდა და მაგალითი მისცა მეომრებს. გაჩაღდა ბრძოლა. 2 300 ირანელი 6 000 ბიზანტიელს დაუპირისპირდა. ისინი კედლის შიგნიდან უწევდნენ წინააღმდეგობას კიბეებზე ასულ ბიზანტიელებს, მაგრამ იერიშის შეკავება თანდათან ძნელდებოდა. ცალკე კედლის სანგრევი მანქანები გუგუნებდნენ, ცალკე კიბეებზე ადიოდნენ მეომრები, ამიტომ სხვადასხვა ფრონტზე მოიერიშეთა ერთნაირი წარმატებით მოგერიება გაძნელდა.

ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კეისარიელი გადმოგვცემს: „აქ რომაელებსა და სპარსელებს შორის გაიმართა ისეთი ბრძოლა და ვაჟკაცობის გამომჟღავნება, რომლის მსგავსიც ამ ჩვენს დროში, ვფიქრობ, არ ყოფილა“.

კიბიდან გადმოაგდეს ბესაც. ბიზანტიელთა სარდალი დაშავდა და ფეხზე ვეღარ დგებოდა. მისივე ბრძანებით, ის პეტრას ციხის კედლიდან მოშორებით გადაათრიეს მისმა მეომრებმა. ბესამ აქ უკვე შეძლო ადგომა, გაამხნევა მებრძოლები, კვლავ სიმაგრისაკენ გასწია, მივიდა კედელთან და ისევ კიბეზე ავიდა. ამან გმირობის დიდი მაგალითი მისცა ბიზანტიელ მეომრებს.

ირანელები ციხიდან კვლავ განაგრძობდნენ ცეცხლმოკიდებული ქოთნების სროლას, მაგრამ უეცრად ქარი ამოვარდა და ცეცხლი თვით იმ კოშკებს მოედო, საიდანაც იყრებოდა. ამასობაში კოშკის მცველებიცა და იქ მყოფნიც მთლიანად გამოიწვნენ, კედელიც ჩაინგრა და ბიზანტიელები სიმაგრეში შევიდნენ. პეტრას ირანული გარნიზონი საღამოს დანებდა. 500 ირანელი ქალაქის შიგნით, აკროპოლისში იყო გამაგრებული. მათ წინააღმდეგ ბიზანტიელებმა მეორე დღეს განაახლეს ბრძოლა. ირანელმა მეომრებმა ბესას წინადადებაზე – დანებებულიყვნენ – უარი განაცხადეს. სამაგიეროდ, ბიზანტიელმა სარდალმა აკროპოლისს ცეცხლი წაუკიდა და შიგ გამოწვა დარჩენილები. ბიზანტიელებმა მთლიანად აიღეს პეტრა.

ბიზანტიელი ისტორიკოსი, პროკოპი კეისარელი, აღნიშნავს: „ნათელი გახდა, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდა ხოსრო ლაზიკას: მას ყველაზე უფრო მამაცი ჯარისკაცები გამოერჩია პეტრას დასაცავად. სურსათიც იმდენი აღმოჩნდა შიგ, რომ გარნიზონს ხუთი წლის განმავლობაში ეყოფოდა“.

**ბრძოლა არქეოპოლისთან (ნოქალაქევი).** 551 წელს ბიზანტიელებმა პეტრას ციხესიმაგრე კვლავ დაიბრუნეს, რათა ის ირანისათვის დასავლეთ ამიერკავკასიაში დასაყრდენი მომავალშიც არ გამხდარიყო. ამის საპასუხოდ, ირანელმა სარდალმა მერმეროემ შეტევა დაიწყო ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯზე – არქეოპოლისზე. მერმეროეს დიდძალი ჯარი და საომარი სპილოებიც ჰყავდა.

ციხე-გოჯი, რომელსაც ბერძნები არქეოპოლისს ეძახდნენ, ტეხურას პირას იყო გაშენებული. ქალაქის მთავარი ციხესიმაგრე მის მაღალ გორაზე იყო აგებული. როდესაც მერმეროე ქალაქს უახლოვდებოდა, მზვერავებმა აცნობეს, რომ მოშორებით, რიონის შესართავთან, მოწინააღმდეგის ჯარი იყო დაბანაკებული. მდინარესთან მიახლოებულმა მერმეროემ ჯერ ამ ჯარის განადგურება და შემდეგ ქალაქის ციხის აღება გადაწყვიტა. მისმა გამოჩენამ დააბნია ეგრისელები და ბიზანტიელები. ჯარი მდინარის მეორე ნაპირზე გადავიდა. მათ ვერ მოასწრეს სურსათის მთლიანად გადატანა და მდინარეში გადაყარეს, რათა ირანელებს არ ესარგებლათ. იქ მისულ მერმეროეს ბანაკი ცარიელი დახვდა და ციხე-გოჯისკენ გამობრუნდა. მიადგა თუ არა ქალაქს, მშვილდოსნები მისი ზემო ჭიშკრისაკენ გაგზავნა, თვითონ კი, ძირითადი ჯარით, სპილოებითა და ლოდსატყორცნი მანქანებით, ქალაქის ქვემო ჭიშკრისკენ გაემართა.

ბრძოლის წინ მერმეროემ ერთი მოღალატე აზნაური ნახა და მას დაავალა, რომ ბრძოლის დაწყებისას ცეცხლი წაეკიდებინა იმ ნაგებობებისათვის, რომლებშიც ქალაქის გარნიზონის სურსათი ინახებოდა. ამით მერმეროემ ხერხს მიმართა: თუ მეციხოვნეები ცეცხლის ჩაქრობას გადაწყვეტდნენ, მაშინ ირანელებს ქალაქის აღება გაუადვილდებოდათ, რადგანაც მათთან შესაბრძოლებლად მცველებს არ ეცლებოდათ; თუ ქალაქის მცველები ირანელთა მოგერიებას შეუდგებოდნენ და ცეცხლს არ ჩააქრობდნენ, წარმატებული თავდაცვის შემთხვევაშიც კი, სურსათი აღარ ექნებოდათ და მაინც დამარცხებისათვის იქნებოდნენ განწირული. მოღალატემ შეასრულა მერმეროეს დავალება – წაუკიდა ცეცხლი სურსათით სავსე შენობებს, მაგრამ ბიზანტიელი სარდლის გეგმა ვერ შესრულდა, რადგან ქალაქის მცველებმა ცეცხლის ჩასაქრობად მცირე ჯგუფი გამოყვეს, მათი დიდი ნაწილი კი მტერს შემოსასვლელში დახვდა.

ირანელები ისე დაიბნენ, რომ საბრძოლო წყობის შექმნაც ვერ მოახერხეს. ისინი ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. ციხე-გოჯისთვის უშედეგო ბრძოლაში ირანელებმა დაკარგეს სამი სარდალი და 4 000 მეომარი. მათ ვერ გაანადგურეს ეგრისის დედაქალაქი, მაგრამ ეგრისის მნიშვნელოვან ციხესიმაგრეებში – ქუთაისში, უქიმერიონში, შორაპანსა და სხვა ადგილებში – თავიანთი ჯარები ჩააყენეს.

553 წელს მერმეროემ აიღო ტელეფისის ციხე (ახლანდელი ტოლები სამტრედიის რაიონში). ირანელების წარმატება ბიზანტიელთა უმოქმედობამ განაპირობა. გუბაზ მეფემ იმპერატორს აცნობა ამის თაობაზე და მანაც გადააყენა სარდალი ბესა. განაწყენებულმა ბიზანტიელმა სამხედრო მაღალჩინოსნებმა 554 წელს გუბაზ მეფე მოაკვლევინეს, რამაც უფრო მეტად დაძაბა მდგომარეობა მის სამეფოში.

ეგრისელებმა კარგად დაინახეს, რომ არც ბიზანტია და არც ირანი სანდო პარტნიორები არ იყვნენ. მეფის მკვლელობამ საკმაოდ აღაშფოთა მოსახლეობა. აშკარად გამოიკვეთა გაურკვევლობა ეგრისის მომავალთან დაკავშირებით. ასე მწვავედ ადრე არასოდეს დამდგარა ქვეყნის ორიენტაციის პრობლემა. ამჯერად ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული საკითხი იყო, რადგან ორივე შესაძლო მოკავშირე – ირანიცა და ბიზანტიაც – ეგრისელებს უკვე გამოცდილი ჰყავდათ. ორივე მათგანმა გამოავლინა საკუთარი ზრახვები. ხალხი ორად გაიყო. პოლიტიკოსთაგან ზოგი ბიზანტიის, ზოგიც ირანის მოკავშირეობას ემხრობოდა.

ბიზანტიურ წერილობით წყაროებში VI საუკუნის ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების უთვალსაჩინოესი მაგალითია დაცული: სახელმწიფო ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით, ეგრისის ერთ-ერთ ხეობაში სახალხო კრება მოიწვიეს, რომელზეც ერთი საკითხი განიხილებოდა: ირანის მოკავშირეები გამხდარიყვნენ ეგრისელები, თუ კვლავ ბიზანტიელებს მიმხრობოდნენ. მეფის მკვლელობით აღშფოთებულმა ხალხმა კრებაზე მოიყარა თავი. სიტყვით გამოვიდნენ იმდროინდელი პოლიტიკოსები, განსხვავებული აზრის მქონე აზნაურთა სხვადასხვა ჯგუფის ლიდერები: ფარტაზი და აიეტი. მათი სიტყვები იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი აზროვნების შესანიშნავი ნიმუშია, ასევე მჭერმეტყველური ხელოვნების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

**აიეტის სიტყვა**. „...გაქრა კოლხთა ძველი დიდება და ამიერიდან ვეღარ ვეღირსებით სხვებზე მბრძანებლობას. ამის შემდეგ აქეთ გვიბრძანებენ და ვეცადოთ, ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომნი იყვნენ. ნუთუ უკიდურესი უგუნურობა არ არის, რომ ვსხედვართ და ვმსჯელობთ: მტრებად ჩავთვალოთ ისინი, ვინც ეს ჩაიდინა, თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ, რომ მათი თავხედობა ამაზე არ შეჩერდება: თუ ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ და გულხელდაკრეფილი ვისხდებით, ისინი არ მოგვეშვებიან, უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნამუსს. მე

ვინატრებდი, კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს ძველი ძლიერება, არ დასჭირდეს უცხო და გარეშე ხალხთა დახმარება და ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის ან უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთ უძლურებაში ჩავცვივდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, ვფიქრობ, უმჯობესია, იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია. სასირცხვილო იქნება, თუ ჩვენს მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დავუწყებთ. ის რომ ახლა აქ იყოს, საყვედურებით აგვავსებდა და დაგვზრახავდა ჩვენი დაუდევრობის გამო, რომ ეს ბოროტმოქმედნი, იმის მაგიერ, რომ დიდი ხნის წინათ ყოფილიყვნენ გაძევებული, ჯერ კიდევ დადიან ამ მიწა-წყალზე. ამიერიდან გუბაზი ველარ გამოჩნდება ჩვენ შორის და ვერც სიტყვით მოგვმართავს, მაგრამ ის თითქოს ამ კრებაზეა და მიგვითითებს თავის ჭრილობაზე, მკერდსა და კისერზე და თვისტომთ სთხოვს: ახლა მაინც გადაუხადეთ მტერს სამაგიერო... ნუ ვაყოვნებთ, დროს ტყუილად ნუ ვკარგავთ, სასწრაფოდ შევუდგეთ საქმეს, სპარსელებს მივეხმაროთ და ბიზანტიელები განვდევნოთ“.

აიეტის გამოსვლამ ძალიან იმოქმედა სახალხო კრების მონაწილეებზე. ხალხმა იქუხა: ახლავე ირანელების მხარეს დავდგეთო, მაგრამ ამ დროს კრების წინაშე წარდგა აზნაურთა მეორე ჯგუფის წარმომადგენელი, ეგრისელთა შორის დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება – ფარტაზი.

**ფარტაზის სიტყვა.** „აიეტის სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებთ, მომხდარი ამბავი საშინელება არ არის, თითქოს საზიზღარ მკვლელობას არ კიცხავდეთ და მხოლოდ იმაზე მსჯელობდეთ, არიან თუ არა გუბაზის მკვლელები დამნაშავენი. მე კი ვამბობ, წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და დიდად მესიამოვნებოდა მათი სასტიკად დასჯა; სიამოვნებით შევხედავდი არა მარტო იმათ დაღუპვას, ვინც განგმირა გუბაზი და საკუთარი ხელით ჩაიდინა ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, აგრეთვე იმათაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაუხარდათ და არც თუ ისე აღშფოთდნენ. თუმცა მე ამას ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეზე რომ გადავიდეთ, მაინც არ იქნება სასარგებლო. მსჯელობის დროს ნუ აჰყვებით მოწოლილ ბოღმასა და გულისტკივილს, რომ არ დავკარგოთ მოსაზრების უნარი და ბუნდოვანი არ გავხადოთ ჩვენი მსჯავრი, შევინარჩუნოთ ɑ:უნარი უკეთესის არჩევის. უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს, მათ არ აშფოთებთ ცვლილებები და, როდესაც წინანდელ მდგომარეობას კარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს. სპარსელები ჩვენი წეს-ჩვეულებების, ჩვენი სარწმუნოების მტრები არიან. ისინი აგვიკრძალავენ მამა-პაპის ადათებს და თავიანთ სჯულზე გადაყვანას შეეცდებიან. ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლები ვიქნებით და, ამავე დროს, მკვდრებიც. მეორე მხრივ, რომ დავუშვათ, სპარსელები მართლაც სანდონი არიან და ეს აზრი მივიღოთ, მაშინ განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი გადაწყვეტილების – სპარსელების მხარეზე გადასვლის – შესრულებას, რადგან ბიზანტიელთა მრავალრიცხოვანი ჯარი ზედჳთავზე გვადგას და ირანელები კი შორს არიან. ნურავინ ცდილობს, გული აგვიჩუყოს მიცვალებული გუბაზით, თითქოს ჯაბანივით მოტირალი ჭრილობებს უჩვენებდეს თავის ტომს და ევედრებოდეს, შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებას, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს, გუბაზს. ის რომ აქ იყოს, უეჭველია, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვკიცხავდა ჩვენი ამგვარი ზრახვებისათვის, მოგვიწოდებდა, არ მივცემოდით სასოწარკვეთილებას, მონების მსგავსად კი არ გავქცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სასირცხვილო და მამაპაპური წესების შემბილწველი არ ჩაგვედინა, არსებულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავით და იმედი გვქონოდა, რომ უზენაესის თვალი არ მოაკლდება ერს. მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა, რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან. თუკი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა, მეორე გზას დავადგეთ. თუ ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხონებული გუბაზი არ დაგვივწყნია და იმასაც, რომ საქმეებს მოფიქრებით ვაგვარებთ და არა წინდაუხედავად“.3

ფარტაზის სიტყვამ გადამწყვეტად იმოქმედა ხალხზე და სახალხო კრებამაც მისი ვარიანტი მიიღო. აქ გამოვლინდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების და, რაც მთავარია, პოლიტიკურ მოღვაწეთა სახელმწიფოებრივი აზროვნება. ორივე გამომსვლელი აბსოლუტურ სიმართლეს ამბობდა და ორივეს სიტყვა ძალზე არგუმენტირებული იყო. ფარტაზის გამოსვლა იყო მაგალითი იმისა, თუ როგორი მიდგომით უნდა აირჩიოს სახელმწიფომ მოკავშირე საერთაშორისო ასპარეზზე, როგორ მიუდგეს ქვეყანა ორიენტაციის საკითხს და როგორ უნდა გაკეთდეს არჩევანი. საბოლოოდ, კრებამ მაინც ფარტაზის ზომიერ პოლიტიკას დაუჭირა მხარი, რაც არა მხოლოდ პოლიტიკურ ლიდერთა, არამედ იმდროინდელი საზოგადოების გონიერებაზე მეტყველებს.

სახალხო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, ეგრისელებმა ბიზანტიის იმპერატორისაგან მოითხოვეს გუბაზის მკვლელთა დასჯა და მეფედ მისი უმცროსი ძმის – წათეს დამტკიცება (წათე ამ დროს სწორედ კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა). იმპერატორმაც, იმის შიშით, რომ ეგრისელები

კვლავ ირანელების მხარეს არ გადასულიყვნენ, ეგრისელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე თანხმობა განაცხადა.

555 წელს სარდალ ნახორგანის მეთაურობით ირანელებმა დაახლოებით 60 000-იანი ჯარით კვლავ ილაშქრეს ეგრისზე. ჯარის ერთი ნაწილი ლაშქრობის წინ ირანელებმა გაგზავნეს არქეოპოლისთან დაბანაკებული ბიზანტიელებისგან დაქირავებული ჰუნთა ტომის – საბირების წინააღმდეგ საბრძოლველად. გზად ირანელებმა ტყეში ერთი ეგრისელი დააკავეს, რომელსაც მეგზურობა მოსთხოვეს. ღამის სიბნელეში ეგრისელმა მოახერხა, ირანელებს დაშორდა, საბირებთან მათზე ადრე მივიდა და შეძახილით გააღვიძა: „საცოდავებო, საცაა ამოწყდებით“! საბირებმა რომ შეიტყვეს ირანელთა ლაშქრობის შესახებ, მაშინვე დატოვეს ბანაკი და ჩასაფრდნენ, ბანაკის კარი კი ღია დატოვეს, რათა ირანელები შეეტყუებინათ. ასეც მოხდა. საბირები ბანაკში შესულთ გარედან დაესხნენ თავს. აქაც მოულოდნელობის ფაქტორმა იმოქმედა. ირანელები საბირების ეშმაკობით დაიბნენ, შეტაკებისას დიდი ზარალი ნახეს და უკუიქცნენ. გზების უცოდინრობის გამო ისინი უთავბოლოდ მოქმედებდნენ. გამთენიისას არქეოპოლისიდან ბიზანტიელთა ჯარი გამოვიდა, საბირებს შეუერთდა და მათთან ერთად მუსრი გაავლო ირანელებს. 3 000 ირანელი მეომრიდან 1 000 გადარჩა და სარდალ ნახორაგანის ბანაკამდე მიაღწია.ჳ

ირანელთა ძირითად ჯარსა და ეგრის-ბიზანტიის გაერთიანებულ ჯარებს შორის მთავარი ბრძოლა ფაზისთან (ფოთი) მოხდა.

**ბრძოლა ფაზისისათვის (ფოთი).** *ϴჳ*არქეოპოლისთან დამარცხების შემდეგ ირანის ჯარების სარდალმა ნახორაგანმა 555 წელს ფაზისის აღება გადაწყვიტა. დამპყრობლებმა გადალახეს მდინარე რიონი და ფაზისისაკენ დაიძრნენ. ბიზანტიელებმა გაიგეს ეს ამბავი და ხომალდებითა და ნავებით გასწიეს ფაზისისაკენ, რათა მოწინააღმდეგეს გამაგრებული პოზიციებით დახვედროდნენ. ამის გამო ნახორაგანმა მდინარე რიონი მორებითა და ნავებით ჩახერგა ფაზისის მისასვლელთან. გარდა ამისა, მდინარის მთელ სიგრძეზე, სადაც კი სპილოებით გასვლა შეიძლებოდა, ჯარი ჩააყენა და ამით მდინარე მთლიანად გადაკეტა. ბიზანტიელები ფაზისისაკენ წყლით ვეღარ გავიდნენ. ისინი იძულებულნი გახდნენ, ხმელეთზე გადასულიყვნენ, მდინარის მარჯვენა სანაპიროთი გაემართნენ ფაზისისაკენ და მაინც დაასწრეს ირანელებს ქალაქში ჩასვლა. ციხესიმაგრე ამ დროს ხის იყო, სიძველისაგან მორყეული და დანგრეული, ამიტომ ქალაქის მცველებმა მისი გამაგრება დაიწყეს. წინ დამცავი ზღუდე ააგეს, ციხის გარშემო ღრმა თხრილი შემოავლეს, რომელშიც წყალი პალიასტომის ტბიდან გაყვანილი არხით შეავსეს. რიონის შესართავთან, ზღვის ნაპირზე და თვით მდინარე რიონზეც მოამზადეს დიდი სატვირთო ხომალდები და ნავები მიაბეს, რომლებშიც მშვილდ-ისრით, შურდულებით, ქვისმტყორცნი მანქანებით შეიარაღებული მეომრები ისხდნენ. ქალაქის მცველებმა ორმოები ამოთხარეს, რომ ასეთივე მანქანები ირანელებს არ მიეყენებინათ ფოთის კედლთან; ამავდროულად, ფოთის სიახლოვეს მათ გადაწვეს სოფლები, რათა ირანელებს არ მისცემოდათ ნაგებობების დანგრევის შესაძლებლობა ამ ორმოების ამოსავსებად. მოკლედ, ისტორიული წყაროების მიხედვით, ფაზისის დაცვა მთელი სამხედრო-საბრძოლო მასშტაბით წარიმართა.

ირანელებსაც არ დაუკლიათ მცდელობა ფოთის ასაღებად. თუ ქალაქის მცველებმა ორმოები ამოთხარეს, მათ ამოსავსებად ირანელებმა ტყეებში დაიწყეს ხეების მოჭრა. ბიზანტიელთა სარდალი ამ დროს იყო მარტინე. მან კარგად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და დასახა გეგმა. გადაწყვიტა ნაცნობი საბრძოლო ხერხისთვის მიემართა: თავისი ჯარის გასამხნევებლად, მოწინააღმდეგის ლაშქარში კი არეულებისა და დაბნეულობის შესატანად კომედია გაითამაშა: შეკრიბა ჯარი, ვითომ ბრძოლის ტაქტიკაზე მეომრებთან მოსათათბირებლად. ამ დროს ერთი უცნობი მოვიდა მასთან და მებრძოლების თვალწინ გადასცა იმპერატორის წერილი. მარტინემ გამოართვა ბარათი და კითხვა დაიწყო:

„გიგზავნით ახალ ჯარს, იმაზე არანაკლებს, ვიდრე გყავთ... არა აუცილებელი საჭიროებისათვის, არამედ უფრო ჩვენი თქვენდამი კეთილგანწყობილების დასამტკიცებლად... მაშ მიიღეთ ეს ჯარიც, იყავით ყოჩაღად და იბრძოლეთ მამაცურად იმაში დარწმუნებულმა, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც საჭირო იქნება“.

მარტინემ წერილი ხმამაღლა წაუკითხა ჯარისკაცებს, თუმცა რეალურად არც ეს წერილი იყო იმპერატორის გამოგზავნილი და არც მისი მომტანი მოდიოდა კონსტანტინოპოლიდან. ეს გათამაშებული სცენარი იყო. წერილის წაკითხვის შემდეგ მარტინემ ხმამაღლა მიმართა წერილის მომტანს: „რად გვინდა დამხმარე ძალა, ასე ხდება ყოველთვის – ჩვენ ვამარცხებთ მტერს, შემდეგ კი გამარჯვების ჯილდოს სხვებს უნაწილებენ. ახლაც ეს ჯარი მზადაა მტერი სასტიკად დაამარცხოს. არ გვინდა დამატებით აღარავინ, უკან წავიდნენო“. სარდალმა შემდეგ ჯარს მიმართა კითხვით, თუ ეთანხმებოდნენ და მანაც დასჭექა: მართალიაო! ამ საქციელით ჯარის საბრძოლო სულისკვეთება ამაღლდა. მარტინეს ხერხმა კიდევ ის შედეგი გამოიღო, რომ ამბავი დამხმარე ძალის მოსვლის შესახებ ირანელებამდეც მივიდა. მათ შეეშინდათ ბიზანტიელთა დამხმარე ლაშქრისა. ნახორაგანმა ძლიერი რაზმი გაგზავნა იმ მიმართულებით, საიდანაც შეიძლებოდა ეგრისში დამხმარე ძალა შემოსულიყო ბიზანტიიდან. სინამდვილეში დამხმარე ჯარი არ მოდიოდა. ნახორაგანმა ქალაქის აღების სტრატეგიაც ნაჩქარევად შეცვალა: გადაწყვიტა, დამხმარე ჯარის მოსვლამდე აეღო ფაზისი და დაიწყო შეტევა.

ირანელები ფაზისის კედლისკენ დაიძრნენ. ამ დროს ერთ-ერთი ბიზანტიელი სარდალი, იუსტინე, 5 000 ცხენოსნით ქალაქიდან სამხრეთის მიმართულებით გაემართა უახლოეს ტაძარში სალოცავად. ნახორაგანი ქალაქის ზღუდეს მიადგა. დაიწყო ბრძოლა. ნასროლი ისრებისგან აღარაფერი ჩანდა. ნაწილი ქალაქის ხის სიმაგრეს ანგრევდა, ნაწილი ლოდსატყორცნიდან ისროდა. იუსტინე ტაძრიდან უკან მობრუნდა თავის თანმხლებ 5000 მეომართან ერთად და დაინახა თუ არა გაჩაღებული ბრძოლა, მაშინვე ჩაება. ირანელებმა ეს ჯარი ბიზანტიიდან დასახმარებლად მოსულად მიიჩნიეს, რამაც სრული პანიკა და არეულობა შეიტანა ირანელთა რიგებში. მათ უკან გაქცევაზე დაიწყეს ფიქრი. ირანელთა მარცხენა ფრთა მთლიანად მოიშალა და გაიქცა. მარჯვენა ფრთაზე ბიზანტიელებს გაუჭირდათ. აქ ირანელები მწყობრად იდგნენ. ამ დროს ვიწრო ადგილას მომწყვდეული აღმოჩნდა ერთ-ერთი ბიზანტიელი მებრძოლი, რომელსაც სპილო უნდა სძგერებოდა. უეცრად მეომარმა ცხოველს შუბლში ჩასცა შუბი. სპილომ სიმწრისაგან თავისა და ხორთუმის აქეთ-იქით, ირანელების მიმართულებით, დაიწყო ქნევა, გასრისა ირანელი მეომრები, შემდეგ ცხენებს დაერია, რომლებმაც, ამით დამფრთხლებმა, თავიანთ მხედრებს დაუწყეს გადმოყრა. შეიქნა დიდი ქაოსი და ამ ფლანგზეც აირია ირანელების საბრძოლო წყობა. ფაზისის მცველები ბრძოლიდან გაქცეულ ირანელებს დაედევნენ, მაგრამ მალე საყვირის ხმამ ჯარს ამცნო ბრძოლის დასასრული. ირანელებმა ფაზისისათვის ბრძოლაში 10 000-ზე მეტი მეომარი დაკარგეს. ნახორაგანმა გაქცეული ჯარის ნაწილი ქუთათისში დატოვა, თავად კი ქართლში გადავიდა.

ბრძოლის შემდეგ ბიზანტიელებმა იმპერატორის მიერ ადრე გამოგზავნილი სენატორის თავმჯდომარეობით გუბაზ მეფის მკვლელების სასამართლო გამართეს. რუსტიკე და მისი ძმა იოანე სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მარტინე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ბიზანტიელთა ჯარის სარდლად ეგრისში იუსტინე დაინიშნა.

556 წელს ირანელები კიდევ ერთხელ დამარცხდნენ ეგრისისათვის ბრძოლაში. საბოლოოდ, აშკარა გახდა, რომ ისინი აქ ფეხს ვერ მოიკიდებდნენ. ეგრისისა და ბიზანტიის მოკავშირეობის დარღვევა ირანს არ შეეძლო. ამ რეალობას სწორად აღიქვამდა ირანის შაჰი ხოსრო ი ანუშირვანი და ბიზანტიასთან დაზავდა. 562 წელს დადებული 50-წლიანი ზავით ირანმა ცნო ბიზანტიის იმპერიის გავლენა ეგრისზე.

## §10. ბრძოლები თბილისის ასაღებად ბიზანტიელებისა და ხაზარების ლაშქრობების დროს

ბიზანტიის იმპერია ორ საუკუნეზე მეტხანს ცდილობდა ძველი რომაული სამხედრო სისტემის შენარჩუნებას. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო იმპერატორ იუსტინიანეს რეფორმები. მან ძველი რომის იმპერიის თავდაცვითი სისტემა აღადგინა. სამხედრო რეფორმის გატარება VI საუკუნეში დაკავშირებულია ჰერაკლე კეისრის სახელთან, რომელმაც მთელი იმპერია „თემებად“ დაანაწევრა და სტრატეგოსები ჩაუყენა სათავეში. „თემების“ სისტემამ საბოლოო სახე VIII საუკუნეში მიიღო და იმპერიის დასასრულამდე იარსება. ამავე პერიოდს ეხება ბიზანტიის სამხედრო წყობის ევოლუცია და ცვლილებები შეიარაღებაში.

„ბერძნული ცეცხლი“ – ასე ეწოდებოდა ბიზანტიელთა ყველაზე საიდუმლო იარაღს. მისი დამზადების წესი სირიელმა არქიტექტორმა კალინიკმა იმპერატორ კონსტანტინე IV-ს გაანდო VII საუკუნის III ნახევარში (დაახლ. 673 წლის ახლო ხანები). „ბერძნული ცეცხლის“ შემადგენლობა დღემდე დაუზუსტებელია. ვარაუდობენ, რომ ეს უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ინგრედიენტისგან შემდგარი ბლანტი მასა. „ბერძნულ ცეცხლში“ შედიოდა: ნავთი, გოგირდი, გვარჯილა, ფისი, ჩაუმქრალი კირი. „ბერძნული ცეცხლის“ ჩაქრობა წყლით შეუძლებელი იყო, ამიტომაც ამ „საიდუმლო იარაღს“ ბიზანტიელები აქტიურად იყენებდნენ მოწინააღმდეგის ფლოტის წინააღმდეგ. მოგვიანებით შეძლეს იმ ნივთიერების მიგნება, რომელიც „ბერძნულ ცეცხლს“ აქრობდა. ეს იყო ძმარი და შარდი. „ბერძნულ ცეცხლს“ საგანგებო ჭურჭელში ათავსებდნენ და კატაპულტის მეშვეობით ესროდნენ გემებს, ციხესიმაგრეებზე შემომდგარ მოწინააღმდეგეს, ციხის ალყისას კი ქალაქში აგდებდნენ და აზიანებდნენ საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების შენობებს.

VII საუკუნეში მიმდინარე ბიზანტია-ირანის ომების შედეგად ამ უკანასკნელმა ვერ აისრულა საწადელი – გაჭრილიყო შავ ზღვაზე და ხელში ჩაეგდო ამიერკავკასიაში გამავალი სავაჭრო გზები. VII საუკუნის დასაწყისიდან კვლავ განახლდა ამ ორი ქვეყნის დაპირისპირება. ბიზანტიაში ამ დროს მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და იმპერატორი გახდა ჰერაკლე. მას საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო. ჰერაკლეს მმართველობამდე ირანმა ბიზანტიას წაართვა სირია, ფინიკია, სომხეთი, ეგვიპტე, პალესტინა. ამ დროს ბიზანტიას არ ჰქონდა ქართლის სამეფოზე გავლენის მოპოვების საშუალება და ეს უკანასკნელიც ირანს ექვემდებარებოდა. ჰერაკლეს იმპერატორობის დროს ირანის შაჰი ხოსრო III გახდა. ამ პერიოდს დაემთხვა ცნობილი საეკლესიო განზეთქილება ქართლსა და სომხეთს შორის, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო წმინდა დოგმატურ-რელიგიური, საეკლესიო საკითხებით, მეორე მხრივ, ეს იყო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური თემა. თუ სომხეთმა აირჩია მონოფიზიტობა – აღმოსავლური ეკლესიის მოძღვრება, რომელიც არ იდევნებოდა ირანის

მიერ, პირიქით, მისგან მხარდაჭერილიც კი იყო, ქართლი დიოფიზიტობის გზას დაადგა. ეს იყო ქრისტიანობის ბერძნულ-რომაული აღმსარებლობა. საერთოდ, რელიგიას, გარდა წმინდა საღვთისმეტყველო-რწმენითი ასპექტებისა, უდიდესი სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ირანმა კარგად იცოდა, რომ ქართლის დიოფიზიტობა ამ სახელმწიფოს ბიზანტიასთან სულიერი კავშირის გაღრმავებას გამოიწვევდა და ეს იქნებოდა არა მხოლოდ ქართლის არისტოკრატიისა და პოლიტიკური მოღვაწეების ორიენტაციის საკითხი, არამედ ამ ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერებაში ბიზანტიის სულიერ მოკავშირედ აღქმა. ამგვარი კავშირ-ერთობის დაძლევა გაცილებით ძნელი იქნებოდა, ვიდრე მხოლოდ სამხედრო წინააღმდეგობისა. ამიტომაც, ბიზანტიის საწინააღმდეგოდ, თვითონ არაქრისტიანულმა ირანმა მონოფიზიტობას დაუჭირა მხარი. ამით მას სურდა ბიზანტიისათვის ქრისტიანულ სამყაროში სულიერი და პოლიტიკური მოკავშირეები ჩამოეცილებინა. ირანმა მხარი აუბა სომხეთში მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის (იგივე ქალკედონიტობის) რელიგიურ მიმდინარეობებად აღიარებას, რაც ვერ მოხერხდა ქართლში და, საერთოდ, სრულიად საქართველოში. ამის მიუხედავად, ⴆიⴒ საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს კირიონ ⴒ იძულებული გახდა ერისმთავარ ადარნასესთან ერთად დაეტოვებინა ქართლი.

ბიზანტიაში ჰერაკლე კეისრის მმართველობის დასაწყისშივე საგრძნობლად შეიცვალა ქვეყნის მდგომარეობა საერთაშორისო მასშტაბით. ჰერაკლე საკმაოდ ნიჭიერი და, რაც მთავარია, შესანიშნავი მხედართმთავარი აღმოჩნდა. მან წარმართა სერიოზული შეტევა ირანზე. ქართლში ამ დროს მეფობა გაუქმებული იყო. ქვეყანას ფაქტობრივად ერისმთავარი განაგებდა. ადარნასე ქართლის ერისმთავარი ბიზანტია-ირანის დაპირისპირებაში პირველის მხარეს იდგა, თუმცა, ქართლის მოსახლეობის მონოფიზიტი ნაწილი ირანს ემხრობოდა.

ჰერაკლე კეისრის აღმოსავლური პოლიტიკის უმთავრესი პრობლემა იყო ამიერკავკასიის ქვეყნების დამორჩილება და იქ ირანის გავლენის შეზღუდვა, ამისათვის კი აუცილებელი იყო ირანელების ქართლიდან განდევნა და ამიერკავკასიის უმთავრესი ცენტრის – თბილისის აღება. ის ფაქტი, რომ თავის აღმოსავლურ პოლიტიკაში ჰერაკლე კეისარმა თბილისის აღების საკითხი ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დასახა, ამ ქალაქის უმნიშვნელოვანეს როლზე მიუთითებს.

ჰერაკლემ ძალთა მობილიზაცია მოახერხა, ფაქტობრივად, ახალი არმია შექმნა, სომხეთსა და ალბანეთში შეიჭრა და ირანს რამდენიმე მარცხიც აგემა. 627 წელს კეისარმა ახალი შეტევა დაიწყო. ის ჯერ დასავლეთ საქართველოში შეიჭრა, შემდეგ დაუკავშირდა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ხაზარებს და თბილისზე ლაშქრობა შესთავაზა. ჰერაკლემ, ანტიირანული კოალიციის შექმნის მიზნით, დასავლეთის ხაზართა ხაკანატს (თურქიუტთა სახელმწიფოს) მიმართა. ხაზარები თურქულენოვანი წარმოშობის ხალხი იყო, რომელიც ჰუნების შემდეგ გამოჩნდა ჩრდილოეთ კავკასიაში. მათი ძირითადი საქმიანობა სტეპებში მომთაბარეობა იყო. ⴆიⴒ საუკუნის ⴒიⴒ ნახევრიდან ხაზარები თურქთა ხაკანატის შემადგენლობაში შევიდნენ, რომლის დაშლის შედეგად შეიქმნა ხაზართა დამოუკიდებელი ხაკანატი, რომელიც ⴝ საუკუნეში დაიშალა. ამის შემდეგ ეს ხალხი ყივჩაღებს შეერია.

ხაზარებმა მიიღეს ბიზანტიის წინადადება და ჯარით ქართლისაკენ დაიძრნენ. თურქებს სარდლობდა უფლისწული მოხო, რომელიც ჯიბღუ ხაკანად არის წოდებული ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით. ჯიბღუ მოხოს ტიტული იყო და მეფისნაცვალს, ხაკანის მოადგილეს ნიშნავდა. თურქთა ჯარი თბილისს მოადგა. სწორედ აქ შეუერთდა მათ ეგრისიდან გადმოსული ჰერაკლე. თბილისს ირანული გარნიზონი იცავდა თავისივე სარდლით. მოკავშირეების ალყის შემორტყმამდე, ირანმა მოასწრო დამატებით 1 000-მხედრიანი ჯარის შეყვანა.

თბილისის დაცვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მეციხოვნეები, რომლებმაც ბიზანტიელ-თურქთა ჯარს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ქალაქის დამცველებს მეთაურობდა ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი, რომელიც ამ დროს დაიღუპა. თბილისისათვის ბრძოლა 627 წლის შემოდგომაზე მოხდა. ამ დროს სხვადასხვა საომარ ხერხს მიმართეს. ბიზანტიელებმა და თურქებმა სცადეს მდინარე მტკვრის გადაკეტვა და ქალაქზე წყლის მიშვება, რაც უშედეგო აღმოჩნდა.

„ჩრდილოეთისა და დასავლეთის ჯარების აურაცხელი სიმრავლე მთებივით შემოერტყა ქალაქს გარშემო. მათ თან ჰქონდათ ოთხთვალიანი მანქანები და ჰრომაელ ოსტატთა ხელით გაკეთებული სხვა ნაირნაირი საშუალება, რომლებიდანაც ზუსტად ისროდნენ და უზარმაზარი ქვებით კედლებს ანგრევდნენ. მათ ასევე ჰქონდათ ლოდებით გატენილი რუმბები, რომლებითაც ქალაქის მხარეს მომდინარე დიდ მტკვარს უკან აბრუნებდნენ და მიმართავდნენ კედლისკენ“, – წერს იმ პერიოდის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს კალანკატუაცი. ამის შემდეგ იყო ციხის იერიში ბიზანტიური ლოდსატყორცნებიდან, მაგრამ ამანაც ვერ დასცა ქალაქის მთავარი სიმაგრე.

მოკავშირეებმა თბილისი დაიკავეს, მაგრამ კალას (ნარიყალა) ციტადელში დარჩნენ მეომრები, რომლებმაც ბოლომდე გაწიეს მედგარი წინააღმდეგობა და არ დანებდნენ ჰერაკლე კეისარს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბიზანტიელებმა და თურქებმა ქალაქისათვის ალყის მოხსნა და მისგან გაცლა გადაწყვიტეს.

სტეფანოზის შემდეგ ჰერაკლემ ქართლში თავისი მოკავშირე ადარნასე დანიშნა. ბიზანტიელები და თურქები შეთანხმდნენ, თბილისზე გამოელაშქრათ ერთი წლის შემდეგ, მაგრამ

627 წლის ბოლოს ჰერაკლემ დიდ გამარჯვებას მიაღწია ირანთან და ამით თბილისის იმდროინდელი ბედიც გადაწყდა. 628 წელს ორთვიანი ალყით მოკავშირეებმა კალას ციხე და ქალაქი აიღეს, რომლის დროსაც ძლიერი შტურმი გამოიყენეს. მათ სასტიკად ააოხრეს თბილისი, ბევრი დახოცეს, გაძარცვეს, ააწიოკეს მოსახლეობა. ბიზანტიელებმა სასტიკად დასაჯეს მონოფიზიტობის აღმსარებელი ქართველები. ამ გზით დამყარდა ბიზანტიის ბატონობა ქართლში. კვლავ მათ მიემხრო ქართლის ერისმთავარი ადარნასე. მას ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებიც უბოძეს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართლში ბიზანტიელთა მმართველობა, როგორც ჩანს, იყო საკმაოდ ზომიერი და თავშეკავებული,[3] ეგრისში კი – უფრო სასტიკი. აქ ბიზანტია უფრო მტკიცედ იყო გამაგრებული და მეფესაც კი არ უწევდა ანგარიშს. უფრო მეტიც: VIII საუკუნის IX ნახევრიდან ისტორიულ წყაროებში აღარც კი ჩანს ეგრისის მეფე. ბიზანტიელებმა გააუქმეს ეს სამეფო და მის მმართველს არა მეფედ, არამედ „პატრიკიოსად“ იხსენიებდნენ.[4]

სასანიანთა ირანს მალე ბოლო მოუღო ახალმა დამპყრობლურმა ძალამ, არაბობამ. საქართველოშიც, ისევე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, მათი ბატონობის ხანა დაიწყო.

აღნიშნულ ბრძოლებში ირანმა, ბიზანტიასთან შედარებით, დიდი ზარალი მიიღო. საგრძნობი დანაკარგები ჰქონდა ქართველთა მხარესაც. აღწერილ ბრძოლებში წარმოჩნდა ტაქტიკურ მოქმედებათა ფორმები: ალყის ორგანიზება – პეტრასა და ნარიყალას ციხეებზე; მართვის სისტემის მოშლა – სარდლების განადგურებით; დეზინფორმაციის გამოყენება – ფაზისის აღებისას; საინჟინრო-საბრძოლო ტექნიკის – ლოდსატყორცნების, რუმბებისა და სხვათა გამოყენება; ციხესიმაგრეების, როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობების, მნიშვნელობა. სამხედრო ხელოვნების პრინციპებიდან გამოიკვეთა ძალთა დროული გადაჯგუფება და მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენება. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა დაპირისპირებულ მხარეთა წარმატებები.

ირანმა და ბიზანტიამ ვერ მოახერხეს თავიანთი სტრატეგიული მიზნების საბოლოო მიღწევა. ეგრისისა და ქართლის სამეფოებმა, მათ ტერიტორიებზე წარმოებული ომების მიუხედავად, შეძლეს თვითმყოფადობის შენარჩუნება და დარჩნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

## §11. არაბობა საქართველოში

**პოლიტიკური ვითარება.** VII საუკუნის I ნახევარში არაბთა გამოჩენამ მსოფლიო პოლიტიკური რუკა მნიშვნელოვნად შეცვალა. მათ მოკლე ხანში მოახერხეს ირანის, ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციების, სამხრეთ კავკასიის, აფრიკის ჩრდილო ნაწილისა და ესპანეთის დაპყრობა. ასეთი წარმატება იმითაც იყო განპირობებული, რომ არაბებმა მოწინააღმდეგეებს მძლავრი კავალერია დაუპირისპირეს. განსხვავებული იყო მათი მეომრის აღჭურვილობა. მნიშვნელოვანი იყო საალყო ტექნიკის განვითარებაში შეტანილი მათი წვლილიც.

მუსლიმთა ბრძოლა აღმოსავლეთის ქრისტიანებისა თუ მაზდეანების მიმართ საღმრთო ომის – ჯიჰადის საბაბით მიმდინარეობდა. „ყურანის“ მიხედვით, მორწმუნე მუსლიმმა ალაჰისათვის თავი არ უნდა დაზოგოს. მეომარს, რომელიც „ურწმუნოებთან“ ბრძოლაში დაეცემოდა, ალაჰი ყველა ცოდვას მიუტევებდა. ჯიჰადის დროს დაღუპული შაჰიდი მოწამე ხდებოდა. თავდაპირველად „ისლამი“ „ალაჰისადმი თავის მიცემას“ ნიშნავდა, მაგრამ შემდეგში თანდათან მოიაზრებოდა ის ტერიტორიაც, რომელზეც ალაჰს ადიდებდნენ – დარ ალ-ისლამ (ისლამის სამყარო). იგი უპირისპირდებოდა დარ ალ-ჰარბის ტერიტორიას, რომელზეც არამუსლიმები ცხოვრობდნენ. ჭეშმარიტი მუსლიმი მოვალე იყო დარ ალ-ისლამის გაფართოებისათვის ებრძოლა. რელიგიურმა ფანატიზმმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაბთა წარმატებაში.

არაბთა სახალიფომ ჩამოყალიბებისთანავე დაპყრობითი ომები წამოიწყო VII საუკუნის IX ნახევარში. მისი საომარი მოქმედებები უმთავრესად მიმართული იყო მაშინდელი მსოფლიოს ისეთი ორი უძლიერესი სახელმწიფოსაკენ, როგორებიც იყვნენ ბიზანტია და ირანი. ამ უკანასკნელს იგი, კადისთან (637 წელი) და ნიჰავერდთან (642 წელი) შედარებით, იოლად გაუსწორდა. აღნიშნულ ბრძოლებში არაბებმა მოწინააღმდეგეს სძლიეს და სასანურმა ირანმა ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. იგი სახალიფოს დაემორჩილა.

---

[3] ქართლში არ იყვნენ არც ბიზანტიელი მოხელეები, არც მათი ჯარები. მას მართავდნენ ერისმთავრები, რომლებიც ბიზანტიის გავლენას აღიარებდნენ და მის ტიტულებს იღებდნენ. ამის მიზეზი ამ მხარის ირანთან სიახლოვე უნდა ყოფილიყო და ამგვარი ქმედებით მეტ-ნაკლებად გამორიცხავდნენ ქართლის ირანისკენ ორიენტირებას.

[4] ეგრისის მეფისთვის პატრიკიოსის ტიტულის მიცემა და ამგვარად დაქვეითება ბიზანტიის აგრესიული პოლიტიკის შედეგია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეგრისი, როგორც ცალკე ერთეული, არსებობდა და უშუალოდ ბიზანტიისთვის ის არ მიუერთებიათ.

არაბთა ლაშქრობა წარმატებული იყო დასავლეთითაც და ჩრდილოეთითაც. 640-642 წლებში მათ ბიზანტიას წაართვეს პურის ბელელი: სირია, მესოპოტამია და შეუდგნენ ამიერკავკასიიდან მის გაძევებას. არაბთა რაზმები პირველად 640 წელს სომხეთში გამოჩნდნენ და დედაქალაქი დვინი დაიპყრეს.

642-643 წლებში არაბები ქართლსაც მოადგნენ. ეს მარბიელი ლაშქრის თარეში იყო. როგორც არაბი ისტორიკოსები – ატ-ტაბარი და იბნ ალ-ასირი აღნიშნავენ, ხალიფამ სარდლები: სურავინ ბუქაირი იბნ აბდალლაჰი, ჰაბიბ იბნ მასალამა, ჰუზაიფა იბნ უსაიდი და სალმან იბნ რაბია სომხეთის გარშემო მდებარე მთების მოსახლეთა წინააღმდეგ გაგზავნა. ბუქაირი მუღანისაკენ გაისტუმრა, ჰაბიბი – თბილისისაკენ, ჰუზაიდი ალ-ლანის მთებში მცხოვრებთა წინააღმდეგ, ხოლო სალმანი – სხვა მხარეს,ემაგრამ ბუქაირის მეტმა ვერავინ ვერაფერი დაიპყრო.

დრო საუკუნის 50-იანი წლებიდან არაბებმა აქ შედარებით მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ალ ბალაზურის ცნობის თანახმად, არაბთა სარდალმა, ჰაბიბ იბნ მასლამამ, დაიპყრო ხლათი, არჯიში, აშუში, დაბილის (დვინის) ყველა დასახლებული ადგილი და იქიდან გაემართა ჯურზანის, ანუ ქართლისაკენ, რომლის საზღვრებს არაბთა ლაშქარი 654 წელს მოადგა. ქართლის ერისმთავარმა, სტეფანოზმა, ჰაბიბ იბნ მასლამასთან ელჩი გაგზავნა და ზავი და მშვიდობა ითხოვა. არაბთა სარდალი დათანხმდა თხოვნას, ოღონდ „დაცვის სიგელის“ შესრულების პირობით, რაც ითვალისწინებდა როგორც საკომლო გადასახადს, ისე სამხედრო ბეგარას და სხვა. არაბები, თავის მხრივ, ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობის გარანტიას იძლეოდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჰაბიბი ამიერკავკასიაში დიდხანს აღარ დარჩენილა. ბიზანტიასთან გართულებული ვითარების გამო ხალიფამ ის სირიაში გაიწვია.

დაპყრობილ ქვეყნებში არაბები პირველ ხანებში უცვლელად ტოვებდნენ პოლიტიკურ–ადმინისტრაციულ სისტემას. ბიზანტიელთა სიმკაცრით უკიდურესობამდე შეწუხებულ ქართველებს, რომელთა მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა ჰერაკლე იმპერატორის დროიდან, მათი ბატონობისგან თავდახსნის ერთ-ერთ საშუალებად არაბთა მხარეს გადასვლა მიაჩნდათ. გარდა იმისა, რომ არაბები უცვლელად ტოვებდნენ ქართველთა პოლიტიკურ–ეკონომიკურ სისტემასა და რელიგიას, მოსახლეობას ერთი ან ორი სახის გადასახადით ბეგრავდნენ.ამ მხრივ, საყურადღებოა ხალიფა აბუ ბაქრის მიმართვა თავისი სარდლებისადმი – არ დაესახიჩრებინათ მტერი, არ გაეწყვიტათ ახალგაზრდები, ქალები და ღრმა მოხუცები, არ მოესპოთ ნაყოფის მომცემი მცენარეულობა:ჯდაე, იცხოვრონ მათ თავიანთი ძველი წეს-კანონების მიხედვით. დაუდგინეთ ხარკი და ომი გამოუცხადეთ მხოლოდ იმათ, ვინც უარს გეტყვით მორჩილებაზეო.

თავდაპირველად ნაბრძანები სრულდებოდა, თუმცა არაბთა ბატონობა თანდათანობით მძიმდებოდა. მათ ამიერკავკასიაში მომრავლება-მომძლავრება დაიწყეს. ისინი აღარ სჯერდებოდნენ დაპყრობილ ხალხებთან დადებული ხელშეკრულების პირობებს და უხეშად ერეოდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაშიც. არაბები ნიშნავდნენ, ხსნიდნენ, იბარებდნენ და სჯიდნენ ქართველ მთავრებს. ეს კი იწვევდა ანტიარაბულ გამოსვლებს. თუმცა ამას საგარეო ფაქტორებიც განაპირობებდა: ხაზარებისა და თურქების (კავკასიელი ჰუნების) მუსლიმთა წინააღმდეგ გაერთიანება.ამის ნათელი მაგალითია ქართლის ხელისუფალ არჩილის მიერ ხაზარების მოშველიება არაბების წინააღმდეგ, რაც, სავარაუდოდ, არჩილ მეფემ ბიზანტიის წაქეზებით მოიმოქმედა.

ალ ბალამის ცნობით, ქართველი მეფე ხაზართა ხაკანის სარდალს აძლევდა რჩევა-დარიგებებს, უჩვენებდა არაბული რაზმების ადგილსამყოფელს, რითაც ხაზართა ლაშქარმა იოლად სძლია არაბებს და გააძევა ისინი ამიერკავკასიიდან. თუმცა არაბებმა მალე შეძლეს დაკარგული პოზიციების დაბრუნება, ისევ დაიპყრეს ამიერკავკასია და 732 წელს საომარი მოქმედება ხაზართა ტერიტორიაზე გადაიტანეს. არაბთა გამარჯვება ხაზარებზე ამავე დროს ნიშნავდა ანტიარაბული მოძრაობის მარცხს ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, რამაც, სავარაუდოდ, აიძულა არჩილ მეფე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ეგრისში გადასულიყო. ჯუანშერის თანახმად, არჩილმა „დაჰფლა საგანძური უფროსი ხევსა კახეთისასა; ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვეცხლისანი ხევსა უჯარმოსასა, და საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი დასხნა გორს... ხოლო საგანძურნი ყოველთა ქართლისა ეკლესიათანი დაფლნა აჩრდილსა დიდისა სიონისასა მცხეთას.ჯდა შემდგომად მცირედთა ჟამთა შევიდა არჩილცა ეგრადვე“.

ბიზანტია, რომელიც სახალიფოს მხრიდან ახალი ომის მზადების გამო სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა, ცდილობდა, შეენარჩუნებინა ანტიარაბული მოძრაობა ამიერკავკასიასა და ხაზარეთში. ამ უკანასკნელებთან კავშირის განსამტკიცებლად ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ ისავრიელმა თავისი ვაჟი ხაკანის დაზე დააქორწინა, არჩილ მეფე კი შეიფარა თავის დაქვემდებარებულ ეგრისში. ასეთი პოლიტიკური კავშირი აამოქმედა მან არაბთა წინააღმდეგ. ხაზარებმა თავდასხმები განაახლეს და არაბები ჩრდილო კავკასიიდან გააძევეს. ქართლმაც და სომხეთმაც განდგომა დაიწყო.

**მურვან ყრუს ლაშქრობა.** მურვან იბნ მუჰამმად იბნ მურვანი, იგივე მურვან ყრუ, ხალიფა ჰიშამის ბიძაშვილი და სახელოვანი სარდალი იყო. იბნ ალ-ასირის ცნობით, იგი ხალიფას სომხეთ-აზერბაიჯანის გამგებლად დანიშვნის სანაცვლოდ, ჰპირდებოდა როგორც კავკასიის დამორჩილებას, ისე ხაზართა ხაკანატის მოსპობას. არაბთა ხელმწიფემ მურვანის წინადადება მიიღო, აზერბაიჯან-არრან-ჯურზან-სომხეთის ამირად დანიშნა და 120 000 მხედრით ჩრდილოეთისაკენ გამოისტუმრა.

მურვანი დაეუფლა არმინიას, თავს დაესხა ალანებს, შემდეგ ხაზარეთი ააოხრა და ილაშქრა აზერბაიჯანში.აარაბი ისტორიკოსები არაფერს გვეუბნებიან მურვანის საქართველოში ლაშქრობაზე, სამაგიეროდ, ქართული წყაროები (ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე) მოგვითხრობენ ამის შესახებ. მურვან ყრუმ 736-738 წლებში ილაშქრა საქართველოში. ჯუანშერის თანახმად, ,,ხალიფა ჰიშამის მიერ მოვლენილმა მურვანმა მოვლო კავკასია, დაანგრია ყოველი ქალაქი და ციხე საზღვართა ქართლისათა, გადავიდა დასავლეთ საქართველოში – ეგრისში, დაეუფლა ციხე-გოჯს, დაეპატრონა კლისურს და აფსილეთის ქალაქ ცხუმს და ქართველ მეფეთა თავშესაფარს, ანაკოფიის ციხეს მიადგა...“.

მურვან ყრუ შემდეგ გადმოვიდა არგვეთში, სადაც მას გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს არგვეთის მთავრებმა – ძმებმა დავით და კონსტანტინე მხეიძეებმა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ არაბმა სარდალმა მთავრები ტყვედ შეიპყრო და სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა, რაზედაც მტკიცე უარი მიიღო. მურვან ყრუმ ძმები სასტიკად აწამა. სამშობლოსთვის თავდადებული მთავრები ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა და მათ უკვდავსაყოფად მოწამეთას მონასტერი აშენდა.

ამის შემდეგ მტერმა ეგრისში შემუსრა ციხე-გოჯი (ნოქალაქევი), ცხუმი და ანაკოფიის ციხეს მიადგა, სადაც იყვნენ ქართლის ერისმთავარი არჩილი და მისი ძმა მირი. მურვანმა ციხე ვერ აიღო, მოარბია ეგრისი და სახალიფოში გაბრუნდა. ქართველებმა მურვანს ყრუ შეარქვეს თავისი შეუსმენლობის გამო: ,,ამისთუს ეწოდა მეორედ ყრუ, რომელ არა მიითუალვიდა სიტყუასა განმზრახთასა“.

მურვან ყრუს ლაშქრობით დასრულდა საქართველოში არაბთა ბატონობის პირველი პერიოდი.ეჰაბიბ იბნ მასლამას ლაშქრობის შემდეგ, თუ საქართველო თავს სახალიფოს მორჩილად სცნობდა და მხოლოდ ხარკს უხდიდა, მურვანის შემოსევის შედეგად ის ცალკე საამიროდ გამოცხადდა, რომელსაც ამირა განაგებდა, რომელიც თბილისში იჯდა. ეამირას მოხელეთა მთელი შტატი ჰყავდა: შურტა – ქალაქში წესრიგსა და უშიშროებაზე პასუხისმგებელი; მუჰთასიბი – ბაზრების, ქუჩების ზედამხედველი; ამიდი – ამირას კანცელარიის ხელმძღვანელი; რაისი – მაჰმადიანური მოსახლეობის წარმომადგენელი ამირას კარზე; მუშრიბი – გადასახადების ზედამხედველი და სხვა.

საამიროს ჩამოყალიბებასთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში ჩააყენეს სანაპირო ზოლის დამცველი შეიარაღებული რაზმები (რუსთავში, დმანისში, თბილისში), რომელთა შევსება-გაძლიერებისათვის დაიწყო არაბთა ინტენსიური ჩამოსახლება.

ცვლილება შეეხო ქართლის გამგებლის ხელისუფლებასაც. არაბებმა ერისმთავრის თანამდებობა არ გააუქმეს, იგი ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად დატოვეს და ამირას მოადგილედ გამოაცხადეს.

**ბუღა თურქის ლაშქრობა.** თბილისის ამირებმა გარკვეული პერიოდის შემდეგ განდგომა დაიწყეს და ცენტრალურ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდნენ. ხალიფები იძულებულნი ხდებოდნენ, ამირები შეეცვალათ. ახლად დამტკიცებული ამირა თავიდან იცავდა სახალიფოს ინტერესებს, მაგრამ შემდეგ ისიც წინამორბედის გზას ადგებოდა.ამას ხელს უწყობდა ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლები, სახალიფოს წინააღმდეგ მიმართული, და თვით ამირათა სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, რაც ძირითადად ცენტრისადმი ხარკის შეწყვეტით გამოიხატებოდა.

ხალიფა სადამსჯელო ექსპედიციებს გზავნიდა როგორც ავჯანყებულთა წინააღმდეგ, ისე ამირათა დასასჯელად. ერთ-ერთი ასეთი აქცია დაევალა ბუღა თურქს, რომელმაც დიდი ლაშქრით შემუსრა **არმინია** და ქართლში საქმეების მოსაგვარებლად გამოემართა. სანამ თბილისში მოვიდოდა, ბუღამ ამირა ისჰაკ იბნ ისმაილს შემოუთვალა, მასთან გამოცხადებულიყო, მაგრამ რადგან იგი ბრძანებას არ დაემორჩილა, ბუღამ გადაწყვიტა დაელაშქრა თბილისი.

,,მატიანე ქართლისა“ გვაუწყებს: ,,მაშინ მოვიდა ბუღა თურქი... შემუსრა ყოველი სომხითი და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილობდა ამირა სააკ: მოკლა სააკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოხრნა ყოველნი არენი მისნი“.

აღნიშნულ ბრძოლას გადმოგვცემს ატენის სიონის სამხრეთ-დასავლეთის შიდა კედლის წარწერაც, რომლის მიხედვით, ბუღამ თბილისი 853 წლის 5 აგვისტოს აიღო.

არაბი ისტორიკოსი ატ-ტაბარი დაწვრილებით გადმოგვცემს ამ ამბავს: შაბათს ბუღამ ზირრაქ ათ-თურქი გაგზავნა მტკვრის გადასალახავად, რომელიც არის ქალაქის შუა: თაფლისი დასავლეთ ნაპირზეა, სულდუბილი – აღმოსავლეთ ნაპირზე. ბუღას ბანაკი აღმოსავლეთ ნაპირზე იყო. ზირრაქი მტკვარზე თაფლისის მაიდანთან გადავიდა. თბილისს ხუთი კარი აქვს: მაიდნის კარი, კარის კარი, პატარა კარი, რაბადის კარი და სულდუბილის კარი.ემტკვარი მადინასთანაა (მაიდანთან).ვამოვიდა ისჰაკ ისმაილი ზირრაქის წინააღმდეგ და შეებრძოლა... ბუღა იდგა სულდუბილის ახლოს, ბორცვზე, რომელიც ქალაქს დაჰყურებს.ემან ცეცხლის წამკიდებლები გაგზავნა და მათ ფიჭვის ხის ქალაქს ცეცხლი დაუშინეს. ფიჭვები ქარმა ააგიზგიზა. ისჰაკი ქალაქისაკენ მობრუნდა იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა და დაინახა, რომ ხანძარს უკვე მოეცვა მისი სასახლე, მხევლები და თვითონაც ალყაში მოექცა. თურქებმა და მაღრიბელებმა შეიპყრეს იგი მის ვაჟ უმართან ერთად და ორივე ბუღას მიჰგვარეს, რომლის ბრძანებით ისჰაკს ხელ-ფეხი შეუკრეს, მოკლეს და სხეული ჯვარს აცვეს მტკვარზე... ქალაქში დაახლოებით 50 ათასი კაცი დაიწვა... დილით მოვიდნენ მარბიელნი და

ცოცხლები დაატყვევეს, დახოცილები კი გაძარცვეს. დანარჩენი მეომრები ბუღამ შეიბრალა იმ პირობით, რომ იარაღს დაყრიდნენ და საითაც უნდოდათ, იქით წავიდოდნენ.

ამავდროულად, მტრის ლაშქარი არბევდა ქართლის ტერიტორიებს. ის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ქართლის 85 წლის ერისთავის – კონსტანტი-კახას ხელმძღვანელობით. მტერთან შეტაკებაში ქართველები დამარცხდნენ. სარწმუნოების შეუცვლელობის გამო ერისთავი სიკვდილით დასაჯეს. ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. ბუღა თურქი შემდეგაც განაგრძობდა საქართველოში ბრძოლებს. როგორც ,,მატიანე ქართლისა'' გვამცნობს, მას შეტაკებები ჰქონდა აფხაზებთან, გარდაბნელებთან, მთიულებთან. კერძოდ, მთიულეთში ლაშქრობისას, მას ცხავატამდე მიუღწევია. გუარამ აშოტის ძე ბაგრატიონის ბრძანებით, მოწინააღმდეგისათვის სასტიკი წინააღმდეგობა გაუწევიათ და დიდად დაზარალებული უკუქცეულან. ამის შემდეგ ბუღა თურქი ბარდავში გადავიდა და ააოხრა გარდაბნის მხარე. იგი სადამსჯელო ოპერაციების გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ ხალიფას უკან გაუწვევია.

არაბთაგან დაპყრობილი ხალხების ბრძოლა თავისუფლებისათვის და მის პარალელურად ამირათა სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ შეუქცევად პროცესად იქცა. თვითონ არაბეთის იმპერიაშიც არეულობა იყო. სახალიფოში ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები.

**აბულ-კასიმის ლაშქრობა.** არაბთა მომდევნო დიდი ლაშქრობა საქართველოში 914 წელს აბულ-კასიმის სახელს უკავშირდება. ,,მატიანე ქართლისას'' თანახმად, იგი ერთმანეთის მიყოლებით დაუფლებია უჯარმას, ბოჭორმას, ქართლს, სამცხე-ჯავახეთს და შეუპოვრობისათვის უწამებია ყველისციხის მცველი ქართველები, ჭაბუკ მიქაელ-გობრონის მეთაურობით. ,,მოვიდა ამირა აგარიანი, სახელით აბულ-კასიმ, სპითა დიდითა და ურიცხვთა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა... აღიღეს ბოჭორმა და დაიჭირეს ციხედვე, და უჯარმის ზღუდენი დაარღვნეს... შემდგომად ამისა შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქართლი. შევიდა მუნით სამცხეს და მოაოხრა სამცე და ჯავახეთი, მოადგა ციხესა თმოგვისასა. ვდა ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით, მოვიდა ყუელს, მოადგა გარე და უწყო ბრძოლად. იყო მუნ შინა ჭაბუკი ერთი, სახელით გობრონ; ებრძოდა შიგნით გამოღმართ ყოველთა დღეთა მოყუასთა თვისთა თანა.ვდა ვითარ წარიღეს ციხე იგი, შეიპყრეს წმიდა გობრონ და აწამეს''.

ახალგაზრდა თავდადებულნი ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.

**შედეგი.** მართალია, ამ თავდასხმამაც დიდად დააზარალა საქართველო, მაგრამ არაბებმა ქვეყნის საბოლოო მოსპობა და ეროვნული მოძრაობის შეჩერება ვერ მოახერხეს.ბარაბობა თავის დასასრულს უახლოვდებოდა, ხოლო საქართველო სულ უფრო ძლიერდებოდა და, ტაო-კლარჯეთისა და ეგრის-აფხაზეთის პოლიტიკურ მესვეურთა თაოსნობით, ერთიან სახელმწიფოდ ყალიბდებოდა.

# თავი IV

## საქართველო განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში „ოქროს ხანა“

## §12. საქართველოს გაერთიანება მეფეები დავით IIი დიდი და ბაგრატ IIი

დIIი საუკუნის ბოლოდან იწყება ახალი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნა. ვინაიდან არაბები ქვეყნის ცენტრალურ ადგილებში ბატონობდნენ, ახალი სამეფოები წარმოიშვა განაპირა რაიონებში.

780-იან წლებში ჩამოყალიბდა კახეთის სამთავრო, რომლის ცენტრი იყო თიანეთი. ემის მეზობლად, აღმოსავლეთით, შეიქმნა ჰერეთის სამეფო. იმავე დროს დასავლეთ საქართველო გააერთიანა აფხაზეთის ერისთავმა ლეონმა, რომელიც განუდგა ბიზანტიას და ეგრისის სამეფოს ტერიტორიის მიერთების შემდეგ რეზიდენცია ქუთაისში გადაიტანა.

IX საუკუნის დასაწყისში ახალი დამოუკიდებელი ქართული სამეფო შეიქმნა ტაო-კლარჯეთში. მას საფუძველი ჩაუყარა ქართლის უკანასკნელმა ერისთავმა აშოტ ბაგრატიონმა, რომელიც არაბებს ქართლიდან კლარჯეთში გაექცა, იქ დასახლდა და მიმდებარე ტერიტორიები დაიკავა. ებიზანტიამ აშოტს კურაპალატობა, მის შვილს, ადარნასეს კი „ქართველთა მეფის“ ტიტული უბოძა და სამეფოსაც „ქართველთა სამეფო“ ეწოდა.

ტაო-კლარჯეთის სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა დავით IIის კურაპალატის დროს. ისტორიკოს სტეფანე ტარონელის ცნობით, „დავით დიდი კურაპალატი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესივრობა აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით – სომხეთსა და საქართველოში.ემან ბოლო მოუღო ომებს, რომლებიც განუწყვეტლივ ფეთქდებოდა ყოველი მხრიდან და გარშემო მცხოვრებ ყველა ხალხზე გაიმარჯვა. ასე რომ, ყველა ხელმწიფე თავისი ნებით დაემორჩილა დავითს“.

დავით IIის კურაპალატის ტაო-კლარჯეთში გაძლიერებასთან ერთად საინტერესოდ განვითარდა მოვლენები აფხაზთა სამეფოში: მეფეჯდემეტრეს ტახტისთვის ბრძოლაში ძმა – თეოდოსი აუჯანყდა. დატყვევების შემდეგ დემეტრემ მას თვალები დასთხარა. 975 წელს, დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ, უსინათლო თეოდოსიმ ტახტი მაინც დაიკავა, თუმცა კი თვითონ უმემკვიდრო იყო და მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტი თავისუფალი რჩებოდა.

თეოდოსის გამეფებისთანავე კახელებმა ქართლში ილაშქრეს და უფლისციხეს მოადგნენ. სწორედ ამ დროს გამოიჩინა უდიდესი მამულიშვილობა ქართლის ფაქტიურმა მმართველმა, აფხაზეთის მეფის ერისთავმა იოანე მარუშის ძემ, რომელიც იყო „კაცი ძლიერი და ერმრავალი“ და რომელსაც ქვეყნის გაერთიანების მტკიცე სურვილი ჰქონდა. მან „წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა, აწვია, რათა მოლაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიმჭიროს თუით, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი ესევე“.

საქართველოს გაერთიანების უმთავრესმა იდეოლოგმა იოანე მარუშის ძემ შესანიშნავად იცოდა, რომ ეს საქმე დავით IIის კურაპალატზე უკეთ არავის შეეძლო შეესრულებინა. გარდა იმისა, რომ დავითი განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა, მას შვილი არ ჰყავდა და თავისი ახლობელი ნათესავი „ბაგრატ ძე გურგენისი გაეზარდა შვილად თუისად“. მაშასადამე, ბაგრატი იყო ქართველ მეფეთა სამეფოს მემკვიდრე, ასევე – ტაოსიც, ხოლო თუ აფხაზეთის სამეფო ტახტზეც მას დასვამდნენ, მაშინ იგი გახდებოდა გაერთიანებული საქართველოს მეფე. სწორედ ამიტომ იოანე მარუშის ძე „ეძიებდა მეფედ ბაგრატს“.

დავით კურაპალატმა მოიწონა იოანე მარუშის ძის წინადადება და 975 წელს ჯარით ქართლისაკენ დაიძრა.ამ ამბის შეტყობისთანავე კახელებმა ქართლს თავი მიანებეს. იოანე მარუშის ძემ უფლისციხე დავითს გადასცა, ხოლო მან „მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს“.

ტაოში გამგზავრების წინ დავით კურაპალატმა ქართლის აზნაურებს განუცხადა: „ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი“.

გაფრთხილების მიუხედავად, ქართლის აზნაურებმა წააქეზეს კახელები, რომლებმაც კვლავ დალაშქრეს ქართლი, ტყვედ ჩაიგდეს ბაგრატი, მისი მამა გურგენი და დედა გურანდუხტ დედოფალი. დავით კურაპალატმა სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი და კახეთის ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ გაილაშქრა.კახელებმა წინააღმდეგობა ვერ გაბედეს და ბაგრატი მშობლებთან ერთად გაათავისუფლეს.

978 წელს იოანე მარუშის ძის ინიციატივით ბაგრატი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, მეფედ ეკურთხა ქუთაისში ბაგრატ IIის-ის სახელით, მიიღო ტიტული „მეფე აფხაზთა“, უსინათლო ბიძა თეოდოსი კი ტაოში გაგზავნა.

ბაგრატი წესრიგის დამყარებას შეუდგა აფხაზეთშიც და ქართლშიც, რასაც ამ უკანასკნელის აზნაურთა დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფაქტიურად ემორჩილებოდნენ ბაგრატის დედას – დედოფალ გურანდუხტს, მაინც თავისუფალნი იყვნენ, „თუითეულად განაგებდნენ საქმეთა ქართლისათა“ და, ასე გათამებულთ, „არა ენებათ გარდმოსვლა“ ბაგრატისა ქართლში.

ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით ბაგრატს უფლისციხისკენ მიმავალ გზაზე – მოღრისთან დახვდნენ. ბაგრატმა სასტიკად დაამარცხა ისინი და ქართლში საქმეების მოგვარების შემდეგ ისევ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. აქ ბაგრატმა, „ვითარცა ხელოვანმან მენავეთმოძღვარმან, განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა“.

საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესს დაემთხვა პოლიტიკური ვითარების გართულება ბიზანტიაში, სადაც 976 წელს საიმპერატორო კარის წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო იმპერიის უძლიერესმა სარდალმა, ბარდა სკლიაროსმა. ბიზანტიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დავით კურაპალატისათვის მიემართა დახმარებისათვის და მასთან საშუამავლოდ ცნობილი ქართველი სარდალი – თორნიკე ერისთავი გაგზავნა, რომელიც ბერად იყო აღკვეცილი ათონის მთაზე.

თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკის მეთაურობით, 979 წელს დავით კურაპალატმა 12 000 მხედარი გაგზავნა აჯანყებულთა წინააღმდეგ. ქართველებმა მდინარე ჰალისის ნაპირთან სასტიკად დაამარცხეს ბარდა სკლიაროსის არმია.

იმპერატორმა ბასილი ⅱ-მ დიდი წყალობა გაიღო ქართველთა ღვაწლის დასაფასებლად, რომლის მეშვეობითაც თორნიკემ და იოანემ ააშენეს ათონის ქართული სავანე, სადაც დიდხანს ინახებოდა თორნიკე ერისთავის ხმალი, მუზარადი და ჯაჭვის პერანგი, ხოლო დავით კურაპალატმა საჩუქრად მიიღო „ზემონი ქუეყანანი“: ერზერუმი და სამხრეთ ბასიანი, მდინარეების: ჭოროხის, არაქსისა და ევფრატის სათავეებში მდებარე ციხეები. ეს მხარე მან მიიღო არა მუდმივ, არამედ დროებით მფლობელობაში, გარდაცვალებამდე.

987-989 წლებში დავით კურაპალატი კიდევ ერთხელ ჩაერია შიდაბიზანტიურ დაპირისპირებაში და ბასილი კეისრის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას დაუჭირა მხარი. იმპერატორმა სისხლში ჩაახშო აჯანყება კიევის მთავრის დახმარებით.

ანგარიშსწორების თავიდან ასაცილებლად, დავით კურაპალატმა პირობა დადო, რომ გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიას არა მარტო ნაწყალობევ ტერიტორიას, არამედ მთელ ტაოს გადასცემდა: კერძოდ, „ზემონი ქუეყანანის“ გარდა, იმიერტაოს, ოლთისს, თორთომს, სპერს, პარხალსა და ბასიანს.ასე ჩაისახა დავით კურაპალატის მემკვიდრეობის პრობლემა, რომელიც შემდეგ საქართველო-ბიზანტიის ხანგრძლივი დაპირისპირების მიზეზად იქცა.

მაჰმადიანმა მეზობლებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ პოლიტიკური მდგომარეობით და 998 წელს ამირა მამლანის მეთაურობით ასიათასიანი არმია გამოგზავნეს დავით კურაპალატის წინააღმდეგ. ვგაბრიელ ოჩოპინტრეს ძისა და ფერის ჯოჯიკის ძის სარდლობით ქართველებმა მუსრი გაავლეს არაბთა მხედრობას. ბრძოლის ველიდან გაქცეულ მამლანსა და მისი ლტოლვილი ლაშრქის ნარჩენებს მათ ჩეხვით სდიეს ხლათიდან არჭეშამდე. აღნიშნული ბრძოლის შემდეგ დავით კურაპალატის სამეფოს საზღვრები ვანის ტბასა და ქალაქ ერზინკამდე (ერზინჯანი) გაიზარდა.

ქართლსა და დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ ბაგრატ ⅲ-ის საზრუნავი იყო კლდეკარის ერისთავ რატი ბაღვაშის დამორჩილება, რომელიც „არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა“.

989 წლის ზამთარში ბაგრატ ⅲ მოულოდნელად მიადგა კლდეკარის ციხეს. რატი ბაღვაში იძულებული გახდა დანებებოდა, მისი მამული კი მეფემ თავის ერთგულ ერისთავს – ზვიად მარუშიანს გადასცა.

1001 წელს გარდაიცვალა დავით ⅲ კურაპალატი. კესარი ბასილი ⅲ შემოიჭრა ტაოში, შეთანხმების თანახმად, „დაიპყრა მამული დავით კურაპალატისა“ და ამ ტერიტორიაზე ახალი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – იბერიის საკატეპანო დააარსა.

1008 წელს ბაგრატ ⅲ-მ, მამის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეობით მიიღო მისი სამფლობელო: ამიერტაო, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი და იწოდა „აფხაზთა და ქართველთა მეფედ“.

ბაგრატ ⅲ-ს 1008-1010 წლებში სისხლისმღვრელი ბრძოლები ჰქონდა კახეთის ქორეპისკოპოს დავითის, შემდეგ კი მისი მემკვიდრის – კვირიკეს წინააღმდეგ. ამ ბრძოლების შედეგად მეფემ „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი“ და იქ თავისი ერთგული ერისთავები დანიშნა. ამის შემდეგ ბაგრატ ⅲ შემდეგნაირად იწოდებოდა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“.

ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში ბაგრატ ⅲ მკაცრ ზომებს არ ერიდებოდა. 1010 წელს მან კლარჯეთის ბაგრატიონთა ურჩი წარმომადგენლები ფანასკერტის ციხეში სადარბაზოდ მიიწვია, შეიპყრო ისინი და შემოიმტკიცა მათი სამფლობელო.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს უშუალო მეზობელი განძის ამირა ფადლონის სამფლობელო გახდა. ამით შეშფოთებულმა ფადლონმა სცადა შეეტია კახეთ-ჰერეთის ერისთავებისათვის, რის გამოც ბაგრატ ⅲ-მ ამირას წინააღმდეგ გაილაშქრა და სასტიკად დაამარცხა იგი.

1014 წელს ბაგრატ ⅲ გარდაიცვალა. იგი აფხაზეთში დაკრძალეს, მის მიერვე დაარსებულ ბედიის მონასტერში.

გაერთიანებული საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ბაგრატ რრრ-ის ვაჟი, გიორგი რ (1014-1027), რომელიც, მემატიანეთა ცნობით, იყო „სავსე ყოვლითა სიკეთითა“ და „ახოვან და ყოვლითურთ უშიში, ვითარცა უხორცო“.

გიორგი რ-მა ისარგებლა იმით, რომ ბასილი რრ ბულგარელებთან ომში იყო ჩაბმული და დაიკავა იმიერტაო – დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელო.

ბულგარელებთან გამარჯვების შემდეგ ბასილი კეისარი საქართველოსაკენ გამოემართა. გადამწყვეტი ბრძოლა შირიმნთან მოხდა, 1021 წელს. ქართველებმა სძლიეს მტერს და უკუაქციეს, მაგრამ „სულმოკლე იქნენ“, ნადავლს მიეტანნენ და უკანდახეულ ბიზანტიელებს აღარ დაედევნენ, რითაც ისარგებლა ბასილი კეისარმა, ნადავლით დატვირთულ ქართველთა ლაშქარს მოულოდნელად დაესხა თავს და დაამარცხა.

ბიზანტიელებმა საშინლად ააოხრეს თრიალეთი, ჯავახეთი და არტაანი. 1023 წელს გიორგი რ იძულებული გახდა ბასილი კეისართან ზავი დაედო, რომლის თანახმადაც იმიერტაო კვლავ ბიზანტიას დარჩა.

## §13. საქართველო-ბიზანტიის ახალი ომი

**პოლიტიკური ვითარება.** გიორგი რ-ის (1014-1027 წლები) გარდაცვალების შემდეგ ტახტი დაიკავა ახალგაზრდა ბაგრატ რდ-მ, რეალურად კი ქვეყანას მისი დედა – მარიამ დედოფალი მართავდა. ბაგრატის მეფობის დასაწყისი ფეოდალთა მხრიდან დიდი გამოსვლით აღინიშნა. ამიერტაოს დიდებულები, ვაჩე კარიჭის ძისა და იოანე ბანელ ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით, ბიზანტიის იმპერიის მხარეზე გადავიდნენ. ამ უკანასკნელთა აღნიშნულ ნაბიჯს ცუდი შედეგები მოჰყვა. როგორც კი მომხრეები დაიგულეს საქართველოში, ბიზანტიელებმა სერიოზულად დაიწყეს ფიქრი ქვეყნის სამხრეთ ნაწილის დაპყრობაზე. ბიზანტიის მომავალი საბრძოლო მოქმედებების მიზანი სამხრეთ კავკასიაში გაბატონება იყო.

**ბრძოლები.** იმპერატორმა კონსტანტინე დრრრ-მ საქართველოში საგანგებოდ გამოგზავნა „პარკიმანოზი ლაშქრითა ურიცხვითა“. საქართველოს სიღრმეში მომავალ ბიზანტიელ სარდალს ქართველებმა პირველად ვერ გაუწიეს ჯეროვანი წინააღმდეგობა. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ბიზანტიელებმა თრიალეთამდე მიაღწიეს უმოკლეს დროში. მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა კლდეკარის გამგებელი ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაღვაში, რომელმაც სწრაფად „შემოკრიბნა სხვანიცა აზნაურნი“ და შეება მტერს. ბაგრატ რდ-ის მომხრე დიდებულები კლდეკარის ციხეში იყვნენ გამაგრებული, ბიზანტიელებს კი ციხის მიმდებარე ტერიტორია ჰქონდათ დაკავებული. ამგვარმა წინააღმდეგობამ მომხვდურს მოუსპო შესაძლებლობა, ერთი ხელის დაკვრით აეღო ციხე. როგორც ჩანს, თავიდან პარაკიმომენს კლდეკარის გარემოცვაც კი უცდია, მაგრამ მალე დარწმუნდა მის აუღებლობაში და უკან გაატრიალა ჯარი. სანამ ბიზანტიელები ჯავახეთ-თრიალეთს დატოვებდნენ, კიდევ ერთხელ მოუწიათ ქართველთა პირისპირ დადგომა. ქართველი აზნაურები განძათას ციხის მიდამოებში შებმიან მოწინააღმდეგეს. საყოველთაო ანტიბიზანტიურმა მოძრაობამ აიძულა ბიზანტიელი სარდალი, დაეტოვებინა თრიალეთ-ჯავახეთი და უკან გაბრუნებულიყო.

მართალია, პარაკიმომენმა კლდეკარს ვერაფერი ავნო და უკან გაბრუნდა, მაგრამ მოახერხა და ზოგი ქართველი დიდებული კეისრის მხარეზე გადაიბირა. ბიზანტიაში წასულ ფეოდალთა რიცხვში ამჯერად იყვნენ შავშეთ-იმერხევის ფეოდალები, გარყელობის ციხის მფლობელი ჩანჩახი ფალელი და წერეფთის ციხის გამგებელი არჯევან ჰოლოლას ძე.

თრიალეთ-ჯავახეთის დატოვების შემდეგ ბიზანტიელებმა თავიანთი აგრესია კლარჯეთ-შავშეთ-იმერხევის მიმართულებით წარმართეს. რეგიონში იოანე ხარტულარი გაგზავნეს სარდლად. ბიზანტიელთა წინააღმდეგ ომს სათავეში საბა მტბევარი ჩაუდგა. ტბეთის ეპისკოპოსმა ანტიბიზანტიური ძალების გაერთიანება დაიწყო. საბას დამსახურება ის არის, რომ ყველაზე ადრე დაინახა ბიზანტიელთა მოსალოდნელი აგრესიის საშიშროება და შავშეთის გამაგრებას სამხედრო თვალსაზრისით შეუდგა: ტბეთის ეკლესიის მახლობლად ციხესიმაგრე ააგო, რომელსაც სვეტი უწოდა. მოგვიანებით სწორედ ეს ადგილი იქცა ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად.

შავშეთში მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, კლარჯეთში კი მოვლენები ბიზანტიელთა სასარგებლოდ წარიმართა. საბა მტბევარი სვეტის ციხიდან ხელმძღვანელობდა ანტიბიზანტიურ ომს. მასთან ყოფილა ეზრა ანჩელი. შავშეთ-კლარჯეთში მომავალ ლაშქარს ბიზანტიელებმა დემეტრე გურგენ კლარჯეთის ძე გამოაყოლეს. ეს უფლისწული შთამომავალი იყო იმ კლარჯ ბაგრატიონთა, რომლებიც 1011-1012 წლებში საქართველოს მეფე ბაგრატ რრრ-მ ფანასკერტელის ციხეში დაატუსაღა, მოგვიანებით კი თმოგვის ციხეში ჩაამწყვდია. ეს უკანასკნელნი ქართულ წყაროებში „კლარჯ ხელმწიფეებად“ იწოდებიან.

კლარჯეთში დემეტრე უფლისწულის ჩამოსვლის შემდეგ ბრძოლა უფრო გამძაფრდა. „კლარჯ ხელმწიფეთა“ შთამომავალის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვით ბიზანტიელები დაპყრობით ომს კანონიერ იერს აძლევდნენ და დემეტრე კლარჯის შელახული უფლებების ქედუხრელ დამცველებად

წარმოდგებოდნენ. იმპერიის ჯარებმა შავშეთში სვეტის ციხეს შემოარტყეს ალყა, მაგრამ აღება ვერ მოახერხეს.

**ანალიზი.** სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამართულმა ბრძოლებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ბიზანტიის იმპერიის გეგმები რეგიონში გაბატონების თაობაზე, კლარჯეთში კი მოვლენები ცენტრალური ხელისუფლებისათვის არასახარბიელოდ განვითარდა. ხალხმა დემეტრე კლარჯს დაუჭირა მხარი და დაიწყო მასობრივი გადასვლა ბიზანტიელთა მხარეზე. დემეტრეს მისიის დედააზრი „მატიანე ქართლისაში“ ასეა გადმოცემული: „შესატყუევნელად ქვეყნისა კაცთათვის“. ბიზანტიის იმპერია საკმაოდ ერთგული იყო რომაელთა უმთავრესი პოლიტიკური პრინციპისა: „ივიდე ეტ იმპერა“, რაც ნიშნავს: „გათიშე და იბატონე“. დემეტრე უფლისწულის შავშეთ-კლარჯეთში ჩამოსვლა, უმთავრესად, სწორედ ამას ემსახურებოდა. ქართველი უფლისწულის ხელით ბიზანტიელები ცდილობდნენ პროქართული ძალების შესუსტებას, მათთვის უმთავრესი დასაყრდენის – ხალხის ჩამოშორებას. ამ თამაშში დემეტრე კლარჯი მხოლოდ ბრმა იარაღი იყო. არტანუჯის ციხე ამ დროს იოვანე ერისთავს ეჭირა და, ფაქტიურად, კლარჯეთის დიდ ნაწილს აკონტროლებდა. კლარჯეთსა და შავშეთში ბრძოლა რამდენიმე თვე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ეს რეგიონი აქტიური საომარი მოქმედებების არეალად იქცა.

1028 წელს გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე ᲧᲘᲘᲘ და სამხედრო მოქმედებები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დროებით შეწყდა. 1029-1030 წლებში კონსტანტინოპოლში ჩავიდა საქართველოს ელჩობა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: საქართველოს დედოფალი, კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი, ქართველი დიდებულები და სასულიერო პირები. გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა: საქართველოსა და ბიზანტიას შორის „მშვიდობისა და ერთობის“ მიღწევას; ბაგრატ ᲘᲓ-ისათვის კურაპალატის ტიტულის მინიჭებას; ბაგრატისა და ბიზანტიის მმართველ ელიტას შორის დანათესავებას (იმპერატორ რომანოზ ᲘᲘᲘ-ის ძმისშვილი, ელენე ბასილის ასული, საქართველოს მეფეს შერთეს ცოლად). საქართველოში ჩამოყვანიდან მცირე ხნის შემდეგ ბიზანტიელი პრინცესა ელენე მოულოდნელად გარდაიცვალა. ამის შემდეგ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები კვლავ დაიძაბა.

## §14. ბრძოლა თბილისის საამიროს წინააღმდეგ

ᲣᲘ საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა თავისი გავლენის ზრდას კავკასიის მასშტაბით. ამის დადასტურება იყო განჯაზე ლაშქრობა, ასევე აქტიური ბრძოლა თბილისის საამიროსა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს შემოსაერთებლად.

მუხათგვერდის ინციდენტამდე კლდეკარის ერისთავსა და თბილისის ამირას კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე წლით ადრე, განძის ამირას წინააღმდეგ მიმართულ კოალიციაში სხვებთან ერთად ლიპარიტი და ამირა ჯაფარიც იყვნენ გაერთიანებული. „მატიანე ქართლისას“ ავტორი აღნიშნავს: „და დიდი ფადლონ ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა. და ვიდრე ყრმაღა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს ლიპარიტ და ივანე აბაზას ძე; მოვიდა დიდი კვირიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით სომეხთა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კვირიკესითა შეკრებილ იყვნეს ეკლეცს ფადლონს ზედა; გააქციეს ფადლონ და აუწყვიტეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხვი“.

1032 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზას ძემ მოტყუებით გამოიყვანეს თბილისის ამირა ჯაფარი ქალაქიდან და მუხათგვერდთან შეიპყრეს. ქართველმა ფეოდალებმა ვერ მოახერხეს თბილისის აღება და მხოლოდ ბირთვისის ციხე წაართვეს ჯაფარს. დატყვევებული ამირა მეფეს მიჰგვარეს. გარკვეული ხნის შემდეგ ბაგრატ ᲘᲓ-მ ამირა ჯაფარი ტყვეობიდან გაათავისუფლა და თბილისში დააბრუნა. 1038 წელს საქართველოს მეფემ, კლდეკარის ერისთავის წაქეზებით, კვლავ შეუტია თბილისის საამიროს და ქალაქს ალყა შემოარტყა. გადაიკეტა ქალაქში შესასვლელი ყველა გზა. თბილისი გარე სამყაროს მოსწყდა. ამას გარდა, „აფხაზთა მეფის“ ლაშქარმა დაიწყო საამიროს სხვა ციხეების გარემოცვა. ქართველთა მიზანი თბილისის საარსებო რესურსების გამოფიტვა იყო. ალყამ ორ წელს გასტანა (1038-1040 წლები). ქალაქში შიმშილი დაიწყო. როგორც მემატიანე აცხადებს, თბილისში ლიტრა ვირის ხორცი ხუთასი დინარი ღირდა. ამ პირობებში ჩავარდნილმა მოსახლეობამ, ამირას ზურგს უკან, ქალაქის ბაგრატ ᲘᲓ-ისათვის გადაცემა გადაწყვიტა. თავის მხრივ, არც ამირა აპირებდა ომის გაგრძელებას. მან კარგად იცოდა მოსახლეობის განწყობა და ქალაქიდან გაპარვას ფიქრობდა. თითქმის ყველაფერი მზად იყო, რომ თბილისი დაცემულიყო, მაგრამ ამ დროს ბაგრატ ᲘᲓ-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ახსნა ძნელია: ლიპარტ ბაღვაშისაგან დაუკითხავად, მოხსნა ალყა ქალაქს და დაუზავდა თბილისის ამირა ჯაფარს. აშკარაა, ბაგრატ ᲘᲓ-მ ეს ნაბიჯი გადადგა ლიპარიტ ბაღვაშის მოწინააღმდეგეთა შეგულიანებით. ამან გაანაწყენა ერისთავთერისთავი და „მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქვეგამხედვარად თავისი პატრონისაგან“. ეს დაძაბულობა უფრო გაღრმავდა, როდესაც ბაგრატ ᲘᲓ-მ,

ნაცვლად თბილისის აღებისა, კახეთზე ლაშქრობა აირჩია და ჯარები ამ უკანასკნელის მეფის – გაგიკის წინააღმდეგ მიმართა. კახეთ-ჰერეთის შემოერთების იდეა ლიპარიტის მოწინააღმდეგეთა მოფიქრებული იყო, რათა ამით დაეჩრდილათ თბილისის შემოერთების ლიპარიტისეული გეგმა. ამ მიმართულებით მათ გარკვეული სამუშაო გასწიეს კიდეც თბილისის გარემოცვისას. ამას მოჰყვა ბაგრატ IV-ის ლაშქრობა კახეთ-ჰერეთზე, მაგრამ მეფის ამ ნაბიჯით განაწყენებულმა ლიპარიტმა აჯანყება დაიწყო, რის გამოც ვერც კახეთ-ჰერეთისა და ვერც თბილისის საამიროს შემოერთება ვერ მოხერხდა. ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო.

## §15. მეფე ბაგრატ IV

**პოლიტიკური ვითარება.** XI საუკუნის საქართველოში არ არსებობდა სამხედრო დაჯგუფება, რომელსაც შეიძლებოდა იმდენი ძალა ჰქონოდა მარტო დაპირისპირებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ამიტომ, ბიზანტიის იმპერია ცდილობდა საქართველოს შიგნით თავადვე ჯერ შეექმნა, შემდეგ კი ფარულად ეკონტროლებინა დაჯგუფება, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას არ მისცემდა გაძლიერების, ხოლო ქვეყანას გაერთიანების შესაძლებლობას. იმპერიის მესვეურნი საქართველოში მიმდინარე შიდა ფეოდალური ომებით დაინტერესებულნი იყვნენ იმდენად, რამდენადაც ამ ხერხით ხელოვნურად ბორკავდნენ ჩვენს ქვეყანას და ასუსტებდნენ მას.

XI ს-ის 40-იანი წლების დასაწყისში ბიზანტიამ კარგად გამოიყენა ცენტრალური ხელისუფლებისა და პროვინციის მმართველ წრეებს შორის არსებული წინააღმდეგობა და მოახერხა ეს უთანხმოება სამხედრო დაპირისპირებაში გადაეზარდა. ლიპარიტ ერისთავის აჯანყება დასაწყისში შეიძლება არ იყო უშუალოდ ბიზანტიელების ინსპირირებული, მაგრამ საგულისხმოა, რომ კლდეკარის ერისთავი თავიდანვე შეეცდებოდა მათგან დახმარების პირობის მიღებას. თბილისის გარემოცვის დასრულების შემდეგ ლიპარიტი „შეიქმნა... ქვეგამხედვარად თავის პატრონისაგან“. კლდეკარის ერისთავს მეფის საწინააღმდეგოდ ფარული საქმიანობა დაუწყია, რაც მოგვიანებით ბიზანტიელებთან კავშირ-ურთიერთობით დასრულდა. ლიპარიტისა და ბიზანტიელთა მისწრაფებები ერთმანეთს დაემთხვა და შეთანხმების მიღწევაც მალე მოხერხდა. ბაგრატ IV ამ პერიოდში კახეთ-ჰერეთის პრობლემის მოგვარებით იყო დაკავებული და ლიპარიტისთვის არ ეცალა. ლიპარიტის ორგულობის გამომჟღავნებისთანავე ბაგრატ IV-მ თრიალეთზე ილაშქრა, მაგრამ დრო უკვე დაკარგული იყო.

**შიდა დაპირისპირება.** 1041 წელს აჯანყებულებმა ბიზანტიიდან დაპირებული სამხედრო დახმარება მიიღეს. ამასთანავე, კლდეკარის ერისთავმა, თავისი ბრძოლისათვის სამართლებრივი ელფერი რომ მიეცა, კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ ჩამოიყვანა დემეტრე გიორგის ძე. ლიპარიტის მხარეზე იბრძოდა კახეთ-ჰერეთის ლაშქარიც.

აჯანყებულებმა შიდა ქართლის დამორჩილება გადწყვიტეს და იერიში ატენის ციხეზე მიიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ ლიპარიტს „ჰყვეს... კახნი და ბერძენნი“ მან მაინც ვერ მოახერხა ციხის აღება, რადგან მისი დამცველნი ბოლომდე მეფის ერთგულნი დარჩნენ და მტერს ტანას ხეობაში გამაგრების შესაძლებლობა მოუსპეს.

ატენის წარუმატებლობამ აჯანყების შემდგომ ბედზე იმოქმედა და ამ მოვლენების შიდა ქართლში გადატანა ვერ მოხერხდა. დაპირისპირების ეპიცენტრი მაინც სამხრეთ საქართველო გახლდათ. მაგრამ ამ რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია საკმაოდ სუსტი იყო. დაპირისპირება დიდხანს არ გაგრძელებულა და იმავე წლის ზამთარში იმპერატორ მიხეილ IV-ის გარდაცვალების შემდეგ შეწყდა.ლიპარიტ ბაღვაში ბაგრატ IV-ს დაუზავდა. მეფემ „ურჩ ყმას“ ქართლის ერისთავთ-ერისთავის პატივი უბოძა. ქვეყანაში დროებით მშვიდობამ დაისადგურა.

**საგარეო ვითარება.** სამხედრო კონფლიქტის დასრულებისთანავე ბაგრატ IV შეეცადა აქტიური საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა. საქართველოს სამეფოს გაძლიერება წინააღმდეგობაში მოდიოდა იმ გეგმებთან რომელიც ბიზანტიას წინა აზიაში ჰქონდა. კონსტანტინოპოლში იცოდნენ, რომ შეიძლებდა ქართველთა სამეფო მოკლე ხანში რეგიონში იმპერიის სამხედრო თუ პოლიტიკურ კონკურენტად გადაქცეულიყო. მაგრამ საიმპერატორო კარს საქართველოსათვის არ ეცალა. იმპერიის მესვეურნი, 1041 წლიდან მოყოლებული, დაკავებულნი იყვნენ ანისის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლით.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი სომხური სამეფოს გარშემო 1041-1045 წლებში დატრიალებული მოვლენები კი ჩვენთვის იმდენადაა საყურადღებო, რამდენადაც სწორედ აქ გამოჩნდა ნათლად საქართველო-ბიზანტიის საგარეო პოლიტიკური და სამხედრო ინტერესების დაპირისპირება.

1042 წელს, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე კონსტანტინე IX მონომახის ასვლის შემდეგ, იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკა კვლავ გააქტიურდა. მართალია, 1043-1044 წლებში ბიზანტია აჯანყებებით იყო მოცული, მაგრამ კონსტანტინე IX მოახერხა ეს სიძნელეები დაეძლია და უკვე 1044 წლისათვის მან ანისის სამეფოს შემოერთების საქმეში კონკრეტული ნაბიჯი გადადგა. ბიზანტიელებმა მოახერხეს და ანისის მეფე გაგიკ II კონსტანტინოპოლში ჩაიტყუეს, სადაც დააპატიმრეს. ამას მოჰყვა ბიზანტიელთა ლაშქრობა ანისში. ამ მძიმე ვითარებაში სომეხმა დიდებულებმა ძლიერი მოკავშირის ძიება დაიწყეს. მათი არჩევანი ბაგრატ IV-ზე შეჩერდა. ანისში

გაიგზავნა მარიამ დედოფალი, ქართული ლაშქრის თანხლებით. ამავე პერიოდში ბაგრატ იი თბილისის საამირო შემოიერთა.

ანისიდან ქუთაისში საგანგებო ელჩები გაიგზავნა. ანისის დროებით მმართველად ბაგრატ იი-ის დედა მარიამ დედოფალი გამოცხადდა (იგი ანისის მეფეებს ენათესავებოდა).

ბიზანტიელთაგან ანისის გარემოცვა კარგა ხანს გაგრძელდა. ქართველები ქალაქის დაცვაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. ამ დროს სომხეთში მარიამ დედოფალთან ერთად იმყოფებოდნენ საქართველოს ყველაზე გავლენიანი ფეოდალები – აბუსერ ერისთავი (არტანუჯის, ხიხათის, ციხისჯვრისა და აწყურის ციხის პატრონი), ივანე ერისთავი, ივანე დადიანი (ოდიშის პატრონი), გურამ გოდერძის ძე (ბეჭის ციხის პატრონი). მაგრამ უშუალოდ ქართველების ანისის გარემოცვაში მონაწილეობის გარდა, საქართველოს სამეფო კარი გარედან ცდილობდა, ყოველნაირად ხელი შეეშალათ სომხეთში ბიზანტიელთა აგრესიისათვის. ბაგრატ იი-მ ამ პერიოდში საქართველოს კუთვნილ, მაგრამ ბიზანტიელთა მიერ დაპყრობილ ციხეებს შეუტია. 1045 წელს ბიზანტიელთა მხარეზე მებრძოლმა ლიპარიტ ბაღვაშმა ანისიდან გამოიტყუა ქართველი წარჩინებულები და შეიპყრო. ამან ქალაქის თავდაცვისუნარიანობა შეარყია. მალე ქალაქი ანისი ბიზანტიელთა ხელთ გადავიდა.

ანისის დაცემის შემდეგ საქართველოში კვლავ გაჩაღდა სამოქალაქო ომი. ლიპარიტ ბაღვაში ბიზანტიელთა რაზმებთან ერთად საქართველოში შემოიჭრა. ქვეყნის ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოკავშირედ 3000 ვიკინგი მოიწვია. ვიკინგები, ანუ ქართული წყაროს ვარიაგები, პირველად რიონის დინებით სოფელ ბაშში დაბანაკდნენ. გადამწყვეტ ბრძოლაში სასირეთის ჭალაში მეფემ მხოლოდ 700 მეომარი წაიყვანა.

**შეტაკებები სასირეთის ჭალასა და არყის ციხესთან:** გადამწყვეტი შეტაკება, როგორც „მატიანე ქართლისაშია“ აღნიშნული, მომხდარა სასირეთის ჭალასთან. ეს პუნქტი შიდა ქართლში მდებარეობდა, მდ. თეძამის ხეობაში.

სასირეთის ჭალასთან მოწინააღმდეგეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოვიდნენ – კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში თრიალეთიდან, ხოლო ბაგრატ იი დასავლეთ საქართველოდან. სოფელი სასირეთი შემთხვევით არ იყო ამორჩეული ბრძოლის ადგილად. მასზე გადიოდა შიდა ქართლიდან თრიალეთში მიმავალი მაგისტრალი, რომელიც შუა საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდა. ბრძოლის დაწყებამდე, ლიპარიტ ბაღვაში დაბანაკებული უნდა ყოფილიყო ხოვლე-დოესს შორის ე. ი. თეძამის მარცხენა ნაპირზე და უნდა სჭეროდა ის ვრცელი ვაკე, რომელიც მტკვრის მარჯვენა ტერასას ქმნის.

ბაგრატ იი-ის ძალები კი მდინარე თეძამის მარჯვენა მხარეს უნდა ყოფილიყვნენ კონცენტრირებულნი. საქართველოს მეფე ამ რეგიონში უნდა მოსულიყო კასპის მხრიდან. ლეხურა-მტკვრის შესართავის ახლოს უნდა გადასულიყო მტკვარზე და ამ მხრიდან მდ. თეძამთან მოსულიყო.

მდინარე თეძამის ორივე მხარეს დაბანაკებული მოწინააღმდეგეები ბრძოლის დაწყებას არ აპირებდნენ. ბაგრატ იი კიდევ ელოდა დამატებით ძალებს მესხეთიდან, მაგრამ ამ დროს საკუთარ სიმამაცესა თუ სიძლიერეში დარწმუნებულმა ვიკინგებმა, სარდლობასთან შეუთანხმებლად იერიში მიიტანეს ლიპარიტის ბანაკზე. ამან იძულებული გახადა საქართველოს მეფე ბრძოლაში ჩართულიყო. ქართველი მემატიანე აღნიშნავს: „და ამით ვარანგითა. მესხნი ვერღარა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა“. კლდეკარის ერისთავს ბიზანტიელებთა გარნიზონები უმაგრებდნენ ზურგს. სისხლისმღვრელი შეტაკება მცირერიცხოვან ვიკინგთა და ქართველთა ლაშქრის დამარცხებით დასრულდა. სასირეთის ბრძოლაში ბაგრატ მეფემ სასტიკი დამარცხება იგემა. მიზეზი ამ მარცხისა კი თავად მეფის მხედრობის არაგეგმაზომიერ მოქმედებაშია, რითაც ისარგებლა ერისთავმა და დაამარცხა ბაგრატ იი-ის ჯარი. ერისთავმა გაიმარჯვა, მაგრამ მისი წარმატება გაცილებით უფრო დიდი შედეგებით დამთავრდა, ვიდრე იგი ელოდა. მან შეტაკებისას ხელთ იგდო ვარანგთა ის შვიდასკაციანი რაზმი, რომელიც მეფეს ქართლში ჰყავდა გადმოყვანილი. ამასთანავე, ლიპარიტ ბაღვაშმა სასირეთის ჭალაში დაატყვევა მეფის ერთგული დიდებულები „აბუსერი და სხვანიცა დიდებულნი მის თანა“.

ბრძოლის დასრულების შემდეგ ლიპარიტ ბაღვაშმა ვარანგები ბაშში დაბანაკებულ თანატომელებთან გაისტუმრა. როგორც ჩანს, ლიპარიტმა ვიკინგებისაგან ყველაზე მთავარი პირობა მიიღო, რიონის ნაპირებთან დაბრუნებისთანავე ისინი დარჩენილ 2 300 მეომართან ერთად საქართველოს უნდა გასცლოდნენ.

სასირეთში დამარცხების შემდეგ ბაგრატ იი შეშინდა. მეფე იძულებული გახდა თავი დაემცირებინა და ხოვლეში მდგარ ერისთავს მცირედი ამალით ხლებოდა შესარიგებლად, მაგრამ ლიპარიტმა მასთან მოლაპარაკება არ ისურვა და იქაურობას გაეცალა. მოქიშპე მხარეები ერთმანეთს მომავალი ომის მოლოდინით დაშორდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ სამხრეთ საქართველოს ფეოდალებმა სულა კალმახის ერისთავმა და გიორგი არტანუჯის ერისთავმა, მესხ აზნაურებთან ერთად ლიპარიტის წინააღმდეგ გამოსვლა გადაწყვიტეს. მათ ლაშქარი შეკრიბეს, ბაგრატ იი-ს უხმეს და სამცხეში, არყისციხესთან დაბანაკდნენ. ეს სოფელი ახალციხიდან 5 კილომეტრშია. ციხე სოფლის განაპირასაა და დიდ ხევს გადაჰყურებდა (ამჟამად თითქმის დანგრეულია. შემორჩენილია კოშკი და გალავნის ნაწილი). ლიპარიტმა შეიტყო ბაგრატ იი-სა და მისი მომხრეების შეკრება,

დაასწრო და თავად გადავიდა შეტევაზე. მოულოდნელად დაესხა საქართველოს მეფის ბანაკს და დაამარცხა. კლდეკარის ერისთავმა ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდო სულა და გიორგი ერისთავები. მეფემ გაქცევით უშველა თავს. სამხრეთ საქართველო თითქმის მთლიანად ლიპარიტ ბაღვაშის გავლენის ქვეშ მოექცა. ეს უკანასკნელი, როგორც ქართლის ერისთავი, ნაწილობრივ აკონტროლებდა შიდა ქართლის ნაწილს.

**შედეგები.** სამოქალაქო ომმა უკიდურესად დაძაბა პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში. ბაგრატ IV-მ ქვეყნისთვის კრიტიკულ ვითარებაში მიიღო გადაწყვეტილება და ეახლა ლიპარიტ ბაღვაშის მფარველსა და მხარდამჭერს, ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე IX მონომახს. კონსტანტინოპოლში წასვლამდე ბაგრატ IV-მ სამეფო თავის ვაჟს, გიორგი III-ს გადასცა. „დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“... და თავად „წარვიდა საბერძნეთსო“, – დასძენს მემატიანე. იმპერატორთან ჩასულ საქართველოს მეფეს სამი წელი მოუწია ბიზანტიაში დარჩენა.[5]

„მატიანე ქართლისას“ მინიშნებით, საქართველოს მეფის კონსტანტინოპოლში ყოფნისას, ლიპარიტ ბაღვაშს მოუწადინებია გიორგი ბაგრატის ძის საქართველოს მეფედ აღიარება და ამ წინადადებით სამეფო კარისათვის მიუმართავს. არასასურველი რეალობის გამოსწორების სურვილით შეპყრობილმა სამეფო კარმა, სიხარულით მიიღო ერისთავის წინადადება. გიორგი ბაგრატის ძე აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანეს და რუისის ტაძარში 1054 წელს მეფედ აკურთხეს.

1055 წლისათვის ბაგრატ IV კონსტანტინოპოლიდან საქართველოში დაბრუნდა. მალე სამეფო კარმა ლიპარიტ ბაღვაშის შეპყრობაც მოახერხა და თავისი ძალაუფლება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოზე უწინდებურად განავრცო. 1060 წლისათვის ბაგრატ IV-მ შეძლო აბაზასძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა შეპყრობა, რომელთაც მეფის მოკვლა ჰქონდათ განზრახული.

XI საუკუნის 60-იან წლებში საგრძნობლად გაუარესდა საქართველოსა და განძის საათაბაგოს ურთიერთობა. ფადლონ III-მ 1068 წელს თურქ-სელჩუკთაგან მოოხრებული საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციების ხელახლა მოთარეშება გადაწყვიტა. ბაგრატ IV ამ დროს დიდგორის მიდამოებში იდგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფადლონ III-მ შიდა ქართლის დარბევა დაიწყო. ქართველ დიდებულთა ლაშქარი განძის ამირას დაედევნა: „ხოლო ქართლს ვერღარა ჩამოესწრნეს, შექცეულთა გაუსწრეს მუხნარს წინა წილკნის გორთა თანა. უკანასა კერძსა შეებნეს და პირველსავე ისრმალსა მოკიდებასა გააქციეს ფადლონ“. დევნილმა ამირამ თხუთმეტი ცხენოსნის ამარა გააღწია სამშვიდობოს, მაგრამ კახეთში იგი ადგილობრივმა ფეოდალმა ისაკ ტოლობელისძემ შეიპყრო და აღსართან კახთა მეფეს მიჰგვარა. ბაგრატ IV-სა და აღსართანს შორის მოლაპარაკების შემდეგ, ბოჭორმისა და უჯარმის ციხეების სანაცვლოდ, ამ უკანასკნელმა ძვირფასი ტყვე საქართველოს მეფეს დაუთმო.

განძის ამირას ხელში ჩაგდების შემდეგ ბაგრატ IV-მ ზედიზედ აიღო თბილისი, რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი, ქავაზინი. ფადლონ III ტყვეობაში თითქმის 1069 წლის აპრილამდე იყო. თურქ-სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის ჩარევის შემდეგ ბაგრატ IV-მ იგი გაათავისუფლა. განძაში დაბრუნებულმა ფადლონ III-მ უწინდებურად დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა. სამეფო კარმა სასწრაფო ზომებს მიმართა. მეფემ თავისი მეუღლის – ბორენა დედოფლის ძმა, ოსთა მეფე დორღოლელი, ორმოცათასიანი ჯარით მოიწვია. გაერთიანებულ ლაშქარს სათავეში მეფემ გიორგი III ჩაუყენა. ეს იყო უფლისწულის სერიოზული სამხედრო ნათლობა. ქართველთა და ოსთა ჯარმა „მოაოხრა განძა, და აღიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ“. გამარჯვებული გიორგი უფლისწული დიდი ალაფით დაბრუნდა სამშობლოში.

ამ ამბების შემდეგ ბაგრატ IV-ს დიდხანს აღარ უცოცხლია. 1072 წლის 24 ნოემბერს იგი გარდაიცვალა. მეფე დიდი პატივით წაასვენეს ჭყონდიდს და თავისსავე აშენებულ სამვალეში დაკრძალეს. საქართველოს სამეფო ტახტი მისმა ერთადერთმა ვაჟმა – გიორგი III-მ დაიკავა.

## §16. მეფე გიორგი III

**პოლიტიკური ვითარება.** გიორგი III-ს მეტად მძიმე საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში მოუწია სამეფო ტახტზე ასვლა. თურქ-სელჩუკები უკვე ამიერკავკასიის შიდა რაიონების დაპყრობით იყვნენ დაკავებულნი. ბიზანტიაშიც მძიმე საშინაო კრიზისი სუფევდა და იქიდან რაიმე დახმარება გამორიცხული იყო. ის კი არა და, ბიზანტიის იმპერიას თავად ესაჭიროებოდა საქართველოსგან შველა. ამ საგარეო ვითარებას საშინაო სირთულეებიც დაერთო. ერთი სიტყვით, ტახტზე ასვლისთანავე ახალგაზრდა მეფე პოლიტიკური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა და ძალზე მცირე ხნით ერგო მშვიდი ცხოვრება: „დაყო მშვიდობით ზამთარი ერთი და ზაფხულისა ნახევარი“. უკვე 1073 წელს საქართველოს სამეფოში სამოქალაქო ბრძოლის საშიშროება შეიმჩნეოდა. ეს გამოიხატა

[5] კონსტანტინოპოლში საქართველოს მეფის საპატიო ტყვეობა, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა იმ გარიგებით, რომელიც კონსტანტინე მონომახის შუამდგომლობით დაიდო ლიპარიტ ბაღვაშსა და ბაგრატ IV-ს შორის.

დიდგვაროვანი ფეოდალების – ნიანია ქვაბულის ძის, ივანე ლიპარიტის ძისა და ვარდან სვანთა ერისთავის განდგომაში. „მატიანე ქართლისა“ აღნიშნავს, რომ დიდებულებმა ისარგებლეს გიორგი ირი-ის ახალგაზრდობით („სიყრმით“) და აუშალეს ქვეყანა. არ არის გამორიცხული, რომ 1073 წლის ზაფხულის ეს გამოსვლა წლების მანძილზე მზადდებოდა, ჯერ კიდევ ბაგრატ IV-ის დროს და როგორც კი ხელსაყრელი მომენტი გამოჩნდა (ახალი მეფის ტახტზე ასვლა), მაშინვე იფეთქა.

დიდგავაროვანმა ფეოდალებმა ახალგაზრდა მეფეს ისე შეუტიეს, გონზე მოსვლა არ აცალეს. სხვა შემთხვევაში, მათი აზრით, შეიძლებოდა გიორგი ირი მომძლავრებულიყო და მასთან შებრძოლება (გადადგომა) რთული გამხდარიყო. განდგომილებს მხარს უჭერდა სამეფო ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო მოსახლეობა. ერთი სიტყვით, 1073 წლის გამოსვლა იყო მსხვილი ფეოდალების ამბოხი საკუთარი უფლებების გაფართოებისათვის და გამაგრებული იყო მოსახლეობის მხარდაჭერით, საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სამეფო კარმა და გიორგი ირი-მ აწონ-დაწონეს შექმნილი ვითარება და განდგომილთა დასამორჩილებლად ღონისძიებებს მიმართეს. გიორგი ირი-მ, ძალისა გარდა, დიპლომატიაც გამოიყენა და გადამდგარი დიდგვაროვნები დაიმორჩილა.

**თურქ-სელჩუკთა შემოსევა და ფარცხისის ომი.** საქართველოს სამეფო კარი საშინაო პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული, როდესაც ქვეყნის საზღვრებს თურქ-სელჩუკთა ახალი ტალღა მოაწყდა. მომთაბარე ოღუზები (თურანულენოვანი ტომები, რომლებიც ცენტრალურ და შუა აზიაში სახლობდნენ IXIII—XI საუკუნეებში) ამ დროს ძირითადად არანისა და შირვანის დაპყრობით იყვნენ დაკავებულნი. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობის პირველ ეტაპზე ოღუზთა სამხედრო მოქმედებებს თავად მალიქ-შაჰი ხელმძღვანელობდა. ყოველ შემთხვევაში, ქართული წყაროების მიხედვით, 1075 წელს თურქ-სულჩუკთა სულთანი არანსა და საქართველოში ჩანს. „მატიანე ქართლისას“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მალიქ-შაჰი უშუალოდ მონაწილეობდა ამ დროს არანიდან საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში.

ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ დასაწყისში თურქ-სელჩუკთა სულთანი საქართველოს ისტორიულ საზღვრებთან მოძრაობდა, რადგან სწორედ თავის სამფლობელოს გარეთ მიაგება სულთანს ივანე ბაღვაშმა თავისი ვაჟი ლიპარიტი. „მატიანე ქართლისას“ ავტორის მინიშნებით, „მიაგება ივანე ძე მისი ლიპარიტ წინა, შეაწყნარა სულტანსა და დაყო მის თანა მცირედი ხანი, და გამოეპარა. და მოვიდა სულტანი, და მოადგა სამშვილდესა“. ივანე ბაღვაშმა განჭვრიტა თურქ-სელჩუკთა მომავალი გეგმები და თავიდანვე შეეცადა მეგობრულ ურთიერთობას მათთან. მალიქ-შაჰს მიახლებული ლიპარიტი მცირე ხანს დარჩა თურქ-სელჩუკთა ბანაკში, შემდეგ გამოეპარა სულთანს და სამშობლოში დაბრუნდა. ლიპარიტ ივანეს ძის ასეთი საქციელით განრისხებული თურქ-სელჩუკთა სულთანი სასწრაფოდ გამოემართა საქართველოსაკენ და რისხვა უპირველესად ბაღვაშთა სამფლობელოს დაატეხა. მალიქ-შაჰმა ალყა შემოარტყა სამშვილდეს და მოკლე ხანში აიღო კიდეც. ივანე ლიპარიტის ძე და მისი ოჯახი, ასევე ბაღვაშთან მყოფი აზნაურები, ტყვედ ჩაიგდო. სამშვილდეში სულთნის მეციხოვნეები ჩადგნენ. ქვემო ქართლის დაპყრობის დროს მალიქ-შაჰმა ქართლის სხვა მხარეებიც მოარბია და დიდი ნადავლით გაბრუნდა უკან, არანში.

„მატიანე ქართლისას“ მიხედვით, საქართველოდან წასულმა სულთანმა აიღო განძა და არანის გამგებლად თავისი ერთ-ერთი სარდალი – სარანგი (არაბულ წყაროებში – სავთენგი) დატოვა. აღნიშნული ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ თურქ-სელჩუკთა სარდლობამ გადაწყვიტა საომარი მოქმედებები დასავლეთ საქართველოს მიმართულებით წარემართა, მით უმეტეს, რომ ქვემო ქართლში მათ უკვე დაკავებული ჰქონდათ ერთ-ერთი ცენტრალური ციხე – სამშვილდე. „მატიანე ქართლისა“ მიუთითებს: „შემდგომად მცირედისა ხანისა შეკრბა სარანგი ყოვლითა ლაშქრითა მისითა და განძასითა, დვინისა და დმანისისა ამირათა თანადგომითა და მიმართა გიორგი მეფესა“. თურქ-სელჩუკთა ეს მოძრაობა უყურადღებოდ არ დარჩენია საქართველოს ხელისუფლებას და მომთაბარე ოღუზთა დასახვედრად სამეფო კარს სამზადისიც ჯეროვანი გაუწევია. გიორგი ირი-მ მოიწვია კახთა მეფე აღსართანი და სამეფო ლაშქართან ერთად მტრის შესახვედრად ქვემო ქართლისაკენ გაემართა. გადამწყვეტი ბრძოლა სოფელ ფარცხისთან მოხდა.

ქართველ მემატიანეთა მონათხრობით ირკვევა, რომ მტერი სამშვილდის სამხრეთით დაბანაკებულა ვრცელ ვაკეზე (დაბლობში). როგორც ჩანს, სარანგი აქედან აპირებდა დაპყრობითი ომის დაწყებას. მტერმა შემდეგ ფარცხისისაკენ გადაინაცვლა. ამასობაში ქართველთა ჯარი ალგეთის ხეობაში გადავიდა და ფარცხისის ქვემოთ უცაბედად თავს დაესხა თურქ-სელჩუკებს. აქედან (ფარცხისიდან) გზა ორი მიმართულებით მიდიოდა: ერთი – ალგეთის პირზე ბირთვისის ციხისკენ, მეორე – ფარცხისიდან სამება-ზოვრეთ-დაღეთზე გავლით ქვემო ქართლის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ცენტრში, სამშვილდეში. ჩვენი აზრით, სარანგს სწორედ ამ გზით უნდა ესარგებლა.

სარანგი საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმიის თანხლებით უნდა შემოსულიყო საქართველოში. „მატიანე ქართლისას“ გადმოცემით, მელიქ-შაჰს არანის საბოლოოდ დასაპყრობად სარანგისათვის 48 000 მეომარი დაუტოვებია: „დააგდო სარანგი თავადად განძას და ბრძოლად ქვეყნისა ყოვლისა, ორმოცდარვა ათასითა კაცითა“. მთელ არმიას – 48 000 კაცს, თურქ-სელჩუკთა სარდალი სამშვილდისაკენ ვერ წაიყვანდა, რადგან მისი ლაშქრის ნაწილი არანში დარჩებოდა აღებულ ციხეთა

გასამაგრებლად, მაგრამ, სამაგიეროდ, სარანგს მოუწვევია დვინისა და დმანისის ამირები ჯარებით. ამდენად, თურქ-სელჩუკთა ლაშქარში დაახლოებით 40-50 ათასი კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ქართველთა ჯარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩანს. მეფეს სარანგის წინააღმდეგ დაურაზმავს არა მარტო „აფხაზთა სამეფოს“ სამხედრო ძალები, არამედ საგანგებოდ მოუწვევია აღსართან მეფეც, კახეთ-ჰერეთის ლაშქრით.

თურქ-სელჩუკთა და ქართველთა ბრძოლა სოფელ ფარცხისთან კარგა ხანს გაგრძელდა და მწუხრისას დასრულდა. მოწინააღმდეგე სასტიკად დამარცხდა. ფარცხისის მიდამოები სარანგის მეომრებით იყო მოფენილი. „მატიანე ქართლისა“ საკმაოდ ხატოვნად აღწერს ქართველთა გამარჯვებას: „და იოტა ბანაკი სარანგისი: გააქცია და ასწყდა. იყო ჟამი მწუხრისა და სიღამემან დაარჩინა ნეშტი სარანგის ლაშქრისა, და შემოიქცა უკლებლად და მშვიდობით მეფეთ-მეფე გიორგი თავისა სამეფოსა“. მარცხით დასრულდა სარანგის სარდლობით მოწყობილი თურქ-სელჩუკთა მორიგი ლაშქრობა. წყაროებიდან არ ჩანს, ფარცხისის ომის შემდეგ ქართველებმა ქვემო ქართლიდან საბოლოოდ განდევნეს თუ არა მომთბარე ოღუზები, მაგრამ რადგან არც „მატიანე ქართლისა“ და არც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არას ამბობს სამშვილდის აღებაზე, საფიქრებელია, რომ იქ კვლავ თურქ-სელჩუკების გარნიზონი დარჩა.

რომელ წელს მოხდა ფარცხისის ომი? დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის განცხადებით, „მასვე წელს მოვიდა სარანგი ძალითა სულთანისათა“. სხვადასხვა წყაროსა და ისტორიული მასალის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ნათელია, რომ მალიქ-შაჰის ამიერკავკასიაში ლაშქრობა და თურქ-სელჩუკთაგან არანის დაპყრობა 1075 წლის აგვისტო-დეკემბერში მომხდარა. ამდენად, ფარცხისის ომი 1075 წლის აგვისტო-დეკემბრის შუალედშია სავარაუდო. უფრო სწორი უნდა იყოს ამ ომის 1075 წლის შემოდგომით დათარიღება.

**ანალიზი.** ფარცხისის ომამდე და მისი დამთავრების შემდეგაც ბიზანტიის იმპერიას ცენტრალურ რეგიონებში სერიოზული პრობლემები შეექმნა. ანა კომნენოსის მითითებით, თურქ-სელჩუკთა ლაშქრობები ამ პერიოდში თვით ბოსფორამდე აღწევდა. 1075 წლისათვის მომთაბარე ოღუზებმა ბერძნებს გადაუკეტეს სირიასა და მესოპოტომიასთან დამაკავშირებელი სახმელეთო მაგისტრალები. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ერთგვარად შემობრუნდა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა. როგორც ჩანს, თურქ-სელჩუკთა აგრესიამ აიძულა იმპერია საქართველოში კონკურენტი კი არა, მოკავშირე დაენახა. მანასკერტის ტრაგედიის შემდეგ ბიზანტიას ესაჭიროებოდა ქართველ მეფეთა ერთგულება, ამასთანავე, მას უკვე აღარ შეეძლო გარნიზონების შენახვა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. თურქ-სელჩუკები იმპერიის ცენტრალურ რაიონებს უტევდნენ და ამ დროს ჯავახეთის, არტაანის, შავშეთისა და კლარჯეთის საფუძვლიანი გამაგრება უკვე აღარ შედიოდა იმპერიის სტრატეგიულ ინტერესებში. ისტორიული მასალების შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ანაკოფიის, კლარჯეთის, შავშეთის, ჯავახეთისა და არტაანის ზოგიერთი ციხის გიორგი ⴀრ-ისთვის გადაცემა ბიზანტიასა და საქართველოს შორის შეთანხმების საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

**შედეგი.** 1075 წლის შემდეგ საქართველომ დაიბრუნა ⴕრ საუკუნის დასაწყისში დაკარგული ტერიტორიების დიდი ნაწილი. ეს იყო საგრძნობი შენაძენი, მაგრამ წინა აზიაში განვითარებულმა მოვლენებმა, თურქ-სელჩუკთა აგრესიამ ამიერკავკასიაში ეს წარმატება მალე ისტორიის კუთვნილებად აქცია. ფარცხისის ომის შემდეგ საქართველოსთვის ბიზანტიელთაგან ვრცელი ტერიტორიების დათმობის გარდა, იყო კიდევ ერთი მოვლენა, რომელსაც ანალოგი არ ჰქონდა ⴕრ საუკუნეში. ტაოში შეხვდნენ გიორგი ⴀრ და გრიგოლ ბაკურიანის ძე. საბოლოოდ გადაწყდა და გაფორმდა პოლიტიკური შეთანხმება: ბიზანტიამ საქართველოს დაუთმო ვანანდის სამეფო, დედაქალაქ კარით.

**ამ მოვლენის პოლიტიკური მნიშვნელობა.** ბიზანტიამ საბოლოოდ აღიარა საქართველო აღმოსავლეთში ერთადერთ ქვეყნად, რომელიც შეიძლებოდა პოლიტიკურ ასპარეზზე მისი მოკავშირე და თანაბარი პარტნიორი გამხდარიყო; ამიტომ იყო, რომ თავიანთ დატოვებულ ტერიტორიას ბერძნები ქართველთა მეფეს გადასცემდნენ სამართავად. მართალია, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც თურქ-სელჩუკთაგან დაპყრობა უშუალოდ იმპერიას დაემუქრა, მაგრამ თავად ფაქტი საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

სრულიად სამართლიანად შენიშნავენ მ. ლორთქიფანიძე და ზ. პაპასქირი, რომ კარისა და ვანანდის ტერიტორიების გადაცემა იყო ის პირველი რეალური ნაყოფი ბიზანტია-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური დაახლოებისა და ურთიერთთანამშრომლობისა, რომელიც, თურქ-სელჩუკთა მოზღვავებული აგრესიის პირობებში, მიზნად ისახავდა ორი მეზობელი ქვეყნის ძალების გაერთიანებას საერთო მტრის წინააღმდეგ.

## §17. მეფე დავით ⴀდ აღმაშენებელი საგარეო-პოლიტიკური ვითარება ⴕრ საუკუნის მეორე ნახევარში (თურქ-სელჩუკთა ექსპანსიის პერიოდი)

XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა. ბიზანტიასთან ბრძოლებითა და შიდა დაპირისპირებებით დასუსტებულ ქვეყანას ახალი საფრთხე გამოუჩნდა თურქ-სელჩუკების სახით. ბაგრატ IV-მ მეტ-ნაკლები წარმატებით მოახერხა მათი შემოტევების დროებით შეჩერება, მაგრამ მისი მემკვიდრის – გიორგი III-ის მეფობის დროს, XI საუკუნის 80-იანი წლებიდან, თურქ-სელჩუკთა რეგულარული არმიების თავდასხმებმა და მომთაბარე თურქმანების ურდოების საქართველოს მიწა-წყალზე ჩამოსახლებამ („დიდი თურქობა“) ინტენსიური ხასიათი მიიღო. გიორგი III ვეღარ უმკლავდებოდა პრობლემებს. ქვეყნის გადასარჩენად ახალი ენერგია იყო საჭირო. ეიგი იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო და მეფობა 16 წლის ვაჟის – დავითისათვის დაეთმო.

დავით IV-ს მძიმე მემკვიდრეობა ერგო. დიდებულები მეფეს არ ემორჩილებოდნენ. გიორგი III-ის დროს ისიც კი გაბედეს, რომ ქალაქიდან სამეფო ქონება გაიტაცეს. ზოგიერთი მათგანი მიზნების მისაღწევად მტერს იშველიებდა. ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში გიორგი III-ის მეფობის დროს მალიქ-შაჰს ეახლა, როცა ის საქართველოსკენ სალაშქროდ მოემართებოდა. ქვეყნის საგარეო ვითარებაც მძიმე იყო. თურქ-სელჩუკებმა სამხრეთ კავკასიის ტერიტორია დალაშქრეს. მათ ხელში აღმოჩნდა განძის საამირო, ნახჭევანისა და შირვანის ქვეყანა, ანისი, ყარსი, დვინი. 1071 წელს მანასკერტთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ მათ ბიზანტიელებს დაატოვებინეს თითქმის მთელი მცირე აზია. არსებული ვითარების პირობებში მოიშალა იმპერიის აღმოსავლეთ მხარეების თავდაცვის სისტემა. ადგილობრივი არისტოკრატიის მხარდაჭერით, გაძლიერდა სეპარატისტული ტენდენციები. საქართველო მარტოდმარტო აღმოჩნდა მრისხანე ძალის წინაშე, რომლის უზენაესობა თვით მაჰმადიანთა სულიერმა ლიდერმა და წინამძღოლმა – ბაღდადის ხალიფამაც აღიარა.

1092 წლიდან ვითარება შეიცვალა. გარდაიცვალა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დიდი სულთანი მალიქ-შაჰი. იმპერიის რღვევა, რომელიც მისსავე სიცოცხლეში დაიწყო, სწრაფად განვითარდა. საქართველოს სამხრეთით, დაშლილი იმპერიის ადგილას, გაჩნდა მრავალი წვრილი სელჩუკური საემირო. უზარმაზარ მემკვიდრეობაზე კონტროლის მოსაპოვებლად მათ შორის დაიწყო დინასტიური და პოლიტიკური ქიშპი. 1096 წლიდან ამას დაერთო ახლო აღმოსავლეთში დასავლეთიდან ჯვაროსანთა გამოჩენა. თურქ-სელჩუკებმა რამდენიმე მძიმე მარცხი განიცადეს მათთან ბრძოლებში. სწრაფი მანევრებით ჯვაროსნებმა ერთმანეთის მიყოლებით აიღეს ნიკეა, ანტიოქია, იერუსალიმი, მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის სანაპირო ზოლში კი ჯვაროსნული სამეფო-საგრაფოები დააარსეს. ჯვაროსანთა გამოჩენას ბიზანტიელთა გააქტიურება მოჰყვა. მათ მცირე აზიის რიგი ქალაქები გამოსტაცეს სელჩუკებს. ამ პროცესებს არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინათ საქართველოს საგარეო ვითარებაზე. დავით აღმაშენებელმა კარგად ისარგებლა შექმნილი ვითარებით და 1099 წელს ხარკის გადახდა შეუწყვიტა თურქ-სელჩუკთა სულთანს. დავითის ისტორიკოსი სწორედ ჯვაროსნების მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებას უკავშირებს ამ ფაქტს: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია... და განძლიერდა დავით და განამრავლა სპანი და არღარა მისცა სულთანსა ხარაჯა.“ მაგრამ მარტო ხარკის შეწყვეტა არ იყო საკმარისი. საჭირო იყო აქტიურ სამხედრო მოქმედებებზე გადასვლა, პერმანენტული და მარბიელი დარტყმებით მომთაბარეთა ურდოების თარეშის ალაგმვა და მიტაცებული მიწების დაბრუნება.

**სამხედრო რეფორმები.** თურქმან მომთაბარეებთან საბრძოლველად საჭირო იყო ლაშქრის რეორგანიზაცია და მობილური რაზმების შექმნა, რომლებსაც შეეძლებოდათ სწრაფი რეაგირება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გამოჩენილ მომთაბარე ურდოებსა და თურქთა მარბიელ რაზმებზე. გარდა საბრძოლო წვრთნისა, აუცილებელი იყო ჯარის სულიერად და მორალურად გამობრძმედა. დავითის მემატიანის გადმოცემით, თურქ-სელჩუკებთან მრავალი მარცხის გამო მტრის მიმართ გაჩნდა შიში და დავითის გამეფების დროს ლაშქარი იყო „მცირე გუნდი მხედრობისა“. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დავითმა დაიწყო ჯარის სათანადოდ გაწვრთნა და აღჭურვა.ემეფემ მკაცრი დისციპლინა დაამყარა. აკრძალა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი“. მემატიანის ცნობით, დავითი მამაც და ერთგულ მეომრებს აწინაურებდა, ხოლო ჯაბანთ და მხდალთ საჯაროდ კიცხავდა და მოლაშქრეების წინაშე არცხვენდა. მაგრამ მარტო წვრთნა არაფერს უშველიდა, თუ მეფე რეალურ საბრძოლო მოქმედებებში არ გამოცდიდა თავის რაზმებს.ამიტომ დავითმა დროდადრო დაიწყო ჩამოსახლებულ მომთაბარეებზე წვრილ-წვრილი, მაგრამ ინტენსიური თავდასხმები.ამ სამხედრო ხერხს კი სჭირდებოდა მუდმივად მზადმყოფი სწრაფი რეაგირების ცხენოსანი რაზმები, მტრის რიგებში მოულოდნელობის ეფექტით არეულობის შესატანად. ისტორიკოსის გადმოცემით, „აქუნდის ჩვეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გადავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუვნის თურქმანნი საზამთრო ადგილთა მტკვრის პირისათა“. როგორც მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, მეფე ხშირად მოულოდნელად დაადგებოდა ხოლმე თავს მომთაბარეებს, როცა ისინი არ ელოდნენ. დავითი სასტიკად უსწორდებოდა, დაუნდობლად და დედაბუდიანად სპობდა მათ, რადგანაკარგად ესმოდა საფრთხე, რომელიც მათ ჩამოსახლებას მოსდევდა ქვეყნისათვის.

სახელმწიფოს დიდი ნაწილის მტრისგან განთავისუფლების, ასევე, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიზნით, დავით IV აღმაშენებელმა გაატარა სამხედრო,

საეკლესიო და სახელმწიფოს მართვის აპარატის რეფორმები. პირველი, გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიხატა მუდმივი, თვისობრივად ახალი ჯარის შექმნით, რომლის ძირითადი მიზანი სახელმწიფოს მთელი ტერიტორიიდან თურქ-სელჩუკთა განდევნა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება იყო. სამხედრო ძალის კიდევ უფრო გაძლიერება დავითმა ყივჩაღთა 40 000 ოჯახის ჩამოსახლებით შეძლო. ყოველი მათგანი ვალდებული იყო თითო მხედარი მიეცა მეფისათვის, ამით მას 40 000 მებრძოლი უგროვდებოდა. საჭიროების შემთხვევაში, დავითს შეეძლო დაქირავებული ჯარის (როქის სპა) გამოყენებაც. ასე რომ, მეფემ შექმნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მუდმივი ჯარი (შიდა სპა), რომელსაც შეეძლო მომხვდურისათვის საკადრისი პასუხის გაცემა.

1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე რეფორმის განხორციელებით დავითმა უძლიერესი იდეოლოგიური ორგანიზაცია – ეკლესია მეფის ხელისუფლების ერთგულ დასაყრდენად გადააქცია. იგი, თავის მხრივ, უდიდეს როლს ასრულებდა ჯარის მორალურ-ფსიქოლოგიური და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებაში.

სახელმწიფო ადმინისტრაციულმა რეფორმამ უფრო მოქნილი გახადა ქვეყნის ყველა სტრუქტურისა და უწყების მართვა, რაც მნიშვნელოვნად ზემოქმედებდა ქვეყნის მომავალზე.

დავითმა ტაქტიკურად შეცვალა ჯარის განლაგება. მან ლაშქარი ერთეულებად, გუნდებად დაყო. ბრძოლის ხასიათიდან გამომდინარე, ისინი ტაქტიკური მომზადების პრინციპით მოქმედებდნენ. ეს ფაქტორი კარგად ჩანს დავითის მიერ წარმართულ ომებში, რომლებსაც სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა: ა) მარბიელი, თურქმანი მომთაბარეების ურდოების გასანადგურებლად; ბ) ციხე-ქალაქების აღების დროს საალყო წესით მოქმედების შესაბამისად; გ) გენერალური, ფართომასშტაბიანი ოპერაციების, ომების ჩასატარებლად. [9]

მეფემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მობილური, მუდმივად მზადმყოფი რაზმების შექმნას. ისინი მონასპის სახით ყველა ეპოქის არმიაში არსებობდა, როგორც რჩეული ნაწილები. დავითის მონასპაში 5000 მებრძოლი შედიოდა.[10]საზღვრის დაცვა და მარბიელი ფუნქცია ეკისრებოდათ მონაპირე ერისთავებს. ისინი პირველნი რეაგირებდნენ ქვეყნის საზღვრებთან მტრის ურდოებისა და რაზმების გამოჩენაზე. ძირითად ლაშქარს დავითი საერისთავოებიდან გამომავალი ჯარებიდან კრებდა. ეს იყო სამეფო (შიდა) სპა, რომელსაც მეთაურობდა მეფე, ამირსპასალარ-სპასალარებთან ერთად. მონასპის, მონაპირეების, სამეფო ლაშქრის სამხედრო-ტაქტიკური ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მეფე ამ ძალებს მტრის წინააღმდეგ იყენებდა.[11]

სწრაფი მობილიზაციისათვის საჭირო იყო სასიგნალო კოშკები და ლაშქრის წვევის წიგნების სწრაფად გავრცელება, რასაც შიკრიკები შეასრულებდნენ ესტაფეტის წესით. ეს სისტემა სამეფო კარს საკმაოდ კარგად ჰქონდა აწყობილი. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლაშქრის ზურგის სამსახურსაც. საჭირო იყო რაზმების უზრუნველყოფა საომარი და საფურაჟე ცხენებით, ჯორებით, გამწევი საქონლით, რომელთა საშუალებითაც დროულად მომარაგდებოდა ჯარი საომარი იარაღით, ტექნიკითა და სალაშქრო საგზალ-საკვებით.

ეს თავდასხმები მარტო ველად გაშლილ მომთაბარეებზე არ ხორციელდებოდა.[12]მეფეს ხშირად უწევდა მტრის მიერ გამაგრებული ადგილების, ციხესიმაგრეების, ხანდაკებისა და ბუნებრივი სიმაგრეების აღება. ამისათვის საჭირო იყო სპეციალური სატყორცნი იარაღი, საალყო ტექნიკა, რომელსაც მომსახურე პერსონალი ჰყავდა.

გარდა მობილური და სწრაფად მანევრირებადი რაზმებისა, საჭირო იყო სადაზვერვო ქსელის შექმნა. სამეფო ხელისუფლებამ მსტოვართა დისციპლინებული სამსახური შექმნა. სწორედ მათი მეშვეობით დროულად იყო ინფორმირებული სამეფო კარი იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ისტორიკოსის თქმით, დავითს არაფერი დაემალებოდა, თუ ვინმე ღალატს განიზრახავდა. ასეთებს კი მეფე სასტიკად უსწორდებოდა. სწორედ მსტოვრების

---

[6] ნ. ურბნელის აზრით, ადრე ომის დროს ქართული ლაშქრის ნაწილები, რომაულის მსგავსად, ორ მწკრივად ეწყობოდა ჭადრაკის ფიგურებისებრ. ბრძოლის დროს პირველი მწკრივი იერიშით მიდიოდა და თუ მტერს აღემატებოდა სიგრძეზე დაწყობილი, ფრთებს შლიდა, მოწინააღმდეგეს ორმხრივ შემოეხვეოდა და ალყაში აქცევდა. დავითმა სამი მწკრივის ტაქტიკა შემოიღო. ბრძოლის დროს თითოეულ ამ მწკრივს გარკვეული ფუნქცია ჰქონდა. პირველი წინამძღოლი ჯარი იყო, მეორე – ყოლბი ჯარი, მესამე კი – როქის სპა, რომელსაც თვით მეფე მეთაურობდა. რ. მეტრეველი აღნიშნავს, რომ პირდაპირი ცნობები არ გვაქვს დავითის შემოღებული ტაქტიკური სიახლეების შესახებ, თუმცა, მკვლევრის აზრით, დავითის დროინდელი ლაშქრისათვის დამახასიათებელია ბრძოლის დროს მონასპისა და მეფის წინა ხაზზე ყოფნა. დავითის ისტორიკოსი არაერთხელ აღნიშნავს მეფის „წინამბრძოლობის“ ამბავს და „უმსგავსო სპასპეტსა და წინამძღოლს“ უწოდებს. დავითის ისტორიკოსი ასევე გამოყოფს „შიდა სპას“, როგორც ცალკე სამხედრო შენაერთს. კ. გრიგოლია ფიქრობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო შიდა ქართლის ლაშქარი; რ. მეტრეველის აზრით, შიდა სპის სახელწოდება მისმა ფუნქციამ განსაზღვრა. ის უნდა ყოფილიყო ლაშქრის სიღრმეში მყოფი შენაერთი, ალბათ, მონასპა და როქის სპა, რომელსაც მეფე ხელმძღვანელობდა.

საშუალებით იგებდა დავითი თურქმანთა მოძრაობის მარშრუტს. ამიტომ, წინასწარ დათქმულ დროსა და ადგილზე ხვდებოდა მეფეს სალაშქროდ გამზადებული რაზმები.

კარგად ორგანიზებული დაზვერვის ქსელის გვერდით სამეფო ხელისუფლებამ საპოლიციო სამსახურის ძლიერი აპარატი შექმნა, რომელსაც სათავეში მანდატურთუხუცესი ჩაუყენა.ეს სამსახური ქვეყნის შიგნით არსებულ წესრიგზე იყო პასუხისმგებელი. მეფეს მსტოვართა ორგანიზებული სამსახური ჰყავდა. ამაზე მიუთითებს დავითის თურქ-სელჩუკთა სულთნისათვის ხარკის გადახდაზე უარის თქმა. მათი მეშვეობით სამეფო კარს ჰქონდა ინფორმაცია ჯვაროსნების სირია-პალესტინაში გამოჩენისა და სელჩუკთა დიდი სულთნის პრობლემების შესახებ ქვეყნის შიგნით. მალიქ შაჰის გარდაცვალების შემდეგ დიდი სულთანი გახდა ბარქიარუკი. იგი ირან-ერაყის მმართველი იყო. თუმცა, მიუხედავად თურქ-სელჩუკთა შორის მისი თანამდებობრივი აღმატებულობისა, იგი ვეღარ აკონტროლებდა მალიქ-შაჰის დანატოვარ ვრცელ სახელმწიფოს. ბარქიარუკს აუჯანყდა არან-აზერბაიჯანის გამგებელი, უმცროსი ძმა მუჰამედ ტაფარის ძე. ეს ამბები 1099 წელს დაიწყო. სწორედ ამ აჯანყების და ევროპელთა მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღების პერიოდი შეარჩია დავითმა ამ აქტის განსახორციელებლად. ხარკის შეწყვეტა კი ომის გამოცხადებას ნიშნავდა. ის, რომ სელჩუკთა სულთანმა ამ გამოწვევაზე რეაგირება არ მოახდინა, სწორედ მის რთულ საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე მიუთითებს.

## §18. ერწუხის ბრძოლა

ხარკის შეწყვეტის შემდეგ დავით აღმაშენებელი გადამწყვეტ მოქმედებებზე გადავიდა. საქართველოს მეფე კარგად აცნობიერებდა, რომ სულთნის პასიურობა ქართველთა გამოწვევაზე დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მაგრამ მეფის მრავალწლიანმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ქართველთა სამხედრო ნაწილები უკვე ბრძოლისუნარიან ძალებს წარმოადგენდნენ და არა იმ ,,მცირე გუნდს მხედრობისა“, რომელიც დავითს დახვდა გამეფების ჟამს. მომთაბარეთა სადგომების განადგურების გარდა, საჭირო იყო თურქ-სელჩუკთა პოლიტიკური გავლენის მოსპობა საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც მათი ძალაუფლება ვრცელდებოდა. აუცილებელი იყო კახეთ-ჰერეთის შემოერთება. ეს სამეფო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. დასავლეთით მისი საზღვარი მდინარე ქსანზე გადიოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდოეთ-ხუნძახი ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთის მხარეებს ჰერეთის მიწები, ღღევანდელი ბელაქნის, ზაქათალას, კახისა და შაქის რაიონები შედგენდა. ამ რეგიონის დაკავებით სამეფო ხელისუფლება სტრატეგიულ ფორპოსტს იღებდა თბილისზე და განძის საათაბაგოზე პერმანენტული დარტყმებისათვის. ჯერ კიდევ გიორგი რძ-ის მეფობის დროს იყო შანსი კახეთ-ჰერეთის შემოერთებისა, მაგრამ მალიქ-შაჰის ნაწყალობევი ქვეყნის დაკავება მტრის ძალებით მეფემ არ ისურვა და გაეცალა ამ მხარეს. ამის შემდეგ, თურქ-სელჩუკებმა თვითონ დაიკავეს კახეთ-ჰერეთი და განძის ათაბაგს ჩააბარეს სამმართველოდ. 1103 წელს დავითმა ზედაზნის ციხე დაიკავა, რომელიც კახეთის, თბილისის და სამეფოს საზღვრების მომიჯნავე სტრატეგიულ ადგილზე მდებარეობდა. 1104 წელს მეფემ ჰერეთის დიდებულების არიშიანის, ბარამის და ქავთარ ბარამის ძის დახმარებით შეიპყრო მეფე აღსართანი და კახეთ-ჰერეთის სამეფო საქართველოს შემოუერთა. ასე დაასრულა დავითმა საქართველოს მეფეების საუკუნოვანი ბრძოლა ამ მიწა-წყლის შემოსაერთებლად. მაგრამ, ეს მარცხი უპასუხოდ არ დატოვა განძის ათაბაგმა და მალე დიდი ჯარი შეჰყარა ამ რეგიონში თავისი გავლენის აღსადგენად. საერთოდ, კახეთი საქართველოს მეფეებისა და განძის საამიროს მუდმივი დავის საგანი იყო. განძის მმართველები მტკივნეულად რეაგირებდნენ ამ პროცესებზე, რადგან საფრთხე უკვე მათი ქვეყნის საზღვრებთან იზრდებოდა.

ბრძოლა მოხდა ერწუხთან (ბრძოლის ადგილის ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება), ზოგადად ვარაუდობენ ჰერეთის მხარეს. განძის ათაბაგს მხარში ამოუდგა არან-აზერბაიჯანის სულთანი მუჰამედ ტაფარის ძე, რომლის მონაწილეობას ბრძოლაში აღნიშნავს დავითის მემატიანე. ამ დროს მას ზავი ჰქონდა დადებული ირან-ერაყის დიდ სულთან ბარქიარუკთან. ბრძოლაში მონაწილეობდნენ კახეთ-ჰერეთის ის დიდებულებიც, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ დავითის პოლიტიკით. წყაროების სიმცირის გამო, ერწუხის ომის სრული სურათის წარმოდგენა ძნელია.ადავითის ისტორიკოსი ზოგადად აღწერს ამ ბრძოლის მიმდინარეობას და აღნიშნავს მოწინააღმდეგეთა ძალების შეტაკების სიმძაფრეს. ის არც მებრძოლ მხარეთა რაოდენობის შესახებ გვაწვდის ცნობებს. მხოლოდ იმას გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა ,,ქმნა წყობანი დიდნი და ხმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირული ერთა დახოცა სულტანისა იგი ურიცხვი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქვეყნისა ერი“. ამ აღწერიდან ვგებულობთ, რომ დავითს მცირე ჯარით დაუმარცხებია მოწინააღმდეგის ურიცხვი ლაშქარი.ემიუხედავად ბრძოლის ზოგადი სურათისა, ჩანს, რომ შეტაკება სისხლისმღვრელი ყოფილა და მეფე წინა რიგებში იბრძოდა. ისტორიკოსი გადმოგვცემს: ,,მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა... სრვიდა და დასცემდა წინა დამთხვეულთა.“ მემატიანის გადმოცემით, იმ ბრძოლაში დავითს სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხეთი

დაასრულა ომი. ბრძოლის შემდეგ, როცა მეფე კარავში დაბრუნდა, სისხლში იმდენად იყო მოთხვრილი, რომ მსახურებს დაჩეხილი ეგონათ. მაგრამ როდესაც აბჯარი და სარტყელი შეიხსნა, მიხვდნენ თანამებრძოლნი, რომ ეს მტრის სისხლი იყო გამხმარი იარაღზე და ტანსაცმელზე. ბრძოლაში დაიღუპა თვით განძის ათაბაგი. მარცხი ძალიან მტკივნეული იყო მუჰამად ტაფარის ძისათვის. ამ ბრძოლის შემდეგ მას კარგახანი აღარც უცდია ქართველებთან დაპირისპირება.

ეს იყო პირველი დიდი გამარჯვება თურქ-სელჩუკებზე. მანამდე დავითი წარმატებით ახორციელებდა თავდასხმებს მომთაბარეთა სადგომებზე და რაზმებზე, მაგრამ ერწუხის ბრძოლა იყო პირველი დიდი შეტაკება მოწინააღმდეგის კოალიციასთან. ერწუხის ბრძოლაში გამარჯვებამ საქართველოს სამეფო კარს საშუალება მისცა, მტკიცედ დაეჭირა კახეთ-ჰერეთი. დავითმა უზრუნველყო სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრების უშიშროება და კახეთ-ჰერეთის ტერიტორია ერთიანი სამეფოს განუყოფელ ნაწილად აქცია.

## §19. ომი თურქ-სელჩუკთა იმპერიასთან

კახეთის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელმა ინტენსიური თავდასხმები გააგრძელა მომთაბარეთა სადგომებზე და სელჩუკთა მიერ დაკავებულ ციხე-ქალაქებზე. 1106-1107 წლებში თურქმანებმა რუმის სულთან ყილიჩ-არსლანს დახმარება სთხოვეს ქართველებთან საბრძოლველად. იქმნებოდა წინაპირობა რუმის სელჩუკებთან დაპირისპირებისა, მაგრამ ყილიჩ-არსლანმა მათ მხოლოდ მცირე რაზმი გამოუგზავნა, თვითონ კი თავი აარიდა ქართველებთან მასშტაბურ ომში ჩართვას. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო იმ პერიოდში ყილიჩ-არსლანის მოუცლელობით სირიაში ლაშქრობის გამო, მეორე მხრივ, მომთაბარეების თხოვნაზე რეაგირება მისთვის ორ ფრონტზე ბრძოლას ნიშნავდა: ჯვაროსნებსა და ქართველებთან. მართალია, დავით აღმაშენებელს ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი, მაგრამ რუმის სულთნის გამოწვევა ქართველებს უბიძგებდა სამხედრო კავშირი შეეკრათ ანტიოქიასა და ედესაში მყოფ ჯვაროსნებთან საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩრდილოეთიდან ახალი საფრთხის გაჩენა ქართველების სახით, რუმის სულთანს პრობლემებს უქმნიდა. ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ყილიჩ-არსლანმა თურქმანების თხოვნა ფაქტობრივად უპასუხოდ დატოვა.

1110 წელს დავითმა თურქ-სელჩუკებს ქვემო ქართლის ციხესიმაგრე – სამშვილდე წაართვა. დავითის ისტორიკოსს ასე აქვს ეს ამბავი გადმოცემული: „შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე“. როგორც მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, დავითს ციხის ასაღებად მოულოდნელობის ფაქტორი გამოუყენებია. სამშვილდის აღების წინ მეფე დასავლეთ საქართველოში გადასულა და მტრის ყურადღება მოუდუნებია, თავდამსხმელი რაზმი კი გიორგი ჭყონდიდელს შეუკრებია და აუღია კიდეც ეს ციხე-ქალაქი მისი წინამძღოლობით. „სიმარჯვით მოპარვა“, ალბათ, გულისხმობდა მასზე მოულოდნელ თავდასხმას ღამით, გალავნის სუსტად დაცულ მონაკვეთზე, ან ციხის გარნიზონის ყურადღების მოდუნებას, რაც თავდამსხმელ მხარეს ციხის სიახლოვეს რაზმების კონცენტრაციის საშუალებას მისცემდა. სამშვილდის ციხე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი იყო და მისი დაკარგვა სელჩუკებისათვის მტკივნეული დარტყმა გამოდგა.ამიტომაც, ქართველების მიერ სამშვილდის დაკავების შემდეგ, მათ იმ მხარის სხვა ციხეები უბრძოლველად მიატოვეს. სელჩუკების ეს საქციელი იმაზე მიუთითებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი სამშვილდის ფლობას და მისი დაკარგვა, ფაქტობრივად, მთელი რეგიონის დათმობას ნიშნავდა. საძოვრების მოსპობით დავით აღმ სასურსათო ბაზებს უსპობდა თურქ-სელჩუკებს, რომელთა მთავარი სამეურნეო საქმიანობა მომთაბარე მეცხოველეობა იყო.

სამშვილდის აღების შემდეგ ქართველებმა სელჩუკებს ძერნას ციხე-ქალაქიც წაართვეს. სამშვილდის დაკარგვას თურქ-სელჩუკები ვერ შეეგუვნენ და სულ მალე, 1110 წელს, დიდი ძალებით თრიალეთში შემოვიდნენ. როგორც ჩანს, ეს იყო მუჰამად ტაფარის ძის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი. ბარქიარუკის გარდაცვალების შემდეგ იგი გახდა ირან-ერაყის დიდი სულთანი. შემდგომში მისი ინიციატივით ტარდებოდა თურქ-სელჩუკთა საომარი ოპერაციები საქართველოსა და ჯვაროსნების წინააღმდეგ. დავითის ისტორიკოსი თურქთა ლაშქარს 100 000 მეომრით საზღვრავს, ხოლო ქართველთა ჯარს – 1500 მებრძოლით. ქართველთა ჯარის ამ სიმცირეს მემატიანე თურქთა მოულოდნელი შემოსვლით ხსნის, რადგან მეფეს დრო არ ჰქონდა ძალების სრული მობილიზაციისთვის. მტრის თრიალეთში შემოსვლის დროს დავითი ნაჭარმაგევში იყო გადასული და მხოლოდ ტაძრეულის რაზმი ახლდა. ისტორიკოსის მონათხრობიდან ჩანს, რომ ქართველთა სწრაფი რეაქცია თვით მტრისათვის კი მოულოდნელი აღმოჩნდა. სავარაუდოა, რომ ეს ცნობა რეალურია. ასეთ ვითარებაში განუზომელი იყო მსტოვრებისა და სწრაფი რეაგირების ცხენოსანი რაზმების როლი.მეფე ინფორმირებული იყო ყველაფერზე, რაც სამეფოს თუნდაც შორეულ კუთხეებში ხდებოდა.თურქ-სელჩუკების სარდლობას სურდა თრიალეთის ქედის სწრაფად გადალახვით შიდა ქართლის ვაკეზე შემოსვლა, სადაც, გაშლილ სანახებში, უპირატესობას მოიპოვებდნენ თავიანთი მრავალრიცხოვნებით. სწორედ ამ გეგმის განხორციელება არ აცალა მათ დავითმა. მეფე მიხვდა მტრის ჩანაფიქრს. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მან არ დაუცადა ჯარის შეკრებას და

ვინც ახლდა, ის იახლა ლაშქრობაში. მეფის ეს ნაბიჯიც დიდად სარისკო იყო. მთავარი მისთვის იყო ის, რომ არ დაეშვა თურქების შემოჭრა ქვეყნის შუაგულში. ამ გაბედულმა ნაბიჯმა გაამართლა. ქართველთა მხედრობა სელჩუკების ბანაკს მაშინ წაადგა თავს, როცა თენდებოდა და მტერი საბრძოლველად მოუმზადებელი იყო. ეს შეტაკება თრიალეთის ქედის მთის რელიეფზე, სავარაუდოდ, ტყიან და ვიწრო ხეობაში მოხდა, სადაც სელჩუკებმა თავიანთი რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლეს. მოულოდნელი თავდასხმის შედეგად, ისინი აირივნენ, მიატოვეს ბანაკი და გაიქცნენ. დავითის ისტორიკოსი აღფრთოვანებას ვერ მალავს ქართველთა ამ სიმამაცის გამო, რადგან მათ მრავალრიცხოვანი მტერი უკუაქციეს. დავითმა მოულოდნელობის ფაქტორზე ააგო ეს ოპერაცია, რითაც გაანეიტრალა მტრის უპირატესობა. თუმცა ასეთი სწრაფი უკუქცევა ქართველთა სარდლებისათვის მაინც დაუჯერებელი იყო.ამიტომ აღარ მისდიეს მათ გაქცეულებს. დავითის ისტორიკოსი ქართველთა საქციელს იმით ხსნის, რომ სარდლობას ეშინოდა, სელჩუკები სადმე არ ჩასაფრებულიყვნენ.ამიტომაც აცალეს მტერს უკუქცევა.

თრიალეთში გამარჯვება დავით აღმაშენებლის ბრძოლების ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია. ამის შემდეგ სამეფო კარმა განიმტკიცა პოზიციები ქვემო ქართლში და თურქ-სელჩუკებს ქართველთა წინააღმდეგ კარგა ხანს არ მოუწყვიათ სერიოზული საპასუხო ლაშქრობა.

1115 წელს ქართველებმა რუსთავის ციხე-ქალაქი წაართვეს თურქ-სელჩუკებს. ამ ოპერაციაში თავისი წვლილი მიუძღვის გიორგი ჭყონდიდელს, რომლის მეთაურობითაც ჯარმა დაიკავა რუსთავი. გიორგი ჭყონდიდელი აქტიურად მონაწილეობდა დავითის ოპერაციებში. მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო პირი იყო, იგი მხარში ედგა მეფეს არა მარტო სამოქალაქო და საეკლესიო საქმეების მოგვარებაში, არამედ სამხედრო ოპერაციებშიც.

მიუხედავად რუსთავის სტრატეგიული მნიშვნელობისა (ფაქტობრივად, თბილისი ალყაში ექცეოდა), ქართველთა წინააღმდეგ საპასუხო ლაშქრობა აღარ მოუწყვიათ სელჩუკებს, კერძოდ მუჰამედ ტაფარის ძეს. 1110 წლიდან იგი ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლებში აქტიურად ჩაება სირიის მიმართულებით. ეს არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ქართველთა წარმატებებზე სელჩუკებისა თუ მომთაბარეების წინააღმდეგ ბრძოლებში. დავითის ინტენსიური დარტყმები თურქ-სელჩუკებზე ჯვაროსანთა წისქვილზეც ასხამდა წყალს. სელჩუკებს არ შეეძლოთ გაეშიშვლებინათ ჩრდილოეთის მიმართულება, რადგან ეს კიდევ უფრო დააჩქარებდა ქართველების გამოჩენას ვანის ტბისა და ჩრდილოეთ სომხეთის მიმართულებით. ასე რომ, ორივე მხარემ, ჯვაროსნებმა და ქართველებმა, თავიანთ ფრონტზე დააკავეს მაჰმადიანთა მნიშვნელოვანი ძალები,ეს ფაქტი კი ბადებს ეჭვს – ხომ არ იყო რაიმე საერთო გეგმა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ.

ჯვაროსანთა და ქართველთა შეთანხმების პირდაპირი მონაცემები არ გვაქვს, მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის მცირე მასალა, წყაროები რომ გვაწვდის ამ კონტაქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, ესაა დავითის შესახებ გავრცელებული რეალური თუ ლეგენდარული ამბები ლათინურ წყაროებში, რომლებშიც ქართველთა მეფე ჯვაროსანთა მოკავშირედ არის მიჩნეული.ასევე, საინტერესოა იოანე ბატონიშვილის ცნობა დაახლოებით 1118-1119 წლებში დავით აღმაშენებელთან იერუსალიმის ჯვაროსანი მეფის – ბოლდუინ I-ის საიდუმლო მიმოსვლის შესახებ. ჩვენ არ ვიცით, საიდან აქვს ეს ინფორმაცია ავტორს, მაგრამ აღნიშნული ისტორია სწორედ ამ მეფეთა საერთო გეგმასა და კონტაქტებზე მიუთითებს.

მაჰმადიან ისტორიკოსთა ცნობები განძაზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ იმის მანიშნებელი იყო, რომ დავითს სამხედრო ოპერაციები ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადაჰქონდა. 1115-1117 წლებში მან გაანადგურა თურქ-სელჩუკები და თურქმანი მომთაბარეები ქვეყნის უკიდურეს საზღვრებთან ახლოს, ტაოში და ჰერეთის უკიდურეს აღმოსავლეთში. 1117 წელს მეფემ აიღო ციხე-ქალაქი გიში, რომელიც წუქეთის საერისთავოს ცენტრი იყო და შეიპყრო მისი ერისთავები – გრიგოლისძეები.

1117 წელს დავითმა თავისი ვაჟი, დემეტრე, შირვანში გაგზავნა. აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ დემეტრემ ,,ქმნნა ომნი საკვირველნი“, აიღო ქალაქი ქალაძორი და დიდძალი ალაფით დაბრუნდა უკან. ეს ლაშქრობა დემეტრეს დამოუკიდებელი საბრძოლო ნათლობა იყო, რადგან მამამ ჯარის სარდლობა ანდო ასეთ საპასუხისმგებლო სამხედრო კამპანიაში. უფლისწულმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

1118 წელს დავითმა მომთაბარეებზე განაახლა ინტენსიური თავდასხმები, არაქსის პირას დაბანაკებულებს თავს დაესხა და დაარბია. იმავე წელს მეფემ აიღო აგარანი (კოჯრის ციხე). უფრო მძიმე დარტყმა მეფემ მტერს მანამდეც მიაყენა, როცა ციხე-ქალაქი ლორე წაართვა. ის ერთხანს ტაშირ-ძორაკეტის სომხური სამეფოს ცენტრი იყო, რომელსაც კვირიკიანთა დინასტია მართავდა, მაგრამ IX საუკუნის ბოლოს მას სელჩუკები დაეუფლნენ. ლორეს ციხე ტაშირის ქვეყნის მთავარი სტრატეგიული პუნქტი იყო. მისი ადგილმდებარეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სამხრეთ საზღვრის დასაცავად, რადგან იგი კეტავდა ქცია-ბერდუჯის ხეობებით შემომავალ გზებს. ლორეს აღებით დავითმა ამავე დროს მიიღო სტრატეგიული პლაცდარმი ჩრდილოეთ სომხეთის, კერძოდ, ანისისა და დვინის მიმართულებით.

ქვეყნის საზღვრებს გარეთ საბრძოლო მოქმედებების გადატანას და წელში გატეხილ მომთაბარეთა საბოლოო ალაგმვას უფრო დიდი სამხედრო შენაერთები და ურთიერთმონაცვლე დასვენებული ძალები სჭირდებოდა. ქართველთა ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ქართულ-სელჩუკური

დაპირისპირებები ახალ ფაზაში გადაიყვანა. პერსპექტივაში ისახებოდა ჩრდილოეთ სომხეთის, შირვანის ქვეყნის, იმიერ ტაოს ტერიტორიების დალაშქვრისა და შემომტკიცების საკითხი. ამავე დროს, ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ქართული მიწების საბოლოო შემოერთება. ამიტომაც სამეფოს წინაშე ახალი სამხედრო ძალის მოწვევის საკითხი დადგა. გადაწყდა, საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდან ყივჩაღები მოეწვიათ და მათგან რეგულარული სამხედრო ნაწილები შეექმნათ, რაც გაზრდილ სალაშქრო მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.

დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს კიდეც, რომ გაუთავებელმა ლაშქრობებმა ქართველთა ჯარი მოღალა. აუცილებელი იყო დასვენებული რეზერვები. ახლად აღებულ ციხე-ქალაქებს დაცვა ესაჭიროებოდა, რაც მეციხოვნეთა რაზმების გაზრდას და დიდი რაოდენობით ცოცხალ ძალას მოითხოვდა. ყივჩაღების გამოყენება მომთაბარე თურქმანების წინააღმდეგ სამეფო ხელისუფლების მხრიდან გადადგმული გონივრული ნაბიჯი იყო. მომთაბარე თურქმანებს ის უპირისპირებდა ასეთსავე, თან სამხედრო წესებზე აღზრდილ ძალას. ყივჩაღთა რეგულარულ ნაწილებს სამეფო კარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მარბიელი ექსპედიციებისათვისაც გამოიყენებდა. ამავე დროს, დავითს ყივჩაღთა მთავრის ასული მოჰგვარეს ცოლად. სწორედ თავის სიმამრს, ათრაქა შარაღანის ძეს, შესთავაზა მეფემ საქართველოში თავისი ხალხით ჩამოსახლება.

დავითის მემატიანის გადმოცემით, ყივჩაღები მართლაც კარგი მეომრები იყვნენ. მათ ახასიათებდათ სწრაფი მანევრირება,ა ახერხებდნენ მოწინააღმდეგის ტერიტორიების სიღრმეში ელვისებურ რეიდებს, დამარცხებული მტრის ეფექტურ დევნას და, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფმავალი ცხენებით სწრაფად უკუქცევას.აასეთი ეფექტური სამხედრო თვისებების გამო მათ ქირაობდნენ ბიზანტიელი და გერმანელი იმპერატორები, რუსი მთავრები და სელჩუკი ამირები.

1118 წელს დავით აღმაშენებელი გიორგი ჭყონდიდელთან ერთად ოსეთში გადავიდა, რათა საქართველოში მათი ჩამოსახლება უზრუნველეყო. იმ დროისათვის ყივჩაღები კიევის მთავრისგან იყვნენ დევნილნი. ჩრდილო კავკასიაში შეხიზნულებს, კონფლიქტი ჰქონდათ ოსებთან. ამიტომაც დავითი გადავიდა ჩრდილო კავკასიაში, რათა პრობლემები აეცილებინა საქართველოში მომავალთათვის. ოსთა მთავრებმა მორჩილება გამოუცხადეს დავითს.

მეფემ დააზავა ოსები და ყივჩაღები და ეს უკანასკნელნი ოსეთის გზით საქართველოში ჩამოიყვანა. დავითის ისტორიკოსი გადმოგვცემს: ,,ხოლო ყივჩაღნი დააყენა ადგილთა მათ მარჯვეთა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“. როგორც მემატიანის სიტყვებიდან ვგებულობთ, ჩამოსახლებულთაგან მეფემ 40 000 მეომარი მიიღო.[7]

ყივჩაღების ჩამოსახლებით საქართველომ სერიოზული სამხედრო ძალა შეიძინა, რაც შემდგომმა მოვლენებმაც ცხადყო. სამეფო ხელისუფლებამ თავს იდო მათი სამხედრო აღჭურვა. ამისათვის სახელმწიფომ გადასახადიც კი შემოიღო – ,,საყივჩაღო“, რომელსაც სპეციალურად დანიშნული მოხელეები – ,,მესაყივჩაღეები“ კრეფდნენ. მართალია, ზოგიერთი მემატიანე ქართველთა წარმატებულ სამხედრო კამპანიებში მათ როლს ძალიან აზვიადებს, მაგრამ ჩანს, რომ ყივჩაღები აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველთა ომებში.ემას შემდეგ, რაც ქართველთა სამხედრო ნაწილებს ყივჩაღები დაემატნენ, დავითმა კიდევ უფრო გაზარდა ლაშქრობების არეალი.

1120 წელს მეფემ აიღო შირვანის ქალაქი ყაბალა, ,,მოსრნა მომთაბარენი ლიჟათიდან ქურდევანამდე და ხიშტალანამდე“, ამავე წლის ნოემბერში გაანადგურა სელჩუკები აშორნიაში და, მემატიანის გადმოცემით, აღარ დაუტოვა ,,მომტირალი კარავთა მათთა“.

ეს ოპერაციები დავითმა შირვან-არანის ტერიტორიებზე წარმართა. 1121 წლის მარტსა და ივნისში მტერი გაანადგურა ხუნანში და ბარდავის ზამთრის საძოვრებზე.

ასეთმა დაუღალავმა და ინტენსიურმა თავდასხმებმა თურქ-სელჩუკთა ბატონობას საფრთხე სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაშიც შეუქმნა. ქართველები უკვე შირვანსა და არანს ემუქრებოდნენ. ეს უშუალოდ დიდი სულთნის სამფლობელოები იყო და ამ საფრთხეზე რეაგირება მაჰმადიანთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად იქცა. ამიტომაც სულ მალე მაჰმადიანების ქართველებთან დაპირისპირებას საღვთო ომის – ჯიჰადის სახე მიეცა და საქართველოს წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გამოსვლისათვის ინტენსიური მზადება დაიწყო.

## §20. დიდგორის ომი

[7]ქართულ ისტორიოგრაფიაში დავითის მემატიანის მიერ დასახელებული რიცხვიდან გამომდინარე, თვლიან, რომ ჩამოსახლებულ ყივჩაღ მომთაბარეთა საერთო რაოდენობა დედაწულიანად, დაახლოებით, 200-300 ათასს აღწევდა. წყაროები არაფერს გვეუბნებიან, თუ სად დაასახლა დავითმა ისინი. არსებობს ვარაუდი, რომ ვითარების გართულების თავიდან ასაცილებლად, მეფემ ისინი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გადაანაწილა, რადგან მომთაბარეთა დიდი მასის თავმოყრა სარისკო იყო ქვეყნის უსაფრთხოებისათვის.

**პოლიტიკური ვითარება.** დავით აღმაშენებლის წარმატებულმა საბრძოლო ოპერაციებმა თურქ-სელჩუკთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას ამიერკავკასიაში საფრთხე შეუქმნა. მომთაბარე თურქმანებს აღარ დაედგომებოდათ მტკვრისა და არეზის ნაპირებზე, მაჰმადიანთა სავაჭრო წრეებს კი თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვის ეშინოდათ. მათ უნდოდათ ახლო აღმოსავლეთის ისლამურ სამყაროსთან სავაჭრო კავშირების შენარჩუნება. თბილისის მმართველ ზედაფენას, რომელშიც არაბთა ბატონობიდან გამომდინარე – საკმაოდ დიდი იყო მაჰმადიანთა წილი, დამოუკიდებლობის დაკარგვის ეშინოდა. ა

დიდგორის ომამდე დავითმა თბილისში თავისი ნაცვალი – „შიჰნა“ გაგზავნა, რომელსაც თან ახლდა რაზმი, რომელიც ქალაქში წესრიგის დასაცავად იყო მოვლენილი. ამით დავითმა მფარველობის ხელი დაადო თბილისს. ქალაქი მას ხარკსაც უხდიდა, 10 000 დინარის ოდენობით. პერმანენტულმა სამხედრო ოპერაციებმა მომთაბარე თურქმანებს საქართველოში თარეშის საშუალება მოუსპო. 1116 წელს დავითმა გაანადგურა ტაოში დაბანაკებული თურქობა, 1118 წელს კი – არაქსის ნაპირებზე ჩამომდგარი მომთაბარეები. 1120-1121 წლებში მეფემ რამდენიმე ასეთი ოპერაცია წარმართა ბოტორას, ხუნანის, ბარდავის, აშორნიას მიდამოებში დაბანაკებული ტომების წინააღმდეგ. დავითმა თურქ-სელჩუკებს წაართვა სამშვილდე, რუსთავი, ლორე, გიში.ჳეს სტრატეგიული ციხე-ქალაქები ქართველთა ხელში გადავიდა. თბილისის გარშემო ალყა თანდათან ვიწროვდებოდა. დავით აღმაშენებელმა მოქმედებები ქვეყნის გარეთაც გადაიტანა და თურქ-სელჩუკებს უკვე სომხეთსა და შირვანში შეუტია: „დაიწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა“, – გადმოგვცემს დავითის მეისტორიე. 1120 წელს ქართველებმა შირვანში ილაშქრეს და აიღეს ქალაქი **ყაბალა.** შემდეგ მეფემ სელჩუკებს შეუტია არანში – „მოსრნეს პირთა მახვილისა... რომელ არა დაუშთა მთხრობი ჰამბავისა“. არანის სელჩუკებმა გადაწყვიტეს, შური ეძიათ ქართველებზე. განძაკის (განძის) ქვეყნის ამირა ხაზი (ღაზი) დიდი ლაშქრით შემოესია საქართველოს და დაარბია მოსაზღვრე მხარე.ჳეს ლაშქრობა დავითმა დაუსჯელი არ დატოვა და საპასუხო შეტევით უპასუხა. როგორც მათე ურჰაელი გადმოგვცემს, გაჟლიტა მათგან 30 000 კაცი და დიდი ნადავლით დაბრუნდა საქართველოში. საფრთხე დაემუქრა დმანისში, ანისში, განძაში დაბანაკებულ სელჩუკებს. ამ ლაშქრობების შედეგები მძიმე ასატანი იყო მომთაბარე თურქმანებისათვის. დავითი მათ დაუნდობლად უსწორდებოდა და ერეკებოდა საქართველოსა და მისი მიმდებარე საზღვრებიდან.

**კონფლიქტის მიზეზები.** სელჩუკთა ეკონომიკური ძლიერების წყარო იყო მომთაბარე მეურნეობა, რომლის შენახვა საძოვრების არსებობაზე იყო დამოკიდებული.ვ გაზაფხულზე ისინი ღედაწულითა და საქონლის ჯოგებით სომხეთისა და არარატის მთებში მიდიოდნენ, შემოდგომობით კი ზამთრის საძოვრებისაკენ მოეშურებოდნენ, რომლებიც იორ-მტკვრის ხეობების გასწვრივ ავჭალა-დიღომიდან ბარდავამდე იყო გაშლილი. სწორედ ეს იყო სელჩუკთა ლაშქრის ძირითადი მკვებავი ბაზა ადამიანებითა და მატერიალური სახსრებით. ამ ბუდეების მოსაშლელად ასე ინტენსიურად ამიტომაც ახორციელებდა თავდასხმებს დავითი.

იბნ ალ-ასირის ცნობით, დიდგორის ომის წინ დავითს დაულაშქრავს ისლამის ქვეყნები.ჳამ ლაშქრობის მარშრუტს აკონკრეტებს ᲨᲘᲓ საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ-აინი. იგი გადმოგვცემს, რომ დავითს სირიაზე დიდგორის ომის წინა ხანებში გაულაშქრავს. ამ ფაქტმა შეაშფოთა მაჰმადიანები, რადგან ქართველთა გამოჩენა სირიის საზღვრებთან გაართულებდა მათ ბრძოლას ედესასა და ანტიოქიაში გამაგრებულ ჯვაროსნებთან. ჳეს უკვე ტოტალური ომი იყო თურქებთან. მაჰმადიანებისათვის ეს ბრძოლა იღებდა ქართველებთან ჯიჰადის (წმინდა ომი ურწმუნოებთან) სახეს. ამიტომაც მათ საერთო ძალებით გადაწყვიტეს ქართველთაგან მომდინარე საფრთხის მოგერიება. თბილისელმა, დმანისელმა და განძელმა ვაჭრებმა დახმარებისათვის მიმართეს ერაყის სელჩუკიანთა სულთანს, მაჰმუდ მუჰამედის ძეს. წყაროები განსხვავებულ ცნობებს გვაძლევენ იმ მაჰმადიანი მმართველის შესახებ, რომელსაც მოქალაქეებმა დახმარების თხოვნით მიმართეს. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: „თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა“. ჳეს ელჩობა, მისი ცნობით, 1121 წლის აპრილ-მაისში შემდგარა.ა

ალ-ფარიკის გადმოცემით, თბილისელმა უხუცესებმა თხოვნით მიმართეს ნაჯმ-ად-დინ ილღაზს, რომ მოსულიყო და ჩაებარებინა თბილისი. მათე ურჰაელის ცნობით, მათ დახმარება სთხოვეს განძის სულთანს: „შემოიფლითეს თავიანთი ტანსაცმელი, თავზე მიწა დაიყარეს, შავადმოსილნი და თავშიშველნი შეჰღაღადებდნენ ქალაქ განძაკში მყოფ თავიანთ სულთანს, მელიქს ტაფარის შვილს“.

როგორც წყაროებიდან ჩანს, მთხოვნელებს ერთი მმართველისათვის არ მიუმართავთ. მათე ურჰაელი გადმოგვცემს, რომ ამ ქალაქების ელჩების ნაწილი არაბთა ოლქში, კარმიანის (კაბადოკიის) ქვეყანაში ამირა ხაზისთან, არდუხის ძესთან მისულა და დახმარება მისთვის უთხოვია.ჳხაზი არდუხის ძე დიდგორის ომში გაერთიანებული ლაშქრის მეთაურის – ნაჯმ ად-დინ ილღაზი არდუხის ძეა. მან მაჰმადიანებში სახელი გაითქვა, როგორც ჯვაროსნების წინააღმდეგ მებრძოლმა სწორუპოვარმა სარდალმა. სწორედ მისი მეთაურობით შეძლეს მაჰმადიანებმა 1119 წელს ბალატთან (ჩრდილო სირია), სისხლიან ველზე ანტიოქიის მთავრის – როჟერის დამარცხება. ეს იყო პირველი გამარჯვება ჯვაროსნებზე და ილ-ღაზის ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა.

ამიტომაც, სულთნის ბრძანებით, სწორედ მას მიანდეს ქართველთა წინააღმდეგ ომში ჯარების მეთაურობა. ანტიოქიის კანცლერ გოტიეს ცნობით, ილ-ღაზს მიზნად ჰქონდა დავითის დამარცხების შემდეგ ანტიოქიის დამორჩილება და ქრისტიანების განდევნა. შემთხვევით არ აღიქვამს ფრანგი მემატიანე დიდგორის ომში ქართველთა გამარჯვებას ჯვაროსნული მოძრაობის წარმატებად. ბუნებრივია, თუ მაჰმადიანები ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველებს დაამარცხებდნენ, მაშინ ანტიოქიაში და წმინდა მიწაზე სხვა ქალაქებში მყოფ ქრისტიანებს კარგი დღე არ დაადგებოდათ. გამარჯვებული ილ-ღაზი თავის ძლევამოსილ არმიას უკვე სირიისაკენ დაძრავდა, რათა ზურგი დაცული ჰქონოდა. თბილისის დაკავება არ იყო ილ-ღაზის თვითმიზანი, მაგრამ ქართველების გამოჩენა აშორნიასთან, სადაც დავითმა თურქმანები დაარბია, მას ვანის ტბისაკენ უხსნიდა გზას და ილ-ღაზის სამფლობელოებს დიარ-ბაქრში საფრთხეს უქმნიდა. ჩრდილოეთიდან მიმავალი მუქარის განეიტრალების შემთხვევაში, მას ჯვაროსნებთან მომავალი ბრძოლები უფრო გაუადვილდებოდა.

**მებრძოლი მხარეები.** თურქ-სელჩუკთა კოალიციის შესახებ საინტერესო ცნობა აქვს დავითის ისტორიკოსს: „სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისი... უბრძანა თურქმენობასა სადაღაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ... ამათა თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხითისა ამირათა“.

ისტორიკოსის ცნობით, ქართველთა წინააღმდეგ უნდა წამოსულიყვნენ ქალაქ ჰილას პატრონი, არაბეთის მეფე, ილ-ღაზის სიძე – დურბეზ სადაყას ძე; სულთნის ძე მალიქი – ეს იყო მელიქ თორღული მოჰამედის ძე; განძის სულთანი, რომელიც ასევე იყო პატრონი ყაზვინის, ზენჯანისა და გილანისა. სულთნის ძე მალიქის მცირეწლოვანების გამო ჯარს მეთაურობდა მისი ათაბაგი – ქენთოღდი, რომლის ამ ომში მონაწილეობას ადასტურებენ სხვა ისტორიკოსებიც. თორღული ამავე დროს იყო სულთან მაჰმუდის ძმა, რომლის ბრძანებითაც ეს ლაშქარი შეიყარა, ასევე – სირიის მაჰმადიანები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბედუინთა ერთ-ერთი ტომის მეთაური უსამა ბენ მუბარაკი და სომხეთის ამირები. ჯარის მეთაურად დანიშნული იყო ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი. დასახელებულ მონაწილეთაგან, შეიძლება, რომელიმე გამოაკლდა კიდეც ამ ლაშქრობას სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ ამას არსებითად არ უმოქმედია მაჰმადიანთა ძალების სიძლიერეზე. დიდგორთან გამოცდილი და კარგად შეიარაღებული არმია იდგა.

ზემოაღნიშნულ საკითხზე მონაცემთა სხვადასხვაობაა წყაროებში. ერთნი მიუთითებენ მაჰმადიანთა კოალიციური ჯარების უზარმაზარ რაოდენობაზე, არაბი ისტორიკოსების – იბნ-ალ-ასირისა და ალ-ჯაუზის ცნობებში კი ეს რიცხვი აშკარად შემცირებულია. ომის თანამედროვე, დავითის ისტორიკოსი, არაფერს ამბობს მეომარი მხარეების ძალთა რაოდენობაზე. მხოლოდ აღნიშნავს, რომ თურქების ლაშქარი იყო „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვათა“. ეს ცნობა მოწინააღმდეგის რაოდენობის დასადგენად არ გამოდგება. მათე ურჰაელის ცნობით, ილ-ღაზს 150 000 მეომარი გამოუყვანია. დურბეზ სადაყას ძე 10 000 ჯარისკაცით შეერთებია მას, ხოლო თორღულ მოჰამედის ძე 400 000 მხედრით მოსულა. გამოდის, კოალიციას 560 000 მეომარი შეუკრებია. მათე ურჰაელს ქართველთა ჯარის რაოდენობის შესახებაც აქვს ცნობა. დავითის ლაშქარში ყოფილა 40 000 ქართველი მეომარი, 15 000 ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ფრანგი ჯვაროსანი. ანტიოქიის კანცლერი გოტიე ილ-ღაზის ჯარის რაოდენობის კიდევ უფრო დიდ ციფრს ასახელებს. მტერს 600 000 ჯარისკაცი, ხოლო დავითს 80 000 მიდიელი და ქრისტიანი მეომარი გამოუყვანია ბრძოლის ველზე. მას მოცემული აქვს ჯვაროსანთა რაზმის რაოდენობაც – 200 რაინდი.[8] ᲡᲐᲛᲔ საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სმბატ სპარაპეტი ილღაზის არმიას 150 000 მეომრით, ქართველთა ჯარს კი 40 000 ყივჩაღით, 18 000 ალანით, 500 ფრანგი და 10 000 სომეხით განსაზღვრავს.[9]

ისტორიკოსთა ცნობები მაჰმადიანთა არმიების რაოდენობის შესახებ გადაჭარბებულია. თუმცა არც არაბ მემატიანეთა დასახელებული ციფრები არაა სანდო. იბნ ალ-ასირის თხზულების არაბულ დედანში „ათასი“ წერია, მაგრამ რამდენი ათასი – ეს აღნიშნული არ არის. ალ-ჯაუზის მიხედვით, მაჰმადიანთა რაოდენობა 30 000 იყო. ჩვენი აზრით, ეს ციფრები შემცირებულია. ძნელად დასაჯერებელია, კოალიციის ამდენ მონაწილეს მხოლოდ ამ რაოდენობის ლაშქარი შეეკრიბა. დიდგორის ომამდე, 1119 წელს, ანტიოქიის მთავრის წინააღმდეგ საბრძოლველად ილ-ღაზს შეუკრებია 40 000 მეომარი. 1121 წლის კამპანიის დროს მაჰმადიანთა კოალიციის გეოგრაფიული არეალი უფრო დიდი იყო, ვიდრე წინა წლებში. ამიტომაც საეჭვოა, დიდგორთან ილ-ღაზს უფრო

---

[8] ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ამ რაზმის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. მ. ბროსეს, ქ. ჩხატარაიშვილს, ს. მარგიშვილს მიაჩნიათ, რომ დასახელებული „ფრანგები“ უნდა იყვნენ არა ჯვაროსნები, არამედ „ფრანკები“, „ვარანგები“ (ნორმანები), რომლებიც ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჩნდებიან საქართველოს ლაშქარში დაქირავებულ მეომრებად. ს. ერემიანი კი ამ ვარანგებს რუსებთან აიგივებს.

[9] სმბატ სპარაპეტის მონაცემებით დიდგორის ომში ქართველები საერთოდ არ მონაწილეობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ნაკლები ძალა ჰყოლოდა, ვიდრე ბალატთან, სისხლიან ველზე, 1119 წელს. ამავე დროს, ეს არ იყო თურქმანი მომთაბარეების მორიგი მარბიელი ექსპედიცია. ამ ომის მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდნენ მაჰმადიანურ სამყაროში და საქართველოში მცირე ძალებით ლაშქრობას არ მოაწყობდნენ. სავარაუდოა, რომ მათ ეცოდინებოდათ ქართველთა საერთო ძალების მიახლოებითი რაოდენობაც და გამოსვლას მცირე ლაშქრით ვერ გაბედავდნენ, რადგან განწირულნი იქნებოდნენ დამარცხებისათვის.

ქართველთა არმიის რაოდენობაზე არაბ ისტორიკოსებს არ აქვთ მონაცემები. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მათე ურჰაელის ცნობები. იგი ქართველთა ჯარის ეთნიკური შემადგენლობის შესახებაც საუბრობს. მემატიანეს დაწვრილებით აქვს აღწერილი დავითის ძალების შემადგენლობა. ქართველებისა და მოწინააღმდეგის რაოდენობის შესახებ ის დამრგვალებულ ციფრებს ასახელებს, თუმცა ეს მონაცემები დაუზუსტებელია, რადგან მემატიანეთა ნაწილი იმ მოვლენების თანამედროვე არ იყო და ძველი წყაროებით სარგებლობდა, რომლებიც, ალბათ, დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მოწინააღმდეგეთა ძალების რაოდენობასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება აქვთ გამოთქმული მკვლევრებსაც. ერთ რამეში კი ყველა თანხმდება: ილღაზის არმია არც 560 000 და არც 600 000 მეომრისაგან არ შედგებოდა, რადგან იმ დროს ასეთი რაოდენობის არმიების შესაკრებად ახლო აღმოსავლეთში არსებულ არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონდა მატერიალური და ცოცხალი ძალის რესურსი.[10]

მემატიანეთა ცნობებს პოლიტიკური და იდეოლოგიური კვალი ატყვია. ერთნი ცდილობენ საკუთარი მხარის გამარჯვება განადიდონ გაზვიადებული ამბებით და უკვდავების შარავანდედით შემოსონ თავიანთი გმირები; მეორე მხრივ, დამარცხებული მხარე ცდილობს საკუთარი მომხრეების მარცხი ჯარის სიმცირეს ან ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზებს დააბრალოს. ჩვენი აზრით, მაჰმადიანთა არმიის ციფრები გაბერილია. 560-600-ათასიანი არმია თრიალეთის, მანგლისისა და დიდგორის სანახებში არა თუ საბრძოლველად ვერ გაიშლებოდა, უბრალოდ, ვერ დაეტეოდა. ასეთი დიდი ძალის თავმოყრას, დანიშნულების ადგილისაკენ დაძვრას, სავალ მანძილზე მისი უზომოდ გაწელვა მოჰყვებოდა; ამავე დროს, ამხელა არმიას დასჭირდებოდა უზარმაზარი აღალი, ფურაჟი, უამრავი მომსახურე პერსონალი, ურიცხვი საქონელი, როგორც საომარი და ტვირთმზიდავი, ისე საკვებად საჭირო, ასევე – სასმელი წყლის რესურსი.

ეს ყველაფერი ორგანიზებულობასა და სისხარტეს დაუკარგავდა ჯარს. თრიალეთ-მანგლის-დიდგორის რეგიონში მართლაც რომ მოსულიყო ამხელა ძალა, მის თავმოყრას მრავალი დღე დასჭირდებოდა, ასევე ძალიან გაეჭიმებოდა და დაერღვეოდა საკომუნიკაციო ხაზი, ეს კი მოწინააღმდეგეს (ქართველებს) თავმოუყრელ, ბრძოლისათვის მოუმზადებელ ძალაზე გაუადვილებდა მძლავრ შეტევას. ამ საკითხებს, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა თურქ-სელჩუკთა სარდლობა. მართალია, მათ თავი მნიშვნელოვან ძალას მოუყარეს, მაგრამ იცოდნენ, რომ მარტო რაოდენობით დავითის დამარცხებას ვერ მოახერხებდნენ. საქართველოს გეოგრაფიულ სინამდვილეში სწრაფი რეაგირების კორპუსები იყო საჭირო, რომლებსაც ღრმა ხეობებით დაფარულ ქვეყანაში ქართველთა დარტყმებზე ადეკვატური რეაქცია შეეძლებოდა.

თუ ერთნი მიუთითებენ მაჰმადიანთა კოალიციური ჯარების უზარმაზარ რაოდენობაზე, მეორე მხრივ, არაბი ისტორიკოსების – იბნ-ალ-ასირისა და ალ-ჯაუზის ცნობებში ეს რიცხვი აშკარად შემცირებულია. ომის თანამედროვე, დავითის ისტორიკოსი, არაფერს ამბობს მეომარი მხარეების ძალების რაოდენობაზე მხოლოდ აღნიშნავს, რომ თურქების ლაშქარი იყო „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვათა“.

---

[10] ქართველ მეცნიერთა ნაწილი იხრება ივ. ჯავახიშვილის ციფრისაკენ – 300 000. მას ეს რიცხვი გამოყვანილი აქვს აბულ ფარაჯის ერთ-ერთი დედნის ფრაგმენტიდან, სადაც წერია 30 000. იგი ფიქრობს, რომ ეს ციფრიც მეტისმეტად შემცირებულია და აღნიშნავს, რომ შესაძლოა თავდაპირველ დედანში იყო 300 000. ზოგი ისტორიკოსი 400 000-ს ვარაუდობს. ეს რიცხვი გამოჰყავთ მათე ურჰაელის დასახელებული თორღულ მოჰამედის ძის ჯარის რაოდენობიდან. ს. კაკაბაძის აზრით, ბრძოლაში ილღაზის ხელქვეითი 210 000 მეომარი იყო. შ. მესხია რაოდენობის დაზუსტებისაგან თავს იკავებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ სმბატ სპარაპეტის ციფრი 150 000 უნდა იყოს მხოლოდ ილღაზის ჯარის რაოდენობა. მათე ურჰაელი ასახელებს ქართველთა ჯარის 56 000 მეომარს. თითქმის ყველა მკვლევარი ენდობა ამ ცნობას. ზ. ავალიშვილს კოალიციის ძალების ციფრები ფანტაზიად მიაჩნია. გ. ჯაფარიძის თვალსაზრისითაც 300 000 გადამეტებული ციფრია. ს. მარგიშვილი ნაშრომში „მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ“, იმ პერიოდის წყაროებზე დაყრდნობით, ასკვნის, რომ მაჰმადიანთა ლაშქრის რაოდენობა დიდგორთან 30-40 ათასი უნდა ყოფილიყო. ის ენდობა ალ-ჯაუზისა და იბნ ალ-ასირის მონაცემებს, ასევე, ეჭვი შეაქვს მათე ურჰაელის, გოტიეს, სმბატ სპარაპეტის მონაცემებში ქართველთა ჯარის რაოდენობის შესახებ და აღნიშნავს, რომ დავითის არმიის მაქსიმალური რაოდენობა დიდგორთან 15-18 ათასის ფარგლებში უნდა ყოფილიყო. ჯ. სამუშია, დაახლოებით, 100 000 მეომრით განსაზღვრავს მაჰმადიანთა ჯარის რაოდენობას.

სომეხი მემატიანე მათე ურჰაელის ცნობით, კოალიციას 560 000 მეომარი შეუკრებია, ქართველებს – 55 600. ანტიოქიის კანცლერ გოტიეს აზრით, მტერი – 600 000 ჯარისკაცი, ხოლო ქართველები – 80 000. ქართველ მეცნიერთა ნაწილი ზემოაღნიშნულს არ ეთანხმება. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, თურქ-სელჩუკთა კოალიციური ჯარის რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 300 000-ზე ნაკლები, ხოლო დავით მეფემ მათ 56 000 მებრძოლი დაუპირისპირა.

**ძალთა განლაგება.** მაჰმადიანი და სომეხი ისტორიკოსები საუბრობენ მტრის კოალიციური ჯარის საქართველოში სხვადასხვა მიმართულებიდან შემოსვლაზე, მაგრამ ერთსულოვანნი არიან მოწინააღმდეგის მანგლის-დიდგორის მიდამოებში განლაგებაზე.

დავითის ისტორიკოსის ცნობა თურქ-სელჩუკთაგან თრიალეთის, მანგლისისა და დიდგორის სანახების დაკავებაზე მათი ლაშქრის ამ სამ რაიონში დაჯგუფებაზე უნდა მიუთითებდეს. ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი მანგლისში იდგა.ემას უნდა შეესრულებინა თურქების ფრონტის შუა წელის შემაკავშირებელი ფუნქცია, რათა თავიდან აეცილებინა ფლანგებზე ქართველთა მოულოდნელი დარტყმა. დავითის ისტორიკოსი ასევე დასძენს, რომ მეფემ იმდენად ბრძნულად „განაწყო სპა მისი... რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და იქცეს... და ღონითა მოსრნა სახელოვანი იგი მებრძოლნი არაბეთისანი... მეოტთა სიმარჯვით და განკრძალულად სდევნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“.

მოწინააღმდეგეთა განლაგების შესახებ ცნობები წყაროებს არ შემოუნახავს. გოტიე აღნიშნავს, რომ დავითმა რაზმები დააწყო ერთ ხეობაში, ორ მთას შორის დაბურულ ტყეში. ალ-ფარიკის ცნობით, აღმაშენებელი მდგარა ჯარის განლაგების მარჯვენა ფრთაზე, ხოლო მისი შვილი, დემეტრე – მარცხენა ფრთაზე. ივ. შაიშმელაშვილი ასე წარმოგვიდგენს ქართველთა განლაგებას: დავითი იდგა მარჯვენა ფრთაზე და დიდგორის ქედის დასაწყისიდან უნდა შეეტია მტრის მარცხენა პოზიციებისათვის, დემეტრე კი – მარცხენა ფრთაზე. აქ ქართველთა რაზმები ნიჩბისის 2-3 კილომეტრიან სერს ეყრდნობოდნენ. ყივჩაღთა 15 ათასიანი კორპუსი უკან, კოშკა-ყელის ქედის თავში უნდა მდგარიყო, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, წინა ხაზების მხარდაჭერა ევალებოდა.

**სამოქმედო რაიონი.** რაც შეეხება ბრძოლის ადგილს, ველის ზუსტი ლოკალიზაცია წყაროებზე დაყრდნობით რთულია.ჯუშუალოდ დიდგორს ბრძოლის ადგილად იხსენიებს თამარის ისტორიკოსი, რომელიც იძლევა ცნობას დიდგორის მთიდან დურბეზ სადაყას ძის გაქცევის შესახებ. მათე ურჰაელის ნახსენები „მთა დეკორი“ დიდგორის მთაზე მიუთითებს.

დავითის მეისტორიე დიდგორთან ერთად ახსენებს თრიალეთსა და მანგლისს. სხვა ისტორიკოსთა ცნობებით, ბრძოლა მომხდარა თბილისთან ახლოს, ნახევარი დღის სავალზე, ხეობაში.

თრიალეთის ქედის გაგრძელება დიდგორის ქედია. მისი სიგრძე 5 კილომეტრს აღწევს და იწყება მძლავრი სამწვერა შემაღლებით. ერთი მწვერვალი უსახელოა, მეორეს „საკურთხის მთა“, მესამეს კი „დიდგორის მთა“ ეწოდება. ეს ქედი მცხეთის გზათა შემაერთებელ კვანძს თავზე დაჰყურებს.ამ სტრატეგიული მონაკვეთის დაკავება თურქებს გზას უხსნიდა თბილისისაკენ. ქართველთა მიერ დიდგორის სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება ამ რეგიონისა და თბილისისაკენ მიმავალი გზების კონტროლს ნიშნავდა.

ქართველთა ჯარს ეკავა დიდგორის ქედის ჩრდილოეთით ახლომდებარე ნიჩბისის წყლის სათავეების ქვაბული, რომელიც, მაღლობების ჩათვლით, 6-7 კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა.ამ ქვაბულს დასავლეთით კოშკა-ყელის ქედი, აღმოსავლეთით კი ნიჩბისის სერის ზემო მონაკვეთი საზღვრავდა.ეზურგის მხრიდან ჰქონდა ერთი კარი, ნიჩბისის წყლის ღრმა ხეობის სახით. ეს იყო ბუნებრივი სიმაგრე, რომელიც მტერს ქართველთა ზურგში ღრმა მანევრირების საშუალებას უსპობდა.ეს ტერიტორია დიდგორის ქედს ორი დამბისმაგვარი ყელითაა მიბმული. ერთი ქართველთა მარჯვენა ფრთის წინ იყო (კოშკა-ყელის ბოლოსა და საკურთხის მწვერვალს შორის), ხოლო მეორე მარცხენა განლაგების ფრთაზე (ნიჩბისის სერის დიდგორის ქედთან შეერთების ადგილას). ქართველთა ჯარების ცენტრის წინ გადიოდა ნიჩბისის წყლის სათავის პატარა ტყიანი ხეობა, რომელიც დაქანებას ქმნიდა და მოწინააღმდეგის ცხენოსან რაზმებს სწრაფი იერიშის განვითარების საშუალებას არ აძლევდა[11].ამ ადგილზეემრავლადაა სხვადასხვა ზომის სერი და ხევი, რომლებიც დიდი საბრძოლო ძალის ერთდროულად გამოყენების საშუალებას არ იძლევა. მანევრირება მნიშვნელოვნად შეზღუდულია და საკმაო დროს მოითხოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაპირისპირებული მხარეების ის ნაწილი, რომელიც გაბატონებულ სერებსა და სიმაღლეებს დაიკავებდა, უპირატესობასაც მოიპოვებდა, რადგანაც მიეცემოდა ბრძოლის ველზე კარგი თვალთვალისა და, საჭიროებისას, სხვადასხვა ღონისძიების გატარების შესაძლებლობა.

---

[11]ბრძოლის ადგილის ეს აღწერილობა ივ. შაიშმელაშვილს მოცემული აქვს წიგნში – ქველი ჩხატარაიშვილი, ივანე შაიშმელაშვილი, „დიდგორის ბრძოლა“ ; თბ. 1973.

**ბრძოლის მსვლელობა.** ბრძოლა 1121 წლის 12 აგვისტოს, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს მოხდა[12]. მისი დასაწყისის შესახებ მემატიანეთა ცნობებს შორის განსხვავებაა.ჰგოტიეს მონათხრობით, შეტევის წინ დავითს სიტყვით მიუმართავს ჯარისათვის:

„ეჰა მეომარნო ქრისტესანო, თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ... ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლაში უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით. ჰდა რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირ ხორგებით შევკრათ და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ“.

როგორც მეისტორიეს ნაამბობიდან ჩანს,ჰდავითს ლაშქრის ზურგი მტკიცედ გაუმაგრებია, რათა მტერს შემოვლითი მანევრით ზურგიდან არ დაერტყა. გოტიეს გადმოცემით, მეფემ ხეობა იმიტომ ჩახერგა, რომ ჯარს გაქცევაზე არ ეფიქრა, მისი ინტერპრეტაციაა. მემატიანეს ამით უნდოდა ეჩვენებინა, რომ აურაცხელ მტერს არც ერთი ქრისტიანი ზურგს არ უჩვენებდა. გოტიე ბრძოლის წინ ქართველთა ჯარის განლაგების სქემასაც გვაწვდის: „მეფემ თითოეული რაზმი დაარიგა, ხოლო ორასი ფრანგის მეომარი რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა, პირველ დაკვრათა მისაცემათ“. მართალია, სრულ სურათს ჯარის განლაგების ჰშესახებ მემატიანე არ გვაძლევს, მაგრამ საინტერესოა 200 ჯვაროსანი რაინდის ადგილი ამ ომში. გოტიე მათ სიმამაცეს განსაკუთრებით გამოყოფს: „როდესაც ხეობის მეორე ნაწილში, ანუ ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურობით გამოჩნდნენ, დაინახეს რა ბრბო, ქრისტეს მსახურნი, ამაყი სულით გატაცებულნი, უაღრესად ყიჟინით თავს დაესხნენ მათ; ხოლო უფლის ძალით, პირველივე შეტაკებისთანავე (თურქები) ბრმავდებიან და ფრანგთა მიერ გაქცეულნი იფანტებიან“.[13]

მათე ურჰაელი და ალ-ფარიკი აღნიშნავენ, რომ პირველად ქართველებს შეუტევიათ. იბნ ალ-ასირის ცნობით, ომის წინ დავითმა 200 ყივჩაღი მეომარი მტრის მოწინავეებისაკენ გაგზავნა. თურქებს ეგონათ, ისინი შეწყალების სათხოვნელად მოდიოდნენ, მაგრამ ყივჩაღები მათ რაზმებს შეერივნენ და ისრების სროლა დაიწყეს. ამან მუსულმანები დააბნია. მოწინავე რაზმები აირივნენ. უკან მდგომებს ეგონათ, უკვე დავმარცხდითო და გაიქცნენ. სიმპტომატურია ამ 200 მეომრის მონაწილეობა ბრძოლის დასაწყისში, გოტიესა და იბნ ალ-ასირის ცნობების მიხედვით.[14]

ძალთა განლაგებისა და ვითარების შეფასებამ აჩვენა, რომ ნაცადი ტაქტიკა, რომელიც მოულოდნელი დარტყმით პანიკის შექმნას ითვალისწინებდა, აღმაშენებელს ახლა არ გამოადგებოდა. ალოგიკური იქნებოდა რიცხობრივად ჭარბი მოწინააღმდეგისათვის ქართველებს შეეტიათ. პირიქით, ეს თურქებს უნდა მოემოქმედებინათ, ქართველებს კი ადგილმდებარეობის ფაქტორი გამოეყენებინათ და შემდეგ გადასულიყვნენ კონტრიერიშზე. დავითმა რთულ სიტუაციაში გადაწყვიტა, რომ მოულოდნელობის გამოყენებით, ხელოვნურად შეეტანა პანიკა მოწინააღმდეგის განლაგებაში და თვითონ შეეტია. მან 200 მეომარი შეარჩია და საიდუმლო ვითარებაში ჩაუტარა საგანგებო ინსტრუქტაჟი, კერძოდ: ისინი უნდა წასულიყვნენ მტრის ცენტრისაკენ, სარდლობის განლაგების ადგილას. მოქმედების პირველ ეტაპზე უნდა შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს მტერს ნებდებოდნენ: იარაღდახრილთ, წყნარი ნაბიჯით ევლოთ და, სარდლობის ბანაკთან ახლოს მისვლისას, უეცრად დაეწყოთ მეთაურთა განადგურება. ამ რაზმის ბრძოლის დაწყება დავითის ხელმძღვანელობით მარჯვენა ფლანგის (მთავარი ძალების) შეტევაზე გადასვლის ნიშანი იქნებოდა. შემდეგ მარცხენა ფრთა ამოქმედდებოდა დემეტრე უფლისწულის (დავითის ძე) ხელმძღვანელობით. მოწინააღმდეგის

---

[12]უნდა აღინიშნოს, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულების გვიანდელ XV და XVIII საუკუნის გადანაწერებში მითითებულია 18 აგვისტო, XVII და XVIII საუკუნეების ზოგიერთ ხელნაწერში – 12 აგვისტო, XII საუკუნის სომხურ თარგმანში – 12 აგვისტო. მათე ურჰაელთან, გვიანდელ გამოცემებში, 13, ხოლო მეორეში 15 აგვისტო იკითხება. ივ. ჯავახიშვილი და ს. კაკაბაძე ბრძოლის თარიღად 15 აგვისტოს ვარაუდობენ. შ. მესხიას აზრით, რადგან ღვთისმშობლის მარხვა 18 აგვისტოსათვის უკვე უნდა დამთავრებულიყო, მაშინ დასახელებულ რიცხვთა შორის ეს დღე, ღვთისმშობლის ხუთშაბათი, 12 აგვისტოზე მოდიოდა. ამიტომ ეს თარიღი მიაჩნია მკვლევარს ბრძოლის დღედ.

[13]თარგმანი აღებული გვაქვს ზ. ავალიშვილის წიგნიდან, „ჯვაროსანთა დროიდან“. ს. კაკაბაძე ვარაუდობს, რომ გოტიეს ცნობა არასწორად აქვს გაგებული ზ. ავალიშვილს. მისი აზრით, თურქებმა შეუტიეს და თავს დაესხნენ წინ მდგომ ფრანგთა რაზმებს.

[14]შ. მესხია, რ. მეტრეველი, ივ. შაიშმელაშვილი ფიქრობენ, რომ ასეთ საპასუხისმგებლო დავალებას დავითი არაქართველებს არ მიანდობდა. გოტიე ჯვაროსანთა დამსახურებად მიიჩნევს ილ-დაზის ლაშქრის დამარცხებას და მის მიერ ფრანგთა როლის წამოწევა არაა გასაკვირი. ს. კაკაბაძე არ გამორიცხავს, რომ ბრძოლის ბედი სწორედ მძიმედ შეიარაღებულ რაინდებს გადაეწყვიტათ. რაც შეეხება იბნ ალ-ასირის მიერ დასახელებულ 200 ყივჩაღს, იგი დიდგორის ბრძოლაში ქართველთა ლაშქარს ყივჩაღების ჯარს უწოდებს და ამ მანევრსაც ყივჩაღთა დამსახურებად მიიჩნევს.

ძალები უნდა შეევიწროვებინათ, შეეზღუდათ მათი მანევრირება ხეობაში და გაენადგურებინათ. ჩანაფიქრი გეგმის მიხედვით შესრულდა.

200 მებრძოლის თავგანწირული ბრძოლის მომენტში დავითი ძირითადი ძალებით შეიჭრა მტრის განლაგებაში. მოწინააღმდეგე მორალურად გატყდა და უკან დახევა დაიწყო. თავზარდამცემი ყიჟინითა და იარაღის ჟღარუნით, დემეტრეს დაჯგუფებამ ელვისებურად დაარტყა ფლანგიდან. შეშინებული თურქები ღრმა ხეობისაკენ გაირეკეს. რვა დღეს გრძელდებოდა მტრის დევნა, პარალელური და ფრონტალური მარშრუტებით.

დავითის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მეფემ იმდენად ბრძნულად ,,განაწყო სპა მისი... რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და იქცეოდა... და ღონითა მოსრნა სახელოვანი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა სიმარჯვით და განკრძალულად სდევნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“.

მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ პირველი შეტაკებისთანავე ქართველებმა მოახერხეს მტრის უკუქცევა და მას სრულ განადგურებამდე სდიეს. ჭკვიანური ტაქტიკითა და მანევრებით დავითმა მოახერხა მოწინააღმდეგის ისე დამარცხება, რომ, ფაქტობრივად, ილ-ღაზმა ვერ შეძლო მობილიზება და რესურსის სრულად გამოყენება.

ბრძოლა რამდენიმე საათში დასრულდა, მაგრამ საჭირო იყო მტრის დარჩენილი, ბრძოლაში ჩაუბმელი ნაწილების განადგურება, რათა თურქთა სარდლობას ვერ მოეხერხებინა მათი საომრად დაწყობა. ამისათვის აუცილებელი იყო ინტენსიური დარტყმები მათ უკუქცეულ რაზმებზე,ეს კი ტაქტიკურ გადაადგილებებს მოითხოვდა. ერთია ბრძოლის ველზე დაწყობილი ჯარის მართვა და მეორე – მტრის დევნა მის სრულ განადგურებამდე. როგორც ჩანს, დავითს საამისო რეზერვები ჰქონდა, ან, ბრძოლის მომენტში, მან სასწრაფოდ მოახერხა ჯარის გადაწყობა მდევარ რაზმებად. თურქ-სელჩუკთა გადარჩენილი ნაწილები მრავალი ათეული კილომეტრის მანძილზე დევნეს ქართველებმა. მათე ურჰაელის ცნობით, რვა დღის მანძილზე სდია მტერს ქართველთა და ყივჩაღთა ლაშქარმა და ამასობაში ქალაქ ანისის საზღვრებს მიაღწია. გოტიეს ცნობით, სამი დღის მანძილზე გაგრძელდა დევნა და მტერმა კიდევ უფრო მეტი ზარალი ნახა, ვიდრე ბრძოლის ველზე.

**ანალიზი.** აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, რატომ აღმოჩნდა კოალიციური ჯარი დიდგორ-მანგლისის ხეობებში. იყო ეს თურქ-სელჩუკთა მეთაურების გათვლა, რომ ბრძოლაში გამარჯვების შემთხვევაში ქართლის გულს – თრიალეთს დაიკავებდნენ და თბილისის გარშემო ქართველთა ალყას მოხსნიდნენ, თუ ტაქტიკური მანევრებით დავითმა შეცდომაში შეიყვანა მათი სარდლობა და ხეობის სიღრმეში შეიტყუა. ილ-ღაზი შეცდა: მოუხერხებელ, ხეობებით დასერილ მხარეში შეიყვანა უზარმაზარი ლაშქარი, რომელმაც ვერ მოახერხა გაშლა და თავისი რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. ვითომ ისეთ გამოცდილ სარდალს, როგორიც ილ-ღაზი იყო, ეს არ უნდა სცოდნოდა? ფაქტია, რომ ასეთი მოქმედების საბაბი მას რიცხობრივმა უპირატესობამ მისცა. დავითის შერჩეულმა გადამწყვეტი ბრძოლის ადგილმა ხელი შეუშალა მოწინააღმდეგეს, გამოეყენებინა ტრადიციული სამხედრო ტაქტიკა – გაშლილ ველზე ძალთა მანევრირებით მტრის განადგურება. მთიან რეგიონში არაეფექტურია ეს ტაქტიკა, რაც აისახა კიდეც ბრძოლის შედეგზე.ა

წყაროები მიუთითებენ, რომ ძირითადი შეტაკება რამდენიმე საათს გაგრძელდა და თურქ-სელჩუკთა ჯარების უკუქცევით დამთავრდა, რასაც მოჰყვა გაქცეული მტრის დიდ მანძილზე დევნა. სწრაფად უკუქცევა მოწინააღმდეგისა, რომელმაც ვერ მოახერხა თავისი ძალების გადაჯგუფება და გენერალური ბრძოლის გამართვა, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ დავითმა მართლაც ტაქტიკური ხრიკი გამოიყენა (200 მებრძოლის მოწინააღმდეგის განლაგებაში შეჭრა) და ხეობებში მომწყვდეულ მტერს გონს მოსვლა არ აცალა. გასაკვირია: თუ მტრის სარდლობამ თავისი ძალები წესისამებრ საომრად დააწყო, თუნდაც ამ ვიწრო ხეობებში, რატომ ვერ მოახერხა მობილიზება და სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. არა და აშკარაა, რომ ბრძოლა მართლაც მცირე ხანს გაგრძელდა. ამაზე არა მარტო დავითის ისტორიკოსი, არამედ უცხოელი ავტორებიც მიუთითებენ. იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ თურქებმა თავიანთი ძალების სრულად ჩართვაც კი ვერც მოახერხეს ამ ომში და ზურგის ნაწილები უკუიქცნენ ბრძოლაში ჩაუბმელად. როგორც ჩანს, თურქ-სელჩუკები ქართველების წინასწარ დაგებულ ხაფანგში აღმოჩნდნენ და მათი რაზმების სწრაფმა მანევრმა მტერს საკუთარი ძალების უპირატესობის გამოყენების საშუალება არ მისცა.[15]

დიდგორის ომი იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი იყო თავისი მასშტაბებით. მოწინააღმდეგის კოალიციური ლაშქრის განადგურება შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:

– დავით აღმაშენებლის გენიალურმა სახელმწიფო სტრატეგიამ;
– მეფე-სარდლის სულიერმა სიმტკიცემ, ბრძოლის უნარმა და ლაშქრის უნაკლოდ მართვამ;

---

[15] ს. მარგიშვილის აზრით, დიდგორის მიდამოების რელიეფის თავისებურებანი გენერალური და მწყობრად დალაგებული მოწინააღმდეგეების დაპირისპირების საშუალებას არ იძლევა. მკვლევრის ვარაუდით, დავითმა სწორედ ადგილის ამ თავისებურებებით ისარგებლა და ჩასაფრების მეთოდის გამოყენებით თავს დაესხა ილ-დაზის არმიის ავანგარდს. ამან არეულობა შეიტანა თურქთა რიგებში. მათთვის არახელსაყრელ პირობებში ომმა გამანადგურებელი შედეგი მოიტანა.

– ქართველი მებრძოლების ინდივიდუალური საბრძოლო ხელოვნების უმაღლესმა დონემ, მათმა ფსიქოლოგიურმა მდგრადობამ და თავგანწირვამ;
– თურქ-სელჩუკებზე წინა ბრძოლებში მიღწეულმა წარმატებებმა.

გამოყენებული იყო სამხედრო ხელოვნების შემდეგი პრინციპები:
– ადგილმდებარეობის გონივრულად გამოყენება;
– ძირითადი და დამხმარე დარტყმების სწორად შერჩევა;
– ჯარით სწრაფად მანევრირება;
– მცირე ძალებით მრავალრიცხოვანი ძალების განადგურება;
– ძალთა არათანაბარი განაწილება;
– მოულოდნელობის ფაქტორის (200 მებრძოლის მიერ მოწინააღმდეგის ბანაკის დეზორგანიზება, სწრაფი იერიშები სხვადასხვა მიმართულებიდან) ეფექტურად გამოყენება.

**შედეგები:** ქართველებს ხელში ჩაუვარდათ მტრის დიდძალი ნადავლი და 30 000 ტყვე. მათე ურჰაელის გადმოცემით, თურქთა „ცხენებითა და იარაღით მთელი მინდვრების პირი დაიფარა“. დურბეიზ სადაყას ძის ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ყელსაბამი, რომელიც ბრძოლის დროს მისთვის კისრიდან მოუგლეჯიათ (ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ხელჩართული ბრძოლა ყოფილა და მაჰმადიანთა მხედართმთავრებს ძლივს დაუღწევიათ თავი ტყვეობისგან), დავითს გელათისათვის შეუწირავს და ეს ძვირფასი ნადავლი თურმე თამარის მეფობის დროსაც იქ ინახებოდა.ამ ამბავს თამარის ისტორიკოსი – „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი გადმოგვცემს.

დიდგორის ომს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მაშინდელ აღმოსავლეთში. მაჰმადიანთა მთავარი იმედის – ილ-ღაზის მარცხმა სერიოზულად შეარყია მისი და სხვა მეზობელი მუსლიმანი მმართველების პოზიციები.ამ ომის შთაბეჭდილება დიდხანს რჩებოდა ხალხთა მეხსიერებაში. 1153 წელს საქართველოში ჩამოსულა არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი. იგი სტუმრობდა დემეტრე რ-ს. ალ-ფარიკი, რომელიც მოგვითხრობს დიდგორის ბრძოლის შესახებ, აღნიშნავს, რომ მას უნახავს ბრძოლის ადგილი.ეძრავალი წლის შემდეგაც მემატიანეები წერდნენ ამ ომის შესახებ და აღნიშნავდნენ მისი შედეგების გავლენას იმ დროის პოლიტიკურ ვითარებაზე.

დიდგორთან მაჰმადიანთა სასტიკმა მარცხმა ფაქტობრივად გადაწყვიტა თბილისის ბედი. ქალაქს რეალური მოკავშირე აღარ ჰყავდა. მაჰმადიან მმართველებს აღარ შეეძლოთ დავითის ხელიდან დაეხსნათ თბილისი. იბნ ალ-ასირის ცნობით, სულთან მაჰმუდ მუჰამედის ძემ, რომელსაც ქართველებზე დიდი სამეფო ჰქონდა და მათზე მეტი ჯარები ჰყავდა, ვერ შეძლო ხელი შეეშალა მათთვის ამ ქალაქის დაპყრობაში. თბილისის აღება დროის ამბავი იყო. როგორც დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს, დიდგორის ომიდან „მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელს ქონებული სპარსთა“. დიდგორის ომმა დიდად იმოქმედა არა მარტო საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობის გეგმაზე, არამედ ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ პროცესებზე. მაჰმადიან ისტორიკოსთა შეფასებით, ილ-ღაზის ჯარის სასტიკმა მარცხმა ისლამის ქვეყნებში გაამრავლა ქრისტიანთა თარეში. ერთი საუკუნის შემდეგაც ამ მარცხს მტკივნეულად იხსენებდნენ არაბი თუ სპარსელი მემატიანეები. დიდგორის ომის შემდეგ ისლამის ქვეყნებს საფრთხე ემუქრებოდათ არა მარტო დასავლეთიდან მოსული ჯვაროსნებისაგან, არამედ ჩრდილოეთიდან – ქართველებისგანაც.

## §21. საქართველოს გაერთიანების დასრულება

**თბილისის შემოერთება.**ვდიდგორთან თურქ-სელჩუკების დამარცხების შემდეგ თბილისისა და მისი მიმდებარე მხარეების ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. დავით აღმაშენებელი დიდგორის ომის შემდეგ, 1121 წელს, მიადგა ქალაქს. გარდა იმისა, რომ თბილისი საქართველოს ძველი დედაქალაქი იყო და მის შემოერთებას, პირველ რიგში, ქვეყნის გაერთიანებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, დავითის ეს შეტევა კიდევ იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ თბილისის მმართველმა წრეებმა გარკვეული მონაწილეობა მიიღეს დიდგორთან მოსული მაჰმადიანთა კოალიციური ძალების თავმოყრაში. გარკვეულწილად, ეს იყო მათი დასჯა. წყაროები გადმოგვცემენ, რომ მეფის ბრძანებით მოქალაქეები სასტიკად დაარბიეს. დავითის ისტორიკოსი გვიამბობს: „ხოლო მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელს ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისთა საუკუნოდ“.

ამ გადმოცემიდან ჩანს, რომ დავითს პირველივე იერიშით აუღია თბილისი, მაგრამ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობენ სხვა მემატიანეები. ისინი აღნიშნავენ, რომ თბილისელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ დავითის ჯარისათვის. როგორც წყაროებიდან ჩანს, ქალაქი კარგად გამაგრებული ყოფილა. მისი ბუნებრივი სიმაგრე მტკვრის მიერ ორად გაყოფილი უბანი იყო.1ქვედა მხარე – მეიდანი და აბანოთუბანი ისანს უკავშირდებოდა ხიდით. ორივე მხარე გალავნით იყო შემოზღუდული და ერთი ნაწილის დაკავება ქალაქის სრულად დაპყრობას არ ნიშნავდა.1თბილისის ძირითადი ციხესიმაგრე იყო კალას უბანი (ნარიყალა), მთლიანად ქვის გალავნით გარშემორტყმული. დავითს პირდაპირი იერიში მიუტანია, რაც თავდამსხმელთა რიგებში მსხვერპლს გამოიწვევდა. ეს

ფაქტი კიდევ უფრო გაამძაფრებდა ქართველთა სურვილს, შური ეძიათ ქალაქზე. ალ-ფარიკი გადმოგვცემს, რომ დიდგორის ომის შემდეგ დავითი „მახვილით დაეუფლა და შევიდა ქალაქში.ემან გაძარცვა და ცეცხლს მისცა მისი დიდი ნაწილი, შემდეგ კი შეიწყალა მცხოვრებნი და კარგად ეპყრობოდა“. მათე ურჰაელი აღნიშნავს, რომ დავითმა თბილისის მცხოვრებთაგან 500 კაცი წვეტიან სარზე წამოაცვა და წამებით დახოცა. იბნ ალ-ასირის გადმოცემით, ქართველებმა შეავიწროვეს ქალაქის დამცველები, მოსახლეობამ მოსალაპარაკებლად ყადი და ხატიბი გაუგზავნა მეფეს და შენდობა სთხოვა,ემაგრამ, ქართველებმა მოქალაქეების მოციქულები შეურაცხყვეს, ძალით შევიდნენ ქალაქში, დაანგრიეს და გაძარცვეს. მიუხედავად მოწინააღმდეგის ყოველგვარი ღონისძიებისა, დავითმა თბილისი აიღო. მაჰმადიანთა ხელიდან მისი გათავისუფლება იმ პერიოდის დიდი მოვლენა იყო. საქართველოს გაერთიანებისთვის საუკუნოვანი ბრძოლა სრულდებოდა. 1122 წლიდან თბილისი ერთიანი ქართული მონარქიის ცენტრად იქცა. მოგვიანებითაც კი, როცა საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, მას არ დაუკარგავს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

**შირვანისა და განძის შემოერთება.** თბილისის შემოერთებამ სელჩუკებთან ბრძოლის ასპარეზი ქვეყნის გარეთ გადაიტანა. 1123 წელს დიდი სულთანი მუჰამედ ტაფარის ძე მრავალრიცხოვანი ჯარით შეიჭრა შირვანში, დაიკავა ქალაქი შამახია, დაატყვევა შირვან-შაჰი, საქართველოს მეფეს მოციქული აახლა წერილით. დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რას სწერდა სულთანი აღმაშენებელს: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა... და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე“. ეეს ომში გამოწვევა იყო. სულთნის მკვახე ტონს ჯარის მრავალრიცხოვნება განაპირობებდა. იგი ფიქრობდა, რომ დავითი ვერ გაბედავდა სელჩუკებთან გაშლილ ტერიტორიაზე დაპირისპირებას. ამგვარი საქციელით ის ცდილობდა დავითის თავმოყვარეობის შელახვას. მართლაც, ასეთ მოწინააღმდეგესთან ქვეყნის საზღვრებს გარეთ დაპირისპირება ჯერ არ ჰქონია აღმაშენებელს. შირვანის ქვეყანა ამ დროს ქართველთა მეფის ვასალი იყო და, როგორც ჩანს, მისი დაკარგვა მძიმე დარტყმა იქნებოდა დავითის გეგმებისათვის.ეამ ქვეყნის პატრონობა საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, იქ სელჩუკთა სულთნის გაბატონება კი სერიოზულ საშიშროებას უქმნიდა ქვეყანას. შემდეგი საფრთხე თვით ჰერეთ-კახეთსა და თბილისს შეექმნებოდა.

დავით აღმაშენებელმა სასწრაფოდ შეაგროვა დიდი ლაშქარი და შირვანისაკენ გაემართა. მან გაანადგურა სულთნის დასახმარებლად წამოსული რანის ამირა აღ-სონღურის 4 000-იანი რაზმი და შამახიას მიადგა. სულთანმა ვერ გაითვალისწინა, რომ ქართველები შეძლებდნენ ასე სწრაფად დიდი ძალების მოგროვებას. ქართველთა და ყივჩაღთა მრავალრიცხოვნებამ სელჩუკებს თავზარი დასცა. იბნ ალ-ასირის გადმოცემით, როდესაც დავითის გაერთიანებული ჯარი შამახიას მიუახლოვდა, სულთანი ქალაქის სიმაგრეში ჩაიკეტა. იგი ქალაქიდან გაქცევასაც აპირებდა, მაგრამ, იქაურ მცხოვრებთა თხოვნით, დარჩა. როგორც იბნ ალ-ასირი გვამცნობს, სწორედ ამ დროს ალაჰმა იხსნა მაჰმადიანები უბედურებისაგან: იმ ღამეს ქართველებსა და ყივჩაღებს შორის უთანხმოება მოხდა. იძულებულმა დავითმა ქალაქს ალყა მოხსნა და უკან გაბრუნდა.აამ ფაქტს არაბი მემატიანე მაჰმუდის გამარჯვებად თვლის.

განსხვავებული ვერსია აქვს დავითის ისტორიკოსს. როგორც კი სულთნის გამოწვევა მიიღო, დავითი 50 000-იანი ლაშქრით მიადგა შამახიას.

ქართველთა არმიის სიმრავლემ და სიძლიერემ თავზარი დასცა სულთანს, რომელიც შამახიის ციხეში ჩაიკეტა. მან მეფეს მოციქული გაუგზავნა და ზავი და მშვიდობიანად უკან გაბრუნება სთხოვა. იმავე დღეს შამახიასთან ახლოს ქართველებმა სულთნის დასახმარებლად წამოსული რანის ათაბაგ აღსუნყულის 4 000-იანი ლაშქარი გაანადგურეს.აამ ამბავმა სულთანს ყოველგვარი იმედი გადაუწურა და ღამით ქალაქის ციხიდან გაიპარა.

არაბ და ქართველ მემატიანეებს ეს ამბავი სხვადასხვაგვარად აქვთ გადმოცემული, მაგრამ ერთი ნათელია: სულთანმა შირვანი ვერ შეინარჩუნა, ვერც დავითმა შეძლო თავისი უპირატესობის გამოყენება, რომ ბრძოლით განედევნა მტერი. ისტორიკოსი გადმოგვცემს: როდესაც სულთანმა ზავი ითხოვა, მეფემ ღმერთს მადლობა შესწირა. როგორც ჩანს, ქართველთა ლაშქარში მართლაც იყო უთანხმოება და ამიტომაც გამობრუნდა დავითი უკან.ე

შირვანის პრობლემა მალე მოაგვარა მეფემ. ამ ამბებიდან ერთ თვეში, ივნისში, დავითმა კვლავ გაილაშქრა შირვანზე და აიღო გულისტანი.

1124 წელს მეფემ დაიკავა დმანისი და ქართული მიწები სრულად გაწმინდა თურქ-სელჩუკებისაგან. შემდეგ დავითი თავს დაესხა შაბურანს, მიაღწია დარუბანდამდე, დაიმორჩილა ლეკები, აიღო შირვანის ციხეები.უიმავე წლის მაის-ივნისში ქართველებმა აიღეს სომხეთის ციხეები და ტაშირ-ძორაკეტის მხარე მთლიანად გამოსტაცეს თურქებს. შემდეგ მათ ილაშქრეს ჯავახეთის, კოლას, კარნიფორისა და ბასიანის მხარეში, მივიდნენ სპერამდე, აიღეს ოლთისი და თურქმანი მომთაბარეები სრულად განდევნეს.ეეს მხარეები ყოფილი ტაოს სამეფოს სამხრეთის მიწები იყო, რომლებსაც ს საუკუნეში განაგებდა დავით ბრრ კურაპალატი.

1124 წლის აგვისტოს დავითთან მოვიდნენ ანისის თავკაცთა მოციქულები. მათ მეფეს სთხოვეს, ეხსნა ქალაქი მაჰმადიანთა ხელიდან. ამ დროს ანისს განაგებდა აბულ-ასვარი, ქურთი

შედადინების საგვარეულოს წარმომადგენელი.ემან გადაწყვიტა, ქალაქი 60 000 დინარის საფასურად მიეყიდა ყარსის ამირასათვის.

ამ ამბავმა აღაშფოთა ანისის თავკაცები. მათ დახმარება დავით აღმაშენებელს სთხოვეს. საქართველოს სამეფო კარს საშუალება მიეცა, ჩარეულიყო ჩრდილოეთ სომხეთის საქმეებში. სამ დღეში დავითმა შეძლო ჯარების მობილიზაცია. ისტორიკოსის ცნობით, მან 60 000 მხედარი გაამზადა სალაშქროდ. მათე ურჰაელის გადმოცემით, „ქართველთა მეფე დავითმა გაჟლიტა სპარსელთა ჯარები, თითქმის 20 ათასი კაცი მოსპო, აიღო სომეხთა სატახტო ქალაქი ანი, მანუჩეს შვილები გააძევა იქიდან, გააგზავნა თბილისს, გაათავისუფლა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანი, რომელიც 60 წელი მონობაში იყო. საკვირველი და დიდებული ეკლესია ანისა, წმინდა კათოლიკე, რომელიც მიზგითად ექციათ, აკურთხა დიდის ზეიმით“. როგორც ჩანს, ქართველებს შეტაკება მოსვლიათ ქალაქთან და, ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ფაქტობრივად უბრძოლველად დაუკავებიათ ანისი. მსგავს ცნობას გვაწვდის დავითის ისტორიკოსიც.

მეფემ შედადიანებს ქალაქი ჩამოართვა, აბულასვარი და მისი შვილები საქართველოში წამოიყვანა, ანისი კი სამართავად მესხ აზნაურებს დაუტოვა, რომლებიც მონაპირე გამგებლების ფუნქციას ასრულებდნენ თავიანთი მოლაშქრეებით.ემსგავსი ფუნქცია მეფემ დააკისრა აღმოსავლეთის რეგიონის მცხოვრებთ. იმავე 1124 წელს, ანისის აღების შემდეგ, დავითმა დაიპყრო შირვანი, აიღო მთავარი ქალაქი შამახია და მისი მმართველობა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს — სვიმონ ბედიელ-ალავერდელს ჩააბარა, ხოლო შირვანის მიწების კონტროლი და უსაფრთხოება კახეთ-ჰერეთის აზნაურებსა და მათ მოლაშქრეებს დაავალა. მეფემ უკიდურესი აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლის დაცვა აქაც ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონების მონაპირეებს მიანდო.

ანისისა და შირვანის შემოერთებით საქართველოს საზღვრები გაფართოვდა.ამჯერად, სამეფოს საზღვარი ორ ზღვას სწვდებოდა და ამიტომაც მემატიანე აღმაშენებელს „ზღვიდან ზღვამდე მპყრობელს“ უწოდებს.

დავითის ბრძოლამ ქვეყნის გაერთიანებისათვის დიდი სამხედრო-გმირული ეპოპა შექმნა. ამიტომაც ამბობს ისტორიკოსი: „სულტანი დასუა მოხარკედ, მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული მისი, დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი... მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“. ფაქტია, რომ დავით აღმაშენებელმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა არა მხოლოდ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიც.

ამის შესახებ წერენ არა მარტო ქართველი თუ სომეხი ისტორიკოსები, თვით მაჰმადიანი ავტორებიც ამას აღიარებენ. მათ ნაწერებში პატივისცემა და აღტაცებაც კი გამოსჭვივის დავითის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა მეფეს მტრად აღიქვამდნენ მათი სულიერი და ხორციელი ძმები. დავით აღმაშენებელს ღირსეული ადგილი უკავია გამოჩენილ მხედართმთავრებსა და სახელმწიფო მმართველებს შორის.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ ქართულმა ჯარმა ცვლილებები განიცადა. ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ სამხედრო ორგანიზაციის დახვეწა განაპირობა. თუ ადრე ქართული სამეფო-სამთავროების ლაშქარი მცირერიცხოვანი იყო, ერთიან საქართველოს 80-90 ათასი მეომრის გამოყვანა შეეძლო, რაც საკმაოდ დიდი ციფრი იყო იმდროინდელი სტანდარტებით. ქართული არმია რამდენიმე ნაწილად იყოფოდა: წინამავალი, ცენტრი, მარჯვენა და მარცხენა ფრთა. ცალკე იყო არმიის რეზერვი. საქართველოს სამეფოში ომის წარმართვის სისტემაც იყო შექმნილი: ლაშქრის წვევა, დათვალიერება, შეიარაღების შემოწმება, ომში გაგზავნა და სხვა. ომი აუცილებლად მიმდინარეობდა წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით, რომელსაც სამეფო კარი ამტკიცებდა. ჯარს მეფე ედგა სათავეში, მაგრამ უშუალოდ სამხედრო ორგანიზაციას ამირსპასალარი ხელმძღვანელობდა.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ხელთ არის“. მას ემორჩილებოდა მთელი ლაშქარი. მის ფუნქციებში შედიოდა ჯარის მომარაგება, შეიარაღებაზე ზრუნვა, წვრთნები, უცხო მეომართა დაქირავება და სხვა. ამირსპასალარს ექვემდებარებოდნენ სპასალარები. მის საგანმგებლოში ასევე შედიოდნენ: ამირახორი, მეაბჯრეთუხუცესი, მეაბჯრეები, აბჯრის მტვირთველი, მეჯინიბეთუხუცესი, მეჯინიბეები, მერემეთუხუცესი, მერემეები, ზარდახნის უხუცესი, ზარდახნის მოლარე, ზარდახნის მეჯინიბე და სხვა.

საჯინიბო შუა საუკუნეებში სამეფო სახლის ერთ-ერთი უმთავრესი უწყება იყო. მეჯინიბეების მოვალეობაში ჯიშიანი და გახედნილი ცხენების მოვლა შედიოდა, მერემეები კი გაუხედნავ ცხენებს პატრონობდნენ.

ზარდახანა იყო სამხედრო შეიარაღებისათვის განკუთვნილი საწყობი — „აბჯრის სახლი“. მასში დაცული იყო იარაღი, ცხენის აღკაზმულობა, დიდი დროშა და სხვა. ზარდახანას ემსახურებოდნენ მეაბჯრეები, რომლებიც მეაბჯრეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ.

გაერთიანებული საქართველოს ჯარის ძირითად ნაწილს „მსახურეულთა“ ფენა შეადგენდა, ძირითადად, დაბალი სოციალური წრიდან აღზევებული პირები. მათი მოვალეობა იყო ბატონის სამსახური, რომლის ერთ-ერთი ფორმა ლაშქრობა და ნადირობა გახლდათ.

გაერთიანებული საქართველოს პერიოდში და ᲛᲓᲘᲠ საუკუნემდეც კი ჯარი ძირითადად აზნაურებისა და მსახურეულებისაგან შედგებოდა. გვიან შუა საუკუნეებში, სალაშქრო დავთრების

მიხედვით, ჯარში მებეგრე გლეხებსაც იწვევდნენ, რაც განპირობებული იყო ქვეყანაში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ვითარებით. „მონაცვლე ლაშქრის“ – „მორიგის“ შემოღებამ საბოლოოდ დააკნინა გლეხის მოლაშქრეობა. ამდენად, ტერმინი „ქუდზე კაცი“ გვიან შუა საუკუნეებს ეკუთვნის. ᲨᲐ-ᲨᲘᲘ საუკუნეებში არმია გლეხებისგან არ კომპლექტდებოდა. ჯარის ძირითადი კონტინგენტი იყო „მსახურეულთა“ ფენა.

## §22. მეფე დემეტრე ი

**ვითარება სამეფო კარზე.** 1125 წლის 24 იანვარს დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა. სიკვდილამდე მას თვითონ უკურთხებია დემეტრე მეფედ. ამას მისი ისტორიკოსი გადმოგვცემს: როგორც ისრაელის მეფე დავითმა სოლომონი, ასევე ქართველთა მეფე დავითმა დალოცა შვილი, თავისი ხელით დასვა ტახტზე მეფედ, „დაადგა თავსა შუენიერსა გვირგვინი ქვათაგან პატიოსანთა, და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი, ეჰა რაბამ სვიანად ხმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა და დაულოცა ცხოვრება“.აასე ახასიათებს ისტორიკოსი დემეტრეს, დავითის ძეს, რომელსაც აღმაშენებლის ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევს.

მეფობის პირველი წლებიდან დემეტრეს მოუწია მამის დანატოვარი მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა,ემაგრამ მეფეს არა მარტო გარეშე მტრებთან უხდებოდა შეტაკება, არამედ პრობლემები ჰქონდა ქვეყნის შიგნითაც. კერძოდ, ეს ეხებოდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხს. დავით აღმაშენებელს მეორე ვაჟი ჰყავდა ყივჩაღთა ასულისაგან. წყაროებში იგი ხან ცვატად იხსენიება, ხან ვახტანგად. დავითმა დემეტრეს ანდერძად დაუბარა თავისი ნახევარძმის პატრონობა, მაგრამ დემეტრეს მოწინააღმდეგეებმა თავი მოიყარეს ცვატა-ვახტანგის გარშემო, რომელმაც 1130 წელს შეთქმულება მოაწყო მეფის წინააღმდეგ. ამ გამოსვლას სათავეში ედგა დავითის ერთგული დიდებულის – აბულეთის ვაჟი ივანე. მეფემ დროზე გაიგო შეთქმულების შესახებ, დააპატიმრა ცვატა-ვახტანგი და ივანე აბულეთის ძე. დემეტრემ მკაცრად დასჯა შეთქმულები.ემისი ბრძანებით, ცვატა-ვახტანგს თვალები დასთხარეს. რაც შეეხება ივანე აბულეთის ძეს, იმ დროს იგი არ დაუსჯიათ, მაგრამ მოგვიანებით მეფემ მაინც არ აპატია ძველი ცოდვები და სიკვდილი არგუნა 1143 წელს. შიდა არეულობამ დაასუსტა ქართველთა გავლენა ანისისა და შირვანის ქვეყნებში.აამას დაერთო ისიც, რომ ჩამოსახლებულ ყივჩაღთა ნაწილი დავითის სიკვდილის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ეს კი განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცვატა-ვახტანგი ყივჩაღთა ასულის ძე იყო და, სავარაუდოდ, დემეტრეს წინააღმდეგ გამოსვლაში ყივჩაღთა სამხედრო არისტოკრატია მონაწილეობდა. ცვატა-ვახტანგის დამარცხების შემდეგ ყივჩაღთა პოზიციები შეირყა და ისინიც სამშობლოში დაბრუნდნენ. ამ ფაქტმა უარყოფითად იმოქმედა ქართველთა სამხედრო ძლიერებაზე. მართალია, დემეტრემ რამდენჯერმე დაამარცხა თურქ-სელჩუკები შემდგომში, მაგრამ ქართველთა სამხედრო აქტივობა მკვეთრად შემცირდა და საქართველოს მეფეს დავითის დანატოვარის დაცვა უფრო უწევდა, ვიდრე გაფართოება.

**ბრძოლები.** მაჰმადიანები დაკარგული პოზიციების დაბრუნებისათვის იბრძოდნენ. განსაკუთრებით სერიოზული ბრძოლა ანისისათვის გაჩაღდა. ისტორიკოსთა გადმოცემით, აბულ-ასვარის ერთერთმა ვაჟმა, ფადოუნმა, როგორც კი გაიგო დავითის სიკვდილის შესახებ, მაშინვე ხორასანიდან დაბრუნდა და ამისეული ქალაქის მისაღებად ანისში მივიდა. სხვადასხვა მიზეზის გამო დემეტრე იძულებული გამხდარა, ქალაქი ფადოუნისათვის დაეთმო. ამავე დროს ქართველმა მეფემ ქალაქის ახალ მმართველს ფიცი დაადებინა, რომ ქრისტიანებს არ შეავიწროებდა. ანისისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. სელჩუკებს სურდათ, მთლიანად დაპატრონებოდნენ ქალაქს. ანისზე პრეტენზიას აცხადებდნენ ხლათის, არზრუმის, დვინის გამგებლები. ჯერ კიდევ 1125 წელს, დემეტრეს გამეფების პირველ ხანებში, საქართველოს წინააღმდეგ შედგა კოალიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ხლათის სულთნის, დიარ-ბაქრისა და ვანის ტბის გარშემო არსებული თურქული საამიროების ძალები. როგორც მათე ურჰაელი გადმოგვცემს, დემეტრემ სასტიკად დაამარცხა ისინი, ხუთი დღე სდია და სისხლით მორწყო მთა და ბარი.ეამ ბრძოლის ადგილი მითითებული არ არის წყაროებში, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ამბები ჩრდილოეთ სომხეთში ხდებოდა, ანისისა და დვინის მხარეებში. როგორც ჩანს, ქართველთა ამ წარმატებას ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა და დემეტრემ 1126 წელს აიღო ანისის სამხრეთით არსებული ქალაქი დვინი. მისმა დაკავებამ კონფლიქტი გამოიწვია აჰბადიანებთან, არზანისა და ბითლისის მმართველებთან. მათი საამირო მაიაფარიკინის მხარეს მოიცავდა. მაშინ ქართველებმა ვერ შეძლეს ფეხის მოკიდება დვინში.ეეს გამოწვეული იყო დემეტრეს სარდალ ივანე აბულეთის ძის მარცხით გარნისში. სელჩუკებმა კარგად გააცნობიერეს, რომ ამჯერად ქართველთა ხელში დვინის გადასვლა ძალიან გაართულებდა მათ მდგომარეობას ვანის ტბის მხარეში და თვით ხორასნის დიდი სულთნის – სანჯარის ძალებიც ჩაერივნენ სამხრეთ კავკასიისთვის ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ დროისათვის დემეტრეს ხელახლა მოუხდა დმანისისა და ხუნანის დაბრუნება, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველთა სარდლები – ივანე ორბელი და ივანე აბულეთის ძე. ამ ქალაქებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებულად იბრძოდა სულთან სანჯარის მიერ არანის გამგებლად

დანიშნული ვინმე ყარა-სონყური, რომელიც დემეტრემ სასტიკად დაამარცხა 1128 წელს ნორბერდთან.ამის შემდეგ დმანისი საბოლოოდ დაიკავეს ქართველმა მეფეებმა.

ჩრდილო სომხეთისა და ტაოს სამხრეთ მიწებისათვის ბრძოლას მუდმივად ახლდა მსხვილი თუ წვრილი შეტაკებები სელჩუკებთან.ჟდემეტრეს მეფობის დროს საქართველოს ახალი ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ხლათის სასულთნოს სახით. ეს სახელმწიფო ვანის ტბის გარშემო მდებარეობდა და ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ჩრდილოეთ სომხეთში ქართველთა გაბატონება საფრთხეს უქმნიდა ხლათის უსაფრთხოებას.ამას კარგად აცნობიერებდნენ მისი მმართველები და ხშირად მონაწილეობდნენ ქართველთა წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებში. დემეტრესა და მისი მემკვიდრეების მმართველობას წითელ ზოლად გასდევდა მათთან დაპირისპირება. ხლათის უსაფრთხოებას სელჩუკთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.ამიტომაც ქალაქიდან გზა იხსნებოდა სირიისაკენ და, რა თქმა უნდა, ვანის ტბასთან ქართველთა გამოჩენას ისინი, შეერთებული ძალებით, ყოველმხრივ აღუდგებოდნენ წინ.

1130 წელს დემეტრემ სასტიკად დაამარცხა ხლათის სულთანი სუქმან ძი. მემატიანე წერს: „მეფემ გააქცივნა სუქმანეთნი, თავი ყოვლისა სპარსეთობისა“. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ დემეტრეს შებრძოლება მოუწია ხლათის სულთნის მეთაურობით შემდგარ მაჰმადიანთა კოალიციასთან.ამიუხედავად იმისა, რომ ქართველი მემატიანე ამ შეტაკების მიზეზებზე არაფერს ამბობს, სავარაუდოა, რომ ეს ომიც ხლათის საზღვრებთან ქართველთა გააქტიურების გამო მოხდა.

საერთოდ, 1125-1131 წლებში დემეტრეს მრავალი შეტაკება მოუხდა სელჩუკებთან. დავითის სიკვდილის შემდეგ მათ მოინდომეს კავკასიაში დაკარგული პოზიციების აღდგენა. სომეხი და არაბი მემატიანეები მრავალი მსხვილი თუ წვრილი შეტაკების შესახებ მოგვითხრობენ. მიუხედავად ლოკალური წარმატებებისა, ქართველებმა მაინც დათმეს პოზიციები ჩრდილოეთ სომხეთსა და შირვანში. როგორც ჩანს, დემეტრეს აღუდგენია შირვან-შაჰის მმართველობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ანისისა და შირვანის გამგებლები ყმადნაფიცობის პირობით იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოს სამეფო კართან და ისინიც ერთგულად იცავდნენ ამ ურთიერთობებს.

ᲡᲫᲛ საუკუნის 30-იანი წლებიდან შედარებით სიმშვიდე ჩამოვარდა ქართველებსა და მაჰმადიანებს შორის. დაპირისპირებები აღარ იყო ისე მწვავე, მაგრამ 1139 წელს ქართველებმა განაახლეს კონფრონტაცია არანის სელჩუკებთან. ძლიერმა მიწისძვრამ 1139 წელს არანის მთავარი ქალაქი, განძა, საშინლად დააზიანა. მრავალი მისი მცხოვრები დაიღუპა.ამ დროს ქალაქის პატრონი, ათაბაგი ყარა-სონყური, ფარსის გამგებლის წინააღმდეგ იყო სალაშქროდ წასული. სპარსელი ისტორიკოსის, ალ-ისფაჰანის ცნობით, დემეტრემ ისარგებლა ქალაქის მძიმე მდგომარეობით, ასევე მისი პატრონის არყოფნით და თავს დაესხა განძას. ქართველთა ჯარს მეთაურობდა ივანე აბულეთის ძე.[16] ქართველებმა ქალაქი საშინლად ააოხრეს, მრავალი ტყვე წამოიყვანეს, გამარჯვების აღსანიშნავად ქალაქს ალაყაფის კარი ჩამოხსნეს და საქართველოში წამოიღეს.[17]

ამ ამბავმა გააღიზიანა მაჰმადიანი მმართველები და საქართველოს საზღვრისპირა მხარეში ყარა-სონყურმა საპასუხო ლაშქრობა მოაწყო. დემეტრე შემდგომშიც ერეოდა განძის საამიროს შინაურ საქმეებში. ქართველი მეფე იქ არსებული შიდა პრობლემებით სარგებლობდა და ქალაქზე გავლენის გავრცელებას ცდილობდა. ერთ-ერთი ასეთი ისტორია მოთხრობილი აქვს სომეხ ისტორიკოს მხითარ გოშს. ᲒᲛისი გადმოცემით, განძის დაპატრონება უცდია ვინმე ამირა ერგიშას, რომელიც არდებილის პატრონი იყო. თურქმანების დახმარებით, მას ქალაქის მიდამოები აუოხრებია. განძის მცხოვრებლებმა ქართველთა მეფე დემეტრეს სთხოვეს დახმარება. მან ჯარები გააგზავნა ერგიშას წინააღმდეგ და, ქართველთაგან დევნილი, იგი სპარსეთში გაიქცა. განძის მმართველებმა შემდგომშიც არაერთხელ მიმართეს დემეტრეს დასახმარებლად. როგორც ჩანს, ქართველები იქ თავიანთი მომხრე დასის მხარდაჭერას ცდილობდნენ. ამ დროისათვის დემეტრეს ასული რუსუდანი გათხოვილი იყო ერაყის დიდ სულთან მასუდზე. შემდგომში იგი მასუდის ძმის — სულთან სულეიმან-შაჰის მეუღლე გახდა. წყაროების ცნობით, ამ ქორწინების სანაცვლოდ, დემეტრეს მიუღია ქალაქი განძა, საიდანაც ხარკი მოსდიოდა. ეს არის, დაახლოებით, 1153-1154 წლების ამბები.

---

[16] წყაროებიდან ჩანს, რომ 1130 წელს შეთქმულებაში მონაწილეობის მიუხედავად, ივანე აბულეთის ძე აქტიურად იბრძოდა სელჩუკების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებში. მაშინ მეფემ აპატია დანაშაული. იგი საკმაოდ ენერგიული სამხედრო მოღვაწე ჩანს. მოგვიანებით, 1143 წელს, დემეტრემ იგი სიკვდილით დასაჯა. რა იყო ამის მიზეზი, წყაროები არაფერს ამბობენ. მამის სიკვდილის შემდეგ ივანეს ვაჟი, თირქაშ აბულეთის ძე, შაჰ-არმენთან გაიქცა და შურისძიების მიზნით საქართველოს საზღვრების აოხრება დაიწყო. დემეტრემ მაინც მოახერხა მისი ხელში ჩაგდება და ციხეში გამოკეტვა. მოგვიანებით იგი დავით V-მ გაათავისუფლა და ამირსპასალარად დანიშნა. შემდგომში იგი გიორგი III-ის ლაშქარში იბრძვის ხლათის სულთნის წინააღმდეგ ომში. იმ დროისათვის აბულეთისძეები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

[17] დღეს ამ კარების ფრაგმენტი დაცულია გელათის მონასტერში, წარწერით, რომელშიც აღნიშნულია დემეტრეს მიერ განძის აღების ამბავი.

განძის პარალელურად, საქართველოს სამეფოს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ყარსისა და ანისის რეგიონში, უხდებოდა თავისი ინტერესების დაცვა. ანისისთვის ბრძოლას ბოლო არ უჩანდა. სელჩუკიანი მმართველები ცდილობდნენ, საერთოდ გაეძევებინათ ქართველები ჩრდილო სომხეთიდან. მათ არც ის აკმაყოფილებდათ, რომ ანისს მაჰმადიანი შედადიანები განაგებდნენ, რადგან ისინი საქართველოს მეფის წინაშე აღებულ ვალდებულებას ერთგულად ასრულებდნენ. ამჯერად ანისისთვის ბრძოლაში ჩაერია არზრუმის ამირა სალთუკი. მისი გააქტიურება გამოიწვია ყარსის საკითხმა. ქართველებმა 1153 წელს ყივჩაღთა რაზმების დახმარებით აიღეს ყარსი, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს და ეს ციხე-ქალაქი არზრუმის ამირას ხელში გადავიდა.

გათამამებულმა სალთუკმა ამის შემდეგ ანისის დაკავებაც მოინდომა. 1154 წელს ფახრ-ად-დინმა (ანისის მმართველი) დახმარება სთხოვა დემეტრეს. მეფე გაეშურა ანისისაკენ და მოულოდნელად დაესხა თავს სალთუკის ლაშქარს. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი. ალ-ფარიკი აღნიშნავს, რომ ეს იყო საშინელი დღე მუსლიმანთათვის. ბრძოლაში უამრავი მეომარი დაიღუპა. სალთუკი ტყვედ ჩაუვარდა ქართველებს. ამ ამბავს დიდი რეზონანსი მოჰყვა მაჰმადიან მმართველებში. სირიისა და დიარ-ბაქრის ამირებმა მოციქულები გამოუგზავნეს დემეტრეს და არზრუმის ამირა 100 000 დინარის საფასურად დაიხსნეს ტყვეობიდან.

**შედეგი.** სალთუკის დამარცხებით საქართველოს სამეფომ პოზიციები შეინარჩუნა ჩრდილო სომხეთში, მაგრამ სამეფო კარზე შიდა არეულობების გამო ქართველთა საგარეო აქტიურობა შეფერხდა. დემეტრე იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო. ამას დაემატა ის, რომ არანი და ქალაქი განძა შამს ად-დინ ელდიგუზ ათაბაგმა უბრძოლველად იგდო ხელთ. ადარბადაგანის სულთნის გააქტიურებამ ქართველთა პოზიციები შეარყია აზერბაიჯანში. მაგრამ ეს მდგომარეობა დროებითი იყო. ᲣᲛᲪ საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველები კიდევ უფრო მეტი აქტიურობით ჩაებნენ სამხრეთ კავკასიისათვის ბრძოლაში.

## §23. მეფე გიორგი ᲠᲠᲛ

**პოლიტიკური ვითარება.** დემეტრეს მემკვიდრეობისათვის მის შვილებს შორის დიდი ბრძოლა ატყდა. დავითმა მამა ტახტიდან გადააყენა და თვითონ გამეფდა.ეეს ნაბიჯი მას გარკვეულწილად უკარნახა დემეტრეს სურვილმა. მას უმცროსი ვაჟის – გიორგის გამეფება სურდა. ამ დაპირისპირებაში ჩაებნენ ქართველი დიდებულები. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ აბულეთისძეები და ორბელები, რომლებიც თავიანთ ფავორიტებს თავგამოდებით იცავდნენ. საბოლოოდ, ამ ბრძოლაში დავითი დამარცხდა. იგი გამეფებიდან ექვს თვეში გარდაიცვალა. ამ ამბებთან დაკავშირებით ისტორიკოსთა შორისაც აზრთა სხვადასხვაობაა. ქართველი მემატიანეები დავითის სიკვდილს ღვთის სასჯელად მიიჩნევენ, რადგან მან ტახტი წაართვა მამას. სომეხი ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ დავითი გიორგის დავალებით მოწამლეს სუმბატ და ივანე ორბელებმა. ეს შფოთი სამეფო კარზე 1155-1156 წლებში მიმდინარეობდა. დავითის სიკვდილის შემდგომ კვლავ დემეტრე დაბრუნდა ტახტზე, რათა ტახტი გიორგისათვის გადაეცა. სიცოცხლის ბოლო ხანები მეფემ გელათის მონასტერში ბერად აღკვეცილმა გაატარა. მეფობისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. 1177-1178 წლებში გიორგის ტახტს ეცილებოდა დავითის შვილი დემნა. ეს აჯანყება ძალიან მასშტაბური იყო. მასში მონაწილეობდა სამეფო კარის დიდგვარიანთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი წრე, მაგრამ გიორგიმ აჯანყება ჩაახშო.

სამეფო ტახტისათვის მიმდინარე ბრძოლებმა დიდად იმოქმედა საქართველოს სამეფოს საგარეო-პოლიტიკურ აქტივობაზე. ამის ერთი ნათელი მაგალითი იყო დემეტრეს მეფობის ბოლო წლებში ადარბადაგანის ათაბაგის – შამს ად-დინ ელდიგუზის მიერ არანის დაკავება. საქართველოს საზღვრებთან ჩრდილოეთ სპარსეთის მმართველის გავლენის გავრცელება კარგს არაფერს უქადდა ქვეყნის უსაფრთხოებას.

არანის ქვეყანა, მისი მთავარი ქალაქი განძა სელჩუკებისთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რეგიონი იყო. იგი განიხილებოდა მაჰმადიანთა უკანასკნელ სასაზღვრო მხარედ. მისი დაკარგვა ნიშნავდა ჩრდილოეთ სპარსეთის საზღვრებთან ქართველების მიახლოებას. სპარსელი ისტორიკოსი ალ-ჰუსაინი აღნიშნავს კიდეც, რომ განძის დათმობა კავკასიაში ისლამის გაქრობას მოასწავებდა. ამიტომაც საღვთო მნიშვნელობის იყო ომი ქართველებთან არანის, შირვანისა და, საერთოდ, აზერბაიჯანისათვის. ამ ბრძოლაში ელდიგუზ ათაბაგი მაჰმადიანთა მთავარ იმედად რჩებოდა. იგი იყო ქართველების წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობების ინიციატორი და ხელმძღვანელი. მის გარშემო ერთიანდებოდნენ ხლათის სულთანი, არანის ათაბაგი, ერაყის სელჩუკიანები და სხვა წვრილი ამირები. ასეთ ძალასთან უხდებოდა გიორგი ᲠᲠᲛ-ს მრავალწლიანი ბრძოლა. ქართველთა მეფე ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა მოზღვავებულ მტერს.

**ბრძოლები.** 1160 წელს გიორგი ᲠᲠᲛ-მ ქალაქი კაღზევანი აიღო. თამარის ისტორიკოსის გადმოცემით, მეფე მივიდა „ქალაქსა ზედა კაღზევანსა და წარმოსტყუევნა ყოველნი ხევნები კლდოვანი და ქალაქები აშორნიისა, სომეხთა მეფედ წოდებულისა შაჰერმენისა“. როგორც ვხედავთ, ქართველებს უშუალოდ ხლათის სულთან შაჰ-არმენის სამფლობელოები დაულაშქრავთ. ხლათის

სულთანმა სუქმან ძძ-მ სამაგიეროს გადახდა მოიწადინა და ქართველების წინააღმდეგ დიდი ჯარი გამოგზავნა თავისი სიმამრის სარდლობით. ბრძოლა მოხდა ოლთისის მხარეში. სელჩუკები სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ. კონფრონტაცია შაჰ-არმენთან ანისის საკითხმა გაამწვავა. საქართველოს სამეფო კარი უკმაყოფილო იყო ქალაქში მაჰმადიანთა მმართველობით. მიუხედავად იმისა, რომ ანისის მმართველი შედადიანები (მუსლიმანური მმართველი დინასტია) საქართველოს სამეფოს ყმადნაფიცები იყვნენ, გიორგი საბაბს ეძებდა, რათა ისინი ქალაქიდან გაეძევებინა. ანისის ზოგიერთი ამირა დროდადრო ხელიდან არ უშვებდა მომენტს, რომ ქართველთა ყმობიდან თავი დაეხსნა და ქალაქი რომელიმე უფრო ძლიერი სელჩუკი მმართველისათვის ჩაებარებინა. მსგავსი რამ დემეტრეს მეფობაში უკვე მოხდა, რასაც არზრუმის მმართველთან ომი მოჰყვა. ამ პირობებში ქართველთა გავლენა აქ მყარი აღარ იყო. 1155-1160 წლებში შედადიანები აღარ ასრულებდნენ ქართველი მეფეების წინაშე დადებულ პირობას – არ შეევიწროებინათ ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობა. ისინი საქართველოს სამეფო კარზე არსებული პრობლემებით სარგებლობდნენ.

1161 წელს გიორგი ძძ-მ მტკიცედ გადაწყვიტა ანისის საკითხის მოგვარება. მან სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი და მალე ქალაქის კედლებთან გაჩნდა. ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ ანისის კართან ქართველებს ძლიერი შეტაკება მოუხდათ ფადლონის ლაშქართან, რომლის პოზიციები ქალაქში ჯერ კიდევ მყარი იყო. თამარის ისტორიკოსის ცნობით, ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა.3 გიორგიმ მტერი დაამარცხა და ქალაქი აიღო. იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს, რომ ანისში ქართველებმა მრავალი ადამიანი დახოცეს. როგორც ჩანს, მეფე სასტიკად გასწორებია ქალაქის მაჰმადიან მოსახლეობას. გიორგიმ ქალაქში 2 000-კაციანი გარნიზონი ჩააყენა და გამგებლობა ამირსპასალარ ივანე ორბელს გადასცა. ქართველებმა ანისი დაახლოებით 36 წლის შემდეგ დაიბრუნეს. ანისის საკითხი არ იყო მარტო საქართველოსა და შედადიანების ურთიერთობების სფერო. ჩრდილოეთ სომხეთში ქართველთა ფეხის კვლავ მოკიდება მიუღებელი აღმოჩნდა ხლათის სულთნისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი წელი იყო გასული, რაც გიორგიმ მისი ლაშქარი ოლთისის მხარეში გაანადგურა. სუქმან ძძ-მ გადაწყვიტა ქართველთა ინტერესები ამ რეგიონში ერთხელ და სამუდამოდ დაესამარებინა.

ხლათის გამგებელმა, წინა წლისაგან განსხვავებით, მასშტაბური წინასწარი სამზადისი ჩაატარა და საკმაოდ მრავალრიცხოვან ლაშქარს მოუყარა თავი. შაჰ-არმენმა მოუწოდა მარდინის მფლობელს, ნაჯმ ად-დინ ალბის, რომელიც ცნობილი ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზის შვილიშვილი იყო. კოალიციაში მონაწილეობაზე ასევე თანხმობა განაცხადა არზრუმის ამირა სალთუკმა, რომელსაც ალბათ ძველი მარცხის გამოსწორება სურდა; თუმცა, როგორც ალ-ფარიკი გვაუწყებს, სალთუკს გაახსენდა დემეტრეს წინაშე დადებული ძველი ფიცი – სიცოცხლეში არასოდეს გამოვიდოდა მისი შვილების წინააღმდეგ – და ჩამოშორდა კოალიციას. მათ გარდა, შაჰ-არმენს მხარი დაუჭირეს არზანისა და ბითლისის ამირა ჰაბრ ად-დინ დავლათ შაჰმა, ყარსისა და სურმარის პატრონებმა. მემატიანე აღნიშნავს, რომ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ შამის, დიარ-ბაქრის, ჯაზირისა და კარმიანის მხარის თურქები. ასეთი დიდი ჯარით მოადგა ხლათის სულთანი ანისს. როდესაც გიორგი ძძ-ს მოახსენეს მტრის მიერ ანისის გარემოცვის ამბავი, მეფემ სასწრაფოდ შეყარა ლაშქარი, მთელი სამეფო სპის შეკრებას არ დაუცადა და მალე ანისის კართან გაჩნდა. ისტორიკოსის გადმოცემით, გიორგი ძძ-ს ამ ლაშქრობაში ახლდნენ მწიგნობართუხუცესი იოანე, სუმბატ ორბელი, იმჟამად ბერად აღკვეცილი, ლიპარიტ სუმბატის ძე, ბექა სურამელი, თირქაშ აბულეთის ძე. სუმბატ ორბელი მეფეს ურჩევდა: დაეცადა და მცირე ლაშქრით ომში არ ჩაბმულიყო, მაგრამ გიორგიმ მისი თათბირი არ მიიღო და ცხენზე ამხედრებულმა მოუწოდა მებრძოლებს: „რაოდენ უფრო სასახელოა ვაჟკაცურად სიკვდილი, ვიდრე ავადმყოფობით გახდომა და განლევა, რადგანაც საზე და სახელი კეთილისა საუკუნო გზად გაგყვება. ძველი მემატიანეებიდან შეგვიტყვია, თუ რა დიდი ბრძოლა გადაუტანია საღმრთო სჯულისთვის ებრაელ ხალხს არტაქსერქსეს წინააღმდეგ ბრძოლაში. ბერძნებს, რომელთაც გამოცდილი სარდალი თემისტოკლე ხელმძღვანელობდა, მსოფლიოს მპყრობელ არტაქსერქსესთან ომში, არტაქსერქსეს, რომელმაც უომრად და მხედრობის გარეშე ზღვა დაიპყრო, მაგრამ მარტოოდენ ქალაქმა ათენმა უკუაქცია. ახლა კი, ჩემო ფრთიანო ლომებო, ხელი დასტაცეთ ლახვართ და ჰოროლთ და ჩვენთვის განლახვრულის (ე.ი. ქრისტეს) სახელით ეძგერეთ ურწმუნოებს“. 4

მეფემ თავის სარდლებს: ბექა სურამელს, თირქაშ აბულეთის ძესა და ლიპარიტ ორბელს აცნობა, რომ ვინც პირველი ჩაიგდებდა ხელში მტრის დროშას, ის იქნებოდა მათ შორის პირველი ვაჟკაცი. გიორგი ძძ თავისი მთავარი რაზმით თავს დაესხა მტერს. პირველივე შეტაკებაში აირივნენ მოწინააღმდეგის მოწინავე რაზმები. გიორგიმ ხელთ იგდო მტრის დროშა. ბრძოლა მზის ჩასვლამდე გაგრძელდა. მაჰმადიანები სასტიკად დამარცხდნენ. ქართველებს უამრავი ტყვე და ალაფი ჩაუვარდათ ხელში. მემატიანის გადმოცემით, ბრძოლის შემდეგ ქართველები თავიანთი ახლობლების ძებნას შეუდგნენ: „მპოვნელნი მამა ძისა და ძე მამისა, ძმა ძმისა, პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა, გამარჯვებულნი და აღვსილნი ყოვლითურთ სიხარულითა იღიმოდეს და ამბორს უყოფდეს ურთიერთს“.

ბრძოლა რომ სასტიკი და დაუნდობელი იყო, ამას აღნიშნავენ სხვა ისტორიკოსებიც. ალ-ფარიკი წერს: „დაეცა მათ მახვილი და მოიკლა მათგან დიდძალი.5 გაიქცა შაჰ-არმენი ანისის

კარიდან და არზანის მფლობელი ცხენით. ტყვედ იქმნა მუსლიმთაგან ურიცხვი, მოიკლა უმეტესობა და ბედნიერია ის, ვინც გადაურჩა ბრძოლას“. მისი ცნობით, ქართველებს ტყვედ ჩაუვარდათ ხლათის დედოფლის ძმა და დედა, ასევე სხვა სახელოვანი მებრძოლნი. შემდგომში ეს ტყვეები დედოფალმა და მოსულის ვეზირმა გამოისყიდეს, ნაწილი თვით გიორგიმ გაათავისუფლა. მათე ურჰაელის გადმოცემით, მაჰმადიანთაგან ბრძოლაში დაიღუპა 7000 მეომარი, 2000 ყმა, 5 მთავარი, 150 დიდი ამირა კი ტყვედ ჩავარდა. ბარ ჰებრეუსის ცნობით, „მოსულის ვეზირმა ჯამალ ად-დინმა გიორგი ⁄⁄⁄-სთან ელჩად იაკობიტთა თემის მეთაური იგნატიუსი გააგზავნა ტყვეების გამოსასყიდად.ელჩობა პატივით მიიღო და ბევრი ტყვე უსასყიდლოდ გაათავისუფლა. გიორგი ⁄⁄⁄-მუკან დაბრუნებულ იგნატიუსს თავისი ელჩობა გააყოლა და თან ბევრი საჩუქარი გაატანა ვეზირთან. ორივე ელჩობა მოსულში შუბის წვერებზე დაკიდებული ჯვრებით შესულა“. გიორგი ⁄⁄⁄-მ, გამარჯვების აღსანიშნავად, ანისის მცხოვრებლებს 40 000 დრაჰკანი აჩუქა, ქალაქიდან წაყვანილი ტყვეები გამოისყიდა და გამარჯვებული დაბრუნდა უკან.

შაჰ-არმენის კოალიციის დამარცხებამ ქართველებს ჩრდილოეთ სომხეთში თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა.ამჯერად შეტევის ობიექტად ქალაქი დვინი იქცა. მემატიანის გადმოცემით, იგი სახელოვანი და მდიდარი ქალაქი იყო, რომელიც სომხეთისა და ადარბადაგანის საზღვარზე, არარატისეთის ძირას მდებარეობდა. იბნ ალ-ასირის გადმოცემით, 1162 წელს „დიდძალი ქართველობა შეგროვდა (30 000 მეომარი) და ადაბადაგანის ქალაქ დვინისაკენ გაემართა. ქართველთა ჯარმა ააოხრა ქალაქი, 10 000 მცხოვრები დახოცა, მრავალი ქალი და კაცი ტყვედ წაასხა“. მემატიანის ცნობით, ქართველებს ქალაქის წინ ბრძოლა ჰქონიათ დვინის დამცველ ჯართან, მაგრამ დაუმარცხებიათ და, უკუქცეულთ, ქალაქში შეჰყოლიან. მსგავს ინფორმაციას გვაწვდის მათე ურჰაელიც: „სახელოვანი ქალაქი დვინი აიღო ქართველთა მეფე გიორგიმ. იგი უცხოთესლთა ლაშქარს, რომელიც ქალაქიდან მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსულიყო, კვალდაკვალ მიჰყვა, ლტოლვილნი დახოცა, ხოლო გადარჩენილთ, რომლებიც ქალაქისაკენ გაბრუნდნენ, უკან მიჰყვა და, კარის გავლით, ჯარითურთ ქალაქში შეიჭრა. ქართველებმა ყველანი უწყალოდ ამოხოცეს, დაატყვევეს და მათი მოსახლეობა აიკლეს, შემდეგ დიდი ტყვითა და ალაფით თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ“.

ისტორიკოსები მიუთითებენ ქალაქის მცხოვრებთა მიმართ ქართველთა სისასტიკეზე.უნდა ითქვას, რომ დვინი ძველი სომხური ქალაქი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, არაბთა და სელჩუკთა ბატონობის პერიოდში, მაჰმადიანი მოქალაქეების რიცხვი გაიზარდა. სამუელ ანეცი მოგვითხრობს: „ქართველებმა დაწვეს დვინის მეჩეთები, დაანგრიეს ის მინარეთი, რომელზედაც ქართველ მეომართა თავის ქალები ელაგა და ისინი პატივით გადმოასვენეს თბილისში“. ამას გარდა, ქართველებს უამრავი ტყვე წამოუყვანიათ.

დვინის დაკარგვამ ადარბადაგანის სულთანი, ათაბაგი შამს ად-დინ ელდიგუზი, შეაშფოთა. ჩრდილოეთ სომხეთი მთლიანად ქართველთა ხელში აღმოჩნდა. მაჰმადიანებმა სწორად განსაზღვრეს: თუ სათანადო რეაგირებას არ მიმართავდნენ და არ შეაჩერებდნენ ქართველთა წინსვლას სამხრეთისაკენ, საკუთარი ქვეყნის საზღვრებთან საფრთხე რეალური გახდებოდა. ჰამდალაჰ ყაზვინი აღნიშნავს, რომ დვინის აღების შემდეგ გიორგი ⁄⁄⁄-მ უკვე ისლამის ქვეყნებზე გაილაშქრა. ალ-ჰუსაინის ცნობით, როდესაც ათაბაგი ელდიგუზი აზერბაიჯანში მოვიდა, დაიკავა არანი და მისი მოსაზღვრე მხარეები, ქართველებმა მას წერილი გაუგზავნეს: „ჩვენ გვეკუთვნის ხარაჯა განჯიდან და ბაილაქანიდან, რაც ყოველწლიურად შედის მეფის ხაზინაში. რამდენიმე წელია, რაც შეწყდა ამ ფულის შეტანა და გვსურს, რომ შენც შეიტანო ჩვენს ხაზინაში ფული“. ელდიგუზის პასუხი უარყოფითი იყო. იგი პირიქით დაემუქრა ქართველებს: „მე ერაყი მივატოვე და ამ ქვეყანაში იმიტომ მოვედი, რომ ლაშქარი შევაგროვო, მივადგე თბილისს და ალყაში მყავდეს, სანამ არ ავიღებ“. ამ გამოწვევის შემდეგ ომი გარდაუვალი იყო. ადარბადაგანის სულთანს მხარში ამოუდგნენ მარაღის პატრონი ნუსრათ ად-დინ არსლან ალ-აჰმადილი და ხლათის გამგებელი სუქმან ⁄⁄⁄. თამარის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ 1163 წელს მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქარი საქართველოში შემოიჭრა, გაგის ციხე აიღო და სანახები მოაოხრა. გიორგი ⁄⁄⁄-მ სწრაფად იმოქმედა მომხდურთა დასასჯელად, მაგრამ მუსლიმანები მალე უკუიქცნენ. მემატიანის ცნობით, აზნაურებმა დაუშალეს მეფეს გაქცეული მტრის დევნა. ქართველები მოერიდნენ მტრის მთავარ ძალებთან ომს. სომეხი ისტორიკოსებიც, ვარდანი და სტეფანოზ ორბელიანი, აღნიშნავენ, რომ ქართველთა ჯარის გაგის მხარეში გამოჩენისას კოალიციის მხედრობამ მიატოვა ტყვეები, ალაფი და სასწრაფოდ უკან გაბრუნდა.

არაბი და სპარსელი ისტორიკოსები კი სხვაგვარად აღწერენ ომის მსვლელობას. ჩანს, რომ საომარი მოქმედებები ერთი შეტაკებით არ დამთავრებულა. დროებით უკუქცეული მტერი კვლავ მობრუნდა და ახალი ომისათვის მზადება დაიწყო. მანამდე მოკავშირეებმა ანისისა და დვინის ტერიტორიები მოარბიეს და მრავალი ტყვე იგდეს ხელთ. მაჰმადიანებმა ნახჭევანისა და განძის მხარეში იწყეს თავმოყრა. ამჯერად კოალიციის ძალები უფრო მრავალრიცხოვანი იყო, 50 000-ს აღემატებოდა. ალ-ჰუსაინი გადმოგვცემს: „არსლან-შაჰს ერაყიდან ისეთი მრავალრიცხოვანი არმია მოუყვანია, თვალს ახარებდა და გულს აღაფრთოვანებდა. ერაყში ჯერ არავის სმენოდა ასეთ რჩეულ ხალხთაგან შეკრებილ ჯარზე“. ასევე დიდი ლაშქრით მოსულა ხლათის სულთანი. გიორგი ⁄⁄⁄-მ

როდესაც დაინახა მტრის სამზადისი, ზავი შესთავაზა არსლან-შაჰს. მარაღის მფლობელს ისტორიკოსები კოალიციის მხედართმთავრებს შორის ყველაზე ძლევამოსილ მმართველად თვლიან. ქართველთა მეფის შემოთავაზებაზე არსლან-შაჰს შეუკრებია სარდლები და მიუმართავს ელდიგუზისათვის: „ეს საქმე შენი გადასაწყვეტია, შენ ყველაზე კარგად იცი შენი ქვეყანა. რას ფიქრობ ამაზე“. ელდიგუზი თანახმა იყო ზავზე. არც არსლან-შაჰი იყო წინააღმდეგი, კონფლიქტი მშვიდობით მოეგვარებინა ქართველებთან, მაგრამ საქმეში ჩაერივნენ ერაყის ამირები და სუქმან ი. ხლათის სულთანმა შეახსენა მათ ქართველების მიერ დვინის აოხრების ამბავი და, თუ შურს არ იძიებდნენ, მაშინ მტერი უფრო გათამამდებოდა და ახალ თავდასხმას მოაწყობდა ისლამის ქვეყნებზე.

თამარის ისტორიკოსის გადმოცემით, სულთანს ქართველთა ბანაკში მზვერავი გაუგზავნია, რომელსაც უცნობებია ქართველთა ჯარის სიმცირე. ეს მოციქული გიორგის ხლებია, ვითომ სულთნის მიერ დაზავებაზე სათხოვნელად გამოგზავნილი: „მოციქული სულტნისა იყო კაცი მოგვი და ტრელი, მეცნიერი საქმისა, ამხილველი და გამომხილველი ლაშქართა დგომისა“. როგორც ჩანს, მემატიანის ეს ცნობა სიმართლეს შეესაბამება. ქართველთა სიმცირითა და უყურადღებობით გულმოცემული მაჰმადიანები მოულოდნელად დაესხნენ მათ თავს. ბრძოლა ლორესა და დმანისის მხარეში მომხდარა. მტრის მოულოდნელ თავდასხმას მართლაც არ ელოდნენ ქართველები, რადგან გიორგი ი-ს ძლივს მოუსწრია აღჭურვა და ამხედრება. მართალია, ქართველები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ მოულოდნელმა თავდასხმამ და მტრის მრავალრიცხოვნებამ ბრძოლის ბედი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

თამარის ისტორიკოსი გიორგის მარცხს მოულოდნელ თავდასხმას აბრალებს. ამასთან ერთად, ჩანს, ბრძოლის დროს ღალატიც იყო. იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს, რომ ერთ-ერთი ქართველი დიდებული ელდიგუზთან მისულა, გამაჰმადიანებულა და შეჰპირებია: თუ ჯარს ანდობდა, გამარჯვებას გაუადვილებდა. როდესაც მუსლიმანებმა შეტევა დაიწყეს, ქართველები იოლად გაუსწორდნენ, მაგრამ მოღალატის მიერ მოყვანილი რაზმები მათ ზურგიდან თავს დაესხნენ და მაჰმადიანებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. იბნ ალ-ასირი იმასაც აღნიშნავს, რომ ქართველები დაღუპა თავიანთმა მრავალრიცხოვნებამ, თავდაჯერებამ და მედიდურობამ.

განსხვავებულ სურათს გვთავაზობს ალ-ჰუსაინი. ის დაწვრილებით მოგვითხრობს ბრძოლის მიმდინარეობას. მისი ცნობები ტენდენციურია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ძვირფას მასალას შეიცავს ამ ომის შესახებ. თუმცა ის არაფერს ამბობს მოკავშირეთა მოულოდნელი თავდასხმის შესახებ. ალ-ჰუსაინი აღნიშნავს: ქართველთა მეფემ, როგორც კი მტრის შემოსევის ამბავი გაიგო, მაშინვე შეკრიბა ჯარი და საბრძოლველად გამოემართა. ომის წინ ელდიგუზმა ლაშქარი სამ ნაწილად გაყო. პირველი გიორგი ი-ის რაზმს უნდა შებრძოლებოდა, მეორე, ერაყელებისაგან შემდგარი, საფარში უნდა მდგარიყო და ნიშანზე უნდა დასხმოდა მტერს, ხოლო მესამეს თვით ათაბაგი ხელმძღვანელობდა და ცენტრალური პოზიცია ეკავა.

ქართველთა მეფემ საომრად დააწყო ლაშქარი, გაყო მარჯვენა და მარცხენა ფლანგებად, ცენტრში თვითონ დადგა და ორივე ფრთაზე გადაანაწილა რაზმები. ალ-ჰუსაინი აღნიშნავს, რომ შეტევა ქართველთა მოწინავეებმა დაიწყეს, მაგრამ მუსლიმანები მედგრად იდგნენ. როდესაც ბრძოლა გახურდა, მეფის ხელმძღვანელობით, ქართველთა ახალი ძალები შეტევაზე გადავიდნენ. ამ დროს საფარში განლაგებული ერაყელთა რაზმები მოწინავეებს მიეშველნენ და ქართველების ალყაში მოქცევა დაიწყეს. ალ-ჰუსაინი აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარემოცვისა, ქართველები მტკიცედ იცავდნენ თავს და მეფის წინ იყვნენ განლაგებულნი. ასე გრძელდებოდა, მანამ შუადღე არ დადგა და ათაბაგი მთავარი ლაშქრით შეტევაზე არ გადავიდა. როდესაც ქართველთა მეფემ დაინახა რაზმებად დაწყობილი დიდი ჯარი, პირი იბრუნა და ბრძოლის ველიდან გაიქცა. ალ-ჰუსაინის გადმოცემით, ქართველებმა ამ ომში 10 000 მეომარი დაკარგეს.

ისტორიკოსებს განსხვავებულად აქვთ გადმოცემული ამ დაპირისპირების ისტორია. ქართველი მემატიანე ცდილობს, გიორგის მარცხი მტრის მოულოდნელ თავდასხმას დააბრალოს, თუმცა ისიც არ უარყოფს, რომ მეფე ძლივს გადაურჩა ტყვეობას. სომეხი ისტორიკოსები ძირითადად გაგის მხარის მოოხრებაზე საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ მაჰმადიანებმა გიორგის გამოჩენისთანავე მიატოვეს ნაალაფარი. არაბი და სპარსელი ისტორიკოსები ერთხმად, აღფრთოვანებით საუბრობენ მაჰმადიანთა გამარჯვებაზე, თუმცა ქართველთა დამარცხების მიზეზები მათ მონათხრობშიც განსხვავებულია. ერთი რამ ცხადია: ეს კამპანია გიორგი ი-მ წააგო და იძულებული გახდა, დროებით უკან დაეხია.

ამ გამარჯვების შემდეგ შამს ად-დინ ელდიგუზმა დვინი დაიკავა და მის მემკვიდრეებს ის ეპყრათ ს. საუკუნის დასასრულამდე, 1202 წლამდე, სანამ თამარის მეფობის დროს ისევ არ წაართვეს ქართველებმა.

ეს მარცხი მართლაც მტკივნეული იყო ქართველთათვის. გიორგი ი იძულებული გახდა, ანისიც შედადიანებისათვის დაებრუნებინა და დვინსა და არანზე ხელი აეღო. საქართველოს სამეფოსა და ელდიგიზიანებს შორის ზავი დაიდო. თვით ათაბაგი გამოსულა ამ ინიციატივით. „თვით შემოეხვეწა ელდიგუზ ათაბაგი“, — გადმოგვცემს მემატიანე. ამ შეთანხმებაში გარკვეული როლი დემეტრე ი-ის ასულ რუსუდანს უთამაშია, რომელიც შუამავლობდა მხარეების მორიგებას. როგორც ჩანს, ელდიგუზს მაინც ეშინოდა მოვლენების განვითარებისა. გიორგი ი არსებულ სიტუაციას რომ

არ შეეგუებოდა, ეს მასაც კარგად ესმოდა. მისი სამფლობელოები უშუალოდ ესაზღვრებოდა ქართველთა სამეფოს და ქართველთა მხრიდან რევანშის საშიშროება ყოველთვის არსებობდა. როგორც მემატიანეთა ცნობებიდან ჩანს, ელდიგუზი არც მაშინ უარობდა გიორგისთან ზავს, როცა ბრძოლის წინ ქართველთა მეფე ამ ინიციატივით გამოვიდა, მაგრამ მისმა მოკავშირეებმა ხელი ააღებინეს ამ განზრახვაზე.

მოვლენებმა გვაჩვენა, რომ ქართველთა მეფე მარცხს ასე ადვილად არ შეჰგუებია. თამარის ისტორიკოსის ცნობით, ჯერ კიდევ მშვიდობიანობის ხანაში, როცა გიორგი მეფეც საშინაო საქმეებით იყო დაკავებული, დიდებულები მასთან მივიდნენ და სთხოვეს, მიეცა ლაშქარი და მეზობელი მხარეების დარბევის ნება. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ ქართველი მხედართმთავრები და მოლაშქრეები ძალიან შეაწუხა უქმად ყოფნამ. გიორგი ირი-მ მარბიელი ლაშქარი სხვადასხვა მხარეში გაუშვა. ტაოელებს, შავშელებსა და კლარჯელებს ოლთისისა და ბასიანის მხარეების დარბევა დაავალა. მესხნი და თორელნი კარისა და აშორნიის ქვეყნებს შეესივნენ. ამირსპასალარმა ქვემო ქართლელებით მოარბია განძის საზღვრები, ჰერ-კახელებმა შირვანის მოსაზღვრე მხარეები ააოხრეს, ხოლო მეფემ თავისი რჩეული რაზმებით დალაშქრა განძის სანახები მტკვრის სანაპიროების ჩაყოლებაზე. იბნ ალ-ასირის ცნობით, 1165-1166 წლებში ქართველთა დიდი მხედრობა შეესია არანს და განძამდე მიაღწია. სავარაუდოდ, სწორედ ეს ლაშქრობა უნდა იყოს ნაგულისხმევი არაბი ისტორიკოსის ცნობაში. ეს იყო მართლაც მასშტაბური სამხედრო ოპერაცია, რომლის მსგავსი ქართველებს დავით აღმაშენებლის შემდეგ არ ჩაუტარებიათ. ლაშქრობები თურქმანი მომთაბარეების სადგომების განადგურებასაც ისახავდა მიზნად. ეს პრობლემა პერმანენტულად არსებობდა საქართველოს საზღვრებთან. მართალია, დავით აღმაშენებელმა დიდი ბრძოლები გადაიტანა ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ მომთაბარეთა ალაგმვა წარმოუდგენლად ძნელი იყო. თურქსელჩუკების დაპყრობებმა კავკასიასა და ბიზანტიის აღმოსავლეთის თემებში მათი ჩამოსახლება გააქტიურა, რასაც ხელს უწყობდა თვით სელჩუკთა ხელისუფლება.

1173 წელს გიორგი ირი-მ დარუბანდზე ილაშქრა და ქალაქი შაბურანი აიღო. როგორც ჩანს, ქართველები ჩაერივნენ შირვანისა და დარუბანდელთა დაპირისპირებაში. შირვან-შაჰი აღსართანი გიორგის ყმადნაფიცი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა გავლენა არანში დროებით დათმეს, შირვანს აკონტროლებდნენ და დარუბანდზე ლაშქრობა საკუთარი ქვეშევრდომის დაცვა იყო. მემატიანის გადმოცემით, ქართველთა ჯარმა „მოაოხრა ქვეყანა მუსკურისა და შარაბამისა და აიღო ქალაქი შაბურანი.“ გიორგიმ ეს მხარეები თავის ერთგულ ყმადნაფიცს – აღსართანს უწყალობა. დარუბანდის საამიროს სტრატეგიული მდებარეობა ეკავა. იგი კეტავდა კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთის კარებს და გასასვლელს კასპიის ზღვაზე. 1174 წელს გიორგიმ კვლავ აიღო ანისი, დაატყვევა ამირა არსლან შედადიანი და ქალაქი ივანე ორბელს ჩააბარა. ქართველები ანისის შემოერთებას ქვეყნის უსაფრთხოებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათ ხელში ანისის გადასვლაზე მტკივნეულად რეაგირებდნენ მაჰმადიანი მმართველებიც. ელდიგუზმა სწრაფად მოუყარა თავი ჯარს და ანისში შემოვიდა. მაჰმადიანებმა შირაკის მხარე მოაოხრეს. ამის შემდეგ ელდიგუზს მხარში ამოუდგა შაჰ-არმენი და არსლან-შაჰი, ჰამადანის, დიარ-ბაქრისა და აზერბაიჯანის ჯარებით. კოალიციის ლაშქარი შემოჭრილა ჯავახეთის მხარეში, დაურბევია ახალქალაქი. ალ-ფარიკის ცნობით, გიორგი ირი მორიდებია მტერთან ომს. ამიტომაც უვნებლად გაბრუნდნენ სელჩუკები თავიანთ სამფლობელოებში. გიორგიმ ვერ შეინარჩუნა ანისი. იქ კვლავ შედადიანთა მმართველობა აღდგა. ჩრდილოეთ სომხეთისათვის ბრძოლის საკითხი სამომავლოდ გადაიდო.

**ანალიზი.** იმ პერიოდში მოწინააღმდეგის დამარცხების ერთ-ერთ ხერხად ციხე-ქალაქების აღება გამოიყენებოდა. ამისთვის ქართველები, სხვა არაერთიდან, იყენებდნენ დადევნებას – ქალაქის მთავარი შესასვლელისკენ, როცა მტერი უკუიქცეოდა.

ქალაქის აღების ასეთ ხერხს ხშირად იყენებდნენ ქართველები იმ პერიოდში. ქალაქის კარების წინ შეტაკება ანისის აღების დროსაც მომხდარა. მართალია, ქართველთა ანისში შეჭრის გზების შესახებ წყაროები დეტალურად არაფერს გვეუბნებიან, მაგრამ სავარაუდოა, რომ ანისის აღებაც ამ გზით მოხდა.

ქალაქის ციხის წინ გარნიზონის ბრძოლა მტერთან დამცველებისათვის გარკვეული რისკი იყო. უმეტეს შემთხვევაში, მოალყეების ნაწილები რიცხობრივად აღემატებოდნენ ციხის მცველთა რაზმებს, ამიტომ მეციხოვნეები ძირითადად, ციხის ზღუდეების იმედად, შიგნიდან ებრძოდნენ მტერს. ანისისა და დვინის აღებისას ქართველთა სარდლობამ მეციხოვნეთა რაზმები ქალაქის ალყის დროს გამოიტყუა. ისინი ქართველებზე ზარალის მიყენებას იმედოვნებდნენ ციხის კარიდან მოულოდნელი თავდასხმით.[18]

[18]მსგავსი ისტორია XIII საუკუნეში განძის კართან მოხდა, როდესაც ლაშა-გიორგის რაზმს ქალაქის ციხიდან მოულოდნელად მეციხოვნეთა ლაშქარი დაესხა თავს, მაგრამ მარცხის გამო უკუიქცა და კვლავ ციხეს შეაფარა თავი. მეფეს არ უცდია ქალაქში შეჰყოლოდა უკუქცეულებს, რადგან იმ მომენტში საამისო ძალები არ ჰქონდა.

დვინის დამცველებმა სცადეს, ქალაქის სიმაგრეებისთვის შეეფარებინათ თავი, მაგრამ გიორგი IIIმ არ დაანება ალაყაფის კარების ჩარაზვა. ლტოლვილი და მომხდური ერთმანეთში აირია და მძლავრი შეტევით ქართველები ქალაქის სიმაგრეში შეიჭრნენ. ამავე დროს მოალყეების მხრიდან ციხის კედლებზე იერიშმა დეზორგანიზაცია გამოიწვია მეციხოვნეთა რიგებში და, საბოლოოდ, მთელი ქალაქი ქართველთა ხელში აღმოჩნდა.

**შედეგი.** გიორგის IIIის სამხედრო-პოლიტიკურმა მოღვაწეობამ და მის მიერ გადახდილმა ბრძოლებმა უზრუნველყო საქართველოს ტერიტორიებისა და მისი ვასალური ქვეყნების უმეტესი ნაწილის შენარჩუნება.

## §24.ემეფე თამარი. შამქორისა და ბასიანის ბრძოლები

### ა) შამქორის ბრძოლა

**პოლიტიკური ვითარება.** მეფე გიორგი IIIის გარდაცვალების (1184 წელი) შემდეგ სახელმწიფოს მართვა მისმა ქალიშვილმა თამარმა განაგრძო. იგი მეფედ პირველად 1178 წელს (სამეფოში შექმნილი ვითარების გამო, მამის სიცოცხლეშივე) ეკურთხა. მეფედ თამარი მეორდაც აკურთხეს სახელმწიფო დარბაზის გადაწყვეტილებით, მამის გარდაცვალების შემდეგ. სამეფო კარზე არსებული დიდგვაროვანთა დაპირისპირებიდან გამომდინარე, თამარს სახელმწიფო მმართველობის აპარატის გაფართოება და მოხელეთა მოვალეობების გადახალისება მოუხდა. გატარებულმა ღონისძიებებმა მეფეს საფუძველი მისცა გაეგრძელებინა წინამორბედთა სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დომინირების შენარჩუნებასა და გაძლიერებას კავკასიის რეგიონში.

XII საუკუნის I ნახევრიდან სამხრეთ აზერბაიჯანისა და არანის ტერიტორიაზე მძლავრი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა, ელდიგუზიანელთა დინასტიის მოთავეობით.

შამქორის ბრძოლამდე ელდიგუზიანელ ათაბაგებსა და საქართველოს შორის მრავალწლიანი დაპირისპირება არსებობდა. საქართველოს სამეფოს აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ზრდას ხელს სწორედ აზერბაიჯანის მმართველები უშლიდნენ, რადგან ეს ტერიტორიები მათი ვასალური მიწები იყო. 1194-1195 წლებში საქართველოს ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება შეექმნა სამხრეთ კავკასიაში. აზერბაიჯანის ათაბაგის – აბუ-ბექრის მოწინააღმდეგე ამირ-მირმანმა (აბუ-ბექრის ძმა, რომელიც 1192 წელს თავრიზთან დამარცხდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში) აშკარად პროქართული ორიენტაცია დაიკავა. იგი თავდაპირველად შირვანშაჰ აღსართან I-ს ეწვია.

ამ უკანასკნელმა დევნილი უფლისწული დიდი პატივით მიიღო და თავის ქალიშვილზე დააქორწინა. შირვანში ათაბაგ აბუ-ბექრის მოწინააღმდეგე ბანაკი ჩამოყალიბდა. აღსართან I-სა და ამირ-მირმანის კოალიციამ დამოუკიდებლად სცადა არანში პოზიციების გამაგრება. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, სიძე-სიმამრი ქალაქ ბელაყნის მიდამოებში დაბანაკებულა. აბუ-ბექრის ლაშქარმა „ბელაყნის კარსა ზედა“ სასტიკად დაამარცხა მოკავშირე შირვან-შაჰი და ამირ-მირმანი. ამ დამარცხებას დაერთო ისიც, რომ შირვანში საშინელი მიწისძვრა მოხდა, რომელსაც თვით აღსართან I-ის ოჯახი შეეწირა, მათ შორის – მემკვიდრე მანუჩიჰრი და ამირ-მირმანის მეუღლე. ამ კატასტროფამ რამდენიმე ხნით გადადო აბუ-ბექრის წინააღმდეგ საერთო-კავკასიური კოალიციის შექმნა. გარკვეული პერიოდი აღსართან I ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების მოგვარებით უნდა ყოფილიყო დაკავებული. ქალაქ შემახას დანგრევის შემდეგ შირვანის ახალი პოლიტიკური ცენტრი ბაქოში გადაუტანიათ. ბუნებრივია, ამ ღონისძიებას დრო სჭირდებოდა და აბუ-ბექრთან საბრძოლველად არავის ეცალა.

**სამხედრო კოალიციის შექმნა.** 1195 წლისათვის აღსართან I-მა და ამირ-მირმანმა გადაწყვიტეს, აბუ-ბექრის წინააღმდეგ საერთო-კავკასიური კოალიციის შექმნის იდეა რეალობად ექციათ. მათ საქართველოს სამეფო კარზე მოციქული გამოგზავნეს, რომელსაც თამარისთვის უნდა მოეხსენებინა აღსართან I-ისა და ამირ-მირმანის გეგმა. იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე ამ წინადადებას მიიღებდა, დაგეგმილი იყო თავად შირვანშაჰისა და ელდიგუზელი უფლისწულის თამარის კარზე ჩამოსვლა და ერთობლივი ძალით აბუ-ბექრის წინააღმდეგ გალაშქრება. აღსართანი და ამირ-მირმანი საქართველოს სამეფო კარს სთავაზობდნენ:

1. არანისა და აზერბაიჯანის დაკავებას („ლაშქართა თქვენთასა აღებად ყოვლისა სპარსეთისა“);
2. აბუ-ბექრის მაგიერ ამ ტერიტორიაზე პროქართული ორიენტაციის ამირ-მირმანის გაათაბაგებას;
3. ელდიგუზიანელთა დინასტიასა და ბაგრატიონებს შორის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, თამარის ასულ რუსუდანის (ამ დროს იგი ორი წლის იქნებოდა) ამირ-მირმანზე დაწინდვას („მაშინ დასვით ასული თქვენი... პატრონად ყოველთა სპარსეთისა“).

საქართველოს სამეფო კარმა მესამე წინადადება უარყო, მაგრამ სამხედრო დახმარებაზე აღსართან I-სა და ამირ-მირმანს თანხმობა მისცა („მაშინ არა-მაღირსმან სიძობისამან უბრძანეს იმედი შველისა და ხელის აპყრობისა“). ქართული მხარიდან პასუხის მიღებისთანავე აღსართანი და ამირ-მირმანი თბილისისაკენ გამოემგზავრნენ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს უცხო სტუმრების თამარის კარზე მიღების ამბავს. ქართველებმა მართლაც პომპეზური შეხვედრა გაუმართეს მათ.

**ბრძოლის წინა პერიოდი.** 1195 წლის მაისის შუა რიცხვებში სამეფო კარზე მოვიდა ცნობა, რომ აბუ-ბექრი უკვე არანში იყო. ქართველთა ლაშქარი საბრძოლველად მოემზადა. ქვემო ქართლში (მდინარეების: მტკვრის, ალგეთის, ქციისა და ქურდვაჭრის ნაპირებთან) დაბანაკებულ ჯარს თვით მეფე თამარი ეწვია. მან რამდენიმე დღე დაყო ლაშქართან ლოცვისათვის. სწორედ აქ მიმართა მან მეომრებს სიტყვით: „ძმანო ჩვენო, ყოვლად ნუ შეძწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მათისათვს და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენ თანა არს... მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდვენით და გულნი თქვენნი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქვეყანად მათდა შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით“.

მაისის მიწურულს ქართველთა ლაშქარი შამქორ-განჯისაკენ გაემართა. გასავლელი იყო, დაახლოებით, 140-150კმ. ქართველები პირველად მდ.ურლეკეცის, ახლანდელი აღსტაფა-ჩაის, ნაპირებთან დაბანაკდნენ. მეორე დღეს უკვე შამქორის ციხე-ქალაქის სიახლოვეს იყვნენ. მემატიანის გადმოცემით, ეს იყო 1 ივნისი. ბრძოლა 2 ივნისს, პარასკევს მოხდა. შამქორის ციხის სიახლოვეს დაბანაკებული ქართველები ბრძოლისათვის მზადებას შეუდგნენ. სარდლობამ სამხედრო გეგმის შემუშავება დაიწყო. დავით სოსლანის კარავში შეიკრიბნენ შირვანშაჰი აღსართანი და ამირ-მირმანი, ანტონ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ზაქარია და ივანე მხარგრძელები, მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელი, სარგის თმოგველი და სხვა დიდებულები.

ქართველ მხედართმთავრებს მოწინააღმდეგის განლაგების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდათ: აბუ-ბექრი მდ. შამქორისწყლის მარცხენა მხარეს იყო გადასული და იქ ელოდა საქართველოს მხედრობას. მტერი ისე იყო განლაგებული, რომ ფლანგებიდან მისი შეტევა გაჭირდებოდა, განსაკუთრებით კი მარჯვენა ფლანგიდან, სადაც შამქორის ციხე-ქალაქი მდებარეობდა.

ქართული ჯარის სარდლობამ ზუსტად გათვალა მოწინააღმდეგის გეგმები, სწორად შეაფასა მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და დარტყმა იქიდან გადაწყვიტა, საიდანაც მოწინააღმდეგე ყველაზე ნაკლებად ელოდა – შეტევა შამქორის ციხის მიმართულებით, მარჯვენა ფლანგიდან. თუმცა ამ გეგმის შესრულებისას შესაძლებელი იყო შამქორის ციხეში დაბანაკებულ აბუ-ბექრის ჯარის ნაწილებს ზურგიდან დაერტყათ ქართველებისათვის, ამიტომ საჭირო იყო მათი სასწრაფოდ განეიტრალება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველთა ეს მანევრი შეიძლება სავალალოდ დასრულებულიყო. ბრძოლის დაგეგმვისას ზუსტად ეს დეტალი იყო მთავარი.

**სამოქმედო რაიონი.** ქართულ ისტორიოგრაფიაში შამქორის ბრძოლის საკითხები შესწავლილი აქვთ ი. გედევანიშვილს, ივ. ჯავახიშვილს, ივ. შაიშმელაშვილს, ჯ. სტეფნაძეს, ალ. აბდალაძეს, რ. მეტრეველს, გ. ანჩაბაძესა და სხვებს. უცხოელ ავტორთაგან აღნიშნულ ბრძოლას ყველაზე დაწვრილებით ზ. ბუნიატოვი ეხება. შამქორის ბრძოლის ლოკალიზაცია და სამხედრო თავალსაზრისით განხილვა, ძირითადად, ი.გედევანიშვილის, ივ. შაიშმელაშვილისა და ირ. ჯორჯაძის ნაშრომებშია მოცემული. ი. გედევანიშვილის მოსაზრებით, ბრძოლა ქართველებსა და აბუ-ბექრს შორის მდინარე შამქორ-წყალის, დღევანდელი შამქორ-ჩაის, მარჯვენა ნაპირზე გამართულა, ციხე-ქალაქ შამქორის მოპირდაპირე მხარეს.

შამქორის ბრძოლა მონოგრაფიულად შეისწავლა ივ. შაიშმელაშვილმა. სწორედ მან წარმოგვიდგინა ყველაზე სრულყოფილად ქართველთა ჯარის მოძრაობა, ბრძოლის ველზე განლაგება, აბუ-ბექრისა და ქართველთა ლაშქრის შეტაკება. ივანე შაიშმელაშვილის მოსაზრებით, შამქორის ბრძოლისას აბუ-ბექრის ჯარის ძირითადი ნაწილი მდინარე შამქორ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე იყო დაბანაკებული. რაც შეეხება ქალაქ შამქორს, ის მდინარის მარცხენა ნაპირზე იყო აგებული. მეცნიერის მოსაზრებით, აბუ-ბექრს მდინარე შამქორ-ჩაის მარცხენა ნაპირზე მხოლოდ ეს ერთი სიმაგრე ეკავა. ქართველები შამქორს დასავლეთიდან მიადგებოდნენ. ამ შემთხვევაში მათსა და აბუ-ბექრის ლაშქარს შორის გამყოფი იყო მდინარე შამქორ-ჩაი. ივანე შაიშმელაშვილს შამქორის ბრძოლა ასე აქვს წარმოდგენილი: ქართველთა ლაშქრის ცენტრსა და მარჯვენა ფრთას იერიში მიუტანია ციხესიმაგრე შამქორზე, ხოლო მარცხენა ფლანგს, რომელსაც დავით სოსლანი ხელმძღვანელობდა, გადაულახავს მდინარე შამქორ-ჩაი და ზურგიდან დაურტყამს ციხისათვის. იგი აღნიშნავს: „მეფე დავითს მიზანშეწონილად მიუჩნევია, მდინარე შამქორ-ჩაის გადალახვის შემდეგ, მთავარი ძალებით მტკვარ-შამქორის უბანზე გამაგრებულ ციხე-ქალაქ შამქორის ზურგში შეჭრილიყო, შამქორ-განძის გზები გადაეჭრა“. მეცნიერი დასძენს: „ქართველები მათ (მტრის) ზურგში გადიოდნენ და ქალაქი ალყაში ექცეოდა“. ნაშრომზე დართულ სიტუაციურ გეგმაზეც ქართველების მთელი ეს სამხედრო ოპერაცია ასეა წარმოდგენილი.

ივ.შაიშმელაშვილის მოსაზრება გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. შამქორის ომს დაწვრილებით შეეხო აგრეთვე ი. ჯორჯაძე. მანაც ბრძოლის ველად მდინარე შამქორ-ჩაის მარჯვენა მხარე აირჩია, ოღონდ ოდნავ განსხვავებულ წარმოგვიდგინა ბრძოლის მსვლელობა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, განსხვავებათა სიმცირის მიუხედავად, ერთსულოვნებაა შამქორის ბრძოლის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მაგრამ მკვლევართა წარმოდგენილი ბრძოლის სქემა

კითხვებს ბადებს. სწორედ ამ წინააღმდეგობებმა დაგვაეჭვა ბრძოლის იმ აღწერილობაში, რომელიც მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.[19] შამქორის მიდამოების მონახულებამ ეს ეჭვი გაამძაფრა. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა იყო ის, რომ ქართველი ავტორები საუბრობდნენ ბრძოლის დროს დავით სოსლანის მიერ მდ. შამქორ-ჩაის გადალახვაზე. ამ მდინარის კალაპოტის ნახვამ დაგვარწმუნა, რომ მეფე ასეთი სახის მანერვს, უბრალოდ, ვერ განახორციელებდა. ჩვენ არ ვსაუბრობთ იმაზე, რომ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ასეთი მოქმედება გაუაზრებელია. უბრალოდ, ქართველთა ლაშქარი, მძიმედ აღჭურვილი, მდინარის გადალახვას არ დაიწყებდა.

შამქორ-ჩაის საკმაოდ განიერი კალაპოტის გადალახვის შემთხვევაში, მარჯვენა ნაპირზე მდგარ მტერს უპირატესობა ეძლეოდა. არც ერთი გონიერი სარდალი იერიშისას არ დაიწყებდა დიდ მდინარეზე გადასვლას, თუ ერთ მხარეს შემაღლებული პოზიციები მტერს ეკავა. მდინარე შამქორ-ჩაის ორივე ნაპირს საკმაოდ მაღალი ბექობი გასდევს, რომლის დაძლევა ცხენოსნისათვის შეუძლებელია. მდინარის ეს ბექობი რამდენიმე მონაკვეთზე დადაბლებულია, მაგრამ ასეთი ციხესიმაგრე, შამქორიდან ვიდრე მტკვრამდე, მხოლოდ რამდენიმეა. და კიდევ ერთი დეტალი: მართალია, დღეისათვის შამქორ-ჩაის ხეობა თითქმის დამშრალია და წყლის დონე აქ მხოლოდ გაზაფხულზე იწევს, მაგრამ ასეთი რეალობა არ იქნებოდა ᲨᲠᲘ საუკუნეში. საქმე ის გახლავთ, რომ ამჟამად შამქორ-ჩაის წყალუხვი დინება გამოყენებულია რამდენიმე ათეული სოფლის სარწყავად. არხები სათავეს მთებში იღებს. წყლის ძირითადი მასა ამ გზით ნაწილდება, რაც იწვევს შამქორ-ჩაის ხეობის დაშრობას. ის ფაქტი, რომ მდინარე შამქორ-ჩაი საკმაოდ წყალუხვია, კარგად ჩანს ტოპოგრაფიულ რუკებზე, სადაც სარწყავი არხების სათავეებამდე მდინარე მძლავრი ნაკადით მოედინება. სავარაუდოდ, ᲨᲠᲘ საუკუნეში შამქორ-ჩაი საკმაოდ ძნელად გადასალახავი იქნებოდა. ამაზე მეტყველებს როგორც მდინარეზე გადებული ხიდი, რომელსაც საკმაოდ დიდი ბურჯები აქვს, ასევე კალაპოტი, რომელიც მონაკვეთებში 50-70 მეტრს აღწევს.

იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლას მდ. შამქორის მარჯვენა მხრიდან მარცხენაზე გადმოვიტანთ, ე.ი. შამქორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბევრი წინააღმდეგობა გაქრება. მაგრამ რამდენად შესაძლებელია ამ ვარაუდის დაშვება? ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებს? რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც ყველაზე დაწვრილებით აღწერს აღნიშნულ ბრძოლას, სწორედ ამ სქემას გვთავაზობს.

მემატიანის მიხედვით, ბრძოლა მომხდარა მდინარე შამქორ-ჩაის მარცხენა მხარეს, იმ ვრცელ ველზე, რომელიც ციხე-ქალაქ შამქორს ეკვრის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით. ეს დეტალი ჩვენს მეცნიერებს ყურადღების მიღმა დარჩათ. შამქორის ომის განხილვისას, აბუ-ბექრის ბანაკი მათ რატომღაც, დაუეჭვებლად, მოპირდაპირე – მარჯვენა მხარეს გადაიტანეს. სამხედრო მოქმედებების აღწერისას სწორედ ამან განაპირობა, რომ ქართველთა ლაშქარს აუცილებლად უნდა გადაელახა შამქორ-ჩაი. მაგრამ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი საპირისპიროს წერს: „მაშინ ჰკრეს სპერმურთა და სცეს ზარი, დააწყუეს რაზმი წესისაებრ; მიუწია წვერმან რაზმისამან მარჯუენითმან მთად და მარცხენითმან მტკურად. და წარემართნეს და წავიდეს სიახლესა შამქორისასა, გარდაეცნეს ზედა, და განყო რაზმი მიმახლებელმან ქალაქისამან და ომთამან“. ამ ციტატიდან ჩანს, რომ აბუ-ბექრი დაბანაკებული

---

[19] ივ. შაიშმელაშვილის სქემის მიღების შემთხვევაში, ერთი მომენტია გასათვალისწინებელი: შამქორზე იერიშისას მდინარის მეორე ნაპირზე დავით სოსლანის გადასვლა რატომ უნდა გულისხმობდეს ქალაქის ალყაში მოქცევას. მართალია, შამქორის ციტადელი უშუალოდ ხეობას გადაჰყურებს, მაგრამ მდინარის კალაპოტი 50-70 მეტრია, ასე რომ, შამქორელებს იმ კონკრეტულ მომენტში სოსლანის შემოვლითი დარტყმა დიდად არ აზარალებდა, რადგან ქართველთა ლაშქარს ორჯერ უწევდა მდინარის გადალახვა: ერთხელ, როდესაც გადავიდოდნენ მარჯვენა ნაპირზე და მეორედ – როცა დაიწყებდნენ მარცხენა ნაპირზე აღმართული ციტადელის იერიშს. მაგრამ ყველაზე მთავარი ამ სქემაში ერთი საკითხია: მაშინ, როდესაც მდინარე შამქორ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე განჯა-შამქორს შორის დაბანაკებული აბუ-ბექრის არმიის ძირითადი ნაწილი განადგურებული არ იყო, რატომ უნდა მიეტანათ ქართველებს იერიში ციხეზე ყველა მხრიდან? ამ შემთხვევაში დავით სოსლანის არმია, შესაძლებელი იყო, ალყაში მოქცეულიყო; ან რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ ქართველთა არმიის მარჯვენა ფრთა და ცენტრი ძირითადად შამქორის ციხის აღებით არის დაკავებული. გამოდის, აბუ-ბექრის მთავარ ძალებს მხოლოდ დავით სოსლანი უპირისპირდება.

ბრძოლის განვითარების ის მოდელი, რომელიც ივანე შაიშმელაშვილმა შემოგვთავაზა, იქნებოდა საუკეთესო ვარიანტი აბუ-ბექრისათვის. მას მდინარის მარცხენა ნაპირზე შამქორის ციხე-ქალაქი თავისი ხიდითურთ გამაგრებული ჰქონდა და ეკავა მომგებიანი პოზიცია შამქორ-ჩაის მარჯვენა მხარეს. გამოდის, ქართველები რისკავდნენ. საეჭვოა, გადამწყვეტი ომის ჟამს დავით სოსლანს ასეთი გაუაზრებელი ნაბიჯი გადაედგა.

ყოფილა ქალაქ შამქორის სიახლოვეს, მდინარის მარცხენა მხარეს. დასავლეთიდან მომავალ ქართველებს, შამქორის ციხე-ქალაქთან არმისულთ, საბრძოლო წყობა მიუღიათ.

ამ შემთხვევაში შამქორის ციხე ჯერ კიდევ აღმოსავლეთითაა, რადგან ბრძოლის დაწყების შემდეგ განახორციელა დავით სოსლანმა მანევრი, როდესაც შამქორის ციხისაკენ გაიჭრა. მემატიანე დასძენს: „თვით მეფე, რაზმითა დამგდებელი მარჯვენით შამქორსა, მოსწრაფე იქმნა განსვლად წყლისა შამქორისასა კერძოსა“. მაშინ, როდესაც დავითი შამქორის ციხეს გვერდს უვლიდა და მტრის ზურგში გასვლას ცდილობდა, ქართველთა ძირითადი ლაშქრის მარცხენა ფრთა და ცენტრი უკვე მტერს ებრძოდა. თუ ამ ცნობას გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ აბუ-ბაქრს შამქორ-ჩაი უკვე გადმოლახულიც ჰქონდა და მდინარის დასავლეთ სექტორში დაბანაკებულიც იყო. ამდენად, ქართველთაგან მდინარის გადალახვის აუცილებლობა არ არსებობდა. ეს ვარაუდი, ჩვენი აზრით, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის შეცდომით გაშიფრვას უნდა წარმოეშვა. მემატიანე აღნიშნავს, რომ დავითი „მოსწრაფე იქმნა განსვლად წყლისა შამქორისა კერძოსა“. ვფიქრობთ, ამ წინადადებამ მისცა მკვლევარებს იმ ვარაუდის გამოთქმის უფლება, რომ დავით სოსლანმა მდ. შამქორ-ჩაი გადალახა.

შამქორის ბრძოლა გაიმართა ამავე დასახელებით ცნობილი ციხე-ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ-ით გადაჭიმულ ვრცელ ველზე. შამქორის ციხე იყო საკმაოდ დიდი საფორტიფიკაციო ნაგებობა. საკუთრივ ქალაქი მძლავრი გალავნით იყო შემოსაზღვრული, რომელსაც მთელ პერიმეტრზე თხრილი მოუყვებოდა. ქალაქის შიგნით მდებარეობდა დედაციხე, რომელიც მდ. შამქორ-ჩაის მხრიდან რამდენიმე საფეხურიანი გალავნით იყო დაცული და ქალაქიდანაც მძლავრი კედლით გამოიყოფოდა. შამქორი იყო განძა-თბილისის მაგისტრალზე მნიშვნელოვანი პუნქტი. მის მიდამოებში იყო გამართული ცნობილი შამქორის ხიდი. ბრძოლის ადგილი ვაკე-ბორცვიანი იყო, რაც მეტ-ნაკლებად იძლეოდა ძალთა გადაჯგუფებისა და მანევრირების საშუალებას.

**საბრძოლო წყობა.** აბუ-ბექრი სამხრეთიდან – განჯის მხრიდან მოვიდა, გადმოლახა მდ. შამქორისწყალი, ციხესა და მტკვარს შორის არსებული ტერიტორია დაიკავა.

მოწინააღმდეგის ლაშქარი მდინარის მარცხენა ნაპირზე იყო დაბანაკებული და აქ ელოდა ქართველებს. ჯარის განლაგებისას აბუ-ბექრმა შამქორის ციხის ფაქტორიც გაითვალისწინა. შამქორის ციტადელი მუსლიმანთა არმიის მარცხენა ფრთის დამცველად უნდა ქცეულიყო. შესაბამისად, თუ ქართველთა მარჯვენა ფრთა ქალაქის გვერდის ავლას დააპირებდა, შამქორში მყოფი აბუ-ბექრის მეომრები ქართველთა ზურგში მოექცეოდნენ და ალყაში მოამწყვდევდნენ. არ იქნება გადაჭარბებული, თუ დავუშვებთ, რომ ათაბაგმა თავისი არმიის ძირითადი ნაწილები გადაჯგუფა მარჯვენა ფრთასა და ცენტრზე. მარცხენა ფრთაზე შამქორის ციხის არსებობა მას სერიოზულ ძალად მიაჩნდა.

დავით სოსლანმა ჯარი 3 ნაწილად გაყო. ცენტრსა და მარცხენა ფლანგს იერიში ევალებოდა, მაგრამ მოწინააღმდეგეზე მძლავრი დარტყმა მარჯვენა ფრთიდან უნდა წარმართულიყო – შამქორის მიმართულებით. ჯარის ძირითადი ნაწილი სწორედ მარჯვენა ფლანგზე იყო დისლოცირებული, მაგრამ გეგმის მთავარი დეტალი ეს არ იყო. უპირველესი გახლდათ ის, რომ დავით სოსლანი ქალაქზე იერიშისას ჯარის ძირითადი ნაწილის გამოყოფას და მარჯვნიდან აბუ-ბექრის ზურგში გაჭრას დაიწყებდა. მარჯვენა ფრთის მეორე ნაწილი პარალელურად მიიტანდა იერიშს ციხეზე. თუმცა ეს არ იქნებოდა იერიში პირდაპირი გაგებით. ამით ქართველები გაანეიტრალებდნენ შამქორის ციხეში მყოფ აბუ-ბექრის ჯარს და იერიშზე გადასულ დავით სოსლანის მხედრობას ვეღარავინ დაარტყამდა ზურგიდან. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ეს გენიალური მიგნება იყო.

**ბრძოლის მიმდინარეობა.** გამთენიისას ჯარი ანტონ ჭყონდიდელმა დალოცა. 2 ივნისს, გარიჟრაჟზე, დაიწყო შამქორის ბრძოლა. პირველად შეუტიეს მარცხენა ფრთის ნაწილებმა.

აბუ-ბექრმა კონტრშეტევაზე თავისი მთავარი ძალები (ცხენოსანი და ქვეითი) გამოუშვა. ქართველების წინსვლა შეაჩერეს და გაიმართა უსასტიკესი ბრძოლა. დავით სოსლანსაც ეს უნდოდა. იგი ელოდა მომენტს, როცა მოწინააღმდეგე ძირითად ძალას ჩართავდა ბრძოლაში. როცა ეს მომენტი დადგა, დავითმა ძირითადი ძალები მარჯვენა ფრთიდან აამოქმედა. ერთმა ნაწილმა ციხესიმაგრე მარჯვნივ მოიტოვა და მდინარისაკენ გაიჭრა. ჯარის ამ ნაწილს დავით სოსლანი სარდლობადა. სამხედრო გეგმის მიხედვით, ქართველები მდ. შამქორ-ჩაის მარცხენა ნაპირის გავლით აბუ-ბექრის არმიის ზურგში მოექცნენ. ამასობაში, შამქორის ციხეში დაბანაკებული ათაბაგის მეომრების გასანეიტრალებლად, დავითის ძირითად ნაწილს გამოეყო მცირე რაზმი, რომელმაც საშუალება არ მისცა შამქორის ციხე-ქალაქში მყოფ აბუ-ბექრის ლაშქარს, ციტადელიდან გამოსულიყო და მდინარის ნაპირის გაყოლებაზე მიმავალი დავით სოსოლანის ლაშქრისთვის დაერტყა: „და უმცირეს რაზმისასა კართა ზედა და ხიდთა შეიქმნა ომი და სროლა“. დავით სოსლანის ამ მანევრმა საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ქართველების მარცხენა და ცენტრალურ დაჯგუფებასთან ბრძოლით გართულმა აბუ-ბექრმა გამანადგურებელი დარტყმა მიიღო მარცხენა ღია ფლანგიდან და ზურგში. მუსლიმანთა უზარმაზარ ლაშქარს პანიკა დაეუფლა. ქართველების მხრიდან ათაბაგის ჯარების ალყაში მოქცევა საისტორიო თხზულებებშიც არის აღნიშნული. მოწინააღმდეგე დამარცხდა. ირანის აზერბაიჯანის ათაბაგი აბუ-ბექრი ბრძოლის ველიდან გააპარეს.

3 ივნისს შამქორის მეციხოვნეები უბრძოლველად დანებდნენ. დავითი გაემართა განძისაკენ. მას ამ ციხე-ქალაქის კარი გაუღეს, გამარჯვების აღსანიშნავად კი ნადიმი გადაიხადეს.

**ანალიზი.** ამ საომარი კამპანიის დროს აბუ-ბექრმა ორი შეცდომა დაუშვა: პირველი — შამქორ-ჩაის ხეობის ბუნებრივი საფარი მიატოვა და გადმოვიდა მდინარის მარცხენა ნაპირზე; მეორე — გაზვიადებულად მიიჩნია ციხესიმაგრე შამქორის მნიშვნელობა. ამის თაობაზე თავად „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მიუთითებს, რომ აბუ-ბექრი იყო „იმედითა სიმრავლე-აურაცხელობისათა, მერმე ხევისა და სამაგრისა შეზღუდვილობით“. აქ შემთხვევით არ უნდა იყოს აქცენტი „სამაგრისა შეზღუდვილობაზე“. შამქორის ციხე-ქალაქს მართლაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა აბუ-ბექრის სამხედრო გეგმებში. ჩვენი აზრით, ათაბაგის ლაშქარი მდინარის მარცხენა ნაპირზე იყო დაბანაკებული და აქ ელოდა ქართველებს.

რა დაუპირისპირეს ქართველებმა ათაბაგის სამხედრო გეგმას? დავით სოსლანმა, მხედართმთავრებთან ერთად, ზუსტად გათვალა აბუ-ბექრის გეგმები. ქართველები მიხვდნენ მოწინააღმდეგის სუსტ და ძლიერ მხარეებს. საქართველოს ჯარის სარდლობამ მტერს იქ უპოვა სუსტი წერტილი, სადაც ყველაზე ნაკლებ მოელოდა აბუ-ბექრი. ეს იყო შეტევა შამქორის ციხის მიმართულებით, ანუ მარჯვენა ფლანგიდან.

შამქორის მიმართულებიდან შეტევის დაწყება იდეალური ვარიანტი იყო, ოღონდ ამას ერთი წინააღმდეგობა ახლდა — საჭირო იყო ციხეში მყოფი აბუ-ბექრის მეომრების განეიტრალება. სხვა შემთხვევაში, თუ მუსლიმანები დავითის ფრთის ზურგში მოქცევას მოახერხებდნენ, ქართველთა ეს მანევრი შეიძლება სავალალოდ დასრულებულიყო. ბრძოლის დაგეგმვისას ზუსტად ეს დეტალი იყო მთავარი.

მარჯვენა ფრთის ორ ნაწილად გაყოფა ქართულ გენიალურ სამხედრო მიგნებად შეიძლება მივიჩნიოთ. მარჯვენა ფრთა, ამ ტაქტიკური ჩანაფიქრის მიხედვით, ორნაწილიანი იყო. დასაწყისში ბრძოლას ისეთი იმიტაცია ჰქონდა, რომ ქართველები ქალაქ შამქორზე მოდიოდნენ საიერიშოდ. მემატიანე დასძენს: „წარემართნეს და წავიდეს სიახლესა შანქორისასა... და განყო რაზმი მიახლებელმან ქალაქისამან და ომთამან. თვით მეფე, რაზმითა დამგდებელი მარჯვენით შანქორსა, მოსწრაფე იქმნა განსვლად წყლისა შანქორისასა კერძოსა. და უმცირეს რაზმისასა კართა ზედა და ხიდთა შეიქმნა ომი და სროლა“. როგორც ვხედავთ, დავით სოსლანი ერთიანი ძალით დაძრულა მარჯვენა ფრთიდან, მაგრამ შამქორის ციხე-ქალაქთან მიახლოებისას მეფეს თავისი რაზმი ორ ნაწილად გაუყვია. ერთ ნაწილს ქალაქი მარჯვნივ მოუტოვებია და მდინარისაკენ გაჭრილა. ჯარის ამ ნაწილს დავით სოსლანი სარდლობდა. ამ მანევრმა დასახული მიზნის შესრულებაში დიდი როლი ითამაშა. ოპერაციაში გამოყენებული იყო სამხედრო ხელოვნების პრინციპები, რომელთა ეფექტური გამოყენებით ბრძოლა გამარჯვებით დასრულდა:

— მთავარი დარტყმის მიმართულების სწორად განსაზღვრა;
— ძალთა არათანაბარი განაწილება;
— მანევრი;
— ძალების დაზოგვა;
— მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა;
— მოულოდნელობის ფაქტორის (მტერი არ მოელოდა ზურგიდან დარტყმას, რადგან მას ციხე იცავდა მარცხენა ფლანგიდან, ზურგში და მარჯვნივდან — მდინარეები) ეფექტურად გამოყენება.

**შედეგი.** ქართული ლაშქრის წარმატებას დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. ამ გამარჯვებამ აჩვენა, რომ კავკასიაში საქართველო კვლავ ინარჩუნებდა დომინირებულ მდგომარეობას.

აბუ-ბექრმა სამუდამოდ აიღო ხელი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაზე. ერთ დროს ამაყი და ძლევამოსილი ათაბაგი იმდენად დათრგუნა ამ მარცხმა, რომ გალოთდა. შამქორი საქართველოს საზღვრისპირა ქალაქად იქცა, იქ ქართველი მეციხოვნეები ჩადგნენ. სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით საქართველოს ზეგავლენის გავრცელებას წინ არაფერი ეღობებოდა.

### ბ) ბასიანის ბრძოლა

**პოლიტიკური ვითარება:** XII საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკა უფრო გააქტიურდა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. 1195 წელს ქართველმა მხედრობამ გაიმარჯვა აღმოსავლეთის თურქთა კოალიციურ ლაშქარზე. საქართველომ 1199 წელს ანისი, 1202-1203 წლებში ჯვინი შემოიერთა. ემის ხელში აღმოჩნდა კავკასიის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები. ქართველთა გამარჯვებას უდიდესი საერთაშორისო გამოძახილი ჰქონდა იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთში.

**ბრძოლის მიზეზები და მიზნები.** ქართული სახელმწიფოს სამხედრო წარმატებებმა საფიქრალი გაუჩინა მაჰმადიანურ სამყაროს. მუსლიმანები ხვდებოდნენ, რომ მათი ქვეყნების ცალ-ცალკე დაპირისპირება საქართველოსთან შეუძლებელი იქნებოდა. განსაკუთრებით შეშფოთებული იყო მცირე აზიის სელჩუკთა ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეულის — რუმის — სულთანი რუქნ ად-დინი. მისთვის ნათელი იყო, რომ უახლოს მომავალში საქართველოს სერიოზული პრეტენზია შეიძლება ჰქონოდა ქალაქებზე — კარსა (ყარსი) და არზრუმზე. ეს საფრთხე რეალურად იგრძნობოდა. ქართველთა ჯარებს კარის (ყარსი) ციხე-ქალაქზე ალყა უკვე რამდენიმე წელი ჰქონდათ

შემორტყმული. სამხრეთით ქართველთა სამხედრო ექსპანსიის შეჩერების მიზნით, რუქნ ად-დინი 1202 წელს საქართველოსკენ დაიძრა.

1202 წლის ივნისში რუმის სულთნის ჯარებმა ქალაქი არზრუმი აიღეს. უკვე ნათელი იყო, რომ ეს ნაბიჯი საქართველოზე ლაშქრობის წინაპირობა გახდებოდა. არზრუმის აღების შემდეგ რუქნ ად-დინი ბასიანის გავლით ყარსის ციხისაკენ გაიჭრებოდა. ეს მანევრი მისი გეგმის ნაწილი იყო.

ყარსის ციხის დაკავების შემთხვევაში, საქართველო იერთებდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს, ციხე-ქალაქს, რომელიც მომავალში არზრუმისა თუ ვანის ტბის მიმართულებით დაპყრობითი ლაშქრობისას კარგი პლაცდარმი იქნებოდა. ამას ხვდებოდნენ ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანი მმართველებიც, ამიტომაც რუქნ ად-დინმა სამხედრო კამპანიის მიზნად ქართველთა ჯერ ყარსის ციხის მიდამოებიდან გაძევება, შემდეგ კი საქართველოს სამხედრო პოტენციალის განადგურება დაისახა.

თამარის სამეფო კარზე იცოდნენ, რომ რუმის სულთანთან ომი გარდაუვალი იყო და ამიტომ რუქნ ად-დინის ნაბიჯს ელოდნენ. არზრუმის აღება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო კონფრონტაციის დაწყებას, მაგრამ რუმის სულთანმა არ დააყოვნა და თავისი განზრახვა ელჩის პირით გაუმჟღავნა თამარს არზრუმის დაკავებამდე.

საქართველოში საკმაოდ მკაცრად იყო განსაზღვრული უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა და დიპლომატების სტუმრობის წესები. მოციქულთა ხელშეუხებლობა ეტიკეტის ძირითადი ნორმა იყო, მაგრამ იგი დაირღვა.

რუქნ ად-დინის ელჩმა საქართველოს მეფეს, თამარს, შემდეგი შინაარსის წერილი წარუდგინა: ,,ყოველი დიაცი რეგუენია, და შენ გიბრძანებია ქართველთათვის აღებად ხრმალი მუსლიმანთა ხოცად. ესე არცა რომელ ხრმალი დიდისა მოციქულისა მოჰმედისა, მისისა ერის თავისა, ბოძებულთა, აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი, რათა აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა, და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინა მომეგებოს, თაყვანის-სცეს ჩადრსა ჩემსა, სასოება იგი თქუენი ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოჰმადი აღიაროს...“ ამ დამამცირებელი წერილის გარდა, რომელშიც თამარი აუგად იყო მოხსენიებული, მოციქულმა სამეფო დარბაზს სულთნის ზეპირი დანაბარებიც, ე.წ. ,,სიტყვა საეროც“ გადასცა: ,,...უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა!...“

ამჯერად ელჩის თავხედობა ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. ქართველი მემატიანე ერთ დეტალზე მიუთითებს: ,,ვითარ ამპარტავნად იტყოდა სიტყუათა ამათ“. ამ ,,ამპარტავნობამ“ გამოიყვანა მდგომარეობიდან ზაქარია მხარგრძელიც. ყოველ შემთხვევაში, მან თავისი აღშფოთება საკმაოდ უხეშად გამოხატა: ამირსპასალარი ელჩს მიუახლოვდა და ისეთი ,,უხეთქა ხელითა პირსა“, რომ სამეფო კარის მოხელეებმა მოციქული კარგა ხანს ვერ მოასულიერეს.

თამარის ბრძანებით, რუმის რულთანს საპასუხო წერილი აახლეს, რომელშიც ქართველთა მხრიდან ბრძოლის მზადყოფნა დაუდასტურეს: ,,...ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინ მოგებებად შენდა. იყავნ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!...“

ლაშქრის თავშეყრის ადგილად ჯავახეთი დათქვეს. ვარძიაში თვით თამარი ჩავიდა ჯარის გასაცილებლად. მეფემ და ლაშქარმა ვარძიის ღვთისმშობლის ტაძარში ილოცეს, შემდეგ მტკვრის ხეობით ყარსის ციხისკენ აიღეს გეზი. ყარსიდან ერთი დღის სავალზე ქართველებმა შეისვენეს. ეს დაახლოებით ჩილდირის ტბის მიდამოებში უნდა ყოფილიყო. საქართველოს მეფე ჯარს აქ დაემშვიდობა. თამარი შემაღლებულ ადგილზე გავიდა და მუხლმოდრეკით ილოცა. დასასრულს, მეფემ ,,პატიოსანი იგი ჯვარი“ თავად გადასახა ლაშქარს. ამ ბრძოლის მიზანი სამხრეთ კავკასიაში საქართველოს მფარველობაში მყოფი პროვინციების შენარჩუნება იყო.

**საბრძოლო წყობა და სამოქმედო რაიონი:** ბრძოლის წინ ქართველთა ლაშქრის საბრძოლო წყობა ასე გამოიყურებოდა: მეწინავე ძალა (წინამბრძოლნი) იყვნენ მესხები, ზაქარია მხარგრძელის სარდლობით. მას ახლდნენ შალვა და ივანე ახალციხელები.

მემარჯვენე ფრთაზე იდგნენ მებრძოლები დასავლეთ საქართველოდან — ,,აფხაზნი და იმერნი“, ხოლო მარცხენა მხარეს — აღმოსავლეთ საქართველოს საერისთავოების ლაშქარი — ,,ამერნი და ჰერ-კახნი“.

ქართველებმა საკმაოდ მოხერხებული საბრძოლო გეგმა შეიმუშავეს. ისინი მტერს შემოვლითი გზით, მალულად უნდა მიახლოებოდნენ, რათა რუქნ ად-დინის ლაშქარს მომზადება ვერ მოესწრო. ეს არც ისე ადვილი იყო. რუმის სულთანი ბასიანიდან ყარსის ციხისკენ გაჭრას აპირებდა. საჭირო იყო საკმაოდ ძნელი უბნის, ე.წ. სოღანლულის მთის გადასასვლელის გავლა. ამ მონაკვეთს რამდენიმე დიდი თუ პატარა ციხესიმაგრე იცავდა, მათ შორის იყო მჯნკერტის ციხე. სომხური წყაროს ცნობით, რუქნ ად-დინს ამ სიმაგრის გარემოცვა დაუწყია. როგორც ჩანს, სულთანი გზის გაწმენდას ცდილობდა, რათა სოღანლულის ვიწრო გასასვლელი მშვიდობიანად დაეძლია.

რუქნ ად-დინი ამ დროს ზემო ბასიანში იდგა. მისი ლაშქარი ბრძოლის ველზე იყო დაბანაკებული. საბრძოლო ცხენები, აქლემები საბრძოლოდ აღჭურვილი არ იყო. ,,ქართლის

ცხოვრებიდან“ კარგად ჩანს, რომ რუქნ ად-დინი არ ელოდა ქართველთა თავდასხმას, მას დარაჯებიც კი არ ეყენა.

მემატიანე წერს: „ესრეთ წყნარად და უდრეკად მდგომარე იყო სულტანი... დარაჯნი არა უდგეს“. და ეს იმ დროს, როცა ელჩის მეშვეობით მან უკვე იცოდა ქართველთა მზადების შესახებ. მაშ რატომ შეასუსტა ყურადღება რუქნ ად-დინმა? ამ კითხვაზე პასუხს დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიული ჩანაფიქრი იძლევა.

რუქნ ად-დინი ქართველებს ბასიანში ელოდა. მას საქართველოში ღრმად შეჭრის სურვილი არ უნდა ჰქონოდა. ეს მეტად სარისკო იქნებოდა. ისეთი სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყანას, როგორიც საქართველო იყო, ადვილად ვერ დალაშქრავდა. რუმის სულთნისათვის ყველაზე საუკეთესო იქნებოდა ის, რომ მტერს მისსავე არჩეულ ადგილას დახვედროდა. ასეთი კი ბასიანის ვაკე-ბორცვიანი ველი იყო, რომელიც ძალთა მანევრირებას ნაწილობრივ ზღუდავდა. მჯნკერტის ციხე ქვემო ბასიანიდან კარისაკენ მიმავალ გზას კეტავდა. იგი სოღანლუღის მთის დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს. აქედან ზემო ბასიანამდე ერთი დღის სავალი იყო. ქართველებს ამ გზით უნდა ემოძრავათ, ზემო ბასიანში რომ ჩასულიყვნენ. როგორც ჩანს, ესეც იყო მიზეზი, რომ რუქნ ად-დინი წყნარად იდგა და დარაჯებიც არ ეყენა. ზემოაღნიშნული მოწინააღმდეგის კოალიციური ძალების რიცხობრივ უპირატესობაზეც მიუთითებს. ქართველებს სოღანლუღის მთა რომ გადმოელახათ, სულთანს მჯნკერტის ციხეს შემოწყობილი მეომრები შეატყობინებდნენ. რუქნ ად-დინს თავი დაცული ეგონა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: ქართველებმა გვერდი აუარეს სოღანლუღის გადასასვლელებს და რუქნ ად-დინის ჯარს მოულოდნელად წაადგნენ თავს. მუსლიმანთა ლაშქარი ამის შემდეგ შეუდგა ომის სამზადისს. ქართველებმა პირველ წარმატებას მიაღწიეს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მოსწრებულად შენიშნავს: „წარიკვეთა სასოება მეფისა მათისაო“.

**ძალთა თანაფარდობა.** ქართული წყაროები რუქნ ად-დინის ლაშქარს 400-800 ათასით განსაზღვრავს.ემაგრამ ეს ციფრი საკმაოდ გადაჭარბებულია. ამ რაოდენობის ჯარს ახლო აღმოსავლეთის ვერც ერთი მონარქი ვერ შეკრებდა. ქართველთა ლაშქრის რიცხოვნობა 80-90 ათასი უნდა ყოფილიყო. ეს ის პოტენციალია, რომლის გამოყვანაც თავისუფლად შეეძლო საქართველოს. მუსლიმანური კოალიცია ქართველებზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნებოდა. რუქნ ად-დინმა წინასწარ იცოდა საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები, ზოგადად, და ლაშქრის შეკრებისას ამ დეტალს აუცილებლად გაითვალისწინებდა. ქართველთა დასამარცხებლად მომავალი სულთანი იმაზე ნაკლებ ჯარს ნამდვილად არ მოაყენებდა ჩვენს საზღვრებს, რა რაოდენობაც თამარ მეფეს შეეძლო გაეწვია ბრძოლის ველზე. ფაქტიურად, დაპირისპირებული მხარე 4-ჯერ მეტი იყო. ძალებს მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები და ცხენოსნები და მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნები შეადგენდნენ. შეიარაღებაში ჰქონდათ: შუბები, ხმლები, მშვილდ-ისრები; აღჭურვილობაში იყო: ჯაჭვის პერანგი, სამკლაური, საბარკული, ჩაჩქანი და მუზარადი.

**ბრძოლის მსვლელობა.** 1202 წლის 27 ივლისი იყო. მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. შეტევაზე პირველები ქართველები გადავიდნენ. მეწინავე ძალები ერთმანეთს შეეტაკნენ. მცირე დროის შემდეგ რუქნ ად-დინმა მოახერხა ძალთა კონცენტრირება და ქართველთა მოულოდნელ ქმედებას კონტრიერიშით უპასუხა. ის იმდენად ძლიერი იყო, რომ ზაქარია მხარგრძელის მეწინავე ლაშქრის შეჩერება მოახერხა. „იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი“. ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა. სარდლებს: ივანე მხარგრძელს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, თაყაიადინ თმოგველს ცხენები დაუხოცეს, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ ბრძოლას. ეს რომ სხვა ქართველმა მეომრებმა დაინახეს, მათაც „გაწირნეს თავნი სიკუდილად და ჩამოხდეს ცხენისაგან და პატრონთა მათთა გუერდსა დაუდგეს“. ბრძოლის ველზე ვითარება ქართველთათვის დამძიმდა. მტრის რიცხობრივ უპირატესობას, შეიძლებოდა, ცოტა ხანში გადამწყვეტი როლი ეთამაშა. საჭირო გახდა მნიშვნელოვანი ტაქტიკური გადაადგილება.

ამ შემთხვევაში ქართველთა ლაშქრის სარდლობამ, ჯდავით სოსლანის ხელმძღვანელობით, სწრაფი და ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღო – მტრისათვის ღრმა შემოვლით ფლანგებიდან დაერტყათ. ასეთი მანევრის მიზეზი ისიც იყო, რომ ქართველ მხედრებს მოწინავე ლაშქრის ქვეითი მეომრები არ გადაეთელათ.

ამიტომ, ფლანგური დარტყმა ღრმა შემოვლით უნდა ჩატარებულიყო. მარცხენა ფრთას დავით სოსლანი სარდლობდა, მარჯვენაზე კი ზაქარია მხარგრძელმა გადაინაცვლა. ასეთი სქემით ჩატარებული შეტევა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა რუქნ ად-დინის ჯარისთვის, რომ მოწინააღმდეგე შედრკა, პანიკაში ჩავარდა, ცოტა ხანში ქართველებს ზურგი აჩვენა და არზრუმისაკენ გაიქცა. მუსლიმანური კოალიციის დიდი ნადავლი ბასიანის ველზე დარჩა. ქართველებმა მტერს დაღამებამდე სდიეს და დიდი ზიანი მიაყენეს. დანაკარგების შესახებ კონკრეტული ცნობები მატიანეებს არ შემოუნახავს.

**ანალიზი.** მიუხედავად იმისა, რომ რუქნ ად-დინმა ქართველებთან ბრძოლა გარდაუვლად მიიჩნია, მან გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა:

– თავისი რიცხობრივი უპირატესობის გამო, ძალები ბასიანის ველზე უსაფრთხოების ელემენტის გარეშე განალაგა;

– ვერ გამოიყენა ძალთა რიცხობრივი უპირატესობა და არ ჩაატარა ტაქტიკური მარში ყარსის მიმართულებით, რომელიც შეტევის დაწყებისათვის პლაცდარმად გამოადგებოდა;
– ბრძოლისას ძალთა გადაჯგუფებისა და მანევრირებისათვის ვერ გამოიყენა თავისთვის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა.

ქართველებმა დროულად შეძლეს ძალთა მობილიზება. მოწინააღმდეგის დაბალი ქმედითუნარიანობის გამო, სწრაფად განხორციელდა ტაქტიკური მარში. ბრძოლის პირველ ეტაპზე მოწინავე ძალების ძლიერმა ფრონტალურმა იერიშმა მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები შებოჭა და რუქნ ად-დინი შეცდომაში შეიყვანა, რადგან ვერ მოახერხა ძალთა გადაჯგუფება.

მეწინავე ლაშქრის ჩამოქვეითებული სარდლების უსაფრთხოების დაცვამ მებრძოლთაგან ლაშქრის მართვის შენარჩუნება განაპირობა და ზაქარია მხარგრძელს საშუალება მისცა, მარჯვენა ფლანგის ნაცვლად, მანევრის ჩამტარებელი ლაშქრისთვის ეხელმძღვანელა. მანევრმა ძირითადი ძალების ფლანგებიდან (მარჯვნიდან – ზაქარია მხარგრძელი, მარცხნიდან – დავით სოსლანი) და მოულოდნელმა ფლანგურმა დარტყმებმა მოწინააღმდეგე პანიკაში ჩააგდო, რამაც უკან დახევა და გაქცევა განაპირობა. წარმატებულად წარიმართა დადევნება, რომელიც სარდლისგან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

საბრძოლო განწყობა მნიშვნელოვნად გაზარდა თამარ მეფის საქციელმა და სარდლების თავდადებამ. ბრძოლაში დავით სოსლანმა კარგად გამოიყენა ძალთა არათანაბარი განაწილება, მოულოდნელი დარტყმა და ეფექტური მართვა, როგორც სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი პრინციპთაგანი. 1202 წლის ბასიანის ბრძოლას, როგორც კლასიკური ტიპის სამხედრო ოპერაციას, მსგავსება აქვს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 216 წელს ჰანიბალის სარდლობით ჩატარებულ კანის ბრძოლასთან.

**შედეგი.** ბასიანში დასავლეთის თურქთა კოალიციურ და მრავალრიცხოვან ლაშქარზე გამარჯვების შემდეგ საქართველოს სერიოზული მოწინააღმდეგე აღარ ჰყავდა. იგი ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. კიდევ ერთხელ გამოვლინდა საქართველოს შესაძლებლობები. გამარჯვებულ ლაშქარს თამარ მეფე ვარძიასთან შეეგება. ბრძოლაში მოპოვებულმა ალაფმა მნიშვნელოვნად გაზარდა ქართული ლაშქრის სამხედრო პოტენციალი. ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხებამ კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და გავლენა სამხრეთ კავკასიაში.

## §25. გარნისის ბრძოლა

**პოლიტიკური ვითარება.** XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან აზიაში მონღოლთა გამოჩენა უდიდესი კატასტროფა იყო მოსახლეობისთვის. მომთაბარე მონღოლებმა მათთან შედარებით მნიშვნელოვნად დაწინაურებული კულტურის მქონე ქვეყნების დამორჩილება მოკლე დროში მოახერხეს. ეს წარმატება მონღოლთა სამხედრო ორგანიზაციის წყალობით მოხერხდა. ჩინგიზ-ყაენის შექმნილი არმია დისციპლინითა და მანევრირებადი წყობით გამოირჩეოდა. მონღოლებმა სამხედრო აღჭურვილობის დიდი ნაწილი ჩინელებისა და ხვარაზმელებისაგან ისესხეს.

1216 წელს მონღოლეთში დაბრუნებულმა ჩინგიზ-ხანმა შუა აზიის საბოლოო დაპყრობა დაიწყო. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება შუა აზიაში ხვარაზმის სასულთნო იყო. ჩინგიზ-ხანი ცდილობდა ხვარაზმის სულთანი მუჰამედი (1200-1220) დაერწმუნებინა, რომ მონღოლებს მათ წინააღმდეგ ცუდი განზრახვა არ ჰქონდათ. ჩინგიზ-ხანი სამშვიდობო მოლაპარაკების საბაბით ელჩებს უგზავნიდა მუჰამედს.

1218 წლის გაზაფხულის პირას ხვარაზმის სამეფოში ჯაშუშობის საბაბით 450 კაცისაგან შემდგარი მონღოლ ვაჭართა გილდია განადგურდა. ამ ფაქტმა ჩინგიზ-ხანს საბაბი მისცა, ხვარაზმის წინააღმდეგ დიდი სამხედრო კამპანია დაეწყო, რაც მონღოლთა დასავლეთში ექსპანსიის დასაწყისად იქცა.

სამხედრო მოქმედებები 1219 წლის შემოდგომის პირას დაიწყო. მონღოლებმა პირველი დარტყმა ქალაქ ოთრარზე მიიტანეს, მისი აღების შემდეგ კი ბუხარასა და სამარყანდს შემოარტყეს ალყა. ხვარაზმ-შაჰმა ვერ მოახერხა სრული სამხედრო მობილიზაცია. მან შეცდომა დაუშვა, როდესაც ცალკეული ქალაქების გამაგრებას მიჰყო ხელი. ფაქტიურად, ჩინგიზ-ხანმა ნაწილ-ნაწილ მოახერხა ხვარაზმის სამხედრო პოტენციალის განადგურება. სულთანი მუჰამედი და მისი ვაჟი ჯალალ-ედ დინი იძულებული გახდნენ, ირანში გაქცეულიყვნენ.

ჩინგიზ-ყაენმა თავის სარდლებს – ჯებესა და სუბუდაის – დევნილი ხორეზმშაჰ-მუჰამედის მოძებნა დაავალა. მონღოლ სარდლებს, ფაქტობრივად, დაზვერვითი ლაშქრობა დასჭირდათ კასპიის ზღვის გარშემო. სწორედ ჯებე და სუბუდაი შემოვიდნენ 1220 წელს საქართველოს სამეფოს ფარგლებში.

ლაშა-გიორგიმ პირველ ბრძოლაში მხოლოდ 10 000 მეომარი გამოიყვანა. მონღოლებმა ქართველები დაამარცხეს, თუმცა ქვეყნის სიღრმეში შემოსვლა ვერ გაბედეს. მომდევნო წელს ჯებე და სუბუდაი საქართველოში კიდევ ერთხელ შემოიჭრნენ. ამჯერად სამეფო კარმა მტერს 90 000 მეომარი დაახვედრა. გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველთა ერთმა ფრთამ მონღოლები უკუაქცია და

დაედევნა, მაგრამ ეს მონღოლთა სამხედრო ხრიკი აღმოჩნდა. მათი ნაწილი ბრძოლის ველიდან მოშორებით ჩასაფრდა და მოწინააღმდეგე ალყაში მოაქცია. ქართველი მეომრების დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. ამის შემდეგ მონღოლებს საქართველოში შემოჭრის კიდევ ერთი უშედეგო მცდელობა ჰქონდათ. მალე ჯებე და სუბუდაი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ დარუბანდით, მდინარე კალკასთან რუსთა და ყივჩაყთა გაერთიანებული ლაშქარი დაამარცხეს და მონღოლეთში დაბრუნდნენ.

**მხარეთა მიზნები.** 1220 წელს მუჰამედი გარდაიცვალა და მის დაშლილ სამეფოს სათავეში ჯალალ-ედ დინი ჩაუდგა. 1221 წელს ქაბულის მახლობლად, ფერგანის რეგიონში, ჯალალ ედ-დინმა დაამარცხა მონღოლთა ლაშქრის ერთი ნაწილი. ჩინგიზ-ხანმა ახალი სამხედრო ექსპედიციით 1221 წლის 24 ნოემბერს მდ. ინდის ნაპირთან სასტიკად დაამარცხა ხორეზმ-შაჰი, რომელიც ინდოეთში გაიქცა. იგი წინააღმდეგობას არ წყვეტდა. ინდოეთიდან წამოსვლის შემდეგ მან მოახერხა ირანსა და ერაყში გაბატონება. ჩინგიზ-ხანის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებამდე ჯალალ ედ-დინმა საქართველოს სამეფოს დამორჩილება გაიხადა მიზნად. იმ შემთხვევაში, თუ იგი საქართველოს დაჩოქებას მოახერხებდა, კავკასიის მუსლიმანური სამყარო უფრო აქტიურად ჩაერთვებოდა ანტიმონღოლურ მოძრაობაში. ამ მიზნით ჯალალ ედ-დინმა ჩრდილოეთ ირანიდან საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიების დარბევა დაიწყო.

მტრის წინააღმდეგ საქართველოს სამეფო დარბაზმა დიდი სამხედრო კამპანიის ჩატარება გადაწყვიტა. რუსუდან მეფის ბრძანებით, სხვადასხვა კუთხეში მალემსრბოლები დაიგზავნა. სამეფო კარმა მთავარსარდლად ივანე მხარგრძელი – ათაბაგი განაწესა. რუსუდანმა მას „დროშა სვიანი“ უბოძა.

**დაპირისპირებულ მხარეთა რაოდენობა.** საქართველოს ლაშქრის რაოდენობის შესახებ ჩვენამდე სხვადასხვა ცნობაა მოღწეული. ან-ნასავის ცნობით, ივანე ათაბაგის ლაშქარი 60 000-ს ითვლიდა. ამასვე იმეორებს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ეპისკოპოსი. იბნ ალ-ასირის მითითებით, ქართველები ბრძოლის ველზე 70 000 ყოფილან. ეს ცნობები ახლოს არის სინამდვილესთან. XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს შეეძლო გამოეყვანა 80-90 000 მეომარი. როგორც ჩანს, ქართველებს რესურსი დაუტოვებიათ და ჯალალ-ედ დინის წინააღმდეგ 60 000 მეომრის მობილიზაციისთვის მიუმართავთ. მოწინააღმდეგის ლაშქარი გაციცლებით მრავალრიცხოვანი ყოფილა. ჟამთააღმწერლის ცნობით, ხორეზმ-შაჰს 140 000 მეომარი დაუძრავს საქართველოს წინააღმდეგ. ჯალალ-ედ დინის მიერ გამოცხადებულ ომში მონაწილეობდნენ ერაყელი მუსლიმანები. ასეთ პირობებში, შესაძლებელია, ხორეზმ-შაჰს მართლაც მოეგროვებინა მრავალრიცხოვანი ლაშქარი.

**ძალთა განლაგება:** ქართველთა ლაშქარს შემდეგი საბრძოლო წყობა ჰქონდა:

წინამბრძოლნი – ჯარის მეწინავე რაზმი (ავანგარდი), რომელიც პირველი ერთვება ბრძოლაში;

მემარჯვენე მიმსვლელ-მცემელნი – ჯარის საბრძოლო წყობის მარჯვენა ფლანგი, რომელსაც მარჯვენა მხრიდან მიაქვს იერიში და ცდილობს ამავე მხრიდან შემოუაროს მოწინააღმდეგეს;

მემარცხენე მიმსვლელ-მცემელნი – ჯარის საბრძოლო წყობის მარცხენა ფლანგი, მოქმედებს მარჯვენა ფლანგის მსგავსად, მარცხენა მხრიდან;

მეფის ალმის მპყრობელნი – სამეფო დროშის ქვეშ მებრძოლი შენაერთი, დამხმარე ძალა, რომელიც საჭიროების მიხედვით ერთვებოდა ბრძოლაში.

ქართული, სომხური და არაბული წყაროების მიხედვით, ჯალალ-ედ დინს ლაშქრის მობილიზაცია ჩაუტარებია 1225 წლის აგვისტოში, ადარბადაგანიდან წამოსულა, საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილა და დვინის მიდამოებში დაბანაკებულა. ბრძოლა გარნისის ველზე გაიმართა, სადაც ძალთა მანევრირება მაღალი მთებით იყო შეზღუდული. ქართული წყაროს მიხედვით, სოფ. გარნისში (სომხეთის ტერიტორია) ჯერ ხვარაზმელები, მოგვიანებით ქართველები დაბანაკებულან.

**ბრძოლის მსვლელობა.** გარნისში მისვლისთანავე მოწინააღმდეგე მიხვდა, რომ ქართველები აყოვნებდნენ ბრძოლის დაწყებას. მათი ლაშქარი გარნისში უნდა ჩასულიყო ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან ძნელად გადასალახავი ვიწრო ხევებისა და გადასასვლელების გავლით. სწორედ ამიტომ ჯარის ერთბაშად თავმოყრა გარნისში ვერ მოხერხდა. ივანე ათაბაგი (მხარგრძელი) დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა. მას მომგებიანი პოზიცია ეკავა. ქართველთა ძირითადი ნაწილები შემაღლებულ ადგილზე იდგნენ. მიუხედავად ამისა, ჯალალ-ედ დინმა მეომრებს მეორე დღეს შეტევაზე გადასვლა უბრძანა.

მოწინააღმდეგის პირველი იერიში ქართველთა მეწინავე ლაშქარმა მიიღო. სამხედრო ნაწილებს შალვა და ივანე ახალციხელები სარდლობდნენ. ამასობაში შალვამ და ივანემ ქართველთა ლაშქრის სარდალს, ივანე ათაბაგს, რამდენჯერმე გაუგზავნეს მოციქული, რათა მას ძირითადი ძალები დაეძრა მტრის წინააღმდეგ, მაგრამ დახმარება არ ჩანდა. გარნისის მაღლობებზე საქართველოს ლაშქრის ძირითადი ნაწილები გაუნძრევლად იდგნენ.

ჯალალ-ედ დინმა შალვასა და ივანეს რაზმი კლდოვან მასივთან მიიმწყვდია. არც ამ კრიტიკულ მომენტში, ღვთის ანაბარად დარჩენილი ქართველი მეომრების მისაშველებლად, არ შეუწუხებია თავი ივანე მხარგრძელს. მაგრამ ყველაზე მთავარი წინ იყო. უეცრად, ივანე

მხარგრძელის ბრძანებით, ქართული ლაშქრის ძირითადმა ნაწილმა ზურგი აქცია ბრძოლის ველზე მყოფ თანამემამულეებს და უკან დახევა დაიწყო.[20] სომეხი ისტორიკოსი, სტეფანოზ ეპისკოპოსი საინტერესოდ მიანიშნებს: „დიდმა მხედართმთავარმა ივანემ გამოიყვანა (ხორეზმშაჰის წინააღმდეგ) 60 000 მეომარი, მაგრამ ისე, რომ ბრძოლა არ მიუღიათ ქალაქ გარნისის მიდამოებში, (მტერზე) გამარჯვების გარეშე, ისინი გაიქცნენ“. უცხოური წყაროების თანახმად, ქართველთა ლაშქარს ძირითადი დანაკლისი უკან დახევისას ჰქონდა, როდესაც რამდენიმე ათასი მეომარი ღრმა ხევებში ჩაიჩეხა. გარნისის ბრძოლის თაობაზე მეტად მნიშვნელოვანია ან-ნასავის ცნობები. იგი ჯალალ-ედ დინის პირადი მდივანი და მოვლენების თვითმხილველი იყო. მის მონათხრობში ნახსენებია დაღუპულ ქართველთა რიცხვი – 4000 მეომარი. მასშტაბური შეტაკების მიუხედავად, რომელიც მან აღწერა, მსხვერპლი კატასტროფული არ ყოფილა. ქართველთა ლაშქრის ძირითადი ნაწილი გადარჩა. ეს ცნობა უფრო სანდოა, ვიდრე იბნ ალ-ასირის მონაცემები, თითქოს ქართველებმა გარნისში 20 000 კაცი დაკარგეს.

დასასრულს, ერთ კითხვაზე გავცეთ პასუხი, რომელიც იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც გარნისში მომხდარ მოვლენებზეც შეგვიქმნის წარმოდგენას. იყო კი ივანე მხარგრძელი დიდი მხედართმთავარი, როგორც ამას მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, თუ ასეთი წარმოდგენა მითია?

ამ ადამიანის ბიოგრაფია საინტერესოა. ის ყოველთვის ძმის (ზაქარია მხარგრძელი) აჩრდილს იყო ამოფარებული. ერთი რამ კი ნამდვილად ჰქონდა: დროის შეგრძნება – პოლიტიკოსისათვის ყველაზე მთავარი თვისება. ძმისაგან განსხვავებით, ივანე მართლმადიდებლურად მოინათლა, რაც სამეფო კარზე მის პოზიციებს უფრო განამტკიცებდა. მემატიანე გვამცნობს, რომ შამქორში ის ვაჟკაცურად იბრძოდა, თამარის დროის ყველა დიდ ომში მონაწილეობდა და კარგი სამხედრო რეპუტაციითაც სარგებლობდა, თუმცა დამოუკიდებლად ჩატარებულ სამხედრო კამპანიებში თითქმის ყველგან დამარცხდა. გარნისში დამარცხებაც მის კისერზეა. სწორედ ასეთი სამხედრო გამოცდილების ადამიანი სარდლობდა ქართველთა ლაშქარს ჯალალ-ედ დინის წინააღმდეგ. მაგრამ ქართველი მემატიანე, რომელიც ივანეს კრიტიკას არ ერიდება, არაფერს ამბობს მისი სამხედრო გამოცდილების შესახებ. მას აქცენტი გადააქვს იმაზე, რომ ივანემ ძმები ახალციხელები ბრძოლის ველზე შურის გამო მიატოვა. რა უნდა ყოფილიყო ამ უკანასკნელის გამომწვევი მიზეზი? იმ დროს იგი მეფის შემდეგ მეორე კაცი და ქვეყნის რეალური გამგებელი იყო. მაგრამ აქ შური სხვაგვარად უნდა გავიგოთ. შალვა და ივანე ახალციხელები თამარის დროინდელი მხედართმთავრებიდან დარჩენილი მოქმედი სარდლები იყვნენ.ჯბუნებრივი ეჭვი ჩნდებოდა, რომ ივანეს შემდეგ ქვეყნის სამხედრო უწყების სათავეში მხარგრძელების მაგიერ ძმები ახალციხელები მოსულიყვნენ. ზაქარია და ივანე მხარგრძელებმაც ერთად დაიწყეს კარიერა, რადგანაც ორივე ერთად იხსენიება. ფარული კონკურენცია ყოველთვის არსებობდა ძმების ამ ორ ტანდემს შორის. მაგრამ, სანამ ზაქარია ცოცხალი იყო, მხარგრძელთა პოზიციებს სამეფო კარზე არაფერი ემუქრებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ივანე ათაბაგი გახდა. ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობაც მან შეითავსა.

ამ დროის საქართველოში უკვე ჩნდებოდა პოლიტიკური კრიზისის ნიშნები. ეს უკანასკნელი არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა მაინცდამაინც დამარცხებული უნდა იყოს, ან შინაომი მძვინვარებდეს. ივანეს შვილი ჯერ ამირსპასალარი იყო, მამის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ კი ათაბაგობა მიიღო. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ შანშე ზაქარიას ძე, ასევე ავაგ-სარგისი ახალგაზრდები იყვნენ. ივანე მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ კი, არ იყო გამორიცხული, ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა ახალციხელებისათვის გადაეცათ. ყველაზე მეტად სწორედ ისინი იმსახურებდნენ ამ თანამდებობებს. მოვლენების ასეთ განვითარებას, როგორც ჩანს, ელოდა ივანე ათაბაგი და ერთი ხელის მოსმით მან მოიშორა მხარგრძელთა ახალგაზრდა თაობისათვის ყველაზე საშიში კონკურენტები, მაგრამ ამ ინტრიგას ქვეყანაც გადააყოლა.

**ანალიზი.** გავადევნოთ თვალი წერილობითი წყაროების მონაცემებს. ჟამთააღმწერელმა იცის, რომ ქართველთა ძირითადი ნაწილი ბრძოლაში არ ჩაბმულა. მემატიანე აღნიშნავს: „ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომთა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა“. ხვარაზმელებს გააფთრებულ წინააღმდეგობას მხოლოდ მეწინავე უწევდა, შალვა და ივანე ახალციხელების სარდლობით. ვახუშტი ბატონიშვილიც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ათაბაგი სპითა უვნოდ წარმოვიდაო“. ბრძოლაში ჩართულან მხოლოდ წინამბრძოლნი, დანარჩენნი კი გამობრუნებულან. მემატიანენი მიუთითებენ, რომ ჯალალ-ედ დინს ქართველთა დევნა არ მოუწყვია.

ამდენად, გარნისის ბრძოლაში ივანე მხარგრძელმა ქვეყნის ინტერესები პირად ინტერესებსა და საკუთარ ამბიციას შესწირა. ფაქტობრივად, საქართველოს ლაშქარს ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ

[20]ზუსტად არავინ იცოდა, რით იყო ნაკარნახევი ივანე მხარგრძელის ასეთი საქციელი. ქართველი მემატიანე ამას სარდლის ახალციხელებისადმი შურით ხსნის. ფაქტი ერთია: ივანემ გაწირა მეწინავენი და უარი თქვა ბრძოლაზე.

მიულია. დანაკარგი (დახოცილი და ტყვედ ჩავარდნილი) 7%-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ჯალალ-ედ დინს არც უცდია დადევნება, პირიქით, სამხრეთისკენ წავიდა და დვინი გარემოიცვა. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ გარნისში საქართველოს სამხედრო პოტენციალი სრულად არ განადგურებულა. ჯარის ძირითადი ნაწილი კვლავ ბრძოლისუნარიანი, ოღონდ გულგატეხილი და ფსიქოლოგიურად დათრგუნული იყო. პრობლემა არა უშუალო მებრძოლებში, არამედ სარდლობაში არსებობდა, რომელმაც ურთიერთდაპირისპირებულობის გამო ვერ გაართვა თავი მოვალეობას.

**შედეგი.** ქართველებმა გარნისის ბრძოლაში სამხედრო პოტენციალი „გადაარჩინეს“ და ეს აკრთობდა ხორეზმ-შაჰს, თუმცა ქართველი მხედრობა დაავადდა დამარცხებულის სინდრომით, რამაც ჯერ ჯალალ-ედ დინთან მომდევნო ბრძოლაში, შემდეგ მონღოლებთან შერკინებისას იჩინა თავი. ჩვენი აზრით, ჯალალ-ედ დინმა გარკვეული დრო მოანდომა საქართველოში არსებული ვითარების ზედმიწევნით შესწავლას. სწორედ ამან გააბედვინა მოგვიანებით თბილისზე ლაშქრობა და საქართველოს უძლეველობის მითიც დაამსხვრია.

1226 წელს ჯალალ-ედ დინმა თბილისზე ილაშქრა. მეფე რუსუდანმა დედაქალაქი დატოვა და ქუთაისში გადავიდა. თბილისის დაცვას ძმები ბოცო და მემნა ბოცოს ძეები წარმართავდნენ. 1226 წლის 9 მარტს, შინაგამცემლობის შედეგად, თბილისი დაეცა. ჯალალ- ედ დინმა საშინელი ხოცვა-ჟლეტვა დაატრიალა ქალაქში. ემეტეხის ხიდზე 100 000 ქართველი ეწამა სარწმუნოებისათვის. ისინი წმინდანებად შერაცხეს.

1227 წელს ქართველებმა თბილისის მცირე ხნით უკან დაბრუნება შეძლეს. მომდევნო წელს საქართველოს სამეფო კარმა კოალიციური ლაშქარი შეკრიბა და ჯალალ-ედ დინის წინააღმდეგ გაილაშქრა. გადამწყვეტი ბრძოლა ბოლნისის მიდამოებში გაიმართა. ქართველთა მოკავშირე ყივჩაღებმა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღეს. ქართველები დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

ამის შემდეგ ჯალალ-ედ დინის ბატონობა საქართველოში დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ცნობილი გახდა, რომ მონღოლები აღმოსავლეთისკენ დიდი ლაშქრით მოიწევდნენ. შეშინებულმა ხორეზმშაჰმა საქართველო მიატოვა და მცირე აზიაში გაიქცა, სადაც, ლტოლვილი, 1231 წელს ქურთებმა მოკლეს.

## §26. საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ

XIII საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე გამოვიდნენ ცენტრალური აზიის უკიდეგანო ველებზე მცხოვრები მომთაბარე ტომები, რომლებსაც მოგვიანებით ერთი საერთო სახელი – მონღოლები ეწოდათ. ისინი სოციალურად ძალიან განუვითარებლები იყვნენ და რამდენიმე მსხვილ ტომად იყოფოდნენ. მონღოლები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ და თავიანთ მთავარ ღვთაებად მარადიულ ზეცას აღიარებდნენ. 1206 წელს, სასტიკი შინაომების შედეგად, საბოლოოდ დასრულდა მონღოლთა გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც სათავეში სახელოვანი მხედართმთავარი ჩინგიზ ყაენი ჩაუდგა. მან უმოკლეს დროში ჩამოაყალიბა უმკაცრეს დისციპლინაზე დამყარებული არმია, რომელიც დაახლოებით 200 000 ჯარისკაცისაგან შედგებოდა. მონღოლთა ლაშქარი 10 000 მეომრისაგან დაკომპლექტებულ სამხედრო შენაერთებად იყოფოდა, რომლებსაც სათავეში გამოცდილი სარდლები – ნოინები ედგნენ. ათიათასეულები, თავის მხრივ, ათასეულებად, ასეულებად და ათეულებად იყო დაყოფილი. მონღოლთა საბრძოლო დანაყოფების ბირთვს, ძირითადად, მშვილდ-ისრით შეიარაღებული მსუბუქი კავალერია შეადგენდა, რომელსაც, სისწრაფისა და მანევრირების თვალსაზრისით, ბადალი არ მოეძებნებოდა იმდროინდელ მსოფლიოში.

ძლიერი სახელმწიფოს შექმნისა და დისციპლინებული სამხედრო ძალების ჩამოყალიბების შემდეგ მონღოლებმა მახვილი მეზობელი ხალხებისაკენ მიმართეს. ჩინგიზ ყაენმა 1207-1211 წლებში დაიპყრო და დაიმორჩილა ციმბირისა და აღმოსავლეთ თურქესტანის ხალხები (ბურიატები, იაკუტ-ები, ოირათები, ყირგიზები, უიღურები და სხვა); 1211-1217 წლებში – ჩრდილოეთ ჩინეთში მდებარე ძინის იმპერია, პეკინთან ერთად; 1218 წელს – შვიდმდინარეთი, რომლის ტერიტორიაც, დაახ-ლოებით, ამჟამინდელი ყაზახეთის ტერიტორიას ემთხვევა; 1219-1221 წლებში – ხვარაზმის სამეფო, რომლის ფარგლებშიც მთელი შუა აზია, აღმოსავლეთი ირანი და ავღანეთი შედიოდა და სხვა.

ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ, უგედეი ყაენმა, წარმატებით გააფართოვა წინამორბედის მიერ წამოწყებული დაპყრობითი ომების გეოგრაფია. მონღოლებმა 1231-1233 წლებში დაიპყრეს და დაიმორჩილეს კორეის ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილი; 1232-1236 წლებში – ვოლგისპირეთში მდებარე ბულგარეთის სახელმწიფო; 1243 წელს – მცირე აზიაში მდებარე რუმის სელჩუკთა სასულთნო; 1237-1240 წლებში რუსეთის სამთავროები, კიევის ჩათვლით, და სხვა.

ამრიგად, მონღოლებმა, მანამდე არნახული მასშტაბის დაპყრობითი ომების შედეგად, საკმაოდ მოკლე დროში, სულ რაღაც 30-35 წლის განმავლობაში, შექმნეს უზარმაზარი იმპერია, რომელიც გადაჭიმული იყო წყნარი ოკეანიდან აღმოსავლეთ ევროპამდე და ირანიდან ბალტიის ზღვამდე.

მონღოლები საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს საზღვრებთან პირველად 1220 წელს გამოჩნდნენ. მაშინ ორი მონღოლი ნოინი – ჯებე და სუბუდაი – 30 000-იანი ლაშქრით შემოიჭრნენ ჩრდილოეთ ირანიდან. 1220-1223 წლებში საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშამ მონღოლებს სამი ბრძოლა გაუმართა, თუმცა, სამივეჯერ დამარცხდა. 1223 წელს ჯებემ და სუბუდაიმ დატოვეს აღმოსავლეთ კავკასია და, დარუბანდის გზით, ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ. ამის შემდეგ მონღოლები დიდხანს აღარ გამოჩენილან საქართველოში.

1230-იანი წლების შუახანებში უგედეი ყაენის მიერ გამოგზავნილმა ოთხმა მონღოლმა ნოინმა: ჩორმაღანმა, ჩაღატამ, იოსურმა და ბიჩომ 40 000-იანი ლაშქრით საბოლოოდ დაიმორჩილა ჩრდილოეთ ირანი და ადარბადაგანი. ამის შემდეგ მონღოლებმა დიდი სამხედრო ბანაკი მოაწყვეს მდინარე მტკვრის სამხრეთით, ბარდავის, განძისა და მუღანის თვალუწვდენელ ველებზე და ეს უზარმაზარი ტერიტორია საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის წინააღმდეგ მიმართული მრავალწლიანი ლაშქრობების უმთავრეს პლაცდარმად აქციეს.

მონღოლებმა თავიანთი პირველი სამხედრო ექსპედიციები საქართველოს სამეფოს აღმოსავლეთი და სამხრეთი შავიზღვრისპირა რეგიონების წინააღმდეგ განახორციელეს. ეს 1235 წელს მოხდა. ლაშქრობები ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა. მონღოლთა თავდასხმები პირველად მიმართული იყო ძველი ქართული პროვინციების: ჰერეთის, კახეთისა და ქვემო ქართლისაკენ, რომლებიც უშუალოდ ემეზობლებოდა მონღოლთა სამხედრო ბანაკად გადაქცეულ ბარდავს, განძასა და მუღანს. მონღოლთა ლაშქრობების მეორე მიმართულება მიზნად ისახავდა სომხეთის უდიდესი ქალაქების: დვინისა და ანისის დამორჩილებას, რომლებიც საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ.

საქართველოს სამეფო კარმა მტრის თავდასხმების წინააღმდეგ ვერანაირი კონტრზომები ვერ ჩაატარა. მეტიც, მონღოლთა სამხედრო ძლიერებით შეძრწუნებულმა მეფე რუსუდანმა საერთოდ მიატოვა თბილისი და დასავლეთ საქართველოში გაიხიზნა. დედაქალაქის დაცვა საშუალო რანგის სარდალს – ვინმე მუხასძეს დაევალა. მან რუსუდანისაგან ბრძანება მიიღო, რომ თუკი მონღოლები ქვემო ქართლში შემოვიდოდნენ და დმანისს მიუახლოვდებოდნენ, მას თბილისი უნდა გადაეწვა, რათა ეს უკანასკნელი მონღოლებს საკუთარ ბანაკად არ გადაექციათ. მუხასძემ მეფის ბრძანება ზუსტად შეასრულა: როცა მონღოლები დმანისის მიდამოებში გამოჩნდნენ, დედაქალაქს ცეცხლი წაუკიდა.

სამეფო კარის საქციელმა მთლიანად შეარყია ქვეყნის სამხედრო ძალების ბრძოლისუნარიანობა. მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაზე მთავარსარდლებმა უარი თქვეს და მტრისაგან მიუდგომელ მხარეებსა თუ ციხესიმაგრეებს შეაფარეს თავი: ამირსპასალარი (სამხედრო საქმეთა მინისტრი) ავაგ მხარგრძელი სომხეთში მდებარე კაენის ციხეში ჩაიკეტა, მანდატურთუხუცესი (დაახლოებითლ, შინაგან საქმეთა მინისტრი) შანშე მხარგრძელი აჭარაში გაიხიზნა, კიდევ ერთი მინისტრი, მსახურთუხუცესი ვარამ გაგელი, მეფე რუსუდანთან გადაიხვეწა, ქუთაისში.

სარდლობის გარეშე დარჩენილი ქართული მხედრობა მცირე რაზმებად დაიქსაქსა და დემორალიზებული აღმოჩნდა. ოდესღაც ძლევამოსილი ქართული ლაშქარი მტერთან შებრძოლებას ვეღარ ბედავდა და თავზარდაცემული გარბოდა. მრავალ ომში გამარჯვებული ქართველი მეომრები მიუვალ ადგილებსა და ციხესიმაგრეებს აფარებდნენ თავს.

სამეფო კარის, მთავარსარდლობისა და სამხედრო ძალების მიერ მიტოვებული ქვეყანა მონღოლთა სათარეშო ასპარეზად გადაიქცა. 1235-1239 წლებში მტერი შემოესია საქართველოს სამეფოს პროვინციებს: ჰერეთს, კახეთს, ქვემო ქართლს, შიდა ქართლს, თრიალეთს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლასა და არტაანს. ათეულ ათასობით ადამიანი მონღოლთა მახვილის მსხვერპლი გახდა. სასტიკად აოხრდა და გაპარტახდა ქალაქები, სოფლები, სამეურნეო რაიონები და სხვა.

ასეთ უმძიმეს ვითარებაში, კაენის ციხეში ჩაკეტილმა ამირსპასალარმა ავაგ მხარგრძელმა ელჩი გაუგზავნა მონღოლებს. ქვეყნის სამხედრო საქმეთა მინისტრი ხმლის მოუქნევლად უცხადებდა მტერს სრულ მორჩილებას და მათ სასარგებლოდ ხარკის გადახდას კისრულობდა. მონღოლებმა ავაგ მხრაგრძელის წინადადება სიხარულით მიიღეს და, ხარკის გადახდის გარდა, მას მონღოლთა სამხედრო ექსპედიციებში ლაშქრით მონაწილეობის ვალდებულებაც დააკისრეს. ამის სანაცვლოდ, მონღოლები ხელშეუხებლობისა და კუთვნილი ყმა-მამულის უვნებლობის პირობას აძლევდნენ საქართველოს ამირსპასალარს.

ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ავაგ მხარგრძელის საქციელს აჭარაში გახიზნულმა მანდატურთუხუცესმა შანშე მხარგრძელმა და ქუთაისში გადახვეწილმა მსახურთუხუცესმა ვარამ გაგელმაც მიბაძეს. ისინი პირადად გამოცხადდნენ მონღოლებთან და ანალოგიური ხელშეკრულებები გაუფორმეს.

ამგვარად, საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდლობამ საკუთარი ნებით თქვა უარი საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვაზე და მონღოლებთან ისეთი ხელშეკრულებები დადო, რომლებიც მხოლოდ მათი ფეოდალური ქონების დაცვას ისახავდა მიზნად.

ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელების სხვა წარმომადგენლებმა: ზემო ჯავახეთის ერისთავმა (ამ პროვინცის ლაშქრის სარდალმა) გამრეკელ თორელმა, ქვემო ჯავახეთის ერისთავმა სარგის

თმოგველმა, მეჭურჭლეთუხუცესმა (დაახლოებით, იმდროინდელმა ფინანსთა მინისტრმა), სამცხის ერისთავმა ყვარყვარე ჯაყელმა და სხვა ერისთავებმა მონღოლებისათვის მორჩილების გამოცხადებაზე თავდაპირველად უარი თქვეს. მონღოლებმა გაათმაგებული სისასტიკით გააგრძელეს მათი მამულების გაპარტახება და ბოლოს იძულებულნი გახადეს ისინი, ავაგ მხარგრძელის მსგავსი ხელშეკრულება დაედოთ. მხოლოდ ყვარყვარე ჯაყელმა გამოავლინა სახელმწიფო ეტიკეტისადმი პატივისცემა და, ხელშეკრულების გაფორმებამდე, ნებართვა მეფე რუსუდანისაგან აიღო.

**ანალიზი.** 1235-1239 წლების მოვლენებს დიდი მნიშვნელობა აქვს XIII საუკუნის ქართული სამხედრო ისტორიისათვის. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რუსუდანის დროინდელი ქართული ლაშქარი აჩრდილიღა იყო იმ მრისხანე სამხედრო ძალისა, რომლის წინაშეც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მთელი მუსლიმანური აღმოსავლეთი შიშით ძრწოდა. როგორც ჩანს, ხვარაზმის შაჰ ჯალალ ად-დინის 1225-1230 წლების გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ ქართველი მხედრების ორგანიზებულობის ხარისხი და საბრძოლო სულისკვეთება უკიდურესად შემცირებული იყო.

1230-იან წლებში სამხედრო ძლიერების ზენიტში მყოფი მონღოლების დამარცხება ძნელი იყო. ეს ქართული ლაშქრის შესაძლებლობებს აღემატებოდა კიდეც. მიუხედავად ამისა, სამეფო ხელისუფლებისა და სამხედრო უწყების ხელმძღვანელების საქციელს გამართლება არ აქვს. მათ შეეძლოთ ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უფრო ღირსეულად დაცვა.

## §27. ქოსე-დაღის ბრძოლა და ქართული მხედრობა

1240-იანი წლების დასაწყისში ქუთაისში მყოფი რუსუდანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არსებული მდგომარეობის დიდი ხნით გაგრძელების შემთხვევაში საბოლოოდ დაკარგავდა აღმოსავლეთ საქართველოს. ამიტომ მონღოლებთან ელჩობა გაგზავნა. დიპლომატიურ მისიაში შედიოდნენ: მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი, ამირსპასალარი ავაგ მხარგრძელი, მსახურთუხუცესი ვარამ გაგელი და ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი. რუსუდანი მორჩილებას უცხადებდა მონღოლებს და სთხოვდა, ნება დაერთოთ მისი ვაჟის, უფლისწული დავითისათვის, სამეფო ხელისუფლება აღედგინა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

რუსუდანის ელჩების მონღოლებთან ყოფნის დროს ერთ-ერთმა მონღოლმა სარდალმა, ნოინმა ბიჩომ, მცირე აზიის მიმართულებით დიდი სამხედრო ექსპედიცია დაიწყო. მან ლაშქრობაში წაიყვანა რუსუდანის გამოგზავნილი ელჩები და სხვა ქართველი სარდლები, რომლებსაც მონღოლების სამხედრო ექსპედიციებში მონაწილეობა ხელშეკრულების ძალით ევალებოდათ.

მონღოლების წინააღმდეგ რუმის სელჩუკთა სახელმწიფოს სულთანმა ყიას ად-დინმა ლაშქარი შეკრიბა. მონღოლთა და სელჩუკთა ჯარები ერთმანეთს 1243 წელს ქოსე-დაღთან შეხვდნენ. სელჩუკთა ჯარის რაოდენობა 400 000-ს აღწევდა. მას სათავეში ედგა ორი ქრისტიანი მთავარსარდალი: აფხაზი დარდინ შარვაშიძე, რომელსაც მრავალი გამარჯვება მოეტანა ყიას ად-დინისათვის და ფარადავლა ახალციხელი, რომელიც სახელოვანი ქართველი მთავარსარდლის – შალვა ახალციხელის ვაჟი იყო.

გამთენიისას მონღოლთა და სელჩუკთა ჯარები საბრძოლველად განლაგდნენ. სელჩუკთა ჯარის მთავარსარდლებმა სამხედრო შენაერთები იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად გაანაწილეს: მარჯვენა ფრთაზე ყველაზე ბრძოლისუნარიან დანაყოფებს მოუყარეს თავი, იმედოვნებდნენ, რომ სელჩუკთა მარჯვენა ფლანგი იოლად გადაქელავდა მონღოლთა მარცხენა ფლანგზე განლაგებულ რაზმებს.

ყიას ად-დინის მთავარსარდლების გათვლით, ბრძოლა შემდეგი გეგმით უნდა გაგრძელებულიყო: სელჩუკები ისარგებლებდნენ რიცხობრივი უპირატესობით და მონღოლთა მორღვეული მარცხენა ფლანგის მიმართულებით ისე გადაისროდნენ სარეზერვო შენაერთებს, რომ საკუთარი ლაშქრის ცენტრსა და მარცხენა ფლანგს არც ერთი ჯარისკაცით არ შეამცირებდნენ. შედეგად, სელჩუკთა მარჯვენა ფლანგი, რომელიც ამ დროისათვის უკვე გაბატონებული იქნებოდა მონღოლთა მარცხენა ფლანგის საბრძოლო პოზიციებზე, ახალი სარეზერვო შენაერთებით გაძლიერდებოდა.

საბოლოოდ, მონღოლთა გაქცეული მარცხენა ფლანგის პოზიციებზე აღმოჩნდებოდა სელჩუკთა მრავალრიცხოვანი დანაყოფები, რომლებსაც ბრძოლის გაგრძელება ორი ძირითადი მიმართულებით შეეძლებოდათ: 1. ზედმეტი გადაადგილების გარეშე, პირდაპირ მიეტანათ იერიში მონღოლთა ლაშქრის ცენტრში მდგომ და მარცხნიდან სავსებით დაუცველ შენაერთებზე; 2. ზურგიდან მოევლოთ და შეჭრილიყვნენ მონღოლების როგორც ცენტრის, ისე მარჯვენა ფლანგის განლაგებაში. ნებისმიერი ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში, მონღოლთა არმია განწირული იყო დამარცხებისათვის.

სელჩუკთა ეს გეგმა, ერთი შეხედვით, უნაკლო იყო, თუმცა მონღოლებმაც გათვალეს მოწინააღმდეგის სავარაუდო ჩანაფიქრი და მას საკუთარი დაუპირისპირეს. ამ კონტრგეგმის ძირითადი ელემენტი ის იყო, რომ მონღოლებმა საუკეთესო სამხედრო შენაერთები, სელჩუკების მსგავსად, მარჯვენა ფლანგზე კი არ განალაგეს, არამედ მარცხენაზე გადაისროლეს. ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო გადაადგილებამ სელჩუკთა მთავარსარდლობის გეგმები თავდაყირა დააყენა. ახლა

მათ საუკეთესო სამხედრო დანაყოფებს, შედარებით უფრო სუსტი მოწინააღმდეგის ნაცვლად, მონღოლთა ელიტურ ნაწილებთან მოუწევდათ ბრძოლა.

მონღოლმა სარდლებმა როგორც კი დაასრულეს ლაშქრის მარცხენა ფლანგის ორგანიზება, მათთან მყოფ ქართველ მეომრებსაც მიუჩინეს ადგილი საბრძოლო წყობაში. ქართული მხედრობა ლაშქრის ცენტრში, წინამბრძოლის პოზიციაზე განლაგდა. მისი ამოცანა იყო პირველს შეეტია მოწინააღმდეგისათვის, ბრძოლით გაერღვია სელჩუკთა მოწინავე პოზიციები და, რამდენადაც შეიძლებოდა, ღრმად შეჭრილიყო მოწინააღმდეგის განლაგებაში.

ბრძოლა გამთენიისას დაიწყო. სელჩუკთა მარჯვენა ფლანგმა მონღოლთა მარცხენა ფლანგს იოლი გამარჯვების იმედად შეუტია. მონღოლთა ელიტურმა ნაწილებმა მოწინააღმდეგის შეჩერება შეძლეს და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ამასობაში მონღოლების ცენტრმა და მარჯვენა ფლანგმა სელჩუკთა პოზიციებზე არნახული ძალით მიიტანა იერიში. ამ დროს განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდნენ ქართველი მოლაშქრეები.

რიცხობრივი უპირატესობის წყალობით, სელჩუკები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მონღოლებს. საბოლოოდ, ბრძოლის ბედი ერთმა ფაქტმა გადაწყვიტა: სასტიკი შეტაკების დროს მონღოლებმა სელჩუკთა მთავარსარდალი დარდინ შარვაშიძე მოკლეს. მხედართმთავრის სიკვდილის ამბავმა ყიას ად-დინის უზარმაზარ ლაშქარს თავზარი დასცა. ისინი ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. მონღოლები და ქართველები გაქცეულ მტერს დაედევნენ, მრავალი მათგანი დახოცეს, სხვები კი ტყვედ შეიპყრეს.

ქოსე-დაღის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ მონღოლთა და ქართველთა სამხედრო დანაყოფებმა რუმის სასულთნოს დედაქალაქ კონიას ალყა შემოარტყეს და სულთანი ყიას ად-დინიც იძულებული გახდა მონღოლებს დამორჩილებოდა. კონიის ალყის დროს ქალაქის სელჩუკურ გარნიზონსა და მოალყეებს შორის ხშირად იმართებოდა რაინდული ორთაბრძოლები. აქ თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს ქართველმა მხედრებმა, რომელთა სიქველითა და სიმამაცით გამოცდილი მონღოლი სარდლებიც კი გაკვირვებული დარჩნენ.

**ანალიზი.** მიუხედავად იმისა, რომ ქოსე-დაღის ბრძოლა საქართველოს ტერიტორიაზე არ გამართულა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სამხედრო საქმის ისტორიისათვის. ჯერ ერთი, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართული სამხედრო შენაერთები იბრძოდნენ მონღოლთა ლაშქრის მხარდამხარ, რომელიც ყველაზე მრისხანე და წარმატებული სამხედრო ძალა იყო იმდროინდელ მსოფლიოში. გარდა ამისა, ქოსე-დაღის ბრძოლის დროს ქართველი სარდლები, პრაქტიკულად, საომარი ოპერაციების დაგეგმვის დონეზე გაეცნენ მონღოლურ სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკას, რასაც ხელი უნდა შეეწყო ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ სელჩუკთა 400 000-იან არმიას სათავეში ედგა ორი ქართველი მთავარსარდალი, რაც ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ᲣᲠᲩ საუკუნის წინა აზიაში ქართული სამხედართმთავრო სკოლა.

## §28. დუმნების სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემის შემოღება საქართველოში

რუმის სასულთნოს დამორჩილების შემდეგ მონღოლები უკან, სამხრეთ კავკასიაში დაბრუნდნენ და სომხეთში დაბანაკდნენ. მათი მთავარსარდალი ბიჩო დანარჩენ სამ ნოინთან შესახვედრად ბარდავისაკენ გაემართა. მონღოლებთან მყოფი ქართველი მხედრები კი, რომლებმაც მცირეაზიული ლაშქრობისას უზარმაზარი ალაფი ჩაიგდეს ხელთ, საკუთარ მამულებში წავიდ-წამოვიდნენ. ვიდრე ბიჩო სომხეთიდან ბარდავს გაემგზავრებოდა, ელჩი აახლა ქუთაისში მყოფ მეფე რუსუდანს და მასთან ხელშეკრულების დადების სურვილი გამოთქვა.

მოლაპარაკებების ბოლოს რუსუდანმა მონღოლებს უვნებლობის პირობა ჩამოართვა და 1243-1244 წლებში უფლისწულ დავითთან ერთად ქართლში გადმოვიდა. მეფის ამალაში შედიოდნენ სახელგანთქმული ლიხთიმერელი სარდლები: ცოტნე დადიანი, რაჭის ერისთავი კახაბერისძე, ოდიშის ერისთავი ბედან დადიანი, გურიელი და სხვები. ქართლში მეფესა და უფლისწულს წინ მიეგებნენ სხვა ქართველი სარდლებიც: მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი, ამირსპასალარი ავაგ მხარგრძელი, მეჭურჭლეთუხუცესი და სამცხის ერისთავი ყვარყვარე ჯაყელი, მსახურთუხუცესი ვარამ გაგელი, ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი, ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი და სხვები.

1243-1244 წლებში, რამდენიმეწლიანი ლტოლვილობისა და დაქსაქსულობის შემდეგ, საქართველოს სამხედრო ძალების მთავარსარდლობამ ბოლოს მაინც ერთად მოიყარა თავი. ქართლში გადმოსული რუსუდანი იქვე დარჩა, მისი ძე დავითი კი ბარდავს გაემგზავრა ქართველი სარდლების თანხლებით. მონღოლმა ნოინებმა ქართველი უფლისწული დიდი პატივით მიიღეს და რუსუდანისა და დავითის სამეფო ხელისუფლება, გარკვეული პირობებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღიარეს.

მცირე ხნის შემდეგ ბარდავში მყოფმა მონღოლმა ნოინებმა გადაწყვიტეს, დავითი საქართველოს სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად ყარაყორუმში, მანგუ ყაენთან გაეგზავნათ. რუსუდანს არ უნდოდა ერთადერთი ვაჟის ურდოში გაგზავნა, მაგრამ სხვაგვარად უფლისწული სამეფო ტახტს ვერ დაიმტკიცებდა, ამიტომ მეფე იძულებული გახდა, მონღოლი ნოინების გადაწყვეტილებას დამორჩილებოდა.

მონღოლეთში გამგზავრებულ დავითს ქართველი სარდლების მცირე ამალაც ახლდა, რომელშიც შედიოდნენ მისი თანატოლნი: ქართლის ერისთავ გრიგოლის ვაჟი – ბეგა სურამელი, მურვან გურკელელ-მახუჯაგისძე და მანდატურთუხუცესის თანაშემწე – ბეშქენ ამირეჯიბი.

დავით რუსუდანის ძის მონღოლეთში წასვლამდე ნოინებმა ურდოში დიდ ყაენთან ავაგ მხარგრძელიც გააგზავნეს. ამ დროისათვის მას, ამირსპასალარის თანამდებობის გარდა, მეფე რუსუდანისაგან ათაბაგის უმაღლესი სამოხელეო წოდებაც ჰქონდა მიღებული. ავაგ მხარგრძელი ურდოში დიდი ყაენის მოთხოვნით გაემგზავრა. ამ უკანასკნელს სურდა, პირადად გასცნობოდა მონღოლთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების მმართველებსა და მოხელეებს. ავაგ მხარგრძელმა მონღოლეთში საკუთარი ეჯიბი წაიყვანა, სახელოვანი ქართველი მთავარსარდლის – შალვა ახალციხელის ძმისწული, დავით ივანეს ძე ახალციხელი.

უფლისწულ დავითის ურდოში წასვლის შემდეგ მონღოლებმა რუსუდანს მოსთხოვეს ქართული მხედრობის გაგზავნა ჩრდილოეთ ირანში მდებარე ალამუთის აუღებელი ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ სალაშქროდ. ქართველმა მეფემ მონღოლების მოთხოვნის შესრულება ვეღარ მოასწრო და, შვილის ბედით დამწუხრებული, 1245 წელს გარდაიცვალა. საქართველოს სამეფო პირველი პირის გარეშე დარჩა, რამაც შეაფერხა ქვეყნის სამხედრო ადმინისტრირებისა და მონღოლებთან გასაგზავნი ჯარის შეგროვების პროცესი.

მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნის მიზნით, მონღოლებმა საქართველოს სამეფო დროებით შვიდ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად – დუმნად, დაყვეს. თითოეულს სათავეში დუმნისთავი ჩაუყენეს. მისი ძირითადი ვალდებულება მონღოლებთან გასაგზავნად ლაშქრის გამოყვანა იყო, 10 000 ჯარისკაცის რაოდენობით. ამ სამხედრო შენაერთს პირადად სარდლობდა დუმნისთავი. აქედან მოდის ამ თანამდებობის სახელიც: დუმნის, ე.ი. ათი ათასის თავი.

მონღოლთაგან შექმნილი შვიდი დუმანიდან პირველი მოიცავდა კახეთ-ჰერეთის ტერიტორიას. მას სათავეში ედგა სამხედრო საქმის ჩინებული მცოდნე და დიდი მჭევრმეტყველი ეგარსლან ბაკურციხელი; მეორე დუმანი ისტორიული სომხეთის ტერიტორიას მოიცავდა. ის იმხანად საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და სათავეში ედგა ქვეყნის მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი; მესამე დუმანში მთელი ქვემო ქართლი შედიოდა. მას ხელმძღვანელობდა ძველი და გამოცდილი მოლაშქრე, მსახურთუხუცესი ვარამ გაგელი. რიგით მეოთხე დუმანი მოიცავდა შიდა ქართლის ტერიტორიას, რომელსაც სათავეში ედგა ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი – ერთ-ერთი ყველაზე აღიარებულ სარდალი იმდროინდელ საქართველოში; მეხუთე დუმანში შედიოდა სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი და მთელი ჭოროხის ხეობა. ამ დუმანს ხელმძღვანელობდა სახელოვანი ქართველი მოლაშქრე გამრეკელ თორელი; მეექვსე და მეშვიდე დუმნები მოიცავდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას. პირველს სათავეში ედგა უდიდესი მხედრული ღირსებით შემკული სარდალი ცოტნე დადიანი, ხოლო მეორეს – რაჭის ერისთავი კახაბერისძე.

შვიდ დუმნად დაყოფილი საქართველოს სამეფო სულ 70 000 ჯარისკაცს უყრიდა თავს, მაგრამ მონღოლთა ლაშქრობებში ერთდროულად არასოდეს მონაწილეობდა. ისინი ორ ნაწილად იყვნენ გაყოფილნი და მორიგეობით, თორმეტ-თორმეტი თვის მანძილზე, ასრულებდნენ მონღოლთა მიერ დაკისრებულ ვალდებულებას. ამ სქემის შესაბამისად, მონღოლთა ლაშქრობებში ყოველწლიურად, დაახლოებით, 30 000 – 40 000 ქართველი მებრძოლი მონაწილეობდა.

**ანალიზი.** ქვეყნის დუმნებად დაყოფა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. ამ რეფორმის შედეგად, ქვეყნის უმაღლესი ძალაუფლება არა მეფის, არამედ მთავარსარდლების ხელში აღმოჩნდა, რომლებიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მართავდნენ სახელმწიფოს. საქართველოში დუმნისთავების მმართველობა რამდენიმე წელი გაგრძელდა, რამაც უკიდურესად გააძლიერა სამხედრო უწყების როლი ქვეყნის სახელმწიფო სისტემაში.

## §29. ვალაშკერტისა და ბანას ბრძოლები

**პოლიტიკური ვითარება.** საქართველოს სამეფოს დუმნებად დაყოფის პერიოდში მონღოლთა ძირითადი საომარი ასპარეზი ჩრდილოეთი ირანი იყო. 7 წლის განმავლობაში მათ აქ გაუთავებელი ბრძოლები ჰქონდათ ისმაილიტების რელიგიურ-თეოკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის დედაქალაქიც ჩრდილოეთ ირანში მდებარე ალამუთის ციხესიმაგრე იყო.

ამ შვიდწლიან ლაშქრობაში მონღოლებთან ერთად ქართველებიც მონაწილეობდნენ. გაუთავებელი სამხედრო ექსპედიციების გამო ქართველი მხედრები ვეღარ ახერხებდნენ, ალამუთთან ბრძოლის პარალელურად შეტევითი ოპერაციები წამოეწყოთ ქვეყნის სამხრეთ საზღვრებთან

მომრავლებული მომთაბარე თურქული ტომების წინააღმდეგ, რომელთა ყაჩაღური თავდასხმებიც დიდად აზიანებდა ქვეყანას.

ქართველი მხედრების ჩრდილოეთ ირანში ყოფნით კარგად ისარგებლეს სირიაში მომთაბარე თურქულმა ტომებმა და გამოცდილი სარდლის – ყარა-ხანის მეთაურობით, დიდი ლაშქრობა წამოიწყეს საქართველოს წინაღმდეგ. α:ყარა-ხანის მიერ შეკრებილი ჯარი 60 000 თურქი ჯარისკაცისაგან შედგებოდა. თურქები თავდაპირველად შეიჭრნენ საქართველოს შემადგენლობაში შემავალ სომხურ პროვინციებში და ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-რბევას შეუდგნენ.

ყარახანის მოთარეშებული ტერიტორია მეორე დუმნის შემადგენლობაში შედიოდა. ამიტომ შემოჭრილი თურქების წინააღმდეგ ბრძოლას მეორე დუმნისთავი – მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი ჩაუდგა სათავეში. მან საკუთარ დუმანში 30 000 ქართველ-სომეხი მეომარი შეკრიბა, მდინარე არაქსი გადალახა და ქალაქ ვალაშკერტთან დაბანაკებული ყარა-ხანის 60 000-იანი ლაშქრის პირისპირ აღმოჩნდა.

**სამოქმედო გეგმები.** ბრძოლის დაწყებამდე თურქებს, მოწინააღმდეგესთან შედარებით, ორი მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ: ა – მათი ჯარი რიცხობრივად ორჯერ აღემატებოდა შანშე მხარგრძელის ლაშქარს; ბა – ქართულ-სომხური მხედრობა საკმაოდ დაღლილი იყო ხანგრძლივი მგზავრობითა და მდინარეზე გადასვლით. ყარა-ხანმა სცადა ამ უპირატესობების გამოყენება და თავისი სამხედრო შენაერთები საბრძოლველად განალაგა.

საომრად დაეწყო ქართულ-სომხური ლაშქარიც. შანშე მხარგრძელის ბრძოლის გეგმა საკმაოდ მარტივი, თუმცა სარისკო იყო. ამ გეგმის მიხედვით, ბრძოლა შემდეგი სცენარით უნდა წარმართულიყო: 1. ქართულ-სომხური შენაერთები იერიშს ჯიქურ მიიტანდნენ თურქთა ლაშქარზე და თავგანწირული ბრძოლით უკუაქცევდნენ მოწინააღმდეგის წინა რიგებს; 2. შანშე მხარგრძელის მოლაშქრეები მტრის გაქცეულ მოწინავეებს ყარა-ხანის ძირითადი დანაყოფებისაკენ გარეკავდნენ და, ჯარის ამ ორი ნაწილის ერთმანეთთან შეჯახებით, ქაოსს შეიტანდნენ თურქთა საბრძოლო პოზიციებში; 3. ქართულ-სომხური მხედრობა საბრძოლო წყობის დაცვით, მთელი ფრონტით, იერიშზე გადავიდოდა არეულ-დარეული და დემორალიზებული მოწინააღმდეგისკენ, საბოლოოდ გააქცევდა ბრძოლის ველიდან თურქებს და ჩეხვით დაედევნებოდა მათ.

**ბრძოლების მიმდინარეობა.** ვალაშკერტის ბრძოლა ორმხრივი იერიშით დაიწყო. ქართველ-სომეხთა ლაშქრისა და თურქთა ჯარის მოწინავეები დიდი სისწრაფით შეეჯახნენ ერთმანეთს. შეტევაზე გადასულ ქართულ-სომხურ მხედრობას წინ მიუძღვოდა მანდატურთუხუცესი შანშე მხრგრძელი, რომელმაც შუბის პირველივე მოქნევით განგმირა თურქთა მოწინავე რაზმის ერთ-ერთი მეთაური. სარდლის სიმამაცით აღტყინებულმა ქართულ-სომხურმა მხედრობამ თურქების მოწინავე შენაერთები იოლად დაამარცხა და მათი ნარჩენები ყარახანის ლაშქრის ძირითადი დანაყოფებისაკენ გარეკა.

შანშე მხარგრძელის სარისკო გეგმა წარმატებით სრულდებოდა. უკუქცეული თურქი მოწინავეები ყარა-ხანის ლაშქრის ძირითადი შენაერთების განლაგებაში შეიჭრნენ და მათი საბრძოლო პოზიციები დაშალეს. ქართველები და სომხები, რომლებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ გაქცეულ მოწინავეებს, თურქთა არეულ-დარეული ლაშქრისკენ მთელი ფრონტით გადავიდნენ იერიშზე. შექმნილ ვითარებაში ყარა-ხანმა დაშლილი საბრძოლო პოზიციების მოწესრიგება და კონტრშეტევაზე გადასვლა სცადა, თუმცა შანშე მხარგრძელმა იერიში გააძლიერა და მტერს კონტრიერიშის ორგანიზების საშუალება აღარ მისცა. ბრძოლის ბედი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო.

თურქებმა ერთხანს კიდევ გააგრძელეს წინააღმდეგობა, თუმცა შემდეგ ბრძოლა შეწყვიტეს და უწესრიგოდ დაიხიეს უკან. ქართველები და სომხები ჩეხვით მიჰყვნენ მტერს და დიდად აზარალეს იგი. შანშე მხარგრძელმა, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია, ვალაშკერტის მიდამოები თურქთა ჯარის ნარჩენებისაგან გაწმინდა და ქალაქ ანისში მდებარე რეზიდენციაში დაბრუნდა.

დაახლოებით, ამავე პერიოდში ქართველი მხედრების ჩრდილოეთ ირანში ყოფნით შეგულიანებული მომთაბარე თურქები საქართველოს სამეფოს კიდევ ერთხელ დაესხნენ თავს. მტრის ლაშქრის ძირითი ბირთვი მცირე აზიაში მომთაბარე თურქმანები იყვნენ. მათ სამხედრო კავშირი შეკრეს ბიზანტიელებთან, ერზინკის სულთანთან და მრავალრიცხოვანი ჯარით ტაოში შემოიჭრნენ.

თურქმანთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი მდინარე ოლთისისწყლის ხეობას ქვემოთ დაუყვა და მოულოდნელი იერიშით ტაოს სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ოლთისი აიღო. თურქმანებმა ის თავიანთ ძირითად სამხედრო პლაცდარმად გადააქციეს და მოთარეშეურაზმები სხვადასხვა მიმართულებით აქედან გაგზავნეს. ტაო და მისი მეზობელი პროვინციები კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

თურქმანების სისასტიკით თავზარდაცემულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ დახმარება მეჭურჭლეთუხუცესსა და სამცხის ერისთავს – ყვარყვარე ჯაყელს სთხოვა. ამ უკანასკნელმა სწრაფად შეკრიბა 10 000 ჯარისკაცი, ტაოსაკენ დაიძრა და კალმახის ციხის მიდამოებში დაბანაკდა. ამ დროისათვის თურქმანებს ალყა შემოერტყათ ტაოს მეორე სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრის, ბანას ციხისათვის, რომლის გარნიზონიც დიდი გაჭირვებით იგერიებდა მტრის იერიშებს.

როცა თურქმანებმა ყვარყვარე ჯაყელის მოსვლის ამბავი გაიგეს, შეწყვიტეს ბანას ციხეზე იერიშების მიტანა და ქართველთა ძირითად ლაშქართან საბრძოლველად გაემზადნენ. თურქმანთა ჯარს ორი გამოცდილი სარდალი – ალთუნხანი და ონხანი ჩაუდგნენ სათავეში. მათი საბრძოლო გეგმა აშკარა იყო: თურქმანთა ლაშქარი აპირებდა გამოეყენებინა რიცხობრივი უპირატესობა და ჯიქური იერიშით გადაექცა ქართველთა სამხედრო შენაერთები.

ყვარყვარე ჯაყელმა ბრძოლის ადგილად ბანას ციხის ვიწრობები და იქვე, მდინარე ბანისწყლის ხეობაში მდებარე პატარა მინდორი, ე. წ. ვანის ვაკე შეარჩია. ქართველი სარდლის ეს არჩევანი ორი მოსაზრებით იყო განპირობებული: ა – ბანის ვიწრობებსა და ვანის ვაკის პატარა მინდორზე ბრძოლის გამართვის შემთხვევაში, თურქმანები თავიანთი მრავალრიცხოვანი ლაშქრის მთელი ფრონტით გაშლას ვერ მოახერხებდნენ და მათი რიცხობრივი უპირატესობაც მთლიანად განეიტრალდებოდა; აა – იმ შემთხვევაში, თუ ქართველებსა და თურქმანებს შორის ბრძოლა ბანას ციხის ახლოს გაიმართებოდა, მაშინ თურქმანების ზურგში ავტომატურად აღმოჩნდებოდა ბანას ქართული გარნიზონი. მოწინააღმდეგის ლაშქრის საბრძოლო წყობაზე მათ შეეძლოთ რამდენიმე ლოკალური, თუმცა ეფექტური დარტყმა.

ბრძოლა ქართველთა იერიშით დაიწყო. მართალია, ყვარყვარე ჯაყელის მოლაშქრეებმა იოლად დაამარცხეს თურქმანთა მოწინავე რაზმები, მაგრამ ეს წარმატება ეფექტური ვერ გამოდგა. საბრძოლველად შერჩეული ტერიტორია მეტისმეტად მცირე ზომისა იყო, ამიტომ თურქმანთა მოწინავეებსა და მათ ძირითად ლაშქარს შორის დისტანცია თითქმის არ არსებობდა. შესაბამისად, უკუქცეულ მეწინავეებს უკნიდან ძირითადი ლაშქარი აწვებოდა, გაქცევის საშუალებას არ აძლევდა და ისევ ბრძოლაში აბრუნებდა. ახლა ყველაფერს ცალკეული ხელჩართული ორთაბრძოლები წყვეტდა. ბრძოლის ამ კომპონენტში ქართველი მხედრები ბევრად უფრო დახელოვნებულნი აღმოჩნდნენ და ომის სასწორიც თანდათანობით ყვარყვარე ჯაყელის ლაშქრისაკენ გადმოიხარა. ორთაბრძოლებისას თავი განსაკუთრებით ისახელა უცნობმა ქართველმა აზნაურმა, რომელმაც ხმლის ერთი მოქნევით მუზარადით დაცული თავი გაუპო თურქმან მეომარს, ხოლო მეორე მოქნევით შუაზე გაკვეთა თურქმანთა სარდლის – ონხანის პირად ამალაში შემავალი ერთ-ერთი მოლაშქრე.

ქართველებსა და თურქმანებს შორის ხელჩართული ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. საბოლოოდ, უკანასკნელთ თანდათან დათმეს საბრძოლო პოზიციები და უწესრიგოდ გაიქცნენ ციხე-ქალაქ ოლთისისაკენ. ბრძოლა მოგებული იყო. ბანას ციხე დაცემას გადაურჩა. ქართველმა მოლაშქრეებმა უამრავი ტყვე და დიდძალი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელთ. ყვარყვარე ჯაყელის დანაკარგები უმნიშვნელო იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა ბანას მიდამოებში სასტიკად დაამარცხეს მტერი, ტაოს მთავარი ციხე-ქალაქი, ოლთისი, კვლავ თურქმანთა ხელში დარჩა. ამ ამოცანის გადასაჭრელად, ყვარყვარე ჯაყელმა საგანგებოდ შეკრიბა ოპერატიული საბრძოლო ლაშქარი, რომელსაც საკუთარი შვილიშვილები, ახალგაზრდა სარდლები – ივანე და სარგის ჯაყელები ჩაუყენა სათავეში. რამდენიმე მცირე ბრძოლაში მათ ზედიზედ დაამარცხეს თურქმანები, ბოლოს კი მოულოდნელი იერიშით აიღეს ციხე-ქალაქი ოლთისი. ამის შემდეგ მათ ოლთისისწყლის ზემო წელზე მდებარე ბულათყურის ციხეც წაართვეს თურქმანებს და მოთარეშე რაზმებისაგან მთლიანად გაწმინდეს ტაოს ტერიტორია.

**ანალიზი.** საბრძოლო ოპერაციები წარიმართა წინასწარ შეფასებული ვითარებისა და იმ დროისთვის კარგად შედგენილი გეგმის მიხედვით. ამან ქართველებს ამოცანების წარმატებით შესრულების საშუალება მისცა. აღნიშნულ ბრძოლებში გამოვლინდა როგორც ქართველი მხედართმთავრების სამხედრო ოსტატობა, ისე მებრძოლთა ინდივიდუალური საბრძოლო ხელოვნების მაღალი დონეზეც. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ მასალებში ციხესიმაგრეთა აღება კონკრეტულად არაა აღწერილი, საბრძოლო პრაქტიკიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველებს კარგად ჰქონდათ ათვისებული მათი აღების ხერხები.

**შედეგი.** შანშე მხარგრძელისა და ყვარყვარე ჯაყელის მიერ მომთაბარე თურქებისა და თურქმანების განადგურებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამხრეთი პროვინციების სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის. გარდა ამისა, ეს გამარჯვებები მთელ მახლობელ აღმოსავლეთს ამცნობდა, რომ ხვარზმელებსა და მონღოლებთან კატასტროფული მარცხის მიუხედავად, საქართველო კვლავ მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ ძალად რჩებოდა რეგიონში. მას შეეძლო ძველებური წარმატებით აღეკვეთა მეზობელი მაჰმადიანური გაერთიანებებიდან მომავალი ნებისმიერი საფრთხე.

## §30. კოხტასთავის შეთქმულება

საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან შექმნილი ვითარებისაგან განსხვავებით, გაცილებით რთული მდგომარეობა იყო ჩრდილოეთ ირანში, სადაც მონღოლები სისხლისმღვრელ ბრძოლებს ატარებდნენ ასასინების წინააღმდეგ. ამ გაჭიანურებულ სამხედრო ექსპედიციებში მონღოლებთან ერთად ქართული სამხედრო შენაერთებიც მონაწილეობდნენ, რომლებსაც დიდი დანაკარგები ჰქონდათ მათთვის არაფრისმომცემ ამ ომში.

1246 წელს ასასინების წინააღმდეგ მიმართული გაუთავებელი ლაშქრობებით შეწუხებული ქართველი სარდლები კოხტასთავის მთის მიდამოებში შეიკრიბნენ. კრებას ესწრებოდნენ: პირველი დუმნის თავი ეგარსლან ბაკურციხელი; მეექვსე დუმნის თავი ცოტნე დადიანი; მესამე დუმნის თავი და მსახურთუხუცესი ვარამ გაგელი; მეჭურჭლეთუხუცესი და სამცხის ერისთავი ყვარყვარე ჯაყელი; მეხუთე დუმნის თავი და ზემო ჯავახეთის ერისთავი გამრეკელ თორელი; მეშვიდე დუმნის თავი და რაჭის ერისთავი კახაბერისძე; ჰერეთის ერისთავი შოთა კუპარი; ოდიშის ერისთავი ბედან დადიანი; ქვემო ჯავახეთის ერისთავი სარგის თმოგველი; კახელი სარდალი თორღვა პანკელი და სხვები.

კოხტასთავის შეკრებაზე ქართველმა სარდლებმა გადაწყვიტეს, ავჯანყება მოეწყოთ მონღოლების წინააღმდეგ და საბოლოოდ გათავისუფლებულიყვნენ მათი ბატონობისაგან. შეთქმულებმა ლაშქრის შეკრების დრო და ადგილი დათქვეს. თავყრილობა ყველაზე ადრე დატოვეს სარდლებმა: ცოტნე დადიანმა, ბედან დადიანმა და რაჭის ერისთავმა კახაბერისძემ.

ქართველი სარდლების კოხტასთავის მიდამოებში შეკრების ამბავმა მონღოლთა ყურამდე მიაღწია. ორი ნოინი, ბიჩო და ანგურგი, თავიანთი ლაშქრით სასწრაფოდ მივიდნენ კოხტასთავს და ჯერ კიდევ იქ მყოფი ქართველი სარდლები დაატყვევეს. შეთქმულები მათ ანისში ჩაიყვანეს, გააშიშვლეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და თაკარა მზის გულზე დასხეს.

ამასობაში ცოტნე დადიანმა საკუთარი ლაშქრით გადმოიარა ზეკარის უღელტეხილი და იმერეთ-სამცხის საზღვარზე დაბანაკდა. აქ მან შეიტყო შეთქმულების გამჟღავნებისა და ქართველი სარდლების დატყვევების ამბავი. უზომოდ შეწუხებულმა სარდალმა ლაშქარი დაუყოვნებლივ უკან გაგზავნა, ორ თანმხლებთან ერთად ჩავიდა ანისში, თავადაც გაშიშვლდა და მზის გულზე მსხდომ ქართველ სარდლებს გვერდით მიუჯდა.

როცა მონღოლმა ნოინებმა ეს ამბავი შეიტყვეს, დადიანს უხმეს და კოხტასთავის შეკრების მიზეზი დაწვრილებით გამოჰკითხეს. ცოტნემ შეთქმულების ფაქტი კატეგორიულად უარყო და ქართველი სარდლების შეკრების მიზეზად დაასახელა მონღოლებისათვის მისაცემი ხარკის აკრეფის უკეთ ორგანიზების საკითხები. მონღოლმა ნოინებმა, რომლებიც განცვიფრებული იყვნენ ცოტნე დადიანის თავდადებით, მისი მონათხრობი დაიჯერეს და ქართველები ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

**ანალიზი.** კოხტასთავის შეთქმულება საინტერესო კუთხით წარმოაჩენს ᲡᲛᲐᲛ საუკუნის ქართული სამხედრო უწყების უმაღლეს ეშელონს. ირკვევა, რომ ამ პერიოდის სარდლებს სამხედროს გარდა პოლიტიკური საქმიანობაც კარგად ეხერხებოდათ. საჭიროების შემთხვევაში, მათ არა მხოლოდ სამხედრო შეთქმულება შეეძლოთ მოეწყოთ საერთო მტრის წინააღმდეგ, არამედ პოლიტიკური გამოსავალიც მოეძებნათ, მისი ჩავარდნის შემთხვევაში.

კოხტასთავის შეთქმულებამ, ცოტნე დადიანის მაგალითმა აჩვენა, რომ ᲡᲛᲐᲛ საუკუნის ქართველ სარდლებს შორის არსებობდნენ უდიდესი ზნეობის ადამიანები, რომელთა თავგანწირვა მოყვასისადმი მისაბაძი მაგალითი იქნებოდა მომავალი თაობებისათვის.

## §31. დუმნების სისტემის გაუქმება და სამეფო ხელისუფლების აღდგენა საქართველოში

ᲡᲛᲐᲛ საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი დუმნის თავი ეგარსლან ბაკურციხელი, რომელიც მონღოლი ნოინების დიდი ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობდა. მისი გავლენა თანდათან გავრცელდა მთელ საქართველოს სამეფოზე. ეგარსლან ბაკურციხელის მეტისმეტად გაძლიერებამ დიდად შეაშფოთა სხვა ქართველი სარდლები. მათ არ სურდათ, მათივე სოციალური წრიდან გამოსული სარდლის სამართავნი გამხდარიყვნენ და ამიტომ უმჯობესად მიიჩნიეს ქვეყანაში სამეფო ხელისუფლების აღდგენა.

საქართველოში სამეფო მმართველობის აღდგენის ინიციატორები იყვნენ: მანდატურთუხუცესი და მეორე დუმნის თავი შანშე მხარგრძელი; მსახურთუხუცესი და მესამე დუმნის თავი ვარამ გაგელი; მეჭურჭლეთუხუცესი და სამცხის ერისთავი ყვარყვარე ჯაყელი; მეოთხე დუმნის თავი და ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი; მეხუთე დუმნის თავი და ზემო ჯავახეთის ერისთავი გამრეკელ თორელი; ქვემო ჯავახეთის ერისთავი სარგის თმოგველი და სხვანი.

სამეფო ტახტის მემკვიდრე, უფლისწული დავით რუსუდანის ძე, ამ დროისათვის კვლავინდებურად ყარაყორუმში, მანგუ ყაენის კარზე იმყოფებოდა და მის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. შექმნილ ვითარებაში ქართველმა სარდლებმა გაიხსენეს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მეფე გიორგი ⴃ ლაშას უკანონო ვაჟი, უფლისწული დავითი, რომელიც რუსუდან მეფეს რუმის სელჩუკთა სულთანთან, პრაქტიკულად, მოსაკლავად ჰყავდა გაგზავნილი.

ქართველი სარდლები, ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი, მონღოლი ნოინების ნებართვით, რუმის სასულთნოში გაემგზავრნენ და სასწაულებრივად გადარჩენილი უფლისწული დავით ლაშას ძე საქართველოში ჩამოიყვანეს. სამეფო ტახტის მემკვიდრეს, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდა და არავის გახსენებია, ახლა ქვეყნის მთელი სარდლობა ზარ-ზეიმით შეეგება. მათ შორის იყვნენ: შანშე მხარგრძელი; მისი ვაჟი – ზაქარია მხარგრძელი; ყვარყვარე ჯაყელი; გრიგოლ სურამელი; გამრეკელ თორელი; შოთა კუპარი და სხვანი. რუმის სასულთნოდან ჩამოყვანილ უფლისწულს დემონსტრაციულად არ ეახლა ეგარსლან ბაკურციხელი, რომელიც ხვდებოდა, რომ დავით ლაშას ძის ჩამოყვანა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისი გავლენის შეზღუდვას ისახავდა მიზნად.

მონღოლი ნოინები დავით ლაშას ძეს პატივით შეხვდნენ, თუმცა მისი გამეფების გადაწყვეტილება ვერ მიიღეს და უფლისწული სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად, დავით რუსუდანის ძის მსგავსად, ყარაყორუმში, მანგუ ყაენთან გაგზავნეს. დავით ლაშას ძეს ურდოში მცირე ამალა გაჰყვა. მასში შედიოდნენ ახალგაზრდა სარდლები: ზაქარია შანშეს ძე მხარგრძელი, აღბუღა ვარამის ძე გაგელი, გამოცდილი მოლაშქრე და დიდად განსწავლული მწიგნობარი სარგის თმოგველი და სხვანი.

დავით ლაშას ძე თავდაპირველად ჩრდილოეთისაკენ გაემართა, ოქროს ურდოში ჩავიდა და ბათო-ყაენს ეახლა. ამ უკანასკნელმა ზაქარია მხარგრძელი და აღბუღა გაგელი თავისთან დაიტოვა, დავით ლაშას ძე, სარგის თმოგველი და სხვები კი ყარაყორუმში, მანგუ ყაენთან გაგზავნა.

ურდოში ჩასულ უფლისწულს ყაენის კარზე საკუთარი მამიდაშვილი, დავით რუსუდანის ძე დახვდა, რომელსაც ახლდნენ მომხრეები: მეოთხე დუმნის თავისა და ქართლის ერისთავის – გრიგოლის ვაჟი, ბეგა სურამელი; მესხი ფეოდალი მურვან გურკელელ-მახუჯაგისძე; შანშე მანდატურთუხუცესის თანაშემწე ბეშქენ ამირეჯიბი და სხვანი. მანგუ ყაენის კარზე იმყოფებოდა ავაგ ათაბაგ-ამირსპასალარიც, რომელიც სხვებზე უფრო ადრე იყო ჩასული ურდოში.

ამგვარად, მანგუ ყაენის კარზე ერთდროულად აღმოჩნდა საქართველოს სამეფო ტახტის მაძიებელი ორი უფლისწული. მათგან ერთს, დავით ლაშას ძეს, მეფობა მამის ხაზით ეკუთვნოდა, მეორეს, დავით რუსუდანის ძეს – დედის ხაზით. ახლა ჯერი მანგუ ყაენზე იყო. მას უნდა გადაეწყვიტა, რომელი უფლისწულისათვის მიეცა საქართველოს სამეფო ტახტი. საკითხის განხილვა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

ამასობაში მანგუ ყაენმა თავის უმცროს ვაჟ ჰულაგუს 70 000 მეომარი მისცა და წინა აზიის დასაპყრობად გაგზავნა. მონღოლთა ჯარი ჩრდილო-დასავლეთ ირანში დაბანაკდა. აქ მას თავიანთი ლაშქრით შეუერთდნენ სამხრეთ კავკასიიდან მოსული მონღოლი ნოინები: ჩორმაღანი, იოსური, ბიჩო და ანგურაგი. ჰულაგუს, ნოინებთან ერთად, ეახლნენ ქართველი სარდლებიც, რომელთაც პირველი დუმნის თავი – ეგარსლან ბაკურციხელი მეთაურობდა. ჰულაგუმ ქართველი სარდლები დიდი პატივით მიიღო.

იმ დროს, როცა ჰულაგუ ყარაყორუმიდან ირანისაკენ მიემართებოდა, ურდოში მანგუ ყაენი გარდაიცვალა. დიდი ყაენის ტახტი მანგუს უფროსმა ვაჟმა – ყუბილაიმ დაიკავა. იმხანად ჯერ კიდევ ურდოში მყოფმა დავით ლაშას ძემ და დავით რუსუდანის ძემ საქართველოს სამეფო ტახტის საკითხის გადაჭრა ახლა ყუბილაი ყაენს სთხოვეს. სადავო საკითხის განხილვა თავიდან დაიწყო.

უფლისწულებმა ყაენს შესაბამისი არგუმენტები წარუდგინეს. საკითხის განხილვისას დავით ლაშას ძის მხარეს სარგის თმოგველი წარმოადგენდა. იგი ამტკიცებდა, რომ სამეფო ტახტი უნდა მიეღო არა დავით რუსუდანის ძეს, რომელსაც მეფობა დედის ხაზით ეკუთვნოდა, არამედ დავით ლაშას ძეს, რომელსაც ეს უფლება მამის ხაზით ჰქონდა მიღებული. დავით რუსუდანის ძის მომხრეები სარგის თმოგველის პოზიციას არ ეთანხმებოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ რუსუდანი ზუსტად ისეთივე თვითმპყრობელი მეფე იყო, როგორიც გიორგი ⴃ ლაშა; შესაბამისად, დავით რუსუდანის ძეს ზუსტად იგივე უფლება ჰქონდა საქართველოს სამეფო ტახტზე, რაც დავით ლაშას ძეს.

ამ დავაში ნეიტრალური პოზიცია ეკავა ათაბაგ-ამირსპასალარ ავაგ მხარგრძელს, რომელიც მანგუ ყაენმა სხვებზე ადრე გამოუშვა საქართველოში. იგი, მონღოლეთიდან დაბრუნებული, თავდაპირველად ჰულაგუს ეახლა, რომელსაც ამ დროისათვის უკვე ყაენის წოდება ჰქონდა მიღებული. ჰულაგუ ყაენმა ავაგ მხარგრძელი დიდი პატივით მიიღო, ყოველმხრივი მხარდაჭერა აღუთქვა და საქართველოში გამოგზავნა. ავაგ მხარგრძელს, რომელიც საქართველოს სამეფოს უმაღლესი სახელმწიფო მოხელე იყო, ქართველი სარდლები მიეგებნენ. მათ წინ უძღვოდნენ: მანდატურთუხუცესი და მეორე დუმნის თავი შანშე მხარგრძელი და პირველი დუმნის თავი ეგარსლან ბაკურციხელი.

ავაგთან შეხვედრისას ქართველი სარდლები, დადგენილი წესისამებრ, ცხენებიდან ჩამოხტნენ და ქვეითად მიეახლნენ ათაბაგ-ამირსპასალარს. ეს მხოლოდ ეგარსლან ბაკურციხელმა არ იკადრა. მისი საქციელით შეურაცხყოფილი დარჩა ავაგ მხარგრძელი. მან მათრახი გადაჰკრა პირველი დუმნის თავს და თანმხლებ ჯარისკაცებს ცხენიდან მისი ჩამოთრევა უბრძანა.

ეგარსლანს მონღოლი ნოინების ძველმა მხარდაჭერამ ვეღარ უშველა. ჰულაგუ ყაენის სახით, ავაგ მხარგრძელს ახლა გაცილებით ძლიერი მფარველი ჰყავდა. ათაბაგ-ამირსპასალარის მოქმედება მოიწონეს შანშე მხარგრძელმა და სხვა ქართველმა სარდლებმა, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ეგარსლან ბაკურციხელის აღზევებით. ამ უკანასკნელმა ავაგ მხარგრძელთან დაპირისპირების შემდეგ პირველი დუმნის თავის თანამდებობა დაკარგა და მალე საერთოდ გაქრა აქტიური ასპარეზიდან.

დაახლოებით, ამავე პერიოდში დიდმა ყაენმა საქართველოს მეფის საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ჰულაგუ ყაენს გადაუგზავნა და შესთავაზა: თუ საჭიროდ ჩათვლიდა, სამეფო ტახტზე ერთდროულად ორივე უფლისწული დაემტკიცებინა. დავით ლაშას ძე და დავით რუსუდანის ძე ირანში წავიდნენ. ჰულაგუმ დიდი ყაენის შეთავაზება უცვლელად აღასრულა და საქართველოს სამეფო ტახტზე ორივე უფლისწული დაამტკიცა.

ამ ფაქტს საქართველოს სამეფოს სარდლები დიდი სიხარულით შეხვდნენ. ისინი უფლისწულებს გზად მიეგებნენ და მათთან ერთად ჩამოვიდნენ თბილისში. მეფე დავით ᲪᲠ რუსუდანის ძეს ზედმეტ სახელად ნარინი, ხოლო დავით ᲪᲠᲠ ლაშა ძეს ულუ ეწოდა.

**შედეგი.** სამეფო ხელისუფლების აღდგენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოსათვის: მონღოლი ნოინების შემოღებული დუმნების სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა გაუქმდა. ქართველმა სარდლებმა უმაღლესი ძალაუფლება სამეფო კარს დაუბრუნეს და ქვეყანაში სამხედრო უწყების დროებითი მმართველობაც საბოლოოდ დასრულდა.

## §32. ქართველი მხედრები ბაღდადისათვის ბრძოლაში

1256 წელს მონღოლებმა ბაღდადის ხალიფას წინააღმდეგ გაილაშქრეს. ჰულაგუ ყაენი აღმოსავლეთიდან მიადგა ბაღდადს, რომელიც იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი იყო. 12 დღის განმავლობაში მონღოლები განუწყვეტლივ უტევდნენ ბაღდადს. მათი ლაშქრის ერთმა ნაწილმა მდინარე ტიგროსი გადალახა, მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და დასავლეთიდანაც მიიტანა იერიში ქალაქის გარნიზონზე. ჰულაგუ ყაენი მონღოლთა ლაშქრის ძირითად დანაყოფებთან ერთად ტიგროსის მარცხენა ნაპირზე იყო დაბანაკებული. იქვე იმყოფებოდა დავით ულუ, ქართველ სარდლებსა და ჯარისკაცებთან ერთად.

ომის მეთორმეტე დღეს ჰულაგუ ყაენმა ქალაქზე შეტევა ქართველ მხედრებს დაავალა. დავით ულუ ბაღდადს აღმოსავლეთიდან მიადგა და ქართული სამხედრო შენაერთები ორ ნაწილად გაყო. ლაშქრის ძირითადმა ნაწილმა გაიფთრებული იერიში მიიტანა ბაღდადის კედლებზე. ამასობაში ქართველი მეომრების მეორე, შედარებით მცირერიცხოვანმა რაზმმა, ლაშქრის ძირითადი ნაწილის იერიშების საფარქვეშ ქალაქის გალავნის ერთ-ერთი მონაკვეთის ძირის გამოთხრა დაიწყო. ბაღდადის გარნიზონმა ხელის შეშლა სცადა, თუმცა დავით ულუს მოლაშქრეებმა მაინც მოახერხეს და ძირგამოთხრილი კედელი ზათქით ჩამოიქცა. ქართველი მხედრები ბაღდადში შეიჭრნენ, მათ უკან მონღოლები მიჰყვნენ. მცირე ხნის შემდეგ ქალაქი ჰულაგუ ყაენის მოლაშქრეების ხელში აღმოჩნდა. ბაღდადის ხალიფა, რომელიც მთელი მაჰმადიანური სამყაროს უმაღლეს სასულიერო პირად ითვლებოდა, შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. დავით ულუს ჯარისკაცებმა ბაღდადში დიდძალი ალაფი იგდეს ხელთ.

**ანალიზი.** ბაღდადის აღება საქართველოს სამხედრო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ფურცელია. ეს ფაქტი ნათლად აჩვენებს, რომ ᲪᲠᲠ საუკუნის ქართველი მხედრები ჩინებულად იყვნენ განსწავლულნი კარგად გამაგრებული ქალაქის აღების საბრძოლო ტაქტიკაში. ისინი იშვიათი ოსტატობით ახერხებდნენ გალავნისათვის ძირის გამოთხრას და, კედლის ჩამოქცევის შემდეგ, ელვისებური სისწრაფით იჭრებოდნენ ქალაქში. მონღოლები ქართველი მხედრების ამ საბრძოლო გამოცდილებას კარგად იცნობდნენ, ამიტომ ბაღდადის აღების ურთულესი სამხედრო მისიაც სწორედ დავით ულუს მოლაშქრეებს დაავალეს.

## §33. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლა და ქართველი მხედრები ევფრატის ბრძოლაში

1250-იანი წლების მეორე ნახევარში ჰულაგუ ყაენმა ღიად გამოავლინა კეთილგანწყობა დავით ულუსადმი და დაიახლოვა იგი. სამაგიეროდ, მან ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა დავით ნარინს და ბოლოს დააპატიმრა კიდეც. ამ უკანასკნელმა მოახერხა ტყვეობიდან თავის დახსნა და დასავლეთ საქართველოში გაიქცა. აქ მას მხარდამჭერებად ეგულებოდნენ ლიხთიმერელი ფეოდალები, რომლებთანაც მეფეს ჯერ კიდევ იმ დროიდან ჰქონდა ახლო ურთიერთობები, როცა ის დედასთან ერთად ქუთაისს აფარებდა თავს.

დასავლეთ საქართველოსაკენ წასულ დავით ნარინს თან ახლდა ორი ახალგაზრდა სარდალი: მანდატურთუხუცესის თანაშემწე – ამირეჯიბი ბეშქენი და ქართლის ერისთავ გრიგოლის ვაჟი – ბეგა სურამელი. ქუთაისში ჩასულ მეფეს სიხარულით შეხვდნენ ლიხთიმერელი სარდლები. მათ დავით რუსუდანის ძე დასავლეთ საქართველოს მეფედ გამოაცხადეს და მის ერთგულებაზე ფიცი დადეს. დავით ულუ ამ ამბავს საკმაოდ მშვიდად შეხვდა და თავისი ძალაუფლება აღმოსავლეთ საქართველოზე კიდევ უფრო განამტკიცა.

ამრიგად, 1259 წელს საქართველოს სამეფო, ფაქტობრივად, ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა. ლიხთიმერეთს დავით ნარინი მართავდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს – დავით ულუ. ქვეყნის ორად გახლეჩის საფუძველი ოყო მონღოლთა მზაკვრული გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც საქართველოს სამეფო ტახტი ერთდროულად ორმა უფლისწულმა დაიკავა. ამ გადაწყვეტილებით, ჰულაგუ ყაენმა ძირი გამოუთხარა ერთიან ძლიერ ქართულ სახელმწიფოს და ხელი შეუწყო მის დაშლას შედარებით უფრო მცირე და სუსტ პოლიტიკურ ერთეულებად. ამ ამოცანის განხორციელებაში მონღოლებს, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელი შეუწყეს ლიხთიმერელმა სარდლებმა, რომლებმაც დავით ნარინი დასავლეთ საქართველოს მეფედ გამოაცხადეს.

ალამუთის, ხორასნისა და ბაღდადის დალაშქვრის შემდეგ ჰულაგუ ყაენმა დასავლეთის მიმართულებით გააფართოვა ლაშქრობების გეოგრაფიული არეალი და 1260 წელს სირიისაკენ გაემართა. აქ მონღოლთა სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები აშკარად დაეჯახა ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოს ინტერესებს. სულთანმა მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეკრიბა და მონღოლების შესახვედრად მდინარე ევფრატისაკენ დაიძრა. მონღოლებმა მდინარეს პირველებმა მიაღწიეს. მათ სწრაფად გადალახეს ევფრატი და მის მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ. ამასობაში ეგვიპტელებიც გამოჩნდნენ.

მონღოლთა და ეგვიპტელთა ჯარები საომრად განლაგდნენ. ჰულაგუ ყაენმა წინამბრძოლად დავით ულუ და ქართველთა სამხედრო შენაერთები განაწესა. ომი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. მართალია, ქართველმა მხედრებმა იოლად დაამარცხა მოწინააღმდეგის მოწინავე რაზმები, მაგრამ ბრძოლა მაინც საკმაო ხანს გაგრძელდა. ორივე მხარემ დიდი დანაკარგი მიიღო. ბოლოს მონღოლებმა იძალეს და ეგვიპტელები ბრძოლის ველიდან გააქციეს. გამარჯვება ჰულაგუ ყაენს დარჩა.

**ანალიზი.** ევფრატთან ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სამხედრო საქმის ისტორიისათვის. ჰულაგუ ყაენმა თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრის წინამბრძოლებად ქართველები პირველად სწორედ ამ ბრძოლაში განაწესა. ამ დროიდან მოყოლებული, ქართული სამხედრო შენაერთები ათწლეულობის განმავლობაში, ტრადიციულად, მონღოლთა ლაშქრის საბრძოლო განლაგებაში წინამბრძოლის პოზიციას იკავებდნენ და მოწინააღმდეგეზე პირველი დარტყმაც მათ მიჰქონდათ.

ჰულაგუ ყაენის მიერ წინა აზიაში წამოწყებულ სამხედრო ექსპედიციებში დავით ნარინი არ მონაწილეობდა. იგი ძნელად მისადგომ დასავლეთ საქართველოში იყო გამაგრებული და მონღოლებს აღარ ემორჩილებოდა. მას ექვემდებარებოდა ლიხთიმერეთის სხვადასხვა პროვინციიდან გამოყვანილი ლაშქარი, რომელსაც სათავეში გამოცდილი სარდლები ედგნენ. თავისი მეფობის პერიოდში დავით ნარინს მონღოლებისათვის არც ერთი ლიხთიმერელი მებრძოლი არ გაუგზავნია, რის გამოც დასავლეთ საქართველოს ლაშქარს, აღმოსავლეთ საქართველოს მხედრობისაგან განსხვავებით, მონღოლთა გაუთავებელი ომების გამო დანაკარგი არ ჰქონია.

## §34. ტაშისკარი-შინდარას ბრძოლები და ციხისჯვარის დაცვა

1261 წელს დიდმა ყაენმა ყუბილაიმ ჰულაგუ ყაენს ილხანის ტიტული უბოძა. ამ დროიდან იგი ოფიციალურად გამოცხადდა მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ახალი მონღოლური სახელმწიფოს მეთაურად. ჰულაგუ ყაენს უშუალოდ ექვემდებარებოდა თუ მისი გავლენის სფეროში შედიოდა: ირანი, ავღანეთი, ერაყი, კავკასია, მცირე აზია და სხვა. ამ უზარმაზარ გაერთიანებას ილხანთა სახელმწიფოც ეწოდებოდა. მას დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა როგორც ეგვიპტის სასულთნოსთან, ასევე შავი ზღვის, კავკასიონის ქედისა და კასპიის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მეორე დიდ მონღოლურ სახელმწიფოსთან, რომელიც ოქროს ურდოს სახელით იყო ცნობილი.

1261 წელს მონღოლებმა მეორე დიდი ლაშქრობა დაიწყეს ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ. ჰულაგუ ყაენმა სამხედრო ექსპედიციაში წასვლა დავით ულუსაც უბრძანა. მონღოლთა გაუთავებელი ლაშქრობებით შეწუხებული მეფე შეჭოჭმანდა. თავდაპირველად მან შეკრიბა სამხედრო შენაერთები

და მონღოლთა ჯართან შესაერთებლად გაემართა, თუმცა შემდეგ, ჯავახეთში მისულმა, მოულოდნელად შეცვალა გადაწყვეტილება და ლაშქრობაზე უარი თქვა.

ამ დროს დავით ულუსთან იმყოფებოდნენ სახელოვანი ქართველი სარდლები: მანდატურთუხუცესი ივანე შანშეს ძე მხარგრძელი, ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი, ზემო ჯავახეთის ერისთავი კახა თორელი და სხვები. მეფემ, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ ამ საქციელით ჰულაგუ ყაენის რისხვას დაიტეხდა თავს, დიდსულოვნად გაუწია ანგარიში თავის მოლაშქრეებს და თავისუფალი არჩევანის ნება მისცა. ქართველმა სარდლებმა მონღოლებთან წასვლის გადაწყვეტილება მიიღეს და, სამხედრო შენაერთებთან ერთად, ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართნენ.

ჯავახეთში მდგომმა დავით ულუმ თავისი გადაწყვეტილება სამცხის ერისთავს – სარგის ჯაყელს ამცნო და თანადგომა სთხოვა. ეს უკანასკნელი სიხარულით შეხვდა მეფის გადაწყვეტილებას და იგი სამცხეში ისტუმრა. მეფემ თავისი საბრძოლო დანაყოფები შინ გაისტუმრა, თავად კი, მცირერიცხოვან ამალასთან ერთად, მთელი ზაფხული სამცხეში გაატარა.

ამასობაში ჰულაგუ ყაენმა რამდენჯერმე სძლია ეგვიპტის სულთანს და გამოსაზამთრებლად სამხრეთ კავკასიაში დაბრუნდა. აქ მან დაწვრილებით გამოიკითხა დავით ულუს განდგომის მიზეზები და მის დასასჯელად გამოცდილი სარდალი არღუნ ოირიდი გამოგზავნა. ყაენმა მას 20 000 მონღოლი ჯარისკაცი დაუქვემდებარა. გარდა ამისა, აღნიშნულ ლაშქრობაში მონაწილეობა დაევალათ ეგვიპტური ლაშქრობიდან ახლადდაბრუნებულ ქართველ სარდლებსაც.

იმავე ზამთარში არღუნმა გამოიარა განძა, ქვემო ქართლი და თბილისში დაბანაკდა. აქ მას საკუთარი სამხედრო შენაერთებით ქართველი სარდლებიც შეუერთდნენ და მთელი ჯარი, შიდა ქართლის გავლით, სამცხისაკენ დაიძრა. არღუნის თბილისში დაბანაკების შემდეგ დავით ულუმ მომხრეები შემოიკრიბა. მისი ლაშქრის რაოდენობამ, რომელიც ძირითადად სამცხიდან, შავშეთიდან და კლარჯეთიდან გამოსული ჯარისკაცებისაგან შედგებოდა, 8 000-ს მიაღწია. მეფემ ამ მცირერიცხოვან ჯარს სათავეში სარგის ჯაყელი ჩაუყენა.

ამასობაში არღუნ ოირიდმა სამცხის საზღვარს მოაღწია და სურამ-შინდარის მიდამოებში დაბანაკდა. აქედან უკვე ბორჯომის ვიწრო ხეობა იწყებოდა, რომელიც სარგის ჯაყელის ხელში იყო. არღუნ ოირიდმა თავისი ლაშქრიდან წინამბრძოლად გამოყო 6 000 ჯარისკაცისაგან შემდგარი საბრძოლო დანაყოფი და ბორჯომის ხეობის ვიწრო შესასვლელის დაკავება უბრძანა.

6000 მონღოლი ტაშისკარს მიადგა, რომელიც ბორჯომის ხეობის ჩრდილოეთ შესასვლელთან მდებარეობს. ზუსტად ამავე დროს ტაშისკარის მიდამოებს მიაღწია სარგის ჯაყელის წინამბრძოლმა რაზმმაც, რომელიც 1500 ჯარისკაცისაგან შედგებოდა. მონღოლები ქართველების გამოჩენას მოუმზადებლები შეხვდნენ. ამით ისარგებლეს სარგის ჯაყელის მოლაშქრეებმა და ელვისებური იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე.

მიუხედავად იმისა, რომ არღუნ ოირიდის სამხედრო შენაერთი რიცხობრივად ხუთჯერ აღემატებოდა ქართველ წინამბრძოლთა რაზმს, შეტაკება მაინც მონღოლთა დამარცხებით დასრულდა. გადამწყვეტი ფაქტორი არა რიცხობრივი უპირატესობა, არამედ მოულოდნელობის ეფექტი და ქართველთა მხედრული სიმამაცე აღმოჩნდა. სარგის ჯაყელის წინამბრძოლებმა, პრაქტიკულად სრულად, გაანადგურეს მოწინააღმდეგის 8000-იანი სამხედრო შენაერთი.

მონღოლთა წინამბრძოლი რაზმის დაღუპვამ არღუნ ოირიდს თავზარი დასცა. ის მიხვდა, რომ სტრატეგიული უპირატესობა ახლა უკვე მთლიანად მოწინააღმდეგის ხელში იყო და, სრული განადგურებისაგან თავის დასაღწევად, უკან დახევის ბრძანება გასცა. ამ გადამწყვეტ მომენტში არღუნს ეახლნენ მასთან მყოფი ქართველი სარდლები და ბრძოლის გაგრძელება სთხოვეს. განსაკუთრებით აქტიურობდა ზემო ჯავახეთის ერისთავი კახა თორელი, რომელმაც სარგის ჯაყელის ლაშქრის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ოირიდს.

ქართველი სარდლებისაგან შეგულიანებულმა არღუნმა თავდაცვითი პოზიცია შინდარას გორაზე დაიკავა და ქართველების იერიშს დაელოდა. პირველი გამარჯვებით გალაღებულმა სარგის ჯაყელმა შეცდომა დაუშვა: ბორჯომის ხეობის ვიწროები დატოვა, გაშლილ ადგილას გამოვიდა და მონღოლებზე იერიში მიიტანა.

მონღოლებმა აქ უკვე ცნობილ ტაქტიკას მიმართეს: არღუნ ოირიდის ცხენოსანმა ლაშქარმა მოწინააღმდეგესთან პირველივე შეტაკებისას დატოვა ბრძოლის ველი და „გაიქცა“. ქართველები მოტყუვდნენ. მათ დაიჯერეს, რომ იოლად დაამარცხეს მოწინააღმდეგე, საბრძოლო წყობა დაშალეს და მტერს უკან დაედევნენ. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მონღოლთა „გაქცეული“ ლაშქარი მოულოდნელად შემობრუნდა. მონღოლებმა მომენტალურად აღადგინეს საბრძოლო წყობა და არეულ-დარეულ ქართველებზე მთელი ფრონტით მიიტანეს კონტრიერიში.

სარგის ჯაყელი მოვლენათა ასეთი განვითარებისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა და არღუნ ოირიდის სამხედრო ფანდს ვერაფერი დაუპირისპირა. ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო. ქართველები უწესრიგოდ გაიქცნენ. მტერი დაედევნა, ლაშქრის დიდი ნაწილი გაანადგურა, ერთი ნაწილი კი ტყვედ ჩაიგდო. მათ შორის იყო დავით ულუს ერთ-ერთი გამოცდილი სარდალი, მურვან გურკელელ-მახუჯაგისძე.

მონღოლებმა ქართველებს ახალდაბის ხიდამდე სდიეს, ამის შემდეგ ბორჯომის ხეობის ვიწროებში უფრო ღრმად შეჭრა ვეღარ გაბედეს და უკან გაბრუნდნენ. დამარცხებული სარგის ჯაყელი გადარჩენილი მოლაშქრეებით დავით ულუს ეახლა, რომელიც იმ დროს ბორჯომის ხეობის სამხრეთ შესასვლელთან ციხე-ქალაქ აწყურში იმყოფებოდა. მეტისმეტად მკაცრი ზამთრის გამო არღუნ ოირიდმა ლაშქრობის გაგრძელება მიზანშეუწონლად მიიჩნია, მიღწეული გამარჯვებით დაკმაყოფილდა და უკან გაბრუნდა.

ლაშქრის განადგურებით დამწუხრებულმა დავით ულუმ ჯერ სამცხეში გაატარა ზამთარი, შემდეგ შავშეთ-კლარჯეთში გადავიდა, ბოლოს საქართველოს სამეფოსა და ტრაპიზონის იმპერიის საზღვართან მდებარე ნიგალისხევს შეაფარა თავი. გაზაფხულის მიწურულს ჰულაგუ ყაენმა არღუნ ოირიდს ლაშქრობის გაგრძელება უბრძანა. ივნისში მონღოლთა ლაშქარი სამცხეში შემოიჭრა. არღუნთან ერთად იმყოფებოდნენ ის ქართველი სარდლებიც, რომლებიც მონღოლებს სარგის ჯაყელის დამარცხებაში ეხმარებოდნენ.

სამცხე დაუცველი აღმოჩნდა. ადგილობრივი ფეოდალების ნაწილმა გაქცევით უშველა თავს და დავით ულუსთან ერთად ნიგალისხევში ჩავიდა. ფეოდალების მეორე ნაწილს საკუთარი მამულების აოხრების შეეშინდა და პატიების თხოვნით ეახლა არღუნს. მონღოლებს არ დანებდა მხოლოდ სამცხისა და იმერეთის საზღვართან მდებარე ციხისჯვარი, რომელიც სარგის ჯაყელის საგვარეულო ციხესიმაგრე იყო.

არღუნი რამდენიმე დღის განმავლობაში უტევდა ამ მიუვალ ციხეს, თუმცა მისი აღება ვერ მოახერხა. ციხისჯვარი ჩინებულად იყო გამაგრებული. მისი გარნიზონი, თავდაცვის გარდა, კონტრიერიშებსაც ასრულებდა. ქართველი მეომრები, დღისით თუ ღამით, მოულოდნელად გამოიჭრებოდნენ ციხიდან, თავს ესხმოდნენ მონღოლებს, დიდად აზარალებდნენ და შემდეგ ისევ ციხეში ბრუნდებოდნენ.

როცა არღუნი დარწმუნდა, რომ ციხისჯვარს ვერ აიღებდა, მას ალყა მოხსნა და სამცხის აოხრებას შეუდგა. ამ დროს მონღოლებმა ახალი სამხედრო ექსპედიცია დაიწყეს ხორასანში და ჰულაგუ ყაენმა სასწრაფოდ გაიხმო არღუნი. მონღოლებმა, რომლებიც 20 დღის განმავლობაში აოხრებდნენ სამცხეს, ლაშქრობა შეწყვიტეს და ყაენს ეახლნენ.

არღუნის წასვლის შემდეგ დავით ულუ სამცხეში დაბრუნდა. აქ მან საკუთარი თვალით იხილა მონღოლთა ოცდღიანი თარეშის შედეგები და დარწმუნდა, რომ მოოხრებული სამცხე მტრის შემოტევებს ვეღარ გაუმკლავდებოდა. სარგის ჯაყელმა მეფეს დასავლეთ საქართველოში გადასვლა და დროებით იქ გაჩერება შესთავაზა. დავით ულუ ასეც მოიქცა და ქუთაისში ჩავიდა. იგი დიდი პატივით მიიღო ლიხთიმერეთის მეფე დავით ნარინმა და დასავლეთ საქართველოში დაცული სამეფო საგანძური შუაზე გაუყო.

**ანალიზი.** ტაშისკარი-შინდარას ბრძოლები და ციხისჯვარის დაცვა ᲩᲘᲘ საუკუნის ქართული სამხედრო ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. ტაშისკარის ომი იყო პირველი ბრძოლა, რომელშიც ქართულმა მხედრობამ სასტიკად დაამარცხა მონღოლები, რომლებიც ყველაზე მრისხანე სამხედრო ძალად ითვლებოდნენ მთელ იმდროინდელ აზიაში. გარდა ამისა, ციხისჯვარის წარმატებულმა დაცვამ აჩვენა, რომ ქართულ სამხედრო შენაერთებს შეეძლოთ გამაგრებული ქალაქების არა მხოლოდ ოსტატურად აღება, არამედ ალყაშემორტყმული ციხე-ქალაქების წარმატებულად დაცვაც.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მონღოლებთან მრავალწლიანი მჭიდრო სამხედრო კავშირის მიუხედავად, ქართველი სარდლები ბოლომდე მაინც არ იცნობდნენ ბრძოლის წარმოების მათეულ სტრატეგიასა და ტაქტიკას. ამის ნათელი მაგალითია შინდარას ომი, როცა სარგის ჯაყელმა ზუსტად ისეთივე შეცდომის გამო წააგო მონღოლებთან ბრძოლა, როგორითაც ნახევარი საუკუნის წინ მეფე გიორგი ᲘᲛ ლაშა დამარცხდა მონღოლი ნოინების – ჯებესა და სუბუდაის ლაშქართან.

## §35. შაბურანის ბრძოლა და ქართული მხედრობა

დავით ულუმ ლიხთიმერეთში რამდენიმე თვე დაყო. ამასობაში აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის მთლიანად მოიშალა ცენტრალიზებული მმართველობის სისტემა. ვეღარ ხერხდებოდა მონღოლებისათვის გასაგზავნი ხარკის აკრეფა. გაძნელებული იყო მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილე სამხედრო შენაერთების მობილიზაციის საქმეც. ამან საკმაოდ შეაშფოთა ჰულაგუ ყაენი და დავით ულუსთან დიპლომატიური მოლაპარაკებები დაიწყო.

ელჩების გაგზავნა-გამოგზავნის პროცესი დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ჰულაგუმ დავით ულუს მასთან ხლება მოსთხოვა და ღალატის შენდობას შეჰპირდა. ამავდროულად, ყაენი აცხადებდა, რომ დანაშაულს არ აპატიებდა სარგის ჯაყელს და, ადრე თუ გვიან, სიკვდილით დასჯიდა.

1262 წელს ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესი წარმატებით დასრულდა. დავით ულუ ყაენთან გაემგზავრა. მეფეს თან ახლდა სარგის ჯაყელი.

ჰულაგუმ დავით ულუ მკაცრად მიიღო და სახელდახელო სასამართლო გაუმართა. ყაენმა მეფეს შეახსენა, რომ გაუსაძლისი გაჭირვებისაგან იხსნა და საქართველოს სამეფო ტახტზე დასვა, ამის სანაცვლოდ კი მისგან დაუმორჩილებლობა და შეიარაღებული წინააღმდეგობა მიიღო. დავით ულუ საპასუხო სიტყვას ვერ პოულობდა... მოულოდნელად, სარგის ჯაყელმა განაცხადა, რომ მეფეს დაუმორჩილებლობისა და იარაღით გამოსვლისაკენ მან უბიძგა. ყაენი განრისხებული ისმენდა სამცხის ერისთავის სიტყვას. ამ დროს ჰულაგუს დარუბანდიდან მოსული მალემსრბოლი ეახლა და ოქროს ურდოს ყაენის – ბერქას თავდასხმის ამბავი ამცნო. ჰულაგუმ სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი. მან თან წაიყვანა დავით ულუ და სარგის ჯაყელიც.

ჰულაგუსა და ბერქას ჯარები ერთმანეთს შაბურანის ველზე შეხვდნენ. ბრძოლის წინ დავით ულუმ ჰულაგუს წინამბრძოლად განწესება სთხოვა. ყაენი დასთანხმდა და ქართველთა სამხედრო შენაერთებმა მონღოლთა ძირითადი ლაშქრის წინ დაიკავეს ადგილი. ჰულაგუმ თავისი ჯარის ერთი ნაწილი მარცხენა ფლანგზე, მეორე მარჯვენაზე გაგზავნა, თვითონ კი საკუთარი ლაშქრის ელიტარულ ნაწილებთან ერთად ცენტრში დადგა. ყაენის ბრძანებით, უშუალოდ მის წინ დაიკავა ადგილი სარგის ჯაყელმა.

ბრძოლა დავით ულუს მოწინავე სამხედრო შენაერთების შეტევით დაიწყო. ქართველების წინააღმდეგ ბერქა ყაენმა საგანგებოდ მომზადებული წინამბრძოლი რაზმები გამოგზავნა, რომლებსაც მისი ერთ-ერთი საყვარელი სარდალი ხელმძღვანელობდა. მონღოლი სარდლის დანახვამ ქართველი მხედრები შეაშფოთა, რადგან ამ მეომრის ორთაბრძოლაში დამარცხება შეუძლებელი იყო. საკუთარი მოლაშქრეების გასამხნევებლად ბერქას რჩეულ სარდალთან შებრძოლება თავად დავით ულუმ გადაწყვიტა.

როცა ქართველი და მონღოლი მოწინავეები ერთმანეთს მიუახლოვდნენ, დავით ულუმ ისარი მონღოლი სარდლის ცხენს სტყორცნა. მოწინააღმდეგე ცხენიდან გადმოვარდა. ქართველებისაკენ დიდი სისწრაფით მომავალი მონღოლი მოწინავეები მეთაურის გარეშე დარჩნენ. ამით კარგად ისარგებლეს ქართველებმა, დავით ულუს სარდლობით თავგანწირვით შეუტიეს ბერქას წინამბრძოლებს და მალე კიდეც გააქციეს ბრძოლის ველიდან.

ამის შემდეგ ჰულაგუსა და ბერქას ძირითადი ძალები ჩაერთნენ ბრძოლაში. ყაენმა წარმატებით განაგრძო დავით ულუს წყალობით მოპოვებული უპირატესობა და, გააფთრებული შეტაკების შემდეგ, ბერქას ლაშქარი ბრძოლის ველიდან გააქცია. ოქროს ურდოს ლტოლვილ ჯარს უკან ჰულაგუს მოლაშქრეები დაედევნენ. ბრძოლის ველზე ყველაფერი აირია.

გაქცეული მტრის დევნის დროს ჰულაგუ ყაენს პირადი ამალა მთლიანად შემოეფანტა და მხოლოდ ოთხი მცველის ამარა დარჩა. ამ დროს მის წინ აღმოჩნდა ბერქას მოლაშქრეების შვიდკაციანი რაზმი, რომელმაც დაუყოვნებლივ მიიტანა იერიში ყაენზე. ჰულაგუს ბედი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო, როცა საქმეში სარგის ჯაყელი ჩაერთო, რომელმაც სამ აზნაურთან ერთად თავგანწირვით შეუტია მოწინააღმდეგეს. იერიშის შედეგად, მტრის ოთხი ჯარისკაცი განგმირული დაეცა მიწაზე, დანარჩენმა სამმა გაქცევით უშველა თავს. ჰულაგუ ყაენი სიკვდილს გადაურჩა.

შაბურანის ველზე დამარცხებულმა ბერქა ყაენმა, ჯარის ნარჩენებთან ერთად, სწრაფად გაიარა დარუბანდის გადმოსასვლელი და ოქროს ურდოში დაბრუნდა. გამარჯვებული ჰულაგუ ყაენი ბარდავს მივიდა. ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცის გამო მან ყველა ბრალდება მოუხსნა დავით ულუსა და სარგის ჯაყელს და ძვირფასი საჩუქრებიც დაურიგა.

ჰულაგუმ განსაკუთრებით დაუფასა თავგანწირვა სარგის ჯაყელს. მას წინა აზიის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი – ქალაქი არზრუმი უბოძა. დავით ულუ ამით უკმაყოფილო დარჩა და ძალა არ დაუშურებია, რომ ყაენს გადაწყვეტილება შეეცვალა. ასე დარჩა სარგის ჯაყელი არზრუმის გარეშე. მეფის ამგვარმა უმადურმა საქციელმა იგი გაანაწყენა.

**ანალიზი.** შაბურანის ველზე გამართულ ბრძოლაში ქართველმა მხედრებმა განსაცვიფრებელი სიმამაცე გამოიჩინეს. ამ სისხლისმღვრელ შეტაკებაში მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს: როგორც პირველი დარტყმის შემსრულებელ სამხედრო ძალას, მათ ბადალი არ მოეძებნებოდათ მთელ იმდროინდელ აღმოსავლეთში. ქართული მხედრობის პირველ იერიშს ვერ უძლებდნენ მცირე აზიიდან თუ სირიიდან მოსული თურქები, ეგვიპტის სულთნის სახელოვანი მეომრები, ოქროს ურდოს მონღოლი ჯარისკაცები. შაბურანის ველზე გამართული ბრძოლა ქართული ლაშქრის უბადლო სამხედრო ნიჭის ბრწყინვალე დადასტურება იყო.

## §36. ალათემურის სამხედრო რეიდი საქართველოში

1263 წლის ახლო ხანებში მცირე აზიაში მდგომი ერთ-ერთი მონღოლური ტომი ჰულაგუს აუჯანყდა და ბერქა ყაენთან გაქცევა გადაწყვიტა. ამბოხებულებს ხელმძღვანელობდა სახელოვანი სარდალი ალათემური. ლტოლვილი მონღოლები საკუთარი ოჯახებით საქართველოსაკენ დაიძრნენ

და კოლას პროვინციაში შემოვიდნენ. ჰულაგუ ყაენმა ალათემურის დასასჯელად მონღოლთა სამხედრო შენაერთები გამოგზავნა. თუმცა, კოლაში მოსვლამდე, ალათემური თორმეტჯერ შეებრძოლა მდევარს და თორმეტჯერვე დაამარცხა.

კოლადან ალათემური მტკვრის ხეობას დაღმა დაუყვა და არტაანში მივიდა. აქ მან შეიპყრო სანადიროდ მყოფი ქართველი სარდალი მურვან გურკელელ-მახუჯაგისძე და გზის მასწავლებლად წაიმძღვარა. მურვანმა მონღოლები სამცხეში შეიტყუა და ფარულად ამბავი შეატყობინა ქართველ სარდლებს: სამცხის ერისთავ სარგის ჯაყელს, ქვემო ჯავახეთის ერისთავ სარგის თმოგველსა და მესხ ფეოდალ შალვა ბოცოსძეს. გურკელელ-მახუჯაგისძე მათ ალათემურისათვის გზის მოჭრას, დატყვევებასა და ჰულაგუსათვის გაგზავნას სთავაზობდა.

ქართველმა სარდლებმა საბრძოლო დანაყოფები შეკრიბეს და ალათემურისაკენ დაიძრნენ. მონღოლები მიხვდნენ, რომ საფრთხე ემუქრებოდათ, გურკელელ-მახუჯაგისძეს თავი დაანებეს და ჯავახეთისაკენ დაიძრნენ. მურვანმა სასწრაფოდ შეკრიბა რაზმი და ალათემურს უკან დაედევნა. მონღოლებს გზა სარგის თმოგველის სამხედრო შენაერთებმა გადაუჭრეს. ალათემურმა მოწინააღმდეგესთან შებრძოლება უაზროდ ჩათვალა, გვერდი აუარა სარგის თმოგველს და სხვა გზით გააგრძელა სვლა თრიალეთისაკენ.

ამასობაში ჯავახეთში სარგის ჯაყელისა და შალვა ბოცოსძის ლაშქარიც მოვიდა, თუმცა მათ გზა აერიათ და სულ სხვა მიმართულებით წავიდნენ. ახლა ალათემურს მხოლოდ მურვან გურკელელ-მახუჯაგისძე მისდევდა, რომელსაც მცირერიცხოვანი რაზმი ახლდა.

ქართველი სარდალი მალე წამოეწია მონღოლებს და, მტრის რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, იერიში მიიტანა მის არიერგარდზე. ალათემურის ძირითადი სამხედრო შენაერთები შემობრუნდნენ და ბრძოლაში ჩაებნენ. სამცხე-ჯავახეთის ლაშქარი, რომელიც სულ სხვა მიმართულებით მოძრაობდა, ქართველებს ვეღარ მიეშველა და მურვან გურკელელ-მახუჯაგისძე სასტიკად დამარცხდა.

ალათემურმა გზა აღმოსავლეთისაკენ განაგრძო, ბრძოლებით გაიარა ჯავახეთი, თრიალეთი, ქვემო ქართლი და რუსთავთან მტკვარი გადალახა. აქედან მონღოლებმა ისე გადაკვეთეს მთელი კახეთ-ჰერეთი, რომ ქართველებმა მისი შეჩერება ვერ მოახერხეს. ალათემური კახეთ-ჰერეთიდან ბელაქნის გზით გადავიდა დაღესტანში, სასტიკად დაამარცხა მისი ლაშქარი, ოქროს ურდოში ჩავიდა და ბერქა ყაენს ეახლა.

**ანალიზი.** ალათემურის სამხედრო რეიდს მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია ქართული სამხედრო საქმის ისტორიაში. მიუხედავად ამისა, მასზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ამ დროისათვის საქართველოს სამეფოს სამხედრო ძლიერება დაქვეითებული იყო, რისი ძირითადი მიზეზიც ქვეყნის ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობის სისუსტე, ქართველი სარდლების შეუთანხმებელი მოქმედება იყო. სწორედ ამ ნაკლოვანებებისა და საკუთარი ლაშქრის მხედრული შემართების წყალობით შეძლო ლტოლვილმა ალათემურმა საქართველოს სამეფოს ტერიტორიის დიაგონალურად გადაკვეთა და ქართველებთან ყველა ბრძოლის მოგება.

## §37. ბრძოლები თეგუდარისა და ბარახა ყაენის წინააღმდეგ

1270 წელს აბაღა ყაენის წინააღმდეგ აჯანყდა შუა აზიაში მდებარე ჩაღათაელთა სახელმწიფოს მმართველის, ბარახა ყაენის ძმა, სახელოვანი მონღოლი სარდალი თეგუდარი. იგი სომხეთში მომთაბარეობდა თავის ლაშქართან ერთად. აბაღა ყაენმა აჯანყებულის წინააღმდეგ დამსჯელი ლაშქარი გამოგზავნა. თეგუდარი 10 500 მეომრითა და მრავლრიცხოვანი დედაწულით შავშეთს მივიდა. აქედან ის გეგმავდა ჯერ ლიხთიმერეთში, შემდეგ ჩრდილო კავკასიასა და ოქროს ურდოში გადასვლას.

შავშეთში დაბანაკებულმა თეგუდარმა დასავლეთ საქართველოსაკენ მიმავალი გზის გახსნა და დავით ნარინთან შუამდგომლობა სარგის ჯაყელს სთხოვა. ამ უკანასკნელმა არ უღალატა აბაღა ყაენს და სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი. მცირე ხნის შემდეგ სარგის ჯაყელის ლაშქარს შეუერთდნენ მანდატურთუხუცესი ივანე მხარგრძელი და აბაღა ყაენის ერთგული ნოინები, თავიანთი სამხედრო შენაერთებით. სარგის ჯაყელმა, რომელიც ამ დროისათვის მოხუცებული იყო, ქართველ-მონღოლთა გაერთიანებულ ლაშქარს სირმონ ნოინი – გამოცდილი მონღოლი სარდალი ჩაუყენა სათავეში. ჯარი შავშეთის აღმოსავლეთით, არტაანში დაბანაკდა.

თეგუდარმა თავისი დედაწული შავშეთის მიუდგომელ ხეობაში დააბინავა, საკუთარი ლაშქრით არსიანის ქედი გადალახა და სამცხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ყველისხევის გაშლილ ფერდობებზე დაბანაკდა. ამასობაში არტაანიდან აქ გადმოვიდნენ სირმონ ნოინის სამხედრო შენაერთებიც. მოწინააღმდეგეებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა დაიწყო. დაპირისპირება, რომელსაც ათასობით მეომარი შეეწირა, სირმონის გამარჯვებით დასრულდა. თეგუდარმა ბრძოლის ველი დატოვა, არსიანის ქედი უკანვე გადაიარა და თავის დედაწულთან ერთად შავშეთის მიუვალ ხეობებში გამაგრდა.

სირმონ ნოინი თეგუდარის კვალს მიჰყვა, თუმცა ამ უკანასკნელის თავდაცვითი ხაზის გარღვევა ორი დღის განმავლობაში ვერ შეძლო. გასაჭირში ჩავარდნილმა თეგუდარმა უცნაური გამოსავალი მოძებნა: მან თავისი მეომრები და დედაწული მანამდე უვალი გზებით გააპარა აჭარისა და ნიგალისხევისაკენ. ლტოლვილი მონღოლების გზა მეტად მძიმე გამოდგა. მარტო 1000 მეომარი, თავის დედაწულთან ერთად, აჭარისწყლის ხეობაში გაანადგურა მოულოდნელად ჩამოწოლილმა მეწყერმა. ბოლოს თეგუდარის ლაშქარ-დედაწულის ნარჩენებმა აჭარა და ნიგალისხევი გაიარეს, გურიაში ჩავიდნენ და აქედან ქუთაისში ეახლნენ დავით ნარინს.

ლიხთიმერეთის მეფე ხვდებოდა, რომ თეგუდარი, ისევე როგორც ილხანთა სახელმწიფოს ყველა მტერი, მისი ბუნებრივი მოკავშირე იყო. ამიტომ მან დიდი პატივით მიიღო სტუმარი და მის დაღლილ ლაშქარს დასასვენებლად, ძალ-ღონის აღსადგენად ჩინებული პირობები შეუქმნა. რაც შეეხება სირმონს, თეგუდარის გაპარვის შემდეგ მან შავშეთი დატოვა და აბაღა ყაენს ეახლა.

იმ დროს, როცა თეგუდარი აჭარასა და ნიგალისხევში ურთულესი გზის მონაკვეთს გადადიოდა, მისი ძმა, ჩაღათაელთა მონღოლური სახელმწიფოს მეთაური, ბარახა ყაენი, ილხანთა სამეფოს დაესხა თავს. აბაღა ყაენმა ლაშქრის შეკრების ბრძანება გასცა. ილხანთა ჯარს დავით ულუც შეუერთდა, ქართველ მხედრებთან ერთად. 1270 წელს აბაღა ყაენი ავღანეთისაკენ დაიძრა და ქალაქ ჰერათთან დაბანაკდა. ამ მიდამოებში მივიდა ბარახა ყაენის ლაშქარიც.

დაბანაკების შემდეგ აბაღა ყაენმა დავით ულუსა და მონღოლ სარდალ სიქადურ ნოინს საგანგებო დავალება მისცა: თავიანთ სამხედრო შენაერთებთან ერთად, მათ 6-7 კილომეტრით უნდა წაეწიათ ბარახა ყაენის ლაშქრისაკენ და თვალი ედევნებინათ მისი გადაადგილებისათვის, რათა იგი მოულოდნელად არ დასხმოდა თავს აბაღა ყაენის ძირითად სამხედრო ძალებს. გარდა ამისა, დავით ულუსა და სიქადურ ნოინს დავალებული ჰქონდათ შემდეგი: როგორც კი ბარახა ყაენის ჯარი მათ დანაყოფებს მიუახლოვდებოდა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ პოზიცია, სწრაფად დაეხიათ უკან და შეერთებოდნენ ძირითად ლაშქარს.

დავით ულუ და სიქადურ ნოინი დაწინაურდნენ და ერთ მოხერხებულ ადგილას გაჩერდნენ. მალე აღმოსავლეთით მტვრის უზარმაზარი ღრუბელი გამოჩნდა. ეს ბარახა ყაენის მრავალრიცხოვანი ლაშქარი იყო, რომელიც დასავლეთისაკენ მოიწევდა. სიქადურ ნოინმა დავალება შესრულებულად ჩათვალა და აბაღა ყაენის ძირითადი ძალებისაკენ დახევა გადაწყვიტა. მოულოდნელად დავით ულუ გაჯიუტდა. მეფე თავისი წინაპრების ძველ საბრძოლო წესს არ ღალატობდა, რომლის მიხედვით, თუ ქართველი მეომარი მტერს საკუთარი თვალით დაინახავდა, უსათუოდ უნდა შებმოდა.

სიქადურ ნოინი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ თავისი და ქართული სამხედრო შენაერთებით ბარახა ყაენის ჯართან შებრძოლება უეჭველ დაღუპვას ნიშნავდა. გარდა ამისა, მას აბაღა ყაენისაგან ბრძანება ჰქონდა მიღებული, რომ მტრის დანახვისთანავე უკან დაეხია. მისი შეუსრულებლობისათვის, შეიძლებოდა, ყაენს იგი სიკვდილითაც კი დაესაჯა. მეორე მხრივ, გამოცდილ სარდალს არც დავით ულუ ემეტებოდა ბრძოლის ველზე მისატოვებლად. ბარახა ყაენის უზარმაზარი ჯარის პირისპირ მარტო დარჩენილი ქართველი მხედრები ნამდვილად განწირულნი იყვნენ დასაღუპავად.

დიდი ფიქრის შემდეგ სიქადურ ნოინმა თავი სასიკვდილოდ გადადო. თავისი სამხედრო შენაერთებით იგი დავით ულუსთან დარჩა, ყაენთან კი მალემსრბოლი გაგზავნა, შექმნილი ვითარება გააცნო და, ძირითადი ჯარით, სწრაფად წამოსვლა სთხოვა. დავით ულუს საქციელით გაოგნებული აბაღა ყაენი სწრაფად დაიძრა და, სანამ ბარახა ყაენის სამხედრო შენაერთები მოახლოვდებოდნენ, მანამდე მიაღწია თავისი ძირითადი ძალებით დავით ულუსა და სიქადურ ნოინის პოზიციებამდე.

აბაღა ყაენის ჯართან მიახლოების შემდეგ, ბარახა ყაენმა ლაშქარი საბრძოლველად განალაგა. მისმა ელიტარულმა დანაყოფებმა, მონღოლური საბრძოლო წესის თანახმად, მარცხენა ფრთაზე დაიკავეს ადგილი. აქვე დადგა თავად ბარახა ყაენიც. დაახლოებით, ანალოგიურად მოიქცა აბაღა ყაენიც. მან თავისი საუკეთესო სამხედრო შენაერთები ლაშქრის მარცხენა ფლანგზე განალაგა და სათავეში ჩაუყენა სამხედრო მინისტრი აბათა ნოინი. დავით ულუ ქართულ მხედრობასთან ერთად აბაღა ყაენის ჯარის ცენტრში დადგა და წინამბრძოლის პოზიცია დაიკავა.

ბრძოლა ორმხრივი იერიშებით დაიწყო. ქართველმა მოლაშქრეებმა თავგანწირვით შეუტიეს მტერს, ბარახა ყაენის მოწინავეები გადათელეს და მტრის ძირითადი ძალების განლაგებაში შეიჭრნენ. წარმატებით შეუტია აბაღა ყაენის ჯარის მარცხენა ფლანგმაც. ბრძოლის ამ უბნებზე გამარჯვების სასწორი თანდათანობით ილხანების მხარეს გადაიხარა. ბოლოს ბარახა ყაენის მარჯვენა ფლანგმა და ცენტრმა მოწინააღმდეგის მოწოლას ვეღარ გაუძლო, საბრძოლო პოზიციები დატოვა და გაიქცა. მონღოლები და ქართველები მტერს ორი დღე მისდევდნენ უკან.

საპირისპიროდ განვითარდა მოვლენები აბაღა ყაენის ჯარის მარჯვენა ფლანგზე. აქ ბარახა ყაენის მარცხენა ფლანგმა სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე. აბაღა ყაენის მარჯვენა ფლანგზე განლაგებული სამხედრო შენაერთები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. ბარახა ყაენის მოლაშქრეები ჩეხვით მიჰყვნენ მოწინააღმდეგეს და დიდ მანძილზე სდიეს.

ბრძოლის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ აბაღა ყაენის ლაშქრის მარცხენა ფლანგმა და ცენტრმა მოწინააღმდეგის დევნა შეწყვიტა და ბრძოლის ველზე დაბრუნდა. იქვე იყო დევნიდან დაბრუნებული ბარახა ყაენის ლაშქრის მარცხენა ფლანგიც.

მოწინააღმდეგეებმა ხელმეორედ განალაგეს ჯარები საბრძოლველად, თუმცა რიცხობრივი და სტრატეგიული უპირატესობა უკვე აშკარად აბაღა ყაენის მხარეზე იყო. ომის დაწყებიდან მცირე ხნის შემდეგ ბარახა ყაენის სამხედრო შენაერთებმა მოწინააღმდეგის იერიშებს ველარ გაუძლეს, ბრძოლის ველი მიატოვეს და გაიქცნენ. გამარჯვება აბაღა ყაენს დარჩა.

იმ დროს, როცა აბაღა ყაენი დავით ულუსა და ქართველ მხედრებთან ერთად ხორასანში იმყოფებოდა, დავით ნარინთან მყოფმა თეგუდარმა მეომრების ნაწილი სამცხე-ჯავახეთის მოსათარეშებლად გაგზავნა. მონღოლები იმერეთის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ლომისთავის მთის მიდამოებში დაბანაკდნენ. აქედან მცირე ხევებით ჩავიდნენ აწყურთან, იქვე ფონით გადალახეს მტკვარი და ჯავახეთში შეიჭრნენ.

თეგუდარის მეომრები ჯავახეთში ორ დიდ ჯოგს წააწყდნენ. აქედან ერთი მეჭურჭლეთუხუცესსა და ზემო ჯავახეთის ერისთავ კახა თორელს, ხოლო მეორე მონღოლ სარდალს, ათასისთავ ყურუმჩი-ბადურს ეკუთვნოდა. მოთარეშეებმა ორივე ჯოგი წინ გამოირეკეს. მათ უკან მონღოლ-ქართველთა გაერთიანებული რაზმი დაედევნა, რომელსაც ყურუმჩი-ბადური ხელმძღვანელობდა. თეგუდარის მეომრებმა მტკვარი სამცხეში, გურკელისწყლის შესართავთან გადალახეს, შემდეგ ფონზე გადასასვლელი გაამაგრეს.

ამასობაში მოთარეშეებს ყურუმჩი-ბადურიც დაეწია. მონღოლ-ქართველთა რაზმი საბრძოლველად განლაგდა. თეგუდარის მეომრები რიცხობრივად ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს, ამიტომ მათ ხერხს მიმართეს: მოთარეშეთა ერთ-ერთმა მეთაურმა, თოლაქ-დემურმა, ოცდაათ ჯარისკაცთან ერთად, ჩუმად გადალახა მტკვარი, ყურუმჩი-ბადურს ზურგში მოექცა და მოთარეშეების საბრძოლო დროშისაგან განსხვავებული აღმართა.

როცა მონღოლ-ქართველთა გაერთიანებულმა რაზმმა თეგუდარის მეომრებზე იერიში მიიტანა, თოლაქ-დემური საფრიდან გამოვიდა და მოწინააღმდეგისაკენ დიდი ხმაურით დაიძრა. ყურუმჩი-ბადურმა შეამჩნია, რომ მტკვრის გადასავლელთან მდგომ მონღოლებსა და თოლაქ-დემურის რაზმს სხვადასხვა დროშები ჰქონდათ და იფიქრა, რომ ზურგიდან მოწინააღმდეგის ახალი შენაერთი უტევდა.

მონღოლ-ქართველთა გაერთიანებულმა რაზმმა, ალყაში მოქცევის შიშით, სასწრაფოდ დატოვა ბრძოლის ველი და უწესრიგოდ გაიქცა. თეგუდარის მოლაშქრეები ჩეხვით მიჰყვნენ მოწინააღმდეგეს და ათასისთავი ყურუმჩი-ბადური მოკლეს. ამ უწესრიგო გაქცევის დროს მრავალი სახელოვანი ქართველი მეომარი დაიღუპა და დაიჭრა. დახოცილთა შორის იყვნენ კოხტასთავის ციხის პატრონები, ძმები კოხტელები. სიკვდილს გადაურჩა ქართველი ფეოდალი სამძივარი, რომელმაც ცხენის მოკვლის შემდეგ მტკვარი ხელდახელ გადაცურა და ციხე-ქალაქ აწყურს შეაფარა თავი.

პირველი მარბიელი ლაშქრობის წარმატებით დასრულების შემდეგ თეგუდარმა კიდევ უფრო დიდი თავდასხმა მოაწყო აღმოსავლეთ საქართველოზე. ამჯერად იგი, თავის ლაშქარსა და დედაწულთან ერთად, ლიხთიმერეთიდან შიდა ქართლში გადმოვიდა და ადგილობრივი მოსახლეობის რბევა-აწიოკებას შეუდგა. თეგუდარის თარეშით შეწუხებულმა აბაღა ყაენმა დავით ნარინს ელჩი გაუგზავნა და სთხოვა, ქართლიდან ლიხთიმერეთში აღარ გადაეშვა თეგუდარის ლაშქარი.

დავით ნარინმა, რომელიც თავადაც უკმაყოფილო იყო თეგუდარის ყაჩაღური საქციელით, აბაღა ყაენის თხოვნა დააკმაყოფილა და ისე შეკრა დასავლეთ საქართველოში გადასასვლელი გზები, რომ ცხენით გავლა შეუძლებელი იყო. თეგუდარი თავის ლაშქარსა და დედაწულთან ერთად ხაფანგში აღმოჩნდა. აბაღა ყაენმა მის გასანადგურებლად ისევ სირმონ ნოინი გამოგზავნა. საქართველოში მოსულ სირმონის ლაშქარს დავით ულუს საბრძოლო დანაყოფებიც შეუერთდნენ. თავად მეფე სამხედრო ექსპედიციაში ავადმყოფობის გამო ვერ ჩაერთო.

მალე სირმონისა და თაგუდარის ჯარები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. სისხლისმღვრელი ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. გამარჯვებას ვერც მიაღწია ვერც ერთმა მხარემ. ბრძოლა გაგრძელდა მეორე დილას. ამჯერად სირმონმა საკუთარი ლაშქრის საბრძოლო წყობაში მცირე გადაადგილება შეძლო და წინამბრძოლის პოზიციაზე ქართველი მეომრები განაწესა.

გამთენიისას ქართულმა სამხედრო შენაერთებმა მოწინააღმდეგეზე ელვისებური იერიში მიიტანეს. თეგუდარის ლაშქარმა ვერ გაუძლო ქართველთა იერიშს, აირია და ბრძოლის ველიდან უწესრიგოდ გაიქცა. ეს არ იკადრეს მხოლოდ თეგუდარმა და მისმა ვაჟმა. სირმონ ნოინმა ისინი დაატყვევა და აბაღა ყაენს გაუგზავნა, რომელმაც დავით ნარინი გაწეული დახმარებისათვის დააჯილდოვა და აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ატენის ციხე-ქალაქი და ქართლის მრავალი სოფელი უბოძა.

**ანალიზი.** თეგუდარის აჯანყების ჩახშობა და ბარახა ყაენის ლაშქრის განადგურება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს უსაფრთხოებისათვის. თეგუდარის საბრძოლო მოქმედებების თეატრი უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე იყო გაშლილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნის შესაბამისი პროვინციების მოსახლეობა მონღოლთა ორი სამხედრო ძალის შეჯახების ეპიცენტრში იყო მოქცეული. გარდა ამისა, ქართულ პროვინციებს: სამცხეს, ჯავახეთსა და შიდა ქართლს

უდიდეს ზიანს აყენებდა თეგუდარის მეომრების ყაჩაღური თარეშიც, რომლის აღკვეთაც დაქსაქსული ადგილობრივი ფეოდალების სამხედრო შესაძლებლობებს აღემატებოდა.

რაც შეეხება ბარახა ყაენის თავდასხმას, მართალია, ეს სამხედრო ექსპედიცია საქართველოდან შორს, ხორასანში მიმდინარეობდა, მაგრამ ჩაღათაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მხედრები, რომელთათვისაც საომარი ოპერაციების ყოველი მომდევნო დღე ახალ დანაკარგებს ნიშნავდა. ასე რომ, თეგუდარის აჯანყების ჩახშობა და ბარახა ყაენის ლაშქრის განადგურება იყო ის საკითხები, რომლებშიც სრულად ემთხვეოდა ილხანთა სახელმწიფოსა და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ინტერესები.[21]

## §38. სირმონ ნოინის თავდასხმები დავით ნარინზე

1270 წლის ახლო ხანებში აბაღა ყაენს ეახლა რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე. მასთან ერთად იყო ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული მონღოლი დიდებული ღალღურიც, რომელიც მანამდე თავს დავით ნარინს აფარებდა. ღალღურმა პატიება სთხოვა აბაღა ყაენს, სანაცვლოდ, კახაბერ კახაბერისძესთან ერთად, დაჰპირდა დავით ნარინის (რომელიც კვლავ არ აღიარებდა მონღოლთა ბატონობას) ხელში ჩაგდებას.

აბაღა ყაენმა სირმონ ნოინს 30 000 ჯარისკაცი მისცა და დავით ნარინის შესაპყრობად გამოგზავნა. გზის მაჩვენებლად მონღოლებს კახაბერ კახაბერისძე გამოჰყვათ. სირმონ ნოინმა სწრაფად გადაიარა თრიალეთი, უმოკლესი გზით გადალახა ლიხის ქედი და მოულოდნელად თავს დაესხა ქუთაისს. დავით ნარინი ამ დროს აბანოში იმყოფებოდა. მან ძლივს მოასწრო ცხენზე ამხედრება და ბეწვზე გაასწრო მონღოლებს. სირმონ ნოინის ლაშქარმა ქუთაისი და მისი მიდამოები მოაოხრა და, სანამ დავით ნარინი სამხედრო ძალების მობილიზებას მოასწრებდა, აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა.

ორი წლის შემდეგ სირმონ ნოინი დავით ნარინს კიდევ ერთხელ დაესხა თავს. მონღოლებს ამჯერადაც კახაბერ კახაბერისძე მოუძღოდათ წინ. მართალია, მონღოლებმა მეფის შეპყრობა ვერ მოახერხეს, მაგრამ ვერც ამ უკანასკნელმა შეძლო მტრისათვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა. სირმონ ნოინმა მეორედ მოითარეშა ლიხთიმერეთი და სწრაფად დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში.

გავიდა ხანი და კახაბერ კახაბერისძემ, რომელიც იმხანად ქართლს აფარებდა თავს და ატენის ხეობაში იდგა, დავით ნარინს პატიება სთხოვა. მეფემ ღალატი მიუტევა ორგულ სარდალს და რაჭის ერისთავის თანამდებობაზე დააბრუნა. ასეთი დიდსულოვანი მოპყრობის მიუხედავად, კახაბერ კახაბერისძემ თავისი მაინც ვერ მოიშალა და მონღოლ ათასისთავს – ალიყანს დაუკავშირდა, რომელიც იმხანად ჯავახეთსა და კოლაში მომთაბარეობდა. რაჭის ერისთავი მონღოლ სარდალს დავით ნარინის ადგილსამყოფელს ატყობინებდა და მასზე მოულოდნელ თავდასხმას სთავაზობდა.

ამჯერად კახაბერ კახაბერისძის გეგმა ჩანასახშივე ჩაიშალა. მეფემ ხელში ჩაიგდო რაჭის ერისთავის მიერ ალიყანთან გაგზავნილი წერილი და ორგული ფეოდალი შეიპყრო. სამგზის ღალატის გამო დავით ნარინმა სასტიკად დასაჯა კახაბერ კახაბერისძე: ჯერ ცალი თვალით დააბრმავა, შემდეგ ცალი ხელი და ცალი ფეხი მოჰკვეთა. რაჭის ერისთავის ორივე ვაჟი მეფემ ტყვედ გაგზავნა კონსტანტინოპოლში ბიზანტიის იმპერატორთან, რომელიც მისი სიმამრი იყო. დასჯილი კახაბერ კახაბერისძე მალევე გარდაიცვალა. ბიზანტიაში აღესრულნენ მისი ვაჟებიც. ამგვარად, მეფის ღალატის გამო, კახაბერისძეებმა დაკარგეს რაჭის ერისთავის თანამდებობა, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში ფლობდნენ.

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი სარდლის, რაჭის ერისთავ კახაბერ კახაბერისძის ამგვარ ღალატს კონკრეტული მიზანი ჰქონდა. იგი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის – დემეტრეს პაპა (დედის მამა) იყო და სურდა, რომ იგი ლიხთიმერეთის მეფეც გამხდარიყო. მიზნის მისაღწევად კახაბერ კახაბერისძეს დავით ნარინის დაღუპვა მიაჩნდა საჭიროდ. სხვაგვარად დემეტრე უფლისწულს დასავლეთ საქართველოს ტახტს არავინ უბოძებდა.

---

[21] თეგუდარისა და ბარახა ყაენის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველმა მხედრებმა დიდი სიმამაცე და საბრძოლო ოსტატობა გამოავლინა. სწორედ ქართველი მეომრების წინამბრძოლობამ ითამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი ბარახა ყაენის ლაშქრის დამარცხებაში. ამავე პოზიციაზე განწესებული ქართული მხედრობის თავგანწირვამ გადაწყვიტა თეგუდარისა და სირმონ ნოინის ბოლო ბრძოლის ბედიც.

პარალელურად ამისა, ქართველი სარდლების მოქმედებებში შეიმჩნეოდა რამდენიმე უპატიებელი შეცდომაც. ამ შეცდომის ნათელი მაგალითია დავით ულუს გაჯიუტება ბარახა ყაენთან ბრძოლის წინ, რამაც კინაღამ მთელი ქართული ლაშქრის დაღუპვა გამოიწვია.

**ანალიზი:** სირმონ ნოინის ორი თავდასხმა დავით ნარინზე საინტერესო შტრიხს გვთავაზობს ᲡᲠᲠ საუკუნის დასავლეთ საქართველოს სარდლების ზნეობრივი პორტრეტისათვის. კახაბერ კახაბერისძის ღალატის ფაქტები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ლიხთიმერელი სარდალი არ კმაყოფილდებოდა ქვეყნის სამხედრო უწყებაში დაკავებული მაღალი თანამდებობით და მზად იყო, თავისი გავლენის კიდევ უფრო მეტად გაზრდის სანაცვლოდ, მონღოლთა ხელში ჩაეგდო მეფე, რომლის წინაშეც ერთგული სამსახურის ფიცი ჰქონდა დადებული.

კახაბერ კახაბერისძის მცდელობები უშედეგოდ დამთავრდა. დავით ნარინმა იგი სასტიკად დასაჯა. მონღოლთა ბატონობის ხანაში საქართველოს სამეფო კარი ყოველთვის ვერ ახერხებდა მოღალატე სარდლების დასჯას და ისინიც დაუბრკოლებლად აგრძელებდნენ თავიანთ საქმიანობას. ეს, პირველ რიგში, ითქმის დავით ულუზე, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული მონღოლები საშუალებას არ აძლევდნენ, საკადრისად დაესაჯა ორგული სარდლები.

## §39. მეფე დემეტრე ᲠᲠ თავდადებული

**პოლიტიკური ვითარება**: 1272 წელს აღმოსავლეთ საქართველოში უმეფობის ორწლიანი ხანა დასრულდა. მანდატურთუხუცესმა ივანე მხარგრძელმა და სხვა ქართველმა სარდლებმა აბაღა ყაენს დემეტრე უფლისწული წარუდგინეს. ყაენმა პატივით მიიღო იგი და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტი უბოძა. მანვე მეფეს საქართველოში გამოაყოლა სანდო პირი, გასომხებული ქურთი ფეოდალი სადუნ მანკაბერდელი, რომელსაც მეფე დემეტრე ᲠᲠ-მ ურდოში ყოფნის დროს საქართველოს სამეფოს უმაღლესი სამოხელეო თანამდებობა — ათაბაგ-ამირსპასალარობა უბოძა. ამიერიდან ქვეყნის სამხედრო უწყებას სწორედ სადუნ მანკაბერდელი ჩაუდგა სათავეში.

აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის დროს დემეტრე ᲠᲠ-ს ექვემდებარებოდა პროვინციები: ჰერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, სომხეთი, შიდა ქართლი და ნაწილობრივ — ჯავახეთი და ტაო. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ჯავახეთისა და ტაოს ზოგიერთი ნაწილის გამოკლებით, აქ უშუალოდ აბაღა ყაენს დაქვემდებარებული სარგის ჯაყელის ძალაუფლება ვრცელდებოდა.

**ლაშქრობები:** 1277 წელს აბაღა ყაენმა ახალი ლაშქრობა მოაწყო ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ. მონღოლებს შეუერთდნენ დემეტრე ᲠᲠ და რუმის სელჩუკი სულთანი ფარვანა სამხედრო შენაერთებთან ერთად. აბაღა ყაენის ლაშქარი სირიაში შეიჭრა და ევქაიტთან დაბანაკდა. მონღოლები ზედმეტად მიენდვნენ საკუთარი ლაშქრის სიმრავლეს და ბანაკი ჯეროვნად არ გაამაგრეს. ამით ისარგებლეს ეგვიპტელებმა და გამთენიისას თავს დაესხნენ მოწინააღმდეგეს. მონღოლები იერიშს მოუმზადებელი შეხვდნენ და დამარცხდნენ.

ამ თავდასხმის დროს ქართველი მხედრების გასაჩერებელი ადგილი შედარებით უკეთ დაცული აღმოჩნდა. დემეტრე ᲠᲠ-მ წარმატებით გამოიყენა ეს უპირატესობა, 3 000-იანი სამხედრო ნაწილები საბრძოლველად განალაგა და ეგვიპტელებზე კონტრიერიში დაიწყო. ქართველი მხედრების თავგანწირვამ აბაღა ყაენის ლაშქარი სრული განადგურებისაგან იხსნა. მართალია, მონღოლებმა ბრძოლა წააგეს, მაგრამ მათი ლაშქრის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ქართველთა კონტრიერიშის საფარქვეშ გადაჯგუფება მოახერხა და ორგანიზებულად დაიხია უკან.

აბაღა ყაენის ჯარის გადარჩენას მრავალი ქართველი მეომრის სიცოცხლე შეეწირა. მონღოლებმა ლაშქრობა შეწყვიტეს და ილხანთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბრუნდნენ. აბაღა ყაენმა მონღოლთა მარცხი სულთან ფარვანას ღალატს დააბრალა და სიკვდილით დასაჯა იგი.

ფარვანას დასჯით ყველაზე დიდი სარგებელი სარგის ჯაყელმა ნახა, რომელსაც ამ დროისათვის, სამცხის ერისთავობის გარდა, მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაც ჰქონდა მიღებული. ფარვანა მეფე რუსუდანის ასულის, თამარის, ანუ გურჯი-ხათუნის თანამეცხედრე იყო და ციხე-ქალაქ აწყურს მზითვის სახით ფლობდა. ფარვანას სიკვდილით დასჯის შემდეგ აბაღა ყაენმა აწყური რუმის სელჩუკ სულთნებს ჩამოართვა და სარგის ჯაყელს გადასცა.

ასე რომ, სამცხისა და თორის საზღვარზე მდებარე ეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-ქალაქი, ტრადიციულად საქართველოს სამეფო კარის საკუთრება რომ იყო, ამიერიდან აბაღა ყაენს უშუალოდ დაქვემდებარებული სარგის ჯაყელის ხელში გადავიდა.

1280 წელს აბაღა ყაენმა ახალი დიდი ლაშქრობა წამოიწყო ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ. მონღოლებმა სალაშქროდ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამოიძახეს დემეტრე ᲠᲠ და ბექა ჯაყელი, თავიანთ სამხედრო შენაერთებთან ერთად. მონღოლთა ჯარი, რომელსაც აბაღა ყაენის უმცროსი ძმა ნასირ-მელიქი ჩაუდგა სათავეში, ეგვიპტისაკენ დაიძრა და გზად ქალაქ დარბუზაკთან შეჩერდა. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული ეგვიპტელთა გარნიზონის მიერ.

ბექა ჯაყელმა ნასირ-მელიქს ქალაქზე იერიშის უფლება სთხოვა. მთავარსარდლისაგან ნებართვის მიღების შემდეგ მესხებმა დაღ£უდარბუზაკის მთავარ კარიბჭეს შეუტიეს. ეგვიპტელთა მძიმედ შეჭურვილი სამხედრო შენაერთი ქალაქიდან გარეთ გამოვიდა და იქვე, კარიბჭის წინ, ხელჩართული ბრძოლა გაუმართა ბექა ჯაყელის მოლაშქრეებს. ეგვიპტელებს ზურგს უმაგრებდნენ ქალაქის გალავანზე გადმომდგარი მეომრები, რომლებიც ისრებსა და შუბებს ესროდნენ მესხებს.

ხელჩართული ბრძოლა საკმაოდ მცირე ხანს გაგრძელდა. ბექა ჯაყელმა ეგვიპტელების წინააღმდეგობა მალევე გატეხა და მოწინააღმდეგე ქალაქის კარიბჭისაკენ გააქცია. მესხები უკან მიჰყვნენ და ვიდრე ეგვიპტელთა გარნიზონი კარიბჭის დახურვას მოასწრებდა, ქალაქში შეიჭრნენ. მესხებს კვალდაკვალ მიჰყვნენ მონღოლებიცა და დემეტრე ი/ი-ის მოლაშქრეებიც. დარბუზაკი ნასირ-მელიქის ხელში აღმოჩნდა. ქალაქის აღებისას გამოჩენილი მამაცობისათვის მონღოლმა მთავარსარდალმა გულუხვად დააჯილდოვა ბექა ჯაყელი და მესხი მოლაშქრეები.

დარბუზაკის აღების შემდეგ მონღოლები ქალაქ ჰამასს მიადგნენ და იქ დაბანაკდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ლაშქართან ერთად ჰამასთან მივიდა ეგვიპტის სულთანი ბეიბარსიც. ბრძოლის დაწყების წინ დემეტრე ი/ი ნასირ-მელიქს ეახლა და წინამბრძოლად განწესება სთხოვა. მთავარსარდალმა მეფის თხოვნა დააკმაყოფილა და ქართველი მხედრები მონღოლთა ლაშქრის ცენტრში, მოწინავე პოზიციებზე განალაგა.

ეგვიპტის სულთანმა, რომელიც ქართველ წინამბრძოლთა სამხედრო შესაძლებლობებს კარგად იცნობდა, ხერხს მიმართა. მან საკუთარი ჯარიდან საგანგებოდ გამოყო 12 000 ჯარისკაცისაგან შემდგარი შენაერთი და მას ორი გამოცდილი სარდალი: ყარა-სონღული და იაყუბ-აფრაში ჩაუყენა სათავეში. სულთანმა სარდლებს ერთი კონკრეტული საბრძოლო დავალება მისცა: ისინი ეგვიპტელთა ლაშქრის სიღრმეში უნდა დალოდებოდნენ ქართული მხედრობის იერიშს და ზუსტად მაშინ უნდა დაეწყოთ კონტრშეტევა ქართველ მებრძოლებზე, როცა ისინი გაქცეული ეგვიპტელი წინამბრძოლების დევნით იქნებოდნენ გართულნი.

ჰამასის ბრძოლა დემეტრე ი/ი-ის იერიშით დაიწყო. ქართულმა მხედრობამ პირველივე დარტყმით გადათელა ეგვიპტელი წინამბრძოლები და ისინი თავიანთი ძირითადი ლაშქრის პოზიციებისაკენ გარეკა. დემეტრე ი/ი-ის მოლაშქრეები გაქცეულ მოწინაღმდეგეს ჩეხვით დაედევნენ. ქართველთაგან განსაკუთრებით დაწინაურდა 200 მხედრისაგან შემდგარი რაზმი, რომელსაც უშუალოდ დემეტრე ი/ი ხელმძღვანელობდა.

მეფის ასეთი დაწინაურება შეუმჩნეველი არ დარჩათ ეგვიპტელებს და ბრძოლაში დაუყოვნებლივ ჩართეს საგანგებოდ ამ მიზნით გამოყოფილი 12 000-იანი სამხედრო შენაერთი. ყარა-სონღულმა და იაყუბ-აფრაშმა მოულოდნელი კონტრიერიში მიიტანეს დემეტრე ი/ი-ის რაზმზე. 200 ქართველი მხედარი 12 000 ეგვიპტელის წინააღმდეგ აღმოჩნდა. მეფეს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა.

ბრძოლის ველზე შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, არც დემეტრე ი/ი-მ და არც 200-მა ქართველმა მხედარმა გაქცევა არ იკადრა და უთანასწორო ბრძოლაში თავგანწირვით ჩაება. ამ დროს მეფისა და მისი რაზმის გასაჭირი ეგვიპტელი წინამბრძოლების დევნაში გართულმა სხვა ქართველმა მოლაშქრეებმა შენიშნეს და დემეტრე ი/ი-ის საშველად გამოემართნენ, თუმცა მოსასვლელად დრო სჭირდებოდათ.

ბოლოს ქართველმა წინამბრძოლებმა დემეტრე ი/ი-მდე მოაღწიეს. ამ დროისათვის 200 ქართველი მეომრისგან მხოლოდ სამი მხედარიღა იყო ცოცხალი. თავად მეფეს ცხენი აღარ ჰყავდა და ქვეითად აგრძელებდა ბრძოლას. ამ მდგომარეობაში მყოფი დემეტრე ი/ი-ის დანახვაზე ქართველი მოლაშქრე აბაშ სიქანალისძე დაუყოვნებლივ დაქვეითდა და მეფე საკუთარ ცხენზე შესვა.

როცა ქართველმა წინამბრძოლებმა დემეტრე ი/ი საღსალამათი და ცხენზე ამხედრებული იხილეს, გაათმაგებული ძალით შეუტიეს ყარა-სონღულსა და იაყუბ-აფრაშს. ბრძოლა შენივთდა. მართალია, ეგვიპტელი მეომრები რიცხობრივად ბევრად სჭარბობდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ მეფის სიმამაცით აღფრთოვანებულმა ქართველმა მხედრებმა მტერი თანდათან შეავიწროვეს და ბოლოს კიდეც გააქციეს ბრძოლის ველიდან. დემეტრე ი/ი ჩეხვით მიჰყვა ლტოლვილ ეგვიპტელებს და თითქმის მთლიანად გაანადგურა მოწინააღმდეგის 12 000-იანი შენაერთი.

ამასობაში ბრძოლის ყველა სხვა უბანზე ეგვიპტელები სასტიკად ამარცხებდნენ ნასირ-მელიქის სამხედრო შენაერთებს და მონღოლთა ლაშქარიც მთელი ფრონტის გაყოლებაზე უწესრიგოდ იხევდა უკან. მონღოლების გაქცევის შემდეგ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ყარა-სონღულისა და იაყუბ-აფრაშის შენაერთის დევნაში გართული ქართველი მხედრები, რომლებიც ღრმად შეჭრილიყვნენ ეგვიპტელთა ლაშქრის განლაგებაში. მოწინააღმდეგის საბრძოლო დანაყოფები ქართველებს გარს შემოერტყნენ და ყოველი მხრიდან მიიტანეს იერიში მათზე.

ამ დღეს დემეტრე ი/ი უკვე ხელმეორედ აღმოჩნდა სიკვდილის საფრთხის წინაშე. მონღოლებისაგან მიტოვებულმა მეფემ ამჯერად სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. მან საკუთარი რაზმები გადაადგუფა და ხმალდახმალ გაარღვია ალყა. ეგვიპტელების ალყის გარღვევისა და ბრძოლის ველიდან უკან დახევის დროს დემეტრე ი/ი-მ მრავალი სახელოვანი მოლაშქრე დაკარგა. ჰამასის ბრძოლა ქართველი მხედრებისათვის კატასტროფული შედეგით დამთავრდა.

ჰამასთან დამარცხების შემდეგ მონღოლებმა ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ლაშქრობა შეწყვიტეს და ილხანთა სახელმწიფოში გაბრუნდნენ. გაშმაგებული აბაღა ყაენი ახალ ლაშქრობას აპირებდა ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ, თუმცა 1282 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა და მისი სამხედრო გეგმა განუხორციელებელი დარჩა. აბაღა ყაენის გარდაცვალების შემდეგ ტახტი მისმა ძმამ – აჰმედმა დაიკავა, რომელსაც ისლამი ჰქონდა მიღებული და მაჰმადიანების მხარდაჭერით სარგებლობდა.

აბაღა ყაენის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე აღესრულა აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელი ათაბაგ-ამირსპასალარი სადუნ მანკაბერდელიც. მეფემ ათაბაგ-ამირსპასალარის სახელო ორად გაყო. ამირსპასალარის თანამდებობა სადუნ მანკაბერდელის ვაჟს – ხუტლუბუღას უბოძა, ხოლო ათაბაგობა – თავის აღმზრდელს, გასომხებულ ქართველ ფეოდალს – ტარსაიჭ ორბელს.

დაახლოებით, ამავე პერიოდში, მაჰმადიანთა წაქეზებით, აჰმედ ყაენმა მეტისმეტად შეავიწროვა წარმართი მონღოლები და ქრისტიანი ქართველები. ასეთი პოლიტიკის გამო მას აბაღა ყაენის ვაჟი – უფლისწული არღუნი აუჯანყდა და ხორასანში გამაგრდა. აჰმედ ყაენმა დიდი ლაშქარი შეკრიბა და არღუნის დასასჯელად ხორასანში მივიდა. ყაენმა თან წაიყვანა ქართველი მხედრები მეფე დემეტრე რი-ის, მანდატურთუხუცეს ივანე მხარგრძელისა და ამირსპასალარ ხუტლუბუღას მეთაურობით.

ხორასანში ყოფნის დროს ქართველმა სარდლებმა შეიტყვეს, რომ ადგილობრივ მაჰმადიანთა ერთ-ერთი დაჯგუფება, რომელიც აგრესიულად იყო განწყობილი ქრისტიანებისადმი, საგანგებოდ უსაფრდებოდა ქართველებს და უმოწყალოდ ხოცავდა.

ამ ფაქტის გაგების შემდეგ ქართლის ერისთავ ბეგას ვაჟმა, ახალგაზრდა სარდალმა რატი სურამელმა, ხსენებული მაჰმადიანური დაჯგუფების ერთ-ერთი ბანაკის ადგილმდებარეობა დაადგინა, 60 მეომარი შეკრიბა და მოწინააღმდეგეს თავს დაესხა. მაჰმადიანები მიუვალი მთის ფერდობებზე იყვნენ. მათი რიცხვი 300-ს აღწევდა. რატი სურამელმა ყურადღება არ მიაქცია მტრის პოზიციურ თუ რიცხობრივ უპირატესობას და იერიში მიიტანა მათზე.

მაჰმადიანები ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმის თავგანწირულმა შეტევამ დააბნია. ამით ისარგებლა რატი სურამელმა, სწრაფად აიარა ციცაბო აღმართი, მოწინააღმდეგის ბანაკში შეიჭრა და თითქმის მთლიანად გაანადგურა იგი. ქართველებმა ცოცხლად გადარჩენილი ჯარისკაცები დაატყვევეს და დემეტრე რი-სთან მიიყვანეს. მეფემ რატი სურამელი და მისი მოლაშქრეები ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის უხვად დაასჯილდოვა.

ამასობაში უფლისწული არღუნი აჰმედ ყაენს დანებდა. ხორასანის ლაშქრობა დამთავრდა და მონღოლებმა ქართველი მხედრები სამშობლოში დააბრუნეს. ვიდრე დემეტრე რი საქართველოში მოვიდოდა, აჰმედ ყაენის პროისლამური პოლიტიკით უკმაყოფილო მონღოლმა ნოინებმა აჰმედი მოკლეს, ყაენის ტახტზე კი უფლისწული არღუნი დასვეს. დემეტრე რი თავის ლაშქართან ერთად ურდოში მიბრუნდა და არღუნ ყაენს დამორჩილდა.

დემეტრე რი-ს არღუნ ყაენთან დაახლოებაში ხელი შეუწყო ილხანთა სახელმწიფოს ერთ-ერთმა უმაღლესმა მოხელემ, ბუღამ, რომელიც მეფეს მფარველობდა. მისი ჩარევით, არღუნ ყაენმა დემეტრე რი-ს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო, ბექა ჯაყელის კუთვნილი ტერიტორიების გამოკლებით. გარდა ამისა, არღუნმა დემეტრე რი-ს გადასცა 1250 წელს გარდაცვლილი ათაბაგ-ამირსპასალარ ავაგ მხარგრძელის კუთვნილი მიწები, ციხე-ქალაქები, ყმა-აზნაურები, გლეხები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება – ყველაფერი, რაც ამ დრომდე ყაენის ხელში იყო. დემეტრე რი-მ ავაგ მხარგრძელის სამფლობელო საუფლისწულო დომენად გამოაცხადა და მის მეპატრონედ უფროსი ვაჟი – მცირეწლოვანი დავითი დაადგინა.

დაახლოებით, ამავე პერიოდში არღუნ ყაენს დარუბანდის პროვინციის მოსახლეობა აუჯანყდა. მონღოლები მათ დასასჯელად გაემართნენ. არღუნ ყაენმა ლაშქრობაში იახლა დემეტრე რი, თავისი ჯარით. მონღოლებმა მთელი დარუბანდის მხარე დალაშქრეს, თუმცა მიუვალ ადგილას აგებულ ანიყოს ციხეს ვერაფერი მოუხერხეს. არღუნ ყაენმა ეს საქმე დემეტრე რი-ს დაავალა.

ქართველმა სრდლებმა კარგად შეისწავლეს ციხის ადგილმდებარეობა და დაასკვნეს, რომ კლდეზე ამოყვანილი მისი გალავნისათვის ძირის გამოთხრა შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, მიუდგომლობის გამო, კარიბჭეზე იერიშის მიტანაც ვერ მოხერხდებოდა.ამიტომ ქართველი მხედრები ყოველი მხრიდან შემოერტყნენ ციხეს და გალავანზე გადასვლა სცადეს. დარუბანდელთა გარნიზონი გააფთრებით იცავდა თავს და ქართველ მეომრებს საშუალებას არ აძლევდა, კიბეებისა და თოკების დახმარებით გადასულიყო გალავანზე.

რამდენიმე იერიშის შემდეგ ახალგაზრდა სარდალმა, რატი სურამელმა, მცირე რაზმთან ერთად მაინც მოახერხა გალავანზე გადასვლა და ციხეში აღმოჩნდა. ციხის კარიბჭისაკენ ქართველებმა ხმალდახმალ გაიკაფეს გზა და შიგნიდან გახსნეს ალაყაფის კარი. ქართველთა სამხედრო შენაერთები ციხეში შეიჭრნენ და მოწინააღმდეგე უმოკლეს დროში გაანადგურეს.

დემეტრე რი-ის მოლაშქრეებმა ანიყოს ციხეში დიდძალი ალაფი იგდეს ხელთ. მათ სიკვდილით დასაჯეს დარუბანდის აჯანყების მოთავეები, რომლებიც აქ აფარებდნენ თავს, ციხე გადაწვეს და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ საქართველოში.

ანიყოს ციხის აღებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ არღუნ ყაენმა თავის უმაღლეს სახელმწიფო მოხელეს – ბუღას შეთქმულების მოწყობაში დასდო ბრალი და სიკვდილით დასაჯა. მის მსგავსად მოექცნენ მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მასთან დაახლოებულ დიდებულებსაც. ეჭვმიტანილთა შორის აღმოჩნდა დემეტრე რი-ც, რომელსაც ახლო ურთიერთობები ჰქონდა ბუღასთან.

არღუნ ყაენმა მეფე ურდოში გაიწვია. დემეტრე რი-მ კარგად იცოდა, რომ ყაენთან გამოცხადების შემთხვევაში, უეჭველი სიკვდილი ელოდა, თუმცა მან გაქცევასა და მონღოლთა მიერ საქართველოს აოხრებას თავის გაწირვა ამჯობინა. მორჩილების ნიშნად, დემეტრემ თან წაიყვანა უფროსი ვაჟი, უფლისწული დავითი და არღუნ ყაენთან გაემგზავრა.

მეფეს თან ახლდა დიდი ამალა, რომელშიც შედიოდნენ სარდლები და ქართლის კათალიკოსი, აბრაჰამი. დემეტრე რი-ს თან მიჰქონდა უზარმაზარი განძი, რომლითაც ყაენის კარის მოქრთამვა და სიკვდილით დასჯისაგან თავის გადარჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი. არღუნმა მეფე მკაცრად მიიღო, თუმცა სიკვდილით მის დასჯაზე ყოყმანობდა. ყაენს ეშინოდა, რომ დემეტრე რი-ის სიკვდილის შემთხვევაში, ჯერჯერობით მისი მცირეწლოვანი ვაჟები ვერ შეძლებდნენ საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლას და ამით შეფერხდებოდა ხარკის აკრეფისა თუ ლაშქრის გამოყვანის საქმე.

ამ დროს არღუნ ყაენს წარუდგა ამირსპასალარი ხუტლუბუღა. იგი უკმაყოფილი იყო იმით, რომ დემეტრე რი-მ ათაბაგობა არა მას, არამედ ტარსაიჭ ორბელს მისცა. მოღალატე სარდალმა არღუნს შესთავაზა: დემეტრე რი-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ სამეფო ტახტზე აეყვანათ ლიხთიმერეთის მეფის – დავით ნარინის ვაჟი, ვახტანგი. ამ გზით, დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო უფლისწულ ვახტანგის ტახტის ქვეშ გაერთიანდებოდა და მონღოლები საკუთარ გავლენას ლიხთიმერეთზეც გაავრცელებდნენ.

არღუნ ყაენმა მოიწონა ხუტლუბუღას რჩევა და 1289 წლის 12 მარტს სიკვდილით დასაჯა სამშობლოსათვის თავდადებული მეფე – დემეტრე რი. ამავე 1289 წელს ამირსპასალარმა ხუტლუბუღამ, მონღოლებსა და ქართველ სარდლებთან ერთად, უფლისწული ვახტანგი ლიხთიმერეთიდან გადმოიყვანა და აღმოსავლეთ საქართველოში გაამეფა. ტახტზე ახლად ასულმა ვახტანგ რი-მ, არღუნ ყაენის რჩევით, ხუტლუბუღა კიდევ უფრო დააწინაურა და ათაბაგის უმაღლესი სამოხელეო თანამდებობაც უბოძა.

**ანალიზი.** დემეტრე რი-ის მეფობის პერიოდი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ქართული სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის. ამ თავდადებული მეფის ჩვიდმეტწლიანი მმართველობის პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მხედრები მონაწილეობდნენ მონღოლების მიერ მოწყობილ რამდენიმე დიდ სამხედრო ექსპედიციაში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ მიმართული ორი დიდი ლაშქრობა. მათგან პირველში, 1277 წელს ევქაიტთან გამართულ ბრძოლაში, ქართულმა ლაშქარმა გასაოცარი სიმშვიდე და ორგანიზებულობის მაღალი ხარისხი გამოავლინა. ეგვიპტელების მოულოდნელი თავდასხმის დროს, როცა მონღოლთა ბანაკში სრული ქაოსი იყო, დემეტრე რი-მ სიმშვიდე შეინარჩუნა, სამხედრო შენაერთები გადააჯგუფა, მოწინააღმდეგეზე კონტრიერიში მიიტანა და სრული განადგურებისაგან იხსნა მონღოლთა ჯარი.

1280 წელს ჰამასთან გამართულ ბრძოლაში ეგვიპტელებს მხოლოდ ქართულმა სამხედრო შენაერთებმა გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა, მონღოლები კი ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. ამ ბრძოლის პირველ ეტაპზე წინამბრძოლებად განწესებულმა ქართველმა მხედრებმა ჩვეული სიმამაცე გამოიჩინეს და პირველივე იერიშისას გააქციეს ეგვიპტელთა წინამბრძოლები.

დიდი საბრძოლო ხელოვნება გამოავლინეს ქართველმა მოლაშქრეებმა ჰამასის ბრძოლის მეორე ეტაპზეც. ამ დროს ეგვიპტელთა სარდლების მიერ დაგებულ „ხაფანგში“ მოქცეულმა დემეტრე რი-მ, პირადი მამაცობისა და ქართველი მხედრების თავგანწირული მოქმედებების წყალობით, არა მხოლოდ თავი დააღწია განსაცდელს, არამედ მთლიანად გაანადგურა საგანგებოდ ქართველთა გასანეიტრალებლად გამოყოფილი 12 000 ეგვიპტელისაგან შემდგარი სამხედრო შენაერთი.

დემეტრე რი-ის მეფობის პერიოდში ქართველმა მხედრებმა თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს კარგად დაცული ციხესიმაგრეებისა თუ გამაგრებული ადგილების აღებაში. ამ ტიპის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობისას მათ რამდენიმე განსხვავებული სახის საომარი ტაქტიკა გამოიყენეს.

მაგალითად, სახელოვანმა სარდალმა ბექა ჯაყელმა 1280 წელს დარბუზაკზე შეტევისას უშუალოდ ქალაქის კარიბჭეზე მიიტანა იერიში, ხელჩართული ბრძოლის შედეგად, გააქცია კარიბჭის დასაცავად გამოსული გარნიზონი და გაქცეული მოწინააღმდეგის ჩეხვით შეიჭრა ქალაქში.

განსხვავებული ტაქტიკა აირჩია დემეტრე რი-მ დარუბანდში მდებარე ანიყოს ციხის წინააღმდეგ ბრძოლისას. მეფემ ციხეს ყოველი მხრიდან შემოარტყა ალყა და ქართველ მხედრებს გალავანზე გადასვლა უბრძანა. რატი სურამელმა და მისმა რაზმმა პირველებმა გადალახეს გალავანი. მათ ხმალდახმალ გაიკაფეს გზა ციხის კარიბჭისაკენ და შიგნიდან გააღეს ალაყაფის კარი.

განსხვავებული, თუმცა ბევრად უფრო სარისკო ტაქტიკა აირჩია ახალგაზრდა სარდალმა, რატი სურამელმა, ხორასნის ლაშქრობისას. მან თავისი გეგმა მთლიანად ფსიქოლოგიურ ფაქტორზე ააგო და მაღალი მთის ფერდობებზე განლაგებულ 300 ხორასნელ მაჰმადიანს 60 მებრძოლით შეუტია. რიცხობრივ უპრატესობაზე დანდობილმა მოწინააღმდეგემ ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი სერიოზულ საფრთხედ არ აღიქვა, რატი სურამელმა კი ამასობაში სწრაფად აიარა ციცაბო აღმართი და ხელჩართულ ბრძოლაში მთლიანად გაანადგურა ხუთჯერ უფრო მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე.

# §40. მეფე დავით დიდი-ის ბრძოლა მონღოლების წინააღმდეგ

დემეტრე რი-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში გამეფებული ვახტანგ რი მეტად ბრძენი და სამართლიანი მმართველი გამოდგა. მან ათაბაგ-ამირსპასალარ ხუტლუბუღას ვერაგობას მალევე აუღო ალღო და მისი ძალაუფლება თანდათან შეზღუდა. თუმცა 1292 წელს ვახტანგ რი მოულოდნელად გარდაიცვალა და ხუტლუბუღამ ახლა დემეტრე რი-ის უფროსი ვაჟის – დავითის კანდიდატურა წამოაყენა სამეფო ტახტზე. გარდაცვლილი არღუნ ყაენის ვაჟმა, ქეღათუ ყაენმა, მოიწონა ხუტლუბუღას მიერ შემოთავაზებული კანდიდატურა და 1293 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე უფლისწული დავითი დაამტკიცა.

1290-იანი წლების დასაწყისში მონღოლების წინააღმდეგ აჯანყდა მცირე აზიის სელჩუკური ქალაქი, ტუნღუზალო. ქეღათუ ყაენი მის დასასჯელად გაემართა და თან წაიყვანა მეფე დავით დიდი, ქართველთა ლაშქრის ნახევართან ერთად. ყაენმა მუღანში დატოვა ქართველი მხედრების მეორე ნახევარი და ათაბაგ-ამირსპასალარი ხუტლუბუღა ჩაუყენა სათავეში. ამ სამხედრო შენაერთს მუღანის ველზე დგომა და ოქროს ურდოს ლაშქრის შემოჭრის შემთხვევაში წინააღმდეგობის გაწევა ევალებოდა.

ქეღათუ ყაენმა საკმაოდ სწრაფად მიაღწია აჯანყებულ ტუნღუზალოს და ალყა შემოარტყა. მონღოლები ხუთი თვის განმავლობაში უტევდნენ ქალაქს, თუმცა გარნიზონი საიმედოდ იცავდა თავს. ბოლოს ქეღათუ ყაენმა დავით დიდი-ს უბრძანა იერიშის მიტანა. ქართველმა მეფემ რამდენიმე წარმატებული შეტევით აიღო ტუნღუზალო. ქართველი მოლაშქრეები პირველები შეიჭრნენ ქალაქში. ერთ-ერთ უბანში დავით დიდი შეძრწუნებული ქრისტიანების მთელ ჯგუფს გადააწყდა და ამოხოცვისაგან იხსნა. ქართულმა მხედრობამ უზარმაზარი ალაფი ჩაიგდო ხელთ.

იმ დროს, როცა ქართული მხედრობის ერთი ნახევარი მცირე აზიაში იბრძოდა, მეორე კი მუღანის ველზე იდგა, ქართლში ძალზედ გააქტიურდნენ აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებული ოსი მოლაშქრეები, რომლებიც აქ 1260-იან წლებში ჩაასახლა ჰულაგუ ყაენმა. ოსებმა ისარგებლეს იმით, რომ ქვეყნის სამხედრო ძალები საქართველოში არ იმყოფებოდნენ, მოულოდნელად აოხრეს მთელი შიდა ქართლი, გორის ციხე აიღეს და მარბიელი თავდასხმების მოწყობას შეუდგნენ.

ოსების თარეშით შეწუხებულმა ქართველმა დიდებულებმა ქართლის ერისთავ ბეგა სურამელის ვაჟის – ამადა სურამელის ირგვლივ მოიყარეს თავი. მათ რამდენიმე შეტევა მიიტანეს გორის ციხეზე და ის იყო, უნდა აეღოთ, რომ ოსებმა მალემსრბოლი გააპარეს მუხრანის მიდამოებში დაბანაკებულ მონღოლებთან დახმარების სათხოვნელად. მონღოლები დაუყოვნებლივ ჩაერივნენ დაპირისპირებაში და ქართველებს ციხის აღება აუკრძალეს. გორი მონღოლთაგან ზურგგამაგრებული ოსების ხელში დარჩა და შიდა ქართლშიც კონფლიქტის ახალი კერა შეიქმნა.

ამიერიდან გორის ციხეში გამაგრებულ ოსებსა და შიდა ქართლიდან გამოსულ ქართველ მხედრებს შორის გაუთავებელი შეტაკებები დაიწყო. ოსები განსაკუთრებით ემტერებოდნენ ქართლის ერისთავ ბეგა სურამელის ვაჟს – სახელოვან სარდალ რატი სურამელს. ერთ დღესაც გორში მდგომი ოსების დიდი რაზმი თბილისში სავაჭროდ გაემართა. მათ სანადიროდ მყოფი რატი სურამელი გადაეყარათ, რომელსაც მცირერიცხოვანი ამალა ახლდა. ოსი მოლაშქრეების მეთაურებმა, სათხისმა და უზურაბეგმა, რომლებსაც სრული საბრძოლო აღჭურველობა ჰქონდათ ასხმული, ერთდროულად შეუტიეს რატი სურამელს. ქართველ სარდალს საჭურველი ტანთ არ ემოსა, ამიტომაც ფარი მოიმარჯვა, მდინარისაკენ დაიხია და ისეთ ადგილას დადგა, რომ მასთან პირისპირ მისვლა მხოლოდ ერთ მოწინააღმდეგეს შესძლებოდა. რატი სურამელს პირველად სათხისმა შეუტია. ქართველმა სარდალმა მოიგერია მოწინააღმდეგის იერიში და ხმლის ერთი მოქნევით გაუჩეხა მუზარადიანი თავი. მოკლული სათხისი მიწას დაასკდა. რატი სურამელს ახლა უზურაბეგმა შეუტია. ქართველმა სარდალმა მისი იერიშიც მოიგერია და ჯაჭვით შეჭურვილ მხარზე ხმალი ისეთი ძალით დაჰკრა, რომ მძიმედ დაჭრილი ოსი ცხენიდან ჩამოაგდო. უზურაბეგი მაშინვე მოკლეს რატი სურამელის მხლებლებმა. მეთაურების დახოცვით თავზარდაცემულმა ოსებმა ქართველებთან შებრძოლება ვეღარ გაბედეს და გაიქცნენ.

1295 წელს ილხანთა სახელმწიფოში არეულობა დაიწყო. ქეღათუ ყაენს აუჯანყდნენ მცირე აზიის მმართველი ბაიდუ და აღმოსავლეთ ირანის გამგებელი ყაზანი. თავდაპირველად წარმატებას ბაიდუმ მიაღწია. მან ტყვედ შეიპყრო ქეღათუ, სიკვდილით დასაჯა და ყაენის ტახტი დაიკავა. ბაიდუს ყაენობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი ყაზანთან ბრძოლაში დაიღუპა. საბოლოოდ, ილხანთა ყაენის ტახტი ყაზანმა დაიკავა.

ამ შინაომების დროს დავით დიდი ბაიდუ ყაენს უჭერდა მხარს. მისი ამ პოზიციის შესახებ კარგად იცოდა ყაზან ყაენმაც. ამიტომაც, როცა მან მიიხმო დავით დიდი, ეს უკანასკნელი საგონებელში ჩავარდა. ის დიდხანს ჭოჭმანობდა: წასულიყო ყაენთან თუ გაქცევით ეშველა თავისათვის. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ დავით დიდი-მ ყაზან ყაენთან წასვლა გადაწყვიტა და გზად ჰერეთში გაჩერდა. აქ მას ჰერეთის ერისთავი, სახელოვანი მოლაშქრე სამადავლა და სხვა ქართველი სარდლები ეახლნენ.

ჰერეთში ყოფნის დროს დავით დიდი კიდევ ერთხელ ჰკითხა რჩევა ქართველ სარდლებს. მათ მეფეს ყაზან ყაენთან წასვლა ურჩიეს, თუმცა, მოულოდნელად, დავით დიდი საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო: ყაენთან წასვლაზე უარი თქვა და 1297 წელს არაგვის ხეობაში გაიხიზნა. აქ მისმა მოლაშქრეებმა საგანგებო კედელი ააგეს ჟინვალის მიდამოებში და მონღოლების დამსჯელი ლაშქრის მოსვლას დაელოდნენ.

დავით დიდი-ის განდგომით განრისხებულმა ყაზან ყაენმა იმავე 1297 წელს საქართველოში დიდი ლაშქარი გამოგზავნა, რომელსაც ილხანთა სახელმწიფოს სამხედრო მინისტრი – ხუტლუბუღა ნოინი ჩაუყენა სათავეში. მონღოლები თავდაპირველად თბილისში მოვიდნენ, იქ დაბანაკდნენ და დავით დიდი-სთან ელჩები გაგზავნეს. დიპლომატიური ურთიერთობების პირველი ფაზა წარმატებით დასრულდა. მონღოლებმა ქართველებს მძევლები მისცეს. ამის სანაცვლოდ, დავით დიდი ხუტლუბუღა ნოინთან მივიდა და ყაენისაგან პატიება ითხოვა. მონღოლები უკან გაბრუნდნენ.

მომდევნო 1298 წლის გაზაფხულზე ყაზან ყაენმა ისევ მიიხმო დავით დიდი. მეფე ამჯერადაც შეშინდა და ყაენთან წასვლაზე კვლავ უარი თქვა. განრისხებულმა ყაზან ყაენმა საქართველოში ისევ გამოგზავნა ხუტლუბუღა ნოინი. ამასობაში დავით დიდი-მ საკუთარი ძმა, უფლისწული ბადური, ოქროს ურდოს ყაენთან გაგზავნა და ილხანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. ამავდროულად, დავით დიდი-მ ელჩები ქვემო ქართლში დაბანაკებულ ხუტლუბუღა ნოინსაც გაუგზავნა და, დროის მოგების მიზნით, მოლაპარაკების გაჭიანურება სცადა.

ხუტლუბუღა ნოინი დავით დიდი-ს ეშმაკობას მიუხვდა, ლაშქარი აყარა და არაგვის ხეობისაკენ დაიძრა. მონღოლებმა დაუბრკოლებლად აიარეს ხეობის ქვედა, შედარებით ფართო ნაწილი, თუმცა ჟინვალთან შეჩერდნენ და რადგან ვიწრობებში აგებულ სიბაზე იერიში ვერ გაბედეს, უკან გაბრუნდნენ. არაგვის ხეობის ზემო წელს კვლავ დავით დიდი აკონტროლებდა.

სამაგიეროდ, აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორია მთლიანად მონღოლების ხელში აღმოჩნდა. ხუტლუბუღამ ისარგებლა იმით, რომ ქვეყანა, სამხედრო თვალსაზრისით, დაუცველი იყო და სასტიკად აოხრა ქვემო ქართლი, თრიალეთი, შიდა ქართლი, მუხრანი, ხერკი, ბაზალეთი, ერწო, თიანეთი და სხვა.

აღმოსავლეთ საქართველოს გაპარტახებით შეწუხებულმა დავით დიდი-მ საკუთარი თანამეცხედრე, არღუნ ყაენის და, ოლჯათი გაგზავნა ყაზან ყაენთან ელჩად. ეს უკანასკნელი თავდაპირველად ხუტლუბუღა ნოინთან მივიდა. მონღოლმა სარდალმა ოლჯათი პატივით მიიღო და საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, ლაშქართან ერთად, დაუყოვნებლივ დატოვა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო.

ოლჯათის დიპლომატიური მისია წარმატებული გამოდგა. 1299 წლის გაზაფხულზე ყაზან ყაენმა უკვე მესამედ მიიხმო დავით დიდი. ყაენის მიერ გამოგზავნილმა ელჩმა დაადგინა, რომ მეფეს დიდი მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული ოქროს ურდოს ყაენთან და ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობა ყაზანს. განრისხებულმა ყაენმა საქართველოში ახალი ლაშქარი გამოგზავნა და მას ერთ-ერთ სარდლად მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი ჩაუყენა სათავეში. შანშე მხარგრძელი დავით დიდი-ის პოლიტიკას არ იზიარებდა და, თავისი ერთგულების დასამტკიცებლად, ყაენის კარზე იმყოფებოდა.

გარდა ამისა, ყაზან ყაენმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ დავით დიდი-სთან, მისი მერყევი ხასითის გამო, საქმის დაჭერა აღარ ღირდა, მას მეფობა ჩამოართვა და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე დავით დიდი-ის უმცროსი ძმა – გიორგი დაამტკიცა, რომელიც პაპასთან (დედის მამასთან) ბექა ჯაყელთან იზრდებოდა.

გიორგი დ-ის მეფედ დადგინების მომდევნო, 1300 წელს ყაზან ყაენმა საქართველოში ისევ გამოგზავნა ხუტლუბუღა ნოინი და მონღოლთა დამსჯელი ლაშქარი. მათ ამჯერადაც სასტიკად აოხრეს აღმოსავლეთ საქართველო, თუმცა ჟინვალთან აგებულ სიბაზე შეტევა კვლავ ვერ გაბედეს. ამ დროს ხუტლუბუღა ნოინს დავით დიდი-ის ბანაკიდან გამოქცეული ქსნის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი ეახლა და არაგვის ხეობის ზემო წელისაკენ მიმავალი შემოვლითი გზის სწავლებას დაპირდა.

ხუტლუბუღა ნოინმა ქართველი სარდლის შემოთავაზება მიიღო და ჯარი შემოვლით გზაზე გადასასვლელად გაამზადა. ამ დროისათვის ხუტლუბუღა ნოინს შემდეგი ძალები ჰყავდა თავმოყრილი: ყაზან ყაენის მიერ გამოგზავნილი მონღოლი მოლაშქრეები, რომლებიც უშუალოდ ხუტლუბუღა ნოინს ემორჩილებოდნენ; მუდმივად მუხრანის მიდამოებში დისლოცირებული მონღოლური რაზმები, ბანთანაღუთ ნოინის ხელმძღვანელობით; საქართველოს სამეფოში შემავალი სომხური პროვინციებიდან გამოსული ლაშქარი, მანდატურთუხუცეს შანშე მხარგრძელის მეთაურობით; სამცხის მთავარ ბექა ჯაყელის მიერ გამოგზავნილი მესხთა სამხედრო შენაერთები; სხვადასხვა ქართველი სარდლის მიერ ჯავახეთიდან და ტაოდან გამოყვანილი საბრძოლო დანაყოფები; გორის ციხეში მდგომი ოსების რაზმები, მთავარ ბაყათარის ხელმძღვანელობით; ქსნის ხეობის ლაშქარი, შალვა ქვენიფნეველის მეთაურობით.

ხუტლუბუღა ნოინის უზარმაზარი ჯარი ჩრდილოეთისაკენ დაიძრა. წინა სამხედრო ექსპედიციებისაგან განსხვავებით, ამჯერად მონღოლები ქსნის ხეობას შეუყვნენ, არაგვის ხეობის პარალელურად. შალვა ქვენიფნეველის დახმარებით ხუტლუბუღა ნოინმა სწრაფად გაიარა ცხრაძმის ხევი და

ფორსირებულად გადალახა არაგვისა და ქსნის ხეობების გამყოფი ლომისას მთა. ამ შემოვლითი გზის წყალობით, მონღოლებმა გვერდი აუარეს ჟინვალთან აგებულ სიბას, მთიულეთის არაგვის ზემო წელზე მდებარე ცხავატის მხარეში აღმოჩნდნენ და ჟინვალის მიდამოებში განლაგებულ ქართველ მხედრებს ზურგში მოექცნენ.

მონღოლების მოულოდნელმა გამოჩენამ დავით დიდი დააბნია. მან, თავის სარდლებთან ერთად, ხადას მიუვალ ხეობას შეაფარა თავი. ხუტლუბუღა ნოინმა ცხავატში დავით დიდი-ის ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენა ვერ შეძლო, მის ძებნაში კავკასიონის ქედი გადალახა და ხევში გადავიდა.

აქ მონღოლები სტეფანწმიდას მიადგნენ და ამ მიუდგომელ ციხე-სოფელს ალყა შემოარტყეს. სტეფანწმიდაზე საიერიშო პოზიციები შალვა ქვენიფნეველის, ოსი ბაყათარისა და ბანთანაღუთ ნოინის სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს. მოხევეები მამაცურად დაუხვდნენ მრავალრიცხოვან მტერს და მოწინააღმდეგის იერიშების მოსაგერიებლად მოემზადნენ.

როცა ხუტლუბუღამ გაარკვია, რომ დავით დიდი ხევში არ იმყოფებოდა, სტეფანწმიდელებს შეთანხმება შესთავაზა. მონღოლები ციხე-სოფლის მოსახლეობისაგან მცირეოდენ სურსათს ითხოვდნენ, სანაცვლოდ კი პირობას იძლეოდნენ, რომ ხევში არაფერს არ ააოხრებდნენ. სტეფანწმიდელებმა ხუტლუბუღას სურსათი მისცეს და მონღოლებიც უკან, ცხავატში გადმოვიდნენ.

ამ დროისათვის დავით დიდი და მისი ლაშქარი მონღოლების დასახვედრად უკვე მზად იყო. მეფეს თან ახლდა ორი გამოცდილი სარდალი: მსახურთუხუცესი და ქართლის ერისთავი ამადა სურამელი და ამირეჯიბი ჭილა აბაზასძე, თავიანთ სამხედრო შენაერთებთან ერთად. დავით დიდი-სთან ერთად იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან გამოსული საბრძოლო დანაყოფებიც.

ცხავატში გადმოსულმა ხუტლუბუღა ნოინმა ბოლოს და ბოლოს შეიტყო, რომ დავით დიდი ხადას მიუვალ ხეობას აფარებდა თავს და მის შესაპყრობად მონღოლთა ლაშქარი გაგზავნა. ამ სამხედრო შენაერთებმა მთიულეთის არაგვი გადალახეს, მდინარის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ და ხადას ხეობაში შევიდნენ. მონღოლთა ეს მოქმედება სრულებით გაუაზრებელი აღმოჩნდა და ისინი დავით დიდი-ის დაგებულ ხაფანგში აღმოჩნდნენ.

ხადას ხეობის ვიწრო ყელის შესასვლელი ქართველებს დაუცველი ჰქონდათ, ამიტომ მონღოლები ღრმად შეიჭრნენ ამ ვიწრო ყელში და, მოულოდნელად, საგანგებოდ მოწყობილ ხერგილს გადააწყდნენ. მონღოლთა ლაშქრის წინსვლა შეჩერდა. ამ დროს მათი სამხედრო შენაერთები ხადას ხეობის ვიწრო ყელის მთელ სიგრძეზე აღმოჩნდა გაჭიმული. მონღოლი მოლაშქრეები ხადასწყლის დინების გასწვრივ გამავალ ვიწრო გზა-ბილიკზე ძლივს იკიდებდნენ ფეხს, მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირებიდან კი მაღალი ციცაბო ფერდობები გადმოსცქეროდათ.

ქართველები სწორედ ამ ფერდობებზე იყვნენ ჩასაფრებული. მათ ორივე მხრიდან მიიტანეს იერიში ხაფანგში მომწყვდეულ მოწინააღმდეგეზე. მონღოლებმა შებრუნება და უკან გაქცევა სცადეს, მაგრამ ვიწრობებში სწრაფად მოძრაობა შეუძლებელი იყო. მტრის ლაშქარში სრული ქაოსი დაიწყო, ციცაბო ფერდობებზე ჩასაფრებული ქართველები კი უმოწყალოდ ჟლეტდნენ მოწინააღმდეგეს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ხადას ხეობის ვიწრო ყელში ყველაზე უფრო ღრმად შეჭრილი 500 მონღოლი, რომლებმაც უკან გაქცევა ვეღარ შეძლეს. ისინი ტყვედ ჩაიგდეს ქართველებმა.

ვიდრე ხადას ხეობის შესასვლელში დავით დიდი-ის მოლაშქრეები მუსრს ავლებდნენ ხუტლუბუღა ნოინის სამხედრო შენაერთებს, მთიულეთის არაგვის მარჯვენა ნაპირზე მონღოლებისა და ქართველების ძირითადი ძალები შეეჯახნენ ერთმანეთს. ამ ბრძოლის დაწყებისათვის რიცხობრივი უპირატესობა აშკარად ხუტლუბუღა ნოინის მხარეს იყო, თუმცა მისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი, სტრატეგიული თვლსაზრისით, წამგებიან ადგილას, მდინარისპირა დაბლობში იყო დაბანაკებული. ბრძოლის ველის მიმდებარე სტრატეგიული სიმაღლეები მთლიანად დავით დიდი-ის სამხედრო შენაერთებს ჰქონდათ დაკავებული და ზემოდან დასცქეროდნენ მოწინააღმდეგეს.

ბრძოლა ორმხრივი იერიშებით დაიწყო, თუმცა პირველივე შეტაკებისას გამოჩნდა, რომ არაგვის ხეობის ზემო წელის მაღალმთიანი რელიეფის გამო ცხენოსან მონღოლებს საკუთარი საბრძოლო შესაძლებლობების გამოვლენა სანახევროდაც არ შეეძლოთ. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელს სრულად იყენებდნენ ადგილობრივი ქვეითი მთიელები: ცხავატელები, ხადელები, მოხევეები და სხვები, რომლებიც ბავშვობიდანვე ნაჩვევი იყვნენ ამგვარ ბუნებრივ პირობებში ომს. ისინი სწრაფად გადაადგილდებოდნენ ბრძოლის ერთი უბნიდან მეორეზე და მუსრს ავლებდნენ მტერს.

სასტიკი ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. საღამოს დავით დიდი-ის მოლაშქრეებმა საგრძნობლად შეავიწროვეს მოწინააღმდეგე, თუმცა ხუტლუბუღა ნოინი მაინც ახერხებდა საბრძოლო პოზიციების შენარჩუნებას. ამ დროს ბრძოლის ველზე გამოჩნდნენ ხადას ხეობაში გაგზავნილი მონღოლთა ლაშქრის ნარჩენები. მრავალრიცხოვანი სამხედრო შენაერთებიდან მხოლოდ 500-მდე მონღოლი გადარჩენილიყო.

ხუტლუბუღა ნოინი მიხვდა, რომ მისი ლაშქრობის ბედი გადაწყვეტილი იყო. მან დაღამებამდე შეინარჩუნა საბრძოლო პოზიციები, ღამით კი გადარჩენილ ლაშქართან ერთად აიყარა, ჩუმად დატოვა ბრძოლის ველი, ლომისას მთა გადაიარა და, ქსნის ხეობის გავლით, ყაზან ყაენთან

დაბრუნდა. მონღოლთა მრავალრიცხოვანი ჯარი მოგერიებული იყო. გამარჯვება დავით დიდ-ს დარჩა.

1301 წელს ყაზან ყაენმა ხუტლუბუღა ნოინი დიდძალ ლაშქართან ერთად კიდევ ერთხელ გამოგზავნა საქართველოში. დავით დიდი ისევ არაგვის ხეობის ზემო წელზე გამაგრდა, თუმცა ამჯერად მეფის პოზიცია ქართველი სარდლების ერთმა ნაწილმა უკვე აღარ გაიზიარა. ისინი შეწუხებული იყვნენ მონღოლთაგან მამულების გაპარტახებით და დავით დიდ-ს ხუტლუბუღასთან დაზვება შესთავაზეს. მონღოლმა ნოინმა მეფის საზავო ინიციატივა სიხარულით მიიღო. მოლაპარაკებები რამდენიმე თვე გაგრძელდა.

ამავე 1301 წლის შემოდგომაზე, როცა მოსახლეობა მთელი წლის მოსავლის აღებას შეუდგა, დავით დიდ-მ დიდი ლაშქრობა მოაწყო ორგული სარდლის – შალვა ქვენიფნეველის წინააღმდეგ. მეფის რაზმები ქსნის ხეობაში გადავიდნენ და ერისთავის კუთვნილი ციხესიმაგრეებისა და ყმა-მამულის დარბევას შეუდგნენ. შალვა ქვენიფნეველი მიხვდა, რომ დავით დიდ-ის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდა და მასთან შუამავლობა მსახურთუხუცესსა და ქართლის ერისთავს – ამადა სურამელს სთხოვა. მეფემ შალვა ქვენიფნეველს შეცოდება მიუტევა. ქსნის ერისთავმა, მორჩილებისა და სინანულის ნიშნად, თავზე ნაცარი წაიყარა და ისე ეახლა დავით დიდ-ს.

1302 წელს ყაზან ყაენს დავით დიდ-სთან უშედეგო მოლაპარაკებები მოსწყინდა და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტი მის უმცროს ძმას – უფლისწულ ვახტანგს უბოძა. ვახტანგ იდი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა დავით დიდ-ს, 1299 წლიდან ყაზან ყაენს ემსახურებოდა და მისი დიდი კეთილგანწყობით სარგებლობდა. 1302 წელს მეფე ვახტანგ იდი თბილისში მოვიდა. ახლად დადგინებულ მეფეს მორჩილება გამოუცხადეს მანდატურთუხუცესმა შანშე მხარგრძელმა, ქვემო ქართლის, ჯავახეთისა და ტაოს ქართველმა სარდლებმა. ვახტანგ იდი-ს მეფობა მიულოცა სამცხის მთავრის უფროსმა ვაჟმა, სამცხის ერისთავმა სარგის ჯაყელმაც.

დავით დიდი ვახტანგ იდი-ის გამეფების ამბავმა შეაშფოთა და გააქტიურება სცადა. ხუტლუბუღა ნოინმა არაგვის ხეობაში გამაგრებული მეფის მოძრაობა კარგად შენიშნა და მის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობის მოწყობა სცადა. მონღოლებმა დახმარებისათვის ისევ ქსნის ერისთავ შალვა ქვენიფნეველს მიმართეს. ქართველმა სარდალმა, რომელსაც მეფემ რამდენიმე თვის წინ მიუტევა ღალატი, კიდევ ერთი შემოვლითი გზა ასწავლა ხუტლუბუღა ნოინს. ქსნის ხეობაში შემოსულმა მონღოლებმა ამჯერად ზანდუკის ხევი აიარეს, ლომისას ქედი გადალახეს და ამ გზით აღმოჩნდნენ არაგვის ხეობის ზემო წელზე.

დავით დიდ მონღოლების გამოჩენას არ ელოდებოდა. გარდა ამისა, მისი ძველი მოლაშქრეების ერთი ნაწილი მონღოლებთან დაზავებას ცდილობდა და მეფესთან არ იმყოფებოდა. შექმნილ ვითარებაში დავით დიდ-მ ხუტლუბუღასთან შებრძოლებაზე უარი თქვა, ხადა-ცხავატიდან ხევში გადავიდა და გველეთის ციხეში გამაგრდა. მონღოლებმა გველეთს ალყა შემოარტყეს, თუმცა ციხის აღება ვერ შეძლეს და უკან დაიხიეს. დავით დიდ-სთან მყოფი მთიელები უკან დაედევნენ მოწინააღმდეგეს.

ხევიდან არაგვის ხეობაში გადმოსვლის დროს კავკასიონის ქედზე ქარიშხალი ამოვარდა. მონღოლთა ლაშქარი დაიფანტა და მცირე-მცირე ჯგუფებად მოახერხა უღელტეხილის გადალახვა. ამით კარგად ისარგებლეს ქართველმა მთიელებმა. ისინი თავს ესხმოდნენ მონღოლთა დანაწევრებულ საბრძოლო დანაყოფებს და მთლიანად ანადგურებდნენ.

ხუტლუბუღა ნოინი დიდი გაჭირვებით გადმოვიდა არაგვის ხეობაში, სწრაფად გადალახა ლომისის ქედი და, ზანდუკის ხევის გავლით, თბილისისაკენ გაემართა. მონღოლთა ლაშქრის ძირითადი ნაწილების გადასვლას ზურგიდან იცავდა ზანდუკის ხევში დაბანაკებული რამდენიმე სამხედრო შენაერთი.

როცა ხუტლუბუღა ნოინმა ქსნის ხეობიდან გააღწია, მონღოლთა არიერგარდმაც დატოვა დაკავებული პოზიციები და თბილისისაკენ დაიძრა, თუმცა მონღოლებს ქართველმა მთიელებმა ყოველი მხრიდან გზა მოუჭრეს და ალყაში მოაქციეს. ხუტლუბუღა ნოინმა საკუთარი არიერგარდის გადასარჩენად ქსნის ხეობაში ხელმეორედ შესვლა ვეღარ გაბედა და დავით დიდ-ის მოლაშქრეებმა მონღოლთა რაზმები მთლიანად გაანადგურეს.

ხუტლუბუღა ნოინის ლაშქრობა დავით დიდ-ის წინააღმდეგ ამჯერადაც მონღოლთა მარცხით დამთავრდა. გამარჯვება კვლავ მეფეს დარჩა. თუმცა ეს ლოკალური სამხედრო წარმატებები ოდნავადაც ვერ ანაზღაურებდა იმ უზარმაზარ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დანაკლისს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მიაყენა მონღოლთა რამდენიმეწლიანმა თარეშმა. ხუტლუბუღა ნოინის ლაშქრისგან არაერთგზის აოხრებული ქვეყანა კატასტროფის პირას იყო.

გამარჯვებული დავით დიდ-ის მდგომარეობაც უკიდურესად მძიმე იყო. 1302 წლის შემდეგ მის დაქვემდებარებაში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, კახეთისა და შიდა ქართლის ცალკეული მხარეები რჩებოდა. რაც შეეხება სომხეთს, ქვემო ქართლს, ჯავახეთსა და ტაოს, ეს პროვინციები მონღოლთაგან ზურგმომაგრებულ და თბილისში მყოფ ვახტანგ იდი-ს ემორჩილებოდნენ.

**ანალიზი.** არაგვისა და ქსნის ხეობებში მიმდინარე ქართველ-მონღოლთა ომები ქართული სამხედრო საქმის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფურცელია. ამ მოვლენებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ᲡᲪᲪ-ᲡᲪᲓ საუკუნეების მიჯნაზე ქართველი მხედრები კარგად იცნობდნენ და წარმატებით იყენებდნენ ნახევრად პარტიზანული ბრძოლის სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკას.

ამ ტიპის სამხედრო ოპერაციების ჩატარებისას ქართველი სარდლების მიერ შემუშავებული საბრძოლო გეგმის საფუძველი იყო სამი ძირითადი ელემენტი: ი – ადგილობრივი რელიეფის თავისებურებები: თვალუწვდენელი მთები, მაღალი ქედები, ღრმა ხეობები, ვიწრო ხევები, ძნელად გადასალახი უღელტეხილები, მკაცრი კლიმატური პირობები და სხვა; იი – ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით შექმნილი საკომუნიკაციო და თავდაცვითი სისტემები: მრავალი მიმართულებით მიმავალი გზა-ბილიკები, ვიწრო და საცალფეხო ხიდები, სადარაჯო თუ სათვალთვალო ციხე-კოშკები და სხვა; იიი – ადგილობრივი მეომრების განსაკუთრებული საბრძოლო შესაძლებლობები: ადგილობრივი რელიეფის კარგად ცოდნა, არსებულ პირობებში ბრძოლის გამოცდილება, ქვეითად სწრაფი გადაადგილების უნარი და სხვა.

ჩამოთვლილ სამ ძირითად ელემენტზე იყო დამყარებული დავით Დიიი-ისა და მისი სარდლების შემუშავებული ნახევრად პარტიზანული ბრძოლების სტრატეგია და ტაქტიკა, რომლებმაც ქართველ მხედრებს რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა იმ დროის მსოფლიოს საუკეთესო სამხედრო ძალად აღიარებულ მონღოლებთან დაპირისპირებისას.

ცალკე საუბრის თემაა ᲡᲪᲪ-ᲡᲪᲓ საუკუნეების ქართველი სარდლობის სახელმწიფოებრივი აზროვნების საკითხი. იმ დროს, როცა მეფე დავით Დიიი, მსახურთუხუცესი და ქართლის ერისთავი ამადა სურამელი, ამირეჯიბი ჭილა აბაზასძე და სხვა ქართველი სარდლები მონღოლების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ქართველი სარდლების მეორე ნაწილი: მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი, სამცხის ერისთავი სარგის ჯაყელი, ქსნის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი და სხვები მონღოლთა დროშის ქვეშ იდგნენ და საკუთარი თანამოძმეების სისხლს ღვრიდნენ.

ქვეყნის სამხედრო უწყების ხელმძღვანელების ასეთი სამარცხვინო მოქმედება, პირველ რიგში, იმით იყო გამოწვეული, რომ ზოგიერთი ქართველი სარდალი მხოლოდ პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. ამით კარგად სარგებლობდნენ მონღოლები. ისინი ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ მათ მხარეზე გადასულ ქართველ სარდლებს და, საბოლოოდ, ძირს უთხრიდნენ საქართველოს სამხედრო ძლიერებას.

## §41. ბექა ჯაყელის ბრძოლა აზატ-მოსეს წინააღმდეგ

1302 წლის ახლო ხანებში მონღოლთაგან მოოხრებულ საქართველოს ახალი საფრთხე დაემუქრა. მცირე აზიაში მომთაბარე თურქებმა 60 000-იანი ლაშქარი შეკრიბეს და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემოჭრნენ. მათ გამოცდილი სარდალი აზატ-მოსე ედგა სათავეში. ტაოს სამხედრო ხელისუფლება თურქთა თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა და მტერს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. თურქები ტაოს დაუცველი მოსახლეობის ძარცვა-რბევას შეუდგნენ.

თურქების რამდენიმე მარბიელმა რაზმმა მხოლოდ ტაოს დაწიოკება არ იკმარა: მდინარე ჭოროხს ქვემოთ დაუყვა, გზად კლარჯეთი მოითარეშა და ბოლოს მურღულსა და ნიგალისხევს შეესია. ასეთ შორ მანძილზე გადაადგილების გამო ეს მარბიელი რაზმები ტაოში მდგომი თურქების ძირითადი სამხედრო შენაერთებისაგან რამდენიმე ათეული კილომეტრით აღმოჩნდნენ მოწყვეტილი. ამით კარგად ისარგებლეს ადგილობრივმა ქართველმა მოლაშქრეებმა და, აზნაურ ხერხემლიძეების სარდლობით, მთლიანად გაანადგურეს მურღულსა და ნიგალისხევში შემოსული მარბიელი რაზმები.

აზატ-მოსეს თავდასხმის დროს ტაო ორ ნაწილად იყოფოდა. ერთი ნაწილი სამცხის მთავარ ბექა ჯაყელს ემორჩილებოდა, მეორე ქვეყნის სამეფო კარს ექვემდებარებოდა და მას ტაოს ერისთავი თაყა ფანასკერტელი განაგებდა. ასე რომ, ტაოში შემოჭრილი თურქების წინააღმდეგ ბრძოლა ბექა ჯაყელისა და თაყა ფანასკერტელის პირდაპირი სამხედრო მოვალეობა იყო.

თაყა ფანასკერტელმა, ლაშქრის სიმცირის გამო, თავდაცვითი ტაქტიკა აირჩია და თორთუმის ციხეში გამაგრდა. ტაოს სხვადასხვა მხარის აოხრების შემდეგ თურქებმა თურთუმის ციხის იერიშიც გადაწყვიტეს. თაყა ფანასკერტელი მოწინააღმდეგის შეტევას აღარ დაელოდა, მოულოდნელად გამოიჭრა ციხიდან და მთლიანად გაანადგურა თორთუმთან მდგომი თურქები.

ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვების მიუხედავად, თაყა ფანასკერტელს სამხედრო მოქმედებების გასაგრძელებლად და ტაოდან თურქების საბოლოოდ განსადევნად ძალები აღარ ეყო და ისევ თორთუმის ციხეში გამაგრდა. მთელი ტაოს მოსახლეობა ახლა ბექა ჯაყელის იმედზე იყო.

სამცხის მთავარმა საკმაოდ დიდ სამხედრო ძალებს მოუყარა თავი და აზატ-მოსეს წინააღმდეგ დაიძრა, თუმცა, ვიდრე მისი ლაშქარი ტაოში მივიდოდა, თურქები აიყარნენ და მცირე აზიაში დაბრუნდნენ. ბექა ჯაყელს ტაო სასტიკად აოხრებული დახვდა. მოსახლეობის ნაწილი ამოხოცილი იყო, ნაწილი კი თურქებს ტყვედ წაეყვანათ. დამწუხრებულმა სამცხის მთავარმა ლაშქარი დაშალა და პირობა დადო, რომ მომდევნო წელს თურქებს საკადრის პასუხს მიუზღავდა.

გავიდა თითქმის ერთი წელი და დაუსჯელობით გათამამებულმა მცირეაზიელმა თურქებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ ახალი დიდი ლაშქრობა წამოიწყეს. მათ 60 000-იან ჯარს კვლავ აზატ-მოსე ჩაუდგა სათავეში. თურქები სპერსა და ბაიბურთის მიდამოებში დაბანაკდნენ, ტაოს სამხრეთით მდებარე ვაშლოვანის პროვინციის მოსათარეშებლად კი 10 000 მეომარი გაგზავნეს წინდაწინ.

ბექა ჯაყელი თურქთა თავდასხმას ამჯერად სრულად მომზადებული დახვდა. მან თავი მოუყარა ქართველ მოლაშქრეებს საკუთარი პროვინციებიდან: სამცხიდან, შავშეთიდან, კლარჯეთიდან, კოლადან, არტაანიდან, კარნიფორიდან და ტაოს ნაწილიდან. ბექა ჯაყელის ლაშქარს შეუერთდნენ ჯავახეთიდან გამოსული მეომრებიც. სულ ქართველთა ლაშქარში 12 000-მა ჯარისკაცმა მოიყარა თავი. ბექა ჯაყელი თავისი სამხედრო შენაერთებით სამხრეთისაკენ დაიძრა და მალე ტაოს მივიდა.

აქ ქართველმა სარდლებმა ზუსტად გაარკვიეს თურქების მოძრაობის მარშრუტი და ვაშლოვანისაკენ დაიძრნენ. ბექა ჯაყელმა, დროის მოგების მიზნით, საკუთარი ლაშქრიდან 500 რჩეული ცხენოსანი გამოყო და სწრაფად წასვლა უბრძანა. ამ საბრძოლო დანაყოფის მიზანი იყო, მტერი ძირითადი ძალების მოსვლამდე შეეკავებინა და ვაშლოვანის აოხრების საშუალება არ მიეცა.

ქართველმა მხედრებმა დავალება ზუსტად შეასრულეს და მოწინააღმდეგეს ვიწრობებში ჩაუსაფრდნენ. თურქები ნელა, საბრძოლო წყობის დაცვის გარეშე მოემართებოდნენ ვაშლოვანისაკენ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ამჯერადაც დაუბრკოლებლად მოითარეშებდნენ საქართველოს. როცა ისინი ვიწრობებში აღმოჩნდნენ, ჩასაფრებულმა 500-მა ქართველმა მათზე მოულოდნელად მიიტანა იერიში. თურქები ქართველების თავდასხმას არ ელოდნენ და თავზარდაცემულნი გაიქცნენ უკან. ქართველი მხედრები ჩეხვით მიჰყვნენ მოწინააღმდეგეს და მრავალი დახოცეს.

როცა ბექა ჯაყელმა თურქების გაქცევის ამბავი შეიტყო, თავისი ძირითადი ლაშქრით სწრაფად წაიწია წინ და ტაოსა და ვაშლოვანის სამხრეთ-დასავლეთ საზღვართან დაბანაკდა. ამასობაში გაქცეული თურქები აზატ-მოსესთან მივიდნენ და თავიანთი დამარცხების ამბავი ამცნეს. განრისხებულმა სარდალმა თურქთა ლაშქარი ორ ნაწილად გაყო. 30 000 მეომარს ტაოში ჩასვლა და იქაურობის კიდევ ერთხელ აოხრება დაავალა, დანარჩენ 30 000 ჯარისკაცს კი თავად ჩაუდგა სათავეში და ვაშლოვანისკენ დაიძრა. აზატ-მოსეს საომარი გეგმის მიხედვით, ტაოში გაგზავნილი თურქები ბანას ციხესთან უნდა დაბანაკებულიყვნენ. თავად აზატ-მოსე ამასობაში ვაშლოვანს მოარბევდა და თვითონაც ბანას ციხესთან მივიდოდა.

აზატ-მოსეს ეს სამხედრო გეგმა იმავე ღამეს ცნობილი გახდა ბექა ჯაყელისათვის. შებინდებისას მისმა მზვერავებმა ოთხი თურქი შეიპყრეს. ქართველმა სარდალმა თითოეული მათგანი ცალ-ცალკე დაკითხა და, მათი ნაამბობის ურთიერთშეჯერების გზით, ზუსტად შეიტყო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი. ბექა ჯაყელმა საკუთარი ლაშქარი დაუყოვნებლივ გაყო ორად, უფრო მრავალრიცხოვან და საუკეთესო სამხედრო შენაერთებს უფროსი ვაჟი სარგის ჯაყელი ჩაუყენა სათავეში და ვაშლოვანისაკენ მიმავალი თურქების წინააღმდეგ გაგზავნა.

სარგის ჯაყელის ლაშქარი სწრაფად მოძრაობდა, თუმცა აზატ-მოსე საკმაოდ შორს იყო წასული და ქართველებს მისი დაწევა გაუჭირდათ. მამის დავალების შესასრულებლად სარგის ჯაყელმა თავისი ლაშქრიდან 500 რჩეული მხედარი გამოყო და მათთან ერთად დაწინაურდა. ქართველები თურქებს ვაშლოვანის საზღვართან დაეწივნენ.

როცა აზატ-მოსემ მისკენ მიმავალი 500 ქართველი მხედარი დაინახა, იოლი გამარჯვების იმედი გაუჩნდა და ჯარი საბრძოლველად განალაგა. სარგის ჯაყელი თავისი ლაშქრის ძირითად ნაწილს აღარ დაელოდა და ელვისებური იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე. ქართველი მხედრების დარტყმა წარმოუდგენლად ძლიერი აღმოჩნდა. სარგის ჯაყელმა პირველივე შეჯახებისას გადათელა თურქების მეწინავეები და ღრმად შეიჭრა მტრის განლაგებაში. თურქთა საბრძოლო რიგები აირია. ამით კარგად ისარგებლა სარგის ჯაყელმა და დაბნეული მოწინააღმდეგის ჩეხვას შეუდგა.

ამ დროს თვალსაწიერზე გამოჩნდნენ ბრძოლის ველისაკენ მომავალი ქართველთა ძირითადი სამხედრო შენაერთები. აზატ-მოსე მიხვდა, რომ სტრატეგიული ინიციატივა ახლა უკვე მთლიანად ქართველების ხელში იყო და წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა. თურქები შებრუნდნენ და ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. ქართველი მხედრები დაბინდებამდე მისდევდნენ მოწინააღმდეგეს და დაუნდობლად ჩეხდნენ მათ.

როცა სარგის ჯაყელმა აზატ-მოსეს ლაშქრის დევნა შეწყვიტა და ბრძოლის ველზე დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ შეტაკების ადგილას 513 თურქი იყო მოკლული. იმავე ღამეს ქართველმა სარდალმა საკუთარი დანაკარგებიც დათვალა. იმ დღის განმავლობაში თურქებს მხოლოდ 5 ქართველი მეომრის მოკვლა მოეხერხებინათ.

იმ დროს, როცა სარგის ჯაყელი აზატ-მოსეს ლაშქრის პირველ ნახევარს ამარცხებდა, ბექა ჯაყელმა ბანაკი დატოვა და ტაოსაკენ მიმავალი მოწინააღმდეგისკენ გაემართა. თურქები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქართველები მათ მხოლოდ ტაოში შეჭრის შემდეგ გაუწევდნენ წინააღმდეგობას და ნელა გადაადგილდებოდნენ, უსაფრთხოების ჯგუფების გარეშე მიიწევდნენ წინ. ამით ისარგებლა ბექა ჯაყელმა და მტერზე მაშინ მიიტანა იერიში, როცა ის ჯერ კიდევ საკუთარ ტერიტორიაზე მოძრაობდა.

თურქები მოწინააღმდეგის თავდასხმას მოუმზადებელი დახვდნენ და, როგორც კი მათკენ მიმავალი ქართველი მხედრები დაინახეს, ხმლის მოუქნევლად გაიქცნენ უკან. ბექა ჯაყელის მოლაშქრეები ჩეხვით მიჰყვნენ მათ. თურქთა ამ უწესრიგო გაქცევის დროს ქართველებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს მტრის 30 000-იანი სამხედრო შენაერთი. თურქთა გადარჩენილმა რაზმებმა სპერის ციხე-ქალაქს შეაფარეს თავი. ბექა ჯაყელის ლაშქარი იქვე დაბანაკდა.

ამასობაში სპერს მიუახლოვდნენ სარგის ჯაყელის მიერ დამარცხებული თურქთა საბრძოლო დანაყოფები. ბექა ჯაყელმა ხელმეორედ გასცა საბრძოლველად მომზადების ბრძანება და, ვიდრე აზატ-მოსე შექმნილ მდგომარეობაში გაერკვეოდა, პირდაპირი იერიში მიიტანა მის სამხედრო შენაერთებზე.

თურქები, რომლებიც თავის გადასარჩენად სპერისაკენ მირბოდნენ, კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბექა ჯაყელის ლაშქარმა აზატ-მოსეს უწესრიგოდ ლტოლვილ მეომრებს ციხე-ქალაქში შესვლის საშუალება არ მისცა და იქვე, სპერის მისადგომებთან, თითქმის მთლიანად გაანადგურა სარგის ჯაყელის მოლაშქრეებს გადარჩენილი თურქები.

საომარი გეგმა ზედმიწევნით ზუსტად იყო შესრულებული, თუმცა ბექა ჯაყელმა არ იკმარა აზატ-მოსეს დამარცხება, სარგის ჯაყელის ლაშქრის მოსვლას დაელოდა, იერიში მიიტანა სპერზე და პირველივე შეტევით აიღო ქალაქი. გარნიზონმა, რომელიც საქართველოზე ლაშქრობების დროს სამხედრო დახმარებას უწევდა აზატ-მოსეს, ქალაქის დედაციხეს შეაფარა თავი. ქართველებმა სპერში მყოფი თურქი მეციხოვნენი მთლიანად ამოხოცეს და შემდეგ ქალაქი დატოვეს.

ბექა და სარგის ჯაყელების ხელმძღვანელობით ჩატარებული ამ ბრწყინვალე საომარი ოპერაციის შედეგად, ქართველებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს აზატ-მოსეს 60 000-იანი ლაშქარი. თურქთაგან მხოლოდ 200-მდე ჯარისკაცი გადაურჩა სიკვდილს, რომლებმაც ლაზეთის მიუვალ მთებს შეაფარეს თავი. ამ საომარი ოპერაციის დროს ქართველების მხრიდან მხოლოდ 20-მდე მოლაშქრე დაიღუპა, რაც წარმოუდგენლად კარგი შედეგი იყო.

აზატ-მოსეს ლაშქრის განადგურებისა და სპერის აღების შემდეგ ბექა ჯაყელმა კიდევ ორ დიდ მაჰმადიანურ ქალაქზე: ბაიბურთსა და არზრუმზე მიიტანა იერიში. მოსახლეობამ, რომელიც სპერის აღებით შეშფოთებული იყო, ქართველ მოლაშქრეებს მდიდრული საჩუქრები უძღვნა და დაჰპირდა, რომ საქართველოს მოსათრეშებლად მიმავალ თურქებს არ დაეხმარებოდა.

ყაზან ყაენი სიხარულით შეხვდა ბექა ჯაყელის მიერ თურქების დამარცხების ამბავს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მონღოლთა და ეგვიპტელთა დაპირისპირებისას მცირეაზიელი თურქები ამ უკანასკნელთ უჭერდნენ მხარს და იარაღით ხელში გამოდიოდნენ ილხანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. კმაყოფილების ნიშნად, ყაზან ყაენმა ბექა ჯაყელს დიდი სომხური ქალაქი ყარსი და მისი მიმდებარე ქვეყანა უბოძა.

**ანალიზი.** აზატ-მოსეს ლაშქრის განადგურება ქართული სამხედრო საქმის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი და მრავალმხრივ საინტერესო ფურცელია. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ აზატ-მოსესთან დაპირისპირების დროს ბექა ჯაყელმა სამხედრო მოქმედებების თეატრი ტაოდან და ვაშლოვანიდან საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, სპერში გადაიტანა, რითაც ტაოს, ვაშლოვანისა და სხვა მეზობელი პროვინციების მოსახლეობას უზარმაზარი ზარალი ააცილა.

ბექა ჯაყელის, როგორც მთავარსარდლის, გადადგმული ნაბიჯებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 4 ტყვე თურქი მეომრის ცალ-ცალკე დაკითხვა და მათგან მიღებული ინფორმაციის ერთმანეთისათვის შედარება. ვფიქრობთ, ამ ფაქტიდან კარგად ჩანს, რომ XIII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს სამხედრო ძალები შესანიშნავად იცნობდნენ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობას და წარმატებით იყენებდნენ მის შედეგად მოპოვებულ სამხედრო ინფორმაციას.

აზატ-მოსეს განადგურებასა და ქვეყნის მეზობელი დიდი მაჰმადიანური ქალაქების დალაშქვრას განსაკუთრებული სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. ამ ბრწყინვალე გამარჯვებით ბექა ჯაყელი მთელ მახლობელ აღმოსავლეთს ამცნობდა, რომ მონღოლების მორჩილების მიუხედავად, ქართველ მხედრებს ჯერ კიდევ შესწევდათ ძალა, სასტიკი დარტყმა მიეყენებინათ აგრესიულად განწყობილი მეზობელი მაჰმადიანური გაერთიანებებისათვის.

## §42. ქართული ჯარი სირიისა და გილანის ლაშქრობებში

XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მონღოლებმა ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ რამდენიმე დიდი ლაშქრობა წამოიწყეს. თავდაპირველად ყაზან ყაენმა 130 000-იან ჯარს მოუყარა თავი და დასავლეთისაკენ დაიძრა. მან ლაშქრობაში იახლა ვახტანგ IV, თავის სამხედრო შენაერთებთან ერთად, და ბექა ჯაყელის გამოგზავნილი საბრძოლო დანაყოფები. ყაზან ყაენის წინააღმდეგ მთელი თავისი სამხედრო ძალებით გამოვიდა ეგვიპტის სულთანი.

მონღოლებსა და ეგვიპტელებს შორის გადამწყვეტი ბრძოლის დროს ამ უკანასკნელთა ელიტურმა სამხედრო შენაერთებმა მონღოლთა ლაშქრის იმ პოზიციებზე მიიტანეს იერიში,

რომელზეც უშუალოდ ყაზან ყაენი იდგა. ყაენის დაცვა დაახლოებით 2000 მეომრისაგან შემდგარ საბრძოლო დანაყოფს დაევალა, რომელსაც მონღოლთა მთავარსარდალი ხუტლუბუღა ნოინი მეთაურობდა. სწორედ ამ საბრძოლო დანაყოფის შემადგენლობაში იბრძოდა ვახტანგ რაჭი, თავის რაზმებთან ერთად.

ხუტლუბუღა ნოინმა ეგვიპტელთა ელიტური შენაერთების შეტევა დიდი გაჭირვებით მოიგერია. ყაენის დასაცავად გამოყოფილი 2 000 ჯარისკაცის თითქმის ნახევარი ბრძოლის ველზე დაეცა. ვახტანგ რაჭი და ქართველი მოლაშქრეები, დიდი დანაკარგების მიუხედავად, ისე მამაცურად იბრძოდნენ, რომ გამოცდილი მონღოლი სრდლებიც კი აღფრთოვანებულები იყვნენ მათი თავგანწირვით. ამასობაში მონღოლებმა მოწინააღმდეგე თანდათან შეავიწროვეს, ბოლოს ბრძოლის ველიდან გააქციეს კიდეც.

ლტოლვილ ეგვიპტის სულთანს უკან მიჰყვნენ მონღოლები და მისი ჯარისკაცების ხოცვას შეუდგნენ. ყაზან ყაენის ლაშქრის ერთმა ნაწილმა ეგვიპტელების დევნაში იერუსალიმსაც კი მიაღწია და წმიდა ქალაქი აიღო. თავად ყაზან ყაენმა ლაშქრობა გააგრძელა და მალე სირიის მთავარ ქალაქ დამასკოში შევიდა. ყაენმა აქ მონღოლთა გარნიზონი ჩააყენა და უკან გამობრუნდა. ვახტანგ რაჭი, ქართველ მოლაშქრეებთან ერთად, სამშობლოში დაბრუნდა.

1203 წელს დამასკოს მოსახლეობა ყაზან ყაენს აუჯანყდა და მონღოლური გარნიზონი ქალაქიდან გააძევა. ყაენმა აჯანყებული დამასკოს წინააღმდეგ უზარმაზარი ჯარი გაგზავნა. სამხედრო ექსპედიციას გამოცდილი მთავარსარდალი ხუტლუბუღა ნოინი ჩაუდგა სათავეში. ყაზან ყაენის ბრძანებით, ლაშქრობაში მონაწილეობა ვახტანგ რაჭი-მ და სხვა ქართველმა სარდლებმაც მიიღეს.

ხუტლუბუღა ნოინმა დამასკოს ალყა შემოარტყა, მაგრამ ქალაქის აღება ვერ შეძლო. ეგვიპტის სულთანმა უზარმაზარი ჯარი შეკრიბა და მონღოლების წინააღმდეგ დაიძრა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს გაშლილ ველზე შეხვდნენ. სასტიკი ბრძოლის პირველი დღე უშედეგოდ დასრულდა. იმ ღამეს ხუტლუბუღა ნოინი თავისი ლაშქრით ბრძოლის ველის შუაგულში აღმართულ მოგრძო ქედზე დაბანაკდა. იმავე ღამით ეგვიპტის სულთანმა მონღოლთა ბანაკის მახლობელი მდინარის კაშხალი გახსნა და ქედის უკან არსებული დაბლობი 2 მეტრზე მეტი სიმაღლის შლამით დატბორა.

მეორე დილას მონღოლთა ლაშქარი ცუდ დღეში აღმოჩნდა. ხუტლუბუღა ნოინმა მონღოლთა სამხედრო შენაერთების საბრძოლველად განლაგება ვერ შეძლო, რადგან მისი ლაშქრის გაშლისათვის საჭირო სივრცე შლამით იყო დაფარული. ეგვიპტის სულთანმა, რომელიც გაშლილ დაბლობზე იყო დაბანაკებული, ხუტლუბუღა ნოინის მძიმე მდგომარეობით ისარგებლა, თავისი სამხედრო შენაერთები საომრად განალაგა და მონღოლთა ბანაკზე იერიში მიიტანა.

ხუტლუბუღა ნოინის ჯარმა სამხედრო ბანაკი უწესრიგოდ მიატოვა და თავის გადასარჩენად შლამით დაფარული დაბლობისაკენ გაიქცა. მონღოლთა პირველი რიგები შლამში ჩაეფლო და დაიღუპა. მომდევნო რიგებმა უკვე დახოცილ ჯარისკაცებზე დაიწყეს გადავლა. ხუტლუბუღა ნოინის ლაშქარს ამასობაში ეგვიპტელებიც დაეწივნენ და ჩეხა დაუწყეს. ბრძოლა მონღოლთა კატასტროფული მარცხით დამთავრდა. ხუტლუბუღა ნოინთან მყოფი ვახტანგ რაჭი და სხვა ქართველი სარდლები სიკვდილს გადაურჩნენ, თუმცა მრავალი ქართველი ჯარისკაცი ეგვიპტელთა მახვილის მსხვერპლი გახდა.

დამარცხებული ხუტლუბუღა ნოინი ყაზან ყაენს ეახლა. განრისხებულმა ყაენმა სამხედრო ექსპედიციაში მონაწილე მონღოლი სარდლების უმეტესობა საპყრობილეში გამოამწყვდია, თავად კი ახალი ლაშქრობისათვის მზადებას შეუდგა. მოულოდნელად იგი გარდაიცვალა და ახალი სამხედრო ექსპედიციისათვის მზადება შეწყდა.

1304 წელს ყაენის ტახტი ყაზანის ძმამ – მუჰამედ ხუდაბენდემ დაიკავა. ახალმა ყაენმა ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ლაშქრობებზე უარი თქვა და თავისი სამხედრო ძალები ჩრდილოეთ ირანში მდებარე გილანის მაღალმთიანი პროვინციისაკენ მიმართა, რომელიც ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა მონღოლებს. სამხედრო ექსპედიციას თავად ხუდაბენდე ყაენი ჩაუდგა სათავეში. მონღოლებმა გილანელების წინააღმდეგ ლაშქრობაში წასვლა ასევე ვახტანგ რაჭი-ს, ბექა ჯაყელსა და ქართველ მხედრებსაც უბრძანეს.

გილანში მისულმა ხუდაბენდე ყაენმა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი ოთხ ნაწილად გაყო. მონღოლთა საუკეთესო სამხედრო შენაერთები და ვახტანგ რაჭი, თავის საბრძოლო დანაყოფებთან ერთად, ყაენთან დარჩა. ჯარის მეორე ნაწილს სათავეში ხუტლუბუღა ნოინი ჩაუდგა. მასთან იმყოფებოდა ბექა ჯაყელი სამხედრო შენაერთებით. მონღოლთა ლაშქრის მესამე ნაწილი და გორში მსხდომი ოსების რაზმები გამოცდილ სარდალს – უსენ ჯალაიარს დაექვემდებარა. ჯარის მეოთხე ხუდაბენდე ყაენმა ჩოფან სალდუსი უსარდლა. მის ლაშქარს შეუერთდა ქართველთა რამდენიმე საბრძოლო დანაყოფი, რომლებსაც გამრეკელ ჯავახიშვილ-თორელი მეთაურობდა.

იმ დროისათვის გილანის ტერიტორიაზე ოთხი დიდი გზა გადიოდა. თითოეულზე თითო ლაშქარი გაგზავნა ხუდაბენდე ყაენმა და საბოლოო მიზნად მთელი გილანის დაპყრობა დაისახა. გილანელებმა მონღოლთა საომარ გეგმას საკუთარი დაუპირისპირეს, რომლის თანახმად, გილანელთა მცირერიცხოვანი ჯარი ოთხ ნაწილად დაიყო და მონღოლთა ოთხი ლაშქრის წინააღმდეგ გაემართა. ხუდაბენდე ყაენის ლაშქარს გილანელი სარდალი ერიქაბაზნი დაუპირისპირდა, ხუტლუბუღა ნოინს – უბაში, ჩოფან სალდუსს – როსტან მელიქი, ხოლო უსენ ჯალაიარს – ასანი.

ხუდაბენდე ყაენის ლაშქრის გზა ერთ ვიწრო ხეობაში, მდინარის პირას გადიოდა. ერიქაბაზნმა ამ ხეობის ერთი ბოლო ჩახერგა და თავისი სამხედრო შენაერთებით ხეობის ტყით დაფარულ კალთებზე ჩასაფრდა. ყაენის ლაშქარში წინამბრძოლის პოზიცია ვახტანგ რაჟი-ს ეკავა, რომელსაც, ძირითადად, ქვემო ქართლიდან გამოყვანილი საბრძოლო დანაყოფები ახლდა.

როცა ხუდაბენდე ყაენის ლაშქარი ხეობაში ღრმად შევიდა, ჩასაფრებულმა გილანელებმა მოწინააღმდეგეს ყველა მხრიდან შეუტიეს. ყაენი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჯერ ერთი, მისი ლაშქარი დიდ მანძილზე იყო გაჭიმული, რის გამოც საბრძოლო დანაყოფების გადაჯგუფებასა და მოწინააღმდეგეზე კონტრიერიშის მიტანაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. გარდა ამისა, შლამით დაფარულ მდინარისპირა დაბლობში შევჯარული მონღოლი ცხენოსნები ხეობის ტყიან კალთებზე ჩასაფრებული გილანელების პოზიციებამდე ასვლას ვერ ახერხებდნენ და მოწინააღმდეგის შორიდან ნატყორცნი ისრის მსხვერპლი ხდებოდნენ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქართველი მოწინავეები, რომლებიც ხეობაში ყველაზე ღრმად იყვნენ შესული და გილანელთა ლაშქრის ყველაზე ძლიერი დარტყმაც სწორედ მათზე მოდიოდა. ვახტანგ რაჟი მიხვდა, რომ ხეობის კალთებზე ჩასაფრებული გილანელები ისრის სროლით რამდენიმე საათში გაანადგურებდნენ მდინარისპირა დაბლობში მდგომ ქართველ მხედრებს. ამიტომაც მეფემ თავის მეომრებს უბრძანა ცხენებიდან ჩამოსვლა, გილანელების პოზიციებზე ქვეითად შეტევა და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა.

ამ უმძიმეს წუთებში თავგანწირვის მაგალითი ქართველ მეომრებს თავად ვახტანგ რაჟი-მ მისცა. მეფემ სწრაფად აიარა ტყითა და ბუჩქნარით დაფარული ფერდობი და გილანელების პოზიციაზე მიიტანა იერიში. მეფის სიმამაცით გამხნევებულმა ქართველმა მხედრებმა თვითონაც მას მიბაძეს და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ.

სასტიკი შეტაკება შებინდებამდე გაგრძელდა. გადარჩენილი ქართველი მეომრები, სიბნელის ჩამოწოლასთან ერთად, მდინარისპირა დაბლობზე ჩავიდნენ, ცხენებზე ამხედრდნენ და ღამის საფარქვეშ დატოვეს სასაკლაოდ გადაქცეული ხეობა.

მართალია, ვახტანგ რაჟი-ის გადაწყვეტილებამ მეომრები სრული განადგურებისაგან იხსნა, მაგრამ დანაკარგი მაინც ძალიან დიდი იყო. იმ დღეს მეფესთან მყოფი ყოველი 10 ქართველიდან 8 ბრძოლის ველზე დაეცა. სიკვდილს ძლივს გადაურჩა თვით მეფეც, რომელიც ფეხში დაიჭრა.

იმ ღამეს ხუდაბენდე ყაენმა თავისი ლაშქრის დანაკარგები შეაფასა, სარდლებთან ითათბირა და უკან დახევა გადაწყვიტა. გილანელებმა მონღოლთა პირველი ლაშქრის წინსვლის შეჩერება წარმატებით მოახერხეს.

აღწერილი მოვლენების პარალელურად, მონღოლთა მეორე ლაშქარი, ხუტლუბუღა ნოინის მეთაურობით, გილანის კიდევ ერთ ვიწრო ხეობაში შევიდა. მასზე გამავალი გზის დაცვა გილანელ სარდალს — უბაშს ევალებოდა. მან მონღოლთა წინააღმდეგ, დაახლოებით, ისეთივე საბრძოლო ტაქტიკა აირჩია, როგორიც ხუდაბენდე ყაენის წინააღმდეგ გამოსულმა ერიქაბაზნმა. გილანელებმა ვიწრო ხეობის ერთი ბოლო ჩახერგეს, თვითონ კი ხეობის ტყით დაფარულ კალთებზე ჩასაფრდნენ.

ხუტლუბუღა ნოინის ლაშქარი ხეობაში შევიდა. მონღოლებს წინ ბექა ჯაყელის სამხედრო შენაერთები მიუძღოდა. გილანელები მოწინააღმდეგეს თავდაპირველად თავს არ ესხმოდნენ, თუმცა, როცა ხუტლუბუღა ნოინის მოწინავეებმა ხეობის ბოლოს შექმნილ ხერგილს მიაღწიეს, უბაშის მეომრებმა მონღოლებზე ყველა მხრიდან მიიტანეს იერიში. ხაფანგში მომწყვდეულმა ხუტლუბუღა ნოინმა უკან დახევა არ იკადრა, ცხენიდან ჩამოხტა, ფეხი მოირთხა და სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელობას შეუდგა.

მონღოლი სარდლის გეგმა შემდეგი იყო: მისი ცხენოსანი ჯარი, რომელიც ხეობის მთელ სიგრძეზე იყო გაჭიმული, დროებით თავდაცვით პოზიციაში უნდა ჩამდგარიყო. ამასობაში, ბექა ჯაყელი და ქართველი მოწინავეები წინ წავიდოდნენ, ხეობის ჩამკეტ ხერგილზე ქვეითად მიიტანდნენ იერიშს და ვიწრობებში ჩაკეტილ მონღოლ ცხენოსნებს გზას გაუხსნიდნენ.

ბექა ჯაყელმა ხუტლუბუღა ნოინის დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. მისი მოლაშქრეები დაქვეითდნენ და თავგანწირული იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე. ხანმოკლე ხელჩართული ბრძოლების შემდეგ ქართველებმა ხერგილზე ასვლა მოახერხეს და გზის გახსნას ცდილობდნენ.

მოულოდნელად, ერთ-ერთი გილანელის მიერ ნატყორცნი ისარი ხუტლუბუღა ნოინს თავში მოხვდა და განგმირა. ხუტლუბუღას დაღუპვამ მონღოლთა პანიკა გამოიწვია. სარდლის ვაჟმა, სიბუჩიმ, მამის ცხედარი აიტაცა და მონღოლ ცხენოსნებთან ერთად უკან გაიქცა, ხეობის თავისუფალი გასასვლელისაკენ.

ბექა ჯაყელის სამხედრო შენაერთები, რომლებიც ხეობის მეორე, ჩახერგილ გასასვლელთან იბრძოდნენ, კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მონღოლების გაქცევით ქართველებს ზურგი მთლიანად მოერღვათ. გილანელებმა ისინი ალყაში მოაქციეს. ბექა ჯაყელის მოლაშქრეების მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ყველა მათგანი ქვეითად იყო დარჩენილი, ცხენები ხერგილთან ჰყავდათ დატოვებული.

ამ უმძიმეს წუთებში ბექა ჯაყელმა გასაოცარი სიმტკიცე გამოიჩინა. მან გაფანტულ ქართველ მეომრებს რიგების შემჭიდროება უბრძანა, ხელჩართული ბრძოლით დატოვა ხერგილი და საბრძოლო წყობის დაცვით მიაღწია მახლობლად დატოვებულ ცხენებამდე. გილანელები, რომლებიც ხედავდნენ,

რომ მოწინააღმდეგე ალყიდან გაღწევას ცდილობდა, ყოველი მხრიდან უტევდნენ ბექა ჯაყელის მოლაშქრეებს. ბოლოს ქართველმა ჯარისკაცებმა ცხენებზე ამხედრება მოახერხეს, მიწინააღმდეგის ალყა თავგანწირული იერიშით გაარღვიეს და ხეობის თავისუფალი გასასვლელისაკენ გაიჭრნენ.

გილანელები ფეხდაფეხ დაედევნენ მონღოლებსა და ქართველებს, რომლებიც ხეობიდან გასვლის შემდეგ ახალ განსაცდელში ჩაცვივდნენ. აღმოჩნდა, რომ ბრინჯის ყანებზე გამავალი გზა, რომლითაც ხუტლუბუღა ნოინი ხეობაში შევიდა, ახლა მთლიანად წყლით იყო დაფარული. სანამ მონღოლები და ქართველები ბრინჯის ყანებს შორის გასასვლელებს ეძებდნენ, მათ გილანელები წამოეწივნენ და ჩეხვა დაუწყეს.

განადგურდა ხუტლუბუღა ნოინის ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი. არანაკლებ მდგომარეობაში იყო ბექა ჯაყელის სამხედრო შენაერთებიც. ქართველი მეომრების ნაწილი ხერგილზე იერიშისას დაიღუპა, ნაწილი – ალყის გარღვევისა და ხეობიდან გამოღწევის დროს, ნაწილი კი ბრინჯის ყანების გადალახვას შეეწირა.

ხუდაბენდე ყაენისა და ხუტლუბუღა ნოინის ჯარებისაგან განსხვავებით, ბევრად წარმატებული გამოდგა ჩოფან სალდუსის ლაშქრის მოქმედება. გამოცდილმა მონღოლმა გილანელი სარდალი როსტან მელიქი, რომელიც მიუვალ ციხესიმაგრეში იყო გამაგრებული, გაშლილ ველზე გაიტყუა და სასტიკად დაამარცხა.

სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილმა როსტან მელიქმა, თავისი ლაშქრის ნარჩენებთან ერთად, ისევ ციხესიმაგრეს შეაფარა თავი. ჩოფანმა იერიშისათვის დაიწყო მზადება, თუმცა, როცა ხუდაბენდე ყაენისა და ხუტლუბუღა ნოინის დამარცხების ამბავი შეიტყო, შეწყვიტა სამხედრო ექსპედიცია და უკან დაიხია. მონღოლთა ლაშქრის ზურგიდან დაცვა ქართულ სამხედრო შენაერთს დაევალა, რომელსაც გამოცდილი სარდალი გამრეკელ ჯავახიშვილ-თორელი ჩაუდგა სათავეში.

როსტან მელიქმა მალე შენიშნა მონღოლების უკან დახევა, თავისი გადარჩენილი მეომრებისაგან ახალი სამხედრო შენაერთი შეადგინა, ციხესიმაგრე დატოვა და ჩოფანის ლაშქარს დაედევნა. გილანელები სწრაფად მიიწევდნენ წინ. მოულოდნელად, მათ ქართველთა არიერგარდი გადაეღობა.

გამრეკელ ჯავახიშვილ-თორელისა და როსტან მელიქის საბრძოლო დანაყოფებს შორის სასტიკი შეტაკება დაიწყო. ქართველმა სარდალმა, რომელიც გასაოცარი თავგანწირვით იბრძოდა, გილანელები თანდათან შეავიწროვა და ბოლოს კიდეც გააქცია ბრძოლის ველიდან. ჩოფანის ლაშქარი მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე ეახლა ყაენს, რაც, დიდწილად, სწორედ გამრეკელ ჯავახიშვილ-თორელისა და მისი სამხედრო შენაერთის დამსახურება იყო.

მონღოლთა მეოთხე ლაშქარი, რომელსაც უსენ ჯალაიარი მეთაურობდა, გილანელ სარდალს, ასანს, დაუპირისპირდა. მოწინააღმდეგეთა შორის ერთადერთი ბრძოლა გაიმართა, რომელშიც გამარჯვება ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა. მონღოლები და გილანელები ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ, თუმცა ჯალაიარმა უკან დახევის ბრძანება მიიღო და სამხედრო ექსპედიცია შეწყვიტა.

ამრიგად, ხუდაბენდე ყაენის მიერ გილანის წინააღმდეგ მოწყობილი პირველი ლაშქრობა წარუმატებელი გამოდგა. მიუხედავად ამისა, მონღოლებმა მომდევნო წლებში კიდევ რამდენიმე სამხედრო ექსპედიცია მოაწყვეს გილანის წინააღმდეგ და, საბოლოოდ, 1307 წელს დაიმორჩილეს კიდეც ეს მაღალმთიანი პროვინცია.

დაახლოებით, ამავე პერიოდში მაჰმადიან ხუდაბენდე ყაენს მასთან დაახლოებულმა მუსლიმანმა სასულიერო პირებმა ქრისტიანი ქართველების გამაჰმადიანება და ეკლესია-მონასტრების დანგრევა ურჩიეს. ხუდაბენდე ყაენმა რჩევა მოიწონა და საქართველოში მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოგზავნა. ყაენის ბრძანების თანახმად, ყველა ქრისტიანი, რომელიც რჯულს არ შეიცვლიდა, სიკვდილით უნდა დაესაჯათ.

ამ დროს ვახტანგ IV, თავის სამხედრო შენაერთებთან ერთად, გილანიდან საქართველოში ბრუნდებოდა და გზად ნახჭევანში იყო შეჩერებული. როცა მეფემ ხუდაბენდე ყაენის ბრძანება შეიტყო, ლაშქარს მოეთათბირა, დარწმუნდა, რომ მისი მეომრები სიკვდილს ამჯობინებდნენ ქრისტიანობაზე უარის თქმას და მათთან ერთად ყაენთან წასვლა გადაწყვიტა.

ხუდაბენდე ყაენს ძალზე გაუკვირდა ვახტანგ IV-ისა და მისი ლაშქრის დაბრუნება. მეფემ დაუჩოქა მას და მოახსენა, რომ ქართველები ქრისტიანობაზე უარის თქმას სიკვდილს ამჯობინებდნენ; და თუ ყაენი საჭიროდ მიიჩნევდა, მაშინ ჯობდა, ჯერ მეფე და მისი ლაშქარი დაესაჯა სიკვდილით. ვახტანგ IV-ის თავგანწირვით აღფრთოვანებულმა ხუდაბენდე ყაენმა დაუყოვნებლივ გააუქმა საკუთარი ბრძანება და ქართველი მხედრები შინ გაგზავნა.

საქართველოსაკენ მომავალი ვახტანგ IV ნახჭევანში მისვლისას ტიფით დაავადდა და 1308 წელს აღესრულა კიდეც. მაღალი ზნეობით შემკული მეფე და შესანიშნავი მხედართმთავარი ქართველმა სარდლებმა უდიდესი პატივით დაკრძალეს დმანისში. საკუთარი ქვეყნისათვის თავგანწირვის უნარით ეს ქართველი მეფე საოცრად მიემსგავსა მამას, მამულისათვის მსხვერპლად შეწირულს, დემეტრე IV თავდადებულს.

**ანალიზი.** ვახტანგ IV თავისი მოღვაწეობის პერიოდში მონღოლთა რამდენიმე დიდ სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ყაზან

ყაენის მოწყობილი პირველი ლაშქრობა. ამ სამხედრო ექსპედიციის დროს ქართველ მხედრებს დავალებული ჰქონდათ საპასუხისმგებლო მისია – ყაზან ყაენის დაცვა. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული სამხედრო საქმის ისტორიისათვის. მასზე დაკვირვება ნათლად აჩვენებს, როგორი ნდობით ეკიდებოდნენ მონღოლები ქართველ მხედრებს და რამდენად მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი მეომრების საბრძოლო შესაძლებლობებს.

ცალკე საუბრის თემაა ხუდაბენდე ყაენის პირველი ლაშქრობა გილანის წინააღმდეგ, რომელშიც საბრძოლო ხელოვნებითა და მხედრული მამაცობით თავი გამოიჩინეს არა მხოლოდ ვახტანგ ირრ-მ და მისმა ჯარისკაცებმა, არამედ სხვა ქართველმა სარდლებმაც: ხუტლუბუღა ნოინის სამხედრო შენაერთების წინამბრძოლად განწესებულმა ბექა ჯაყელმა, უკანდახეული ჩოფან სალდუსის მიერ არიერგარდის მეთაურად დანიშნულმა გამრეკელ ჯავახიშვილ-თორელმა და სხვებმა.

ქართველი მხედრების მიერ ეგვიპტელებსა თუ გილანელებთან ბრძოლაში გამოვლენილი სიმამაცე, სამწუხაროდ, მეტისმეტად ძვირი უჯდებოდა საქართველოს. მხოლოდ ვახტანგ ირრ-ის მმართველობის პერიოდში ათი ათასობით ქართველი მეომარი დაიღუპა და დასახიჩრდა მონღოლთა გაუთავებელ სამხედრო ექსპედიციებში. თვით ვახტანგ ირრ-ც სწორედ სამხედრო ბანაკში გავრცელებული ტიფის ეპიდემიის მსხვერპლი გახდა.

ქარველი მეომრები მონღოლთა დროშის ქვეშ ბრძოლას ვახტანგ ირრ-ის სიკვდილის შემდეგაც აგრძელებდნენ, თუმცა ამ მოვლენების შესახებ ცნობები, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. ვიცით მხოლოდ, რომ ამ თითქმის საუკუნოვან პროცესს სახელოვანმა მეფემ – გიორგი ი ბრწყინვალემ დაუსვა წერტილი. მან ᲡᲠᲘ საუკუნის რ მესამედში საქართველო საბოლოოდ გაათავისუფლა ილხანთა სახელმწიფოს ბატონობისაგან. მას შემდეგ ქართველ მოლაშქრეებს აღარასოდეს დაუღვრიათ სისხლი მონღოლთა სამხედრო ექსპედიციებში.

## §43. მეფე გიორგი ი ბრწყინვალე

**პოლიტიკური ვითარება:** ქართველმა ერმა გაუძლო მონღოლთა საუკუნოვან ბატონობას. ნაწილ-ნაწილ დაშლილმა მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მრავალრიცხოვან აჯანყებებსა და შორეულ ლაშქრობებში, მრავალგვარ კლიმატურ თუ გეოგრაფიულ პირობებში, ნაირგვარი შეიარაღებისა და სამხედრო მომზადების მქონე არმიებთან დიდი საბრძოლო გამოცდილება დააგროვა. საქართველოში მონღოლთა ჯარების რაოდენობა, დაახლოებით, 10 000 მეომრამდე შემცირდა, რომლებიც გაბნეულნი იყვნენ მთელ ქვეყანაში და მისი საზღვრების გასწვრივ. ახლოვდებოდა თათარ-მონღოლთა ბატონობის დასასრული, რომელსაც ხელს უწყობდა 1314 წელს ტახტზე ასული გიორგი ი-ის გონივრული საგარეო და საშინაო პოლიტიკა.

გიორგი ი-მ ეკონომიკურად განადგურებული, პოლიტიკურად დაშლილი და ზნეობრივად დაცემული ქვეყანა ჩაიბარა. ძეგლისდების მიხედვით, საქართველოში იდგა „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთისა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა და დაგდება უბრალოსა და მრავალფეროვანი ულუსობანი“. სამ ნაწილად დაყოფილი საქართველო მოწყვეტილი იყო ერთიან სამართლებრივ სივრცეს.

გიორგი ი-მ ორი დიდი ამოცანა დაისახა მიზნად: საქართველოს გაერთიანება და მონღოლთა უღლის გადაგდება. მან შესანიშნავად განჭვრიტა, რომ დასუსტებული საქართველოსათვის ილხანთა საყაენოსთან ბრძოლა საბედისწერო შედეგების მომტანი იქნებოდა და ამჯობინა მათთან ფრთხილი და ლოიალური პოლიტიკის წარმართვა, რათა დრო მოეგო და ქვეყანა ფეხზე დაეყენებინა.

გონიერი მეფე ღრმად ჩასწვდა დაპყრობილი ქვეყნების მიმართ მონღოლთა სახელმწიფო პოლიტიკის არსს – ეს დამპყრობლები ცდილობდნენ საქმე ჰქონოდათ უფრო დიდ პოლიტიკურ ერთეულებთან, ვიდრე დაქუცმაცებულ ანარქიულ ნაწილებთან. ამ შემთხვევაში ორივე მხარის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები სრულად ემთხვეოდა ერთმანეთს, რასაც მეფე გიორგისა და ჩობან ნოინის პირადი კეთილგანწყობაც განამტკიცებდა.Გგიორგი ი-მ მოახერხა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინება მონღოლთა პოლიტიკური დაცემისათვის დაემთხვია. სწორედ ესაა მისი გენიალურობა და მისი დიპლომატიის უდიდესი წარმატების საიდუმლო.

ამ დროს ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოში, რომელიც ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე მდებარეობდა, მთელი ძალაუფლება პირველ ვაზირს, ჩობანს ეპყრა. იგი საქართველოს მეფესთან მეგობრობდა, აფასებდა მის განსწავლულობას, ნიჭს და ხშირად ეთათბირებოდა ირანის საქმეებზე. მეფე გიორგი ჩობანისათვის ძვირფასი და საჭირო იყო არა მარტო როგორც პირადი მეგობარი, არამედ როგორც თანამოაზრე.

ილხანების ძლიერებას ამ დროისათვის უკვე წყალი შესდგომოდა. მათთვის მონღოლთა ჯარი უკვე აღარ იყო სანდო სამხედრო ძალა. საქართველოს ჯარს კი, მისი მაღალი საბრძოლო თვისებების გამო, მონღოლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. იგი მათთვის კიდევ უფრო საიმედო დასაყრდენი ძალა გახდა. ჩობანთან დამოკიდებულება სამეფო საქმეების მოსაგვარებლად კარგად გამოიყენა მეფე გიორგიმ. მას საშუალება ჰქონდა, თავის სამფლობელოში იმდენად თავისუფლად ემოქმედა, რომ აღარ დამორჩილებოდა მონღოლთა ბრძანებებს.

**სახელმწიფოში გატარებული ღონისძიებები:** დიპლომატიური გზით გიორგი მეფემ ქვეყნის გაერთიანება და მისი გამაგრება მოახერხა. მაგრამ, როდესაც ყაენი სრულწლოვანი გახდა, მისი ბრძანებით ამოწყვიტეს ჩობანი და მისი ოჯახი. სასახლის კარზე დიდი არეულობა დაიწყო და ილხანების ხელისუფლების დასასრულიც მოახლოვდა. გიორგი მეფემ ეს მდგომარეობაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მისი უპირველესი ამოცანა საქართველოში შინაური წესრიგისა და მშვიდობიანობის დამყარება იყო. შუაგულ ქართლში კვლავ მოთარეშე ოსთა რაზმები ისევ დიდად აზარალებდნენ ხალხს. გიორგი ი მათ ალაგმვასა და საქართველოდან განდევნას შეუდგა. ოსების სამხედრო შენაერთი გორში იდგა, ამიტომაც გიორგიმ ალყა შემოარტყა მას და სამწლიანი ბრძოლის შემდეგ აიღო კიდეც.

გიორგი ბრწყინვალის მეორე ამოცანა იყო მთავართა თვითნებობისა და მათი განკერძოებულობისადმი სწრაფვის აღმოფხვრა. ძალაუფლების განსამტკიცებლად და ქვეყნის გასაერთიანებლად, კახეთ-ჰერეთისა და სომხეთის ერისთავნი, რომელნიც წინათ თათრებს ემხრობოდნენ, გიორგი ი-მ კახეთში, თელავთან ახლოს, ცივის მთაზე მიიწვია და ამოაწყვეტინა.

დასავლეთ საქართველოს შემოსაერთებლად გიორგი ბრწყინვალე უფრო ფრთხილად იქცეოდა. დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულ მის ვაჟს, კონსტანტინეს, ძმა – მიქაელი აუჯანყდა. მათ შორის მტრობა კარგა ხანს გაგრძელდა და 1327 წელს, კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, მიქაელი ელირსა მეფობას. მას ორ წელიწადზე მეტს არ უცოცხლია. მიქაელს დარჩა პატარა ბავშვი, ბაგრატი. გიორგი ი-მ ამ შემთხვევით ისარგებლა, 1329 წელს დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ქუთაისი აიღო და ბაგრატი თან წამოიყვანა. ამით საქართველოში დამკვიდრებული ორმეფიანობა დაასრულა და სახელმწიფოებრივი მთლიანობა აღადგინა.

1334 წელს გიორგი მეფემ სამცხის მთავრის – სარგის ძე-ის გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟი, ყვარყვარე, დაამტკიცა ამ კუთხის მმართველად. ამრიგად, სამცხეც საქართველოს შემოუერთდა.

1335 წელს მეფემ მონღოლებს ჯერ ხარკის მიცემა შეუწყვიტა, შემდეგ კი საქართველოს დატოვება უბრძანა. მოწინააღმდეგემ, დაინახა რა, აზრი აღარ ჰქონდა ქართველებთან ბრძოლას საკუთარი სამხედრო ძალებით, ქვეყნის ფარგლები დატოვა. ამით მონღოლთა ასწლიანი ბატონობა საქართველოში, ფაქტობრივად, დასრულდა.

საქართველოს გაერთიანებამ და მონღოლთა უღლისაგან განთავისუფლებამ გიორგი ი-ს მორიგი მთავარი სტრატეგიული ამოცანის – ტრაპიზონის სამეფოში საქართველოს ხელისუფლების აღდგენისა და საზღვრების გამაგრების საშუალება მისცა, რამაც სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟი აამაღლა.

1341 წელს ქართულმა ლაშქარმა განდევნა ტრაპიზონში შეჭრილი თურქები და სამეფო საზღვრები აღადგინა.

**ანალიზი.** არსებული წყაროები და ლიტერატურა საზღვარგარეთ მონღოლებთან ერთად ან მათ წინააღმდეგ გიორგის ბრძოლის კონკრეტულ აღწერას არ მოიცავს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ მეფე შინაურ მტრებთან საბრძოლო მოქმედებებს წარმართავდა იმ დროისთვის დამახასიათებელი ტაქტიკით, კერძოდ: ძალების არათანაბარი განაწილებით, დროულად განხორციელებული ტაქტიკური მარშით, ადგილმდებარეობისა და მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენებით. ეს დასტურდება გიორგი ი-ის სახელმწიფოში მიღწეული სამხედრო-პოლიტიკური წარმატებებით.

გაერთიანებული და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა საგარეო ასპარეზზეც. რომის პაპმა საეპისკოპოსო კათედრა სმირნიდან თბილისში გადმოიტანა.ეგვიპტის სულთნის ბრძანებით, საქართველოს დაუბრუნდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და კლიტენი მაცხოვრის საფლავისა, რომელთა მოსალოცად იერუსალიმში მხოლოდ ქართველები შედიოდნენ ცხენზე ამხედრებულნი, ეროვნული დროშებით. თვით სულთანი კი ასეთ ხოტბას ასხამდა საქართველოს მეფეს: „სახელოვანი და სახელგანთქმული, მეფეთა შორის საუკეთესო, ქართველთა სულთანი, ზღვათა და სრუტეთა განძის მფლობელი, რომისა და ირანის ქვეყანათა მფარველი, იონელთა მემკვიდრე, იერუსალიმის წმინდა ადგილების განმადიდებელი, ქრისტიანთა საყრდენი, შემწე რომის პაპისა და მეგობარი მუსლიმთა, მეგობარი სულთანთა“. წერილში გადმოცემული აზრი შეიძლება სულთნის დიპლომატიურ ფანდად მივიჩნიოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ეგვიპტე საქართველოზე პრეტენზიას არ აცხადებდა და ქართველ მეფესთან დაახლოება გიორგის მოღვაწეობის ნაყოფი იყო.

**შედეგი.** გიორგი ი-მ, გატარებული ღონისძიებების შემდეგ, მოაწესრიგა ქვეყნის სამართლებრივი სისტემა. ჩრდილო კავკასიიდან მოულოდნელი თავდასხმების აღსაკვეთად გაამაგრა საზღვრისპირა მხარეები, შეიმუშავა მთიელთათვის დადგენილი კანონთა კრებული – „ძეგლის დადება“. მისი ერთ-ერთი მუხლის თანახმად, ლაშქრობაში გამოუცხადებლობისათვის კანონის დამრღვევთ მკაცრად სჯიდნენ: მამულის ჩამორთმევა, ხარკის დაკისრება და სხვა.

მეფეს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, ეგვიპტესთან, რომის პაპთან. მან ტრაპიზონის სამეფოში ხელისუფლების აღდგენასა და საზღვრების გამაგრებას მიაღწია, რამაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა გაზარდა.

გიორგი Უ იყო გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, რომლის მსგავსი თამარის შემდეგ არავინ ჰყოლია საქართველოს. მან არა მხოლოდ გააძლიერა და გააერთიანა, არამედ მონღოლთა უღლისგანაც გაათავისუფლა ქვეყანა, რომელიც თამარისდროინდელ საზღვრებში აღადგინა და საერთაშორისო ავტორიტეტი დაუბრუნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო (როგორც ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებს, „ვინაითგან იყო ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, მან სიბრძნე გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კუალად შემოიკრიბნა ვითარცა აღმაშენებელმან...“) მეფე გიორგი Ი-ს ქართველებმა „ბრწყინვალე“ უწოდეს.

## §44. თემურ-ლენგის შემოსევები. მეფე გიორგი ᲣᲠᲠ

**პოლიტიკური ვითარება.** მონღოლების შემოსევების შემდეგ, გიორგი Ი-მ (1314-1346 წლები) ქვეყნის გათავისუფლება და ფეხზე წამოყენება შეძლო. მან დაიბრუნა როგორც სახელმწიფოებრიობა, ასევე დაკარგული ტერიტორიები და საგარეო ავტორიტეტი.

ქვეყნის აღმშენებლობა და მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ᲡᲠᲘ საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოში შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა. მიუხედავად ამისა, ქვეყანა ძალღონეს იკრებდა.

ᲡᲠᲘ საუკუნის რრ ნახევარში საქართველოს შემოესია ყველაზე ულმობელი და სასტიკი დამპყრობელი, თემურ-ლენგი.

გათურქებული მონღოლური ტომის (ბარლასთა) წარმომადგენელი, თემურ-ლენგი, 1336 წელს დაიბადა. ეს ტომი მავერანნაჰრში (დღევანდელი უზბეკეთისა და ტაჯიკეთის ტერიტორიები) მონღოლეთიდან გადმოსახლდა.

თემური ბავშვობიდანვე განსაკუთრებული გულადობით გამოირჩეოდა. ის შესანიშნავი მოისარი, ცხენოსანი და მებრძოლი იყო. მან შემოიკრიბა თავისი Ა:თანატოლები და მეზობლების რბევა-აწიოკებას მიჰყო ხელი. ამის შემდეგ იგი პოლიტიკურ ცხოვრებაში გაერია და, მცირე ბრძოლებისა თუ ინტრიგების წყალობით, სამარყანდს დაეუფლა. ერთ-ერთ მეკობრულ ბრძოლაში თემური დაჭრეს და დაკოჭლდა, რის შემდეგაც მას „ლენგი“ (ტაჯიკურად – „კოჭლი“) შეარქვეს.

თემური მავერანნაჰრის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მან შექმნა მტკიცე სახელმწიფო აპარატი, ყველგან თავისი ერთგული ხალხი დანიშნა და მშობლიური ქალაქის – შაჰრესაბზის, შემდეგ კი სამარყანდის აღდგენას შეუდგა. შიდა პრობლემების მოგვარების შემდეგ, დაიპყრო და გააერთიანა შუა აზია, ილაშქრა და გაანადგურა ოქროს ურდო, ინდოეთი, ეგვიპტე. მან ხშირი და ხანგრძლივი ლაშქრობები მოაწყო ირანისა და მისი მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ. ეს ლაშქრობები ისტორიაში შესულია „სამწლიანის“ (1386-1389), „ხუთწლიანის“ (1392-1397), „შვიდწლიანის“ (1399-1405) სახელწოდებებით. სწორედ ამ დროს მოექცა საქართველო თემურ-ლენგის ყურადღების ცენტრში და მან ძალა არ დაიშურა მის გასანადგურებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თემურ-ლენგის შემოსევათა რაოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: ზოგს მიაჩნია, რომ მან რვაჯერ ილაშქრა საქართველოში, ზოგის აზრით – ცხრაჯერ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან იგი, თავისი ჯარით, მუდმივად უბრუნდებოდა საქართველოს.

**რ ლაშქრობა – 1386 წელი.** 1386 წლის ნოემბერში თემურ-ლენგი პირველად შემოიჭრა საქართველოში. ყარსის დაპყრობის შემდეგ მან სამცხის მთიანეთი გამოიარა და პირდაპირ თბილისისკენ აიღო გეზი, სადაც ბაგრატ Ი იყო გამაგრებული.

ამ დროს საქართველოში მძიმე ზამთარი იყო. თემურ-ლენგის მიზანი კონკრეტულად თბილისის აღება იყო, რადგან მან გვერდი აურა გზად შემხვედრ ციხე-სიმაგრეებს და პირდაპირ ამ ქალაქისკენ გამოემართა.

თემურ-ლენგს დიდი ლაშქარი ჰყავდა, რის გამოც მასთან პირისპირ, ველზე შებმა თავიდანვე წამგებიანი იყო. ამიტომაც ბაგრატ Ი-მ ბრძოლის სხვა ტაქტიკა აირჩია: გაამაგრა ციხესიმაგრეები და თვითონ თბილისში დაბანაკდა. ძალები გადანაწილდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან სხვადასხვა ციხესიმაგრეში. ბრძოლა თავდაცვით ტაქტიკაზე იყო აგებული, რომელიც თავიდან იცილებდა მრავალრიცხოვან მტერთან პირისპირ შებმას და ძირითადი ბრძოლების გამართვას საინჟინრო თვალსაზრისით გამაგრებული ნაგებობებიდან.

თბილისის ასაღებად გენერალური ბრძოლა გაიმართა. სხვადასხვა მონაცემით, ექვსი თვის მანძილზე გრძელდებოდა ბრძოლები. თემურ-ლენგის თანმხლები (კარის) ისტორიკოსების ცნობების მიხედვით, რომელნიც დაწვრილებით აღწერდნენ მის საომარ მოქმედებებს, „ურჯულო ქართველებს ციხესიმაგრე საგულდაგულოდ გაემაგრებინათ, საომრად გამზადებულიყვნენ და თავიანთი ციხე-სიმაგრის სიმტკიცით გადიდგულებულიყვნენ“ (თემურ-ლენგის მემატიანე).

ალყაშემორტყმული ქართველები, ბაგრატ Ი-ის მეთაურობით, დღეში ორ-სამჯერ გამოუცვივდებოდნენ მტერს, დიდად აზარალებდნენ და ისევ ქალაქს აფარებდნენ თავს.

გამოცდილი მხედართმთავრისთვის გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ამხელა წინააღმდეგობა. ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ თემურ-ლენგმა თბილისის ასაღებად ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენა: საალყო ჭახრაკ-მანქანები, მძიმე ლოდების სატყორცნი საშუალებები,

„ზარბაზნები“ („ზარბაზნებს“ ცეცხლის იარაღად მოიხსენიებენ ქართველი ისტორიკოსები და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან თემურ-ლენგი ნამდვილად იყენებდა ციხესიმაგრეების ასაღებად „რადანზადად“ წოდებულ ცეცხლის იარაღს, მერმინდელი ზარბაზნის პროტოტიპს).

საბოლოო იერიში თბილისზე 21 ნოემბერს დაიწყო. რკინის ფარებით აღჭურვილმა მებრძოლებმა გადამწყვეტი შეტევა მთელი ძალებით დაიწყეს. თემურ-ლენგის ისტორიკოსების ცნობებიდან ჩანს, რომ იგი პირადად არ მონაწილეობდა ისეთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქების აღებაში, როგორებიც იყო: გარნისი, სურმალუ და ყარსი. აქედან კი ირკვევა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო თბილისის აღება მისთვის. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ქართველები დამარცხდნენ. ამის შემდეგ თემურ-ლენგის ლაშქარმა თბილისში დიდი ხოცვა-ჟლეტა გამართა. გადარჩენილები ტყვედ წაიყვანეს. გაძარცვეს ეკლესია-მონასტრები და წაიღეს უზარმაზარი ქონება – ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი თვლები და ხატები. წაიღეს სამეფო ბიბლიოთეკაც, რომელიც, იოანე ბატონიშვილის ცნობით, თემურ-ლენგმა სამარყანდში გადააგზავნინა. ცნობილია, რომ მან წერა-კითხვა არ იცოდა, მიუხედავად ამისა, დაინტერესებული იყო წიგნებით. მას ჰყავდა სპეციალური მკითხველები, რომელნიც სხვადასხვა წიგნს უკითხავდნენ. ამიტომაც იგი დაპყრობილი ქვეყნებიდან ეზიდებოდა წიგნებს.

მოლაპარაკების შემდეგ, თემურ-ლენგმა ბაგრატ მეფე, მისი მეუღლე ანა და უფლისწული დავითი ტყვედ წაიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ დამპყრობელს დატყვევებული მეფე მიჰყავდა, უკან მომავალი, იგი ყველა შემხვედრ ციხესიმაგრესთან წინააღმდეგობას აწყდებოდა, მათ აღებას დიდი ბრძოლით აღწევდა. თემურ-ლენგი ყარაბაღის ტერიტორიაზე არეზის (არაქსი) პირას დაბანაკდა გამოსაზამთრებლად.

**ირი ლაშქრობა – 1387 წელი.** თემურ-ლენგის ომების მიზანი იყო ჯერ მთელ შუა აზიაში, შემდეგ კი სხვა ტერიტორიებზე გაბატონება. ამისთვის ის მშვენივრად იყენებდა რელიგიურ ფაქტორს. მიუხედავად იმისა, რომ, წყაროების მიხედვით, ის არ გამოირჩეოდა ფანატიკური რწმენით, რელიგიის მნიშვნელობას კარგად აფასებდა. ამიტომაც მან ტყვედ წაყვანილ მეფე ბაგრატ Დ-ს რჯულის გამოცვლა მოსთხოვა. საბოლოოდ, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობდა, მეფე დათანხმდა მის წინადადებას: მიიღო ქრისტიანობა; თან შეჰპირდა, რომ მთელ ქვეყანას ამავე რჯულზე მოაქცევდა. თემურ-ლენგმა დიდი საჩუქრებით აავსო ბაგრატ Დ, ქართველების მოსაქცევად ლაშქარი გამოაყოლა და ისე გამოუშვა საქართველოში.

სამშობლოში მომავალმა ბაგრატ Დ-მ ფარულად შეუთვალა თავის შვილებს, რომ დახმარებოდნენ. მისმა შვილებმა აასრულეს მამის თხოვნა და, ვიწროებში ჩასაფრებულებმა, ამოწყვიტეს თემურ-ლენგის 12 000-იანი ლაშქარი. მათ გაათავისუფლეს ბაგრატ Დ და დროებით გადაარჩინეს ქვეყანა, თუმცა ამ ქმედებას შედეგად თემურ-ლენგის მეორე და უფრო მწვავე ლაშქრობა მოჰყვა.

1387 წლის გაზაფხულზე თემურ-ლენგი მეორედ შემოიჭრა საქართველოში. წყაროების მიხედვით, ქვეყანაში ისევ ცუდი ამინდი იყო. სამეფო ხელისუფლებას, რომელიც თემურ-ლენგის ახალ შემოსევას ელოდებოდა, მოსახლეობა მთებსა და მიუვალ ადგილებში ჰყავდა გახიზნული.

ამ დროს პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა. დერბენდიდან თოხთამიშ-ხანის (ოქროს ურდოს ყაენი) ლაშქარი გადმოვიდა, რომლის მოწინააღმდეგედაც ითვლებოდა თემურ-ლენგი. ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობლებს. რამდენიმე დღეში თემურ-ლენგი ისევ თავად ჩაუდგა ბრძოლას სათავეში და გამარჯვებაც მოიპოვა. „ახალი ქართლის ცხოვრება“ ასე აღწერს ამ ბრძოლას: „იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოისრნა იმიერ და ამიერ კაცი ურიცხვი და უფროსად თათარნი... მაგრამ განგრძობასა თანა ომისასა ვერღარა ძალედვათ ქართველთა მათი დიდისა სიმაშვრალისაგან, და არცა იარაღი შერჩომოდათ და არცაღა ცხენი...“. ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ქართველებმა ისევ ციხესიმაგრეებს შეაფარეს თავი.

თემურ-ლენგი, თოხთამიშ-ხანის გამოჩენისა და სხვა გეგმების გამო, დროებით გაბრუნდა საქართველოდან. იგი ირანის დაპყრობას ისახავდა მიზნად.

**ირრი ლაშქრობა – 1394 წელი.** საქართველოში მეორე ლაშქრობის შემდეგ თემურ-ლენგმა გაანადგურა ხორეზმი, დაამარცხა ირანი და მისი დამხმარე სუბიექტები, დაიპყრო ბაღდადი, სირია, დაამარცხა თოხთამიშ-ხანი და კვლავ საქართველოსაკენ გამოემართა. მან წინასწარ გამოაგზავნა თავისი ოთხი სარდალი, რომელთაც 40 000 მეომარი ახლდათ თან. დამპყრობლებმა მოითარეშეს სამცხე, დაიპყრეს და დაანგრიეს მრავალი ციხესიმაგრე და დიდი ალაფით გაბრუნდნენ უკან. თემურ-ლენგი ამ დროს შვილიშვილის შეძენას ზეიმობდა. სამცხეში გაგზავნილი სარდლების დაბრუნებიდან სამ კვირაში ის თვითონ გამოემართა საქართველოსკენ.

**ირᲓ ლაშქრობა – 1394 წელი.** ამჯერად თემურ-ლენგი საქართველოში თრიალეთიდან შემოიჭრა; გაანადგურა და ააოხრა ყველაფერი, რაც გზად შეხვდა და არაგვის ხეობისაკენ გაემართა. ამ ადგილას ლაშქრობის მიზეზად მეცნიერები ოქროს ურდოს ყაენის – თოხთამიშ-ხანის საფრთხის აღკვეთას მიიჩნევენ (ი. ჯავახიშვილი, კ. ტაბატაძე), რაც სწორი უნდა იყოს, რადგან თოხთამიშ-ხანის არაგვის ხეობიდან შემოსვლა შესაძლებელი იყო. მართალია, იგი რამდენიმეჯერ დაამარცხა თემურ-ლენგმა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაანადგურა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, არაგვის ხეობით გიორგი Დირი-საც გადმოჰყავდა დამხმარედ ჩრდილო კავკასიელები. ამ მიზეზით, თემურ-ლენგმა არაგვის ხეობის აოხრება და განადგურება გადაწყვიტა.

თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსების ცნობებიდან ჩანს, რომ არაგვის ხეობის დამცველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. ისინი ციხეებში, მთებსა და გამოქვაბულებში იყვნენ გამაგრებულნი. როგორც ჩანს, არაგვის ხეობას ამ დროს სამეფო კარის ნაწილიც იცავდა, რადგან წყაროებში გამოკვეთილია დამცველთა დიდი სიმრავლე. თემურ-ლენგის ლაშქარმა მაინც ააოხრა არაგვის ხეობა. მაგრამ ვერ შეძლო ტყვეების წაყვანა. უკან გაბრუნებული, იგი მცირე ხნით ნადირობითა და ღრეობით ირთობდა თავს. შემდეგ, თბილისის გავლით, ის შაქისაკენ გაემართა. სწორედ ამ დროს დერბენდიდან კვლავ შემოიჭრა თემურ-ლენგის მოუსვენარი მეტოქე, ოქროს ურდოს ხანი, თოხთამიში.

თემურ-ლენგმა გადაწყვიტა, საბოლოოდ გაენადგურებინა ოქროს ურდო და, დერბენდის გავლით, მდ. თერგთან შეხვდა თოხთამიშის ჯარს. ბრძოლა თემურ-ლენგის გამარჯვებით დამთავრდა. უკუქცეულ მტერს მან თითქმის მოსკოვამდე სდია. გზად გადაწვა და ააოხრა ყველაფერი. უკან დაბრუნებისას მან დალაშქრა ჩრდილო კავკასიის მთიანეთი, მოსპო ქრისტიანული რელიგიის ძეგლები და მოსახლეობას მაჰმადიანობა მიაღებინა. ქრისტიანობას ჩრდილო კავკასიაში სწორედ თემურ-ლენგის ლაშქრობების დროს მოერყა საფუძველი და იქ მაჰმადის რჯულმა მოიკიდა ფეხი. ამის შემდეგ, დროებით, თემურ-ლენგი მშობლიურ სამარყანდში დაბრუნდა.

**გიორგი ᲚᲘᲘ-ის ლაშქრობა ნახჭევანში.** 1398 წელს თემურ-ლენგმა ინდოეთი დაიპყრო. თემურ-ლენგის იქ წასვლისთანავე მის მიერ დაპყრობილმა ქვეყნებმა მონღოლური უღლის გადაგდება სცადეს. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეფე გიორგი ᲚᲘᲘ (ბაგრატ Ლ-ის ვაჟი, ერთიანი საქართველოს მეფე 1393-1407 წლებში).

გიორგი ᲚᲘᲘ საქართველოს ღირსეულ მეფეთა წარმომადგენელია, რომელმაც შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიოს ერთ-ერთ უსასტიკეს და უნიჭიერეს დამპყრობელს. გიორგი ᲚᲘᲘ-მ აქტიური პოლიტიკის გატარება დაიწყო ამიერკავკასიაში. მან შემოიკრიბა თემურ-ლენგის ბატონობით უკმაყოფილო ყველა ძალა. მისი ერთ-ერთი ერთგული მოკავშირე იყო ჯალაირიანთა დინასტიის წარმომადგენელი უფლისწული თაჰერი. თემურ-ლენგის ლაშქრის ალყის შედეგად იგი ალინჯის ციხეში იყო ჩაკეტილი, რომელიც ნახჭევანის მიდამოებში მდებარეობდა.

გიორგი ᲚᲘᲘ-მ გაერთიანებული ძალებით ნახჭევანში ლაშქრობა გადაწყვიტა. მას უფლისწული თაჰერი ციხიდან უნდა გამოეხსნა, ხოლო გარნიზონი იარაღითა და სურსათ-სანოვაგით მოემარაგებინა. ამ ოპერაციის ჩასატარებლად მან ხელსაყრელი დრო შეარჩია – თემურ-ლენგი ამ დროს ინდოეთში იმყოფებოდა. ცხადია, გიორგი ᲚᲘᲘ-მ იცოდა, რომ დამპყრობელი მის ქმედებას უპასუხოდ არ დატოვებდა, მაგრამ სწორად განსაზღვრა, როგორ ემოქმედა მის წინააღმდეგ.

გიორგი ᲚᲘᲘ-მ მთელი საქართველოს ლაშქარი შეყარა, შემოიერთა ჩრდილო კავკასიელები და ნახჭევანისაკენ დაიძრა.

ალინჯის ციხის მოალყეებისაგან გიორგი ᲚᲘᲘ დიდ წინააღმდეგობას შეხვდა, მაგრამ მათი დამარცხება შეძლო. უფლისწული თაჰერი გამოიხსნა, მებრძოლები იარაღითა და სურსათით მოამარაგა, გააძლიერა ციხის გარნიზონი და მის დასაცავად სამი ქართველი აზნაური დატოვა. ამის შემდეგ უკან გამობრუნდა, გზად მოარბია თემურ-ლენგის ლაშქრის ყოველი კუთვნილი და დიდი ალაფიც იგდო ხელთ. ამასობაში თავრიზიდან მაშველი ჯარი მოუვიდათ თემურ-ლენგის მეომრებს. იგი გიორგი ᲚᲘᲘ-ის ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა.

**Ნ ლაშქრობა – 1399 წელი.** 1399 წლის ზამთარში თემურ-ლენგი ისევ შემოესია საქართველოს. მან გადაწყვიტა გიორგი ᲚᲘᲘ-ის სასწრაფოდ დასჯა. დამპყრობელი ამ ლაშქრობისთვის სპეციალურად მოემზადა. თავის ჯარში ყოველი 10 მეომრისგან გამოარჩია ყველაზე საუკეთესო და გულადი. შერჩეული ჯარის ნაწილი ათი დღის საგზლით მოამარაგა და საქართველოსკენ დაძრა.

თემურ-ლენგის 100 000-იანი ლაშქარი საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრებიდან – კახეთ-ჰერეთიდან მოადგა. ისტორიკოსთა ცნობების თანახმად, იმ წელს საშინელი ზამთარი იყო. სანამ დასახლებულ ადგილამდე მოაღწევდა, მტრის ჯარს ხშირი ტყის მასივის გავლა მოუწია. თემურ-ლენგის ბრძანებით, მეომრებმა მთელი ტყე ისე გაკაფეს, რომ ჯარს თავისუფლად ევლო. ამ ვითარებაში ლაშქარმა ათი დღე იარა და მიადგა კახეთ-ჰერეთის დასახლებულ ნაწილს.

მტერმა გაანადგურა ეკლესია-მონასტრები, დახოცა მოსახლეობა. მათმა ნაწილმა გახიზვნა მოასწრო, თუმცა საქონლის ჯოგები მტრის ხელში დარჩა, რაც თემურ-ლენგის ლაშქარს ძალიან გამოადგა.

ივრის ხეობის მოთარეშების შემდეგ თემურ-ლენგი ალაზნის აუზში გადავიდა და იქაურობა ააოხრა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში დაინგრა ალავერდის ტაძრის გუმბათიც. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ შემოსევისას განადგურდა კახეთის ტყის მასივები, რომლებითაც გამორჩევით მდიდარი ყოფილა ეს მხარე.

თემურ-ლენგის მეხუთე ლაშქრობა ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. შემდეგ იგი ყარაბაღში გადავიდა.

**ᲓᲘ ლაშქრობა – 1400 წელი.** კახეთ-ჰერეთში ლაშქრობის შემდეგ თემურ-ლენგმა ყარაბაღში გამოიზამთრა და ლაშქარი დაასვენა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, მალევე ელაშქრა საქართველოში

და ეს ურჩი ქვეყანა საბოლოოდ გაესწორებინა მიწასთან. გაზაფხულის დადგომისთანავე თემურ-ლენგი ახალი, მეექვსე ლაშქრობის სამზადისს შეუდგა. მანამდე მან საგანგებოდ შეადგენინა საქართველოში მიმავალი და შიდა გზების მარშრუტები, გამოათვლევინა სავალი დღეების რაოდენობა და თავისი ლაშქარი საქართველოსკენ დაძრა. თემურ-ლენგმა მოციქული გამოუგზავნა გიორგი ᲚᲘᲩ-ს, ორი მოთხოვნით: ა – მისთვის გადაეცა ალინჯის ციხიდან გამოხსნილი ჯალაიარიანი უფლისწული, თაჰერი; ბ – თავად გიორგი მეფე და მისი ქვეყანაც დამორჩილებოდნენ მას და გამაჰმადიანებულიყვნენ.

გიორგი ᲚᲘᲩ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. არჩევანი რთულ სიტუაციაში უწევდა: თუ იგი თაჰერს თემურ-ლენგს გადასცემდა, ამიერკავკასიის ლიდერისა და თავგანწირული მებრძოლის სტატუსს დაკარგავდა; პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ქვეყანას ომის პირისპირ დააყენებდა ულმობელ დამპყრობელთან, რომელმაც ზამთარში უკვე გაუნადგურა კახეთ-ჰერეთი და საქართველოს აღმოსავლეთი კარიბჭე მოურღვია. ამასთანავე, საქართველოს მეფეს აღარ ჰყავდა მოკავშირეები: ოქროს ურდო და ჩრდილო კავკასია, საიდანაც მეომრები გადმოჰყავდა, რადგან თემურ-ლენგის მიერ იყო აოხრებული. გიორგი ᲚᲘᲩ, ფაქტობრივად, პირისპირ, მარტო აღმოჩნდა უზარმაზარი ძალის წინაშე.

ამ ურთულეს ვითარებაში ქართველმა მეფემ მიიღო მისთვის დამახასიათებელი რისკიანი, სწორი და ვაჟკაცური გადაწყვეტილება – არც თავისი თანამებრძოლი თაჰერი გადასცა მტერს და არც მორჩილებას შეჰპირდა მას. პასუხით განრისხებულმა თემურ-ლენგმა საქართველოში ლაშქრობის ბრძანება მისცა ჯარს. მოწინააღმდეგის ჯარის რაოდენობის შესახებ კონკრეტული ცნობები არ არსებობს, ქართული წყაროები კი მოგვითხრობენ: „დაფარნა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ხევნი, და ვითარცა ზღუამან დაფარა ყოველი ესე ქვეყანა“.

1400 წლის მარტის მეორე ნახევარში თემურ-ლენგი ქვემო ქართლიდან შემოიჭრა საქართველოში, გაანადგურა ხეხილის ბაღები, ვენახები, პურის ყანები, აიღო 15 ციხე. გაუხიზნავი მოსახლეობა გაჟლიტეს. მეექვსე ლაშქრობის ასეთი საშინელი შედეგები არქეოლოგიური გათხრებითაც დადასტურდა. ქვემო ქართლში აღმოჩნდა ამ პერიოდში ხალხის ადგილზე მასობრივი გაჟლეტის კვალი. მოსახლეობისაგან თემურ-ლენგი ქრისტეს რჯულის უარყოფასა და გამაჰმადიანებას მოითხოვდა, რაზეც მათმა უმეტესობამ უარი განაცხადა და შეეწირა საკუთარი აღმსარებლობის ერთგულებას.

საინტერესოა, მოხდა თუ არა გენერალური ბრძოლა მხარეთა შორის. თემურ-ლენგის ისტორიკოსები ამაზე კონკრეტულად არაფერს ამბობენ. ჩანს, რომ სპეციალურად მალავენ ამ ამბავს. ისინი მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ თემურმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ცნობები იმის შესახებ, თუ სად გაიმარჯვა ამ დამპყრობელმა და როგორ, შემონახულია სომეხ ისტორიკოს თომა მეწოფელთან და „ქართლის ცხოვრებაში“.

გიორგი ᲚᲘᲩ-მ ამ ბრძოლისათვის მთელი საქართველოს ლაშქრის მობილიზაცია შეძლო. მას ახლდნენ „სრულიად ამერნი და იმერნი“. მეფემ საბრძოლველად ისეთი ადგილი შეარჩია, სადაც თემურ-ლენგის უზარმაზარ ლაშქარს მოძრაობა გაუჭირდებოდა. ამით მტრის რიცხობრივი უპირატესობა ძალიან შეამცირა. წყაროთა ცნობით, ამ ბრძოლის დროს საშინელი ქარი ყოფილა, რომელიც მტერს სახეში მტვერს აყრიდა. გამოდის, რომ გიორგი ᲚᲘᲩ-მ მშვენიერი ტაქტიკა აირჩია და ბრძოლა სწორად დაგეგმა. მან სრულად გამოიყენა გეოგრაფიული პირობები და მტერს მანევრირების საშუალება არ მისცა. ლაშქარი ისე განალაგა, რომ ქარი მტერს სახეში სცემდა, ქართველთა ლაშქარს კი ზურგიდან უბერავდა.

ბრძოლა ქართველების უპირატესობით წარიმართა („მიეტივნენ ვითარცა ცეცხლი თივასა და მოსრნეს და ამოწყვიტეს სპანი ლანგ-თემურისანი ესრეთ, რომ ამისთანა მარცხი და ზიანი არასოდეს შემთხვევია სპათა ლანგ-თემურისათა“) და საღამომდე ასე გაგრძელდა, თუმცა საღამოს ბრძოლის ბედი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ გადაიხარა. თემურ-ლენგი, რომელიც ცნობილია, როგორც უნიჭიერესი მხედართმთავარი და სამხედრო მოღვაწე, მშვიდად უყურებდა თავისი ლაშქრის ხოცვა-ჟლეტას. მან კარგად იცოდა ქართველთა ფიცხი ხასიათის შესახებ და ამიტომ საღამომდე აწყვეტინა მათ თავისი ლაშქარი. იგი ელოდებოდა იმ დროს, როცა ბრძოლით დაიღლებოდნენ ქართველნი. რიცხობრივმა უპირატესობამ მას ამ რისკზე წასვლა გადააწყვეტინა. იგი თვითონ ჩაუდგა სათავეში ლაშქარს, მას დასვენებული ძალები მიაშველა და გაიმარჯვა.

სომეხი ისტორიკოსის, თომა მეწოფელის მიხედვით, ქართველთაგან ამ ბრძოლის წაგება ღალატს გამოუწვევია. გამოჩენილან ისეთნი, ვისაც მტრისათვის გზა და ბილიკები უსწავლებია. სომეხი ისტორიკოსის ცნობების თანახმად, გიორგი ᲚᲘᲩ პირადად იბრძოდა 100-კაციანი რაზმით იქ, სადაც ქართველებს უჭირდათ. მისი სიმამაცით იგი განსაკუთრებით არის აღფრთოვანებული.

ამის შემდეგ აიღო თემურ-ლენგმა 15 ციხესიმაგრე და ამოხოცა მღვიმეებსა და გამოქვაბულებში შეხიზნული ხალხი. ამ ცნობებით დასტურდება, რომ ქართველები ამგვარ ადგილებს კარგად იყენებდნენ თავდაცვის მიზნით. ამასთანავე, ისინი კლდეებში ხელოვნურადაც აკეთებდნენ გამოქვაბულებს, სადაც ძირითადად ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს ხიზნავდნენ. მტრის

მებრძოლებს აუოხრებიათ შიო-მღვიმის მონასტერიც. ასე მოადგა თემურ-ლენგი თბილისს და გზად მომავალმა ააოხრა ყველაფერი. თბილისის ციხის აღება მხოლოდ ქართულ წყაროებშია აღწერილი.

მომდევნო შეტევა თემურ-ლენგმა ქსნის ხეობაში ჩაატარა, ერისთავ გირშელის წინააღმდეგ, რომელიც გიორგი Ბრი-ს ალინჯის ციხის ასაღებად გამართულ ლაშქრობაში ახლდა. ერისთავი საკმაოდ მომზადებული დახვდა მტერს. მან ქალები, ბავშვები და მოხუცები ქნოღოს ციხეში შეხიზნა, თვითონ კი ბეხუშის ციხეში გამაგრდა. მტრის პირველი შეტევა, მეისრეების წყალობით, იოლად მოიგერიეს. თემურ-ლენგმა ამის შემდეგ დამატებითი ძალები გამოაგზავნა ციხის ასაღებად. ამ შემთხვევაში გირშელს ციხესიმაგრიდან გამოსვლა და მტერთან პირისპირ შებმა გადაუწყვეტია. ეს იერიშიც ბრწყინვალედ მოიგერია მან. განრისხებულმა თემურ-ლენგმა მესამე იერიში განახორციელა და უამრავი მეომარი შეუსია ციხეს. ერისთავი გირშელი თავისი რაზმებით ისევ პირისპირ შეება მტერს. ბრძოლა ვიწრო ხეობაში მიმდინარეობდა, რის გამოც მტერმა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლო და უკან დაიხია. გირშელი გამარჯვებული დარჩა, ხოლო თემურ-ლენგმა დიდი ზარალი ნახა.

ერისთავი ქნოღოს ციხეში მივიდა იქ შეხიზნული მოსახლეობის სანახავად. მტრის ლაშქარმა, რომელიც ლარგვისამდე მივიდა, გზაზე ყველაფერი გაანადგურა, მაგრამ გამარჯვებას ვერ მიაღწია. ეს მოხდა 1400 წლის მაისის შუა რიცხვებში. ამის შესახებ ცნობებს ვხვდებით ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის მინაწერში.

როგორც წყაროებიდან ჩანს, გირშელ ერისთავი საკმაოდ ძლიერი მეომარი და სამხედრო ხელოვნებაში გათვითცნობიერებული პიროვნება იყო. იგი ბრძოლაში მშვენივრად იყენებდა გეოგრაფიულ პირობებს, თავდაცვით ნაგებობებსა და მტერზე მოულოდნელი თავდასხმის ტაქტიკას. თემურ-ლენგის ლაშქრის მოგერიების შემდეგ მან მალევე ილაშქრა დვალეთში. მათ ღალატი ჰქონდათ ჩაფიქრებული. გირშელმა დაამარცხა ისინი, დაიპყრო მათი ციხესიმაგრეები და გამარჯვებული დაბრუნდა უკან.

მუხრანში დაბანაკებულმა თემურ-ლენგმა მომდევნო ლაშქრობა საამილახვროში მოაწყო. დიდი ბრძოლების შემდეგ მან მოახერხა ქართველების დამარცხება. ამის შემდეგ თემურ-ლენგის ურდოები გორისკენ დაიძრა. დიდი ბრძოლა გაიმართა გორის ციხესთან, რადგან იგი კარგად გამაგრებული სიმაგრე იყო. შარაფ ად-დინის სიტყვებით, გორის ციხე მიუვალი და ,,შეყვარებულთა პირობაზე მეტად მტკიცე იყო“. გორის ციხის დაცემის შემდეგ გიორგი Ბრი ბრძოლის ახალ, პარტიზანულ ტაქტიკაზე გადავიდა. მობილური რაზმებით ის თვითონ უსაფრდებოდა და მუსრს ავლებდა მტერს. ამიტომაც წერდნენ თემურ-ლენგის ისტორიკოსები, რომ გიორგი მეფე ,,ისარნაკრავი ვეფხვივით ტყეებსა და ღრეებში დაეხეტებოდაო“.

ქართლის ველზე დაბანაკებული თემურ-ლენგი ისევ დაიძრა გიორგი Ბრი-ის საძებნელად და ძამის ციხისკენ აიღო გეზი, სადაც იყო გამაგრებული მეფე. ამ ციხისათვის გამართული ბრძოლები ცალკე აქვთ აღწერილი თემურ-ლენგის ისტორიკოსებს.

ძამის ციხე ძალიან მაღალი და მიუვალი ყოფილა. იგი ხეობის შუა წელში, კლდოვანი მთის წვერზეა აგებული. მიუხედავად მაღალი მდებარეობისა, იგი მარაგდებოდა წყლით, რომელიც მილებში მიედინებოდა. აქ ჰქონდათ ავზებიც. ძამის ციხე პირველად Უ საუკუნეში იხსენიება. იგი მრავალჯერ ჩანს დანგრეული და აღდგენილი.

ძამის ციხის ასაღებად ბრძოლა შვიდი დღე გრძელდებოდა. ამ ოპერაციას თვითონ თემურ-ლენგი ედგა სათავეში. მტერმა გამოიყენა ლოდების სატყორცნი და სხვა საალყო მანქანები. თავგანწირული ბრძოლის შემდეგ დაეცა ძამის ციხე. გიორგი Ბრი-მ მოახერხა თავის დაღწევა. მტერმა ამჯერადაც ვერ შეძლო მისი შეპყრობა.

თემურ-ლენგმა მალევე გაიგო გიორგი Ბრი-ის ახალი ადგილსამყოფელი და უკან დაედევნა, ლაშქრის ნაწილი კი ძამის ციხეში დატოვა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, გიორგი მეფეს სავანეთის ციხისათვის შეუფარებია თავი, რომელიც, სავარაუდოდ, ამერ-იმერის საზღვარზე, ლიხის ქედის ფერდობზე, დაახლოებით, დღევანდელი ,,სავანისუბნის“ ტერიტორიაზე მდებარეობდა.

სავანეთის ციხე მტერმა შედარებით იოლად აიღო, მაგრამ გიორგი მეფე ამჯერადაც დაუსხლტა ხელიდან. იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. იქ გალაშქრება თემურ-ლენგმა ვერ გაბედა, რასაც რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ტყიან გარემოში ვერ გამოიყენებდა თავისი ლაშქრის რიცხობრივ უპირატესობას, რაც გადამწყვეტი ფაქტორი იყო ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში; ამასთანავე, მტერს არ ჰქონდა აქ გამავალი გზებისა და ბილიკების შესახებ ინფორმაცია. ამ და სხვა არაერთი მიზეზის გამო, თემურ-ლენგმა თავი აარიდა დასავლეთ საქართველოში გადასვლას და მხოლოდ მადევარი ლაშქრის გაგზავნით შემოიფარგლა, რომელიც მალევე დაბრუნდა უკან ხელცარიელი. ამის შემდეგ თემურმა ილაშქრა სამცხეში, მეორედ – არაგვის ხეობაში, კოლაში (ტაო) და ასე დაასრულა მეექვსე ლაშქრობა.

**Ბრი ლაშქრობა – 1401 წელი.** თემურ-ლენგის საქართველოდან წასვლისთანავე გიორგი Ბრი აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა და ქვეყნის აღდგენა-მოწესრიგებას შეუდგა. პირველ რიგში, ერთგულ თანამებრძოლ, ერისთავ გირშელსა და სურამელთან ერთად, ილაშქრა დვალეთში და ეს კუთხე დაიბრუნა.

ამის შემდეგ გიორგი ᲘᲠᲘ-მ დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს გაწმენდა მტრის ძალებისაგან. როგორც წესი, თემურ-ლენგი დაპყრობილ ციხეებში თავის ლაშქარს არ ტოვებდა. ჯამონაკლისი იყო რამდენიმე ციხესიმაგრე, მათ შორის – თბილისი, სადაც მან თავისი გარნიზონები ჩააყენა, რათა მუდმივად ეკონტროლებინა სიტუაცია. გიორგი ᲘᲠᲘ-მ გაათავისუფლა თბილისი და ამით ისევ გამოიწვია თემურ-ლენგის რისხვა. 1401 წელს საქართველოს დასასჯელად მან 50 000-იანი ლაშქარი გამოაგზავნა. მტრის ლაშქარი ქვეყანას აღმოსავლეთის მხრიდან მოადგა.

გიორგი ᲘᲠᲘ-მ დიპლომატიური სვლას მიმართა და თემურ-ლენგის სარდლებთან ელჩები გააგზავნა. ქართველი მეფე დაპირებას იძლეოდა, რომ ზავს დადებდა და პირადად შეხვდებოდა თემურ-ლენგს, როგორც კი ეს უკანასკნელი ამას მოისურვებდა. გიორგი ᲘᲠᲘ-ის დაპირება ირწმუნეს, რის გამოც ლაშქარმა საქართველოს დროებით გვერდი აუარა და კოლას მინდორზე დაბანაკდა.

შორეული ლაშქრობიდან დაბრუნებისა და ნახჭევანში დაბანაკებისთანავე, თემურ-ლენგმა გიორგი მეფესთან მოციქული გამოაგზავნა და ხარკის სხვადასხვა სახეობა მოსთხოვა. თვითონ გოგჩის გავლით წავიდა შამქორში და დაელოდა გიორგი ᲘᲠᲘ-ის პასუხს. სწორედ აქ მიიღო მან ქართველი ელჩები, რომელთაც მეფის ძმა (კონსტანტინე) ხელმძღვანელობდა.

კონსტანტინე პირადად შეხვდა თემურ-ლენგს, ესაუბრა და საქართველოს მეფის სიგელიც გადასცა. საბოლოოდ, ზავმა ასეთი სახე მიიღო: ი. საქართველო ყოველწლიურად გადაიხდიდა ხარკს თემურ-ლენგის სასარგებლოდ; იი. მისი პირველი მოთხოვნისთანავე გამოიყვანდა გარკვეული რაოდენობის ჯარს; იიი. საქართველო არ ჩაკეტავდა სამიმოსვლო-სატრანზიტო გზებს; ᲘᲓ. ქართველები თავიანთ ქვეყანაში არ შეავიწროვებდნენ მუსლიმანებს; Დ. ქრისტიანულ ადათ-წესებს ქართველები აშკარად არ შეასრულებდნენ მუსლიმანთა ქვეყნებში. სანაცვლოდ, თემურ-ლენგი საქართველოს ხელშეუხებლობას ჰპირდებოდა. ეს ფაქტი ისტორიაში „1401 წლის სექტემბრის შამქორის ზავის“ სახელწოდებით შევიდა.

თემურ-ლენგი ზავით კმაყოფილი დარჩა, რადგან იგი ოსმალეთთან გადამწყვეტი ომისთვის ემზადებოდა და ხელს აძლევდა საქართველოსთან ურთიერთობის თუნდაც დროებითი მოგვარება. ამ პრობლემის გადაჭრის შემდეგ, თემურ-ლენგი ყარაბაღში გადავიდა, ზამთრის გასატარებლად იქვე დაბანაკდა და ოსმალეთთან ომის სამზადისს შეუდგა.

საქართველოსთან დადებული ზავის მიუხედავად, თემურ-ლენგმა მალევე გამოაგზავნა 25 000-იანი ლაშქარი თორთუმის ციხის ასაღებად, რომელიც მდ. ჭოროხის შუაწელში მდებარეობდა. იგი საკმაოდ იყო გამაგრებული და მასში დაბანაკებული ქართველები სამიმოსვლო გზებს აკონტროლებდნენ გარშემო. თორთუმის ციხის მფლობელად წყაროებში დასახელებულია ვინმე თაყა. მასთან ერთად ციხესიმაგრეში 200 ქართველი მეციხოვნე იყო გამაგრებული. ბრძოლა ხუთ დღეს გრძელდებოდა, რის შემდეგაც სიმაგრე დაეცა.

**ᲘᲘᲘ ლაშქრობა – 1403 წელი. ბრძოლა ბირთვისის ციხის ასაღებად.** ბირთვისის ციხის ასაღებად გამართული ბრძოლა თემურ-ლენგის ისტორიკოსებს იმდენად მნიშვნელოვნად მიუჩნევიათ, რომ ცალკე თავად გამოუყვიათ თავიანთ თხზულებაში.

თემური ამ ციხესთან ადრეც ყოფილა მოსული, მაგრამ, მოუცლელობის გამო, მისთვის გვერდი აუვლია. ახლა იგი საფუძვლიანად მოემზადა საბრძოლველად.

ბირთვისის ციხე ალგეთის ხეობაში, მეტად მიუდგომელ ადგილზე მდებარეობს. მისასვლელი გზა, დაახლოებით, 2 კილომეტრის მანძილზე, ჩვეულებრივია. შემდეგ ვიწრო გზა იწყება, რომელიც ასეთსავე ბილიკზე გადადის. ამგვარი გზის შემდეგ სავალი მხოლოდ 100-150 მეტრი სიმაღლის ნაპრალის პირზეა. ამ მიუდგომელი კლდის მისასვლელები კედლებითა და ჭიშკრებით არის გამაგრებული, ხოლო მთავარი ციხე მკვიდრად ნაშენი და მიუვალია. ის იდგა ციცაბო კლდის თავზე. ასასვლელი მხოლოდ ერთი მხრიდან ჰქონდა, სადაც, ბუნებრივად მიუვალ ადგილას, მყარი ჭიშკარი ჰქონდა დატანებული. ციხეში შეღწევა მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა. მას განსაკუთრებულად იცავდა ციხის გარნიზონი.

ისტორიულ წყაროებში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება ციხის მფლობელი. საბოლოოდ, მიჩნეულია, რომ ციხეს თორელი, ანუ თორელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი განაგებდა.

თემურ-ლენგის ისტორიკოსები დაწვრილებით აღწერენ ბირთვისის ციხესა და მისთვის გამართულ ბრძოლას. ისინი თვითონ ესწრებოდნენ მასაც და სარდლების მიერ გამართულ თათბირებსაც. ამიტომ განსაკუთრებული სანდოობით გამოირჩევა მათი ცნობები. ბირთვისის ციხის ასაღებად თემურ-ლენგმა წინასწარ გააგზავნა თავისი სარდლები და ლაშქარი. სწორედ მათ თათბირს დასწრებია თემურის კარის ისტორიკოსი ნიზამ ად-დინი. მისი ცნობების მიხედვით, რამდენიმე წარუმატებელი იერიშის შემდეგ, სარდლებს ციხის აღება შეუძლებლად მიუჩნევიათ და გადაუწყვეტიათ დალოდებოდნენ თემურ-ლენგს, რათა ციხის აღების შეუძლებლობაში ის თვითონ დარწმუნებულიყო. ერთადერთი გზა, რომელიც მათ ციხის ასაღებად ესახებოდათ, ხანგრძლივი ალყა იყო, ამისათვის კი შეუძლებლად მიიჩნიეს ლაშქრის დიდი ნაწილის დატოვება, რადგან ახლომახლო არც საძოვრები იყო და არც ბანაკის გასაშლელი ადგილი. მცირე ძალებს კი მეციხოვნეები თვითონ ესხმოდნენ თავს და იოლად ანადგურებდნენ.

გარდა იმისა, რომ ბირთვისის ციხესიმაგრე მშვენივრად იყო გამაგრებული, გარნიზონიც ყველანაირად მომზადებული დახვდა მტერს. ციხესიმაგრეში თორელთან ერთად იყო 30 აზნაური, ცოლ-შვილიანად. მეომართა რაოდენობა 150-ს აღწევდა.

ციხესიმაგრის დათვალიერების შემდეგ, თემურ-ლენგმა შეიმუშავა მისი აღების გეგმა და ოპერაციას სათავეში თვითონ ჩაუდგა. პირველ რიგში, ციხის მთავარ შესასვლელს მიუჩინა ერთ-ერთი სარდალი, რომელსაც ჭიშკართან 24 საათი უნდა ედარაჯა. მასვე დაავალა კარის პირდაპირ სიმაგრის აშენება, რომელშიც მეომართა გარკვეული რაოდენობა განთავსდებოდა. სარდალმა მართლაც რამდენიმე დღეში, დიდი გაჭირვებით, ააგო სიმაგრე, რომელშიც 3000 მეომარი ეტეოდა. თემურ-ლენგი მათ აქ დატოვებას იმ შემთხვევაში აპირებდა, თუ ციხის აღებას ვერ მოახერხებდა. მეომრებს დავალებული ჰქონდათ, 24 საათის განმავლობაში გამაყრუებელი ხმაური აეტეხათ ფარებით, ბუკ-ნაღარებითა და ყიჟინით, რაც მეციხოვნეებზე ფსიქოლოგიურად იმოქმედებდა. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენებოდა შუა საუკუნეების ბრძოლებში.

შემდეგ თემურ-ლენგმა ბირთვისის უკანა მხარისკენ გადაინაცვლა და ლოდსატყორცნები და საალყო მანქანები გაამართვინა, თავისთვის ააშენებინა ხის მაღალი კოშკი, რათა იქიდან უკეთ ეკონტროლებინა ვითარება. ბირთვისის ციხეს საალყო მანქანებიდან განუწყვეტლივ უშენდნენ ლოდებს, მაგრამ ვერაფერს აკლებდნენ.

უშედეგო ალყის შემდეგ, თემურმა ახალი გეგმა შეიმუშავა, რომელსაც წარმატება მოჰყვა. მას ლაშქარში სხვადასხვა საქმის სპეციალისტები ჰყავდა, მათ შორის – კლდეზე მცოცავები, ოსტატ-ხელოსნები, ხუროები, მჭედლები, მიწის მთხრელები და ა.შ. გამოცდილმა მხედართმთავარმა კარგად იცოდა, ვინ როგორ და როდის გამოეყენებინა. კლდეზე ცოცვაში დახელოვნებულ მეომრებს, რომლებიც მექირთა ტომიდან იყვნენ, დაავალა ბირთვისის ციხის უკანა, ციცაბო კლდეზე აცოცება, ციხეში შეპარვა და ვითარების დაზვერვა.

ციხეს სამხრეთიდან ციცაბო კედელი ერტყა. მისით ქართველი მეომრები ზოგჯერ სარგებლობდნენ, ჩამოკიდებული და ასაწევი კიბის საშუალებით. მათ ეს მხარე იმდენად მიუდგომელი ეგონათ, რომ სამეთვალყურეოდ დარაჯიც კი არ ეყენათ. რამდენიმედღიანი გამაყრუებელი ხმაურის შედეგად, დაღლილ მეციხოვნეებს ჩაეძინათ. სწორედ ამ კლდეზე აძვრა თემურ-ლენგის ერთ-ერთი მეომარი, ციხის გალავანში შეიპარა, იქ თხა დაკლა და თემურ-ლენგს მისი თავი მტკიცებულების ნიშნად წაუღო.

ამის შემდეგ ციხის აღების კონკრეტული გეგმა შეადგინა თემურ-ლენგმა: აბრეშუმისა და ბამბის თოკებისგან 400-საფეხურიანი კიბე დააგრეხინა, რომელიც ღამით უნდა აეტანათ კლდეზე მცოცავ მეომრებს და კლდის თავზე დაემაგრებინათ. თემურის ლაშქრის საუკეთესო და თავგანწირული მეომრები ამ კიბით ციხის გალავანში ავიდოდნენ და იქ ორად გაიყოფოდნენ. ერთი ნაწილი გალავნის კარის გაღებას შეეცდებოდა, მეორე მათ ბრძოლით დაიცავდა. კლდიდან ციხეში ასვლის მსურველ მეომრებს თემურ-ლენგი დიდ საჩუქრებს შეჰპირდა. საგანგებოდ შეადგენინა მოხალისეების სია.

მცოცავებმა კიბე კლდეზე აიტანეს და მის თავზე ამოსულ ერთადერთ ხეზე დაამაგრეს. 50 მოხალისე მეომრიდან მხოლოდ 33-მა შეძლო კლდეზე ასვლა და გალავანში შეღწევა, თუმცა დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს. ბრძოლა გათენებისას დაიწყო. მეციხოვნეებმა მალევე შეიტყვეს მტრის შეპარვის ამბავი, მაგრამ მათი შეჩერება ვერ მოახერხეს, რადგან თავდასხმა მოულოდნელი იყო. მტერმა ალაყაფის კარი გახსნა, საიდანაც მთავარი ძალა შეიჭრა. ქართველების თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად, ისინი სასტიკად დამარცხდნენ.

**თემურ-ლენგის ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში.** ბირთვისის ციხის აღების შემდეგ თემურ-ლენგმა დასავლეთ საქართველოში ლაშქრობა გადაწყვიტა და თან წაიყვანა ორ კოლონად გაყოფილი ლაშქარი. წინ ერთი ნაწილი გაუშვა, მეორე (მთავარი, ანუ ცენტრის) ნაწილით თვითონ გაჰყვა უკან.

წყაროების ცნობით, თემურ-ლენგის ლაშქარს დასავლეთ საქართველოში 700 მონასტერი, დაბა და ყანა გაუნადგურებია.

გიორგი ᲚᲐᲨᲐ-მ თემურ-ლენგს ელჩები გაუგზავნა და დაზავებას მიაღწია. ამის მერე თემურ-ლენგი სასწრაფოდ გაბრუნდა დასავლეთ საქართველოდან და, თბილისის აოხრების შემდეგ, სამარყანდში გაემგზავრა.

საქართველოდან თემურ-ლენგის წასვლისთანავე, გიორგი ᲚᲐᲨᲐ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და ქვეყნის აღდგენას შეუდგა. საქართველოს ციხეები გაწმინდა იქ დაბანაკებული თემურის ლაშქრის ნაწილებისაგან, შემდეგ გადაინაცვლა ქვეყნის გარეთ, ნახჭევანი და განჯა დაარბია და თითქმის თავრიზამდე მიაღწია. ბოლოს იგი დიდი ალაფით დაბრუნდა უკან.

თემურ-ლენგის მემკვიდრეებმა საქართველოზე გამოსალაშქრებლად სასწრაფოდ შეკრიბეს ჯარი, რომლის რაოდენობაც 15 000-ს აჭარბებდა და ალათაღის მიდამოებში დაბანაკდნენ.

გიორგი ᲚᲐᲨᲐ მტრის შემოჭრას არ დაელოდა, 5000-იანი მობილური და კარგად გაწვრთნილი ჯარით მტერს ღამით თავს დაესხა ბანაკში და სასტიკად დაამარცხა.

მიუხედავად ამისა, მეფეს დასვენების საშუალება არ მიეცა. სულ მალე საქართველოს „შავბატკნიანად“ წოდებული თურქმანები შემოესივნენ და მათთან ბრძოლაში, 1407 წელს, დაიღუპა გიორგი ᲛᲔᲠ.

**ანალიზი.** ბაგრატ Ⴃ-მ ბრძოლის დასაწყისში, ციხესიმაგრეთა სრულყოფილი გამაგრების მიუხედავად, მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად თავიდანვე არასწორი ტაქტიკა – თავდაცვა აირჩია. ციხიდან იგი ვერ შეძლებდა საფორტიფიკაციო თვალსაზრისით მომზადებული, პასიურ მდგომარეობაში მყოფი და კლიმატურ პირობებზე დამოკიდებული მტრის სათანადო შეწინააღმდეგებას. მას შეეძლო საზავო ხელშეკრულებით შეემსუბუქებინა ქართველთა დანაკარგები, ასევე, საზღვრისპირა რეგიონებიდან მოყოლებული, პარტიზანული ბრძოლის მეთოდების გამოყენებით მნიშვნელოვნად დაეზარალებინა მოწინააღმდეგე. დადებითად შეიძლება ჩაითვალოს, დიპლომატიური მიზნით, სარწმუნოების დროებით შეცვლა და მომავალი მოქმედებებისათვის დროის მოგება.

გიორგი ᲛᲔᲠ კი სიმამაცით, სიმტკიცითა და გასაოცარი ნებისყოფით გამორჩეოდა. შეეძლო სამხედრო ალიანსის შეკვრა, ძალთა დროული მობილიზება, ადგილმდებარეობის თავისებურების გონივრულად გამოყენება, მოწინააღმდეგის შეჩერება დიპლომატიური გზით და დროის მოგება მომავალი საბრძოლო მოქმედებებისათვის მოსამზადებლად. მან აიძულა თემურ-ლენგი, ზავი დაედო მასთან, რაც ამ დამპყრობელს არც ერთ მეტოქესთან არ მოუმოქმედია. გიორგი ᲛᲔᲠ-მ სამხედრო საქმეც უფრო კარგად იცოდა. თავდაცვითი და შეტევითი მოქმედებების გარდა, ის ხშირად იყენებდა პარტიზანული ბრძოლის მეთოდებს. მეფემ ალათაღის მიდამოებში, ჩვეულებისამებრ, გამოიყენა მოულოდნელობის ფაქტორი და თავის ძალებზე სამჯერ დიდი ლაშქარი დაამარცხა.

**შედეგი.** გიორგი ᲛᲔᲠ-მ თვითონაც თავი გაწირა და საკუთარი ხალხიც ასევე აბრძოლა უდიდეს დამპყრობელთან ომში, რადგან ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. რომ არა მისი არნახული სიმამაცე, შეიძლებოდა, დღეს საქართველო არაქრისტიანული სახელმწიფო ყოფილიყო, ან სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩენილიყო. უზარმაზარი მსხვერპლის მიუხედავად, სწორედ თავისი მეფის პრინციპულმა პოლიტიკამ გადაარჩინა საქართველო.

ასე დამთავრდა თემურ-ლენგის დამანგრეველი ლაშქრობები საქართველოში, სადაც მას თავისი პატარა ქვეყნის გამჭრიახი წინამძღოლი – გიორგი ᲛᲔᲠ დახვდა. თემურ-ლენგმა, დიდი ბრძოლების მიუხედავად, საქართველოს ბოლომდე დამორჩილება და განადგურება ვერ მოახერხა. 1405 წლის 18 თებერვალს ჩინეთისკენ სალაშქროდ მიმავალი თემურ-ლენგი 70 წლის ასაკში გზაში გარდაიცვალა.

# თავი V

## საქართველო გვიანფეოდალურ ეპოქაში

### §45. ქართველი ხალხის ბრძოლა შავბატკნიანი და თეთრბატკნიანი თურქმანების წინააღმდეგ

**პოლიტიკური ვითარება.** საქართველო პოლიტიკურად და სოციალურ-ეკონომიკურად უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა თემურ-ლენგის არაერთი სისხლიანი შემოსევის შედეგად. ამაზე კარგად მეტყველებს „ქართლის ცხოვრება“: „არა სადა მოწევნილ არს ქართლსა ზედა ჭირი ესევითარი, რაოდენი ამან მოაწივა“. თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის ატეხილი შინაომებით ისარგებლეს ამიერკავკასიის სახელმწიფოებმა, რომელთაც მის მემკვიდრეთა ბატონობისაგან გასათავისუფლებლად ბრძოლა წამოიწყეს. განსაკუთრებით აქტიურობდა საქართველოს მეფე გიორგი ᲛᲔᲠᲕᲔ (1393-1407). „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „ხოლო წარვიდა რა ლანგ-თემურ, მაშინ მეფემან გიორგი კუალად იპყრა საქართველო მოოხრებული და იწყეს შენებად“. მტრის რაზმებისაგან ქვეყნის გაწმენდის შემდეგ, გიორგი მეფემ სამხედრო მოქმედება ქვეყნის გარეთ გადაიტანა. სპარსელი მემატიანის ცნობით, უფლისწულ ომარისთვის მის კარისკაცებს მოუხსენებიათ მეტად შემაშფოთებელი ამბავი: „ქართველებს კადნიერების ფეხი თავიანთი საზღვრებიდან გადმოუდგამთ, ნახჭევანი და განჯა დაურბევიათო“. სამარყანდში მოღვაწე ესპანელი ელჩის – კლავიხოს აღწერით, მამა-შვილს – ომარსა და მირან-შაჰს შორის ამტყდარი ბრძოლის დროს საქართველოს მეფეს, გიორგის, ანი და არზრუმი დაურბევია და თავრიზამდე მიუღწევია. მისივე ცნობით, ომარს გიორგის წინააღმდეგ გაუგზავნია 15 000-იანი ლაშქარი, რომელსაც საქართველოს მეფე 5000-იანი ჯარით ალათაღთან მოულოდნელად დასხმია თავს და დაუმარცხებია. ამის შემდეგ გიორგის უფრო შორს აღარ ულაშქრია. მისი მიზანი იყო თემურიანთა განდევნა როგორც საქართველოდან, ისე მისი მოსაზღვრე ტერიტორიებიდან, რასაც გიორგი ᲛᲔᲠᲕᲔ-მ წარმატებით გაართვა თავი.

ასეთი ვითარება იყო საქართველოში, როდესაც მის საზღვრებთან შავბატკნიანი (ყარაყოინლუ – შავი ბატკანი) თურქმანები გამოჩნდნენ, რომელთა დროშაზე შავი ცხვარი იყო გამოსახული.

თურქმანთა სახელმწიფოს შემქმნელი იყო ყარა-იუსუფი, რომელმაც, თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ, 1410 წელს აზერბაიჯანის, ირანისა და სომხეთის ტერიტორიებზე საფუძველი ჩაუყარა შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს, რითაც დიდი საფრთხე შეუქმნა ამიერკავკასიის ქვეყნებს: საქართველოს, შირვანსა და შაქს. ისინი მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ. მათი ლაშქრობები, გარდა პოლიტიკური მიზნებისა (კავკასიის დაპყრობა), დაკავშირებული იყო ეკონომიკურ ინტერესებთანაც. მათი სამეურნეო ცხოვრების სტილი, რომელიც მომთაბარე მესაქონლეობის ხასიათს ატარებდა, ნოყიერ საზამთრო და საზაფხულო საძოვრებს მოითხოვდა. ასეთი მიწები კი მრავლად იყო ქვემო ქართლში, შირვანსა და შაქის მხარეში.

**შავბატკნიანი თურქმანების შემოსევები.** შავბატკნიანი თურქმანების საქართველოში პირველი შემოსევისას ჯერ კიდევ მეფობდა გიორგი ᲛᲔᲠᲕᲔ, რომელიც 1407 წელს გარდაიცვალა. იმავე წელს მისი ძმა, კონსტანტინე, ეკურთხა მეფედ. ცნობილია, რომ შავბატკნიანთა მოძალების გამო მისი მეფობის ხანაში მკვეთრად გაუარესდა საქართველოს საგარეო მდგომარეობა მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. შავბატკნიანთა მეთაურმა ყარა-იუსუფმა, აცხადებდა რა პრეტენზიას აზერბაიჯანზე, მორჩილება მოსთხოვა შირვანის შაჰს, შეიხ იბრაჰიმს, რომელიც თვითონ ცდილობდა შირვანის გარშემო მთელი აზერბაიჯანის გაერთიანებას. შირვანშაჰმა დახმარებისთვის მიმართა ქართველ

მეფესა და შაქის მმართველს, სიიდი აჰმადს. საქართველოს, შირვანისა და შაქის გაერთიანებული ლაშქარი მდ. მტკვრის ნაპირზე, ჩალაღანში დაბანაკდა. გაერთიანებულმა მხედრობამ ბანაკი სამხედრო წესის მიხედვით გააწყო: სამი მხრიდან ღრმა თხრილები შემოავლო, მეოთხე მხარე კი ბუნებრივი ზღუდე – მდ. ტკვარი იყო. ყარა-იუსუფი მოერიდა თხრილის გადალახვას, ღამით მდინარით გადავიდა და შუა ბანაკში შეიჭრა. მიუხედავად მოულოდნელი თავდასხმისა, გაერთიანებული ლაშქარი დიდ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქართველები. სპარსელი ისტორიკოსის – ჰასან რუმლუს სიტყვებით, „კონსტანტინე, სახელისა და დიდების მოსახვეჭად, ბრძოლის ველზე გამოვიდა თავისი საზიზღარი ხალხით. თავდადებული ბრძოლა იწყეს და წინააღმდეგობის სარტყელი წელზე შემოირტყეს“.

ისტორიკოს მირხონდის ცნობით, ეს ბრძოლა 1412 წლის ნოემბერში გაიმართა. შირვანელები გაიქცნენ და ქართველები მარტო დატოვეს. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელთ არ მიატოვეს ბრძოლის ველი და დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს უთანასწორო ომში. საბოლოოდ, მოკავშირეები დამარცხდნენ. თურქმანებმა ხელთ მრავალი ტყვე ჩაიგდეს, მათ შორის – შეიხი იბრაჰიმი და კონსტანტინე მეფე, სამას აზნაურთან ერთად. ყარა-იუსუფის ბრძანებით, მისმა ვაჟმა ფირ-ბუდაყმა თავი მოჰკვეთა კონსტანტინე მეფეს. დახოცეს სხვა ქართველი ტყვეებიც.

მოკავშირეთა ჯარის საერთო რაოდენობის შესახებ წყაროები ცნობებს არ გვაწვდიან. ჰასან რუმლუს ზოგადი ცნობით, შირვან-შაჰმა მრავალრიცხოვანი ჯარი შეაგროვა. მირხონდის ინფორმაციით, კონსტანტინეს 2000-იანი ლაშქარი ჰყავდა.

შავბატკნიანთა შემდეგი შემოსევა უკავშირდება კონსტანტინეს ვაჟის – ალექსანდრე ი-ის მეფობის პერიოდს. იგი სამეფო ტახტზე 1412 წელს ავიდა.

ალექსანდრე მეფე ენერგიულად შეუდგა დაცემული ქვეყნის აღდგენას. მან ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და ქვეყნის მთლიანობის აღდგენა დაიწყო. ალექსანდრემ განდგომილი მთავარ-ერისთავების ნაწილი დააპატიმრა, ნაწილი საქართველოდან გააძევა, ნაწილს კი სამუდამოდ ჩამოართვა ერისთავობა.

საგარეო ფრონტზე ალექსანდრე მეფეს თურქმანებთან მოუწია ბრძოლა და ისინი საქართველოდან განდევნა. ზუსტი ცნობები, როდის და სად იყო ეს ბრძოლები, არ გვაქვს, მაგრამ ამ ფაქტის უტყუარობას მოწმობს, როგორც ალექსანდრე მეფის 1440 წლის სიგელი – „ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვასხენ ზღვართაგან ჩვენთა და ქრისტიანენი ფრიადს მშვიდობასა და მყუდროებას მიეცნეს“, ასევე XD საუკუნის სპარსელი ისტორიკოსების – აბდ არ-რეზაყ სამარყანდისა და მირხონდის ცნობები. სპარსული წყაროებით, მეფე ალექსანდრე, შირვანისა და შაქის მფლობელებთან ერთად, ირანის მფლობელ შაჰ-რუჰის მოკავშირედ გამოდის ყარა-იუსუფის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1421 წელს აზერბაიჯანში მოხდა ბრძოლა, რომელშიც შაჰ-რუჰმა გაიმარჯვა.

უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე პირველი დიდი ბრძოლა ქართველებსა და თურქმანებს შორის 1416 წელს ახალციხისთვის მოხდა. ქართული და სომხური წყაროების მიხედვით, თურქმანებს, ყარა-იუსუფის მეთაურობით, ახალციხე დაუკავებიათ და დიდი ხოცვა-ჟლეტა გაუმართავთ. ქალაქის აღებაში მტერს ადგილობრივი მაჰმადიანი მცხოვრებლები დახმარებიან.

ალექსანდრემ აქტიური ბრძოლები გააგრძელა ქართული მიწების დასაბრუნებლად. მართალია, საქართველო გაერთიანებული, მაგრამ მისი სამხრეთი საზღვრები მორღვეული იყო. მას აღარ ეკუთვნოდა სამხრეთის საზღვრის ისეთი სამხედრო პლაცდარმი, როგორიც ლორე იყო. 1431 წელს ალექსანდრე მეფემ ბრძოლით აიღო ლორე და იქაური ტერიტორია ისევ ძველ ქართველ მეპატრონეებს დაურიგა. ლორეს აღების შემდეგ, 1434-1435 წლებში, შემოიერთეს სივნიეთის მხარე (ახლანდელი ყარაბაღი და მისი მიმდებარე ტერიტორია). სამხედრო თვალსაზრისით, ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან თურქმანები უშუალოდ საქართველოს ვეღარ მოადგებოდნენ.

შავბატკნიანი თურქმანების შემდეგი შემოსევა 1440 წელს იყო. მათმა მეთაურმა, თავრიზის მფლობელმა ჯეჰან შაჰმა, ალექსანდრეს შემოუთვალა, უბრძოლველად დამორჩილებოდა და ხარკის გადახდა ეკისრა. მეფემ უარი შეუთვალა. ამ მიზეზით თურქმანები აღდგომა დღეს მოულოდნელად შემოიჭრნენ საქართველოში. ქართველებმა მტერს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, რადგან არ ელოდნენ. ჯეჰან შაჰმა ქალაქი სამშვილდე აიღო, შემდეგ თბილისისკენ წამოვიდა და სასტიკად აოხრა. საგარეო ფრონტზე წარუმატებლობას შიდა პოლიტიკური დაპირისპირებაც დაერთო. ამის გამო ალექსანდრე მეფე 1442 წელს აბრაჰამის სახელით (ათანასე – „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით) ბერად შედგა მცხეთაში, ტახტზე კი უფროსი ძე ვახტანგი დასვა, რომელიც მალე, 1446 წელს, გარდაიცვალა და ძმამ – გიორგი DIII-მ (1446-1466) შეცვალა. მართალია, ეს უკანასკნელი სრულიად საქართველოს მეფედ იხსენიებოდა, მაგრამ მას მხოლოდ ქართლი, კახეთი და იმერეთი ემორჩილებოდა. დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი – საბედიანო (სამეგრელო-აფხაზეთი), გურია და სამცხე-მესხეთის სამთავროები (ჰყავდათ რა თავიანთი ჯარები) საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. სწორედეს გახდა საქართველოს პოლიტიკური დაშლის საფუძველი.

საფრთხეები იყო სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით მას გაუმეზობლდნენ, ერთი მხრივ, შავბატკნიანი თურქმანები, მეორე მხრივ –

თეთრბატკნიანები (აყ-ყოინლუ), რომელთაც უზუნ-ჰასანი მეთაურობდა. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით კი ოსმალეთის იმპერია იზრდებოდა. კულმინაცია 1453 წლის 29 მაისი იყო, როცა სულთანმა მეჰმედ ი-მ ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი აიღო და ბიზანტიის იმპერია დაეცა. საქართველო განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაჰმადიანურმა გარემოცვამ იგი დასავლეთისკენ მიმავალ გზებს მოსწყვიტა. მოისპო სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო კავშირები ევროპასთან, რითაც საქართველოს როლი საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვნად დაქვეითდა.

ბიზანტიის იმპერიის დაცემა იყო დიდი კატასტროფა კულტურული მსოფლიოსათვის, განსაკუთრებული უბედურება კი – საქართველოსათვის, რომელსაც უშუალოდ გაუმეზობლდა ძლიერი, აგრესიული და კულტურულად ჩამორჩენილი ოსმალეთი. 1461 წელს მათ ტრაპიზონის იმპერიაც დაიპყრეს და საქართველოს ირგვლივ, საბოლოოდ, შეიკრა მაჰმადიანურ სახელმწიფოთა რკალი.

ოსმალთა აგრესიული ექსპანსიის ვექტორი თავდაპირველად სამხრეთისა და დასავლეთისაკენ წარიმართა. სულთან სელიმის მმართველობის დროს მათ დაიპყრეს სირია, არაბეთი, ეგვიპტე. ამით სულთანმა ხალიფას ტიტულიც მოიპოვა, რომელიც აერთიანებდა სახელმწიფო, სამხედრო და სასულიერო ხელისუფლებას. ᲮᲕ საუკუნის 20-იანი წლებისათვის ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში უკვე ბალკანეთი, უნგრეთი და ჩრდილო აფრიკა შედიოდა და, ამგვარად, იგი უზარმაზარ იმპერიად იქცა.

**თეთრბატკნიან თურქმანთა შემოსევები.** საქართველოში თურქმანთა შემდეგი შემოსევები უკავშირდება თეთრბატკნიან თურქმანებს. შუა აზიის ოღუზი თურქების მომთაბარე ტომთა გაერთიანება განსაკუთრებით გაძლიერდა უზუნ ჰასანის (1453-1478) მმართველობის დროს, როდესაც გაანადგურეს შავბატკნიანთა სახელმწიფო და დაიკავეს სომხეთი, აზერბაიჯანი, დასავლეთ ირანი, ერაყი. 1468 წელს დედაქალაქი დიარბაქირიდან თავრიზში გადაიტანეს. თავდაპირველად უზუნ ჰასანის ანტიოსმალურ კოალიციას რომის პაპთან, ვენეციასა და უნგრეთთან ერთად, საქართველოც უჭერდა მხარს. მოგვიანებით, ოსმალებთან რამდენიმე მარცხის გამო, უზუნ ჰასანს აღარ მოუნდა კოალიციაში დარჩენა და ახალი ომის დაწყება. სამაგიეროდ, თავისი აგრესია მან საქართველოსკენ მომართა. ამ დროისათვის ერთიანი საქართველოს სამეფო აღარ არსებობდა, რამაც ხელი შეუწყო გარეშე მტრების გამუდმებულ თავდასხმებს.

თეთრბატკნიანი თურქმანები, უზუნ ჰასანის მეთაურობით, საქართველოს პირველად 1473 წელს შემოესივნენ და დიდი ნადავლით გაბრუნდნენ უკან. 1474 წლისათვის თურქმანებმა ლორეს ციხე და მისი მიდამოები დაიპყრეს და ციხეში ჯარი ჩააყენეს. ლორეს ველი საბარათიანოს ეკვროდა, ამიტომ ბარათაშვილები განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ თურქმანებთან ბრძოლებში.

1477 წელს უზუნ ჰასანი საქართველოს კვლავ შემოესია. ამისთვის ის განსაკუთრებულად ემზადებოდა. ლაშქრობის წინ მან გამოაცხადა, ოსმალეთის წინააღმდეგ ვლაშქრობო. მართლაც, მისი 35-40-ათასიანი ლაშქარი დასავლეთისკენ დაიძრა; მაგრამ, 7 დღის სიარულის შემდეგ, მოულოდნელად, საქართველოსკენ შემობრუნდა და 5000 მეომარი წაიყოლა. მათ ტყის გაჩეხვა და ცეცხლის დანთება დაავალა, რათა უკან მიმავალ ჯარს გზა უკეთ გაეკვლია.რ2 დღის შემდეგ მტერი თბილისს მოადგა. დამპყრობლებს მოსახლეობა გახიზნული, ქალაქი კი დაუცველი დაუხვდათ. ქართველებმა თურქმანთა ცრუ მანევრი გვიან შეიტყვეს, სათანადოდ ვერ მოემზადნენ და გაცლა ამჯობინეს. მტერმა თბილისი უბრძოლველად დაიკავა და გორს მიაშურა, რომელიც ასევე აიღო, წინააღმდეგობის გარეშე. ბაგრატ მეფემ და ყვარყვარე ათაბაგმა საზავო მოლაპარაკებები დაიწყეს უზუნ ჰასანთან, რომელმაც, თბილისის სტრატეგიული მდებარეობის გამო, მისი შენარჩუნებისათვის, ხარკის სახით, 16 000 დუკატის გადახდა მოითხოვა. ამავე დროს თურქმანები სამცხეშიც შეიჭრნენ, იქაურობა მოაოხრეს, გაძარცვეს აწყურის საკათედრო ტაძარი და მისი განთქმული ხატიც თან წაიღეს. ბაგრატი და ყვარყვარე იძულებული გახდნენ, ხარკი ეკისრათ, რისი გადახდის შემდეგაც უზუნი მრავალრიცხოვანი ტყვით თავრიზში დაბრუნდა. მან დაიტოვა ლორე, თავისი მიდამოებით. თბილისი თეთრბატკნიანი თურქმანების ხელში აღმოჩნდა, რომლის გამგებლადაც უზუნ ჰასანმა ამირა ხალილ-ბეგ ბეგთაში დანიშნა. ამ შემოსევის შესახებ მოგვითხრობენ ლაშქრობის თვითმხილველები, იტალიელი დიპლომატები ბარბარო და ანჯოლელო.

1478 წელს, უზუნ ჰასანის გარდაცვალების შემდეგ, მის მემკვიდრეთა შორის არეულობა დაიწყო. მენაპირე ამირები დახმარების გარეშე დარჩნენ. თურქმანებმა სახელმწიფოს ეს მხარეები მიატოვეს. ქართველებმა ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და დაიბრუნეს თბილისი: „დააგდეს თათართა ტფილისი და სომხითი და დაიჭირა მეფემან ბაგრატ“.

თეთრბატკნიანთა სამეფოში 1478 წელს, უზუნ ჰასანის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტზე მისი ძმა იაყუბი ავიდა. მისი მმართველობის წლებში თურქმანთა ლაშქარი ორჯერ შემოესია საქართველოს. პირველად, 1486 წელს, თურქმანები სამცხეში შემოვიდნენ და „იავარჰყვეს ქუეყანა სამცხისა“. შემდეგ მოადგნენ „ციხესა ახალციხესა, ბრძოლეს დიდხანს და ვერღარა დაუდგნა სიმაგრემან, გატეხეს და დაწვეს ქალაქი და დაიპყრეს ხელთა მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი“. ახალციხის აღების შემდეგ თურქმანები „მოადგნენ ციხესა და ქალაქსა აწყუერისასა“, „დაატყვევეს“ აწყურის ღვთისმშობლის ხატი.

ქართულ-თურქმანულ ბრძოლებზე ვრცელ ცნობებს იძლევიან სპარსელი მეისტორიეები. იბნ რუზბეჰანის ცნობით, იაყუბ ყაენმა აზერბაიჯანისა და დიარბექრის რაზმები გაგზავნა ახალციხეში. შემოდგომის მიწურული იყო და თოვლმა და ყინვამ გააძნელა ლაშქრობა. მტერი ახალციხეში დადგა, ეკლესიები დაანგრია და განძეული გაიტანა. თურქმანები ახალციხის ციხის გარემოცვას შეუდგნენ. მაღალი მთის წვერზე აღმართული ციხე, თავის მისადგომებიანად, კარგად იყო გამაგრებული. ერთხელაც ქართველებმა ვერ შენიშნეს მარცვლეულის მარაგს მოკიდებული ცეცხლი, რომელიც გაძლიერდა და ციხის მოაჯირებს მოედო. ამით გამხნევებულმა თურქმანებმა ციხის გალავანზე დაიწყეს ასვლა. იბნ რუზბეჰანი წერს: „როცა ერთი მაგრად ჩაეჭიდებოდა თითებით კედელს, მეორე ფეხებზე დაეკიდებოდა მას და იწყებდა აცოცებას, შემდეგ მესამე მოეჭიდებოდა მეორეს და ამ გზით ბევრი ავიდა გალავანზე. ზოგჯერ რომელიმე მეომარი ჩავარდებოდა წყლით სავსე თხრილში და იღუპებოდა; მაშინ ჯაჭვიც წყდებოდა, მაგრამ ეს ვერ აჩერებდა სხვებს. ამისმა ნახვამ უაზრო გახადა ქართველ აზნაურთა წინააღმდეგობა. მათ დატოვეს ციხე და შიდა ციხეში გადავიდნენ. ახალციხის სიმაგრე დაპყრობილ იქნა“. ქართველები მტერს დამორჩილდნენ და ძირს ჩამოვიდნენ. მათ გამაჰმადიანება მოსთხოვეს. ვინც დაემორჩილა ბრძანებას, დიდი პატივით მიიღეს, ვინც არა – ტყვედ წაიყვანეს.

1487 წელს თეთრბატკნიანი თურქმანების მეორე შემოსევისას მეთაური ხალილ-ბეგი იყო. მტრის მთავარი სამიზნე თბილისი გახდა. ქართული წყაროების მიხედვით (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი), თურქმანებს ქვემო ქართლში დაუწყიათ აღჯაყალასა და ქაოზიანის ციხეთა მშენებლობა, რასაც თბილისის ასაღებად სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მტერი ქალაქს მოადგა, მაგრამ ვერ აიღო. თურქმანებს განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ბარათაშვილები, რომელთა სამფლობელოები უშუალო აღმოჩნდნენ საფრთხის წინაშე. მათ დახმარებისთვის მეფე კონსტანტინეს მიმართეს, რომელმაც ქაიხოსრო ციციშვილი და ჯავახ ჯავახიშვილი თავიანთი ლაშქრით მიაშველა. ქართველებმა ჭანდართან მდგომი მონაპირე თათრები დახოცეს და გააქციეს, თურქმანებმა კი თბილისს ალყა მოხსნეს და იქაურობას გაეცალნენ. კუმისთან ქართველებმა მათ გზა გადაუკეტეს და სასტიკი მარცხი აგემეს. თურქმანები ორბეთის ძირს დაბანაკდნენ. ბარათაშვილები არც იქ აძლევდნენ მტერს მოსვენებას: „მუდამ ბარათიანთა და ორბეთის-ძირელთა გაემარჯვის“.

თურქმანებმა დახმარება იაყუბ ყაენს სთხოვეს, რომელმაც მათ ლაშქარი მიაშველა. თურქმანები ახალი ძალებით კოჯრის ციხეს მოადგნენ და სროლა დაუწყეს. ქართველებს გაუჭირდათ ციხის დაცვა. მათ დატოვეს იგი და მთებსა და სიმაგრეებში გადავიდნენ. თურქმანებმა დაიკავეს დაცარიელებული კოჯრის ციხე, შემდეგ მოადგნენ თბილისის ციხეს. ინტენსიური სროლების მიუხედავად, მისი აღება გაძნელდა. კონსტანტინემ დახმარებისთვის კახელებს, იმერლებსა და მესხებს მიმართა, რომელთაც მეფეს უარი შეუთვალეს. თურქმანების მიერ თბილისის ციხის აღების შესახებ არც ბერი ეგნატაშვილი და არც ვახუშტი ბატონიშვილი ზუსტ მონაცემებს არ იძლევიან. ისინი განსაკუთრებით გამოყოფენ ქაიხოსრო თურმანიძის, სულხან და მერაბ ბარათაშვილების, ქავთარ სოლაღაშვილის გმირულ ბრძოლებს: „ამას ზედა ესმა ბარათიანთა, და იგინი იყვნეს ენაგეთს, და მათ თანა იყვნეს ქაიხოსრო თურმანის-ძე და სხუანი მეფის ყმები ცოტაოდენი. დავარდა ხმა და მომართეს ასე, ვითა ვეფხთა. და წამოვიდა აქეთ სულხან ბარათაშვილი და მისნი ძმანი, და აქეთ სხუანი ბარათიანნი, მოეწივნეს უკანა, შეიბნეს და გააქცივნეს და მისჯარნეს ხევსა... ასე ხოცა დაუწყეს, ვითა ქათამთა მართუეთა... დახოცეს ურიცხვ, რამეთუ არა იყო განცდა მკუდრისა, სისხლისა რუ დიოდა. რაცა სიკუდილსა მორჩეს, ხელთა დაიპყრეს“. ქალაქში მდგომი შეშინებული თურქმანების გარნიზონმა დატოვა ციხე: „რა ესმა ესე ქალაქს მდგომთა, შეშინდეს... მას უკანით თათართა ძალი ვეღარა უკადრებია და არცა რბევა“.

1488 წელს იაყუბ ფადიშაჰმა ბრძანება გასცა საქართველოს წინააღმდეგ საღვთო ომის დაწყების შესახებ. თურქმანთა ლაშქარი ყარაღაჯის ტყეებიდან თბილისისკენ დაიძრა. დიდი სიცივე იყო. ამირებმა კოჯრის ციხეს ალყა შემოარტყეს. იბნ რუზბეჰანის სიტყვით, ციხე მაღალი იყო და კაცს ეგონებოდა, მისი ღამის ყარაულები მოწყვეტილ ვარსკვლავებზე ჩირაღდნებს ანთებენო. თურქმანებმა ზარბაზნების საშუალებით შეძლეს ციხის აღება. შემდეგ მათმა ლაშქარმა თბილისს მიაშურა. იბნ რუზბეჰანის ცნობით, კონსტანტინე მეფემ ამ მოლაპარაკებებში ჩართო თავისი ღრმად მოხუცებული დედა, რომელმაც მშვიდობით მორიგებაზე ვერ დაიყოლია თურქმანები. მანდილოსანი ხელცარიელი დაბრუნდა უკან და კონსტანტინე იძულებული გახდა, თბილისი მიეტოვებინა. მტერმა 1489 წლის თებერვალში აიღო ქალაქი. სავარაუდოდ, თურქმანებს დიდხანს არ სჭერიათ თბილისი. ქართველებმა მალევე გააძევეს ისინი დედაქალაქიდან.

თურქმანთა ტომები იყვნენ ქვემო ქართლშიც: ლორეს, აღჯაყალასა და ქაოზიანის ტერიტორიებზე. ქართველები ცდილობდნენ, მთლიანად გაეძევებინათ თათრები, როგორც ქართული მეურნეობისათვის შეუსაბამო და უცხო ელემენტები. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „ხოლო შემდგომად თათართა წასლვისა შემოიკრიბნა მეფემან კონსტანტინე სპანი, მიუხდა და მოსრნა ელნი გარემონი, შემუსრა და დაარღვივა აღჯაყალა და ქაოზიანი, აღიღო ალაფი მათი და მოვიდა ტფილისს“. კონსტანტინე მეფეს განუზრახავს ქვეყნის გამთლიანება, რასთან დაკავშირებით

დარბაზიც მოუწვევია 1490 წელს, მაგრამ ომის გამართვა ურჩ მეფე-მთავრებთან, ქვეყანაში არსებული არახელსაყრელი სიტუაციის გამო, მიზანშეუწონლად მიუჩნევიათ.

შინაფეოდალური ომების შედეგად დასუსტებული და უზუნ ჰასანის შვილიშვილებს შორის ორად გაყოფილი აყ-ყოინლუს სახელმწიფო ირანის სეფიანთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ისმაილმა დაამარცხა. იგი ზარ-ზეიმით შევიდა თავრიზში და თავი შაჰინშაჰად გამოაცხადა.

1501 წელს საქართველოს აღმოსავლეთით შეიქმნა ახალი სახელმწიფო, რომლის ცენტრი თავრიზში იყო. მას სეფიანების სახელმწიფოს უწოდებენ (შეიხ სეფ-ედ-დინის სახელის მიხედვით, რომლის ჩამომავალიც იყო ისმაილი). მას მოიხსენიებენ ყიზილბაშების (წითელთავიანების) სახელმწიფოდაც, რადგან ეს მომთაბარე ტომები წითელზოლებიან თავსაბურავს ატარებდნენ.

**ანალიზი.** აღნიშნულ საბრძოლო ეპიზოდებში იკვეთება ერთი სპეციფიკა, რომელიც გამოიხატება ხეობებისა და ციხესიმაგრეებისათვის ბრძოლებში. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საფორტიფიკაციო თვალსაზრისით, მათ კარგად ამაგრებდნენ. მნიშვნელოვანია, რომ, ლაშქრის სიმცირის მიუხედავად, პარტიზანული ბრძოლის მეთოდების გამოყენებით, მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ. შედეგად, დაპირისპირებული მხარე იძულებული ხდებოდა, გარკვეული დროით უკან დაეხია. „მაშინ წარჩინებულნი ეტყოდნენ არა ბრძოლასა პირისპირ, გარნა გამაგრებასა ციხესიმაგრეთასა და სადაცა ჯერ იყოს ბრძოლასა, რათა არამარცხითა უმეტესად შევკნინდეთ“. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის იმდროინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები არ იძლეოდა მრავალრიცხოვანი ჯარის გამოყვანისა და მასშტაბური ბრძოლების გამართვის საშუალებას. ძირითადი მიზეზი კი მაინც, დიდგვაროვანთა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა იყო.[22]

მეფე-მთავრების მიერ თურქმანებთან შეურიგებელმა ბრძოლებმა და საზღვრებს გარეთ განვითარებულმა მოვლენებმა მტერი იძულებული გახადა, საქართველო დაეტოვებინა. ყოველივე ამან ქართველებს მისცა დრო, შესდგომოდნენ ქვეყნის აღორძინება-განვითარებას.

## §46. ერეკლე I დავით ს. თელეთის ბრძოლა

**პოლიტიკური ვითარება.** XVI საუკუნის დასაწყისიდან ოსმალთა აგრესია აღმოსავლეთით კავკასიისაკენ მიემართება.ააქ იგი ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოს – სეფიანთა ირანის ინტერესებს შეეჯახა. ეს ორივე სახელმწიფო დაჟინებით ცდილობდა ახლო აღმოსავლეთში გაბატონებას.აასე დადგა ერთმანეთის პირისპირ აღმოსავლეთის ორი დიდი სახელმწიფო – ოსმალეთი და ირანი. მათ დაუნდობელი ომები წამოიწყეს ერთმანეთის წინააღმდეგ. ირან–ოსმალეთის ომები (XVI-XVIII) უმთავრესად სამხრეთ კავკასიის, კერძოდ, საქართველოს დაუფლებისათვის მიმდინარეობდა.

სეფიანთა ირანის არმიაში ძირითადად ყიზილბაშური ურდოები შედიოდნენ. ოსმალეთის (თურქეთის) შეიარაღებული ძალები ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ფეოდალური ლაშქრისა და სულთნის ჯამაგირზე მყოფი მუდმივი ჯარისაგან. ოსმალეთში ყველაზე მნიშვნელოვანი შენაერთ იენიჩართა კორპუსი იყო. 1361 წელს სულთანმა მურად I-მა იენიჩართა ნაწილები შექმნა. შემდგომ პერიოდში სულთნები ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ ამ კორპუსის გაძლიერებას. მაგალითად, სულეიმან I-ის დროს იენიჩართა რაოდენობა 20 000-მდე გაიზარდა. ოსმალთა შეიარაღებული ძალები სხვადასხვა დროს 250-300 ათასამდე მერყეობდა.

ირანისა და თურქეთის არმიებში მრავლად იყვნენ გამაჰმადიანებული ქართველები. მათი დიდი ნაწილი საქართველოდან ტყვედ წაყვანილი ახალგაზრდობა იყო.

ქართველები ხან ირანს ებრძოდნენ, ხან ოსმალეთს. მშვიდობიანობა საქართველოში მაშინაც არ მყარდებოდა, როცა ეს ორო ქვეყანა ზავდებოდა, რადგან ქართველები არც ერთისა და არც მეორის პრეტენზიას არ ცნობდნენ. ა

XVI საუკუნის მიწურულს საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებმა და სამცხე-საათაბაგომ ცალკე სამხედრო ორგანიზაციები შექმნეს. მათ ერთიანი საქართველოს სამხედრო გამოცდილებაზე დააფუძნეს თავიანთი სისტემა. თუმცა გარკვეული სახეცვლილება ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებისა და სამცხე-საათაბაგოს სამხედრო ორგანიზაციაში მაინც შეიმჩნეოდა. ქართლსა და იმერეთში სადროშოებს დიდებულები განაგებდნენ. იმერეთში იყო ვაკის, არგვეთის, რაჭისა და ოკრიბა- ლეჩხუმის სადროშოები. ქართლის მეწინავე სადროშო ქვემო ქართლი (სომხით-საბარათიანო) იყო, მისი სარდალი – ბარათაშვილი. მემარჯვენე სადროშო იყო ზემო ქართლი. მას ამილახვარი სარდლობდა. მემარცხენე სადროშო მოიცავდა სამუხრანბატონოს, ქსნისა და არაგვის საერისთავოს. მას მუხრანბატონი სარდლობდა.

[22]უნდა აღინიშნოს, რომ წყაროთა სიმცირისა გამო, ძნელდება ქართულ-თურქმანული ბრძოლების მნიშვნელოვანი დეტალის დადგენა: მებრძოლი მხარეების ძალთა განლაგება, საბრძოლო წყობა, ტაქტიკური მოქმედებები.

მეოთხე იყო მეფის სადროშო, რომელშიც საეკლესიო ლაშქარიც ერთიანდებოდა და მის სარდალს მეფე ნიშნავდა. კახეთში სადროშოს ეპისკოპოსი ედგა სათავეში. მეწინავე სადროშოს ბოდბელი ეპისკოპოსი ედგა სათავეში, მემარჯვენეს – ნეკრესელი, მემარცხენეს – რუსთაველი ეპისკოპოსები. მეოთხე სადროშოს მეფის მიერ დანიშნული პირი ხელმძღვანელობდა.

გვიან შუა საუკუნეებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ქართველი მეომრის აღჭურვილობაც. შეიარაღებაში ცეცხლსასროლი იარაღი შემოდის. მართალია, თოფს ᲨᲘᲘᲘ საუკუნემდე საქართველოში აწარმოებდნენ, მაგრამ თოფის წამლის დამზადების ხალხური მეთოდი ᲨᲘᲘ საუკუნიდანაა ცნობილი. ᲨᲘᲘᲘ საუკუნის ᲘᲘ ნახევრიდან საქართველოში დიდი ზარბაზნების ჩამოსხმა დაიწყეს.

ცეცხლსასროლი იარაღის განვითარება კვამლიანი, ანუ შავი დენთის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. დენთი ინდოეთსა და ჩინეთში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო ცნობილი. შავი დენთი გოგირდის, ხის ნახშირისა და კალიუმის გვარჯილის მექანიკური ნარევი იყო. სწრაფად აალების გამო, მას ციხესიმაგრეების გარემოცვისას იყენებდნენ. დენთის კასრებს ციხის კედლების ფუნდამენტში ათავსებდნენ და ისე აფეთქებდნენ. ᲨᲘᲘ საუკუნეში დენთის საიდუმლო არაბებისათვის გახდა ცნობილი. ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი პირველი მოდელი, მოდფა, სწორედ არაბებმა შექმნეს. იგი უკვე ᲨᲘᲘᲘ საუკუნეში იხსენიება. ჭურვის როლს სახელდახელოდ დათლილი ქვები ან ისრები ასრულებდა. ᲨᲘᲓ საუკუნიდან ევროპისათვის ცნობილი გახდა უმარტივესი ცეცხლსასროლი იარაღები. წერილობითი წყაროების მიხედვით, ქვემეხის პირველი უმარტივესი ტიპი გერმანიაში შეიქმნა და ის გერმანელი ბერის – ბერტოლდ შვარცის სახელთან არის დაკავშირებული.

1326 წლისათვის ფლორენციაში რკინისაგან ჩამოსხმული ქვემეხი დამზადდა. ევროპელებმა ახალი იარაღის არსებობა არაბებისაგან შეიტყვეს. ყოველ შემთხვევაში, ესპანეთის არაბებმა – მავრებმა, ევროპელებზე გაცილებით ადრე იცოდნენ ახალი იარაღის შესახებ. მათ 1342 წლისათვის უკვე ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც რკინის ჭურვებს საკმაოდ შორ მანძილზე ისროდა.

დასაწყისში ცეცხლსასროლ იარაღს განსაკუთრებული ეფექტი არ ჰქონდა. ციხესიმაგრეების დასაზიანებლად მცირე ჭურვები უძლური იყო. მას მხოლოდ ცხენოსნის ჩამოგდება ან ფეხოსანი მეომრის დაშავება შეეძლო.

ᲨᲘᲓ-ᲨᲓ საუკუნეების მიჯნაზე ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ახალი ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ე.წ. „ბომბარდა“, საკმაოდ დაიხვეწა. ამან მებრძოლ მხარეებს ჯერ ქვის, მოგვიანებით კი ლითონის საკმაოდ მძიმე ჭურვების ეფექტურად გამოყენების საშუალება მისცა. მათ ციხის კედლის არათუ დაშავება, არამედ შენგრევაც შეეძლოთ.

ᲨᲓ საუკუნიდან ევროპაში აქტიურად დაიწყეს ქვემეხების ჩამოსხმა. ამავდროულად, ევროპელ მეომართა შეიარაღებაში შემოდის ცეცხლსასროლი იარაღი. ახალმა გამოგონებამ სამხედრო საქმის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა. ცვლილებები მოხდა ფორტიფიკაციაშიც. მნიშვნელოვნად გაიზარდა ციხესიმაგრის გალავნის სისქე (მაგ. არტანუჯის კედელს, სადაც ზარბაზანი უწევდა, თითქმის 30-50 სანტიმეტრი დაუმატეს), დაემატა დახურული სათოფურების ელემენტი და სხვა.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამ მნიშვნელოვნად შეცვალა სამხედრო ტექნიკა და სტრატეგია. ბრძოლა უფრო დისტანციური გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცეცხლსასროლი იარაღი დაიხვეწა.

ქართლის მეფემ, დავით Ს-მ (1505-1525 წლები), სამეფო ტახტი მამის, კონსტანტინე ᲘᲘ-ის (1478-1505 წლები) გარდაცვალების შემდეგ დაიკავა. დავით Ს-ის მეფობის პერიოდი მშვიდობიანობით გამორჩეული არ ყოფილა. ᲨᲓ საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოს დაპყრობასა და მიტაცებას მიზანმიმართულად ცდილობდნენ ირანი და ოსმალეთი. სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა ირანის ტახტზე ისმაილ Ი-ის (1501-1524 წლები) ასვლის შემდეგ. ეს უკანასკნელი ძლიერი და გამჭრიახი მმართველი აღმოჩნდა. მან შეძლო აღედგინა ირანის ძველი ძლიერება და ახლა უკვე იმ ქვეყნებს მიაპყრო ყურადღება, რომლებიც ცდილობდნენ, როგორმე თავი დაეღწიათ ირანის გავლენისაგან. ისმაილ Ი-ის ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე ქართლის მეფე დავით Ს აღმოჩნდა, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში აქტიურად ეხმარებოდა უფროსი ვაჟი – შემდგომში ქართლის მეფე ლუარსაბ Ი (1527-1556 წლები).

**ბრძოლისწინა ვითარება.** 1522 წელს ისმაილ Ი-მა მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეკრიბა, თავად ჩაუდგა სათავეში, ქართლისაკენ დაიძრა და ქვემო ქართლში, აღჯაყალას ციხესთან დაბანაკდა. დავით Ს-მ და ბატონიშვილმა ლუარსაბმა მტრის დასახვედრად აუცილებელ ზომებს წინასწარ მიმართეს. მათ დასახმარებლად მაშველი რაზმები მოვიდნენ კახეთის სამეფოდან და სამცხის საათაბაგოდან. დავით Ს-მ და ლუარსაბმა მეომართა ერთი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაშიც დაიქირავეს და საკუთარი ლაშქრის რიცხვი მნიშვნელოვნად გაზარდეს. გარდა ამისა, მამა-შვილმა ქართლის ციხეებიც გაამაგრა. მათ ყველაზე უფრო მასშტაბური სამუშაოები ქვეყნის სატახტო ქალაქში ჩაატარეს: თბილისი მტრის იერიშების მოსაგერიებლად მოამზადეს და ქალაქში საკმაოდ დიდი გარნიზონი ჩააყენეს. ქვეყნის თავდასაცავად გამალებულმა პროცესმა ისმაილ Ი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ქართლის სამეფო კარი დანებებას არ აპირებდა და თბილისისაკენ მრავალრიცხოვანი არმია დაძრა, რომელსაც სათავეში ყარაფირი ჩაუყენა. დავით Ს-ისა და ლუარსაბის

ტაქტიკური ჩანაფიქრიც სწორედ ეს იყო. მათ ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნეს მტერს, თითქოსდა უმთავრეს სტრატეგიულ ობიექტად თბილისს მიიჩნევდნენ და ბრძოლის გამართვასაც უშუალოდ ქალაქის კედლებთან აპირებდნენ. ყარაფირმა მოწინააღმდეგის ეშმაკობა ვერ ამოიცნო, დაივჯერა, რომ მხოლოდ თბილისთან მისვლის შემდეგ მოუწევდა ბრძოლაში ჩაბმა. ამიტომ იმ ეტაპზე საჭიროდ არ ჩათვალა ქალაქისაკენ მომავალ ლაშქარში საომარი მზადყოფნის გამოცხადება. ყარაფირისაგან განსხვავებით, ისმაილ ბ წინდახედულად მოიქცა. მან თბილისისაკენ მიმავალ ირანელთა მრავალრიცხოვან ლაშქარს ჯარის სხვა ნაწილები გააყოლა, ელიასბეგის ხელმძღვანელობით, და თვითონაც უკან მიჰყვა, თავის ელიტურ სამხედრო ქვედანაყოფებთან ერთად.

**სამოქმედო რაიონი.** ბრძოლის ადგილი: თბილისის, წალასკურის, კუმისის, კოჯრისა და წავკისს შორის. რელიეფი მრავალფეროვანი – მთა-ბორცვიანი, ალაგ-ალაგ მცირე ვაკე ადგილებით. ადგილმდებარეობა დაპირისპირებულ მხარეებს ფარულად გადაადგილების საშუალებას აძლევდა. აღსანიშნავია, რომ ქართველებს შეეძლოთ საბრძოლო მოქმედებები წარემართათ პარტიზანული ბრძოლის მეთოდების გამოყენებითაც. მოწინააღმდეგეს ხშირად მანევრირების უნარი შეზღუდული ჰქონდა, ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში, ძალების ეფექტურად გამოყენებას ვერ შეძლებდა.

**ბრძოლის მიმდინარეობა.** იმ დროს, როცა ყარაფირის ლაშქარი მშვიდად მიემართებოდა თბილისისაკენ, დავით ს და ლუარსაბი, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, მოულოდნელად წინ გადაუდგნენ ირანელებს და სოფელ თელეთის მიდამოებში ელვისებური იერიში მიიტანეს მათზე. ყარაფირის ლაშქარი ქართველების გამოჩენას არ ელოდა, ამიტომ, რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ირანელებმა სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაწიეს და უწესრიგოდ დაიწყეს უკან დახევა. ომის სასწორი ქართველების მხარეს გადაიხარა. ამ დროს ბრძოლის ველზე ელიასბეგის სამხედრო ნაწილები გამოჩნდნენ. ირანელთა დამხმარე ლაშქრის მოსვლა ქართველებისათვის მოულოდნელი იყო.

მიუხედავად ამისა, დავით ს-მ და ლუარსაბმა გაქცევა არ იკადრეს და ახლა უკვე ელიასბეგის სამხედრო დანაყოფებზე მიიტანეს იერიში. თელეთის ბრძოლის ამ ეპიზოდში საარაკო გმირობა გამოიჩინა ლუარსაბ ბატონიშვილმა. თავგანწირული შეტევით მან ბრძოლის ველიდან გააქცია ირანელთა ლაშქრის ერთ-ერთი ფრთა, რომელსაც მალე დანარჩენი სამხედრო ნაწილებიც მიჰყვნენ. ბრძოლის ბედი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო. ქართველები ჩეხვით დაედევნენ გაქცეულ მოწინააღმდეგეს. სამწუხაროდ, მტრის დევნაში გართულმა დავით ს-მ და ლუარსაბმა ვერ შენიშნეს, როგორ აღმოჩნდნენ მათ ზურგში იაღლუჯას მთის სანახებში ჩასაფრებული ისმაილ ბ და მისი ელიტური სამხედრო ნაწილები. ირანის შაჰმა დაუყოვნებლივ ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ზურგიდან დაესხა თავს მტრის დევნაში გართულ ქართველებს. ხანგრძლივი ბრძოლით გადაღლილმა და არეულ-დარეულმა ქართველებმა ირანელთა ბოლო იერიშს ვეღარ გაუძლეს და უწესრიგოდ დაიხიეს. ბრძოლა ირანელთა გამარჯვებით დასრულდა.

**ანალიზი.** აღწერილ მოვლენებში დადებითად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: ქალაქების გამაგრება საფორტიფიკაციო თვალსაზრისით; მოკლე დროში ლაშქრის მობილიზაცია; კოალიციური ძალების შექმნა კახეთის სამეფოსა და სამცხის საათაბაგოს რაზმებისგან; მებრძოლთა მაღალი საბრძოლო განწყობა. იყო ხარვეზებიც: ტერიტორიის ნაკლები კონტროლი და სადაზვერვო საქმიანობა; საბრძოლო გეგმის არასრულყოფილი შემუშავება თელეთთან ბრძოლისას; დადევნებისას ზურგის უსაფრთხოების ელემენტისა და რეზერვის არქონა.

**შედეგები.** დამარცხებულმა დავით ს-მ და ლუარსაბმა შიდა ქართლს შეაფარეს თავი. ისმაილ ბ-მა კი მცირე ხანს დაასვენა დაღლილი ლაშქარი, შემდეგ თბილისისაკენ დაიძრა და ქალაქს ალყა შემოარტყა. ამ დროისათვის თბილისი დავით ს-ისა და ლუარსაბის მიერ იმდენად კარგად იყო გამაგრებული, რომ ირანელებმა ვერ შეძლეს მისი იერიშებით აღება. მაშინ ისმაილ ბ-მა ხერხი იხმარა და ქალაქის ციხისთავს მაცნე გაუგზავნა. ირანის შაჰი თბილისის მეციხოვნეებსა და ქალაქის მოსახლეობას, ნებაყოფლობითი დანებების შემთხვევაში, სრული ხელშეუხებლობისა და რეგალიების შენარჩუნების პირობას აძლევდა. ირანელთა ხრიკმა გაჭრა და თბილისის ციხისთავმა ქალაქი მტერს გადასცა. ისმაილ ბ-მა, რომელსაც დიდი დანაკარგები ჰქონდა თელეთ-იაღლუჯას ბრძოლაში, პირობა ქალაქში შესვლისთანავე დაარღვია და სასტიკად ააოხრა თბილისი. ირანელებმა, პირველ რიგში, ეკლესიები გაძარცვეს. მაგალითი მათ პირადად ისმაილ ბ-მა მისცა. მან თბილისის სიონის ტაძარში დაბრძანებული ღმრთისმშობლის ხატის ჩარჩოს საკუთარი ხელით შემოაცალა ძვირფასი თვალ-მარგალიტი, თავად ხატი კი თბილისის ციხის ხიდზე დაასვენა და ქალაქის მცხოვრებლებს მასზე ფეხით გადავლა უბრძანა. ყველა, ვინც შაჰის ბრძანებას არ დაემორჩილა, ირანელებმა სიკვდილით დასაჯეს. ისმაილ ბ-მა თბილისის მოოხრებით გული იჯერა, ირანელთა ლაშქრის ერთი ნაწილი ქალაქში დატოვა, თავად კი ირანში დაბრუნდა. საქართველოში ლაშქრობის შემდეგ ისმაილ ბ-ს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი 1524 წელს გარდაიცვალა. დავით ს-მ და ლუარსაბმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამით და იმავე 1524 წელს ირანელებს თბილისი წაართვეს.

## §47. ბრძოლები თბილისსა და ბირთვისის ციხესთან

**პოლიტიკური ვითარება.** 1524 წელს ირანის შაჰის ტახტზე ისმაილ ი-ის ვაჟი თამაზ ი (1554-1576 წლები) ავიდა. იგი შიიტი იყო და მწვავედ უპირისპირდებოდა სუნიტური მრწამსის ოსმალებს. ამ უკანასკნელებსა და ოსმალებს შორის რელიგიურ დაპირისპირებას ემატებოდა ის ხანგრძლივი კონფლიქტიც, რომელიც ამ ორ ძლევამოსილ სახელმწიფოს შორის ტერიტორიებისა და გავლენის სფეროების გადანაწილების საკითხში არსებობდა. შექმნილ ვითარებაში შაჰის კარისათვის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო, საკუთარი გავლენაში მოექცია კავკასიის ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეული – ქართლის სამეფო, შემდეგ კი მთელ კავკასიაში გაბატონებულიყო. თამაზ ი-ის ამ გეგმას ღიად უპირისპირდებოდა ქართლის მეფე, ლუარსაბ ი, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა ქართლის სამეფოს სუვერენიტეტისათვის. კონფლიქტი ირანის სახელმწიფოსა და ქართლის სამეფოს შორის გარდაუვალი იყო.

**ბრძოლებისწინა ვითარება.** 1540 წელს თამაზ ი-მა საბოლოოდ დაიმორჩილა შარვანი და გამოსაზამთრებლად ყარაბაღში დაბანაკდა. 1541 წელს ირანის შაჰმა მრავალრიცხოვანი ლაშქრიდან გამოყო 12 000 რჩეული მხედარი და თბილისისაკენ გამოემართა. თამაზ ი-ს იმედი ჰქონდა, რომ მოულოდნელი თავდასხმით ქალაქს უბრძოლველად აიღებდა და ლუარსაბ ი-ს იოლად ჩაიგდებდა ხელში. ვიდრე შაჰის ლაშქარი თბილისისაკენ მოიწევდა, ლუარსაბ ი-ს მცირეწლოვანი ვაჟი გარდაეცვალა და, ოჯახთან ერთად, მცხეთაში წავიდა მის დასაკრძალავად.

**ბრძოლების მიმდინარეობა.** თამაზ ი-ის ლაშქარი თბილისს გამთენიისას მოადგა. ირანელები იმდენად სწრაფად და ჩუმად მოძრაობდნენ, რომ ქალაქის ციხისთავმა, გულბაათმა, მათი თავდასხმის ამბავი მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა თამაზ ი უკვე თბილისში შეიჭრა. შექმნილ ვითარებაში ციხისთავმა წინააღმდეგობის გაწევა უაზროდ ჩათვალა, შაჰს უბრძოლველად დამორჩილდა და, სიცოცხლის გადასარჩენად, მაჰმადიანობა მიიღო. ირანელების მოულოდნელმა გამოჩენამ და გულბაათის კაპიტულანტურმა საქციელმა თბილისის მეციხოვნეთა შორის არეულობა გამოიწვია. მათმა ერთმა ნაწილმა ციხისთავს მიბაძა და თამაზ ი-ს დანებდა, მეორე ნაწილი ირანელებთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაება და მთლიანად გაწყდა, მესამე ნაწილმა კი ქალაქი დატოვა და გაქცევით უშველა თავს. მცხეთაში მყოფმა ლუარსაბ ი-მა, თამაზ ი-ის თავდასხმის ამბის გაგებისთანავე, ჯარის შეკრება და მტერზე კონტრიერიშის მიტანა სცადა, თუმცა მეფის ღონისძიებები დაგვიანებული აღმოჩნდა. ირანელებს დედაქალაქი უკვე დაპყრობილი ჰქონდათ.

თბილისის აღების პარალელურად, თამაზ ი-მა თავისი ლაშქრის ნაწილი ქვემო ქართლის უძლიერესი ციხესიმაგრის – ბირთვისის ასაღებად გაგზავნა. მის დაცვას ბარათაშვილები მეთაურობდნენ. თავდაპირველად ირანელებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს ციხეზე, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ბირთვისის აღება მხოლოდ სამხედრო გზით შეუძლებელი იყო, ხერხს მიმართეს. ციხის დამცველებს, თბილისელი მეციხოვნეების მსგავსად, დანებება შესთავაზეს, მორჩილების სანაცვლოდ კი ხელშეუხებლობასა და დიდ წყალობას შეჰპირდნენ. ბარათაშვილების ნაწილი ირანის შაჰის ჯილდოებს დახარბდა და მტერს ციხის კარი გაუღო. ირანელებმა ხელთ იგდეს ციხე და იქ თავშეფარებულ ქართველებს გამაჰმადიანება მოსთხოვეს. ბარათაშვილთა ერთმა ნაწილმა ისლამი მიიღო და სიცოცხლე შეინარჩუნა, მეორე ნაწილმა რჯულის შეცვლაზე უარი თქვა. ირანელებმა დახოცეს ისინი, მათი ცოლ-შვილი კი ირანში ტყვედ წაასხეს.

**შედეგები.** ამრიგად, თამაზ ი-ის მიერ საქართველოში მოწყობილი პირველი ლაშქრობა ირანელთა გამარჯვებით დასრულდა და თბილისი, 17-წლიანი შუალედის შემდეგ, კვლავ ირანელებმა დაისაკუთრეს. მათ ხელში აღმოჩნდა აუღებელ ციხედ მიჩნეული ბირთვისიც. თამაზ ი-მა დაპყრობილი ციხე-ქალაქები სასტიკად ააოხრა, თბილისში ირანელი მეციხოვნეები ჩააყენა, მათი მეთაურობა გამაჰმადიანებულ გულბაათს უბოძა, თავად კი ყარაბაღში გაბრუნდა.

## §48. სოხოისტას ბრძოლა

**პოლიტიკური ვითარება.** ᴜᴅი ს-ის 40-იან წლებში დრამატულად ვითარდებოდა მოვლენები სამხრეთ საქართველოში, რომელიც 1535 წლიდან იმერეთის მეფე ბაგრატ ააი-მ (1510-1565 წლები) დაიპყრო და შედიოდა იმერეთ-სამცხის გაერთიანებულ სახელმწიფოში. იმერეთის მეფის წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდა სამცხის სამთავროს ტახტის მემკვიდრე, მცირეწლოვანი ქაიხოსრო ააი (1545-1573 წლები), რომელიც ოსმალთა ქვეშევრდომად აცხადებდა თავს, ირანის წინააღმდეგ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის პირობას დებდა და, სანაცვლოდ, სულთნის კარს იმერეთის მეფესთან დაპირისპირებაში დახმარებას სთხოვდა. ბაგრატ ააი ხვდებოდა, რომ ოსმალებისა და ქაიხოსრო ააი-ის ალიანსთან დაპირისპირება მხოლოდ ალტერნატიული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსით იყო შესაძლებელი, ამიტომ მოკავშირეებს დაუწყო ძებნა. ამ მიზნით, ბაგრატ ააი-მ კავშირი შეკრა ირანის შაჰ თამაზ ი-თან (რომელიც ოსმალთა დაუძინებელი მტერი იყო), ასევე – ლუარსაბ ი-სა და გურიის მთავარ როსტომ გურიელთან (1534-1564 წლები),

რომლებსაც სამცხის საათაბაგოს ცალკეული პროვინციები ჰქონდათ დასაკუთრებული და, სამხრეთ საქართველოში ქაიხოსრო ირი-ის ხელისუფლების აღდგენის შემთხვევაში, ამ ტერიტორიების დათმობა მოუწევდათ.

**ბრძოლისწინა ვითარება.** 1545 წელს ოსმალეთის სულთანმა სულეიმან ი-მა (1520-1566 წლები) სამხრეთ საქართველოში დიდძალი ლაშქარი გამოგზავნა, თან ქაიხოსრო ირი გამოაყოლა და ოსმალო სარდლებს სამცხის სამთავროს ტახტზე მისი აყვანა დაავალა. ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდა ბაგრატ ირი-ის, ლუარსაბ ი-ისა და როსტომ გურიელის გაერთიანებული ლაშქარი. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ბასიანის პროვინციაში, სოხოისტას ველზე შეხვდნენ. ბრძოლის წინ, სამხედრო გეგმის განხილვისას, ქართველთა ბანაკში სერიოზული უთანხმოება მოხდა. ბაგრატ ირი-ის დროშის ქვეშ მდგომმა მესხმა ფეოდალებმა მოითხოვეს, რომ გაერთიანებულ ლაშქარში წინამბრძოლის ფუნქცია, ისტორიული ტრადიციისამებრ, მათ დაჰკისრებოდათ. ლუარსაბ ი-ის მოლაშქრეებმა მესხებს არ დაუთმეს და ეს თავად მოინდომეს. საბოლოოდ, კამათი დაპირისპირებაში გადაიზარდა, რამაც ბრძოლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე სერიოზული ბზარი გაუჩინა ქართველი მეომრების ერთსულოვნებას.

**ბრძოლის მიმდინარეობა.** სოხოისტას ველზე ბრძოლა გამთენიისას დაიწყო. თავდაპირველად მოვლენები ქართველებისათვის ხელსაყრელად განვითარდა. პირველი შეტაკებების შედეგად ოსმალებს დიდი დანაკარგები ჰქონდათ და ამიტომ საბრძოლო პოზიციებიდან მათ თანდათან უკან დახევა დაიწყეს. დაღუპული ოსმალო ჯარისკაცების რაოდენობა ოთხჯერ აჭარბებდა ბრძოლის ველზე დაცემული ქართველი მოლაშქრეების რიცხვს. მოულოდნელად, ქართლელებზე განაწყენებულმა მესხებმა ბრძოლის ველი დატოვეს. ამ უგუნური საქციელის გამო მათ მთელი ქართველი მებრძოლები უმძიმეს მდგომარეობაში ჩაყარეს. მესხების ღალატის მიუხედავად, ქართველმა სარდლებმა უკან დახევაზე უარი თქვეს. თავიანთ განკარგულებაში დარჩენილი სამხედრო შენაერთები, შეძლებისდაგვარად, გადააჯგუფეს და ბრძოლა განაგრძეს. ქართველმა მეომრებმა საარაკო სიმამაცე გამოიჩინეს და საღამომდე თანასწორად იბრძოლეს მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. მაგრამ, ბოლოს, რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და ქართველთა ლაშქარმა უკან დაიხია. ბაგრატ ირი იმერეთში გადავიდა, ლუარსაბ ი კი ქართლში დაბრუნდა.

**შედეგები.** სოხოისტას ბრძოლის შემდეგ ოსმალებმა თითქმის მთელი სამცხე-საათაბაგო დაიკავეს და სამთავრო ტახტზე ქაიხოსრო ირი აიყვანეს. გარდა ამისა, მათ ქვეყნის მთავარ ციხეებში ოსმალური გარნიზონები ჩააყენეს და ამით სამცხის საათაბაგო საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს.

## §49. ეშეფე ლუარსაბ ი. ბრძოლა ატენის ციხესთან

**პოლიტიკური ვითარება.** 1550-იანი წლების ი ნახევარში ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ქართლის სამეფო ერთადერთი პოლიტიკური ძალა იყო, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა ირანის გავლენისაგან თავის დასაღწევად. შაჰი თამაზ ი ლუარსაბ ი-ს ირანის უპირველეს მტრად მიიჩნევდა და პერმანენტულად ესხმოდა თავს მის სამეფოს.

**ბრძოლისწინა ვითარება.** ლუარსაბ ი ირანელთა ლაშქრის მრავალრიცხოვნობის გამო დიდი ბრძოლების გამართვას ერიდებოდა და მოწინააღმდეგეს მცირე რაზმებით მოულოდნელად ესხმოდა თავს. ქართველები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ირანელთა სამხედრო ძალების გადაადგილებას და როცა მტრის მთავარი ძალებისაგან შედარებით მცირერიცხოვანი რაზმების გამოყოფას შენიშნავდნენ, დაუყოვნებლივ მიჰქონდათ იერიში მათზე. იმავდროულად, ლუარსაბ ი გამუდმებით გადაადგილდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ამით საშუალებას უსპობდა მოწინააღმდეგეს, გააზრებული და ფართომასშტაბიანი იერიში მიეტანა მის ბანაკზე. ამ სამხედრო ხერხის დახმარებით, ქართველები წარმატებით ანადგურებდნენ ირანელთა სამხედრო დანაყოფებს და ბევრად უფრო დიდ ზიანსაც აყენებდნენ მტერს, ვიდრე ეს ფართომასშტაბიანი ბრძოლებით იყო შესაძლებელი. 1554 წელს ლუარსაბ ი-ის თავდასხმებით განრისხებული თამაზ ი ქართლში შეიჭრა და ალყა შემოარტყა ატენის ციხეს, რომელსაც ამ დროს ლუარსაბ ი-ის დედა და მისი ოჯახის სხვა წევრები აფარებდნენ თავს.

**ბრძოლის მიმდინარეობა.** ატენის ციხისათვის (შიდა ქართლი) ბრძოლა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ბუნებრივად მიუვალ ადგილას აგებული ციხე ჩინებულად იყო გამაგრებული, ამიტომ ირანელთა ყველა იერიში უშედეგოდ მთავრდებოდა. მოვლენების ისე ვითარდებოდა, რომ ირანელები

ციხეს ალყას მოხსნიდნენ და უკან დაიხევდნენ, თუმცა ერთმა მოულოდნელმა ამბავმა ბრძოლის სურათი რადიკალურად შეცვალა. ირანელებმა ტყვედ ჩაიგდეს კავთისხეველი, ვინმე ბეთიაშვილი, რომელმაც, სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ, მტერს ატენის ციხის აღების გზა ასწავლა. მან თამაზ რ-ის სარდლებს აცნობა, რომ ციხეში გამაგრებულ ქართველებს წყლის მარაგი ამოწურული ჰქონდათ და მეომრები იძულებული იყვნენ, ციხის ჩრდილოეთით მდებარე მომცრო წყაროდან ეზიდათ წყალი. ირანელებმა დაუყოვნებლივ დაიკავეს წყარო და მეციხოვნეები სასმელი წყლის გარეშე დატოვეს. ატენის ციხის დამცველები ერთხანს გმირულად უმკლავდებოდნენ უწყლოობას და ბრძოლას აგრძელებდნენ, თუმცა ბოლოს იძულებულები გახდნენ, მტრისათვის ჩაებარებინათ ციხე. ირანელებმა ლუარსაბ რ-ის დედა და სხვა ქართველი დიდგვაროვნები ტყვედ წაიყვანეს. როცა ლუარსაბ რ-მა ატენის ციხის აღებისა და დედის დატყვევების ამბავი შეიტყო, დაუყოვნებლივ დაედევნა მტერს. დიდი ხნის დევნის შემდეგ ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი ირანელთა არიერგარდს დაეწია, სასტიკად დაამარცხა იგი და ტყვეების დიდი ნაწილი გაათავისუფლა. მიუხედავად წარმატებისა, ლუარსაბ რ-მა დედის გამოხსნა ვერ შეძლო. როცა დედოფალი დარწმუნდა, რომ ვეღარ მოხერხდებოდა ტყვეობიდან მისი გათავისუფლება, დამცირებასა და შეურაცხყოფას სიკვდილი არჩია და თავი მოიწამლა.

**შედეგები**. ირანის შაჰმა თამაზ რ-მა ატენის ციხის აღებით უდიდესი დარტყმა მიაყენა ქართლის სამეფოს თავდაცვისუნარიანობას. გარდა ამისა, ირანელებმა ტყვედ ჩაიგდეს მათი დაუმორჩილებელი მტრის, ლუარსაბის მეფის დედა, 30 000 ქართველი კი ტყვე წაიყვანეს ირანში.

## §50. გარისის ბრძოლა

**ბრძოლისწინა ვითარება.** 1550-იანი წლების შუახანებში ქართლის სამეფო, ატენის ციხესთან განცდილი მარცხის მიუხედავად, მაინც აგრძელებდა თავგანწირულ ბრძოლას ირანელების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ქართლის მეფეს, ლუარსაბ რ-ს, მხარში ედგა უფროსი ვაჟი, სიმონი, შემდგომ ქართლის მეფე სიმონ რ (1556-1559, 1578-1599/1600 წლები).

1555 წელს ლუარსაბ რ ირანელების წინააღმდეგ კონტრიერიშზე გადავიდა და მათ მიერ დაკავებული ქართლის ციხე-ქალაქების გათავისუფლებას შეუდგა. განრისხებულმა თამაზ რ-მა ქართველების წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოგზავნა. ირანელებს სათავეში ყარაბაღის ხანი შავერდი სულთანი ჩაუდგა. 1556 წელს მტერმა ქართლის სამეფოს საზღვარი გადმოლახა და ქვემო ქართლში შემოიჭრა. ლუარსაბ რ ქართველთა ლაშქართან ერთად დაუყოვნებლივ გაემართა მტერთან შესახვედრად, მდინარე ხრამის ხეობაში (სოფელ გარისთან, ღლევანდრლი თეთრიწყარო) დაბანაკდა და მტერთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოემზადა. მისი გადაწყვეტილება გარისის გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. ვიწრო ადგილებში მტრის ჯარს გაშლა გაუჭირდებოდა და ქართველებთან მთელი ძალებით დაპირისპირებას ვერ შეძლებდა.

**ბრძოლის მიმდინარეობა.** ლუარსაბ რ-მა, რომელიც იმხანად უკვე გვარიანდ მოხუცებული იყო, ქართველთა ლაშქრის სარდლობა უფროს ვაჟს – ბატონიშვილ სიმონს ჩააბარა, შემდეგ კი, ხანდაზმულ დიდებულებსა და სასულიერო პირებთან ერთად, ბრძოლისათვის თვალის სადევნებლად მაღალ და ტყიან გორაკზე ავიდა. ბრძოლის ველზე ირანელთა გამოჩენისთანავე სიმონის მეწინავე რაზმმა თავგანწირული იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე. შავერდი სულთანი მცირერიცხოვანი ქართველების მხრიდან ჯიქურ შეტევას არ ელოდებოდა და თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა. ამასობაში ქართველმა მეწინავეებმა, რომლებსაც უშუალოდ სიმონი მეთაურობდა, ირანელთა ლაშქრის წინა რიგები ცხენდაცხენ გაარღვიეს და მტრის განლაგების სიღრმეში შეიჭრნენ. ქართველ მეწინავეებს ლაშქრის დანარჩენი ნაწილებიც მიჰყვნენ. ირანელებმა ქართველთა თავგანწირულ იერიშს ვეღარ გაუძლეს და უწესრიგოდ დაიხიეს ბრძოლის ველიდან.

ქართველები ჩეხვით დაედევნენ გაქცეულ მოწინააღმდეგეს. ამ დროს ირანელთა ერთ-ერთი რაზმი, შემთხვევით, იმ გორაკთან აღმოჩნდა, რომელზეც ლუარსაბ რ და მისი ამალა იდგა. მხცოვანი მეფე ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. ლუარსაბ რ, ასაკის მიუხედავად, მამაცურად იბრძოდა. როცა ყველანაირი იარაღი შემოემტვრა, ცხენის ძგერებით გააგრძელა ბრძოლა. ამ დროს ლუარსაბ რ-ის ცხენს ორმოში ჩაუვარდა ფეხი, დაეცა და მხცოვანი მეფე ქვეშ მოიყოლა. წაქცეულ ლუარსაბ რ-ს ირანელებმა ისრები დაუშინეს და სასიკვდილოდ დაჭრეს. ამასობაში ქართველთა რაზმიც გამოჩნდა და ირანელთა დანაყოფი მთლიანად გაანადგურა. საბოლოოდ, გარისის ბრძოლა ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. მძიმედ დაჭრილი ლუარსაბ რ-ის გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა. სახელოვანი მეფე ბრძოლის დამთავრებიდან მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

**ანალიზი.** აღნიშნულ ბრძოლაში ქართველებმა გამოიყენეს მოულოდნელობის ეფექტი, რომელიც გამოიხატა, სიმონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით, მეწინავე რაზმების მიერ მოუმზადებელ მოწინააღმდეგეზე უეცარ თავდასხმაში. შექმნილმა ვითარებამ მტერი პანიკაში ჩააგდო, რამაც ძალების კონსოლიდირების საშუალება არ მისცა. შექმნილი მდგომარეობა ქართველებმა ეფექტურად

გამოიყენეს. მოულოდნელი იერიშების გამო, მოწინააღმდეგე უწესრიგოდ გარბოდა ორი მიმართულებით. ლუარსაბ ი-ის ბრძოლაში ჩაბმამ მტერი სრულ დემორალიზებამდე მიიყვანა.

**ბრძოლის შედეგი**. გარისის ბრძოლაში გამარჯვება ქართული სამხედრო საქმის ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია. ქართველმა მებრძოლებმა სასტიკად გაანადგურეს ირანელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, რომელიც იმ დროისათვის მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სამხედრო ძალად ითვლებოდა.

გარისის ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა მეფე ლუარსაბ ი, რომელიც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოდა ირანელებისა თუ ოსმალების წინააღმდეგ. იგი თავისუფლებისათვის მებრძოლი თითოეული ქართველის სათაყვანებელი გმირია.

## §51.მეფე სიმონ ი. ციხედიდის ბრძოლა

**პოლიტიკური ვითარება.** 1556 წელს, ლუარსაბ ი-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის სამეფო ტახტზე მისი უფროსი ვაჟი სიმონ ი ავიდა. ახალგაზრდა მეფე მამის სამხედრო-პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი იყო და თავგანწირვით იბრძოდა ქართლის სამეფოს სუვერენიტეტისათვის. სიმონ ი-ის პოლიტიკა მიუღებელი იყო ირანის სახელმწიფოსათვის, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისიდან ცდილობდა ქართლის დამორჩილებას. სიმონ ი ნიჭიერი მმართველი გამოდგა. მან მეფობის პირველ წლებში ხანგრძლივი ომებისაგან გაპარტახებული სასოფლო-სამეურნეო რაიონების აღდგენა-აღორძინებას მიჰყო ხელი. ამავე პერიოდში სიმონ ი-მა ცოლად შეირთო კახეთის მეფის – ლევანის (1518-1574 წლები) ასული და ამ გზით ახლო ურთიერთობა დაამყარა კახეთის სამეფოსთან, რომლის მხარდაჭერასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი საბოლოო მიზნების განხორციელებისათვის. 1550-იანი წლების ბოლოს სიმონ ი-მა მიიჩნია, რომ სიტუაცია მომწიფებული იყო თბილისში მდგომ ირანელებზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად და ამ სამხედრო ოპერაციისათვის მზადებას შეუდგა.

**ბრძოლისწინა მდგომარეობა.** 1561 წელს სიმონ ი დაუკავშირდა კახეთის მეფეს და თბილისზე საიერიშოდ დამხმარე სამხედრო ძალების გამოგზავნა სთხოვა. ლევანმა ქართლის მეფეს გამოუგზავნა კახელთა საბრძოლო რაზმები, რომლებსაც მისი უფროსი ვაჟი, ბატონიშვილი გიორგი ჩაუდგა სათავეში. ქართლელ-კახელთა გაერთიანებული ლაშქარი სოფელ ძეგვის მიდამოებში, ციხედიდთან დაბანაკდა. როგორც აღმოჩნდა, სიმონ ი-ის მოქმედებას ირანის შაჰი თამაზ ი ფხიზლად ადევნებდა თვალს და ამიტომ ქართლელ-კახელთა გამალებული სამზადისი არ გამოჰპარვია. მან თბილისში მდგომი ირანელების დასახმარებლად დიდძალი ლაშქარი შეკრიბა და ქალაქში მალულად შესვლა უბრძანა. ირანელთა ლაშქარს სათავეში ჩაუდგა ყარაბაღის ხანი, შავერდი ზიადოღლი. ამ უკანასკნელმა შაჰის დავალება ზუსტად შეასრულა და თავისი სამხედრო შენაერთები ისე შეიყვანა თბილისში, რომ ქართველებს ამის შესახებ არაფერი გაუგიათ.

**სამოქმედო რაიონები.** სვიმონ მეფემ საბრძოლო ოპერაციები ქვემო და შიდა ქართლის მთაგორიან და ვაკე-ბორცვიან ტერიტორიებზე ჩაატარა. რელიეფი და მცენარეული საფარი, მეტწილად, დაპირისპირებული ძალების ფარულად გადაადგილების საშუალებას იძლეოდა. ძალთა მანევრირება ნაწილობრივ შეზღუდული იყო. სარდლის ტაქტიკურ ეშმაკობაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ადგილმდებარეობის გონივრული გამოყენება ძალების არათანაბრად და საჭიროების მიხედვით გადანაწილებას შესაძლებელს ხდიდა. ამიტომ მოწინააღმდეგე მხარეების მხედართმთავრებს საშუალება ჰქონდათ შეძლებისდაგვარად შეესრულებინათ თავიანთ წინაშე მდგარი ამოცანები.

**ბრძოლის მიმდინარეობა.** 1561 წლის 6 აპრილს, აღდგომის გამთენიისას, შავერდი ზიადოღლიმ, ირანელთა ლაშქართან ერთად, თბილისი დატოვა და სწრაფი მარშით ქართლელ-კახელთა სამხედრო ბანაკისაკენ გაემართა. სიმონ ი-ს თბილისი-მცხეთის გზაზე მსტოვართა მცირერიცხოვანი რაზმი ჰყავდა დატოვებული, რომლის ამოცანა იყო, ფხიზლად ედევნებინა თვალი თბილისში მდგომი ირანელებისათვის და მათი საეჭვო მოძრაობის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა ქართველი სარდლებისათვის. მსტოვართა რაზმს ხელმძღვანელობდა ვინმე გერმანოზიშვილი, რომელმაც მიიჩნია, რომ ირანელების მხრიდან საშიში მოქმედება მოსალოდნელი არ იყო, ამიტომ თვითნებურად დატოვა სათვალთვალო ადგილი და, მთელ თავის რაზმთან ერთად, სააღდგომო წირვაზე დასასწრებად მუხათგვერდში ავიდა. ირანელებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს გერმანოზიშვილის დაუდევრობით, უჩუმრად გაიარეს მათ მიერ დატოვებული სათვალთვალო ადგილი და ციხედიდთან დაბანაკებულ ქართლელ-კახელთა ლაშქარს მოულოდნელად დაესხნენ თავს. შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში არნახული სიმამაცე გამოიჩინეს სამხედრო ბანაკის სადარაჯოდ განწესებულმა ქართველმა მეომრებმა. ისინი დაუყოვნებლივ ჩაებნენ უთანასწორო ბრძოლაში და, საკუთარი სიცოცხლის ფასად, სიმონ ი-ს მისცეს საშუალება, ქართველთა ლაშქარი საბრძოლველად მოემზადებინა. სულ მალე ქართლელ-კახელთა გაერთიანებული ლაშქარი კონტრიერიშზე გადავიდა და ბრძოლის ველზე ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ირანელები, რომლებიც მთელ თავიანთ სამოქმედო გეგმას მოულოდნელობის ეფექტზე აგებდნენ, ქართველთა თავგანწირული წინააღმდეგობის გამო დაიბნენ და

საბრძოლო ინიციატივა ხელიდან გაუშვეს. ამასობაში ქართველებმა მტერზე იერიში გააძლიერეს და ირანელთა მოწინავე რაზმებმა თანდათან უკან დახევა დაიწყეს. შექმნილ ვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა შავერდი ზიადოღლიმ. მან ირანელ ჯარისკაცებს შეახსენა, რომ ბრძოლის ველიდან გაქცევის შემთხვევაში, ქართველთა მდევარს თბილისამდე ცოცხალნი მაინც ვერ გაასწრებდნენ და ამიტომ სიკვდილამდე ბრძოლისკენ მოუწოდა მათ. ციხედიდის მიდამოებში გაჩაღებული ხელჩართული ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სწორედ ამ დროს, მოულოდნელად, ირანელებმა მოკლეს სიმონ რ-ის ცოლისძმა, ბატონიშვილი გიორგი. როცა კახელებმა უფლისწულის დაღუპვის ამბავი შეიტყვეს, ბრძოლა დაუყოვნელივ შეწყვიტეს, მოკლული ბატონიშვილის ცხედარი მტერს გაარიდეს და ბრძოლის ველი დატოვეს. ამ ამბავმა საბოლოოდ გადაწყვიტა ციხედიდის ბრძოლის ბედი. ქართლელები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს, გამარჯვება კი ირანელებს დარჩათ.

**ბრძოლის შედეგი.** ციხედიდის ბრძოლაში დამარცხების გამო გადაიდო ქართლის სამეფოს დედაქალაქ თბილისის ირანელებისაგან გათავისუფლება. გარდა ამისა, ციხედიდის ბრძოლაში დიდად დაზარალდნენ როგორც ქართლის, ისე კახეთის სამეფოს სამხედრო ძალები. ქართლელებს მრავალი გამოცდილი მეომარი დაეღუპათ, კახელებმა კი მომავალი მეფე და მთავარსარდალი დაკარგეს.

## §52. ფარცხისის ბრძოლა

**პოლიტიკური მდგომარეობა.** ციხედიდის ბრძოლაში დამარცხების მიუხედავად, სიმონ რ აგრძელებდა ირანელების წინააღმდეგ ბრძოლას. ქართლის მეფე მცირერიცხოვანი რაზმებით თავს ესხმოდა ირანელებს და მოსვენებას არ აძლევდა მათ. იმავდროულად, ქართლის სამეფოში თანდათან გამოიკვეთა დიდებულთა ერთი ჯგუფი, რომელიც უკმაყოფილო იყო სიმონ რ-ის განუწყვეტელი ბრძოლებით და ირანელებთან კაპიტულანტური (დანებების) პოლიტიკის გატარებას უჭერდა მხარს. თავად-აზნაურთა ამ დასს სათავეში ჩაუდგა სიმონ რ-ის უმცროსი ძმა, ბატონიშვილი დავითი. 1562 წელს, მომხრე დიდებულებთან ერთად, ძმის დაუკითხავად ჩავიდა იგი ირანში, თამაზ რ-ს ეახლა და მაჰმადიანობა მიიღო. დავითს დაუთ-ხანის სახელი ეწოდა. შაჰმა იგი თბილისისა და ქვემო ქართლის მმართველად დანიშნა და სამშობლოში გამოისტუმრა. უმცროსი ძმის ღალატით განრისხებულმა სიმონ რ-მა გადაწყვიტა, ირანელთაგან ზურგმომაგრებული დაუთ-ხანისათვის შაჰისაგან საგანმგებლოდ გადაცემული თბილისი და ქვემო ქართლი წაერთმია. ამ მიზნის მისაღწევად ის სამხედრო სამზადისს შეუდგა. 1567-1568 წლებში სიმონ რ-მა დიღომსა და სამადლოსთან გამართულ ბრძოლებში სასტიკად დაამარცხა დაუთ-ხანის მომხრე ქართველი დიდებულებისა და ირანელთა გაერთიანებული ლაშქარი, თუმცა თბილისის აღება მაინც ვერ შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ირანელების ხელში რჩებოდა, ამ უკანასკნელთა მდგომარეობა ქართლის სამეფოში მძიმდებოდა. ამის გამო ირანის შაჰმა გადაწყვიტა, არსებული პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოეგვარებინა.

**ბრძოლისწინა ვითარება.** 1569 წელს თამაზ რ-მა მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეკრიბა და საქართველოში გამოგზავნა. ირანელთა უპირველესი ამოცანა სიმონ რ-ის მოკვლა ან დატყვევება იყო. შაჰის მიერ სალაშქროდ გაწვეულმა სამხედრო შენაერთებმა განჯაში მოიყარეს თავი. აქ იყვნენ ყარაბაღიდან, შაქიდან გამოყვანილი მოლაშქრეები, აგრეთვე – დაქირავებული მეომრები დაღესტნიდან. როდესაც ირანელების ლაშქარმა ქართლის სამეფოს საზღვარი გადმოლახა, მათ წინ მიეგება ქართველი ფეოდალი კახაბერ ყორღანაშვილი და მტერს მეგზურობა შესთავაზა. სვიმონ რ-მა ქვეყანაში ირანელების შემოჭრის ამბის შეტყობისთანავე ლაშქარი შეკრიბა და მოწინააღმდეგის შესახვედრად დაიძრა, იმის მიუხედავად, რომ ირანელები რიცხობრივად უმეტესნი იყვნენ.

**ბრძოლის მიმდინარეობა.** ქართველთა და ირანელთა სამხედრო ძალები ერთმანეთს ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში, სოფელ ფარცხისთან შეხვდნენ. სიმონ რ-მა ყურადღება არ მიაქცია საკუთარი ლაშქრის მცირერიცხოვნებას და ჯიქური იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე. პირველივე შეტაკებისას მან შუბით განგმირა რამდენიმე ირანელი და ამით ქართველებს მხედრული სიმამაცის მაგალითი მისცა. ირანელებმა, რომლებსაც ვერაფრით წარმოედგინათ, რომ სიმონ რ მათზე შეტევას გაბედავდა, ქარველი მხედრების მოულოდნელ იერიშს ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს. გაქცეულ მოწინააღდეგეს ქართველები ჩეხვით დაედევნენ და ამასობაში მცირერიცხოვან რაზმებად დაიშალნენ. ირანელების დევნით განსაკუთრებით სიმონ რ გაერთო. ის, რამდენიმე მოლაშქრესთან ერთად, დიდი მანძილით დაშორდა ქართველთა ძირითად ძალებს და ღრმად შეიჭრა უკან დახეული მოწინააღმდეგის რიგებში. ქართლის მეფე ირანელთა ბანაკში მყოფმა კახაბერ ყორღანაშვილმა იცნო და მტერს მისი ვინაობა შეატყობინა. ირანელებმა დაუყოვნებლივ შეუტიეს სიმონ რ-ს. ჯერ თანმხლები პირები დაუხოცეს მას, შემდეგ, როცა მეფეს ყველა საბრძოლო იარაღი შემოემტვრა, ტყვედ ჩაიგდეს. როცა ქართველებმა სიმონ რ-ის დატყვევების ამბავი გაიგეს, თითქმის მოგებული ბრძოლა შეწყვიტეს და უკან დაიხიეს. ფარცხისის ბრძოლაში გამარჯვება ირანელებს დარჩათ.

**ბრძოლის შედეგი.** ფარცხისის ბრძოლაში ირანელებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. მათ შეძლეს, თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინათ თითქმის წაგებული ბრძოლის ბედი. მათ ხელში ჩაიგდეს სიმონ რ, რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობდა ქართლის სამეფოს თავგანწირულ

ბრძოლას ირანის ბატონობის წინააღმდეგ. დატყვევებული სიმონ ი შაჰმა ალამუთის ციხეში გამოამწყვდია, სადაც ქართლის მეფემ 10 წელი გაატარა. ფარცხისის ომში ქართლის სამეფოს პატრიოტულმა ძალებმა, მართალია, დიდი მარცხი იწვნიეს, მაგრამ მაინც არ დაუყრიათ ფარ-ხმალი და კვლავ აგრძელებდნენ ბრძოლას ირანელთა წინააღმდეგ. ამ პატრიოტულად განწყობილი ძალების წარმომადგენელი იყო ქართლის ყოფილი სპასპეტი (მთავარსარდალი) საჩინო ბარათაშვილი. მან კოჯრის მიდამოებში შეიპყრო მოღალატე კახაბერ ყორღანაშვილი და გელიყარის კლდიდან გადმოაგდო.

## §53. თბილისის ბრძოლა

**პოლიტიკური მდგომარეობა.** 1578 წელს ოსმალეთის სულთნის მიერ გამოგზავნილი სარდლის – მუსტაფა-ლალა ფაშას მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა ჩილდირის ომში სასტიკად დაამარცხა ირანელები და თითქმის მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია წაართვა შაჰ-ხუდაბენდეს (1577-1587 წლები). თბილისში მყოფმა დაუთ-ხანმა და ირანელებმა ოსმალების მოახლოებისთანავე დატოვეს ქალაქი და უბრძოლველად გაეცალნენ მას. თბილისი, ისე როგორც მთელი ქართლის სამეფო, ოსმალთა ხელში აღმოჩნდა. შექმნილ ვითარებაში ირანის შაჰი მიხვდა, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო საბრძოლველად გაეერთიანებინა ქართლის სამეფოს მოსახლეობა და ოსმალებისათვის ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია, სიმონ ი იყო. ხუდაბენდემ ქართლის მეფეს გამაჰმადიანება მოსთხოვა, სანაცვლოდ, გათავისუფლება და ქართლის სამეფო ტახტის დაბრუნება აღუთქვა. სიმონ ი დასთანხმდა ირანის შაჰს. 1578 წელს, ხუდაბენდეს გადაწყვეტილებით, გამაჰმადიანებული სიმონ ი ალამუთის ციხიდან გაათავისუფლეს, ქართლის მეფედ გამოაცხადეს და საქართველოში გამოგზავნეს. შაჰმა სიმონ ი-ს თან გამოაყოლა ირანელი სარდალი ალი-ყული ხანი, 5000 ირანელი მოლაშქრითა და რამდენიმე ქვემეხით. ქართლში დაბრუნებულმა მეფემ ნაცად საბრძოლო ხერხს მიმართა და ქვეყანაში გაბატონებული ოსმალების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლები გააჩაღა. სიმონ ი-მა, თავისი მცირერიცხოვანი რაზმების გამუდმებული თავდასხმების წყალობით, ოსმალთა სამხედრო ძალები ჯერ გამოფიტა და დაქსაქსა, შემდეგ მოულოდნელი იერიში მიიტანა გორის ციხეზე და შიდა ქართლის ეს უმნიშვნელოვანესი პუნქტი წაართვა ოსმალებს. მცირე ხნის შემდეგ სიმონ ი-მა ლორეს ციხეც აიღო – ქვემო ქართლის უმნიშვნელოვანესი წერტილი და სასტიკად დასაჯა დაუთ-ხანის მომხრე ქართველი ფეოდალები. მას შემდეგ, რაც სიმონ ი შიდა და ქვემო ქართლს დაეუფლა, ოსმალთაგან დაკავებული თბილისი მოწინააღმდეგის რკალში აღმოჩნდა. სულთანმა მუარდ იიი-მ რამდენჯერმე სცადა, სიმონ ი-ის რაზმებისაგან გაეწმინდა თბილისისა და ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციების დამაკავშირებელი გზები, თუმცა ეს ვერ მოახერხა. ქართველთა და ყიზილბაშთაგან თბილისისათვის შემორტყმული რკალი კი უფრო და უფრო ვიწროვდებოდა.

**ბრძოლისწინა ვითარება.** 1582 წელს შექმნილი ვითარებით შეშფოთებულმა მურად იიი-მ საქართველოში 20 000-იანი ლაშქარი გამოგზავნა, რომელსაც ჰადიმ მეჰმედ ფაშა ჩაუდგა სათავეში. ოსმალები თავდაპირველად სამცხის საათაბაგოში მივიდნენ, აქედან მტკვრის ხეობას ქვემოთ დაუყვნენ და მოულოდნელი იერიშით აიღეს გორის ციხე. სიმონ ი, თავის ლაშქართან ერთად, გორიდან თბილისისაკენ მიმავალ გზაზე, სოფელ მუხრანის მიდამოებში მოულოდნელად დაესხა თავს მეჰმედ ფაშას და თითქმის მთლიანად გაანადგურა მისი სამხედრო შენაერთები. თავზარდაცემულმა მეჰმედ ფაშამ მხოლოდ მცირერიცხოვან ამალასთან ერთად შეასწრო თბილისში. ქართველებმა მნიშვნელოვანი სამხედრო ალაფი ჩაიგდეს ხელში და უამრავი ტყვე წამოიყვანეს ბრძოლის ველიდან. მუხრანთან დამარცხების შემდეგ კატასტროფული გახდა თბილისში გამაგრებული ოსმალების მდგომარეობა. სიმონ ი-მაც სწორად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და ამ ქალაქის იერიშისათვის მზადება დაიწყო.

**ბრძოლის მიმდინარეობა.** თბილისზე იერიშის დაწყებამდე სიმონ ი-მა სამეფო ოჯახის წევრებს: დედოფალს, უფლისწულებს, ქართლელი დიდებულების ცოლებსა და შვილებს ერთად მოუყარა თავი და ქალაქის მახლობლად, ლილოს ტბის (თბილისის ზღვა) მიმდებარე დიდ გორაკზე დააბანაკა. აქედან ბრძოლის ველი ხელისგულივით ჩანდა. მეფეს სურდა, ქართველ მოლაშქრეებს სწორედ თავიანთი ოჯახის წევრების თვალწინ გამოეჩინათ მხედრული მამაცობა. დედოფლის ამალა დარბაისელთა ცოლებისა და შვილებისაგან შედგებოდა. ეს, ერთი შეხედვით, უცნაური გაწყვეტილება, როგორც ჩანს, მეფისგან კარგად გათვლილი ფსიქოლოგიური ხერხი იყო. მან დიდებულებს, მებრძოლებს ცოლ-შვილის გახიზვნის საშუალება არ მისცა და, ამდენად, უკან დახევის ყოველგვარი შესაძლებლობა მოუსპო საკუთარ თავსაც და ქართულ ლაშქარსაც. დამარცხების საფასური მეტად ძვირად განისაზღვრა: ერთი მხრივ, ჯარის უკან დახევა სასიკვდილო საფრთხეს შეუქმნიდა მეომართა ოჯახის წევრებს, მეორეს მხრივ – ბრძოლის ველიდან ქართველ ქალთა თვალწინ გამოქცეული მოლაშქრეები მეტად დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ.

ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალიწინებასთან ერთად, მეფემ ბრძოლის ტაქტიკაც სწორად განსაზღვრა: გამაგრებულ ციხეზე პირდაპირი იერიში არც ახლა მიიტანა. სტრატეგიულ ადგილას დაბანაკებულ მებრძოლებს ქალაქზე თვალთვალი დაუწესა და ხელსაყრელ მომენტს დაელოდა.

სადაზვერვო რაზმმა მალე შეისწავლა თბილისის მცხოვრებთა და ციხეში ჩამდგარი გარნიზონის ცხოვრების წესის ყველა დეტალი. ამის გათვალისწინებით, მეფემ საბრძოლო გეგმა შეიმუშავა. ერთ დილას, როდესაც ოსმალებმა ქალაქიდან საქონელი ჩვეულებრივი წესით საძოვარზე გამორეკეს, სვიმონმა წინასწარ მომზადებულ მცირე რაზმს საბრძოლო დავალება მისცა: მიჭრილიყვნენ ქალაქის მისადგომებთან და საქონელი გამოერეკათ. საგანგებოდ შერჩეულ მეომრებს ისე უნდა ემოქმედათ, რომ ოსმალებს მათში მეფის მებრძოლები არ ამოეცნოთ, მოთარეშეებად მიეჩნიათ ისინი, რომლებსაც მხოლოდ საქონლის წართმევა სურდათ. ოსმალები „ყაჩაღთა“ თავხელობამ განარისხა, ციხის კარი გაახსნეს და ქურდებს დაედევნენ. სვიმონის მეომრებმა ჯერ ზურგი აჩვენეს მტერს, როგორც ეს მეფისგან ჰქონდათ დავალებული, ქალაქის შესასვლელიდან გამოიტყუეს ისინი, შემდეგ მოულოდნელად შემოუბრუნდნენ დადევნებულებს და ბრძოლა გაუმართეს. პირველ შეტაკებაში სვიმონის ლაშქრის ძირითადი ნაწილი არ ჩართულა. მცირერიცხოვან „ყაჩაღთა“ საქციელით დაბნეული და ციხეში გამაგრებული ოსმალები თანამებრძოლების დასახმარებლად გამოემართნენ. „ნახირის გამტაცებლებმა“ უკან დაიხიეს და ოსმალები კიდევ უფრო ახლოს მიიტყუეს ქათველთა ლაშქართან, რომელიც უკვე ჩასაფრებოდა მტერს და მეფის ბრძანებას ელოდა, რომ ბრძოლაში ჩაბმულიყო. როდესაც მტერმა სიფრთხილე საბოლოოდ მოადუნა, მეფემ ქართველებს ბრძოლაში ჩართვის ბრძანება მისცა. ლაშქრის ნაწილი თბილისის ციხისაკენ დაიძრა, რომლის დაცვაც უკვე საგრძნობლად შესუსტებული იყო.Ებრძოლა უსწრაფესად დამთავრდა. ვიდრე ოსმალები გონს მოვიდოდნენ, სვიმონმა, დედაციხის გარდა, თბილისიც აიღო, ციხეში გარნიზონი ჩააყენა და ქალაქიდან გაემაგრა.

**ანალიზი.** მტერთან გენერალურ შეტაკებამდე სადაზვერვო ჯგუფების გამოყენებით სვიმონ ი-მა მოახერხა მნიშვნელოვანი გზების ბლოკირება, ქალაქსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სიტუაციის შესწავლა. ყოველივე ამან მეფეს საფუძველი მისცა მიეღო გონივრული გადაწყვეტილება. აღნიშნულ ბრძოლაში სვიმონ ი-მა ეფექტურად გამოიყენა ტაქტიკური შენიღბვის ერთ-ერთი ხერხი – ძალთა დემონსტრაციული მოქმედება. ყაჩაღებად შენიღბული რაზმი იმდენად დამაჯერებლად მოქმედებდა, რომ მოწინააღმდეგე იძულებული გახდა, ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებიდან ძირითადი ძალები გამოეყვანა. აღნიშნულმა ფაქტმა მტრის თავდაცვა შეასუსტა და, ქართველთა ძირითადი ძალებით დროულმა შეტევამ შესაძლებელი გახადა ამოცანის შესრულება. დიდგვაროვანთა და მებრძოლთა ოჯახების ბრძოლის ველის მიდამოებში გამოყვანით ამაღლდა მებრძოლთა საბრძოლო სულისკვეთება.

**ბრძოლის შედეგი.** თბილისის ბრძოლის შედეგად, სიმონ ი-მა მტრისაგან თითქმის მთლიანად გაათავისუფლა ქართლის სამეფოს დედაქალაქი, რომელიც წლების განმავლობაში ჯერ ირანელების, შემდეგ ოსმალების ხელში იყო. მართალია, გარკვეული პერიოდის შემდეგ, დედაციხეში გამაგრებულმა ოსმალებმა კვლავ დაიკავეს ქალაქი, მაგრამ ეს ფაქტი ოდნავაც ვერ აკნინებს იმ ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელიც თბილისის კედლებთან სიმონ ი-ის სარდლობით მოიპოვეს ქართველმა მხედრებმა.

## §54. ხატისსოფლის ბრძოლა

**პოლიტიკური მდგომარეობა.** სიმონ ი-მა ოსმალებისათვის წართმეული თბილისის შენარჩუნება დიდხანს ვერ შეძლო და ქალაქი დატოვა. ქართლის სამეფოს დედაქალაქი კვლავ ოსმალების ხელში აღმოჩნდა. მალე ოსმალებმა ლორეს ციხეც დაიბრუნეს და ქვემო ქართლზე დროებით დაკარგული კონტროლი აღადგინეს. ოსმალების მიერ მიღწეული წარმატებების მიუხედავად, სიმონ ი ისევ აგრძელებდა თავგანწირულ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ, მცირერიცხოვანი რაზმებით თავს ესხმოდა ოსმალებს და მოულოდნელი იერიშებით დიდად აზარალებდა მათ. 1584 წელს სულთანმა მურად ііі-მ გადაწყვიტა, დამატებითი ძალებით გაემაგრებინა ქართლში დაკავებული ციხე-ქალაქები. ამ მიზნით, მან საქართველოში გამოცდილი სარდალი ფერჰად ფაშა გამოგზავნა, რომელსაც თან ახლდა ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი. ოსმალები თავდაპირველად ქვემო ქართლში მოვიდნენ და ლორესა და დმანისის ციხეები დამატებითი ცოცხალი ძალითა და ზარბაზნებით გაამაგრეს. ოსმალთა ძირითადი სამხედრო შენაერთები, რომელთა საერთო რაოდენობა 20 000 ჯარისკაცს აღწევდა, აქედან თბილისისაკენ დაიძრნენ.

**ბრძოლისწინა ვითარება.** თბილისისაკენ მომავალი ოსმალთა ლაშქარი, რომელსაც რეზვან ფაშა ედგა სათავეში, ქვემო ქართლში, სოფელ ხატისსოფელთან (ბოლნისის რაიონი) დაბანაკდა. სიმონ ი, თავის მოკავშირე სამცხის ათაბაგ მანუჩარ ііі-სთან (1581-1614 წლები) ერთად, 4000-იანი ლაშქრით გაემართა მტრის შესახვედრად და ხატისსოფლის ახლოს, მდინარე ხრამის ნაპირას

დაბანაკდა. ბრძოლის წინა ღამეს სიმონ ი-მა უჩვეულო ხერხს მიმართა: რიგითი ჯარისკაცის სამოსი გადაიცვა, ოსმალთა ბანაკს ელჩის სტატუსით ეწვია და რეზვან ფაშას სიმონ ი-ის „სახელით“ ზავი შესთავაზა. სანამ ოსმალო სარდლები ზავის პირობებზე მსჯელობდნენ, სიმონ ი-მა მტრის ბანაკი საფუძვლიანად დაზვერა და უკან გამობრუნდა. სამწუხაროდ, ამ უჩვეულო ოპერაციის დროს სიმონ ი-მა ოსმალთა ლაშქრის მხოლოდ ერთი ნაწილის დაზვერვა მოახერხა. მტრის ლაშქრის მეორე ნაწილი ცოტა მოშორებით იყო დაბანაკებული და ქართლის მეფემ მათი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. გარდა ამისა, სიმონ ი-მა არაფერი იცოდა 10 000 ოსმალო ჯარისკაცისაგან შემდგარი სპეციალური სამხედრო შენაერთის შესახებ, რომელიც, ფერჰად ფაშას ბრძანებით, თბილისისაკენ მომავალ ლაშქარს მალულად მოჰყვებოდა უკან.

**ბრძოლის მიმდინარეობა.** ოსმალთა ბანაკიდან დაბრუნებისთანავე სიმონ ი-მა საბრძოლველად მოამზადა თავისი სამხედრო ძალები, უჩუმრად შემოუარა სოფელ ხატისსოფლის გორას და გამთენიისას თავგანწირული იერიში მიიტანა ძილს მიცემულ ოსმალებზე. რეზვან ფაშას ბანაკში სრული ქაოსი დაიწყო. ქართველები ცხენდაცხენ დასდევდნენ ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში მყოფ ოსმალებს და შეუბრალებლად ხოცავდნენ მათ. ბრძოლის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, როცა ოსმალთა ბანაკის მისადგომებთან რეზვან ფაშას ლაშქრის ის ნაწილი გამოჩნდა, რომლის შესახებაც ქართველებმა არაფერი იცოდნენ. სიმონ ი-მა სასწრაფოდ დაანება თავი მტრის ბანაკის დაწიოკებას, თავისი სამხედრო რაზმები საბრძოლველად გადააჯგუფა და თავგანწირული იერიში მიიტანა ოსმალებზე.

ქართული მხედრობის შეტევა იმდენად კარგად იყო ორგანიზებული, რომ ოსმალთა ლაშქრის მეწინავეებმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლეს და უწესრიგოდ დაიხიეს უკან. ამან ოსმალთა სხვა რაზმებში სრული პანიკა გამოიწვია და მალე მტრის მთელმა ლაშქარმა მიატოვა ბრძოლის ველი. გაქცეულ მოწინააღმდეგეს ქართველები ჩეხვით დაედევნენ უკან. სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში ხატისსოფლის მიდამოებში ფერჰად ფაშას მიერ გამოგზავნილი 10 000-იანი სამხედრო შენაერთი გამოჩნდა. სიმონ ი მიხვდა, რომ ამ შენაერთთან ბრძოლაში ჩაბმა მისი მცირერიცხოვანი ლაშქრის სრული განადგურებით დამთავრდებოდა და ამიტომ დაუყოვნებლივ გაცლა ამჯობინა. ხატისსოფლის ბრძოლა, ფორმალურად, ოსმალთა გამარჯვებით დასრულდა, თუმცა მათი დანაკარგები იმდენად დიდი იყო, რომ ფერჰად ფაშამ თბილისისაკენ მომავალი ლაშქარი უკან გაიხმო, ქართლის სამეფოს გაეცალა და თრიალეთის გზით გადავიდა სამცხის საათაბაგოში. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სიმონ ი-მა საბრძოლო ოპერაციები ჩაატარა დმანისისა და ლორეს ციხეების ასაღებად.

**ანალიზი.** წარმატებები ხატისსოფელთან ბრძოლაში სიმონ ი-ის მიერ ორგანიზებულმა დაზვერვამ განაპირობა, რაც მოწინააღმდეგის ბანაკში შეღწევით გამოიხატა (თუმცა სარდლის პირადი უსაფრთხოების იგნორირება მისაბაძი არ არის). მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენებამ (ძალთა სწრაფი მანევრირება, უეცარი თავდასხმა, გაბედული იერიში) შესაძლებელი გახადა მოწინააღმდეგის დიდი ძალების განადგურება.

სიმონ ი ეფექტურად იყენებდა პარტიზანული ბრძოლის მეთოდებსაც, რაც სხვადასხვა დროს მოწინააღმდეგეზე ხშირი თავდასხმებით მის დაძაბუნებაში გამოიხატებოდა. ციხე-ქალაქების გარნიზონთა მოქმედებების შესწავლის საფუძველზე, მეფეს შეეძლო ციხე-სიმაგრეთა საალყო ბრძოლის ორგანიზება, რაც თბილისის, გორის, დმანისის, ლორეს ციხეების აღებაში აისახა.

**ბრძოლის შედეგი.** ხატისსოფელთან გამართული ბრძოლის შედეგად, ოსმალებს იმდენად დიდი დანაკარგები ჰქონდათ, რომ ფერჰად ფაშამ თბილისის მეციხოვნეებისათვის დახმარება ვერ შეძლო და საერთოდ დატოვა ქართლის სამეფოს საზღვრები. ქართლის სამეფოდან მისი წასვლით ისარგებლა სიმონ ი-მა და თავგანწირული ბრძოლების შედეგად ოსმალებს დმანისისა და ლორეს ციხეები წაართვა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა ქართლის სამეფოს თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესება.

## §55. ემეფე ლუარსაბ ი. ტაშისკარის ბრძოლა

**პოლიტიკური მდგომარეობა:** XVII საუკუნის დასაწყისში საქართველო სამეფო-სამთავროებად იყო დაშლილი. ქართველი მეფე-მთავრები ირან-ოსმალეთის დაპირისპირებით სარგებლობდნენ და, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ლავირების პოლიტიკით ცდილობდნენ აღნიშნული დაპირისპირების გამოყენებას.

უმძიმესი მდგომარეობა დაუდგა ქართლ-კახეთს ირანის ტახტზე აბას ი-ის (1587-1629 წლები) ასვლის შემდეგ. იგი ძლიერი, ვერაგი და დაუნდობელი მმართველი გამოდგა. თურქმანულ-ყიზილბაშურის ნაცვლად, მან ქვეყნის მმართველ ელიტაში კავკასიური და ირანული ელემენტები გააძლიერა,ემცირე ხანში ჩააქრო შიდა წინააღმდეგობები, დასავლური სისტემით გადააიარაღა რეორგანიზებული ჯარი და მძლავრ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ აქცია ირანი, მისი დედაქალაქი კი ისპაჰანში გადაიტანა.

1603 წელს ირანმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. აბას ი-მა ერევნის ციხე აიღო, ხოლო 1605 წელს ურმიის ტბასთან სასტიკად დაამარცხა ოსმალები. აღმოსავლეთ კავკასიაზე კვლავ აღდგა სეფიანთა გავლენა. ირან-ოსმალეთის ომში საკმაოდ აქტიურად ჩაერთნენ ქართველი მეფე-მთავრები. 1607 წელს სამცხე-საათაბაგოს მმართველმა მანუჩარ იიი-მ და მისმა დედამ, სიმონ ი-ის ასულმა ელენემ, ქართველთა და ირანელთა ლაშქრის დახმარებით, ოსმალთაგან წართმეული ახალციხე დაიბრუნეს. სამცხე-საათაბაგოში შექმნილი ვითარება არზრუმის ბეგლარბეგმა სულთნის კარს აცნობა. ოსმალთა დიდმა ვეზირმა, მურად ფაშამ, ახალციხეში დიდი ლაშქარი გამოგზავნა, რომელშიც, ადგილობრივი თურქი ფაშების გარდა, შედიოდნენ ყირიმელი თათრებიც, რომელთაც ქართული წყაროები „მგლისტყაოსანთა“ სახელით მოიხსენიებენ. ოსმალებმა ახალციხის აღება მოახერხეს. ათაბაგი მანუჩარ იიი და მისი დედა იძულებული გახდნენ, კვლავ ქართლში გადმოსულიყვნენ და დახმარება მისი მეფის – ლუარსაბ ი-ისათვის ეთხოვათ.

**მებრძოლი მხარეები.** ახალციხიდან ქართლში შემოჭრილი ჯარი ოსმალეთის იმპერიის სხვა-დასხვა პროვინციიდან გამოსული მეომრებისაგან შედგებოდა. 1636 წელს გადაწერილ „ჟამგულან-ის“ ისტორიულ მინაწერებში 1609 წლის ქვემოთ აღნიშნულია: „აქა მოვიდა თათარხანი და სამცხისა და ნიგალის ხევის ფაშები, და შავშეთის ლაშქარი ქართლით. და შეება ლუარსაბ მეფე. და ლუარსაბ მეფემ გაიმარჯვა“. ამ ცნობიდან კარგად ჩანს ოსმალთა ლაშქრის შემადგენლობა. თათარხანის ლაშქარში იგულისხმება ყირიმის ხანის – სალამათ გირეის ლაშქარი, რომელსაც ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართულ პროვინციებში (სამცხეში, ნიგალის ხევსა და შავშეთში) დისლოცირებული სამხედრო ნაწილები ახლდა.

ოსმალთა ლაშქრის შემადგენლობას ზუსტად ასახელებს ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში. ეს უკანასკნელი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ტაშისკარის ბრძოლის წინამორბედ ამბებს, მათ შორის – ახალციხეში ოსმალთა მოსვლის ისტორიას. მემატიანის თქმით, „...ჯელალიების დამარცხების შემდეგ თათრების მარბიელი ლაშქრის უფროსი, ჯებელ ფაშა, სალამათ-გირეი-ხანს რომ გამოეშვა სარდლის დასახმარებლად ფერჰად ფაშასთან და მოჰამედ ფაშას შვილთან ერთად, რომელიც მესხეთის გამუსლიმანებულ უფლისწულთაგანი და ოსმალთა შორის გაზრდილი და ფაშას ხარისხსა და ხელისუფლებას მიღწეული იყო, ახალციხეში გაგზავნა“. ამდენად, ირკვევა, რომ ყირიმელი თათრების სარდალი ყოფილა ჯებელ-ფაშა. მას ახლდნენ ფერჰად ფაშა და გამაჰმადიანებული ქართველი მოჰამედ ფაშას შვილი. აქვე გავარკვიოთ, ქართლში რა უნდოდათ ყირიმელ თათრებს. ქართულ წყაროებში ისინი მოხსენიებულნი არიან, როგორც „თათარხანის ლაშქარი“ და „მგლისტყაოსნები“. ბერი ეგნატაშვილი და ბესარიონ ორბელაშვილი, მართალია, მათ მოიხსენიებენ ასე: „მხედრობა თათარხანთა“, „თათარხანთათვის,“ მაგრამ იქვე აზუსტებენ, რომ ესენი არიან „ყირიმნი“.

1599 წელს ოსმალეთში ხელისუფლების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი გამოსვლები დაიწყო, რომლებიც ისტორიაში „ჯელალიების“ ამბოხების სახელწოდებითაა ცნობილი. სულთანმა მოახერხა ამ აჯანყების ჩაქრობა, მაგრამ 1603 წელს ამბოხებას სათავეში ჩაუდგა მუჰამედ ფაშა კალენდერ ოღლუ. მოკლე ხანში ამ უკანასკნელმა შეძლო ანატოლიის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე თავისი გავლენის გავრცელება. სულთანი შეშფოთებული იყო ამბოხებულთა ამ წარმატებით და მიმართა სასწრაფო ზომებს. მან აჯანყებულთა წინააღმდეგ შეკრებილი ლაშქრის სარდლად დანიშნა დიდი ვეზირი, მურად ფაშა, რომელიც გამოცდილი სამხედრო მოღვაწე იყო. ჯელალიებზე გადამწყვეტი დარტყმის მიყენებამდე მან საკუთარი რიგების გაძლიერება გადაწყვიტა. სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა ყირიმის სახანოდან 2000-ზე მეტი მეომარი, ჯებელ ფაშას მეთაურობით. ისქანდერ მუნში მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი (ჯებელ ფაშა) სალამათ-გირეი-ხანის (ყირიმის ხანი გახდა 1608 წლის ი ნახევარში) სარდალი ყოფილა. დაახლოებით, 1608 წლის ზაფხულის დასაწყისში ყირიმიდან წამოსული სამხედრო ნაწილები უნდა შეერთებოდნენ ოსმალთა არმიის ძირითად ნაწილს. 1608 წლის 5 აგვისტოს ალაჯის ველზე მურად ფაშასა და ჯელალიებს შორის გადამწყვეტ ბრძოლაში ჯებელ ფაშა მონაწილეობდა. 1607 წლის ი ნახევარში ახალციხის გარშემო დატრიალებული მოვლენების გამო მურად ფაშამ ყირიმელი თათრები, სხვა სარდლებთან ერთად, საქართველოსაკენ გამოგზავნა. ასე აღმოჩნდნენ „მგლისტყაოსნები“ ქართლში.

ოსმალთა არმიის რაოდენობაზე სხვადასხვა ცნობაა მოღწეული. იოსებ ტფილელი მათ რიცხვს 60 000 კაცით განსაზღვრავს. „ლუარსაბ ი-ის მარტვილობის“ ავტორის – ბესარიონ ორბელიშვილის მითითებით, ოსმალთა არმია 80 000 კაცისაგან შედგებოდა. აღნიშნული ცნობები კრიტიკულად განიხილა გივი ჯამბურიამ და საეჭვოდ მიიჩნია. მეცნიერის მითითებით, მოწინააღმდეგე 10 000 კაცზე მეტი არ იქნებოდა. ჩვენი აზრით, ეს ციფრიც კორექტირებას მოითხოვს. ქართულ წყაროებში 1609 წლის სამხედრო კამპანიის აღწერისას ყველგან მითითებულია, რომ ქართლში თათარხანის ლაშქარი შემოიჭრა. როგორც ჩანს, ყირიმელი თათრები ქართლში შემოსული ოსმალების რიგებში რიცხვობრივად ჭარბობდნენ, ამიტომაცაა, რომ ყველა წყაროში, უპირველესად, მათ ლაშქრობაზეა საუბარი. „მგლისტყაოსანთა“ რაოდენობა კი, ცნობილია, 2000 კაცს არ აღემატებოდა. ყირიმელ თათრებთან ერთად წამოსულ სხვა ფაშებსაც მებრძოლთა გარკვეული კონტიგენტი ახლდა, თუმცა, მათი რიცხვი, ერთად აღებული, 4-5 ათასზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ოსმალთა ლაშქარში, ჩვენი აზრით, 6-7 ათასი კაცი იქნებოდა.

როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო იყო, რომ, მაგალითად, ნიაბთან ქართველთა მცირერიცხოვანმა (არა უმეტეს 1500-2000 მეომარი) ჯარმა უკუაქცია ოსმალები. წარმოუდგენელია, ამ რაოდენობის ქართველებს 60 ან 80 ათასი კაცი დაემარცხებინათ, რაოდენ პრიმიტიულადაც უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილნი, თუმცა, ფაქტია, რომ ბრძოლა რიცხობრივად ჭარბ მოწინააღმდეგესთან იყო.

ოსმალებმა იცოდნენ ამ ფაქტის შესახებ, ამიტომაც ცდილობდნენ დიდძალი ნადავლი და ტყვე ჩაეგდოთ ხელში და ახალციხეში გადასულიყვნენ.

1609 წლის გაზაფხულზე სამცხეში თავი მოიყარა ოსმალთა ჯარმა. ქართლის სამეფოს მესვეურნი ეჭვობდნენ, რომ ამ რაოდენობის ლაშქარი ახალციხის რეგიონში შემთხვევით არ იყო შეყრილი. შესაძლებელია, სამაგიეროს გადასახდელად, ოსმალებს მარბიელი ლაშქრობა მოეწყოთ ქართლზე, როგორც ირანის მოკავშირე ქვეყანაზე. ამასთანავე, ეს იქნებოდა პასუხი ქართლის მეფის სამცხე-საათაბაგოს საქმეებში ჩარევაზე. მოწინააღმდეგემ ლუარსაბ ი-ის ცხირეთის ციხეში (საზაფხულო რეზიდენციაში) ყოფნის შესახებ იცოდა და ყოველგვარ ზომებს მიმართავდა მის ხელში ჩასაგდებად. იოსებ ტფილელის ცნობით, ოსმალები პირველად თრიალეთში გადმოვიდნენ. ამ ამბის შეტყობის შემდეგ, მეფემ თავისი ორი სარდალი – იარალი და ზაქარია ქართლის სამეფოს საზღვრების ჩასაკეტად გააგზავნა. მათ უნდა შეეჩერებინათ მტერი, ქვეყნის სიღრმეში შემოსვლის შემთხვევაში, რაც საშუალებას მისცემდა მოსახლეობას, გამაგრებულ ადგილებში გახიზნულიყო, ხოლო სამეფო კარს – სამხედრო სამზადისი დაეწყო.

**ბრძოლის მსვლელობა**. ოსმალეთის ლაშქარმა სწრაფად გადმოლახა ქართლის საზღვრები, გამოიარა ჯავახეთი, თრიალეთი და მანგლისამდე მიაღწია. გზად მათ უამრავი სოფელი გადაწვეს და გაანადგურეს, გადარჩენილი მოსახლეობა კი დაატყვევეს.

ქართველთა საყარაულო რაზმებმა, იარალისა და ზაქარიას მეთაურობით, გვიან გაიგეს მტრის შემოჭრის შესახებ. როგორც ჩანს, დამპყრობელმა იცოდა, რომ ლუარსაბ ი ცხირეთში მცირე ამალით იმყოფებოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რაც შეიძლება სწრაფად გაჭრილიყო ამ ადგილისაკენ. გზად, სოფელ კველთასთან, ოსმალებმა მძევლად აიყვანეს ადგილობრივი მღვდელი თევდორე და მეგზურობა უბრძანეს.

„დიდმოურავიანიდან“ ისე ჩანს, რომ კველთაში ხუცისათვის მტერს შიდა ქართლში გადამავალი გზის გაგნება უბრძანებია, გოსტიბესთან მისულთ კი მისთვის მეფის სამყოფამდე მიყვანა მოუთხოვიათ.

„ზემო გოსტიბიდან რამდენიმე გზა იტოტება, მათგან მთავარი სამია. ერთი აღმოსავლეთით ჩასდევს ტყიან ქედსა, ზვარიკოტმანს, ყრუველს გაივლის, კატრიანთან შეუერთდება გუდალეთ-კავთისხევის გზას; მეორე (ამჯერად ყველაზე მთავარი) ჩრდილოეთით ცხავერზე ჩაჰყვება და ცხირეთს მიადგება; მესამე გზა ქვემო გოსტიბისაკენ – დასავლეთით გრძელდება, კაბერთან სამხრეთით დაუხვევს და გარგლის თავის სათუხარლოს და დევნამუხლების გავლით ერთაწმინდაზე ჩაივლის“. გიორგი ხორგუაშვილის აღწერილი მარშრუტები, მთლიანობაში, სწორია, მხოლოდ ერთს შევნიშნავთ: გოსტიბიდან სამი ძირითადი გზა იტოტება, მაგრამ მათგან ორი მიემართება ცხირეთის ციხისაკენ. იმ გზას, რომელიც კავთისხევისაკენ მიდის, რამდენიმე კილომეტრში გამოეყოფა ერთი შტო, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით უხვევს. ამ გზის ერთი მონაკვეთი ნოსტისკენ ეშვება, მეორე – ცხირეთის ციხისკენ. ამათ გარდა, არსებობს რამდენიმე ბილიკი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ცხირეთის ციხის მიდამოებში მოხვედრა.

ამდენად, სოფელ გოსტიბესთან მისულ ოსმალებს შეიძლება თავსატეხი გასჩენოდათ: საით უნდა წასულიყვნენ. ამ ვითარებაში თევდორე მღვდელი მტრისათვის ერთადერთი იმედი იყო. სწორედ ამ დროს მიიღო ხუცესმა გადაწყვეტილება – საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად შეეწირა სამშობლოსათვის. თევდორემ გადაწყვიტა არასწორი გზით წაეყვანა მტერი და კვალი აებნია, რომ ქართლის მეფეს ჯარის შეგროვება მოესწრო.

თევდორეს რჩევით, ოსმალები ქვენადრისისაკენ დაიძრნენ. ამ სოფელს ამჟამად ჭყოპიანი ჰქვია. იგი მდ. თემძის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. მღვდლის მიზანი იყო, რომ ცხირეთის ციხიდან მტერი, რაც შეიძლებოდა, შორს გაეტყუებინა. ოსმალები ჩაუყვებოდნენ მდინარე გოსტიბისწყალს, გაუვლიდნენ კაბერს, სოფელ გარგალას, საიდანაც მთა ძეძვიანის მიდამოების გავლით, ქვენადრისში მოხვდებოდნენ. თევდორეს ჩანაფიქრმა გაამართლა. აქ ოსმალები მიხვდნენ, რომ ხუცესმა ისინი მეფის სადგომიდან კარგა მოშორებით გაიტყუა. ჩაიშალა ცხირეთის ციხეზე მოულოდნელი თავდასხმის გეგმა. განრისხებულმა ოსმალებმა თევდორე მღვდელი აწამეს.

ცხირეთში მეფესთან იმყოფებოდნენ თბილისის მოურავი გიორგი სააკაძე და სარდალი ზაზა ციციშვილი. ოსმალთა შემოჭრის ამბის შეტყობისთანავე, მათ ლაშქრის მობილიზებისთვის მალემსრბოლები დაგზავნეს და 400-მდე მეომარს დაუყოვნებლივ მოუყარეს თავი. ამას დაემატნენ საბარათიანოდან მოსული მებრძოლები და ზაზა ციციშვილის ამალა. მოგვიანებით, სხერტის ჭალასთან ბრძოლაში მონაწილეობდა თბილისის ირანული გარნიზონიც, 700 მეომრით. მთლიანობაში, ბრძოლის საწყის ეტაპზე ოსმალთა მრავალრიცხოვან ლაშქარს, დაახლოებით, 1500-2000 მეომარი დაუპირისპირდა. ქართლის სამეფო კარი სამხედრო გეგმის შედგენას შეუდგა. ბრძოლის ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა გიორგი სააკაძე. საწყის ეტაპზე მისი სამხედრო გეგმა ითვალისწინებდა:

**ი.** ქართლის სამხედრო პოტენციალის სრული მობილიზაცია;
**იი.** მტრის შეჩერება და მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადასვლაში ხელის შეშლა.

ქვენადრისისა და ერთაწმინდის აოხრების შემდეგ ოსმალები მდ. თეძამს ჩამოუყვნენ და სოფელ ნიაბის დასავლეთით დაიბანაკეს. ქართველებმა მტერს გზა გადაუკეტეს ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალაში. ძალთა უთანასწორობის მიუხედავად, ქართველებმა მოახერხეს, შეევიწროებინათ მოწინააღმდეგე და აიძულეს დასავლეთით წასულიყო. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ზაზა ციციშვილმა. მან ერთ-ერთი სარდალი მოკლა, მისი თავი კბილებით დაიჭირა და კვლავ ოსმალებს შეუტია. ამასობაში ბრძოლის ველზე შემოიჭრნენ იარალი და ზაქარია თავიანთი რაზმებით. მტერმა უკან დაიხია. მართალია, იარალი და ზაქარია ბრძოლის ველზე დაეცნენ, მაგრამ მათმა მოულოდნელმა გამოჩენამ ოსმალებს თავზარი დასცა. სალაშქრო წყობით მათ ჯერ ყარალაჯისკენ, შემდეგ კი დოესისაკენ დაიხიეს. აშკარა იყო, რომ მტერი ქართლიდან გასვლას ცდილობდა, მაგრამ რა გზით – ეს ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. ერთმა მოულოდნელმა ფაქტმა კიდევ უფრო დაამძიმა მათი საქმე. გორიდან დოესისაკენ მომავალმა მღვდელმა, დაინახა რა ოსმალთა რაზმები, დაბრუნდა და, გლეხების დახმარებით, სოფელ ხიდისთავთან მტკვარზე გადებული ხიდი აყარა. ამან მტერს საშუალება არ მისცა, გადასულიყო მდინარის მეორე ნაპირზე. გორში განგაში ატყდა. შეიარაღებული მებრძოლები მოადგნენ მტკვარს და მტერს ხიდის აღდგენის საშუალება არ მისცეს. მოწინააღმდეგის ლაშქარი იძულებული გახდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს აჰყოლოდა და ფონის პოვნისთანავე დაეწყო მდინარის გადალახვა. მათ გარკვეულ მანძილზე მიჰყვებოდა ქართველთა ლაშქარი, რომელსაც ქვემო ქართლის რაზმები შეუერთდა. მტრის პარალელურად მოძრაობდნენ გორიდან წამოსული რაზმებიც.

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ მომენტში საბოლოო სახე მიიღო სააკაძისეულმა სამხედრო გეგმამ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით, ქართველმა სარდლებმა შეიმუშავეს ბრძოლის გაგრძელების იდეალური ვარიანტი – მტერს ჩასაფრებოდნენ შიდა ქართლიდან საათაბაგოსა თუ დასავლეთ საქართველოში გადასვლამდე. ქართველთა მოქმედება სწორედ ამ გეგმის მიხედვით წარიმართა. მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ვერ მოახერხეს მდინარე მტკვრის გადალახვა და გორისკენ გაჭრა, უკვე ნათელი იყო შემდეგი: ისინი იძულებული გახდებოდნენ, ბრძოლა მიეღოთ:ქართველთათვის ხელსაყრელ ადგილას – ტაშისკარ-ქვიშხეთის მიდამოში.

სამხედრო გეგმა რამდენიმე დეტალისაგან შედგებოდა. უპირველესად საჭირო იყო ბორჯომის ხეობისა და დასავლეთ საქართველოსაკენ გადასასვლელი გზების ჩაკეტვა. ამ მიზნით, სარდლობამ ქსნის ერისთავი კორტანეთში გააგზავნა. ეს ადგილი ბორჯომის ხეობით სამცხეში მიმავალ გზას კეტავდა. კორტანეთთან ჩასაფრება დაზღვევითი ღონისძიებაც იყო. იმ შემთხვევაში, თუ ოსმალები მდ. მტკვარს არ გადალახავდნენ, მათ შემოვლითი გზით მაინც უწევდათ სოფელ კორტანეთთან მისვლა. ამ შემთხვევაშიც ისინი ალყაში ექცეოდნენ. ამას გარდა, ჩასაფრების მიზანი იყო, რომ ოსმალთა დამარცხების შემთხვევაში, მათ გადარჩენილ რაზმებს ახალციხისაკენ არ გაეღწიათ.

ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი ქართველთაგან დასავლეთ საქართველოში გადამავალი გზების ჩაკეტვაზე. ბერი ეგნატაშვილის ცნობიდან ჩანს, თითქოს ეს მარშრუტი გამაგრებული არ ჰქონდა სააკაძეს. ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს ის ამბავი, რომ დამარცხების შემდეგ ოსმალთა დარჩენილი ძალები დასავლეთ საქართველოში სურამ-მოლითის მიმართულებით გაჭრილან. მაგრამ ეს ცნობა ასე პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. „მგლისტყაოსნები“ დამარცხების შემდეგ ქვიშხეთ-ტაშისკარის მიდამოებში ტყეებს შეეხიზნენ და მიუვალი გზებით მოახერხეს დასავლეთ საქართველოში გადასვლა. ბერი ეგნატიშვილის მონათხრობიდან ისე ჩანს, რომ მოსახლეობა გაქცეულ ოსმალებს ტყეებში იჭერდა და არა გზაზე; ამიტომაც, საფიქრებელია, რომ შიდა ქართლიდან დასავლეთ საქართველოში გამავალ ცენტრალურ მაგისტრალს ქართველები აკონტროლებდნენ, მათ შორის – ამ ადგილებში არსებულ სიმაგრეებს (მაგ. ბულბულის ციხე). სწორედ ამიტომაც ოსმალებს გასაქცევად ერთადერთი გზა ჰქონდათ დარჩენილი – თავი შეეფარებინათ ტყეებისათვის და ასე მოეხერხებინათ ქართველთა რისხვის არიდება.

ოსმალებს ყოველი მხრიდან გზა მოჭრილი ჰქონდათ. ისინი იძულებულნი იყვნენ, მიეღოთ ბრძოლა, ან ტყვედ დანებებულიყვნენ. ბრძოლის წინა ღღეს სამხედრო თათბირი გაიმართა, რომელსაც ლურსაბ მეფე მეთაურობდა. მას ქართველთა ყველა გამოჩენილი სარდალი ესწრებოდა, გიორგი სააკაძისა და ზაზა ციციშვილის ჩათვლით. აქ იყო თბილისის ირანული გარნიზონის უფროსი – დელუ-მოჰამედ-ხანი. თათბირზე სააკაძის საბრძოლო გეგმა მიიღეს და სარდლობაც მას დაავალეს.

სხერტის ჭალაში წარმატების შემდეგ გიორგი სააკაძე ოსმალთა ლაშქარს დევნიდა. ქართველები კვალში მიჰყვებოდნენ, რათა მტრისთვის უკან დახევის საშუალება არ მიეცათ. გიორგი სააკაძის ბრძანებით, ქართველებს აეკრძალათ მტერთან კონტაქტი. მთავარი იყო, ოსმალებს მტკვარი გადაელახათ ტაშისკარ-ქვიშხეთის ზონაში. ხაფანგიც იქ უნდა დაეგოთ. ამ შემთხვევაში ოსმალთა მარბიელი ლაშქრის მთავარი მიზანი შიდა ქართლიდან მშვიდობიანად გასვლა იყო. ისინი დიდი ნადავლით იყვნენ დატვირთულნი, ამიტომ ნელ-ნელა მიიწევდნენ ლიხის

ქედისაკენ. მათ საგულდაგულოდ მოარბიეს საციციანო. მტერი სოფელ ბრბონაში მივიდა და მტკვრის გადალახვის სამზადისს შეუდგა.

უკან დახევის დროს ოსმალებს ეჭვიც კი არ ჰქონდათ, რომ ქართველები მასშტაბურ სამხედრო ოპერაციას გეგმავდნენ. გორიდან ბრბონამდე სამხრეთ საქართველოში გადამავალი რამდენიმე გზა მიემართება. კორტანეთ-სურამს შორის ქართველთა ჩასაფრება რომ სცოდნოდათ, ბუნებრივია, ოსმალები გზიდანვე პირს იქცევდნენ სამხრეთისაკენ და ერთ-ერთი გადასასვლელით ახალციხეში დაბრუნდებოდნენ. ფაქტია, მტერი ხელჩართულ ბრძოლას ნიაბის შემდეგ ერიდებოდა. ტაშისკრის ბრძოლის წინ ოსმალთაგან გამოქცეული ქართველი ტყვეც ადასტურებდა, რომ მტერი შეშინებული იყო. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საკაძის გეგმა ოდნავ ადრე რომ გამჟღავნებულიყო, ოსმალები ამ ხაფანგში არ გაებმებოდნენ. გიორგის მითითებით, სხვა ქართველმა სარდლებმა მოახერხეს მტრისგან შეუმჩნევლად კორტანეთის მიდამოებში სამცხეში მიმავალი გზის ჩაკეტვა, შიდა ქართლის ლაშქარმა კი – სურამის ბოლოს დაბანაკება. ქართველთა სამხედრო გეგმა, ძირითადად, მოულოდნელობასა და ჩასაფრებაზე იყო გათვლილი. ეს მტერს შიდა ქართლიდან გაღწევის საშუალებას არ მისცემდა.

სოფელ ბრბონაში მისულმა ოსმალებმა მდ. მტკვარზე გადასვლა სახელდახელოდ გაკეთებული ხიდით დაიწყეს. ამ დროისათვის, როგორც ჩანს, მოწინააღმდეგემ უკვე იცოდა იყო, რომ ახალციხისაკენ მიმავალი გზა ქართველებს ჩაკეტილი ჰქონდათ, ამიტომაც საბრძოლო ბანაკის საინჟინრო თვალსაზრისით გამაგრება ნახვეტარის ველზე დაიწყეს. მათ ერთი მხრიდან თხრილები, მეორე მიმართულებიდან კი შექმნეს ხელოვნური ბარიერები სილით სავსე ტომრებით. მოწინააღმდეგე ღამითაც ელოდა თავდასხმას.

ოსმალთა კვალდაკვალ მომავალმა საკაძემ მტკვრის გადალახვის გადაწყვეტილება მიიღო. ქართველები შემოვლითი გზით ახალდაბაში ჩავიდნენ, ფარულად გადალახეს მტკვარი და ტაშისკარ-ქვიშხეთის ჩრდილოეთით, ტყიანი მასივის გავლის შემდეგ, სურამის ბოლოს შეუერთდნენ ქართველთა ძირითად ძალებს.

რატომ მოქმედებდა გიორგი საკაძე ოსმალთაგან ასე ფარულად? ქართველებს შეეძლოთ ახალდაბიდან სურამამდე ისე მისულიყვნენ, რომ მტერს ისინი შეემჩნია, მაგრამ არაფერი ევნო მათთვის. საკაძის ჩანაფიქრი ასეთი იყო: ოსმალებს უნდა ჰქონოდათ იმის განცდა, რომ სხერტის ბრძოლის შემდეგ მათ ზურგში მყოფი ქართველები უწინდებურად მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იდგნენ და ამ მიმართულებით უკან დასახევი გზა ოსმალთათვის სამუდამოდ მოჭრილი იყო. ქართული წყაროების ანალიზი სამხედრო გეგმის კიდევ ერთ დეტალს გვიცოცხლებს: ქართველთა ჩანაფიქრით, ოსმალებს არ უნდა მისცემოდათ უკან დაბრუნების საშუალება. მათ მდინარის მარჯვენა ნაპირი უნდა გაემაგრებინათ სოფელ ბრბონას მიდამოებში, რათა ბრძოლის შემდეგ უკან დახევისას მტერს სახელდახელო ხიდით კვლავ არ გადაელახა მდინარე. ამიტომაც, ვფიქრობთ, ბრბონას მიდამოებში ქართველები დატოვებდნენ ყურადღების მიმპყრობ პატარა რაზმს, რომლის გამოჩენა მტერს უფრო გაუმძაფრებდა ზემოთ1 ნახსენებ განცდას და ღამითაც მოსვენებას არ მისცემდა. ეს იყო გონივრული სამხედრო ეშმაკობა.

ბრძოლის დაწყების წინ ქართველთა ბანაკში სამხედრო თათბირი გაიმართა. სარდლები ბჭობდნენ, როგორ ემოქმედათ გადამწყვეტ ბრძოლაში. ნუგზარ ერისთავმა თანამებრძოლებს შეტევაზე ღამით გადასვლა შესთავაზა. გამოითქვა სხვა მოსაზრებებიც. საკაძემაც წარმოადგინა თავისი გეგმა. ძირითადი დარტყმა უნდა შეესრულებინათ მტრის ხელოვნური ბარიერის მიმართულებიდან, გაეხლიჩათ მისი საბრძოლო წყობა და გაენადგურებინათ. ამის შესახებ ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს: „მაშინ არჩივა მოურავმა: „თხრილის პირს გარეშემო მეთოფეები შემოვახვიოთო და ცხენოსანნი მინდვრად მივიდეთო“. „ცხოვრება საქართველოისა“ (პარიზის ქრონიკა) კი აღნიშნავს: „და წავედით საომრად, მეთოფე თხრილის პირს მიუყენეთ და ჩვენ ზეიდამ მიუვედით“.

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, ბრძოლა ორი მიმართულებით უნდა წარმართულიყო: მოწინააღმდეგის თხრილთან მეთოფეები განლაგდებოდნენ, მინდვრის მეორე მხრიდან კი ქართველთა ძირითადი შეტევა გაიმართებოდა. ტაშისკრის ბრძოლაში ქართველ მეთოფეთა მნიშვნელობა ერთიორად გაიზარდა, რადგან მოწინააღმდეგე ცეცხლსასროლი იარაღით ცუდად იყო შეიარაღებული. ეს ინფორმაცია ქართველთა ბანაკში ნიაბთან, სხერტის ჭალაში, ოსმალთა მიერ შეპყრობილმა ქართველმა ტყვემ მოიტანა, რომელმაც გამოპარვა მოახერხა და სარდლობას მიაწოდა ცნობები მტრის შეიარაღებასა და საბრძოლო სამზადისთან დაკავშირებით. მისი თქმით, ოსმალები ძირითადად მშვილდ-ისრებით იყვნენ აღჭურვილნი, ამასთანავე ისინი ქვიშიანი ტომრებით ამაგრებენ ბანაკს. საბოლოოდ, სამხედრო თათბირმა საკაძის გეგმა მიიღო.

**სამოქმედო რაიონი.** ოპერაციის რაიონი მესხეთის ქედის დაბოლოებასთან მდებარეობს, დასახლებულ პუნქტებს: ქვიშხეთს, ახალდაბასა და ხაშურს შორის. ის მთაგორიანია. დაბრკოლებები ძირითადად ხევები, მდ. მტკვარი და გაუვალი ჯაგებია, რომლებიც იმ დროს მრავლად იქნებოდა. ყოველივე ეს გარკვეულწილად შეზღუდავდა დაპირისპირებულ მხარეთა მანევრირებას, თუმცა საკაძისა და მისი ლაშქრისთვის ადგილმდებარეობის რელიეფი ნაცნობი იყო და საჭირო მიმართულებით ძალთა სწრაფად გადაადგილების საშუალებას აძლევდა. მოწინააღმდეგე, რიცხობ-

რივი სიმრავლით დაიმედებული, ამავე ხერხს არ იყენებდა. გენერალური ბრძოლის დაწყებამდე, იგი, ძირითადად, დასახლებულ პუნქტებს ძარცვავდა.

როგორც ცნობილია, ბრძოლა ზაფხულში გაიმართა. შესაბამისად, ამინდი საკმაოდ ცხელი და მშრალი უნდა ყოფილიყო. გადამწყვეტი ბრძოლის უშუალო ადგილი, სურამის ქედის ბოლოს, სამხრეთით, ვაკეზე მდებარეობს. წყაროების მიხედვით, მტერი ტაშისკარის ბოლოს, ნახვეტარში დაბანაკებულა. ეს ტოპონიმი დღესაც არსებობს. ადგილობრივები ამ სახელწოდებით (ნახვეტარით) იხსენიებენ იმ ვრცელ მინდორს, რომელიც ხაშურ-ბორჯომის გზატკეცილის მარცხენა მხარესაა და მდ. მტკვარს ეკვრის. ეს ადგილი ტაშისკარიდან, დაახლოებით, 5-7 კილომეტრითაა დაშორებული.

**ბრძოლის მიმდინარეობა.** 1609 წლის 27 ივნისს, გარიჟრაჟზე, ქართველებმა კოცონები დაანთეს. ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი ქროდა, რამაც საკვამლე ფარდა წარმოქმნა. ხშირი თავდასხმებითა და ღამისთევით დაღლილმა ოსმალებმა ყურადღება მოადუნეს. ყოველივემ მოწინააღმდეგის თხრილებთან მეთოფეთა რაზმებისა და ძირითადი დამრტყმელი ძალის მაქსიმალურად მიახლოება უზრუნველყო. გიორგი სააკაძე თვითონ წარუძღვა დამრტყმელ დაჯგუფებას, რომელმაც ფლანგებიდან დაარტყა. კერძოდ, ჩრდილოეთიდან სამანევრო ჯარებს მეთაურობდა ნუგზარ არაგვის ერისთავი. მეთოფეთა ზალპის შემდეგ ქართველთა ლაშქარი ფლანგურ შეტევაზე გადავიდა და მტრის ბანაკში შეიჭრა. მთავარი დარტყმა, სააკაძის ხელმძღვანელობით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიიტანეს. განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა ახალგაზრდა მეფე ლუარსაბ იი, რომელმაც შუბით განგმირა რამდენიმე ოსმალო. ქართველ მეომართა სიმამაცემ ოსმალთა სიმტკიცე შეარყია და მათ უკან დახევა დაიწყეს. მცირე ნაწილი იმერეთისკენ მიმავალი გზისკენ გაიჭრა და მდინარე ჩხერიმელაზე გავლით ცდილობდა სამშვიდობოზე გასვლას. უკუქცეულ მოწინააღმდეგეს დაედევნენ. ბრძოლა დილით ადრე დაიწყო და მე-9 ჟამს, ანუ, დაახლოებით, 16 საათზე მოწინააღმდეგის სრული განადგურებით დამთავრდა.ახლომახლო ტყეებში გაფანტულ ოსმალებს გლეხის ქალები და ბავშვები იჭერდნენ, აშიშვლებდნენ და ისე ერეკებოდნენ ახალციხისკენ.

**ანალიზი.** პირველ რიგში, აღსანიშნავია თევდორე მღვდლის საქციელი, რადგან მისი არჩევანი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის იდგა. მიღებული გადაწყვეტილება იმპულსური არ ყოფილა. ხუცესს მოსაფიქრებლად საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა. გოსტიბიდან ქვენადნისამდე რამდენიმე საათის სავალია. ამ ხნის მანძილზე თევდორე მღვდელს შეეძლო გადაწყვეტილების შეცვლა. ამასაც მოეძებნებოდა ახსნა: ადამიანურ სისუსტედ ჩაითვლებოდა ხუცესის ეს საქციელი, მაგრამ თავისი ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტში თევდორე მღვდელმა გამოიჩინა საოცარი სულიერი სიმტკიცე. მდ. გოსტიბისწყლის (მდ. თემძის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში მიმავალს, თავიდანვე გაცნობიერებული ჰქონდა მოსალოდნელი საფრთხე – ოსმალები მას ღალატს არ აპატიებდნენ, მაგრამ მან სიკვდილის შიში დაამარცხა, ქვეყნისა და მოყვასისათვის მოწამის ჯვარი იტვირთა. 1995 წლის 18-19 სექტემბერს საქართველოს დედაეკლესიამ თევდორე მღვდელი წმინდანად შერაცხა და მის მოსახსენიებელ დღედ 21 ივნისი დააწესა.

გამოვლინდა სააკაძის მთავარსარდლური ნიჭი და უნარი. მას შეეძლო საკუთარი ნების გატანა და ინიციატივის ხელში ჩაგდება, რაც მტერს აიძულებდა, თავისთვის არახელსაყრელ პირობებში ებრძოლა. მაშინდელი ბრძოლის ეს ფორმა ძალიან ჰგავს დღევანდელი მობილური თავდაცვის ფორმას, რომელიც ორიენტირებულია მოწინააღმდეგის განადგურებაზე. იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგის ძალები საკუთარს ბევრად აღემატება.

მოწინააღმდეგის დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემდეგმა:

- თევდორე მღვდელის გმირობამ, რამაც მოწინააღმდეგის შეცდომა განაპირობა; ამით ქართველმა სარდლებმა დრო მოიგეს და ძალთა დროული მობილიზება შეძლეს;
- სხერტის ჭალაში ციციშვილის თავგანწირულმა ბრძოლამ, ზაქარიასა და იარალის მოულოდნელმა თავდასხმამ, რამაც მტერი პანიკაში ჩააგდო და უკან დახევა აიძულა;
- ბრბონასა და კორთანეთთან მცირე რაზმებით მტრის გასასვლელი გზების ბლოკირებამ, რამაც მოწინააღმდეგის მოქმედებები შებოჭა;
- გადამწყვეტი ბრძოლის ქართველთათვის უაღრესად ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გონივრულად შერჩევამ;
- სააკაძის საბრძოლო მოქმედებების გეგმამ, შეიარაღების უპირატესობამ.

სამხედრო ხელოვნების პრინციპებიდან გამოყენებული იყო შემდეგი:

- ძალთა არათანაბარი განაწილება;
- მანევრი და ადგილმდებარეობის ფაქტორი;
- მოულოდნელობა, რომელიც მოწინააღმდეგის დაძაბუნებაში, ფარულად მიახლოებაში და ერთდროულ იერიშში გამოიხატა.

**შედეგები.** დიდი იყო თურქთა ზარალი. ქართველებს დიდძალი ქონება და მრავალი ტყვე დარჩათ, რომელთა შორის იყო ოსმალთა ლაშქრის ორი გამოჩენილი სარდალი: ფერად ფაშა და მოჰამედ ფაშას შვილი.

ქართლის მესვეურებმა შემთხვევით ისარგებლეს: მტრის მოჭრილი თავები და ორივე სარდალი შაჰ აბასს გაუგზავნეს, რითაც მას გამარჯვება „ახარეს“. ამით ქართველები ერთგვარად ვასალურ „ერთგულებას“ უმტკიცებდნენ შაჰს.

ამ ბრძოლის მნიშვნელობა მეტად დიდი იყო ორივე მხარისათვის. ოსმალეთს საკმაოდ რთული ვითარება შეექმნა ამიერკავკასიაში, რადგან ირანთან ომში ის ისევ სისტემატურად მარცხდებოდა. ქართლის დაპყრობა, მეფის დატყვევება და აქ საკუთარი პოზიციების გამყარება კი მას გაუფართოვებდა გავლენის სფეროს და ირანის წინააღმდეგ ომში ქართლს თავის ერთ-ერთი დასაყრდენად აქცევდა.

მოწინააღმდეგემ დაკარგა რამდენიმე ათასი მეომარი და ორი საკმაოდ გავლენიანი სარდალი. ოსმალეთმა საბოლოოდ აიღო ხელი აღმოსავლეთ საქართველოში გავლენის გავრცელებაზე. ამ ბრძოლაში გამარჯვებამ წარმატებები მოუტანა ქართლის სამეფოსა და გიორგი სააკაძეს, რომელ-მაც ბრძოლის ბედის განსაზღვრაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ოსმალთა დამარცხების შემდეგ, 1610 წელს, შაჰ აბასის ბრძანებით, თბილისის ციხე ქართლის მეფეს დაუბრუნდა. 1606 წლის შემდეგ იქ ირანული გარნიზონი იდგა. ქართლი ოსმალთა თარეშს გადაურჩა, რაც ქართველთა უპირველესი ამოცანა იყო. უმნიშვნელოვანესი კი ის გარემოება იყო, რომ ქართლს ახლა უკვე მხოლოდ ერთი დაუძინებელი მტერი რჩებოდა – ირანი.

## §56. შაჰ აბას ი-ის შემოსევები

**პირველი შემოსევა.** ᲣᲮᲘ საუკუნის დასაწყისში ირანელები ქართლ-კახეთს მრავალგზის შემოესივნენ, კერძოდ: შაჰ აბას ი ქართლ-კახეთში პირველად 1614 წლის შემოდგომაზე შემოიჭრა. ქართლისა და კახეთის მეფეებმა – ლუარსაბ ი-მ და თეიმურაზ ი-მა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მტერს და ქუთაისში გადავიდნენ. შაჰმა საშინელი რეპრესიები დაატეხა თავს მოსახლეობას. ირანელები 50 დღის განმავლობაში დარჩნენ კახეთში და, როგორც შეეძლოთ, ისე აოხრებდნენ. ამის შემდეგ ირანელთა ჯარი ქართლს შეესია. შაჰმა იქ თავისი გარნიზონები დატოვა და დიდძალი ალაფითა და ტყვეებით ირანში დაბრუნდა. თან წაიყვანა ლუარსაბ ი-ც, რომელიც მოტყუებით გადმოიყვანა ქუთაისიდან ქართლში.

1615 წელს, დავით ჯანდიერის ხელმძღვანელობით, კახეთში ირანელთა წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. ამბოხებულებმა ალავერდის მონასტერში დაბანაკებული ირანელთა მთავარი გარნიზონი გაჟლიტეს და კახეთი ყიზილბაშებისაგან მთლიანად გაწმინდეს. აჯანყება ქართლსაც მოედო. მის ჩასაქრობად შაჰმა გამოცდილი სარდლების – ალი-ყული ხან შამლუს, მუჰამედ ხან ზიად ოღლი ყაჯარისა და მორთეზა ყული ხანის მეთაურობით, ახალ ჯარი გამოგზავნა. თეიმურაზ ი ქართველთა ჯარით წიწამურთან შეებრძოლა მტერს. აღსანიშნავია, რომ ყიზილბაშთა ჯარში იმყოფებოდნენ შაჰისევანები – გამაჰმადიანებული ქართველი მეომრები, რომლებიც მეფეს მტრის მოძრაობის მარშრუტებსა და განლაგებას საიდუმლოდ ატყობინებდნენ. ბრძოლის დროს ისინი თეიმურაზ ი-ის მხარეზე გადავიდნენ.

შაჰის კარის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში წიწამურთან ბრძოლას ასე აღწერს: „...თეიმურაზმა გადაწყვიტა საომრად წამოსვლა და თავისი სადგომიდან დაიძრა ქართველთა ჯარის დიდი ხროვით, რომელიც მასთან შეერთებულიყო... ქართველები ისევ მთელი ძალით გულადად თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის ცენტრს, აზერბაიჯანის ლაშქარმა ზურგი აქცია ბრძოლის ველს, გაიქცა ისე, რომ იარაღისათვის ხელი არ მოუკიდია... ქართველები ვისაც კი მისწვდნენ, მიწაზე ანარცხებდნენ და კლავდნენ... ასეთი უბედურება დაემართა ისლამის ლაშქარს...“

ირანში დაბრუნებული დამარცხებული სარდლები გაცოფებულმა შაჰმა სიკვდილით დასაჯა.

**მეორე შემოსევა:** 1616 წლის აღრიან გაზაფხულზე შაჰ აბასი უზარმაზარი არმიით კვლავ საქართველოსკენ გამოემართა. გზაზე მას ამიერკავკასიის მაჰმადიანური სახანოების მმართველები შეუერთდნენ თავიანთი ჯარებით.

ხალხისათვის გახიზვნის საშუალება რომ მოესპო, შაჰ აბასმა კახეთიდან გასასვლელ გზებზე თავისი ჯარი დააყენა, თან დაღესტნელ ფეოდალებს შეუთვალა, მთებში შეხიზნული კახელები გაეჟლიტათ ან დაეტყვევებინათ.

ირანელთა მეორე ლაშქარი, რომელსაც შირვანის ბეგლარ-ბეგი იუსუფ-ხანი მეთაურობდა და აღმოსავლეთიდან შემოჭრილიყო კახეთში, ცეცხლითა და მახვილით მიიწევდა წინ. მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ძეგმის მოსახლეობამ. ბრძოლა ხანგრძლივი და დაუნდობელი იყო. ქართველები დამარცხდნენ. იუსუფ-ხანის ჯარებმა გაძარცვეს და მთლიანად დაანგრიეს კახეთის ეს უმდიდრესი ქალაქი. ასეთი ბედი ეწია ამ კუთხის სხვა ქალაქებსა და სოფლებსაც. კახელები უბრძოლველად არ ტოვებდნენ არც ერთ ციხესიმაგრეს, სოფელს, სასახლეს, ეკლესიასა და ქოხსაც კი. ბრძოლა დაუნდობელი იყო. შაჰ აბასის ჯარები ანადგურებდნენ, ანგრევდნენ, წვავდნენ, ჩეხდნენ ხეხილისა და ვენახის ბაღებს, სახლებს, ეკლესიებს – ყველაფერს, რაც კი ხვდებოდათ. კახეთი – ეს მდიდარი და აყვავებული კუთხე გაპარტახდა.

შაჰის კარის მეორე ისტორიკოსი შაჰ ჰუსეინ სისტანი ასე აღწერს ამ ლაშქრობას: „...ყიზილბაშთა მთელი ლაშქარი საომრად იყო გამზადებული. ისინი გაემართნენ საქართველოსაკენ, მოიარეს მთელი მთიანი მხარე, ქრისტიან ხელმწიფეთა სამფლობელოები და გზები, დააქციეს კახეთის მხარე, დახოცეს და გაძარცვეს ხალხი. აიღეს უამრავი გამაგრებული ადგილი (სიღნაღი), რომლის აღწერაც შეუძლებლად მიგვაჩნია. თითქმის 60 000-მდე ურწმუნო გაგზავნეს ჯოჯოხეთში.

200 000 ახალგაზრდა ქალი, ნორჩი გოგონები, მშვენიერი ჭაბუკები და ლამაზი ბავშვები სარწმუნოებისათვის მებრძოლთა ხელში აღმოჩნდნენ. კიდევ 100 000 ტყვე იალბუზის მთის მხრიდან ტყვედ წაიყვანეს ლეკებმა და შირვანში გაყიდეს. ასეთი გამარჯვების შემდეგ შაჰი გადავიდა ქართლში და აქაც დაიწყო ურწმუნოთა დასჯა“.

ისქანდერ მუნშიც ანალოგიურად აღწერს ამ შემოსევას: „ქართველებისათვის მეორედ მოსვლის დღე დადგა... მათ დაინახეს, რომ ყოველი მხრიდან იყვნენ გარშემორტყმული (როგორც თევზები უბედურების ბადეში), შეძრწუნდნენ, ჯგუფ-ჯგუფად უღრან ტყეებს მიაშურეს. უავგუსტოესი შაჰი ოცი დღე დარჩა მდინარე ყანაყის (ალაზნის) იმ მხარეზე და სარწმუნოებისათვის მებრძოლი ძლევამოსილი მეომრები ურჯულების ხოცვა-ჟლეტით იყვნენ დასაქმებული... რაც თეიმურაზის ბედკრული უწესობისა და ურჩობისაგან ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა ქართველ ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან დღემდე... ზოლეიხას სილამაზის მქონე ლამაზი ქალწულები, უწვერული იოსებ მშვენიერის ღაწვებიანი, ხალებით დამშვენებული ვაჟები და ბავშვები, რომლებიც ჩაატარეს მისი უავგუსტოესობის წინაშე, 100 000-ზე მეტი აღიწერა. ჟამაგრამ ამ სტრიქონების დამწერის აზრით, 30 000 კიდევ სხვა კუთხესა და კიდეში დაატყვევეს, რომლებიც დროის უქონლობის გამო არ აღურიცხავთ“.

უპატრონოდ დარჩენილ კახეთს ახლა დაღესტნელ ფეოდალთა ყაჩაღური რაზმები შემოესივნენ. მათაც მრავალი ტყვე გაიყვანეს და დიდძალი ქონება გაზიდეს. გადარჩენილთაგან ზოგი დიდოეთში, ზოგი ქართლსა და იმერეთში გადავიდა. კახეთი თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან. შაჰმა სასტიკად დასაჯა განჯის სახანოს მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც აჯანყდა და კახეთს მიეშველა.

**მესამე შემოსევა:** 1617 წლის ადრე გაზაფხულზე შაჰ აბასი კვლავ შემოვიდა საქართველოში. ამ დროისათვის მოსახლეობის ერთი ნაწილი ხორნაბუჯის ციხეში გამაგრებულიყო. შაჰმა ალყა შემოარტყა მას. კახელები ერთხანს იცავდნენ თავს, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ მტერს დანებებოდნენ. ყიზილბაშები კვლავ ქიზიყს შეესივნენ. მრავალი დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს. შაჰ აბასმა კახეთი ორად გაყო: ივრის აღმოსავლეთი მხარე განჯის მმართველს – ფეიქარ-ხანს ჩააბარა, დასავლეთი კი ქართლის მმართველს – ბაგრატ-ხანს. დაცარიელებულ კახეთში თურქმანების ჩამოსახლება დაიწყეს. ამის შემდეგ შაჰი ქართლში გადავიდა და ახლა უკვე მას დაატეხა თავს საშინელი რეპრესიები, რის შემდეგაც ირანში დაბრუნდა.

ამ ბრძოლების დროს, რომლებიც ერთ წელს გაგრძელდა, ქართლ-კახეთმა უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი ნახა. თითქმის სრულად დანგრეული და გადამწვარი იყო მთელი ქართლ-კახეთი. მაშინ დაქცეული მრავალი ქალაქი აღარც აღმდგარა. კახეთის მეფის – თეიმურაზის გაუტეხელობით, ოსმალეთსა და რუსეთთან მისი კავშირით გაცოფებულმა შაჰ აბასმა შური მისი ოჯახის წევრებზე იძია: 1620 წელს დაასაჭურისებინა თეიმურაზის ვაჟები: ლევანი და ალექსანდრე, რასაც მათი სიცოცხლეც შეეწირა. მოგვიანებით, დიდი წამების შემდეგ, სიკვდილით დასაჯეს თეიმურაზის დედა – ქეთევანი. ქართულმა ეკლესიამ სამშობლისათვის წამებული დედოფალი წმინდანად შერაცხა. მეფე-პოეტმა თეიმურაზმა დედას პოემა უძღვნა – „წამება ქეთევან დედოფლისა“. შაჰ აბასმა სიკვდილით დასაჯა ლუარსაბ მეფეც, რომელიც ირანში, გულაბის ციხეში იყო პატიმრად. იგი 1622 წელს ლარით დაახრჩვეს.

დიდმა ოჯახურმა ტრაგედიამ მაინც ვერ გატეხა თეიმურაზ მეფე. იგი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას და ქართველებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა.

საქართველოში აბას ი-ის ლაშქრობებმა ძლიერ აზარალა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, მაგრამ უდიდეს კატასტროფად მაინც დემოგრაფიული მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება უნდა მივიჩნიოთ. კახეთიდან ირანში შაჰმა 200 000 ქართველი გადაასახლა. კახეთის მოთხრით შაჰ აბასი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა: საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო; კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები შაჰის ერთგული დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ შორეულ კავკასიაში; ირანში გადასახლებული კახელები სოფლის კულტურული მეურნეები და შაჰის ხელისშემყურე ერთგული მეომრები უნდა გამხდარიყვნენ. ირანის შაჰმა საქმე თითქმის ბოლომდე მიიყვანა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა, აღნიშნულ სამეფოებში კი ადგილობრივი ხელისუფლება უკვე დიდი ხნის გაუქმებული იყო.

## §57. მარტყოფის ბრძოლა

**ბრძოლისწინა მდგომარეობა:** XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ირანის შაჰის კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს განადგურების ახალი გეგმა შემუშავდა. 1624 წელს კახეთის მმართველმა ფეიქარ-ხანმა შაჰ აბასს აცნობა კახელების მხრიდან აჯანყებისთვის მზადების ამბავი, რამაც მოწინააღმდეგის სასწრაფო მობილიზაცია განაპირობა.

1625 წლის დასაწყისში ირანში დიდი ლაშქარი შეიკრიბა, რომელსაც მთავარსარდლად შაჰმა ყარჩიხა-ხანი დაუნიშნა. მას, საქართველოსაკენ მომავალს, აბას ი-მა გიორგი სააკაძე მრჩევლად

გამოაყოლა. შაჰის კარზე ერთ-ერთი შეხვედრისას აბას ი-ს მთავარსარდლისთვის უბრძანებია: მოურავთან თათბირის გარეშე არც ერთი საქმე არ გადაეწყვიტათ. ირანელთა საქართველოში შემოსვლას საბაბად დაუდეს ქართლის გამგებლის – სიმონ-ხანისა და ისა-ხან ყორჩიბაშის ასულის – ჯაჰან-ბანუს ქორწილი. ირანელები მუხრანის მახლობლად, აღაიანის ველზე დაბანაკდნენ. ისინი კახეთში შემოჭრის სამზადისს შეუდგნენ.

გიორგი სააკაძე დროულად მიუხვდა შაჰ აბას ი-ს განზრახვას – ქართლ-კახეთის საბოლოო განადგურების სურვილს. მან ბევრი იმუშავა ქართლ-კახეთის მოსახლეობისა და დიდებულების კონსოლიდაციისათვის, რაშიც ეკლესიამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მან ასევე მიიღო ზომები მებრძოლთა შესაიარაღებლად და უმოკლეს დროში ავჯანყების ფარულად მოსამზადებლად. სააკაძეს ხელი შეუწყო ერთმა შემთხვევამ. ერთ დღეს იგი სანადიროდ ლოჭინის ხევში გავიდა. მან ირანელთა ბანაკისაკენ მიმავალი შაჰის შიკრიკი შეამჩნია. მოურავის დაძახილზე ირანელმა მოხელემ გაქცევა სცადა. მას გიორგის მხლებლები წამოეწივნენ და შეიპყრეს. გაჩხრეკისას შიკრიკს შაჰ აბას ი-ის წერილი აღმოაჩნდა, რომელიც ყარჩიხა-ხანთან მიჰქონდა. მასში ეწერა: „შენ რომ კორუჯიბაში ხარ, გმართებს დათვალიერების მიზნით შეგროვილი ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც არ გაუშვა ცოცხალი. რადაც უნდა დაგიჯდეს, უნდა მოკლა“. გიორგიმ შაჰის შიკრიკი მოკლა, ხოლო წერილის შესახებ უახლოეს წრეს გაუმხილა. მცირე დროში სააკაძემ სხვა ქართველი ფეოდალებიც მიიმხრო.

**სამოქმედო რაიონი:** ბრძოლა გაიმართა საგურამოს ქედის სამხრეთით, ნორიოს, საცხენისს, ახალსოფელსა და დიდ ლილოს შორის – თბილისიდან 21 კმ-ში. ბრძოლა ვაკე-ბორცვიან დაღარულ ადგილმდებარეობაზე, სოფელ მარტყოფის სამხრეთით წარიმართა. ბრძოლის ველი აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და დასავლეთით მთა-ბორცვიანი ადგილებით იყო შემოფარგლული, რაც მოწინააღმდეგეს ხელს უშლიდა ძალთა მანევრირებისა და რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებაში. მიმდებარე ტერიტორიები კი ქართველთა რაზმებს ფარულად მანევრირებისა და დაბანაკებულ მოწინააღმდეგეზე სხვადასხვა მიმართულებიდან მოულოდნელი თავდასხმების საშუალებას აძლევდა.

**სამოქმედო გეგმა:** სააკაძემ მომავალი საბრძოლო მოქმედებების გეგმა ხარების რელიგიური დღესასწაულის მეორე დღეს დაუკავშირა, რომელსაც ქართველები მარტყოფის მონასტერთან აღნიშნავდნენ. გიორგიმ სპარსელების სარდლებს შესთავაზა, დღესასწაულის მეორე დღეს ქართველებისთვის მაჰმადიანობა მიეღებინებინათ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ალყა შემოერტყათ და გაენადგურებინათ, რადგან უფრო ხელსაყრელი მომენტი შაჰის ბრძანების შესასრულებლად ახლო მომავალში არ ექნებოდა. ასეთი დიპლომატიური ხერხით მან მოწინააღმდეგის სარდლებს ეჭვი გაუფანტა და მათი ყურადღება მოადუნა.

ყარჩიხა-ხანი სააკაძის ორგულობაში მთლად დარწმუნებული არ იყო, რადგან სააკაძის უმცროსი შვილი – პაატა შაჰს მძევლად ჰყავდა დატოვებული, თვით გიორგი კი მტრის 30 000-იანი ლაშქრის ბანაკის განლაგების ცენტრში იმყოფებოდა; მეტიც – მას მოურავის შეთავაზებული წინადადება მოეწონა და ამშვიდებდა ის ფაქტიც, რომ დღესასწაულზე ქართველები ჯვრებითა და ხატებით მოვიდოდნენ.

გიორგი სააკაძემ შეთავაზებულ წინადადებაზე ყარჩიხა-ხანისაგან თანხმობა მიიღო.ეეს გეგმა დიდი მოურავის სტრატეგიული გამარჯვება იყო. მისი ჩანაფიქრი საბოლოოდ შედგა. გეგმა ითვალისწინებდა შემდეგს:

– მებრძოლთა ინფორმირებას, მობილიზებასა და შეიარაღებას;
– ძალების ფარულ თავმოყრას საბრძოლო მოქმედებების რაიონში;
– დამრტყმელი დაჯგუფებების შექმნასა და ამოცანების დასახვას;
– ირანის ლაშქრის სარდლობის უეცარ განადგურებას;
– ალყის შემორტყმას და ერთდროულ იერიშებს;
– ბრძოლის ხელმძღვანელობას.

აღსანიშნავია, რომ სააკაძე მოულოდნელობის ფაქტორს ეყრდნობოდა. მაგალითად, ტაშისკარში მოწინააღმდეგე ღამით ელოდა თავდასხმას, ქართველები კი დილით დააცხრნენ და გაანადგურეს. ოპერაციის განხორციელებაში მათ ხელს უწყობდა ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, რომელმაც საკვამლე ფარდა შექმნა, ასევე – ირანის ლაშქრის მოქანცულობა და უსაფრთხოების ელემენტების შესუსტება.

ამჯერად სააკაძემ გადაწყვიტა ხუთკაციანი ჯგუფით (გიორგი სააკაძე, მისი შვილი – ავთანდილი, თავადიშვილები – პაატა ხერხეულიძე, ელია დიასამიძე და გიორგის მსახური პაპუნა ვაშაყაშვილი) მოწინააღმდეგის ბანაკის განლაგების ცენტრში მთავარსარდლების განადგურება. რა თქმა უნდა, ეს დიდ მამაცობას მოითხოვდა. სააკაძემ კარგად იცოდა მათი სუსტი და ძლიერი მხარეები, რაც არსებული ვითარების შეფასებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

**ბრძოლის მსვლელობა:** 1625 წლის 25 მარტს ხარების ბრწყინვალე დღესასწაული თენდებოდა. ირანელთა ბანაკს ჯერ კიდევ ეძინა. აქა-იქ ისმოდა გადაძახილი. გეგმის მიხედვით, ქართველებმა სპარსელების ბანაკს ალყა შემოარტყეს. უეცრად, გუშაგებმა განგაში ატეხეს. მათ ქართველთა რაზმების მოახლოება შენიშნეს.

ყარჩიხა-ხანმა სასწრაფოდ სარდლების შეკრება ბრძანა. მასთან გამოცხადდა გიორგი სააკაძე, მხლებლებთან ერთად. მთავარსარდალი ყარჩიხა-ხანი თავისი კარვიდან გამოვიდა. მას ცხენი მიართვეს, მაგრამ, ამხედრებისთანავე, გიორგი სააკაძემ ის შუბით განგმირა.ემან, თანმხლებ პირებთან ერთად, რამდენიმე წუთში მოახერხა ყარჩიხა-ხანთან მყოფი სხვა სარდლების განადგურება. ამასთანავე მიმდინარეობდა ქართველთა ერთდროული იერიში. ირანელთა მთავარსარდლის სიკვდილის ამბავი მთელ ჯარს მოედო. ბანაკი ერთბაშად აირია.

ქართველთა რაზმები სასტიკად უსწორდებოდნენ ირანელებს. ზურაბ (არაგვის) ერისთავმა ცხენოსანი რაზმის მოულოდნელი იერიშით შეაღწია მტრის ბანაკის ცენტრში და თავის მხლებლებთან ერთად, სააკაძეს დაეხმარა ყიზილბაშთა განადგურებაში. მტერმა გაქცევა დააპირა. მართვის გარეშე დარჩენილმა მოწინააღმდეგის ლაშქარმა წარმოუდგენელი ზარალი ნახა. ბრძოლის ველზე მყოფი 30 000 ირანელისგან მხოლოდ 3000 გადაურჩა ქართველთა რისხვას. თურქი ისტორიკოსის – იბრაჰიმ ფეჩევის გადმოცემით, ,,ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი დიდი ზარალი შაჰს არ მოსვლია“. რამდენიმე კვირაში მთელი ქართლ-კახეთი ირანელთა დარჩენილი რაზმებისაგანაც გაიწმინდა.

**ანალიზი:** ისტორიული მასალებიდან ირკვევა, რომ ასეთი ბრძოლის ორგანიზებისათვის საკმაოდ დიდი სამუშაოს შესრულება მოუწიათ სააკაძესა და მის თანამოაზრეებს. სამხედრო ხელოვნების პრინციპებიდან გამოიკვეთა შემდეგი:

– ოპერაციის მომზადების ფარულობა;
– ადგილმდებარეობის ეფექტური გამოყენება (იერიშები სხვადასხვა მხრიდან წარიმართა);
– მოულოდნელობის ფაქტორი – მართვის სისტემის მოშლა;
– ძალთა ეფექტური ურთიერთქმედება (სინქრონიზება).

**შედეგი:** ამის შემდეგ გიორგი სააკაძემ თბილისი ყიზილბაშთაგან გაათავისუფლა, თუმცა ნარიყალას ციხე ვერ აიღო. მოგვიანებით, ზურაბ ერისთავთან ერთად, კახეთიდან გაქცეულ ფეიქარ-ხანს დაედევნა, რომელმაც მცირე ამალით მტკვარი გადალახა და ბარდავში შეასწრო. გაქცეული მოწინააღმდეგის ლაშქრის დიდი ნაწილი ტყვედ ჩაბარდა. ქართველებმა ხორნაბუჯის ციხე აიღეს. მცირე შესვენებისა და მომზადების შემდეგ სააკაძემ განჯისა და ყარაბაღის სახანოებზე გაილაშქრა და ეს მხარე დაარბია.

გონიოს ციხეში მყოფი თეიმურაზ ი კი დახმარების სათხოვნელად რუსეთში წასასვლელად ემზადებოდა,ემაგრამ დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში და გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ დაჯდა. ამ მარცხმა შაჰ აბას ი საშინლად განარისხა. საჭირო იყო სასწრაფო ზომები.

## §58. მარაბდის ბრძოლა

**საერთო ვითარება:** მარტყოფის ბრძოლაში სასტიკად დამარცხების შემდეგ ირანის შაჰმა გადაწყვიტა, საბოლოოდ გაენადგურებინა ქართლ-კახეთის სამეფო და საერთაშორისო არენაზე შელახული სახელი აღედგინა. შაჰ აბას ი-მა შეიარაღებული ძალების მობილიზაციას მიმართა: შეაგროვა უზარმაზარი ლაშქარი, რომელიც თავისი სიძის – ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოში გამოგზავნა. იმ პერიოდის ირანელი ისტორიკოსის, ისკანდერ მუნშის სიტყვებით, ისა-ხანს შაჰმა ,,მოურავის ჯანყის მოსპობა და საქართველოს საქმეების მოწესრიგება დაავალა“, რაც აბასის სურვილის აღსრულებას – ქართლ-კახეთის მთლიანად მოსპობას გულისხმობდა. ყორჩიბაშთან ერთად, საქართველოზე გალაშქრება შირვანის ბეგლარ-ბეგს – ყაზახ-ხან ჩერქეზს, ერევნის ბეგლარ-ბეგს – ამირგუნე-ხანს და აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგს – შაჰბენდე-ხანს ებრძანათ. ყორჩიბაშის ჯარში იყო დაუდ-ხანის უკანონო შვილი ხოსრო-მირზაც (შემდგომში – როსტომ მეფე).

**მებრძოლი მხარეები და მათი განლაგება:** ისა-ხან ყორჩიბაშის არმია 1625 წლის ივნისის ბოლოს შემოვიდა საქართველოში და მდ. ალგეთის ხეობაში, მარაბდის ველზე დაბანაკდა. ელოდნენ შაჰბენდე-ხანსაც 20 000 მებრძოლით. იმ დროისათვის ირანელთა ჯარი, სამხედრო რეფორმის შედეგად, ევროპულ ყაიდაზე იყო გარდაქმნილი (ისა-ხანის ლაშქარი ბრიტანელი ინსტრუქტორების მიერ იყო გაწვრთნილი).

ისა-ხანმა მებრძოლები იმ პერიოდის ტაქტიკური წყობის შესაბამისად, ქართული ჯარის სავარაუდო შემოტევის მიმართულებით, დაახლოებით 4 კმ-იან ფრონტზე განალაგა და კოჯრის მიმართულებიდან მარაბდის ველი გადაკეტა; კერძოდ, ფრონტის მთელ პერიმეტრზე დაბრკოლების მიზნით, თხრილები გაითხარა, რომელთა უკან მეთოფეები განლაგდნენ ოთხრიგიანი საბრძოლო წყობით. პირველი რიგი ცალ ფეხზე იყო ჩაჩოქილი, მეორე – ფეხზე იდგა, მესამე – ცხენზე იჯდა, მეოთხე – აქლემზე. მეთოფეთა დაჯგუფება, დაახლოებით, 12 000 მებრძოლს ითვლიდა. არტილერია განლაგებული იყო მეთოფეთა ოთხიარუსიანი წყობის ინტერვალებში. მეწინავე ძალებს ამირგუნე-ხანი (სიმამაცის გამო ,,სარუ-ასლანს“, ანუ ,,ყვითელ ჯიქს“ უწოდებდნენ) ხელმძღვანელობდა. ცენტრს, რომელშიც ყიზილბაშთა ჯარის ძირითადი ბირთვი იდგა, თავად ისა-ხან ყორჩიბაში სარდლობდა. ძირითადი ძალები ცენტრის მარცხენა და მარჯვენა ფლანგებზე დააწყვეს. ირანელთა სარდლობა მოელოდა ქართული ჯარის შეტევას, რისთვისაც ისინი წინასწარ მოემზადნენ. მათი მიზანი ქართველების გაშლილ ველზე ჩამოტყუება იყო.

ირანელთა შემოსევის მომლოდინე ქართველები, დაახლოებით, 20 000-იანი ლაშქრით, კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში დაბანაკდნენ. ცხენოსანთა რაზმს ძირითადად თავადაზნაურობა, ხოლო ქვეით ჯარს გლეხობა შეადგენდა. ქართველთა ბანაკში თავი მოიყარა ქართლ-კახეთის ყველა გამოჩენილმა სარდალმა. აქვე იყო გიორგი სააკაძე და ახალციხიდან ლტოლვილი მანუჩარ ათაბაგი, 300 რჩეული ვაჟკაცით. ქართულ ლაშქარს ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ ი სარდლობდა.

**სამოქმედო რაიონი:** მარაბდის ველი მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 24 კმ-ზე, მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონების საზღვარზე (კოდა–მარნეულის გზაზე), თრიალეთის ქედის სამხრეთით 11 კმ-ზე. ველი ვაკე-ბორცვიანი გაშლილი ადგილია, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კოჯორ-ტაბახმელას მთები და მათგან კოდა-კუმისისაკენ დაქანებული ბუჩქნარიანი სერები, კლდოვანი ხრამები და ჩამორეცხილი ბილიკები. მარაბდის ველს სამხრეთიდან ესაზღვრება მარნეული, უფრო ქვემოთ კი – გატეხილი, ანუ წითელი ხიდი. ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ-ზე მდებარეობს კუმისის ტბა. სამხრეთიდან მოწინააღმდეგეს რელიეფი ფარული გადაადგილების შესაძლებლობას აძლევდა. ბრძოლის ადგილი მცენარეული საფარით ღარიბია, რაც ძალთა მანევრირებისა და პირდაპირი დამიზნებით ცეცხლის გახსნის საშუალებას იძლეოდა.

**მებრძოლ მხარეთა გეგმები:** ბრძოლის წინა საღამოს გაიმართა სამხედრო თათბირი, რომელსაც თეიმურაზ ი-ის, გიორგი სააკაძისა და ზურაბ არაგვის ერისთავის გარდა, სხვადასხვა კუთხის ერისთავები და თავადები ესწრებოდნენ. მოწინააღმდეგესთან შებმის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. სააკაძე მოითხოვდა დაეცადათ, სანამ მტერი თვითონ არ გადმოვიდოდა შეტევაზე, რადგან ძალიან ცხელოდა და ქართველებს, განსაკუთრებით ქვეითებს, მარაბდის დაბალ ველზე ბრძოლა გაუჭირდებოდათ, ყიზილბაშები კი შეჩვეულნი იყვნენ ასეთ სიცხეებს. რაც მთავარია, კოჯორ-ტაბახმელას ვიწროხევებიან მიდამოებში მტერს ძალების სრულად გაშლისა და გამოყენების საშუალება არ ექნებოდა. სააკაძის ამ რჩევას მხოლოდ ბაადურ ციციშვილი მიემხრო. სხვები საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წასვლით იმუქრებოდნენ. განსაკუთრებით ბარათაშვილები მოითხოვდნენ ბრძოლის მყისვე დაწყებას, რადგან მტერი მათ მამულებს აოხრებდა. ამავე აზრს ემხრობოდნენ კახეთის სარდლებიც. სამხედრო თათბირმა სააკაძის გეგმა უარყო. გადაწყდა, ბრძოლა მეორე დღეს, 1625 წლის 1 ივლისს დაეწყოთ. მთავარსარდლობა თეიმურაზ მეფეს დააკისრეს.

**ბრძოლის მსვლელობა:** ბრძოლის წინა ღამეს მროველმა ეპისკოპოსმა დომენტი ავალიშვილმა ჯარი აზიარა. მან სიტყვით მიმართა ქართულ ლაშქარს: მე მახვილს ვიღებ არა ჩემი პირადი ინტერესების დასაცავად, არამედ ჩვენი საერთო მტრის სისხლის დასაღვრელად, ჯერ არს, სწორედ მე ვაზიარო ქართველი გმირები, რომლებთან ერთადაც მზად ვარ, დავათხიო საკუთარი სისხლი სამშობლოსა და ქრისტიანობის დასაცავად.

ქართველთა ჯარი, ზიარების შემდეგ, ღამით კოჯრის ვიწრობებიდან მარაბდის ველისაკენ დაეშვა და ყიზილბაშთა ბანაკს მიუახლოვდა. ბრძოლის დაწყებას გარიჟრაჟზე აპირებდნენ, რათა ძლიერ ჩამოცხომამდე გაენადგურებინათ მტერი. ქართველებმა მოუმკელ ყანებში ცოტა შეისვენეს. მათი მეწინავე მზვერავი რაზმები, დავით ჯანდიერისა და აღათანგ ხერხეულიძის მეთაურობით, რამდენიმე ღღით ადრე მტრის ბანაკის ირგვლივ მანევრირებდნენ და ყიზილბაშებს მოსვენებას არ აძლევდნენ.

მებრძოლები შეტევაზე გადასასვლელად მოემზადნენ. წინ ცხენოსანთა რაზმები დაეწყო, უკან – ქვეითი ჯარი და მტრის ბანაკისაკენ დაიძრა. თოფის სასროლ მანძილამდე ნელა იარეს, შემდეგ ფარები აიფარეს, შუბები დაუშვეს და ყიზილბაშთა განლაგებაზე იერიში მიიტანეს. თოფ-ზარბაზანმა ერთდროულად გაისროლა. სროლამ და მისგან წარმოქმნილმა ბოლმა შეტევა ცოტა შეაფერხა, მაგრამ ქართველები არ შედრკნენ, ცხენოსანთა რაზმები დიდი სისწრაფით შეიჭრნენ მტრის განლაგებაში. ბრძოლა სასტიკი იყო. მტრის მეწინავე რაზმებმა ვერ გაუძლეს ქართველთა შეტევას და გატყდნენ. ამირგუნე-ხანი სასიკვდილოდ დაიჭრა და ბრძოლის ველიდან გაიყვანეს, მეთოფეთა მეწინავენი კი გაიფანტნენ.

ქართულმა ჯარმა ცენტრს შეუტია. მარცხენა და მარჯვენა ფლანგზე განლაგებული თავზარდაცემული მებრძოლნი ცენტრს არ მიეშველნენ და უკუიქცნენ. სააკაძემ მუზარადი მოიხადა, რათა ყიზილბაშებს ეცნოთ. იგი ღომივით ტრიალებდა ხან ერთ და ხან მეორე რაზმში, ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა ჯარს. ზურაბ ერისთავი დაიჭრა და ბრძოლის ველიდან გაიყვანეს. გმირულად დაეცნენ დავით ჯანდიერი და აღათანგ ხერხეულიძე. ქართული ჯარი, ძირითადად, მტრის ცენტრს უტევდა და დიდი არეულობაც შეიტანა მასში. ქართველების გამარჯვება თითქმის გარდაუვალი იყო, მაგრამ გამოცდილი მთავარსარდალი ისა-ხან ყორჩიბაში ბრძოლის ველს არ თმობდა და უკანასკნელ ძალებს იკრებდა. ამ დროს ქართული ჯარის ერთი ნაწილი „ორდუბაზარში“ (ადგილი, სადაც ყიზილბაშთა ბანაკის ქონება ინახებოდა) შეიჭრა და ალაფობა დაიწყო, რადგან ბრძოლას უკვე მოგებულად მიიჩნევდა. ცხენოსანთა რაზმის ერთი ნაწილი, ავთანდილ სააკაძისა და დავით ერისთავის (ზურაბის ძმა) მეთაურობით, გაქცეულ მტერს დაედევნა და ბრძოლის ველს გასცილდა. ამ ვითარებამ ძალიან შეამსუბუქა ყორჩიბაშის მდგომარეობა. ამ დროს ირანელებს ახალი ძალებიც შეუერთდნენ, კერძოდ, აზერბაიჯანის ბეგლარ-

ბეგი შაჰბენდე-ხანი თავისი ჯარით, გაშლილი დროშებით, ბუკებითა და დიდი ყიჟინით შეიჭრა ბრძოლის ველზე. ირანელები გამხნევდნენ და ახალი ძალით შეუტიეს ქართველებს. ბრძოლით დაღლილმა და სიცხისაგან შეწუხებულმა ქართულმა ჯარმა ყიზილბაშთა ახალი რაზმების დარტყმას ვეღარ გაუძლო და გატყდა. პირველად ცხენოსნებმა მიატოვეს ბრძოლის ველი და კოჯორის ვიწრობებს მიაშურეს. სააკაძე, მეფე თეიმურაზ I და სხვა სარდლები უკანასკნელ ძალებს იკრებდნენ და მებრძოლთა შეკავებას ცდილობდნენ, რათა ქვეითი ჯარი დაეფარათ მტრის ცხენოსნებისაგან, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ცხენოსანი ჯარისაგან მიტოვებული, უზომოდ დაღლილი ქართველი ქვეითები უკანასკნელ კაცამდე შეაკვდნენ მტერს. დილით ადრე დაწყებული ბრძოლა გვიან ღამით დამთავრდა.

ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ იარაღი არ დაუყრიათ. მეორე დღეს კოჯრის მიდამოებში გაგრძელდა ბრძოლები. მტერი შიდა ქართლში შეჭრას ჩქარობდა. სააკაძე პატარ-პატარა რაზმებით, პარტიზანული ბრძოლის მეთოდებით დაუპირისპირდა მტერს. ათი დღის განმავლობაში ქართველები აკავებდნენ მოწინააღმდეგის მთავარ ძალებს და არ აძლევდნენ საშუალებას, ქვეყნის გულში შეჭრილიყვნენ, რათა მოსახლეობას გახიზვნა მოესწრო. ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დროს 60 კაცით სააკაძემ მტრის 700 მებრძოლი გაანადგურა.

თბილისის დაკავების შემდეგ მოწინააღმდეგემ მდევრები დაადევნა ლტოლვილებს. მტერი ისე იყო დაზარალებული, რომ აღარ შეეძლო შაჰ აბასის მთავარი ამოცანის — ქართლ-კახეთის მოსახლეობის ამოწყვეტის შესრულება. ისა-ხან ყორჩიბაშმა თავისი ჯარიდან 12 000-იანი ლაშქარი გამოყო არშის ციხის ასაღებად, სადაც ქართველების დატყვევებული ანდუყაფარ ამილახვარი და მისი მეუღლე, ყორჩიბაშის ასული იყვნენ დამწყვდეულნი. ყორჩიბაშმა ზურაბ ერისთავს არაგვის ხეობის გზის უბრძოლველად დანებება სთხოვა. ზურაბი, რომელიც ქართველების საქმეს წაგებულად თვლიდა და ყიზილბაშებთან შერიგება გადაეწყვიტა, დათანხმდა გაეტარებინა მტრის ჯარი იმ პირობით, თუ ისინი ხელს არ ახლებდნენ არაგვის ხევის მოსახლეობას და უკან სხვა გზით — ქსნის ხეობით დაბრუნდებოდნენ. მხარეები შეთანხმდნენ. ირანელთა ლაშქარი არაგვის ხეობისაკენ გაემართა. სააკაძემ ღართისკარისა და წიწამურის მიდამოები გაამაგრა და წინ გადაუდგა ყიზილბაშებს. ფიცხელი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ ქართველთა მცირერიცხოვანმა რაზმებმა ვერ შეძლეს მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის შეკავება. მტერი არშის ციხეს მიადგა. ციხიდან გამოიყვანეს ანდუყაფარ ამილახვარი და მისი მეუღლე, ქსნის ხეობაში გადავიდნენ და თბილისისაკენ წავიდნენ. სააკაძემ ქსნის ხეობის გზები შეკრა. მან მოახერხა ზურაბის ძმების — დავითისა და გიორგის გადმობირება, რომლებმაც ზურგიდან შემოუტიეს ირანელებს. სააკაძეს იესე ქსნის ერისთავი და ქაიხოსრო მუხრან-ბატონიც მიეშველნენ თავიანთი ლაშქრით. მტერი ალყაში მოექცა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა, რომელიც სამი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ქართველებმა მთლიანად გაანადგურეს მტრის 12 000-იანი ლაშქარი. შაჰბენდე-ხანი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ქართველები დაეწივნენ და აკუწეს. ყაზახ-ხანი ტყვედ ჩავარდა. მხოლოდ ხოსრო-მირზამ მოახერხა ალყის გარღვევა და გადარჩენილი მცირე ამალით თბილისში დაბრუნდა.

ქართველებმა გამარჯვება მოიპოვეს, დიდძალი იარაღი, ცხენები და ტყვეები ხელში ჩაიგდეს. ყიზილბაშთა ამ დამარცხებით საბოლოოდ დაიჩრდილა მარაბდის ბრძოლაში მოპოვებული მათი უპირატესობა. მართალია, ქართლ-კახეთი დროებით კვლავ ირანის ზეგავლენაში აღმოჩნდა, მაგრამ მტერმა თავისი ძირითადი ამოცანის — ქართველთა საბოლოო განადგურების შესრულება ვერ შეძლო.

**ანალიზი:** ბრძოლის საწყის ეტაპზე ქართველთა წარმატებული იერიშის მიუხედავად, რაც მოწინააღმდეგის მეთოფეთა რაზმების გარღვევით და ცენტრზე დარტყმით გამოიხატა, არასწორი ტაქტიკური მანევრისა და ძალთა არაეფექტური მართვის გამო, დამარცხება გარდაუვალი გახდა. სააკაძისეული გეგმის შესრულება, რომელიც მოწინააღმდეგის ძალთა დანაწევრებასა და განადგურებას ითვალისწინებდა, შესაძლებელი იყო. დიდებულების პირადი ინტერესებისა და მეფის არასწორი გადაწყვეტილების გამო, ქართულმა მხარემ სავალალო შედეგი მიიღო. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ სააკაძის გეგმა სწორი იყო. ქართველები, შეზღუდული სამანევრო სივრცის გამო, ყიზილბაშთა უზარმაზარ ლაშქარს მთაგორიან და ვიწრო ადგილებში უფრო გაუმკლავდებოდნენ, ვიდრე გაშლილ ველზე.

დაშვებული შეცდომის გამოსწორებას ისევ სააკაძე და მისი გეგმის მხარდამჭერი დიდებულები შეეცადნენ. ძალთა სწრაფი მობილიზაციითა და პარტიზანული ბრძოლის მეთოდების გამოყენებით, მარაბდაში განცდილი ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურება შესაძლებელი გახდა ქსნის ბრძოლაში. ეს გეგმა შესრულდა ურთიერთქმედებით, ადგილმდებარეობისა და მოულოდნელობის ფაქტორების გონივრული გამოყენებით.

**შედეგი:** მარაბდის ველზე ბრძოლაში დაახლოებით 9 000 ქართველი დაიღუპა. ქსნის მიდამოებში ქართველთა დანაკარგებზე ცნობები არ მოგვეპოვება. იგი მინიმალური უნდა ყოფილიყო. მოწინააღმდეგემ ამ დაპირისპირებაში 12 000 მებრძოლი დაკარგა. ქართული მხრიდან დაიღუპნენ: დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ბაადურ ციციშვილი, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვანი მრავალნი.

მარაბდის ბრძოლაში მამაცურად იბრძოდნენ მეფის მედროშეები — ცხრა ძმა ხერხეულიძე. მათი დაღუპვის შემდეგ დროშა მათ დედასა და დას ეჭირათ. ისინიც, ასევე გმირულად დაიღუპნენ.

ქართულმა ეკლესიამ მარბადის ველზე დაღუპული 9 000 ქართველი, მათ შორის ცხრა ძმა ხერხეულიძე, მათი დედა და და წმინდანებად შერაცხა.

ამრიგად, მხოლოდ 1625 წელს ირანელებმა მარტყოფში, დაახლოებით, 27 000, მარაბდაში 14 000, ქსნის ხეობაში 12 000 მეომარი დაკარგეს. ამრიგად, საერთო ჯამში, ამ ბრძოლებში შაჰს 60 000-მდე მეომარი დაეღუპა, რაც მისი არმიის თითქმის ნახევარი იყო. 1625 წელს საქართველოში განცდილი მარცხის შემდეგ ირანის სამხედრო ძლიერება, რომელიც ახლო თუ შუა აღმოსავლეთში დომინირებდა, საფუძვლიანად შეირყა. ამ გამარჯვებით ქართლ-კახეთმა დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეძლო და ქვეყანას აღორძინებისა და განვითარების საშუალება მიეცა.

## §59. ბახტრიონის ავჯანყება

**პოლიტიკური ვითარება:** XVII საუკუნის პირველ ნახევარში ყიზილბაშური ირანის ხელისუფლებამ ხელი აიღო ქართლ-კახეთის სამეფოების მთლიანად განადგურების გეგმაზე. ეს განპირობებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს გმირული ბრძოლებით. ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან შაჰ აბას IIმ (1642-1666), კახეთის მეფე თეიმურაზის რუსეთთან დაახლოების სურვილის საპასუხოდ, კვლავ აამოქმედა შაჰ აბას I-ის გეგმა, რომელიც კახეთში თურქმანების ჩასახლებასა და სახანოს შექმნას ისახავდა მიზნად.

აღსანიშნავია ირანის კომპრომისული პოლიტიკა, რომელსაც იგი ატარებდა XVII საუკუნის პირველ მესამედში, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა დინასტიას ტოვებდა, ოღონდ გამაჰმადიანების პირობითა და „ვალის“ ტიტულით: მათ ირანისათვის ხარკი და საჩუქრები უნდა ეძლიათ.

შაჰმა ხელი შეუწყო ქართლში გამაჰმადიანებული როსტომის გამეფებას (1632-1658), რომელიც ირანში იყო დაბადებული. როსტომ ხანმა ქართული ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილი თავის მხარეზე გადაიყვანა. ამავე საზოგადოების მეორე ნაწილი თეიმურაზ I-ის მეთაურობით, არ ცნობდა როსტომის მეფობას და სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას აგრძელებდა.

სანამ მეფე გახდებოდა, როსტომს (ქაიხოსრო ბატონიშვილს) ხოსრო-მირზას სახელით იცნობდნენ. შაჰის კარზე მან თავი გამოიჩინა გონიერებითა და სიმამაცით და მის სამსახურში დაწინაურდა. იგი მალე შაჰის გვარდიის – ყულის ჯარის სარდალი გახდა.

ქართლში გამეფებისას როსტომი 67 წლის ყოფილა. ტახტზე ასვლისთანავე, თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, მან ქართლის ციხეები (გორისა და სურამის) აღადგინა და იქ ყიზილბაშური გარნიზონები ჩააყენა.

კახეთში კი თავიდანვე სხვა ვითარება იყო. ირანის ხელისუფლება კახეთის სახანოდ გადაქცევას ცდილობდა, სადაც მმართველებად არაადგილობრივი დინასტიის წარმომადგენლებს ნიშნავდა (ფეიქარ ხანი, სელიმ ხანი).

თეიმურაზ მეფემ და მისმა მომხრე თავადებმა რამდენიმე წარუმატებელი შეთქმულება მოაწყვეს როსტომის წინააღმდეგ, მაგრამ ეს უკანასკნელი, ირანის დახმარებით, ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა. თეიმურაზ მეფე, საბოლოოდ, იძულებული გახდა, კახეთი დაეტოვებინა და იმერეთში გადასულიყო. შაჰმა კახეთიც როსტომს უბოძა. ქართლ-კახეთში მშვიდობამ დაისადგურა. დასრულდა გაუთავებელი ავჯანყება-შეთქმულებები.

**ავჯანყების მიზეზები:** თეიმურაზი იმერეთიდან აქტიურობდა. იგი ახალ მოკავშირეს რუსეთში ეძებდა, რაც ირანის გაღიზიანებას იწვევდა. შაჰ აბას IIმ გადაწყვიტა საბოლოოდ მოეგვარებინა კახეთის სახანოდ გადაქცევის საქმე. 1656 წელს როსტომ მეფეს კახეთი ჩამოართვეს და განჯის ხანს – სელიმს დაუქვემდებარეს. 1658 წელს როსტომ მეფე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან შაჰ აბასს სთხოვა, მის მემკვიდრედ ვახტანგ მუხრან-ბატონი (ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტო) დაენიშნა. შაჰმა მიიღო როსტომის კანდიდატურა, რა თქმა უნდა, გამაჰმადიანების პირობით. ვახტანგმა მიიღო ისლამი და შაჰ-ნავაზის სახელით ქართლის ტახტზე ავიდა. კახეთის ნაწილს სელიმ ხანი მართავდა, არაგვის საერისთავოს და ერწო-თიანეთს კი – ზაალ არაგვის ერისთავი.

ირანმა გადაწყვიტა კახეთში ჩაესახლებინა თურქმანთა 15 000 ოჯახი და შიდა და გარე კახეთის საუკეთესო მიწები მათთვის გაენაწილებინა. ამ საქმის ორგანიზება შაჰმა ირანის ლაშქრის ერთ-ერთ სარდალს – ალავერდი ხანს მიანდო. მასვე დაავალა კახეთში სამი ციხის აგება, რომელთა გარნიზონებს უნდა დაეცვათ თურქმანული მოსახლეობა. შაჰ აბას IIის კარის ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი ასე გადმოგვცემს შაჰის გდაწყვეტილებას: „რადგანაც მისი უდიდებულესობის ფიქრი კახეთის დასახლებისაკენ იყო მიმართული და მოხდა ამბავი, რომელმაც დააბრკოლა სურვილის შემსრულებელი (უნდა იგულისხმებოდეს როსტომ მეფის გარდაცვალება), და ყულარაღასიც სემნანში და იმ მხარეებში იმყოფებოდა, გამოვიდა უკეთილშობილესი რაყამი, რომ ის წავიდეს აზერბაიჯანსა და ყარაბაღში, გაჩერდეს ადგილას, რომელსაც შესაფერისად დაინახავს და მცოდნე ხუროთმოძღვრითა და გამოცდილი ხალხით გადავიდეს კახეთში და სამი

ადგილი, რომელთაც ექნებათ დასახლებისათვის საჭირო ნიშნები, გააშენონ და ააგონ სამი მაგარი ციხე, სასწრაფოდ მოათავონ ხსენებული ციხეების შენება და გადაიყვანონ იმ მხარეში 15 000 ოჯახი აზერბაიჯანისა და ყარაბაღის ელებიდან, რომელნიც დაასახლებენ კიდეც საქართველოს და „მეფობის საფარველის“ შაჰნავაზ-ხანის დამხმარე მშვილელიც იქნებიან“.

ირანელებმა ჯერ ალავერდის მონასტრის გალავანი გადააკეთეს ციხესიმაგრედ და იქ თავისი გარნიზონი ჩააყენეს, მერე ბახტრიონის ციხე ააშენეს ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე პატარა სოფელ ბახტრიონში, „სიგრძე 100 მ-ს აღემატებოდა“. მას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აკონტროლებდა კახეთის მთიანეთიდან ბარში ჩამომავალ გზებს და ალაზნის ზემო წელში დასახლებულ თურქმანებს მთიელთა თავდასხმებისაგან იფარავდა. მესამე ციხე უნდა იყოს ყარაღაჯი, რომელიც XVIII საუკუნეში კახეთის ყიზილბაში ხანების რეზიდენცია იყო.

ციხეების აგების შემდეგ კახეთი ჩამოართვეს განჯის მმართველს — სელიმ ხანს და ორად გაყვეს. მისი დიდი ნაწილი, სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე, ყარაბაღის ბეგლარბეგს — მურთაზ ყული-ხანს, ხოლო დანარჩენი ნახჭევნის მმართველს — ალი ყული-ხან ქენგერლუს გადასცეს. მათ დაევალათ მომთაბარე ელების კახეთში გადაყვანა. ამის შედეგად, კახეთის ბარში, დაახლოებით, 80 000 თურქმანი ჩაასახლეს. მოჰამედ თაჰერი მოგვითხრობს: „ალავერდი ხანმა უნდა წაიყვანოს საქართველოში ელების კარგი მოხელეები და მისი ადგილები, იმათ გამოკლებით, რომლებიც ერისთავისა და აზნაურებისთვისაა ნაწყალობევი, ელებს გაუნაწილოს, რათა ისინი ხვნა-თესვას, შენებასა და დასახლებას შეუდგნენ. ყულარაღასმაც, თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, ერთგული მოხელეები დანიშნა, 15 000 ოჯახი ელებისა დადგენილი წესის მიხედვით საქართველოში გაგზავნა და იქ სამი ციხე ააშენა. მათ ეწოდათ შაჰაბადი, ისლამაბადი და ნოსრათაბადი. საქართველოს ოთხი მეექვსედის მმართველობა ყარაბაღის ბეგლარბეგს — მურთაზ ყული-ხანს, ხოლო ორი მეექვსედისა — ნახჭევნის მმართველს — ალი ყული-ხან ქენგერლუს გადაეცა. ელების ხალხი, გადაწყვეტილების თანახმად, იმ ოლქში დასახლდა და მშვიდად და მოსვენებულად იმყოფებოდა“.

მომთაბარე ელები, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევდნენ და ვრცელი საძოვარი ველები სჭირდებოდათ. კახეთის მეურნეობას, ძირითადად, მევენახეობას, გადაშენების საფრთხე დაემუქრა. ასეთი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა მთიანეთის მოსახლეობაც, რომელიც ბარის პურით, ღვინითა და ზამთრის საძოვრებით ირჩენდა თავს. სრულიად საქართველო აღმოჩნდა უდიდესი საფრთხის წინაშე. კახეთის გადაშენება სასიკვდილო დარტყმას მიაყენებდა, ერთი მხრივ, ქართლს, მეორე მხრივ — თუშეთს, ფშავსა და ხევსურეთს.

თვით სპარსი ისტორიკოსიც ვერ მალავს თურქმანთა სურვილს — ებატონათ ქართველებზე: „რადგანაც განსხვავება სარწმუნოებათა შორის და ურჯულოთა პირისპირ შეხვედრა ისლამთან უსათუოდ მთავრდება წინააღმდეგობითა და უთანხმოებით და რადგანაც **ელებს** იმის მისწრაფება ჰქონდათ, რომ ქართველებზე ებატონათ, ამ ორ ხალხს შორის დავა და ჩხუბი გაჩნდა“.

მოახლოებულ საფრთხეს დროზე აუღეს ალღო კახელებმა, ქართლელებმა, თუშ-ფშავ-ხევსურებმა და ითავეს სამშობლოს ხსნის საქმეც. მათ მტრის გენერალური ბრძოლით განადგურება გადაწყვიტეს.

**სამოქმედო გეგმა:** საერთო-ქართული აჯანყების მომზადებას სათავეში ჩაუდგა თეიმურაზ მეფის თანამებრძოლი, ბიძინა ჩოლოყაშვილი. ის გაენდო არსენ ალავერდელს (ავალიშვილს) და დაუკავშირდა ქართლის თავადებს: ზაალ არაგვის ერისთავს, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებს. ჩოლოყაშვილმა მთიელებისგანაც მიიღო დახმარების პირობა.

აჯანყებულთა გეგმა ითვალისწინებდა ფარულად მომზადებას, სისწრაფეს და, განსაზღვრული მიმართულებიდან, მოწინააღმდეგეზე ერთდროულ დარტყმებს. აჯანყების ორგანიზატორთა სტრატეგიული ჩანაფიქრი მარტივი და უნიკალური იყო:

— თუშებს, ფშავლებსა და ხევსურებს ბახტრიონის ციხის იერიში დაევალათ;
— ჩოლოყაშვილისა და ერისთავების გაერთიანებულ ლაშქარს — ალავერდის;
— კახელების წვრილ-წვრილი რაზმები ალაზნის პირად განლაგებულ მომთაბარეთა ტომებს შეესეოდნენ.

**სამოქმედო რაიონი:** ადგილები, სადაც საბრძოლო მოქმედებები წარიმართა, მდებარეობს კახეთში, მდ. ალაზნის მარცხენა (ბახტრიონის ციხე) და მარჯვენა (ალავერდის ციხე) ნაპირზე: მატანს, მაღრაანს, ქვემო ალვანსა და ახმეტას შორის.

ადგილმდებარეობა მთა-ბორცვიანი და ვაკე-ბორცვიანი, მცენარეული საფარით მდიდარია. შეტაკებების ადგილამდე, რელიეფი ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ქართველთა ლაშქრის ფარულ გადაადგილებას უწყობდა ხელს. მოწინააღმდეგეს თავდაცვისათვის ჰქონდა საფორტიფიკაციო თვალსაზრისით მომზადებული ბახტრიონისა და ალავერდის ციხე-სიმაგრეები, მებრძოლთა სარბენი ბილიკებითა და რამდენიმე იარუსად კედელში ჩაშენებული სათოფურებით. აღნიშნული ციხესიმაგრეები მოწინააღმდეგის ძირითადი დასაყრდენი ადგილი იყო. მათში დიდ გარნიზონებს შეეძლოთ გამაგრება. ალავერდის ციხის იერიში უფრო გაადვილებული იყო, ვაკე-ბორცვიან რელიეფზე მდებარეობის გამო, ვიდრე ბახტრიონის ციხისა.

**ბრძოლის მსვლელობა:** დათქმულ ღამეს არაგვისა და ქსნის ერისთავების ჯარი, რომელთაც წინ მიუძღოდნენ შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და ზაალის ვაჟი – ზურაბ არაგვის ერისთავი, ბიძინა ჩოლოყაშვილს ჯარს შეუერთდა და ალავერდისაკენ გაემართა. მთიდან დაიძრნენ შეჯავშნული თუშები, რომელთაც ზეზვა გაფრინდაული მიუძღოდათ. ნაქერალაზე თუშებს შეუერთდა ფშაველთა ლაშქარი, გოგოლაურის მეთაურობით, და ხევსურები, ხოშარაულის წინამძღოლობით.

გაერთიანებული ჯარი გარიჟრაჟზე ბახტრიონისაკენ დაიძრა. ქართველთა ლაშქარი ციხის გალავანში შეიჭრა. ყიზილბაშ მეციხოვნეთა დიდი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, სხვები გაიქცნენ და თავის შესაფარებლად ალავერდის ციხეს მიაშურეს, რომელიც ამასობაში კახელებმა აიღეს. იქიდან გამოქცეული მტერი კი ბახტრიონისაკენ მირბოდა თავშესაფარებლად. ორივე ციხიდან გამოქცეული მოწინააღმდეგე ალვანის მინდორზე შეიყარა და სწორედ იქ გაავლეს მუსრი ქართველებმა. იმ ადგილს, სადაც ეს მოხდა, ხალხი ახლაც „გაწყვეტილას“ ეძახის.

შემდეგ ავჯანყებულებმა სხვა ადგილებში დასახლებულ თურქმანებს შეუტიეს და „ელი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახვილისათა. და ამოსწყვიტეს დედაწულითურთ და, აკუანში, რომელშიც ყრმანი იწვნენ, იგინიცა დახოცნეს. სადაც კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყვიტეს... კახეთში თათარნი აღარ იპოებოდნენ, თვინიერ ყარაღაჯისა“.

**ანალიზი:** ავჯანყებში მონაწილეობდა ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო. მისი საყოველთაო ხასიათით უნდა აიხსნას ის სისწრაფე, რომელიც ავჯანყების მომზადებასა და ჩატარების პროცესს ახასიათებდა. ამან განაპირობა თურქული ტომების გაწყვეტა მთელ კახეთში.

სამხედრო-სტრატეგიული გეგმა თავდაპირველად უნაკლოდ განხორციელდა. წარმატება შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:

– სამოქმედო გეგმის სწორად განსაზღვრამ და მისმა ფარულმა მომზადებამ;
– ძალთა დროულმა მობილიზებამ და, მეთაურთა აგიტაციით, საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებამ;
– ერთდროულმა და მოულოდნელმა თავდასხმამ და მოქმედებათა სისწრაფემ;
– ორი ძლიერი გარნიზონის განადგურებამ.

**შედეგები:** ამრიგად, ბახტრიონის სახელით ცნობილი კახეთის 1659 წლის ავჯანყება ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

მას შემდეგ, რაც ავჯანყების მთავარი მიზანი – თურქმანების გაწყვეტა შესრულდა, ირანი იძულებული გახდა, უკან დაეხია. კახეთის გმირულმა ბრძოლამ აიძულა შაჰი, ხელი აეღო თავის გეგმაზე.

დასჯას ვერ გადაურჩნენ ავჯანყების ორგანიზატორები. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები შაჰთან მივიდნენ და პატიება ითხოვეს. შაჰმა ისინი თურქმანთა იმ ტომებს გადასცა, რომელთა მოსახლეობა კახელებმა ავჯანყების დროს გაჟლიტეს. 1662 წლის 18 სექტემბერს ქართველ მხედართმთავრებს საშინელი წამებით ამოხადეს სული. ქართულმა ეკლესიამ სამშობლოსათვის წამებული გმირები წმინდანებად შერაცხა.

ბახტრიონის ავჯანყებამ საბოლოოდ ააღებინა ხელი სეფიანთა ირანს „ქართველობის“ მოსპობის გეგმებზე. ბახტრიონის ავჯანყება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელია ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

## §60. მეფე სოლომონ ი. ხრესილის ბრძოლა

**პოლიტიკური ვითარება:** 1752 წელს იმერეთში გამეფდა ალექსანდრე II-ის უფროსი ვაჟი, 17 წლის სოლომონ ი. ამ დროისათვის იმერეთის საგარეო ვითარება დღითიდღე უარესდებოდა. ოსმალეთი ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის ემზადებოდა და დამორჩილებული ქვეყნებისაგან დიდ ხარკს მოითხოვდა. ახალციხის, ქუთაისის, **ბაღდადის,** შორაპნის, ცუცხვათის ციხესიმაგრეებში მას ჩაყენებული ჰყავდა გარნიზონები, საიდანაც იმერეთს აკონტროლებდა. საოსმალო გადასახადი მოსახლეობისთვის აუტანელი იყო.

იმ დროს იმერეთში უძლიერესი თავადები იყვნენ ლევან აბაშიძე და როსტომ ერისთავი. ისინი მთავრის ტიტულს (მთავრობას) იჩემებდნენ: ლევან აბაშიძე – არგვეთისას, როსტომ ერისთავი – რაჭისას და, ამ ნიადაგზე, სასტიკი მტრობა ჰქონდათ იმერეთის მეფესთან.

არ ცხრებოდა ბრძოლა სამეფო ტახტისათვის მეფის ბიძების – მამუკასა და გიორგის მხრიდან. მალე სოლომონის წინააღმდეგ გამოვიდნენ მამია III გურიელი, რაჭის ერისთავი როსტომი, სოლომონის პაპა – ლევან გიორგის ძე აბაშიძე და თვით მეფის დედაც. ამ უკანასკნელთა მხარეზე იყო როსტომ ერისთავის ძმა – აფხაზ-იმერთა კათალიკოსი ბესარიონიც. შეთქმულნი ავჯანყდნენ და მეფე დაამარცხეს. სოლომონი ახალციხეში გადავიდა და, ფაშას დახმარებით, ტახტის დაბრუნება შეძლო. ფაშამ მიიჩნია, რომ ახალგაზრდა მეფე ოსმალეთის

პოლიტიკის გამტარებელი იქნებოდა. სოლომონმა ურჩი თავადები დასაჯა. განსაკუთრებით დაზარალდნენ აბაშიძეები.

სოლომონ ი-მა გურია დალაშქრა და იქ მამია იდ-ის ნაცვლად გაამთავრა მისი ძმა – გიორგი. მალე მამიამ ხელისუფლების დაბრუნება შეძლო, მაგრამ იძულებული გახდა, მეფის მორჩილი ყოფილიყო. როგორც ჩანს, სოლომონს იმ დროისათვის როსტომ რაჭის ერისთავის დასასჯელად ძალა არ ეყო.

ᲛᲓᲠᲘ საუკუნის შუა წლებში როსტომ ერისთავმა რაჭის სოფლები მიითვისა და მთელ რაჭას დაეპატრონა. მან იმერეთს რამდენიმე სოფელიც კი ჩამოართვა. ასეთი არეულობის დროს სოლომონ ი-მა ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის – კაცია იი დადიანის და მარიამი და დადიანის მხარდაჭერაც მოიპოვა.

ახალციხის ფაშის ინიციატივით ტახტის დაბრუნებისა და ლევან აბაშიძესა და როსტომ ერისთავთან შერიგების მიუხედავად, სოლომონ მეფის მდგომარეობა მძიმე იყო. მან მტკიცედ გადაწყვიტა იმერეთის თავადების დამორჩილება. სოლომონს დიდი პოლიტიკური გეგმები ჰქონდა: მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა, ლიხთიმერეთის პოლიტიკური გაერთიანება და ოსმალთა ბატონობის გადაგდება. ამ მხრივ სოლომონის მოღვაწეობა ერეკლესას ჰგავდა. საჭირო იყო ფრთხილი და მოხერხებული პოლიტიკით ძალების თანდათანობით შემოკრება. თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა მეფემ მაჰმადიანობის გავრცელებისა და „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო.

**რეფორმები:** სოლომონ მეფემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საეკლესიო საქმეების მოწესრიგების საკითხს. ქვეყნის აღორძინების საქმე სწორედ ეკლესიის გაძლიერებით უნდა დაწყებულიყო. უპირველესად, სოლომონმა წინა მეფეების მიერ საერისკაცოდ გაცემული საეკლესიო გლეხები „მოიკითხა“, „ამოიყვანა“ და ისევ ეკლესიას დაუბრუნა. ისინი ყოველგვარი სამეფო გადასახადებისა და სამსახურისაგან (გარდა ლაშქრობა-ნადირობისა) გაათავისუფლა. მაგრამ ეკლესიის ყმა-მამულის მთლიანად დაბრუნება რთული საკითხი იყო. ძლიერი თავადები მონასტრებს ადვილად არ თმობდნენ. ეკლესიისთვის მემამულეობის აღდგენა თავადების ძალას ასუსტებდა და მეფის ერთგულ რაზმს აძლიერებდა. ამასთან, მეფემ მოახერხა და საკათალიკოსო ტახტიდან გადააყენა ბესარიონი. კათალიკოსობა მეფის ძმამ – იოსებმა მიიღო, რითაც ეკლესია ქვეყნის გაერთიანების საქმეში საბოლოოდ დაუდგა გვერდში სამეფო ხელისუფლებას.

მეფემ თანდათან შემოიკრიბა წვრილი თავადები. ამავე დროს იგი მოხერხებულად სარგებლობდა დიდი სათავადოების შიგნით უთანხმოებით და ამ ურთიერთმოქიშპეთა შორის თავის მომხრეებს ამრავლებდა. 1754 წელს სოლომონმა იყიდა ხარაგაულის ციხე გიორგი აბაშიძისაგან, მის მამულში შემავალი აზნაურებით, მსახურებითა და გლეხებით. ლევან აბაშიძისათვის ეს გარემოება მეტად სახიფათო იყო. კარგად ჩანდა, რომ მეფემ თავის მტრებს შორის პირველად მიზანში აბაშიძე ამოიღო (სვერის ციხე აბაშიძეს ჯერ კიდევ ალექსანდრე მეფემ წაართვა).Ემეორე მხრივ, სოლომონმა აბაშიძის მეზობელი წერეთლები გაიერთგულა და მის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლისათვის მოემზადა. ლევან აბაშიძე მარტო არ იყო. ნაკლები საფრთხე არც რაჭის ერისთავს ემუქრებოდა. მის დასასუსტებლად, სოლომონმა რაჭაში წულუკიძისა და ჯაფარიძის სახლეულები გაიერთგულა. რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე ერთად მეტად ძლიერი მოწინააღმდეგენი იყვნენ და მათთან გადამჭრელი ბრძოლისათვის მეფე ძლიერ მოკავშირეს ეძებდა. სოლომონ ი-მა მოხერხებულად დაყო მტრები უახლოეს და უშორეს მოწინააღმდეგეებად. ის მოურიგდა კაცია დადიანს (დათმო სადავო ლეჩხუმი, რომელიც ჯერ კიდევ ᲛᲓᲠᲘ საუკუნიდან ჩიქვან-დადიანს ჰქონდა მიტაცებული), დაემოყვრა ამ უძლიერეს თავადს და აბაშიძე-ერისთავის წინააღმდეგ დიდი ძალაც შეიძინა. ამავე დროს მეფემ შემოირიგა მამია გურიელიც (დროებით აქაც დათმო გურიელების მიტაცებული საჯავახო-საჩინოს მხარე). ამის შემდეგ აბაშიძისა და რაჭის ერისთავის ერთადერთი იმედი ახალციხის ფაშაღა იყო.

ამავე დროს, სოლომონმა გლეხობის დიდი ნაწილი სამეფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა, ზუსტად განსაზღვრა სახელმწიფო გადასახადების ზომა. მეფე ენერგიულად შეუდგა ტყვეთა ყიდვა-გაყიდვასთან ბრძოლასაც. „ტყვის სყიდვა“ იმ დროს მეტად გავრცელებული იყო იმერეთში. ნათელია, რომ „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ ბრძოლა ოსმალეთის ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა, ასევე იგი დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა ერთი ნაწილის შემოსავლის წყაროც იყო. ზემოაღნიშნულმა ბრძოლამ მეფეს მტრები გაუჩინა, მაგრამ გლეხები მის მხარეზე აღმოჩნდნენ.

აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით, „მეფე-მთავრებს შორის შეთანხმება, მეფის ავტორიტეტის ზრდა და მისი ხელისუფლების გაძლიერება, ძლიერი ეკლესიის აღდგენის ცდა და მორალური ძალების მობილიზაცია მაჰმადიანობისა და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ – არც ერთი ეს ოსმალეთისა და მისი ახალციხელი მოხელისათვის სასურველი ღონისძიება არ ყოფილა... ახალციხის ფაშამ არაერთგზის შემოუთვალა მეფეს, რათა ტყვის სყიდვა იმერეთში ძველებურად ნებადართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა. ტყვის სყიდვა საერო და საეკლესიო სასჯელით სასტიკად აიკრძალა“.

ქვეყნის შინაგანი ძალების კონსოლიდაციასთან ერთად, სოლომონ მეფემ დიდი ყურადღება დაუთმო საგარეო მოკავშირის — საიმედო დამხმარე ძალის უზრუნველყოფის საკითხის მოგვარებას. იმერეთის მეფემ კეთილმეგობრული ურთიერთობა დაამყარა ქართლისა და კახეთის მეფეებთან. აღსანიშნავია, რომ ხრესილის ბრძოლამდე რამდენიმე ხნით ადრე, კერძოდ, 1752 წელს, იგი სამხედრო ძალით დაეხმარა თეიმურაზ ი-ს ქართლში შემოჭრილი ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო 1758 წელს სოლომონ ი-მა, ერეკლე ი-მ და თეიმურაზ ი-მ გორში მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს. საეკლესიო და საერო რეფორმებთან ერთად, მეფე სოლომონ ი სამხედრო თადარიგსაც იჭერდა.

მეფის ბრძანებით, ქვემო მხრის სარდლად დამტკიცებული იყო გვიშტიბის ციხის პატრონი — ბერი ლორთქიფანიძე, ზემო მხრის სარდლად — ქაიხოსრო წერეთელი, რაჭის — „ლიხთიმერეთის სპასპეტი და ვიპატოსი“ როსტომ ერისთავი, ოკრიბა-ლეჩხუმისა — ქაიხოსრო აგიაშვილი. მასვე ებოძა სამეფოს ყველა ციხის განმგებელ-ციხისთავისა და მანდატურთუხუცესის სახელი, რომელსაც აქამდე დროებით სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე ფლობდა.

ბოქაულთუხუცესობა, ანუ კანონიერებისა და წესრიგის დაცვა ბერ წულუკიძეს მიენდო. დაინიშნენ სასამართლო მოხელეები — ორი დიამბეგი და ამდენივე ხევისთავი, აგრეთვე — სახასო სოფლებისა და დაბა-ქალაქების მოურავები: მუხურის, ქვიტირის, სიმონეთის, სვერის, ლიხის, ხეფინისხევის, კაცხის, ღიდორას, გეგუთის, ბაღდადისა და ვანის.

სოლომონის დიდი დასაყრდენი ძალა გახდა სამეფო გვარდიის „ფიცის კაცები“, რომლის ბირთვი იყო „წმინდა გიორგის“ რაზმი. „ფიცის კაცები“ იყვნენ აზნაურები: ავალიანი, მესხი, ყიფიანი, იოსელიანი, ღოღობერიძე, მიქაბერიძე, ქორქაშვილი, იაშვილი, უგრეხელიძე, გრიგოლაშვილი, ჭაბუკიანი. მათ სარდლობდა თავადი ლორთქიფანიძე. ამათგან 15 წლისა უკვე სამხედრო ვალდებული ხდებოდა, ხოლო საომრად გამოდიოდა ყველა, ვისაც იარაღის ხმარება შეეძლო, განურჩევლად ასაკისა. ისინი ყოველწლიურად 15 მაისს იკრიბებოდნენ ერთ ამორჩეულ ადგილას, სოფელ გურეშევის ახლოს, გაშლილ მინდორზე (ლეკერწა), უზარმაზარი მუხის ქვეშ და ფიცს დებდნენ: „ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყნისა, ვიყო მტერი მათი მტრისა და მოყვარე მოყვრისა“.

ფიცის დადების შემდეგ დიდ მინდორზე გაშლიდნენ სუფრას და ყველანი ერთად შემოუსხდებოდნენ. პირველი დიდი სასმისით იტყოდნენ: „დიდება ღმერთსა, ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს მეფესა და მის ერთგულ ერთობით ფიცის კაცთა“, შემდეგ გრძელდებოდა ლხინი. „ფიცის კაცებს“ გლეხებიდან კომლზე ერთი მეომარი გამოჰყავდათ, თავად კი ყველანი გამოდიოდნენ, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო.

„ფიცის კაცებს“ ომის დროს დიდი ერთობა ჰქონდათ: ბრძოლაში ერთად შედიოდნენ, ერთიმეორეს ვერ ტოვებდნენ: ერთად გაწყდებოდნენ ან ერთად გაიმარჯვებდნენ. ბრძოლის ველზე არც დაჭრილს დატოვებდნენ და არც მკვდარს. თუ ვინმე შეშინებული ან ხმალამოუღებელი მოკვდებოდა, იმას არც მარხავდნენ და არც შინ წამოასვენებდნენ, მინდვრად დააგდებდნენ, მხეცების შესაჭმელად. თუკი ასეთი კაცი ცოცხალი გადარჩებოდა, იგი „ფიცის კაცებში“ ვეღარ დარჩებოდა — მაშინვე აჰყრიდნენ და გააძევებდნენ, მის ადგილ-მამულს კი თავად შეისყიდდნენ.

სოლომონ ი კარგად ხედავდა, რომ მისი ღონისძიებები ფეოდალთა ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებოდა. იმერელი მემამულეები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული იმერეთის ციხეებში მდგარ ოსმალურ გარნიზონებთან, რომლებიც ძირითადად ქართველი მაჰმადიანებისაგან შედგებოდა (ბევრი მათგანი იმერელი ფეოდალების ნათესავიც იყო). სანამ იმერეთის ტერიტორიაზე ოსმალთა ჯარები იდგნენ, ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგო იქნებოდა. ფხიზლობდნენ ოსმალებიც.

სულთნის ბრძანებით, თურქთა ლაშქარი გოლა ფაშას სარდლობით იმერეთში შევიდა და ხრესილის ველზე დაბანაკდა. მტრის ბანაკში გამოცხადდა სამშობლოს მოღალატე ლევან აბაშიძე, თავისი რაზმით.

**ბრძოლისწინა პირობები:** სოლომონ მეფემ წინასწარ ჩაკეტა ფოთიდან, გურიიდან და ახალციხიდან მომავალი გზები, საიდანაც ოსმალთა დამხმარე ჯარის შემოსვლა იყო მოსალოდნელი. დანიშნულ დროზე მეფის ჯარების ერთი ნაწილი ოსმალთა ხელში მყოფ ციხეებს შემოადგა, ძირითადი ნაწილი კი, თვით მეფის სარდლობით, ხრესილისაკენ დაიძრა. სოლომონის ლაშქარში, ერთგულ თავად-აზნაურებთან ერთად, მასობრივად გამოვიდნენ გლეხები — კომლზე თითო მოლაშქრე.

მეფეს მოუვიდა გურიისა და სამეგრელოს სამთავროთა რაზმებიც. უკანასკნელს სამურზაყანოელთა რაზმიც ახლდა, ხუტუნია შერვაშიძის სარდლობით. მეფის წინააღმდეგ ხრესილის ველზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი იდგა: მასში შედიოდნენ ახალციხისა და აჭარის სანჯაყთა ჯარები, რომელთაც ახალციხის ფაშას მოადგილე გოლა ფაშა სარდლობდა. მასთან იყვნენ ლევან აბაშიძე და ერთ-ერთი წულუკიძეთაგანი (როგორც ჩანს, რაჭის საერისთავოდან), თავიანთი რაზმებითურთ.

პირველი შეტაკება ზეკარის უღელტეხილთან მოხდა. იმერეთის მეფე ცდილობდა ოსმალთა შეტყუებას ისეთ ადგილზე, სადაც მტრისთვის ჩასაფრება იქნებოდა შესაძლებელი. მხოლოდ ამ გზით მოხერხდებოდა ქართველებზე რიცხობრივად დიდი ლაშქრის დამარცხება.

პირველი შეტაკების შემდეგ სოლომონმა უკან დაიხია და კაკასხიდთან გამაგრდა. მეორე დღეს მეფემ ეს პოზიციებიც დათმო. სოლომონ ი-ის წინააღმდეგ ზეკარსა და კაკასხიდთან მიღწეული წარმატებით გათამამებულმა გოლა-ფაშამ, ლევან აბაშიძისა და როსტომ რაჭის ერისთავის თხოვნით, იმერეთის მეფის დევნა განაგრძო. გადამწყვეტი ბრძოლის ადგილამდე მხარეებმა თითქმის 100 კმ. გაიარეს. ოსმალთა ლაშქარი გოდოგონ-გელათის გზით ხრესილს მიუახლოვდა. სოლომონ ი-ის გეგმის ძირითადი ნაწილი შესრულებული იყო. მან მტერი ხრესილის პატარა მინდორზე გაიტყუა.

**სამოქმედო გეგმა:** ბრძოლის დაწყების წინ სოლომონ მეფემ კონკრეტული ამოცანები დაუსახა თავის სარდლებს, კერძოდ: ციხისთავს, სარდალ ქაიხოსრო აგიაშვილს, ბაღდათის (თხმელის) ციხის აღება უბრძანა; მეფის ძმას – არჩილს და თავად გიორგი აბაშიძეს შორაპნის ციხეზე უნდა მიეტანათ იერიში; ცხენოსანთა ჯარის სარდალი, პაპუნა წერეთელი, და ქვეითთა სარდალი, ბერი წულუკიძე, მეფესა და ძირითად ლაშქართან ერთად, ხრესილთან რჩებოდნენ და მთავარი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. ქუთაისის ციხის ალყაში მოქცევა „ფიცის კაცებს“ დაევალათ.

**სამოქმედო რაიონი:** ოსმალებთან გადამწყვეტი ბრძოლის ხრესილთან გამართვის აუცილებლობა მისი ადგილმდებარეობითაც იყო ნაკარნახევი. დაახლოებით, 3,2 ჰექტარი ფართობის მქონე ხრესილის ველი – ტბაშავის ვაკე ჩრდილოეთიდან ერთბაშად ვიწროვდებოდა და ეკალბარდით გადავლილ, ძნელად ასასვლელი ფერდობების წინ წყდებოდა. ეს უკანასკნელნი ველს სამი მხრიდან გადმოჰყურებდნენ ისე, რომ აქ შემოსული კაცი, მით უფრო მტერს გამოდევნებული მთელი ლაშქარი, ბუნების ხელით შექმნილ მარყუჟში ექცეოდა; თუკი ჩასაფრებული მოწინააღმდეგე საიდანმე ტყვიას დაუშენდა, ზედ უნდა შეჰკვდომოდა, ან, თავის გადასარჩენად, მხოლოდ უკან უნდა დაეხია... სამივე ციცაბო ფერდობზე, სადაც კაცი ფეხის მოკიდებას შეძლებდა, ქართველებმა თხრილებით ურთიერთშეერთებული სანგრები გათხარეს. ამასთან, ბრძოლის ველი ძალთა მანევრირებას ზღუდავდა. შეტევაზე გადასვლის ადგილები მეფემ წინასწარ შეარჩია.

**ბრძოლის მსვლელობა:** 1757 წლის 14 დეკემბერი თენდებოდა. ხრესილის ველზე 44 000 ოსმალო და 11 000 ქართველი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ელოდებოდა. სოლომონ მეფემ ლაშქარი დაასვენა, თვითონ კი გათენებამდე ბჭობდა სარდლებთან.

გამთენიისას ჯარი საომრად იყო შემართული. 22 წლის სოლომონმა, როგორც ქვეყნის მეფემ და მამამ, მეომრებს სიტყვით მიმართა: „შვილებო, ძმებო, ქართველებო! მჯერა, არ შეგაშინებთ მტერთა სიმრავლე. აკი ყოველთვის ასე გვჭირდა ქართველთა: მუდამ მცირედნი ამარცხებდნენ ჩვენი წინაპრები ათგზის უმრავლეს მოსისხლეებს და დღესაც მარტონი როდი ვიბრძვით, არამედ ჩვენთან არის ძალა იესო მაცხოვრისა. მისი თანადგომით, დღეს უნდა ვიხსნათ ჩვენი სამშობლო და ქრისტეს სარწმუნოება. მაშ მომყევით გულმხნედ და ვაჟკაცურად, ჩემო შვილებო“.

სოლომონ ი-ის ჯარისადმი მიმართვის შემდეგ დაჰკრეს საომარ ბუკსა და ნაღარას. მეფემ ხმალი აღმართა და ბრძოლის ველისაკენ გაიჭრა. მას მიჰყვა მთელი ლაშქარი. ოსმალონიც საბრძოლველად მომზადებულიყვნენ. ვიღაცას წინასწარ გაეფრთხილებინა და ხრესილზე მდგომი ოსმალებისათვის მეფის განზრახვა ეცნობებინა.

დაიწყო ფიცხელი ომი. მეფემ მარჯვნივ შეუტია, პაპუნა წერეთელმა – მარცხნივ. გათენებამდე ძლევა არც ერთ მხარეს არ დარჩენია. თავიდან გააქტიურდნენ თურქები. სოლომონის მებრძოლებმა ისინი თავისიანებისაგან ვერ გაარჩიეს და ახლოს მიუშვეს, მათ კი ხელი სტაცეს სამეფო დროშას, გაიტაცეს და ოსმალო სარდლებს მიურბენინეს.

სამეფო დროშის დაკარგვა ნებისმიერი ქვეყნის ჯარში იწვევს მორალურ-ფსიქოლოგიურ და საბრძოლო სულისკვეთების დაცემას. ქართველთა ჯარში არეულობა რომ არ დაწყებულიყო, მამია გურიელმა თავისი რაზმით ოსმალთა იმ გუნდს შეუტია, რომელსაც დროშა ჰქონდა. მტერმა გურიელის რაზმის შეტევას ვერ გაუძლო. ქართველებმა დაიბრუნეს დროშა.

ბრძოლაში ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ ახალგაზრდა მეფე და ოსმალთა ერთ-ერთი სარდალი – ალი ფაშა. ორთაბრძოლაში სოლომონმა ხმლით გადაჭრა თურქი.ამან არეულობა გამოიწვია მტრის რიგებში. სოლომონ მეფის მიერ ალი ფაშას მოკვლის შემდეგ ბრძოლის სასწორი კვლავ გასწორდა. სოლომონმა თანდათან მტერი ალყაში მოაქცია. ფლანგებიდან დარტყმამ ოსმალთა ჯარის ნაწილები არია. ამ დროს მტერმა შენიშნა შემაღლებულ გორაკზე მდგარი სოლომონ ი თავისი რაზმით და მასზე მიიტანა იერიში. მეფე დიდი შემართებით შეება ოსმალებს, მაგრამ მტერი რიცხობრივად ჭარბობდა. სწორედ ამ დროს სოლომონს წამოეშველა სამურზაყანოს მთავარი, ხუტუნია შერვაშიძე, რომელიც გასაოცარი მამაცობით გამოირჩეოდა. მან, პირადად, 16 ოსმალო აკაფა, მაგრამ თვითონაც დაეცა მტრის ტყვიით განგმირული.

ქართველებმა იმარჯვეს. ოსმალები დამარცხდნენ და თავის გადასარჩენად უგზო-უკვლოდ გაიქცნენ. ქართველები იჭერდნენ მათ და ტყვეებად მიჰყავდათ. ოდიშელმა მეომრებმა ოსმალთა სამივე სარდალი შეიპყრეს და მეფე სოლომონს მიჰგვარეს. ხრესილის ბრძოლა დღის ბოლომდე

გაგრძელდა. ჩეხდნენ და ხელთ იგდებდნენ მტერს. დატყვევებულთა შორის იყვნენ გედევან აბაშიძე და ერთ-ერთი წულუკიძე.

მოღალატე ლევან აბაშიძე ბრძოლაში მოკლეს. როსტომ რაჭის ერისთავმა გაქცევით უშველა თავს. მოგვიანებით მეფემ მოახერხა მისი შეპყრობა.ორორგულ ერისთავსა და მის ვაჟებს თვალები დასთხარეს.

ამ დროს სოლომონს შეატყობინეს ქართველთაგან შორაპნისა და ბაღდათის ციხეების აღების შესახებ. მეფესთან გამოცხადდა ბერი ლორთქიფანიძე, მიულოცა გამარჯვება და მოახსენა: ქუთაისის ციხე შემოკრული მაქვს და გალავანს გარეთ ვერავინ გამოსულა, გარდა ექვსი კაცისა, რომლებიც ასისთავმა მომგვარა. ამათი წინაპარი ოდესღაც ქართველი ყოფილა და სურთ, ისევ მამა-პაპის რჯულს დაუბრუნდნენო. მეფემ ბრძანა მათი მოყვანა. აღმოჩნდა, რომ მათგან ერთი, კვიჟინაძე, აჭარიდან იყო; მეორე, ქვარიანი — შავშეთიდან; მესამე, ჭოლოშვილი — ასპინძიდან; მეოთხე, კიკიანი — ჭანეთიდან; მეხუთე, ინიკავაძე — ჩაქვიდან; მეექვსე, კეჟერაძე კი — ქობულეთიდან. მეფემ უბრძანა მათ: ეგებ გულით არ გსურთ ქრისტიანობა და შიში გაიძულებთ? ამ სიტყვებზე მაჰმადიანებმა დაიჩოქეს და ქრისტიანობის რჯული ითხოვეს. სოლომონ მეფემ პაპუნა წერეთელი მისცა მათ ნათლიად. ჩააყენეს ისინი რიონში და მონათლეს, შემდეგ მიწებიც დაურიგეს და იმერეთში დაასახლეს.

**ანალიზი:** ხრესილის ბრძოლას ბევრი საერთო სპეციფიკური ნიშანი აქვს წინა ეპოქებში ქართველთა მიერ გამარჯვებით დამთავრებულ ბრძოლებთან. ეს ბრწყინვალე გამარჯვება შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:

- დასავლეთ საქართველოდანროსმალთა დამარცხებისა და განდევნის კარგად მოფიქრებული სტრატეგიული გეგმის ეტაპობრივად სწორი ფორმებით შესრულებამ;
- სოლომონ რ-ის მიერ მსხვილ, გავლენიან ფეოდალთა ძალაუფლების შეზღუდვამ;
- საშუალო და წვრილ აზნაურებზე ორიენტაციის აღებამ;
- ,,ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვითა და საოსმალო გადასახადების გაუქმებით, გლეხობაში დიდი მხარდაჭერის მოპოვებამ;
- მიტაცებული ქონებისა და ყმა-მამულის ეკლესიისათვის დაბრუნებამ. საერთოდ, ეკლესიის, როგორც მეფის ხელისუფლების დასაყრდენი ინსტიტუტის, გაძლიერებამ:
- სამეგრელოს მთავრის ასულზე დაქორწინებითა და გურიის სამთავროზე გავლენის გაძლიერებით, მოკავშირეების შეძენამ;
- ცალკეული თავადებისაგან ციხეების შესყიდვით სამეფოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებამ;
- ადმინისტრაციული რეფორმებით ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებამ და ,,ფიცის კაცთა“ ინსტიტუტის შემოღებამ;
- საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ფოთიდან და გურიიდან მომავალი გზების ჩაკეტვამ, ანუ ოსმალთა დამხმარე ლაშქრისათვის შემოსასვლელი გზის გადაღობვამ;
- გენერალური ბრძოლის დაწყებამდე სოლომონ რ-მა მცირე შეტაკებებში მიზანმიმართულად დაიხია უკან და მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე შეიტყუა ხრესილის ვიწრობებში, სადაც სანგრები და მყარი თავდაცვითი პოზიციები ჰქონდა მოწყობილი;
- მეფის მიმართვა ჯარისადმი შემთხვევითი არ იყო. სოლომონ რ-ის სიტყვის მთავარი დანიშნულება და მიზანი იყო ქართველთა ჯარის სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზება მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის გასანადგურებლად;
- ბრძოლის დაწყებამდე ამოცანების დასახვამ უზრუნველყო მართვის დეცენტრალიზაცია — დაბალი რგოლის მეთაურთა დამოუკიდებელმა და ეფექტურმა ხელმძღვანელობამ გააიოლა რამდენიმე ციხესიმაგრის აღება.

ეს ბრძოლა იყო გონივრულად დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია, რომლის დროსაც სოლომონ რ-მა ბრწყინვალედ გამოიყენა სამხედრო ხელოვნების უმნიშვნელოვანესი პრინციპები:

- ძალთა არათანაბარი განაწილება;
- ძირითადი და დამხმარე დარტყმების სწორი განსაზღვრა;
- ადგილმდებარეობის ეფექტური გამოყენება;
- ძალთა სწრაფი მანევრირებით მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა;
- მცირე ძალებით მრავალრიცხოვანი ძალების დამარცხება.

**შედეგი:** 12 000 ოსმალო დაიღუპა ბრძოლის ველზე, 15 000 ტყვედ ჩავარდა, დანარჩენებმა ძლივს გააღწიეს იმერეთიდან. ოსმალებისაგან გათავისუფლდა ბაღდათის, შორაპნის, ცუცხვათისა და ქუთაისის ციხესიმაგრეები.

ხრესილის ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იმერეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის წარმატებით დაიწყო ბრძოლა. ეს პირდაპირ უკავშირდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერებას. ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ფიზიკურ და სარწმუნოებრივ განადგურებას გადაურჩა

მტერზე პირველ დიდ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა იმიტომაც ჰქონდა, რომ მოსახლეობას, უპირველესად, დაუბრუნდა საკუთარი ძალების რწმენა. გაჩნდა მრავალრიცხოვანი

მოწინააღმდეგის დამარცხების იმედი. ხრესილის გამარჯვება იყო მტრისაგან იმერეთის მთლიანად გათავისუფლებისა და ოსმალთა ბატონობის დასასრულის დასაწყისი.

სოლომონ ი-ის სახელმწიფო ბეჭედზე გაჩნდა წარწერა: „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლთ მჩქეფე, იმერთ მეფე სოლომონი“. თუმცა საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

## § 61. მეფე ერეკლე ი

**პოლიტიკური ვითარება:** ერეკლე ი, თეიმურაზ ი-ის შვილი, 1720 წლის 7 ნოემბერს დაიბადა თელავის სასახლეში. ბატონიშვილმა ბავშვობა მკაცრი ცხოვრების პირობებში გაატარა ფშავში. მას მწყემსების ქოხების გვერდით უხდებოდა ცხოვრება. მის მეგობრებში ერივნენ გლეხის ბიჭებიც, რომლებთანაც ფარიკაობდა და ნადირობდა. იგი ადრე შეეჩვია ცხენზე ჯდომას. შეიძლება ითქვას, სპარტანულმა აღზრდამ გამოაწრთო და გააკაჟა მისი ნებისყოფა, რაც აუცილებელია მებრძოლისათვის. საბრძოლო ნათლობა 15 წლისამ მიიღო. იგი ალაზნის პირას, ნეიშნის ველზე დაესხა თავს ქიზიყიდან მომავალ ლეკების ლაშქარს და სასტიკად დაამარცხა.

1737 წლის თებერვალში ნადირშაჰის მოთხოვნით, მეფე თეიმურაზ ი იძულებული გახდა უფლისწული ერეკლე ირანში მძევლად გაეგზავნა. ინდოეთში მძიმე ლაშქრობების დროს იგი თან ახლდა ნადირშაჰს. ამ ლაშქრობებში ერეკლემ კარგი საველე სამხედრო სკოლა გაიარა. იგი დარწმუნდა, რომ მხედართმთავარი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს მებრძოლის ერთგულებასა და სიყვარულს, თუ მის ჭირსა და ლხინს გაიზიარებს.

1739 წლის დეკემბერში უფლისწული სამშობლოში დაბრუნდა. ამ გზით გამოვიდა ახალგაზრდა ერეკლე სახელმწიფოებრივი და სამხედრო მოღვაწეობის სარბიელზე. უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე ბრძოლებში მონაწილეობამ, პრაქტიკულად, ხელი შეუწყო მისი მხედართმთავრული ნიჭის განვითარებას.

ამავე პერიოდში ამიერკავკასიაში ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა გავლენის სფეროების გადასანაწილებლად. ასეთ ვითარებაში თეიმურაზ ი, რეალურად შეაფასა რა არსებული მდგომარეობა, გარეგნულად აშკარად მიემხრო ირანს, რამაც 1744-1745 წლებში ქართლ-კახეთში მამისა და შვილის ქრისტიანული წესით კანონიერ მეფეებად აღიარება გახადა შესაძლებელი.

ამასთან, ერეკლემ გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები, კერძოდ: სახელმწიფო მმართველობა დარგობრივად დანაწილდა (სამხედრო, საგარეო საქმეთა, სასამართლო, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სხვა). როგორც ცნობილია, 1762 წლის 29 ივნისს მამის, თეიმურაზ ი-ის რუსეთში გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა, რამაც აღმოსავლეთ საქართველოს საერთო-პოლიტიკური ინტერესებით გაერთიანება განაპირობა.

ლეკთა მოულოდნელი თავდასხმების აღსაკვეთად მეფემ სადროშოები სამდევროებად (რაზმებად) დაყო. მათ მეთაურებს მეფისაგან განსაზღვრული ჰქონდათ საბრძოლო მოქმედებების წარმართვის ტაქტიკა, ე.ი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ერთი სამდევრო მოწინააღმდეგეს წინ წაწევის საშუალებას არ აძლევდა, ხოლო მეორე, გარკვეული მანევრის შემდეგ, მტერს უკან დასახევ გზას უჭრიდა.ასეთი სწრაფი და გაბედული მოქმედებების შედეგად, ქართველებს შეეძლოთ მოწინააღმდეგე ალყაში მოექციათ ან გაენადგურებინათ სხვადასხვა მხრიდან იერიშების შედეგად. ერეკლე მეფემ შეიმუშავა 16-მუხლიანი დოკუმენტი, რომელიც, სამხედრო თვალსაზრისით, შეიძლება დაიყოს შემდეგ განკარგულებებად და პუნქტებად:

პირველი – (1-6) სამხედრო ოლქების (უბნების) მიხედვით დაზვერვის, ურთიერთქმედების ორგანიზაცია და საბრძოლო მოქმედებების წარმართვის მეთოდები;

მეორე – (7-8) დეზერტირთათვის დისციპლინარული სასჯელი, რომლის
სიდიდე და ფორმა სოციალური კუთვნილების პრინციპზეა დამყარებული;

მესამე – (9-13) მოლაშქრეთა ხელმძღვანელობის საკითხი და მათი პასუხისმგებლობა;

მეოთხე – (14-16) განმარტებულია გაცემული განკარგულებებისა და ღონისძიებების მნიშვნელობა ქვეყნის დაცვის საქმეში უფლისა და ერის წინაშე.

მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობითა და ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა სადაზვერვო ინფორმაციის გადაცემის, შეტყობინების და იმდროინდელი შეიარაღებული ძალების ორგანიზაციული სტრუქტურა. გაიოზ რექტორის მიერ სამხედრო განათლების ასამაღლებლად ითარგმნა სამხედრო შინაარსის წიგნები და წესდებები.

ქართლ-კახეთში არსებული სადროშოების გათვალისწინებით და ერეკლე ი-ის მიერ მოწვეული დარბაზის სხდომის 1774 წლის 1 იანვრის „განჩინების“ (37 მუხლი) საფუძველზე, დაარსდა „მორიგე ჯარი“. მას ერეკლე მეფის ვაჟი – ლევან ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა.3 მორიგე ჯარში სამსახურის შესახებ დებულება ქართლ-კახეთის სამეფოში ოფიციალურად 1774 წლის 4 იანვრიდან მოქმედებდა.

მორიგე ჯარში იმ დროისათვის 6000-მდე მებრძოლი მსახურობდა. ლაშქრის ეს რაოდენობა ზამთრის პირობებში ნახევრდებოდა 3000-მდე, რაც გამოწვეული იყო ამ პერიოდში მოწინააღმ-

დეგის იშვიათი თავდასხმებით.ეს გასაგებიცაა, რადგან ამ დროს საომარი კამპანიების ჩატარება მომხვდურისათვის, უმეტესად, წამგებიანი იყო.

სამხედრო რეფორმებმა, რომლებიც ეერეკლე იი-ის თაოსნობით ჩატარდა, სამოხელეო აპარატის გაზრდა განაპირობა. სამხედრო ორგანიზაციაში დიდი როლი დაეკისრა ლაშქარნავისს (სამეურნეო დარგის მოხელე სამხედრო უწყებაში), რომელიც კანცელარიის მმართველი იყო. მას ლაშქრის აღრიცხვა-მომარაგება და ჯამაგირის გაცემა ევალებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფოში ექვსი ლაშქარნავისი იყო: ომან ხერხეულიძე, მანუჩარ თუმანიშვილი, სვიმონ გურგენიძე, ასლან ვაჩნაძე, ივანე ქობულაშვილი, იოსებ მელიქიშვილი. ერეკლეს რეფორმებთანაა დაკავშირებული ᲡᲓიიი ს-ის მეორე ნახევარში შემოღებული თანამდებობები (სახელოები): მინბაში – ათასისთავი, ფონსადბაში – ხუთასისთავი, უზბაში – ასისთავი, თოფჩიბაში – მეზარბაზნეთა უფროსი. მეფის საგანგებო საბჭოსთან დაარსდა განსაკუთრებული დაწესებულება – „სამხედრო კანტორა“, რომელიც ყოველგვარ სამხედრო საქმეს აწესრიგებდა.აახალი საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბებამ დღის წესრიგში დააყენა სამხედრო შინაარსის წიგნებისა და წესდებების გაცნობა, გადათარგმნა, რაც აამაღლებდა სამხედრო განათლებას. რეგულარული ჯარის შექმნის საჭიროებისათვის მეფე ერეკლემ გაიოზ რექტორს უბრძანა, ეთარგმნა პეტრე ი-ის სამხედრო ტიპიკონი, ანუ წესდების წიგნი, რომლის საფუძველი ევროპული სამხედრო სახელმძღვანელოები იყო.

ქართლ-კახეთის სამეფოს ლაშქარს სპეციალურად მომზადებული პირები წვრთნიდნენ რუსული წესის მიხედვით, რომელიც ევროპულთან იყო მიახლოებული.

განვითარდა და განახლდა მრეწველობა, განსაკუთრებით – სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი – სამთო მადნეულის წარმოება 1774 წელს ახტალასა და ალავერდში, იმ დროისათვის არსებული ზარბაზნების (1749 წელს – პირველად), ზამბულაკების, ციხის თოფების, ხელყუმბარებისა და სხვა თოფ-იარაღის დამზადება. მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ იმდროინდელი 120 მმ-იანი ზარბაზანი 20-22 გრადუსიანი კუთხით 1066-2980 მეტრამდე ისროდა, თოფი – 65-115 მეტრამდე, ზოგი უფრო შორსაც.

გიულდენშტედტის გადმოცემით ვგებულობთ, რომ მან 1772 წლის 18 თებერვალს დაათვალიერა თოფის წამლის ქარხანა.Ემისი აღწერით, საბრძოლო მასალაში გამოყენებული წამლის შემადგენელი ნაწილების პროპორცია ასეთია: 13 ნაწილი გვარჯილა, 2 ნაწილი გოგირდი და 3 ნაწილი ნახშირი, ტირიფისა ან თხილისა. ხელყუმბარისათვის: 24 ლუტი (ერთგვარი საწყაო) წმინდა მარილი, 10 – 1/2 ლუტი გვარჯილა, 3 ლუტი გოგირდი.

ერეკლეს დროს აშენდა და განახლდა საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ციხეები და ციხე-გალავნები), რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მოსახლეობისა და ქართლ-კახეთის სამეფოს თავდაცვისუნარიანობაში. ისინი ძირითადად განლაგებული იყო მოწინააღმდეგისთვის ძნელად ხელმისაწვდომ ადგილებზე. იშვიათად – მაგისტრალური გზების გასწვრივ.

საქართველოში დაბრუნდა ანტონ ი, რომელიც კვლავ ქართული ეკლესიის წინამძღოლად აირჩიეს. იგი სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოს საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებას. აღადგინეს სტამბა, წიგნის ბეჭდვა. განახლდა მეცადინეობები თბილისის სემინარიაში, თელავის რიტორიკულ-ფილოსოფიურ სკოლაში, დაარსდა ახალი სამონასტრო სკოლები და სხვა.

## §62. ყირბულახის ბრძოლა

**პოლიტიკური ვითარება:** ᲡᲓიიი საუკუნის 50-იანი წლებიდანıქართლ-კახეთის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი, როდესაც ქართული სამეფოები, შექმნილი რთული საგარეო ვითარებიდან გამომდინარე, ცდილობდნენ საშინაო პრობლემების მოგვარებას და სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრას.

1751 წელს, ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ, აზატ-ხანმა ავღანთა და უზბეკთა ჯარებით დაიმორჩილა თავრიზი, ურმია და ხორასანი (მაშინდელი ირანის ტერიტორია). მან ლაშქრით გადმოლახა მდ. ბარაქსი, დაიკავა ნახჭევნის სახანო, მოარბია სომხეთის ტერიტორიები და ერევნის ციხეს ალყა შემოარტყა. სტრატეგიული მიზანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონება იყო.

ერეკლე მეფემ შეკრიბა ქართლ-კახეთის, ყაზახ-ბორჩალოს ლაშქარი და, სოღანლუღ-მარნეულის გზით, ერევნისაკენ გაემართა. მიზანი იყო სამხრეთის საზღვრების გამაგრება და ერევნის სახანოს ვასალური მდგომარეობის შენარჩუნება.

ქართველთა ლაშქრის სომხეთისაკენ სვლა მოწინააღმდეგის დაზვერვას გაუგებარი არ დარჩენია. ამიტომ აზატ-ხანის ერთ-ერთმა სარდალმა, რომელიც ერევნის ციხის ალყას ხელმძღვანელობდა, უკან დაიხია. მეციხოვნე ჯარი დამშეული აღმოჩნდა. თითქმის მთელი სახანო დაცარიელებული იყო მუშახელისაგან. ერეკლე მეფემ მებრძოლებს მოამკევინა, გაალეწინა პური და ციხეში შეაგზავნა. ერევანში მან დააპატიმრა რამდენიმე პოლიტიკურად საეჭვო წარჩინებული პირი და თბილისში გამოგზავნა.

შემდეგ ერეკლემ ყირხბულახში, შემაღლებულ ადგილას, დაიჭირა პოზიციები და, ერთი მხრივ, ერევანს ადევნებდა თვალყურს, მეორე მხრივ კი მარბიელი რაზმების თავდასხმით დიდად აზარალებდა მტერს. აზატ-ხანის ლაშქრის მიერ დარბეული ერევნის ციხე კვლავ ქართველებს დაექვემდებარა, რამაც ხელი შეუწყო მომავალი საბრძოლო მოქმედებებისათვის დასაყრდენის მოპოვებას.

**მებრძოლი მხარეები:** მემატიანის გადმოცემით, აზატ-ხანმა ერეკლე მეფის მოქმედებების შესახებ რომ გაიგო, ,,აღბორგდა მხეცი... მოვიდა ყირხბულახს და სადა მეფე ერეკლე იდგა, მთათა ზე წამოდგა“. მოწინააღმდეგის რაოდენობა 18 000 კაცი იყო, მათგან მდ. გაკნისის ნაპირზე განლაგებულ აზატ-ხანის ბანაკში 1 500-მდე ბანაკის მცველი და საჭურველმტვირთველი დარჩა;ეე.ი. ბრძოლაში მონაწილეობდა, დაახლოებით, 16 500 მებრძოლი.ეეს მტკიცდება პ. ორბელიანის გადმოცემით: ,,ჯარიც ასეთი ჰყვანდა, რომ ქართველთა ჯარი მათი მეხუთედი ძლივს იქნებოდა“. მტრის ლაშქარი საკმაოდ გამოცდილი მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული და გამოირჩეოდა კარგი შეიარაღებით (ზარბაზანი, თოფი, დამბაჩა, ხმალი, შუბი).

ქართველთა ლაშქრის საერთო რაოდენობა იყო 3000. მათგან 500-მდე მებრძოლი ლოგისტიკური მომარაგებისა და ერევნის ციხის დაცვის საკითხებით იყო დაკავებული; ე.ი. ბრძოლაში 2500 მეომარი მონაწილეობდა. საბრძოლო გამოცდილებით ქართველები მტერს არ ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ შეიარაღებით რაოდენობრივად ჩამორჩებოდნენ.

ქართველთა წყობა ასეთი იყო: მეწინავე დროშის ქვეშ ერთად დადგნენ საბარათაშვილოსა და ქიზიყელთა მებრძოლები, მემარჯვენე და მემარცხენე სადროშოებში – ქართლელები და კახელები, შერეულად. 500-მდე ცხენოსანი ცალკე იდგა, სავარაუდოდ, რეზერვში. ერეკლე ირი მარჯვენა და მარცხენა სადროშოებს შორის იყო თავისი სადროშოთი, საფეხურით უკან. მოწინააღმდეგის ლაშქარი ბრძოლის დაწყებამდე ექვს ნაწილად დაიყო.

**ბრძოლის მსვლელობა:** ბრძოლა დაიწყო 1751 წლის 28 ივლისს, გამთენიისას, აზატ ხანის შეტევით. ყველაზე მძაფრი იერიში მოწინააღმდეგემ ქართველთა მემარცხენე ფრთაზე მოიტ-ანა.ემემარცხენე სადროშო იძულებული გახდა, უკან დაეხია და ერთ ნასოფლარში გამაგრებულიყო. სავარაუდოა, რომ ქართველებსა და მტრის ძალებს შორის პოზიციური ბრძოლა გაგრძელდა.

აზატ-ხანი მოწინავე ძალებით გარს შემოერტყა დანარჩენ სამ სადროშოს და ქართველთა ლაშქარი მთლიანად ალყაში მოაქცია. არსებულ სიტუაციაში, შიკრიკის მეშვეობით, ერეკლემ სარდალ ორბელიანს უბრძანა, მეწინავენი მისი ლაშქრისათვის შეეერთებინა, შემდეგ კი გონებამახვილური ხერხი გამოიყენა: მეფე ჩამოხტა ცხენიდან, ჩამოქვეითება უბრძანა მხედრობას და წინ გაუძღვა ლაშქარს.ემებრძოლები გაფრთხილებულნი იყვნენ: მეფის ნიშნის მიცემამდე იარაღიდან არ გაესროლათ. დაპირისპირებულ მხარეთა რაზმები ალაგ-ალაგ იმდენად მიუახლოვდ-ნენ ერთმანეთს, რომ მათ შორის შუბი გაიმართებოდაო, – გადმოგვცემს მემატიანე. აზატ-ხანის რაზმების მეთაურებმა, ალბათ, იფიქრეს, ქართველები ტყვედ ნებდებოდნენ ან მოსალაპარაკებლად მიდიოდნენ.ეეს იმითაც აიხსნება, რომ მეფე დაქვეითებულ ლაშქარს მიუძღოდა, რამაც მტერი შეცდომაში შეიყვანა. ამ დროს მოწინააღმდეგის რიგებიდან ერთ-ერთი ავღანელი სარდალი გამოვარდა, მეფესთან შესარკინებლად. მოულოდნელად, ეერეკლე ირი-მ თოფი გაისროლა და ავღანთა სარდალი ძირს ჩამოაგდო. ქართველებმა ერთდროულად ატეხეს თოფის სროლა, ცხენებზე ამხედრებულნი იერიშზე გადავიდნენ და მოწინააღმდეგის ცენტრალური დაჯგუფება გაარღვიეს. შეტევის განვითარების შემდეგ მტრის რაზმები პანიკამ მოიცვა. ბრძოლის ველიდან უწესრიგოდ უკან დახევა და გაქცევა დაიწყო. ,,გადრკა ჯარი აზატ-ხანისა, სიდიდისაგან ძლივ იძროდა, მეფე ერეკლე ვითა ლომი დაუშრომელი, ეგრე იბრძოდა თვითცა და ჯარსაც აბრძოლებდა. ამოწყვიტეს ავღანნი... ოთხს აღაჯზე (28 კმ. დ. მ.) ხოცვით უკან მიჰყვნენ“ მდინარე არაქსის ნაპირებამდე.

**ანალიზი:** წარმოდგენილი ბრძოლის ტაქტიკური მოქმედებების აღწერიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ერეკლე ირი-მ სადროშოების ჯვარისებრი საბრძოლო წყობით დაიწყო ბრძოლა, რაც ძალთა დროულად გადაჯგუფების საშუალებას იძლეოდა.ეეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: წინა ფლანგზე მოწინააღმდეგის შეტაკების მხრიდან დგებოდა შედარებით კარგად გაწვრთნილი, მსუბუქად შეიარაღებული და ბრძოლებში გამოცდილი ი სადროშო. საფეხურით უკან მარჯვნივ და საფეხურით უკან მარცხნივ განლაგდებოდნენ ირი და ირირ სადროშოები, მეორე და მესამე სადროშოს შორის, საფეხურით უკან იდ სადროშო დგებოდა, რომელიც მთავარსარდლის განკარგულებაში იყო და მაშველი ჯარის როლს ასრულებდა. როგორც ჩანს, იდ სადროშოს ამოცანა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარეობდა,ჯკერძოდ: მეორე და მესამე სადროშოების შევსება, დანაკარგის შემთხვევაში, და საბრძოლო მოქმედებების განვითარება საჭირო მიმართულებით.

ლაშქრის ასეთი წყობა და დანაწილება, რომელშიც შესაძლებელი იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი მოძრაობა, შეფარდებული იყო ადგილმდებარეობის თავისებურებებთან. მთა-გორიან ადგილებში ასეთი საბრძოლო წყობა სადროშოების დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას იძლეოდა, მოწინააღმდეგისაგან დაფარვისა და მანევრირებისას. აქედან გამომდინარე, სადროშოებს შეეძლოთ, ნებისმიერი მხრიდან მტრის მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში, მზად ყოფილიყვნენ წრიული თავდაცვისათვის, ან განევითარებინათ შეტევები მითითებული მიმართულებით.ააგრეთვე,

ნებისმიერ სადროშოს შეეძლო შეესრულებინა მეორე ეშელონის მოვალეობა. სწორედ ასე მოხდა აღწერილ ბრძოლაშიც. მაგრამ ასეთი საბრძოლო წყობის უპირატესობა მარტო ამით არ განისაზღვრება.

ლაშქარი რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი, თითოეულს კონკრეტული მიზანი ჰქონდა. შადროშოების უფროსებს, მთავარსარდალთან შეთანხმებით, ინიციატივის გამოჩენის საშუალება ეძლეოდათ. ეს გარემოება მეფეს ჯარის მიხმარებისა და ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების პირობას უქმნიდა.ვგარდა ამისა, თუ მოწინააღმდეგე რომელიმე სადროშოს შეუტევდა და იგი უკან დაიხევდა, ეს გარემოება სხვა ნაწილებში არეულობას არ იწვევდა; პირიქით, მეთაურის გადაწყვეტილებით, დარჩენილ სადროშოებს შეეძლოთ უკუქცეულ თავის სადროშოს დახმარებოდნენ და დადევნებული მოწინააღმდეგისათვის ფლანგიდან ან ზურგიდან შეეტიათ.

გასათვალისწინებელია, რომ ერეკლე ირი-ს, შესაძლებლობის შემთხვევაში, რეზერვიც ჰყავდა, რომელშიც ინიშნებოდნენ მხედრები, რამდენიმე ასეული ცხენოსნის შემადგენლობით. ეს განაპირობებდა მობილურობას, შესაბამისად — მანევრის გამოყენების შესაძლებლობას. იგი ექვემდებარებოდა მთავარსარდალს. საბრძოლო მოქმედებებისას შეეძლო რეზერვის გონივრული გამოყენებით გარდატეხის შეტანა.

საბრძოლო გამოცდილება ადასტურებს, რომ მოულოდნელი, სწრაფი და გაბედული მოქმედება ხშირად მნიშვნელოვან შედეგს იძლევა. ამიტომ ყირბულახის ბრძოლაში ერეკლე ირი-მ ცხენოსანთა რეზერვის შემადგენლობა გამოიყენა.ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალყაშემორტყმულ მოწინააღმდეგეზე ზურგიდან მოულოდნელი თავდასხმისა და დამარცხებისათვის.

ამ ბრძოლის ანალიზისას საყურადღებოა ადგილმდებარეობის დამცავი, შემნიღბველი თვისებები და რელიეფი. მეფე ერეკლე აუცილებლად გაითვალისწინებდა მოწინააღმდეგის დიდ უპირატესობას.ამიტომ, საფიქრებელია, რომ ბრძოლისათვის ისეთი ადგილი შეერჩია, რომელიც მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს ძალების გაშლისა და მანევრირების შესაძლებლობებს შეუზღუდავდა.ამ ფაქტს ამტკიცებს მემატიანეც: „გადრკა ჯარი აზატ-ხანისა, სიდიდისგან ძლივ იძროდა“. ადგილმდებარეობამ მოწინააღმდეგის მანევრირების შესაძლებლობა შეზღუდა ბრძოლის დასაწყისშიც და მისი მიმდინარეობისასაც. ამ გარემოებას ამტკიცებს მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი ძალის ეფექტურად გამოუყენებლობაც.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერეკლე მეფის მხრიდან ბრძოლაში გამოყენებულ სამხედრო ხერხს, რომელიც სიტყვიერი ბრძანებით გაიცა: „სანამდის მე თოფი არ ვესროლო, ნურვინ მოინდომებთ შეტევას“.ამ ხერხმა, რომელიც მოულოდნელობის ფაქტორად იყო გამოყენებული, მოწინააღმდეგის ცენტრალური დაჯგუფების სარდლისა და წინა რიგებში მყოფი მებრძოლების ყურადღება მოადუნა.აშემდეგ კი, გარღვევის მონაკვეთზე ქართველთა ლაშქრის სოლისებრი საბრძოლო წყობით მტრის დაჯგუფებაში შეჭრამ, ძირითადი ძალები გახლიჩა და დაანაწევრა.ერეკლე ირი-ის ტაქტიკურმა ხრიკმა მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობაში პანიკა გამოიწვია, მართვაც მოიშალა და დემორალიზებულმა ძირითადმა ძალებმა არაორგანიზებულად დაიხიეს უკან. ბრძოლის შემდეგ ეტაპზე მოქმედებებმა (დევნამ) მოწინააღმდეგეს არ მისცა ძალების კონსოლიდაციისა და რეორგანიზაციის საშუალება, რამაც მისი საბოლოო განადგურება განაპირობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ყირბულახის ბრძოლაში მოწინააღმდეგემ ვერ გამოიყენა ვერც ექვსმაგი უპირატესობა, ვერც ქართველთა მხრიდან დაშვებული ტაქტიკური შეცდომა (ალყაში მოქცევა), რამაც კარდინალურად შეცვალა ბრძოლის მსვლელობა.

ამ ბრძოლაში გამოიყენეს სამხედრო ხელოვნების პრინციპები:

— მთავარი დარტყმის მიმართულების სწორად შერჩევა;
— ადგილმდებარეობის გონივრულად გამოყენება;
— ძალთა დროულად გადაჯგუფება;
— მოულოდნელობის ფაქტორი.

ამ პრინციპების გამოყენება ყოველთვის აქტუალურია საბრძოლო ოპერაციებში.

**შედეგი:**ყირბულახის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვების შედეგად, მდ. არაქსის გამოღმა სანაპირო სრულად გათავისუფლდა მტრის რაზმებისაგან.აზატ-ხანმა, დარჩენილი მცველი რაზმებით, გაქცევით უშველა თავს. ქართველებს ხელში ჩაუვარდათ თოფ-ზარბაზნები, ზამბულაკი (სპარსული დიდი თოფი), ჯაბახანა (საომარი მასალა), სურსათ-სანოვაგიანი კარვები და საჭაპანო ტრანსპორტი — მთლიანად. მემატიანე არ გვაწვდის ცნობებს ძალთა დანაკარგების შესახებ.

ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ უზრუნველყო ზეგავლენის განმტკიცება ერევნის, ნახჭევნის, ყარაბაღისა და სხვა სახანოებზე, ასევე — ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკური კურსის განმტკიცება, რითაც ქართლ-კახეთის თავდაცვისუნარიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

## §63. ბრძოლები მჭადიჯვრისა და ყვარლის ციხეებთან

**საერთო ვითარება:** 1751 წელს აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ბრძოლას განაგრძობდა ლეკთა მცირე და ზოგჯერ საკმაოდ დიდი, ორგანიზებული შემოსევების

წინააღმდეგ, უმთავრესად დაღესტნის მხრიდან. ამის მიზეზი იყო ოსმალეთისა და საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე მაჰმადიანური სახანოების მიერ ხუნძახის (დაღესტანი) ბატონის – ნურსალ-ბეგის წაქეზება ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. ლეკები ოსმალეთის მხარდაჭერის იმედად იყვნენ.

1754 წლის აგვისტოში ნურსალ-ბეგი მრავალრიცხოვანი ლაშქრით შემოიჭრა კახეთში. თეიმურაზ ირი-მ და ერეკლე ირი-მ მშვიდობიანი მოსახლეობის გაფრთხილება და სიმაგრეებში გახიზვნა მოასწრეს. ძალთა სიმცირის გამო, ისინი მოწინააღმდეგესთან აშკარა დაპირისპირებას მოერიდნენ.

**სამოქმედო რაიონები:**

**მჭადიჯვრის ციხე** დუშეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 14 კმ-ზე, ზემო შუახევის, ჭილურტის, ლამოვანისა და ქსოვრისს შორის მდებარეობს, ზღვის დონიდან 700 მ-ზე, მდ. ნარეკვავის (არაგვის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, მცირედ დახრილ ბორცვიან ადგილზე. მას სამი მხრიდან (გრემისხევის შესასვლელი, ბაზალეთის თავი, ზემო კოდისწყარო) სასიგნალო კოშკები ჰქონდა. რეკოგნოსცირებიდან დადგინდა მოწინააღმდეგის მოძრაობის მარშრუტი: კახეთის რეგიონის ჩრდილოეთით მდებარე პატარა სოფლები: ანანური, ქაისხევი, ბაზალეთი, ებნისი, მჭადიჯვარი. ბრძოლის ადგილი დაპირისპირებულ მხარეთა ძალების გაშლისა და მანევრირების საშუალებას იძლეოდა.

**ბრძოლის მსვლელობა:** ავარიელებმა და ლეკებმა დაარბიეს კახეთის რამდენიმე სოფელი (რუისპირი, ახმეტა, გაგნაკორა) და შემდეგ არაგვის საერისთავოში გააგრძელეს მოსახლეობის ხოცვა-აწიოკება.ჯდუშეთში გადაწვეს ერისთავთა სასახლე, წაბილწეს ბოდორნას მონასტერი და ალყა შემოარტყეს მჭადიჯვრის ციხეს. ხუნძახის ბატონი ციხის ბოლოს, ჭალაში დაბანაკდა, სადაც კარვები დაადგმევინა მებრძოლებს. ა

ალყა გაგრძელდა. მუხრან-ბატონის შემწეობით, მჭადიჯვრის ციხეში ტყვია-წამლის მიწოდება არ წყდებოდა. ერეკლე ირი კახეთის ლაშქრით და თეიმურაზ ირი ქართლის ლაშქრით ერთმანეთს დუშეთში შეხვდნენ.ე ერეკლე მეფემ შიკრიკების შეტყობინებით იცოდა, რომ მოწინააღმდეგის ლაშქარი რიცხობრივად ბევრად აღემატებოდა ქართველთა ჯარს, ამიტომ საჭირო გახდა, დალოდებოდნენ ჩერქეზების დაქირავებულ ჯარს. ამ ხნის განმავლობაში მჭადიჯვრის ციხე საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მეტი ლოდინიც აღარ შეიძლებოდა. დამხმარე ჯარი არ მოვიდა და გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში. ,,გენერალური ბრძოლის წინა ღამეს, როდესაც მეციხოვნეებს ძალიან გაუჭირდათ სიმაგრის შენარჩუნება, ციხიდან ფარულად გამოსულა გმირი-ქალი, ქრისტინე ცქრიალაშვილი, რომელმაც მოწინააღმდეგის ექვსი კარავი ცეცხლს მისცა და მათში მყოფი მებრძოლები გაანადგურა. მეშვიდე კარავთან მიახლოებისას ის მტერმა აკუწა“.

1754 წლის 16 აგვისტოს მეფეები წამოვიდნენ დუშეთიდან, გადმოვიდნენ სოფელ ჭილურტის მხარეს და მჭადიჯვრის ციხეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიადგნენ. როგორც კი მეციხოვნეებმა მაშველი ძალის მოსვლის შესახებ გაიგეს, ბრძოლა კიდევ უფრო გააქტიურეს. ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა, სხვა ბრძოლებთან შედარებით, განსხვავებული იყო: წინ იყვნენ ქვეითები, მათ უკან – თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული ჯგუფები და ცალკე – ცხენოსნები. სავარაუდოა, რომ ლაშქრის ასეთი წყობა მოწინააღმდეგე ძალების განლაგებით იყო განპირობებული.აამ ფაქტს ადასტურებს ის, რომ, გადმოცემის თანახმად, ქვეითებს ქვეითებზე მიუტანიათ იერიში, ხოლო ცხენოსნებს – ცხენოსნებზე. მოწინააღმდეგესთან უდანაკარგოდ მიახლოების მიზნით, ქართველებმა ჯარჯით (ხის მორი) დატვირთული ურმები გამოიყენეს, რომლებიც ქვეითებს წინ მიუძღოდა. ორივე მხარე საომარ ველზე მიუახლოვდა ერთმანეთს.ებრძოლის მსვლელობის აღწერისათვის მოვიშველიებთ მემატიანის გადმოცემას: ,,შეიქმნა ომი ფიცხელი... რა გაჭირდა ბრძოლა, ბრძანა ბატონმა დაქვეითება ჯარისა, გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისგან და უბრძანა გარდახდომა ყოველთა. ,,ეს არის დღე ვაჟკაცობისაო და სიყვარული რჯულისაო...“ დაიქვეითეს ქართველთა და კახთა. შეიქმნა სროლა თოფთა. მეფე ერეკლე ხან იქით და ხანდახან აქა აძლიერებდა ჯარსა. შეუტივეს ქართველთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს თოფები და ზარბაზანნი“. როგორც ჩანს, ერეკლე ირი გაძლიერების საშუალებებსაც დროულად იყენებდა საჭირო მიმართულებით. რთულ ვითარებაში ლეკების ლაშქრის ერთმა ნაწილმა უკან დაიხია და, მეორე ნაწილზე იერიშის მიტანის შემდეგ, უკანდახეული მტრის ლაშქარი აირია. ,,დაესივნენ შიგ, რომ ვითა კატა, ეგრე ხოცავდნენ ლეკთა, თითონ მეფემ ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალდახმალ, მიჰყვნენ ხოცვით არაგვამდის, რომ მათის მძოვრით აღავსეს ტყე და ველი“. ქართველებს ხელთ მრავალი ცხენი, იარაღი და 500 ტყვე ჩაუვარდათ.თნურსალ-ბეგი გადარჩენილი ძალებით დაღესტნისაკენ გაიქცა.

**ანალიზი:** ისმის კითხვა: რამ განაპირობა ქართველთა გამარჯვება, თუკი მოწინააღმდეგეს რიცხობრივად დიდი უპირატესობა ჰქონდა?

პირველი: უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოწინააღმდეგის რაზმები არაორგანიზებულად მოქმედებდნენ;ემათ ჰქონდათ შეიარაღებისა და ბრძოლის ტაქტიკის დაბალი დონე. როგორც წყაროებიდან ირკვევა, ისინი უფრო ყაჩაღური თავდასხმებისათვის იყვნენ მზად, ვიდრე ფართომასშტაბიანი ბრძოლებისთვის. მემატიანე კონკრეტულ ცნობებს არ გვაწვდის ემტრის

შეიარაღებასთან დაკავშირებით, თუმცა, სავარაუდოა, მოწინააღმდეგეს რამდენიმე ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი-ზარბაზანი ჰქონოდა, რაც დიდად არ იმოქმედებდა მის თავდაცვისუნარიანობაზე.

მეორე: აღნიშნულ ბრძოლაში მოწინააღმდეგის რაოდენობრივი უპირატესობა გააბათილა ერეკლე II-ის მიერ არტილერიის დროულმა გამოყენებამ.ამას ხელს უწყობდა ადგილმდებარეობა. ქართველმა იერიში და საცეცხლე საშუალებები მაღლობი ადგილებიდან დაბლობისაკენ გამოიყენეს, სადაც მტრის ძირითადი ძალები იყო თავმოყრილი.

მესამე: შეშინებული მოწინავე ძალების უკან დახევამ მათ ძირითად ძალებში პანიკა გამოიწვია; კერძოდ,აარტილერიითა და თოფებით მიყენებულმა ზარალმა გაზარდა შიშის ფაქტორი და მოწინააღმდეგის დანარჩენი ძალებიც უკუაქცია.

ქართველთა ბრძოლა ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ მხოლოდ მჭადიჯვარში არ დამთავრებულა. ერთი წლის შემდეგ, მაჰმადიანი ხანების წაქეზებით, ნურსალ-ბეგმა ავარიელთა დიდი ნაწილი გააერთიანა, შეიერთა ჭარ-ბელაქნელი, დაღესტნელი ლეკები და 1755 წელს 20 000-იანი ლაშქრით კახეთს შემოესია. პატივმოყვარე თავდამსხმელს 1754 წლის 16 აგვისტოს მჭადიჯვართან მიღებული მარცხის გამოსწორებისა და ქართველთა ძლიერების მოშლის სურვილები ამოძრავებდა.ვგარდა ამისა, მოწინააღმდეგის კოალიციური ლაშქრის ამოცანა იყო აღმოსავლეთ საქართველოს მოოხრება, დაუძლურება, ასევე – თავიანთი სახანოების განთავისუფლება ქართლ-კახეთის სამეფოსადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან.

მეფე ერეკლემ, შეიტყო რა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, კახეთის ლაშქარი შეკრიბა თელავში და მშვიდობიანი მოსახლეობა ციხესიმაგრეებში გახიზნა. ყოველ ციხეში ოთხი თვის საკმარისი სურსათ-სანოვაგე შეიტანა და ამის შესახებ თეიმურაზ II-ს შეატყობინა. ქართლის მეფე თავისი ლაშქრით კახეთში შეუერთდა ერეკლეს. მათი ამოცანა იყო კოალიციური ლაშქრის მოგერიება, მაქსიმალური დაზარალება და ქართლის მიმართულებით მისი წინსვლის აღკვეთა. მემატიანეთა გადმოცემით, ქართველთა ლაშქარი იმდენად მცირერიცხოვანი ყოფილა, რომ მოწინააღმდეგესთან პირდაპირ ბრძოლაში ჩაბმა მიზანშეუწონლად მიუჩნევიათ.

**ყვარლის ციხესიმაგრე** მდებარეობდა მდინარეებს – დურუჯსა და ბურსას შორის. მას ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მაღალი მთები და ხევები ესაზღვრებოდა, საიდანაც ვიწრო ბილიკებით შესაძლებელი იყო მტრის ლაშქრის ფარული გადაადგილება. ციხე ვაკე ადგილზე იყო, რაც ძალთა მანევრირების, ალყის შემორტყმისა და იერიშის მისატანად ხელსაყრელ პირობას ქმნიდა. ციხესიმაგრეს კუთხეებში ცილინდრული კოშკები ჰქონდა, გალავანში იარუსებად განლაგებული სათოფურები და სარბენი ბილიკი მოწინააღმდეგეზე ცეცხლის ეფექტურად წარმართვის საშუალებას იძლეოდა.

მთებიდან დაშვებულმა მოწინააღმდეგის ლაშქარმა ყვარლის ციხეს ალყა შემოარტყა. ძალები შემდეგნაირად გაანაწილეს: ყვარლის ციხეს ქვემო მხარეს, სოფ.ვგავაზის მხრიდან, ჭარელები, კაკის სულთანი, განჯის ხანი მიადგნენ; ზემო მხრიდან – სუხრაი-ხანი და ნურსალ-ბეგი.ებრძოლა დღედაღამ მიმდინარეობდა. ციხის აღება მტერმა რამდენიმე დღეში ვერ მოახერხა, მოწინააღმდეგემ ხის კოშკებიც გამოიყენა, რაც მეციხოვნეებზე ცეცხლის ეფექტურ წარმართვას დიდად შეუწყობდა ხელს, თუმცა უშედეგოდ. გასათვალისწინებელია, რომ მეფე ერეკლე ციხეში მყოფთ ეხმარებოდა, როგორც ჩანს, ფარული გზებით, რომლებიც მტერმა თავიდან არ იცოდა.

ბოლოს მოწინააღმდეგემ შეიტყო ციხეში შესასვლელ-გამოსასვლელი ფარული გზების არსებობის შესახებ, ალყა გააძლიერა და ამ გზების გადასაკეტად გადამჭრელ ზომებს მიმართა. „შეწუხდნენ ფრიად მყოფნი მას შინა უმეტეს მისთვის, რამეთუ მოუჭრეს წყალი, შემოაკლდათ ტყვია-წამალიცა...“. ციხეში ამ დროს ყოფილა ვინმე დავით ლარაძე, რომელიც ამხნევებდა მეციხოვნეებს.ემან აღუთქვა მებრძოლებს, რომ წყალსა და ტყვია-წამალს სიცოცხლის ფასად უშოვიდა. როდესაც დაღამდა, იგი ციხიდან გამოვიდა, ფარულად მივიდა წყალსაცავთან, რომელსაც მოწინააღმდეგის მცველები ყარაულობდნენ, დახოცა ისინი ხანჯლით და ციხეში წყალი შეუშვა. შემდეგ იგი წარდგა მეფე ერეკლეს წინაშე და გააცნო ციხეში არსებული სიტუაცია. მოთათბირების შემდეგ, ერეკლე II-მ გონივრული ტაქტიკური ხერხი გამოიყენა, რაც მტერს იძულებულს გახდიდა, ალყა მოეხსნა. მეფემ დიდი საჩუქარი აღუთქვა მათ, ვინც გარედან ალყის გარღვევასა და ტყვია-წამლის მიწოდებაში ჩაერთვებოდა;ჯკერძოდ: თავადსა და აზნაურს შესაფერის თანამდებობასა და მამულის ჩუქებას, ხოლო გლეხს – ბატონყმობისაგან განთავისუფლებას, ორ საკომლო მიწასა და ფულად ჯილდოს დაჰპირდა. სულ 206 მებრძოლმა მოიყარა თავი, მათ შორის – ცხრა თავადიშვილმა, ორმა აზნაურმა, ერთმა მღვდელმა, დანარჩენნი გლეხები იყვნენ, მათგან 130 – ქიზიყელნი. მეფემ ისინი ტყვია-წამლით მოამარაგა და ციხისკენ ქვეითად გაგზავნა.

რაზმმა ყვარლისკენ დაიწყო გადაადგილება. მათ ჩუმად გაიარეს ველისციხე, მდ. ალაზანი ფონით გადალახეს და სოფელ გავაზში შეჩერდნენ, სადაც საბოლოოდ გადაინაწილეს ამოცანები. შეიქმნა ორი ჯგუფი:

ა) პირველს ევალებოდა ტყვია-წამლითა და სურსათით გავსილი ხურჯინების ტარება და ციხეში შეტანა;

ბ) მეორეს – პირველი ჯგუფის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

თავდასხმა გამთენიისას დაიწყო.ალეკთა ყარაულებმა გვიან შეამჩნიეს ალყის გამრღვევი ჯგუფი. შეუკრეს გზები, მაგრამ ქართველთა წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს.ემებრძოლებმა ხმალდახმალ ბრძოლით გაარღვიეს ალყა, ციხეში შევიდნენ და ტყვია-წამალი მიაშველეს შიგ მყოფთ. ამავე დროს, მეფე ერეკლემ ქიზიყელთაგან შემდგარი ცხენოსანი ლაშქარი ორჯერ შეუსია ჭარ-ბელაქანს ასაოხრებლად. ჭარელებმა მიატოვეს პოზიციები ყვარელთან და თავიანთი მხარის დასაცავად გაეშურნენ. ქართველები, მეფის ბრძანების თანახმად, ბრძოლას მოერიდნენ, უკან გაბრუნდნენ და ქიზიყში განლაგდნენ. ჭარელებს საქმე გაურთულდათ, ქართველთა ლაშქარი მათ მიწა-წყალს აოხრებით ემუქრებოდა. ერეკლე მეფის მიერ გამოყენებულმა ტაქტიკურმა ხერხმა შედეგი გამოიღო. საბოლოოდ, ჭარელები ციხეს გასცილდნენ და თავიანთ მხარეში წავიდნენ. მათ თან გაჰყვა კოალიციის ლაშქარიც.ჯდაღესტნელებს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. მოწინააღმდეგემ, 28 სექტემბერის დიდი დანაკარგის გამო, მოახლოებული საშიშროება იგრძნო, ციხეზე ალყის დარჩენილი ნაწილი იძულებით მოხსნა და უკან გაბრუნდა.

**ანალიზი:** აღნიშნული ბრძოლის ანალიზში გამოიკვეთა ტაქტიკური ელემენტები, რომლებმაც წარმატების მოპოვება განაპირობა. ერეკლე ირ-მ მოსახლეობა წინასწარ გახიზნა ციხესიმაგრეებში და საბრძოლველად მოემზადა. ეს ფაქტი მოწმობს იმ დროს დაზვერვისა და შეტყობინების სისტემის კარგ ორგანიზებას.

ერეკლე ირ-მ გონივრულად გამოიყენა მანევრი. იგი პირდაპირ იერიშზე თელავიდან არ გადასულა. მან ყვარლის ციხეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოუარა და ორი ერთდროული დარტყმა შეასრულა. მოულოდნელობის ფაქტორი გამოიხატა ალყის გარედან გამრღვევი რაზმის ქვეითად გაგზავნით (მოწინააღმდეგესთან ახლო მანძილზე ფარულად მიახლოების მიზნით) და თავდასხმის დროის სწორად შერჩევით (როდესაც მებრძოლის თვისობრივი მაჩვენებელი უკიდურესად შემცირებული და მოდუნებულია). ამან შესაძლებელი გახადა უეცარი იერიში და დასახული ამოცანის მოკლე დროში შესრულება.

მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ერეკლე ირ-მ გამოიყენა დემონსტრაციული მოქმედებები, ე. ი. ქვედანაყოფების რეალური საქმიანობა წინასწარ განსაზღვრული ცრუ მოქმედებებით. ეს კი ტაქტიკური შენიღბვის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ჭარ-ბელაქნის ტერიტორიაზე ქიზიყიდან წასული ცხენოსანი ლაშქრის მოქმედებებში გამოიხატა. ალყის გამრღვევი ჯგუფისა და ცხენოსანი ლაშქრის მოულოდნელმა თავდასხმებმა მტრის განლაგებაში პანიკა გამოიწვია, რამაც მეფეს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა მისცა. ააღნიშნულმა ფაქტმა ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულების შენარჩუნება განაპირობა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ ბრძოლაში გამოყენებული იყო ისეთი ტაქტიკური ელემენტები, როგორებიცაა: ჯარების გადაჯგუფება საჭირო მიმართულებით, მარში, წყლის დაბრკოლების გადალახვა, შეტევა ღამით; ასევე – ოპერაციის უზრუნველყოფის სახეები: დაზვერვა, ტაქტიკური შენიღბვა და ლოგისტიკური უზრუნველყოფა. ამრიგად, თუკი სხვადასხვა სამხედრო თეორეტიკოსების აზრებს დავეყრდნობით, ბრძოლის უმაღლესი კანონები არსებითად დაიყვანება ელემენტარულ ძველ ჭეშმარიტებამდე, კერძოდ: ომში სწორედ იმის საწინააღმდეგო უნდა აკეთო, რასაც მოწინააღმდეგე შენგან ელოდება და რისთვისაც მომზადებულია.ეე.ი. დარტყმა უნდა მიაყენო იქიდან, საიდანაცაარ ელოდება.აეს მეთოდი ასევე გამოყენებული იყო ყვარლის ციხისათვის ბრძოლაში, რომელიც ქართული სამხედრო ხელოვნების ნიმუშად ითვლება.

მჭადიჯვრისა და ყვარლის ციხეებთან ბრძოლებში მოპოვებული წარმატებით აღმოსავლეთ საქართველო აოხრებას გადაურჩა. მოწინააღმდეგემ დიდი დანაკარგი მიიღო და ჩანაფიქრის შესრულებაზე ოცნება დიდი ხნით გადადო.

## §64. ასპინძის ბრძოლა

**პოლიტიკური ვითარება:** ᲡᲓრრრ ს-ის 60-იანი წლების დასასრულს შავი ზღვის სრუტეებსა და ბალკანეთში გაბატონებაზე ერთმანეთს ოსმალეთი და რუსეთი დაუპირისპირდა.

რუსეთს ოსმალეთთან 1768-1774 წლების ომში ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ოსმალეთის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხების ბრძოლას ანიჭებდა. რუსეთის მთავრობამ რელიგიური მოტივით შენიღბა თავისი ნამდვილი მიზნები და მოწოდებით მიმართა კავკასიელ და ბალკანელ ქრისტიანებს, რომ იგი ,,იძულებულია'' ებრძოლოს ოსმალეთს ,,ქრისტეს სარწმუნოებისათვის''.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე ირ ხვდებოდა, საით იყო მიმართული ოსმალეთისა და რუსეთის მოქმედებები და იმერეთის მეფე სოლომონ ი-თან ერთად ხელსაყრელ ვითარებას ელოდებოდა, რათა სამცხე-ჯავახეთი გაეთავისუფლებინა. ასეთი მომენტი სწორედ რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებამ შექმნა. ძირითადი ამოცანა ახალციხის განთავისუფლება იყო, რადგან მოისპობოდა ბაზა, საიდანაც ოსმალეთი თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა ქართულ სამეფოებზე. ამიტომ, ერეკლე მეფის სტრატეგიული ჩანაფიქრის შესრულებისათვის რუსეთთან

სამხედრო კავშირი რეალური ნაბიჯი იყო, რასაც ერთმორწმუნეობა და მეზობელი ქვეყნის სიძლიერე განაპირობებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სამხედრო შენაერთი გამოგზავნა საქართველოში 1200 კაცითა და 12 ზარბაზნით, გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. მოწინააღმდეგე მხარეთა დაპირისპირებაში ერეკლე ცა 3000 მებრძოლითა და 3 ზარბაზნით გამოდიოდა. მეფე სოლომონ ა 5000 მებრძოლს დაჰპირდა მეფე ერეკლეს, მაგრამ იმერეთის სამეფოს სამეგრელოს სამთავროსთან არსებული გართულებების გამო, სოლომონმა დაპირება ვერ შეასრულა.

ერეკლე მეფის მიერ შეთავაზებული სამხედრო მოქმედებების გეგმა 1769 წლის შემოდგომაზე ტოტლებენს უნდა მიეღო და, შესაბამისად, რუს-ქართველთა ჯარს ამ გეგმით უნდა ემოქმედა. მოკავშირე ძალები 1770 წლის 17 აპრილს ბორჯომის ხეობის გავლით მიმავალ გზაზე საკირესთან შეერთდნენ და შუადღისას აწყურის ციხეს შემოარტყეს ალყა.

აწყურისათვის დროის დაკარგვა შეცდომა იყო.ემათ ციხე უკან უნდა მოეტოვებინათ, მტრისათვის მოფიქრების საშუალება არ მიეცათ და დაუყოვნებლივ მის მთავარ სტრატეგიულ პუნქტზე – ახალციხეზე მიეტანათ იერიში. ტოტლებენი იმავე დღეს უკან დახევის სამზადისს შეუდგა, აწყურის ციხეს ზარბაზანი რამდენჯერმე ესროლა და სურამისაკენ გაბრუნდა.

მეფე იძულებული გახდა ბრძოლით წასულიყო წინ ახალციხის მიმართულებით, რათა რუსეთის ჯარის უკან დახევა დაეფარა, შემდეგ მტკვრის გამოღმა მდებარე სოფლები მოარბია და თბილისისკენ დაიძრა ასპინძა-წალკის გზის გავლით. „...გზასა ზედა შეემთხვა მეფესა მხედრობა დელიბაშებისა, რომელსაც სძლო მეფემან“. მეფე ერეკლემ ლაშქარი სამ ძირითად ნაწილად განალაგა აწყურის მიდამოებში, სოფლების – საყუნეთისა და ტყემლანას ტერიტორიებზე. პირველ ნაწილს ალექსანდრე ციციშვილი უსარდლა და ხიდიდან მარცხნივ ახლომდებარე ტყეში ჩაასაფრა. მას მისცა დავალება, როდის უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში და რა უნდა მოემოქმედა. მეორე ნაწილს მეფემ თავისი ვაჟი – გიორგი ჩაუყენა სათავეში და ხიდიდან მარჯვნივ, სამი ვერსის (3200 მეტრი – სოფ. საყუნეთის მხარეს) მანძილზე განალაგა. ჯარის მესამე ნაწილს თვით ერეკლე სარდლობდა. მეფე წინ წაუძღვა თავის რაზმს, ხიდიდან ოთხი ვერსით (4264 მეტრი) უკან დაიხია და მოწინააღმდეგის პირველი დარტყმის მისაღებად მოემზადა. ახალციხიდან ნამირ ფაშას მიერ გამოგზავნილი თურქთა შეიარაღებული ლაშქარი აწყურის ციხის მხრიდან იმ ხიდს მოადგა, რომელიც ერთ დროს ერეკლეს ბრძანებით ააგეს. მცირე ყოყმანის შემდეგ (სავარაუდოდ, დაზვერვა ჩატარდა) მტრის ჯარმა ხიდი გადაიარა და მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს გადავიდა. როდესაც მათ ქართველები ვერსად შენიშნეს, გზა გააგრძელეს სოფ. ტყემლანას მიმართულებით და პირდაპირ ერეკლეს რაზმის განლაგებას მიადგნენ. გაიმართა ფიცხელი ომი. ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდა. ამ დროს გიორგი ბატონიშვილი თავისი რაზმით თავზარდამცემი ყიჟინით ჩაერთო ბრძოლაში. მოულოდნელ დარტყმას ვეღარ გაუძლო ოსმალთა ჯარმა. როდესაც ციციშვილმა დაინახა, რომ თურქთა ჯარი შედრკა და ერეკლემ მოწინააღმდეგე ხიდისაკენ უკუაქცია, გამოვიდა საფრიდან და მტერს უკან დასახევი გზა მოუჭრა. თურქები ხიდს მიაწყდნენ, რომელიც დაკავებული დახვდათ და მტკვარში გადაეშვნენ. ადიდებული მდინარე მტერმა ვერ გადალახა.

ახალციხის ფაშას ქართველთა მოქმედება მხედველობიდან არ გამორჩენია.ემათთვის გზის გადასაჭრელად მან ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან 1500 კაცი გამოიყვანა.ემტრის ეს ჯარიც ერეკლემ ერთი დაკვრით დაამარცხა და უკუაქცია.

ბრძოლის დასასრულს ერეკლეს აცნობეს, რომ ახალციხის ფაშას მიერ გამოგზავნილი 8000-იანი ლაშქარი ასპინძის მიმართულებით გამოჩნდა და, ხიდის გამოყენებით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადმოსვლას აპირებდა. ამ დროისათვის მეფეს თან ჰყავდა 3 000-მდე მებრძოლი. განსაცდელში მყოფი, სამეფოს მოწყვეტილი ერეკლე ცა მოწინააღმდეგის დიდ ლაშქარს უნდა დაპირისპირებოდა. ასეთ ვითარებაში თავი იჩინა გონიერი სარდლის ნიჭმა.

მეფემ კარგად იცოდა, რომ ხელსაყრელი პოზიცია და მოხერხებული საომარი ადგილი ყველაზე მეტად იყო საჭირო რიცხობრივად დიდი უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეზე გამარჯვებისათვის. იგი სწორედ ასეთი ბუნებრივი პოზიციების შერჩევას შეუდგა დაუყოვნებლივ. მან ასპინძის მაღლობები ამოირჩია და მებრძოლები იქ ჩაასაფრა. ეს ადგილები მდებარეობს დასახლებულ პუნქტებს – იდუმალასა და ასპინძას შორის, მტკვრის მარჯვენა ნაპირას. მდინარესა და ამ სიმაღლეებს შორის 2 კილომეტრამდე სიგრძის ვიწრო ვაკე-ბორცვიანი ადგილი იყო დარჩენილი. ქართველთა საბრძოლო განლაგება შემდეგნაირი იყო: ცენტრალურ დაჯგუფებას მეფე სარდლობდა, მარცხენა ფრთაზე იყო გიორგი ბატონიშვილი, რომელსაც მეფისაგან ნაბრძანები ჰქონდა, რომ თავისი ლაშქრით ბრძოლაში თავდაპირველად მონაწილეობა არ მიეღო. მას თავისი ძალები იერიშის განვითარებისათვის უნდა გამოეყენებინა, როგორც რეზერვი. მარჯვენა ფრთაზე დავით ორბელიანი გამაგრდა.

**ბრძოლის არეალი:** ადგილი, სადაც გენერალური ბრძოლა გაიმართა, მდებარეობს სოფელ იდუმალასა და დაბა ასპინძას შორის, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ე.წ. ერეკლეს ნახიდართან). იგი დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოფარგლულია მთა-

ბორცვიანი ადგილებით, რაც ზღუდავდა მოწინააღმდეგის ძალების მანევრირებას. ამიტომ გადაწყვიტა ერეკლე მეორემ მოწინააღმდეგის ლოკალიზება ამ რაიონში. ადგილმგებარეობა იძლეოდა ხელსაყრელი თავდაცვითი პოზიციების მოწყობისა და მდინარის მიმართულებით კონტრიერიშის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ მოწინააღმდეგე, მიღებული ამოცანიდან გამომდინარე, იძულებული იყო ზემოაღნიშნულ რაიონში მტკვარზე ხიდით გადასულიყო და ქართველებისათვის ბრძოლა გაემართა. ამიტომ ოსმალებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც ბრძოლის ადგილად ასეთი რელიეფი შეარჩიეს. ამ არჩევანს, ნაწილობრივ, მათი რაოდენობა და შეიარაღება განაპირობებდა

ქართველ მებრძოლებს პოზიციები ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდათ დაკავებული ასპინძის მაღლობებზე, რომ თურქთა რაზმებმა მტკვარზე გადებულ ხიდზე დაიწყეს გადმოსვლა. ერეკლემ განგებ აცალა მოწინააღმდეგეს, რათა თავისი ტაქტიკური ჩანაფიქრი შეესრულებინა (დიდი ძალების მანევრირების შეზღუდვა). მოწინააღმდეგემ აავსო გრძელი და ვიწრო ვაკე მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან. ნაწილი ლაშქრისა მდინარის მარცხენა მხარეს დაბანაკდა, მაგრამ ღამემ მოუსწრო და ბრძოლა შემდეგი დღისთვის გადაიდო. მეფე ერეკლემ გაითვალისწინა, რომ მაჰმადიანთა გარემოცვაში აღმოჩნდა და მოსალოდნელი იყო, მტერს ახალი მაშველი ძალები მომატებოდა. მან გადაწყვიტა, რომ 19 აპრილს, ღამით, მდინარეზე ხიდი აეყრა. მტკვრის მარცხენა მხარეს მტრის ლაშქრის ნაწილი და მაჰმადიანებით დასახლებული სოფლები (დიდი და პატარა ვარნეთი, ბნელა, ოსკერია, აწყვიტა, ქუნცა, როკეთი, ორგორა, სახუდაბელი, ახაშენი და სხვა) ყოველთვის შეეცდებოდნენ დახმარებოდნენ ახალციხის ფაშას. ერეკლემ ბრძოლის წინა ღამეს რჩეული მხედრების – აღაბა ერისთავის, სვიმონ მუხრან-ბატონისა და ხუდია ბორჩალოელის ხელმძრვანელობით, გააგზავნა მცირერიცხოვანი რაზმი ხიდის დასაზიანებლად. მათ მოულოდნელი თავდასხმით გაანადგურეს მცველები და ხიდს მხოლოდ თავხეები გადაუხერხეს ისე, რომ მოწინააღმდეგეს მეორე დღემდე არაფერი შეუტყვია.

1770 წლის 20 აპრილის დილას მტერი ქართველებისგან მოელოდა შეტევის დაწყებას. მოწინააღმდეგის მოსატყუებლად ერეკლე მეფემ სამხედრო ხერხს მიმართა: დაახლოებით, 100 მებრძოლი გაგზავნა ჩასაფრებული ოსმალების მხარეზე, ცხენებზე ხურჯინგადაკიდებული, ვითომდა სურსათ-სანოვაგის მოსატანად, რათა მტერი შეცდომაში შეეყვანა და განლაგების ადგილიდან წამოეშალა. ,,სურსათ-სანოვაგის მიმტანმა'' ქართველებმა, მეფის დარიგებისამებრ, მტრის მოგერიებით, უკან დაიხიეს.

ოსმალებისა და ლეკებისაგან შემდგარმა ჯარმა წინ წაწევა და დადევნება დაიწყო, სათოფე მანძილზე მოახლოებისას, ერთბაშად ატეხა სროლა, მაგრამ ოსტატურად ჩამწკრივებულ და საფრებს ამოფარებულ ქართველებს ვერაფერს აკლებდა. ერეკლემ ახლო მანძილზე მოუშვა მოწინააღმდეგე. მის ნიშანზე, ქართველთა თოფებმა ერთდროულად იქუხა და მოახლოებული მტრის პირველი რიგი მოცელილი ბალახივით დაეცა.ასეთივე ბედი ეწია მის მეორე და მესამე მწკრივსაც. არც უკანა რიგებს ადგათ უკეთესი დღე. ქართველებს საბრძოლო უპირატესობა ჰქონდათ. მაღლობებიდან გასროლილი იარაღი მოწინააღმდეგეს მეტი სიზუსტითა და ორმაგი ძალით ანადგურებდა, რასაც ხელს უწყობდა ვიწრო ადგილმდებარეობით გამოწვეული მტრის სიმჭიდროვე, ეს კი მათი თავისუფალი მანევრირებისა და მოქმედების შესაძლებლობას ზღუდავდა.

მოწინააღმდეგის რიცხობრივმა სიჭარბემ თავისი ქნა და მან ცენტრალურ დაჯგუფებას ახალი რაზმებით შეუტია. დავით ორბელიანმა გააქტიურა მარჯვენა ფრთიდან ცეცხლის დაშენა.ერეკლემ მებრძოლებს სიტყვით მიმართა: ,,...მხნენო ქართველნო, ეს ამისთანა გაჭირვებული ომი ჩვენ თავზედ პირველი არ არის.კარგად გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ ნახოს... აქ უნდა გავწყდეთ, ჩვენს ცოლ-შვილში, სირცხვილია, დამარცხებული მივიდეთ... მამულისათვის გავწყდეთ, ქართველებო, მეც აქ თქვენში ვიმყოფები''. ამ გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვებმა მებრძოლთა მორალური მდგომარეობა გააათკეცა იქამდე, რომ თავდადება და სამშობლოსათვის სიკვდილი ნეტარებად მიაჩნდა ადამიანს, მით უფრო, რომ უმრავლესობამ იცოდა მეფის ოსტატური ბრძოლის ამბავი.

ქართველებმა მაღლობებიდან იერიში მიიტანეს მტერზე. ცხენოსანი ჯარი, მეფის საოცარი მამაცობითა და სიმარჯვით აღტაცებული, უმოწყალოდ ჩეხდა მოწინააღმდეგეს. კულმინაციურ მომენტში მეფე ერეკლემ მტრის წინამძღოლი ლეკთა ათასისთავი – კოხტა ბელადი (მალაჩილა) მოკლა. ამან მოწინააღმდეგე მორალურად გატეხა, რითაც მისი დამარცხება შედარებით გაადვილდა. ოსმალ-ლეკთა ლაშქარმა უკან დახევა დაიწყო. მათ მხოლოდ ისღა ამხნევებდათ, რომ ხიდზე გადავიდოდნენ და გაქცევით უშველიდნენ თავს.

იმ ფაქტმა, რომ უკუქცეულებს ხიდი დაზიანებული დახვდათ და ერთადერთი უკანდასახევი გზაც მოჭრილი აღმოჩნდა, მოწინააღმდეგის რიგებში პანიკა გამოიწვია. იგი მორალურად გატყდა და ბრძოლის უნარი დაკარგა. მტკვრის მარცხენა ნაპირზე დარჩენილი მცირერიცხოვანი მოწინააღმდეგე, ხიდის განადგურების გამო, ძირითად ძალებს ვერ მიეშველა. საბოლოოდ, მოწინააღმდეგის მებრძოლთა ნაწილი ქართველთა მსხვერპლი გახდა, მრავალი კი აზვირთებულმა მტკვარმა დაახრჩო.

ასპინძის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების სტანდარტული ტიპის ნიმუშია საქართველოს სამხედრო ისტორიაში. ასეთი მოქმედება ერეკლეს გონივრული ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო. ეს

იმითაც აიხსნება, რომ მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე მიიტანა იერიში მაღლობებზე, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ბუნებრივია, არსებულ სიტუაციაში ასეც მოხდებოდა, რადგან საინჟინრო თვალსაზრისით მომზადებულ ქართველ მებრძოლებს სამმაგი უპირატესობა ჰქონდათ: პირველი – წინასწარ შერჩეული ადგილი კარგი თავდაცვის მოწყობის საშუალებას იძლეოდა, რაც მცირე დანაკარგს გამოიწვევდა; მეორე – მოწინააღმდეგის ეფექტური დაზიანება სიმაღლიდან ახლო მანძილზე; მესამე – სწრაფი კონტრიერიშის შესაძლებლობა, რაც წარმატებით გამოიყენეს.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მეომრებში საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას, რაც დამოკიდებულია იდეოლოგიასა და რწმენაზე.ჯერეკლე მეფემ იერიშის წინ სიტყვით მიმართა მებრძოლებს და მორალურად აამაღლა ისინი, რითაც შექმნა მათი ფსიქოლოგიური განწყობა. ასპინძის ხიდის თავხეები, დივერსიით, გადაახერხვინა. ამით აგრძნობინა თანამემამულეებს, რომ გამარჯვების სასწორი მათკენ უნდა გადახრილიყო.

რაკიმოწინააღმდეგემ პირდაპირი იერიშებით ვერაფერი გააწყო და ტყუილუბრალო დანაკარგი მიიღო, გადაწყვიტა ქართველთა საბრძოლო წყობისთვის ზურგიდან მოევლო.ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად ოსმალებმა ხიდის მიმართულებით უკან დაიხიეს და, რელიეფიდან გამომდინარე, ძალების კონცენტრაცია ვიწრო დაბლობზე ჩაატარეს. სწორედ ამ დროს იჩინა თავი სარდლის ნიჭმა. ერეკლემ მტერს არ აცალა ორგანიზებულად უკან დახევა და კონტრიერიშზე გადავიდა. მოწინააღმდეგე დაიბნა, რადგან ასეთ მანევრს არ ელოდა. კოხტა ბელადის სიკვდილმა და ხიდის განადგურებამ მტერი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და დემორალიზებული გახადა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მოულოდნელობის ფაქტორი და ქართველებს გამარჯვება მოუტანა.

თუ სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა მოქმედება შექმნილი გარემოების მიხედვით, ხოლო მას ტაქტიკის გონივრული გამოყენება ასისხლხორცებს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძოლაში ერეკლე რიგ-მ სავსებით დაიცვა აღნიშნული პრინციპი, რაც სარდლის ნიჭიერებაზე მეტყველებს. ამ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა შემდეგმა: ხიდის განადგურებამ, მოულოდნელმა თავდასხმამ, ინიციატივის ხელში ჩაგდებამ, სისწრაფემ და საბრძოლო სულისკვეთებამ.

ასპინძის ბრძოლაში გამოყენებული იყო ისეთი ტაქტიკური ელემენტები, რომლებიც აქტუალობასა და მნიშვნელობას არ კარგავს თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების წარმართვისას:

- ვითარების სწორი ანალიზი;
- ადგილმდებარეობის გონივრული შერჩევა;
- ჯარების მოხერხებული განლაგება და ურთიერთშეხამებული მოქმედება;
- მოწინააღმდეგის მიერ მაშველი ძალების მიღებისა და მანევრირების, ძალთა გადაადგილების შესაძლებლობის მოსპობა სადაზვერვო და სარეიდო (დივერსიული) მოქმედებების გზით;
- კონტრიერიშის დაწყება ადგილის, დროისა და მიზნის მიხედვით.

ბრძოლის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ასპინძის ბრძოლა უნდა განვიხილოთ ერთ მთლიან საბრძოლო ოპერაციად, რომელიც შედგება აწყურის, საყუეთი-ტყემლანასა და ასპინძის ბრძოლის დასკვნითი ეტაპისაგან. ასპინძის გადამწყვეტ შერკინებამდე გამართულმა ბრძოლებმა საგრძნობლად აზარალა მოწინააღმდეგე და ქართველებს დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა შესძინა;
- ასპინძის ველზე ხელსაყრელ პოზიციებზე ქართველთა ჯარის სწორად განლაგებამ, კარგად მოფიქრებული გეგმით ბრძოლის წარმართვამ, სარდლებისა და ცალკეული რაზმების მეთაურთა მამაცურმა და უნარიანმა მოქმედებამ, ერეკლე მეფის გმირობამ გამარჯვება განაპირობა.

ქართველებმა დაატყვევეს 60-მდე თურქი და რამდენიმე ლეკი, ხელთ იგდეს მრავალი დროშა, ცხენი და დიდძალი იარაღი. მათი დანაკარგი იყო რამდენიმე ათეული დაჭრილ-დახოცილი. ტყვედ ჩავარდნილი რამდენიმე მეთაურის ჩვენებით, მოწინააღმდეგის 8 000-იანი კორპუსიდან 4000-ზე მეტი ბრძოლის ველზე დაიღუპა, ასობით მებრძოლი წყალდიდობით აზვირთებულმა მტკვარმა დაახრჩო.

ტოტლებენის ღალატის გამო, ერეკლემ ასპინძის ველზე მიღწეული გამარჯვება ვერ გამოიყენა, რადგან არსებული ძალებით ბრძოლა ახალციხის მიმართულებით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ასპინძის ბრძოლით კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა XVIII საუკუნის საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.

## §65. კრწანისის ბრძოლა

ერეკლე მეფისა და მისი მომხრეების მიერ ჩატარებულმა სამხედრო-ადმინისტრაციულმა რეფორმებმა ქართლ-კახეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში კიდევ უფრო განამტკიცა და სახელმწიფო აღმავლობის გზას დაადგა.

მიუხედავად ამისა, ირანისა და ოსმალეთის მხრიდან გამუდმებულმა აგრესიამ ერეკლე რიგ და სამეფო კარი იძულებული გახადა, თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მეგობრული კავშირი დაემყარებინა რუსეთის ძლიერ სახელმწიფოსთან.

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ხელი მოეწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას. რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური

კავშირის დამყარებამ ირანისა და მეზობელი სახანოების გაღიზიანება გამოიწვია. ირანი მოითხოვდა, ქართლ-კახეთს უარი ეთქვა რუსეთთან დაახლოებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, აგრესიით იმუქრებოდა. ასეთ მოთხოვნას ერეკლე არ დაეთანხმა, რაც მომავალი საბრძოლო მოქმედებების მიზეზი გახდა.

ირანის სტრატეგიული ამოცანა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა და ამიერკავკასიაში რუსეთის ზეგავლენის აღკვეთა იყო. ერეკლეს თავდაპირველი გეგმა ითვალისწინებდა იალღუჯა-ფონიჭალის მიდამოებში ირანის ჯარების შეტყუებას, სხვადასხვა მიმართულებებიდან წინასწარ ერთდროულ შეტევას, მოწინააღმდეგის სრული განადგურებისათვის და რუსეთის მფარველობით ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

1795 წლის აგვისტოს ბოლოს ირანის მმართველი აღა მაჰმად ხანი დიდი ლაშქრით საქართველოსკენ გამოემართა. 8 სექტემბერს იგი ფონიჭალა-იალღუჯა-კუმისის ტბის მიდამოებს შორის ტერიტორიაზე დაბანაკდა, რომელსაც სარვანის მინდვრის სახელწოდებით მოიხსენიებდნენ.

ადგილმდებარეობა ალაგ-ალაგ ვაკე-ბორცვიანი, მთიანი და დაღარული იყო. დაპირისპირებულ მხარეებს შეეძლოთ როგორც ტაქტიკური მანევრირება, ისე ძალთა გადაჯგუფება. ამ მხრივ, ქართველებს უპირატესობა ჰქონდათ, რადგან ადგილმდებარეობას უკეთესად იცნობდნენ და რეკოგნოსცირების საშუალებაც მეტი ჰქონდათ, მაგრამ სამეფო კარმა ვერ გამოიყენა ეს უპირატესობა, გარკვეული მიზეზების გამო.

ირანელთა დაჯგუფებაში შედიოდა განჯის, ყარაბაღის, ერევნის სახანოების ლაშქარი, სულ 40 000-მდე კაცი. მოწინააღმდეგეს საკმაოდ გაწვრთნილი ცხენოსანი და ქვეითი ქვედანაყოფები ჰყავდა. შეიარაღებაში შედიოდა ზარბაზნები, თოფები, დამბაჩები და ცივი საბრძოლო იარაღი. ირანელთა ტაქტიკური ამოცანა კრწანისისა და თბილისის აღება იყო, საიდანაც შესაძლებელი გახდებოდა საბრძოლო მოქმედებების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მიმართულებით.

ქართველთა მხარე მოწინააღმდეგეს ძალთა თანაფარდობითა და შეიარაღებით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა. ლაშქრის შემადგენლობაში შედიოდნენ ცხენოსნები, ქვეითები და მცირე რიცხვი არტილერისტებისა, 6 ზარბაზნით. ამ დროისათვის მეფეს 35 ზარბაზანი ჰქონდა. ოსტატთა სიმცირისა და დიდებულთა გულგრილობის გამო, მათი სრულად გამოყენება ვერ მოხერხდა. ლაშქარში შედიოდნენ თუში, ფშავი, ხევსური, ქიზიყელი და არაგველი მებრძოლების მცირე რაზმები, თბილისის მოსახლეობის ნაწილი, იმერელთა 2000-კაციანი რაზმი, სოლომონ მეფის ხელმძღვანელობით. საბოლოოდ, როგორც წყაროებიდან ირკვევა, 5000-მდე მებრძოლმა მოიყარა თავი. ირანელთა მოსალოდნელი გამოლაშქრების შესახებ საქართველოში იცოდნენ და საკმარისი დროც ჰქონდათ ლაშქრის შესაგროვებლად. მაგრამ რუსების დახმარების იმედად მყოფმა ერეკლემ არ მიმართა დროულ და საჭირო ღონისძიებებს. მეფის პოლიტიკით განაწყენებულმა თავადებმა და ერეკლეს ზოგიერთმა მემკვიდრემ, შინაურ უთანხმოებათა გამო, ქვეყნის თავდაცვის საქმეში სრული გულგრილობა გამოიჩინეს. მეფე იძულებული გახდა, თავდაცვითი ბრძოლის ტაქტიკა აერჩია.

თბილისის მისადგომებთან საინჟინრო თვალსაზრისით გამაგრებული 3 თავდაცვითი ზღუდე მოეწყო, ისეთ ადგილებში, სადაც მოწინააღმდეგე ჭარბი ძალების გაშლასა და ბრძოლაში ჩაბმას ვერ მოახერხებდა. ერეკლემ ძალები სეიდაბადისა (ნარიყალას ციხის სამხრეთ-დასავლეთით დაშვებული ფერდობები) და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ვიწრო ადგილებში განალაგა. საბრძოლო რიგებს შორის ჩააყენეს ზარბაზნები, რომელთაც ყველაზე სახიფათო მიმართულებით შემტევი ცხენოსანი ჯარისთვის მხარი უნდა დაეჭირათ. სიღრმეში, ნარიყალას ციხეზე, რამდენიმე ზარბაზანი დადგეს. საბრძოლო წყობა ასეთი იყო: მეწინავე რაზმს ხელმძღვანელობდა იოანე ბატონიშვილი, მარცხენა ფრთას – იოანე მუხრან-ბატონი, მარჯვენას – დავით ბატონიშვილი. ცენტრში სამი რაზმისაგან შემდგარი მეფის საიროშო განლაგდა, რომლებსაც სარდლობდნენ ვახტანგ ბატონიშვილი, ოთარ ამილახვარი და ზურაბ წერეთელი.

აღა მაჰმად ხანმა ჯარი რამდენიმე ნაწილად დაყო: ავანგარდი, ძირითადი და ზურგის ძალები. ზარბაზნები მათ შორის გაანაწილა. საბრძოლო მოქმედებების წარმართვას ისინი ხაზოვანი ტაქტიკით აპირებდნენ, რომელიც ევროპელებს უკვე ორი-სამი საუკუნით ადრე ჰქონდათ ათვისებული.

**ბრძოლის მსვლელობა:** საბრძოლო მოქმედებები 1795 წლის 9 სექტემბერს ფონიჭალა-კრწანისის მიმართულებაზე მტრის ავანგარდული ნაწილებისა და ჩვენი საბრძოლო დაცვის მოწინავე რაზმების შეტაკებით დაიწყო. ასეთი მოქმედება სადაზვერვო ხასიათს ატარებდა.

ქართველთა რაზმების განლაგებისა და მათი ხელსაყრელი პოზიციებიდან გამოტყუების მიზნით, მტერმა მათზე სამჯერ მიიტანა იერიში. ახლო მანძილზე მოშვებული მოწინააღმდეგე ერთდროული ცეცხლითა და სწრაფი კონტრიერიშებით უკუაგდეს.

10 სექტემბერს მოწინააღმდეგის 3000-იანმა რაზმმა კვლავ შეუტია ქართველებს შავნაბადის მთის ძირში, ტაბახმელასა და შინდისს შორის, სადაც დიდი ზარალი ნახა. ჩვენი მეწინავე ნაწილების ზურგში დასარტყმელად, ხანმა 3000 მებრძოლი გაგზავნა. ძალების სიმცირის გამო, ერეკლეს ბრძანებით, ზარბაზნებისა და რაზმების მანევრი დაიწყო. გადაჯგუფებულმა ქართველებმა ძირითადი და შემომვლელი რაზმები ყველა საცეცხლე საშუალებების ერთდროული გამოყენებითა

და ორგანიზებული კონტრშეტევით გაანადგურეს. აღა მაჰმად ხანის ნაწილებმა ბრძოლის ამ ეტაპზე დიდი დანაკარგი ნახეს. ასეთმა მდგომარეობამ სპარსელი აიძულა, გენერალურ შეტევაზე უარი ეთქვა. მაგრამ ი. ბებუთოვისა (თბილისში მცხოვრები მოქალაქე, რომელიც შაჰის დაზვერვას ემსახურებოდა) და სხვათა (რომლებმაც იცოდნენ ქართველთა სიმცირე, მათი ძალებისა და ზარბაზნების განლაგება, შემოვლითი გზები) ღალატის საფუძველზე, ბრძოლის გაგრძელება არჩია.

დაპირისპირებულ მხარეთა მთავარი ძალების შეტაკება 11 სექტემბერს დილით დაიწყო. ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ ქართველებმა ვეღარ გაუძლეს გაძლიერებული ავანგარდის იერიშს და თბილისისაკენ უკანა პოზიციებზე გადაინაცვლეს. ირანელები თელეთის მხრიდან შავნაბადის ქედზე გადმოვიდნენ და მოულოდნელად შეუტიეს ქართველთა მარჯვენა ფლანგს. დავით ბატონიშვილის რაზმმა არტილერიის დახმარებით უკუაქცია ისინი, მაგრამ მტერმა კვლავ შემოუტია. ირანელებმა რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი, რომელსაც თბილისის მიდამოების კარგი მცოდნეები დაუყენეს, კრწანისის ბაღებზე გავლით, შინდისის მიმართულებით გაუშვეს, რათა ზურგიდან შემოევლოთ ქართველთა შეთხელებული პოზიციებისათვის. რაზმმა ისარგებლა ბაღებზე მიმავალი გზებით და ზუსტად შეასრულა შაჰის ბრძანება. დავით ბატონიშვილი პოზიციებზე დარჩა მანამ, სანამ მისი შეხედულებით, ქართველთა წინააღმდეგობა აზრს დაკარგავდა. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, მან ,,ჩაყარა ხევსა საგუბარისასა ზარბაზანი იგინი, რომელნიცა აქუნდა მას, თაბორის კერძოსათა, რათა არა დაუშთეს სპარსთა“. შემდეგ კი, წყნეთზე გავლით, თავისიანებს მიაშურა.

აღა მაჰმად ხანი, ჯარის ერთი ნაწილით ჩატარებული მანევრის შედეგად, იოანე ბატონიშვილის მოწინავე რაზმს ზურგში მოექცა. ვახტანგ ბატონიშვილის დახმარებით, იოანემ ალყა გაარღვია და მთავარ ძალებს შეუერთდა. შემდეგ, მტრის მთავარი ძალების შუაზე გაყოფისა და მართვის დეზორგანიზების მიზნით, ვახტანგ ბატონიშვილმა თავისი რაზმებით სეიდაბადის სამხრეთ კალთებთან შეუტია სპარსელებს. ამავდროულად, ერეკლე მეფემ ბრძანება გასცა, ერთიანად კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ. ბრძოლა ხელჩართული შეტაკებებით მიმდინარეობდა, რაც ჩვენს მებრძოლებს უპირატესობას ანიჭებდა. მაგრამ, ძალთა სიმცირის გამო, ქართველებმა უკან დახევა დაიწყეს. ცეცხლსასროლი იარაღის სიმცირემ ძალთა უთანასწორობა აშკარა გახადა. სწორედ აქ გამოვლინდა ქართული ინდივიდუალური საბრძოლო ხელოვნების უმაღლესი დონე.

300-მა არაგველმა მებრძოლმა, მაჩაბლის თეატრის დასის მოხალისეებთან ერთად, გააფთრებული შეტევა დაიწყო მოწინააღმდეგის ყველაზე მჭიდრო ეშელონად განლაგებულ დაჯგუფებაზე, ფრონტის გარღვევისა და დეზორგანიზების მიზნით. მათი შეჩერება ვერ შეძლეს. არაგველებმა გაარღვიეს ათრიგიანი საბრძოლო წყობა და აღა მაჰმად ხანის სადროშომდე მიაღწიეს. სპარსთა მეთაური პირადი დაცვის დიდმა ძალებმა იხსნეს. ამავდროულად, ირანელთა არტილერიამ კრწანისის მაღლობებიდან ცეცხლი გაუხსნა ქართველთა ლაშქარს და ბრძოლაში მთელი ძალებით ჩაება. ერეკლეს მითითებით, რეზერვში მყოფი იმერლების მეთაურისა და არტილერიის უფროს მაიორ გ. გურამიშვილის გასაფრთხილებლად შიკრიკი გაგზავნეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მტერმა მოკლა. ალბათ, ისევ ღალატის გამო, იმ მოსაზრებით, რომ ერეკლეს დამარცხება გარდაუვალად მიიჩნიეს, იმერელთა ათასეულმა, რომელიც ქალაქის მისადგომებს იცავდა, პოზიციები მიატოვა და იმერეთისაკენ წავიდა.

ქართველებმა რამდენიმე იერიშის მოგერიება შეძლეს, მაგრამ, ძალთა თანაფარდობიდან გამომდინარე, ბრძოლის ყველა უბანზე იძულებული გახდნენ, უკან, თბილისისაკენ დაეხიათ. ამასთან, მოწინააღმდეგის საკავალერიო დაჯგუფებამ თბილისისაკენ შეტევა დაიწყო კოჯორ-ტაბახმელის გზით და სოლოლაკში შემოიჭრა. ამით ერეკლეს ალყაში მოქცევის საშიშროება დაემუქრა. დღის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგემ ახალი ძალები აამოქმედა. ქართველმა არტილერისტებმა დროებით შეაჩერეს მათი წინსვლა. 75 წლის ერეკლე მეფე ბრძოლის ველს არ ტოვებდა, მაგრამ მას გაეცალა იოანე ბატონიშვილისა და რამდენიმე მებრძოლის ძალდატანებით და, თბილისზე გავლით, მან მთიულეთს შეაფარა თავი. კრწანისის ბრძოლაში ქართველებმა მეფისა და სამშობლოსათვის დიდი თავდადება აჩვენეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 300 არაგველის გმირობა. ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა.

თბილისის მოსახლეობამ ვერ მოასწრო გახიზვნა. ირანელებმა ქალაქში საშინელი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-რბევა მოაწყვეს. ბრძოლა მიმდინარეობდა თითოეული ქუჩისა და სახლისათვის. ქალაქი დაღუპულ თბილისელთა გვამებით გადაივსო. აღა მაჰმად ხანმა გაძარცვა სამეფო სასახლე. ირანელებმა ცეცხლი წაუკიდეს ვდარბეულ ქალაქს. თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა ხანძარი. თბილისის აღების შემდეგ მტრის ჯარის ნაწილებმა გორისა და მთიულეთის მიმართულებით გააგრძელეს მოქმედება. პარტიზანული ბრძოლის მეთოდების გამოყენებით, ქართველებმა დიდი დანაკარგი აჩვენეს მტერს. ქართველთა თავგანწირულმა ბრძოლებმა იძულებული გახადა მოწინააღმდეგე საქართველო 20 სექტემბერს დაეტოვებინა.

სამხედრო ხელოვნების კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ბრძოლაში კარგად გამოიკვეთა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს რეკოგნოსცირების დროულ ჩატარებას, ძალთა განაწილებას, დროულ გადაჯგუფებას. ორგანიზებული თავდაცვითი ბრძოლისათვის საქართველოში მასიურად პირველად გამოიყენეს არტილერია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მოწინააღმდეგის განადგურ-

ებასა და მებრძოლთა მორალური სულისკვეთების ამაღლებაში. საფორტიფიკაციო თვალსაზრისით, ადგილმდებარეობასთან შეხამებით მოწყობილმა სანგრებმა და ტაქტიკურმა შენიღბვამ გააადვილა მტრის დიდი ძალების მრავალჯერ მოგერიება, მოულოდნელი კონტრიერიშების ჩატარება და მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, მეფის ბრძანებით, ძალთა სიმცირისა და ალყაში მოხვედრის საშიშროებიდან გამომდინარე, კონტრიერიშების შემდეგ არ გამოყენებულა დადევნება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს მცირერიცხოვან ქართველთა მაღალი საბრძოლო სულისკვეთება, ინდივიდუალური საბრძოლო იარაღის გამოყენებისა და ხელჩართული ბრძოლის კარგად ფლობის ტექნიკა, რომელიც 300 არაგველისა და სხვათა მოქმედებაში გამოიხატა.

ამ ბრძოლით აღა მაჰმად ხანმა ტაქტიკურ მიზანს მიღწია, მაგრამ, მრავალ გარემოებათა გამო, სტრატეგიულს – ვერა. 1796 წელს ერეკლემ ჩაატარა სამხედრო ოპერაციები: აიღო განჯა და ერევანი, რითაც გარკვეულწილად აინაზღაურა ზარალი. ე

ერეკლე ირი 1798 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა თელავის სასახლეში, იმავე საწოლსა და ოთახში, რომელშიც დაიბადა.ვდაკრძალულია სვეტიცხოველში. მის სამძიმარზე ოცი ათასამდე მებრძოლი მოსულა. რა მოხდებოდა, ლაშქრის ასეთი რაოდენობა მეფეს კრწანისში რომ ჰყოლოდა?

სამხედრო რეფორმებით, ნიჭით, ჩატარებული ბრძოლების რაოდენობით, ხარისხითა და მასშტაბებით ერეკლე ირი იყო ბრწყინვალე სარდალი და ტაქტიკოსი.

# თავი V

# ინდივიდუალური საბრძოლო ხელოვნება და ქართული ფორტიფიკაცია

## §66. ქართული საბრძოლო იარაღები

რთული გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე საქართველო ოდითგანვე იყო იძულებული თავის გადასარჩენად გამუდმებული ომები ჰქონოდა. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დროის მცირე მონაკვეთსაც ვერ მოვძებნით, მშვიდობიანად, ომის გარეშე ჩაევლოს.

მუდმივი ომიანობა თავისთავად გულისხმობდა დიდ საბრძოლო გამოცდილებას, სამხედრო საქმის უნაკლო ცოდნას, საფორტიფიკაციო ქსელის განვითარებასა და საომარი იარაღის მრავალფეროვნებას. ამ ერთობლიობის გარეშე საქართველო ვერაფრით მოახერხებდა იმ ისტორიული ქარტეხილებისაგან გადარჩენას, რომელთაც მსოფლიოს მრავალი ხალხი შეეწირა. ამ ვითარების გამო, ქართველები ჩამოყალიბდნენ მეომრული სულისკვეთებისა და სამხედრო ხელოვნების შესანიშნავ მცოდნეებად, რასაც კარგად გრძნობდნენ თვითონაც და თავის თავს ასე ახასიათებდნენ: „ქართველნი ვართ მხედრობასა შინა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი“ (პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, ირ საუკუნე). ასევე უწოდებდა დავით აღმაშენებელი თავსაც და ერისკაცებსაც: „ჩვენ, მხედრობათა შინა აღზრდილნი“.

ომში გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პირობა საბრძოლო-თავდაცვითი იარაღის მრავალფეროვნება, გამძლეობა და სრულყოფილება იყო. როგორც ჩანს, იარაღის კულტურა საქართველოში ოდითგანვე მაღალი იყო, რასაც ისტორიულ-არქეოლოგიური წყაროები გვიდასტურებენ. სანამ იარაღების დახასიათებას შევუდგებოდეთ, მოკლედ შევეხებით ხელოსნობის განვითარებას.

**ხელოსნობა:** მოძიებული არქეოლოგიური მასალის თანახმად, საქართველოში სპილენძის ცივი ჭედვა ქრისტეშობამდე ririი ათასწლეულის დასაწყისიდან არსებობდა, ხოლო ირი ათასწლეულის შუახანებში კი გვაქვს საკმაოდ განვითარებული მელითონეობა.

წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ ელინისტურ ხანაში და მის წინა პერიოდშიც ქართველთა წინაპარნი, ხალიბები, რკინის მადნის ექსპორტს მისდევდნენ და ეს მადანი იმდენად ხარისხიანი იყო, რომ საგანგებო დანიშნულების იარაღის დასამზადებლად გამოიყენებოდა. „რას დააკლებს რკინა ჩრდილოეთის რკინასა და სპილენძს“, – ამბობს იერემია წინასწარმეტყველი (თავი

15/12). უძველესი ქართველური ტომები, ბიბლიის თანახმად, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ვაჭრობდნენ თავიანთი ლითონნაწარმით.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად, მიკვლეულია რკინის წარმოების მრავალი კერა. ამათგან გათხრილია 7 სახელოსნო, რომელთაგან ხუთი ძვ.წ. ირ ათასწლეულისაა. შეკვეთილის (გურია) ტერიტორიაზე მიკვლეულია ძვ.წ. ი ათასწლეულის დასაწყისის ნამოსახლარი. სხვა მასალასთან ერთად, ამ ფენაში ნაპოვნია რკინის ზოდებიც, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ადგილობრივი მაგნიტური ქვიშისგან რკინის გამოყოფა და ზოდად ქცევა აქ მცხოვრებთა ერთ-ერთი უძთავრესი საქმიანობა იყო.

უადგილო არ უნდა იყოს იმის გახსენებაც, რომ ლითონთა სახელები ზოგ ხალხს დღემდე ქართულ ტომთა დასახელებიდან ნაწარმოები სახით შემორჩა: ბერძნები ფოლადს „ხალიუბდიკოს“-ად მოიხსენიებენ, რაც ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ხალიბურს ნიშნავს. თავად ტომის სახელი – „ხალიბი“ ურარტული ღვთაება „ქალდიდან“ მოდის. ეს სახელი საქართველოში ტოპონიმად შემორჩა. ხეთები, ანუ ხალხი, რომელიც პირველად შეეხო რკინას, მას ხაბალქს ეძახდა.

ცნობილი არქეოლოგის ბ. კუფტინის მიერ 1949 წელს ჩატარებული გათხრების დროს სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ორ მხარეს ნალესი (განსხვავებული გეომეტრიით) ბრინჯაოს საჭრისიც, რომლის სიმაგრე 3-4 ჯერ აღემატება ოქროსა და ვერცხლისას.

ვანის არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალა ცალსახად ადასტურებს, რომ „ძვ.წ. IIი-ის საუკუნეებში აქ არსებობდა პროფესიონალ ხელოსანთა ძლიერი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (კვერვა-ჭედვა, რჩილვა, გავარსი, ტვიფრვა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს“.

საბრძოლო-თავდაცვითი იარაღის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინები იყო **საჭურველი** და **ჭური**, რომლებიც დროთა განმავლობაში განიდევნა ხმარებიდან და მათ ჩაენაცვლა **აბჯარი**, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი უცხოენოვან ტერმინად მიიჩნევდა. აღნიშნული ტერმინი საბა ორბელიანთან ასეა განმარტებული: „აბჯარი-ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა და უფროსად საცვამთა ჯაჭვთა“; „აბჯარი-საჭურველი, იარაღი“; „აბჯარი-ძვალი სამხედრო საჭურველი, იარაღი“. როგორც ვხედავთ, ყველა ძირითად ლექსიკონში აბჯარს ერთნაირი განმარტება აქვს. იგი ზოგადი სახელია საბრძოლო-თავდაცვითი იარაღისა, როგორც ჯაჭვ-ჯავშანის, ისე საჭრელ-საკვეთელისა.

საომარი იარაღი, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: საბრძოლო-შეტევითი და თავდაცვითი. თითოეული მათგანი ცალკე კლასიფიცირდება, მოხმარებისა და დანიშნულების მიხედვით. ქართული წერილობითი წყაროებისა და ლექსიკოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ტრადიციული საბრძოლო და თავდაცვითი იარაღის კლასიფიკაცია შემდეგნაირია: ი.საბრძოლო-შეტევითი: 1. საძგერებელი, 2. სატყორცნ-საძგერებელი, 3. სატყორცნი, 4. სასროლო, 5. დასარტყმელი 6. მკვეთრ-მკვეთებელი; იი.თავდაცვითი: (იგი ოთხ ნაწილად იყოფა) 1. თავსაბურავი, 2. გულმკერდის საცავი, 3. ქვედა ნაწილის საცავი და თავდასაცავი სხვა საშუალება, 4. ფარი და ჩელთი.

გარდა ამისა, საბრძოლო იარაღი იყოფა სამხედრო და საქვეითო იარაღად. სხვანაირად იყო აღჭურვილი ცხენოსანი მეომარი და სხვანაირად – ქვეითი. საბრძოლო იარაღიც ორნაირი იყო: სადღესასწაულო-საზეიმო და საომარი. საზეიმო იარაღი, რომელსაც, წყაროზე დაყრდნობით, ივანე ჯავახიშვილი „გასაჩვენოს“ უწოდებს, ძვირფასი თვლებით მოკაზმული და ფიგურებით დამშვენებული იყო. ამ იარაღით ომში წასვლა გაუმართლებელი იყო. მას მხოლოდ დასამშვენებლად იყენებდნენ. ასეთივე სხვაობაა თავდასაცავ იარაღშიც: არსებობდა როგორც საკაცო, ისე საცხენო აბჯრები. ამ უკანასკნელით ცხენს აღჭურვავდნენ, რათა იგი ბრძოლის დროს დაცული ყოფილიყო.

ამ კლასიფიკაციაში ცალკე არ არის გამოყოფილი საბრძოლო საშუალებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობა, რომელსაც, პირობითად, შეიძლება სამტვრევი იარაღი დაერქვას. საქართველოს ტერიტორია საფორტიფიკაციო ქსელითაა დაფარული. ეს, ცხადია, განაპირობებდა ციხესიმაგრეთა როგორც დაცვის, ისე აღების ტაქტიკის, მეთოდებისა და შესაბამისი იარაღების განვითარებას.

**საძგერებელი** იარაღი ერთ-ერთი უძველესი სახეობაა, რომელსაც ადამიანი ოდითგანვე იყენებდა. იგი სხვადასხვა ფორმისა და ზომის იყო. საძგერებელი იარაღის აღმნიშვნელ ზოგად სახელად სულხან-საბა **ლახვარს** მიიჩნევს და ჩამოთვლის მის სახეობებს: ოროლი (ჰოროლი), გმური, სათხედი, გეონი, შუბი, ხიშტი, ზუფანი, ლიბანდაკი. ივანე ჯავახიშვილი მას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ლახვარი კონკრეტული იარაღის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო.

**ლახვარი** უძველეს წერილობით ძეგლებში გვხვდება. იგი ქართული სიტყვაა და შედგება „ლა“ თავსართისა და „ხვრა“ ზმნისაგან, რაც ნიშნავს ხვრეტას. ე.ი. ლახვარი იარაღია, რომელიც ხვრეტდა. ის სხვადასხვა ზომის უნდა ყოფილიყო. ბოლოს იგი თანდათან იმდენად დაპატარავებულა, რომ ეწოდებოდა შუბისებური სეფისკვერის ნაწილის ამოსაღებს, რომელსაც ეკლესიაში იყენებდნენ. როგორც ჩანს, იგი იმდენად მარჯვე და რისხვის დამცემი იარაღი ყოფილა, რომ აქედან ქართველს ნასახელარი ზმნა **დალახვრა** და გამონათქვამი „დალახვროს ღმერთმაც“ უწოდებია.

საძგერებელი იარაღის აღმნიშვნელ ერთ-ერთ უძველეს ტერმინად ქართულ წერილობით ძეგლებში **ჰოროლი** გვხვდება. იგი შუბისმაგვარი საძგერებელი იარაღი იყო. ეს ტერმინი ძრ ს-ში უკვე მწიგნობრულ სიტყვად ქცეულა და მისი ადგილი **შუბს** დაუკავებია, რომელსაც ღ. ჩუბინაშვილი არაბულ, ხოლო ივანე ჯავახიშვილი სპარსული წარმომავლობის ტერმინად მიიჩნევს. შუბისპირები საქართველოს ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანიდან გვხვდება. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ფორმისა და ხარისხის მიხედვით (ფოთლისებურპირიანი, ალისებურპირიანი, სამკუთხაპირიანი და ა.შ).

**შუბი** შედგებოდა შუბისპირის, შუბისწვრისა და ტარისგან. მას ომში, ძირითადად, საძგერებელ იარაღად იყენებდნენ, თუმცა წერილობითი წყაროების მიხედვით ჩანს, რომ მოკლეტარიანი შუბები სატყორცნად გამოიყენებოდა, ხოლო გრძელტარიანი – ხელჩართული ბრძოლის დროს. ძველი ბერძენი ავტორები (ქსენოფონტე, პლუტარქე, სტრაბონი...) ქართველურ ტომებს საუკეთესო შუბოსნებად მოიხსენიებენ.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, შუბი ანტიკურ ხანაში უკვე ძირითადი საბრძოლო იარაღია და, შუბისპირის ფორმისა და პროპორციების მიხედვით, ხუთ განსხვავებულ ტიპს გვთავაზობს თავისი ვარიანტებით.

ხშირად მეომრები შუბებზე სხვადასხვა ფერის ალმებს აბამდნენ. შუბით აღჭურვილ ჯარისკაცთა ერთეულს **შუბოსანნი** ერქვა.

ხევსურეთში სამგვარი ფორმის შუბები სცოდნიათ: ხანჯლისებური, წვერკუთხა და სამწვერა. ყველაზე საშიში სამწვერა შუბი ყოფილა.

სულხან-საბას მიხედვით, საძგერებელი იარაღია აგრეთვე **გმური:** „გმური არს ლახვარი, პირბრტყელი და ბუნგრძელი, რომლითა მაცხოვარს უგმირეს“. ეს ტერმინი წყაროში არ გვხვდება, თუმცა ივანე ჯავახიშვილი საბას ცნობას სანდოდ მიიჩნევს და განმარტავს, რომ „გმერა და განგმერა“ სახელზმნების არსებობა და საბას მიერ „გმურის“ აღწერილობა ცხადყოფს, რომ მისი ცნობა სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს.

საძგერებელი იარაღის რიგს მიეკუთვნებოდა **წათი,** რომელიც ხის საჩხვლეტი იყო. საჭურველთა შორის იგი მხოლოდ უძველეს ძეგლებში გვხვდება, ხოლო ძრ საუკუნის შემდეგ ქრება. ძრ-ძრ საუკუნეებიდან გვხვდება ხიშტი – „პირგრძელი ლახვარი, ძგიდე მახვილი“. მოგვიანებით იგი ცეცხლსასროლი იარაღის ატრიბუტი გახდა, ცალკე მნიშვნელობა კი დაკარგა.

საბრძოლო იარაღის მეორე ჯგუფს მიეკუთვნება სატყორცნ-საძგერებელი იარაღი:æ **მაზრაკი, ზუფინი, სათხედი და გეონი**. მაზრაკი საბას შუბად აქვს მიჩნეული, თუმცა ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, იგი პატარა ისარ-ხელშუბია. ზუფინი სასროლი მოკლე შუბია, რომელსაც შესტყორცნიდნენ და, ამასთანავე, განმკვეთელობას დიდი ძალა ჰქონდა.

**სათხედი** ქართული ტერმინია და, ძირითადად, აღნიშნავს გარეულ ღორზე სანადირო იარაღს, რომელიც იხმარებოდა ომის დროს. იგი სატყორცნი შუბია. რაც შეეხება გეონს, ბერძნული **გესოს**ისგან არის წარმომგდარი და ხელშუბის აღმნიშვნელია.

**სატყორცნი იარაღი** უპირველეს სახეობათა რიგს მიეკუთვნება, რომლის ყველაზე მარტივი ფორმა ქვა იყო. ამ უკანასკნელს ხმარობდნენ როგორც სასროლად, ასევე საგორველად და გზის ჩასახერგად. ქვის სატყორცნად ფართოდ იყო გავრცელებული შურდული. **მეშურდულენი** ქართულ ლაშქარში ძრ-ძრრ საუკუნეებშიც კი იხსენიებიან.

**შურდული** განსაკუთრებით გავრცელებული იყო მთიან რეგიონებში. ხევსურები მას ხის ქერქისა და ტყავისაგან ამზადებდნენ. ცაცხვის ქერქისგან დაწნავდნენ შურდულის ორ წვერს, რომლებსაც შუაში ტყავის ან ნაქსოვის „საქვეს“ უკეთებდნენ, სადაც ქვა თავსდებოდა. რამდენჯერმე დატრიალების შემდეგ, შურდულის ერთ წვერს გაუშვებდნენ და ქვას გაისროდნენ. ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, სვანები შურდულთან ერთად ზოგჯერ ქვის სასროლად „სვანურ ქუდსაც იყენებდნენ“.

შემდგომ პერიოდში შემოიღეს ქვის სასროლი მანქანები, რომელთაც ციხეთა კედლების შესანგრევად იყენებდნენ. ასეთ მოწყობილობას **ფილაკვანი** ერქვა. ეს სიტყვა ქართულში არაბულიდანაა შემოსული.

სვანეთში გავრცელებული იყო **ლახუპარ** – ჩასახვეტი. ორ მრგვალ ქვაში გაყრილი იყო გრძელი მორი, რომელსაც ფერდობზე დააგორებდნენ და მტერს ჩახვეტავდნენ.

სასროლი იარაღის ძირითადი სახეობა მშვილდ-ისარი იყო. იგი ყველა ძველ ქვეყანაში იყო გავრცელებული. საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგების მიერ მრავლად მოპოვებული ისრისპირები იმაზე მეტყველებს, რომ მას უძველესი მოსახლეობა ფართოდ იყენებდა.

ქართველურ ტომთაგან მშვილდ-ისრის კარგად ხმარების ცნობებს ვხვდებით ძველბერძნულ და რომაულ წყაროებში. მაგალითად, ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი წერს, რომ „სავანები ისრის წვერებისათვის წამალს ხმარობენ და საოცრად იტანჯებიან მისი სუნის გამო მოუწამლავი ისრით დაჭრილებიც კი“.

მშვილდ-ისარს საქართველოში გვიანობამდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ქართულ ლაშქარში მას ძდრ საუკუნემდე იყენებდნენ, ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად.

მშვილდ-ისარი განსხვავდებოდა ზომითაც და გამოყენების წესითაც. მაგალითად, სამხრეთ საქართველოში ადამიანის სიმაღლის მშვილდ-ისრები იყო გავრცელებული, რომლის გამოყენებაც მებრძოლს მხოლოდ ფეხის დახმარებით შეეძლო. მთიან რეგიონებში შედარებით მცირე ზომის მშვილდები ჰქონდათ.

მშვილდ-ისარს მოსახლეობა ძირითადად თვითონ ამზადებდა. შერჩეული ჰქონდათ სამშვილდე, ის საისრე ხის ჯიშები (დგნალი, შინდი, თხილი, მაქაცა), რომლებიც უფრო მოქნილი და დრეკადი იყო. ივანე ჯავახიშვილი მშვილდის სახელწოდებას **შინდი**დან წარმოებულად მიიჩნევს.

მშვილდ-ისარი შედგება მშვილდისა და ისრისაგან. მშვილდი დამუშავებული და მოღუნული ხის ტოტი იყო, რომელზეც საბელი იყო გაბმული. ეს უკანასკნელი კეთდებოდა კანაფის ტოტისა ან აბრეშუმისაგან. როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, საბელს აკეთებდნენ ხარის ზურგის ტყავისა ან მყესებისაგან.

**მშვილდი** უძველესი იარაღია, რომლითაც ისარს ისროდნენ. საქართველოში იგი კიდევ დიდხანს არ თმობდა პოზიციებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის შემდეგაც კი. მშვილდის დამზადებისა და მოხმარების ცოდნა იმდენად მაღალი იყო ჩვენში, რომ თვით XIX საუკუნის ცეცხლსასროლ იარაღსაც კი უწევდა იგი ღირსეულ მეტოქეობას. შორსმსროლელობით ის იმდროინდელ თოფს დიდად არ ჩამოუვარდებოდა, ხოლო სწრაფმსროლელობით აღემატებოდა კიდეც (დახელოვნებული მსროლელი წუთში 17-20 ისრის გატყორცნას ასწრებდა). მოწინააღმდეგის დაზიანების თვალსაზრისით მას გარკვეული უპირატესობაც ჰქონდა – სადაზვერვო ოპერაციის დროს უხმაურო იყო, ხოლო საგანგებო შხამში ამოვლებული ისარი, მცირე განაკაწრის შემთხვევაშიც კი, სწრაფ დამბლას იწვევდა.

**ისარს** განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მას მახვილი და წვეტიანი წვერი უნდა ჰქონოდა, ზოგჯერ უკეთდებოდა ფრთებიც, რომელთა საშუალებითაც ისარი უფრო სწრაფად და ზუსტად ხვდებოდა მიზანში. ისრებს მებრძოლები **საისრეში** ილაგებდნენ, რომელსაც **კაპარჭიც** ერქვა. სვანური ეთნოგრაფიული მასალა გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ გარდა საბრძოლო ისრებისა, შესაძლებელია ჰქონოდათ ცეცხლის გასაჩენი ისრებიც: ალმოდებულ ისარს მტრის ბანაკში ისროდნენ და იქაურობას ცეცხლს უკიდებდნენ. ცალკე ხელობა იყო ისრის დამზადება. სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ საკმაოდ მდიდარი მასალაა ისრის შესახებ. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი უძველესი ისრის წვერი კაჟისაა და პალეოლითის ხანას მიეკუთვნება.

ისარი შედგებოდა ბუნიკის, ზროსა (ოკა) და ფრთისაგან. სიგრძე მერყეობდა 60-90 სანტიმეტრამდე, დანიშნულების შესაბამისად (მაგალითად: შეჭურვილი მეტოქის, მხედრობის წინააღმდეგ თუ სხვა). ისართა ბუნიკებს მრავალგვარი ფორმა ჰქონდა: რომბისებრი, ფოთლისებრი, პირამიდული. მრავალფეროვანი იყო ფრთის განლაგება: ბრტყელი, წახნაგოვანი და სხვა. სხვადასხვაგვარი იყო ბუნიკის ზროზე დამაგრების ხერხი (ჩამოსაცმელი და ჩასაყარი). საფრთე მასალა იყო მტაცებელ ფრინველთა (არწივი, მიმინო, სვავი, ორბი და სხვა) თბე (ფრთა). იგი აუცილებლად ერთი მხრისა უნდა ყოფილიყო. ხშირად ბუნიკს ზროზე არამყარად ამაგრებდნენ, რათა ისრის ამოძრობისას სხეულში ჩარჩენილიყო.

**სასროლი იარაღების** ჯგუფში, ცხადია, შედის ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის გამოჩენამაც ძირფესვიანად შეცვალა სამხედრო ხელოვნება.

დენთი ჩინელებმა აღმოაჩინეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაგრამ ხანგრძლივი დროის მანძილზე მას მხოლოდ ფეიერვერკებისთვის იყენებდნენ. ჩინელებისგან დენთის გამოყენება არაბებმა ისწავლეს და ბრძოლებში VIII საუკუნიდან იყენებდნენ. არაბებისგან დენთი ევროპისათვის გახდა ცნობილი, სადაც შეიქმნა პირველი კლასიკური ცეცხლსასროლი იარაღი XIV საუკუნეში. ამ პერიოდში საქართველო, მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამო, ვერ ახერხებდა საბრძოლო ძალებისა და საშუალებების საჭიროებისამებრ განვითარებას, თუმცა ცეცხლსასროლი იარაღი ქართულ ლაშქარში XIV საუკუნიდან ჩნდება. ამ დროისათვისაც ქართული ლაშქარი, ძირითადად, ცივი იარაღით იყო აღჭურვილი, მაგრამ მებრძოლთა ნაწილს უკვე აქვს ევროპიდან შემოსული იარაღიც. მაგალითად, XIV საუკუნის ბოლოს კახეთის ლაშქარში ხუთასი თოფიანი მებრძოლი ირიცხებოდა.

თოფის დამზადება საქართველოში XVIII საუკუნიდან დაიწყო. თუმცა უკეთესი ხარისხის იარაღი, მართალია ძნელად, მაგრამ მაინც ევროპიდან, ძირითადად, ყირიმის მხრიდან შემოჰქონდათ. ეს ფოლკლორშიც აისახა: ხევსურულ, ფშაურ და სვანურ პოეზიაში **„ყირიმულა, ყირიმლ“ ,**ზოგადად, თოფის სახელით დამკვიდრდა. ხალხური სახელი შეერქვა **(„მაჟარო“, ანუ „მაჯარი“)** უნგრულ თოფსაც, რომელიც საქართველოში შემოდიოდა. „ყირიმულთან“ ერთად გამოიყენებოდა თოფის სახეობა **„კუთხა“,** რომელიც ყველაზე მეტად სვანეთში იყო გავრცელებული. ეს იყო დაკუთხვილი, ხრახნილლულიანი შაშხანა, რომელიც ქაღალდის მასრიანი ვაზნებით იტენებოდა. ამ სახეობის თოფი ევროპაში XVIII საუკუნეში გაჩნდა, ხოლო ჯარებში მასიურად XIX საუკუნიდან გავრცელდა.

ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამ ძლიერ იმოქმედა ტრადიციებზე. ხალხურ საგმირო პოეზიაში ნათლად ჩანს, რომ თუ ადრე ხმლით ტევება ითვლებოდა ვაჟკაცობად („მალვით ვინც მტერი მტერს მოკლავს, ის ქალს ვითა სჯობს თმიანსა?“), თოფის დამკვიდრებასთან ერთად, მარჯვედ სროლა იქცა ხოტბის საგნად. ცეცხლსასროლი იარაღი აირეკლა ჩაცმულობაზეც (ჩოხაზე

გაჩნდა სამასრეები, იგივე სასწრაფო) და არქიტექტურაზეც (კოშკებს, ციხესიმაგრეებს გაუჩნდა ვიწრო სათოფურები).

მართალია, მშვილდი ჯერ კიდევ უფრო სწრაფმსროლელი იყო, მაგრამ ახალი იარაღით ჩვენი წინაპრის დიდ დაინტერესებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გარდა შავი დენთის წარმოებისა, ვახტანგ VI-ს ნაშრომში „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ თოფის წამლის დამზადების ქართული ხერხიც აქვს აღწერილი.

თუ XVII საუკუნის მიწურულის მოღვაწეს, რუს იარაღთმცოდნე გ. ნ. პროზრიტელევს ვერწმუნებით, რუსეთ-კავკასიის ომში რუსულ შეიარაღებაში არსებული თოფები საბრძოლო თვისებებით აშკარად ჩამოუვარდებოდნენ კავკასიურს. მისი აზრით, „კავკასიური შაშხანა დიდი ღირსებით გამოირჩეოდა. პირველ ყოვლისა, ძალზე მსუბუქი იყო. მთიელებმა, უფრო ადრე, ვიდრე რუსები ქვეითი ჯარის იარაღს დახვეწდნენ, თავიანთი თოფები ხრახნილლულიანი გახადეს და ამით მას შორსმსროლელობა მიანიჭეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთიულური შაშხანა არასოდეს გამსკდარა“.

**დასარტყმელ იარაღებს** მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საბრძოლო იარაღებში. ასეთი იყო **ლახტი, გურზი, კვერთხი, მათრახი.** საბას მიხედვით, **ლახტი** „უმკვეთელო საცემი“, საომარი იარაღი იყო, რომელსაც ქამარში (წელში) ჩარჭობილს ატარებდნენ. მისივე განმარტებით, ლახტივით იარაღი იყო **„გურზ**“ – „ლახტივით დიდი, უფრთო“. წყაროებიდან ჩანს, რომ მასაც ლახტივით იყენებდნენ.

საბრძოლო იარაღად მიიჩნევს **კვერთხს** ივანე ჯავახიშვილი. საბას განმარტებითაც „კუერთხი საგუემელი ჯოხია“. ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება, რომ ჯოხი ტრადიციული იარაღი იყო. სვანური **„მიჯურა**“ ამის ნათელი მაგალითია. „მიჯურა“ მასიური ხის ჯოხია, რომელსაც წვერზე რკინის წვეტი აქვს, ხოლო თავში თასმა აქვს გაყრილი, რომელიც მაჯაზე იხვევა. „მიჯურა“ გამოიყენებოდა როგორც მთაში სასიარულოდ, ისე საბრძოლველადაც, ხალხურ ორთაბრძოლაში. საინტერესოა, რომ სვანურში არსებობს ზმნა „ლიჯუირი“ რაც მიწოლას, მიბჯენას გულისხმობს. შესაძლებელია, ეს ტერმინი და ზმნა შინაარსობრივად ერთმანეთს უკავშირდებოდეს.

დასარტყმელ იარაღს მიეკუთვნება **მათრახიც,** რომელიც შემდეგ მხოლოდ საცხენოსნო იარაღად გადაიქცა. ქართული წერილობითი ძეგლებიდან ჩანს, რომ თავიდან იგი საბრძოლო იარაღი იყო, რომელიც ეთნოგრაფიულ ყოფაშიც შემორჩა. მათრახი შედგება ხის ტარისაგან, თასმისა და დაწნული ტყავის ღვედისაგან, რომელსაც ზედ რკინის მავთულები აქვს დახვეული. მათრახი მოხერხებულად გამოიყენებოდა ბრძოლის დროს და, როგორც ჩანს, საკმაოდ სახიფათო იარაღიც იყო. საქართველოში საბრძოლოდ გამოიყენებოდა 7 მხრის (1 მხარი 25-30 სმ.) სიგრძის მათრახი. ეს ზომა დოგმა არ იყო და მებრძოლის მოხერხების მიხედვით მზადდებოდა.

საბას ლექსიკონში აღწერილია ლართის (ხარის ასოს) მათრახი. თუ გავიხსენებთ ხარის, როგორც წმინდა ცხოველის სახეს ქართულ ფოლკლორში, ლართის დაკვრა თავიდან შესაძლოა ფალიკური დალოცვაც ყოფილიყო, ხოლო მოგვიანებით – დამცირების გამომხატველი.

აღმოსავლეთ საქართველოში დღემდე შემორჩენილია რიტუალის მსგავსი ასპარეზობა „გორზაკის“ ტიპის მათრახით. ეს უკანასკნელი გახლავთ „წყრთიან“ უზანზე (ტარზე) მიბმული ხარის ზურგის ძარღვებისა და ლითონის მავთულების მომსხო წნული, რომელსაც ულვაშზე (დაბოლოებაზე) ხშირად ტყვიის ბურთულები ჰქონდა ასხმული. გადმოცემის თანახმად, ასეთი მათრახით დაკრულს თვით ჯაჭვის პერანგის დაზიანებაც კი შეეძლო.

საბრძოლო თუ საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით ყველაზე მოხერხებული და საჭირო იარაღი, რომელსაც მნიშვნელობა ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონების შემდეგაც არ დაუკარგავს, **მკვეთელი, მჭრელი** იარაღია. ადამიანმა იგი უძველეს დროში გამოიგონა, განავითარა და დღემდე იყენებს, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ ნივთს.

**მკვეთელი იარაღის** სახეობებს მიეკუთვნება: **ხმალი**, **მახვილი**, **ხანჯალი**, **დაშნა**, **დიდი დანა**, **სატევარი**, **ცული**.

როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ძველ დროში ყველაზე მეტად გავრცელებული ყოფილა ხმალი. იგი სხვადასხვა მოყვანილობის იყო და რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა: პირი, კოტა (ხელის მოსაკიდებელი), ვადა ან ჯვარედი.

ხმლის კოტას თავს ქუდი ერქვა, რომელიც სწორი ან მოკაუჭებული იყო. მის ნახვრეტში თასმა იყო გაყრილი, რომელიც მეომარს მაჯაზე ჰქონდა შემოხვეული, ხმლის ადვილად დასაჭედად.

ხმალი ხარისხით შეიძლება ყოფილიყო ბასრი და მაგარი, ან რბილი. მისი ეს თვისება ფერშიც იყო გამოხატული – ჩალურჯებული ანუ „ლიბრი“ (ლიბრი – ჩალურჯებული, რუხი), იგი საუკეთესოდ და ბასრად ითვლებოდა. ხოლო „თეთრი“ – უფრო მდარე ხარისხის იყო. ხევსურეთშიც ხმალი „ჯიშიანად“ და „უჯიშოდ“ იყო დაყოფილი. ჯიშიანი ხმლების რიგს „დავითფერული“, „ფრანგული“ და „გორდაფრანგული“ მიეკუთვნებოდა, ხოლო უჯიშოს – „ჭარული“, „ლეკური“ და სხვა.

ხმლები, ხარისხის გარდა, ფორმითა და მოყვანილობით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. შხვადასხვა ერს სხვადასხვა ფორმის ხმლები ჰქონდა. როგორც ისტორიული წყაროებიდან საცნაურდება, ქართული კლასიკური ხმალი სწორი ფორმის იყო და **„შვეტი“** ერქვა. საეკლესიო მხატვრობიდან ჩანს, რომ ასეთი ფორმის ხმლები საქართველოში VIII საუკუნემდე იყო გავრცელებული, ხოლო

ᲡᲠᲘᲡ საუკუნიდან ხმლის ფორმა ოდნავ იცვლის სახეს და იხრება. ეს კარგად ჩანს ლაშა-გიორგის ფრესკებში. ბეთანიის მონასტერში გამოსახულ უფლისწულ ლაშას „შვეტი“ ხმალი არტყია, ხოლო ბერთუბნის მხატვრობაში მას, უკვე მეფეს, ის ოდნავ მოხრილი უჭირავს.

ხმალი ორპირად მჭრელი იარაღი არ იყო. მას ერთ მხარეზე ფხა, ხოლო მეორეზე ყუა ანუ გნდე ჰქონდა. ხმალი იდებოდა თავის ბუდეში, რომელსაც ქარქაში ერქვა. ეს უკანასკნელი სპარსული დამახინჯებული სიტყვაა, **თარქაშ**იდან მომდინარე. სულხან-საბას ხმლის, შეიძლება ითქვას, ამომწურავი და სრულყოფილი დახასიათება აქვს მოცემული, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ფასდაუდებელს უწოდებს: ,,ხრმალნიცა მრავალგვარნი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილთაებრ და რომელიცა ხმალი ძველი, გრძელი, მზეველი, მკვეთელი და სტულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ღოროსანი, გორდა თუ კალდიმი. ამას ქართველნი ჰყვარობენ, ფრანგიცა ესეთსა ბრძენნი და გამოცდილნი, ღვაწლისა მძლენი მხედარნი საქებურად ამას დასდებენ, რომელი გვარიანიც იყოს, ძველი და არა ღვარჭნილი, არაცა სადა მცირედი სიმრუდე ჰქონდეს, არცა მაღალ-დაბლობა აჩნდეს ცახეთაცა ოდენი, ლიბრი იყოს და არა თეთრ, ზომიერ სიგრით და სიბრტყეთა, ძვალთა და რკინათა მკვნეტელ და თვით უვნებელ, ადრე არა დამბლაგველ, უტალ-უნაფცხვენო, ყუა-ზრქელ, გნდე-სწორე, შაშარ-მოკლე“.

ხმალს, მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ქართულ ყოფასა და სამართალში. იგი სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთი სიმბოლო იყო. მეფედ კურთხევის რიტუალის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი მეფისთვის ხმლის შემორტყმა იყო, რომლის უფლებაც მხოლოდ სამეფო კარზე დაწინაურებულ ფეოდალს ჰქონდა (მეფედ კურთხევისა და ხმლის შემორტყმის ცერემონიალის ამსახველი ერთფერადი ფრესკა გვაქვს, რომელზეც გამოსახულია მეფე დემეტრე აღმაშენებლის ძის მეფედ კურთხევა – სვანეთში, ლატალის მაცხოვრის ეკლესიაში).

სამეფო დარბაზის ეტიკეტის მიხედვით, მეფესთან ხმლის ტარების უფლება მხოლოდ პირადი დაცვის უფროსს – სეფე-მეაბჯრეს ჰქონდა. ხმალს, როგორც ძალაუფლების სიმბოლოს, ატარებდა ამირსპასალარი და ამილახვარი.

ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ ვაჟისთვის ხმლის ტარების უფლების მინიჭება მის სრულწლოვანებას, ,,კაცად“ აღიარებას ნიშნავდა. ამავე დროს, ხმლის მატარებელ ადამიანს მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდა საზოგადოების წინაშე.

როგორც ქართული წერილობითი წყაროებიდან ჩანს, უძველესი მკვეთელი იარაღი იყო **მახვილი**. მისი დიდი მნიშვნელობის შესახებ მეტყველებს ქართულ ენაში დამკვიდრებული გამოთქმები: ჭკუამახვილი, გონებამახვილი, ენამახვილი და ა.შ.

**დაშნა** მკვეთებელი იარაღის ერთ-ერთი სახეობაა. იგი ძველი სპარსული სიტყვაა და პატარა დანას ნიშნავს, რომლის დამალვაც ჩექმის ყელში შეიძლებოდა (ასე ატარებდა მას ამირანი და, როცა დევმა გადაყლაპა, სწორედ დაშნით გამოუჭრა მას ფერდი). დაშნას ხელჩართული ბრძოლის დროს ხმარობდნენ. ეს ტერმინი IX-X საუკუნეებში ფართოდ იყო გავრცელებული და, გარდა საბრძოლო იარაღისა, ერქვა კალატოზის სალესავ იარაღსაც.

ჯავახიშვილის განმარტებით, ეს ტერმინი მხოლოდ ხევსურულ დიალექტშია შემორჩენილი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ის სვანურშიც ფართოდაა გავრცელებული.

**დანა,** თუ არქეოლოგიური მასალებით ვიმსჯელებთ, დაახლოებით, იხმარება მეორე ათასწლე-ულიდან ჩვენს ერამდე. იმ შორეულ წარსულშიც იგი სარიტუალო და საბრძოლო დანიშნულებისა იყო.

სწორედ ამ პერიოდიდან ყალიბდება ჩვენში დანის ხმარების ტრადიცია და რიტუალები (დანით შელოცვები, დანაზე დაფიცება და სხვა).ჯამავე დროს, იგი დღემდე შეუცვლელი იარაღია ხელჩართული ბრძოლის დროს. ამჟამად აღდგენილია დანის ილეთთა ათვისების რამდენიმე მეთოდი – სრულიად განსხვავებული მეომრისა და მოზარდისათვის.

დანა, რომელიც დღეს საყოფაცხოვრებო ნივთია, ძირითადად ᲡᲠᲘ საუკუნემდე, საბრძოლო იარაღი იყო; თუმცა ჩანს, რომ მას თავიდანვე ექნებოდა სამეურნეო დანიშნულებაც, რასაც ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალაც ადასტურებს; კერძოდ, სვანური ფოლკლორიდან ჩანს, რომ დიდ დანას სვანები წარმატებით იყენებდნენ ომში და ეს ნივთი მათი აღჭურვილობის მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო.

ქართველის შეიარაღებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ხანჯალს უჭირავს. გარდა იმისა, რომ ის საბრძოლო იარაღია, ამავე დროს, ქართული კლასიკური ჩაცმულობის აუცილებელი ელემენტია და საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული.

**ხანჯალი/ხანჯარი** – სპარსული სიტყვაა და ᲘᲓ საუკუნიდან შემოდის ქართულ მეტყველებაში. ი. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ამ იარაღს, რომელიც წარმოუდგენელია, ᲘᲓ საუკუნემდე არ ყოფილიყო საქართველოში გავრცელებული, მანამდე მახვილი უნდა რქმეოდა.

ᲘᲓᲠᲘ საუკუნეში გვხვდება ტერმინი **სატევარი**, რომელიც თავიდან მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული, შემდეგ კი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში შემორჩენილა. საბას განმარტებით, **სატევარი** ქართული ტერმინია და **ხანჯალს** ჰქვია: ,,ხანჯალი სხვათა ენაა, საგვერდული მახვილია, ქართულად სატევარი ჰქვიან“.

ქართული კულტურისთვის გამორჩეულად დამახასიათებელი სახეობაა **ცული**, რომელსაც თავიდანვე ორგვარი (სამეურნეო და საბრძოლო) დანიშნულება ჰქონდა. საბრძოლო ცულები

ძირითადად ხელჩართული ბრძოლის დროს გამოიყენებოდა, თუმცა სავარაუდოა, რომ მათ ახლო მანძილზე სატყორცნადაც იყენებდნენ.

ცული უძველესი დროიდან გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე. მისი განვითარების მწვერვალი კი არის ბრინჯაოს **კოლხური ცული,** რომელიც გამორჩეული იყო თავისი ფორმით, ხარისხითა და მაღალი მხატვრული დონით.

სატარე ხვრელისა და ყუის ფორმებიდან გამომდინარე, ცული სხვადასხვა ტიპისა იყო, რომელთა განხილვასაც აქ არ შევუდგებით.

ცული კოლხი მეომრების შეიარაღების აუცილებელი ატრიბუტი იყო. მას ატარებდნენ მარჯვენა მხარეს – ქამარში გარჭობილს, ტარით ქვემოთ. იგი საბრძოლო დანიშნულებით ფართოდ გამოიყენებოდა ძვ. წ. ი საუკუნემდე, შემდეგ კი ქრება.

საბრძოლო იარაღის ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა **სათითური/საცერული,** რომელიც მხოლოდ ხევსურეთშია გავრცელებული. იგი რკინის ბრტყელი რგოლია, რომლის გარეთა პირის რგოლი ალესილია, ან კბილებითაა დაფარული. სათითურები სხვადასხვა ფორმისაა და მათი სახელებიც განსხვავებულია: „ხვეულა“, „ზურგანა“, „მარალა“, „ღაჯია“, „ლესულა“, „ცალკბილა“ და სხვა.

სათითური, როგორც ეს სახელწოდებიდანაც ჩანს, თითზე კეთდებოდა და ჩხუბის დროს გამოიყენებოდა. მჭრელი პირისა და კბილანების მეშვეობით, იგი სერიოზულად აზიანებდა ადამიანს. სათითური შედგებოდა კბილების ძირების, ბუდისა და ყუისაგან. ამზადებდნენ ხევსური ოსტატები. სათითური მხოლოდ ხევსურეთშია გავრცელებული,ამიტომ ხევსურული კულტურის ელემენტად არის მიჩნეული. ცალ თითზე წამოსაცმელი სათითე საკმაოდ მრისხანე იარაღია მჭიდრო შერკინებაში. მორკინალი მას საკუთარი ხელწერისა და ოსტატობის შესაბამისად ირჩევდა.ასალბათ, ამ გარემოებით უნდა აიხსნას მისი მრავალგვარობა. მარტო ხევსურეთში მოძიებულია სათითის 12-ზე მეტი ნაირსახეობა.

ხევსურულისგან განსხვავებით, მთიულეთში ვხვდებით ორთითიან (საჩვენებელ და შუა თითზე წამოსაცმელ) **საჯიჯგველას.** თუ ხევსურული სათითე უაღრესად შეუზღუდავია და რკალურ მოძრაობაზეა გათვლილი, საჯიჯგველას, პირიქით, ძირითადად, „ჯიჯა“, სწორხაზოვან დარტყმებში ხმარობდნენ.

საინტერესოა თუშური ოთხთითა **ღაჯიები**. ღაჯიად ერთ-ერთი ხევსურული სათითეც იწოდება, ოღონდ, თუშურისაგან განსხვავებით, იგი ცალთითაა. ოთხთითა სათითე გვხვდება გურიაშიც.

ორიგინალური ფორმისა და დანიშნულების გამო, სათითურის ჩასმა იარაღის რომელიმე ჯგუფში რთულია. ის არის როგორც დასარტყმელი, ასევე მკვეთებელი იარაღი, თუმცა, შესაძლებელია, რომ დასარტყმელი იარაღების ჯგუფს მივაკუთვნოთ.

ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს ციხესიმაგრეთა ასაღები საშუალებები, რომელთაც პირობითად შეიძლება ეწოდოს **სამტვრევი** იარაღები. ამ ჯგუფში უნდა მოთავსდეს ფილაკვანიც, რომელიც სატყორცნ იარაღებსაა მიკუთვნებული, რადგან ციხესიმაგრეების ასაღებად და ზღუდეთა შესამტვრევად იხმარებოდა. ამ ტიპის იარაღები ძირითადად სვანეთში დასტურდება.

საქართველოში ოდითგანვე იმართებოდა შეჯიბრებები ლოდის შორს გადაგდებაში და ფალავნებიც ძალზე დაფასებულნი გახლდნენ. „აღივსო უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლველვითა თვითა სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთა“, – წერს დავითის ისტორიკოსი დიდგორის გამარჯვების შესახებ. საინტერესოა, რომ ფილაკვანი, ანუ სიმაგრეთა შესამუსრი ლოდსატყორცნი მანქანა, საკმაოდ იშვიათად მოიხსენიება ჩვენს წყაროებში. ფრანგი მოგზაურის –ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობით, „...ილორში არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია, სადაც სულ რამდენიმე წლის წინათ იდგა კატაპულტები, ურნალები და სხვა საომარი იარაღი, რომელსაც თოფისწამლის გამოგონებამდე იყენებდნენ...“

როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, სვანები კედლებისა და კარების შესამტვრევად ხმარობდნენ მოწყობილობებს, რომელთაც „ჯორაი“ და „კიკბერ“ ეწოდება.

**ჯორაი** მოზრდილი მორია, რომელსაც ათი-თხუთმეტი ვაჟკაცი ხელებით მაღლა სწევს და გამოქანებით ურტყამს სახლის კარებს ან ჭიშკარს შესამტვრევად. ამ ტიპის სამტვრევ საშუალებებს განეკუთვნება **კიკბერი**. იგი ხის დიდი მორი ყოფილა, რომელიც გახვრეტილი იყო სამ ადგილას, სადაც გაყრილი ჰქონდა ხელის მოსაკიდებელი ხის კეტები. ამ უკანასკნელთ ორ-ორი კაცი ჰკიდებდა ხელს და კარს ან კედელს ამტვრევდნენ. როგორც ენათმეცნიერები მიიჩნევენ, ამ სიტყვას შემდეგში „ძალის“ მნიშვნელობაც მიუღია.

საინტერესოა, რომ სიტყვა „კიკბერი“ ოდნავ სახეცვლილი გვხვდება ლეჩხუმურ დიალექტშიც. აქაც იგი ხის მორს აღნიშნავს. კოშკის ასაღებად სვანეთში კიდევ ერთი საშუალება იყო გამოყენებული, რომელსაც „ლაშხიარ“ ერქვა. ერთმანეთზე დამაგრებულ ხეებს კოშკს შემოუწყობდნენ ყველა მხრიდან, საკმაო სიმაღლეზე და ცეცხლს მოუკიდებდნენ. ამას შეიძლებოდა კოშკის დანგრევა გამოეწვია. ტერმინი ნაწარმოებია სიტყვისაგან – „ლიშხი“, რაც დაწვას ნიშნავს. „ლაშხიარ“ – დასაწვავი საშუალება.

**თავდასაცავი იარაღი.** ომში მას საბრძოლოზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ ის უძველეს დროშივე გაჩნდა. წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველური ტომები თავიდანვე ატარებდნენ ხის, ხელისა და ტყავისაგან დამზადებულ სხვადასხვა სახის თავდაცვით საშუალებას.

თავდასაცავი იარაღი, დანიშნულებიდან გამომდინარე, რამდენიმე სახეობად იყოფა: **1. თავსაბურავი; 2. გულმკერდის საცავი; 3. ქვედა ნაწილის საცავი; 4. ფარი და ჩელთი**.

საქართველოს ყველა კუთხეში ჩანს, რომ თავდასაცავი საშუალებები ფართოდ იყო გავრცელებული და საკმაოდ ჩამოყალიბებული სახეც ჰქონდა. მისი დამზადების ტექნოლოგიები მოსახლეობამაც იცოდა და, როგორც საბრძოლო იარაღს, ასევე საჭირო თავდასაცავ საშუალებებს თავადვე ამზადებდა.

თავსაბურავი საშუალებების აღმნიშვნელად ქართულ ენაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტერმინი გამოიყენებოდა. ამ საგანთა და ტერმინთა ყველაზე სრული განმარტებები აქვს სულხან-საბა ორბელიანს. იგი თავსაბურთა ზოგად სახელად მიიჩნევს **ზუჩს** და მასში სხვადასხვა სახეობას აერთიანებს. თავსაბურავის აღმნიშვნელ ყველაზე ძველ ქართულ ტერმინად **ჩაფხუტი** გვევლინება.

ამ უკანასკნელის პარალელურად გვხვდება **ჩაჩქანი,** რომლის წარმომავლობაც გაურკვეველია. ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინები: **ზარადი, მუზარადი და ჩაბალახი.** მუზარადი ზარადისგან არის წარმოებული. ეს უკანასკნელი არაბულს შეუთვისებია ძველი სპარსულისაგან.

რაც შეეხება საქართველოს სხვა კუთხეების მონაცემებს, აქაც მეტ-ნაკლებად ერთნაირი სურათი გვაქვს. თუმცა სვანურ ფოლკლორში თავსაბურავის მნიშვნელობით ძირითადად ზუჩი (ზურჩი) იხმარება, ხოლო ხევსურულში – ჩაჩქანი და ზარადი.

საბას განმარტებით, თავსაბურავი ხუთი სახეობისა იყო და ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ზუჩი ეწოდებოდა, რომელსაც თავზე დასახური რკინა კვერცხისებური მოყვანილობისა ჰქონდა, ხოლო წინ და უკან გრძლად ზარადი (ნაქსოვი რკინა) ჰქონდა შემოვლებული (მასვე ზოგჯერ უწოდებდნენ მუზარადს); ზუჩის მსგავს თავადსახურს, რომელსაც ზარადი არ ჰქონდა შემოვლებული, მაგრამ ჰქონდა ცხვირის დასაფარებელი რკინა – საცხვირე, ჩაფხუტი ერქვა. თხემზე რკინის მთლიანი დასაფარებელი და უკან (კისრის მხარეს) მცირე ზარადშემოვლებული – ჩაჩქანი იყო. მთლიანად ჯაჭვისაგან მოქსოვილ თავსაბურავს, ერთიანი რკინის ნაწილის გარეშე, ჩაბალახი ერქვა.

ხევსურეთში გავრცელებული თავსაბურავი (ჩაჩქანი) ორი ნაწილისაგან შედგებოდა: „ჩაჩქანის ჯამი“ (რომელიც რკინის კოპებით იყო მორთული) და ჯამიდან ჩამოშვებული რკინის ბადე (რომელსაც ხევსურებიც „ზარადს“ უწოდებენ). ზარადი მთლიანად ფარავდა სახეს, მას „სათვალურები“ ჰქონდა, საიდანაც მოლაშქრე იხედებოდა.

რკინის თავსაბურავის შიგნით მეომარი თავზე იხურავდა ნაბდის ქუდს ან ჩაიფენდა „სადებს“, რომელსაც ჰქონდა დარტყმის შემამსუბუქებელი ქმედება (ამორტიზირება). თავიდან ასეთივე დანიშნულება ჰქონდა სვანურ ქუდსაც, რომელსაც მეომარი „ზურჩის“ ქვეშ იხურავდა.

**ჯაჭვი** მეომრის თავდასაცავი უმთავრესი საშუალება იყო. უმეტესად სწორედ მის სიმტკიცესა და მაღალ ხარისხზე იყო მეომრის უსაფრთხოება დამოკიდებული.

როდის და სად გაჩნდა თავდაპირველი ჯაჭვის (რკინის) ჯავშანი, გამორკვეული არ არის, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის აღმოჩენილი ძვ.წ-ის დროინდელი ჯავშნის ნაწილები (ბრინჯაო, სპილენძი), რომლებიც განსხვავებული ფორმებით ხასიათდება (ვანი, თრიალეთი, კლდეეთი, ენგურის შესართავის სამხრეთი და ა.შ.). ეს იმის უტყუარი დასტურია, რომ თავდასაცავი საშუალების ეს სახეობა ძვ.წ-ის ᲐᲘ ათასწლეულის ᲐᲘ ნახევრიდან უკვე ჩნდება ქართველურ ტომებში. მეომრის სამოსი Დ ს-ის პერიოდის ურბნისის არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. ცნობილია, რომ ქართლის სამეფოს ლაშქარში უმთავრეს როლს ასრულებდნენ „ცხენთოროსანნი“ და „ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი“, ანუ ცხენიანად შეჭურვილი მხედრები, რომელნიც უმთავრეს დარტყმას აყენებდნენ მტერს.

რუსეთში ჯაჭვი Ი საუკუნიდან ვრცელდება, სავარაუდოდ, აღმოსავლეთისა და შავიზღვის-პირეთის გავლენით, ხოლო დასავლეთ ევროპაში – ჯვაროსნული ლაშქრობების შემდგომ პერიოდში.

ჯაჭვის პერანგი ადგილობრივი წარმოებისა რომ იყო და საქართველოში მისი დამზადების ტექნოლოგია შემდგომ პერიოდშიც მაღალ დონეზე იდგა, ამას წერილობითი, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებიც ადასტურებს. მუზეუმებში მრავლადაა დაცული ჯავშნის ფრაგმენტები და სხვადასხვა ნაწილი. ზოგი საჭურველი, დამზადების სირთულის გამო, საკმაოდ ძვირფასიც იყო და მასზე არც თუ ბევრს მიუწვდებოდა ხელი. მაგალითისათვის ავიღოთ ჯაჭვის პერანგი. იგი ასი ათასზე მეტი რგოლისაგან იქსოვებოდა. თითოეული შედუღებული ან მოქლონილი იყო. წარმოიდგინეთ, შუა საუკუნეების ტექნოლოგიით, რა შრომას და დროს მოითხოვდა ჯერ სათანადო მავთულის დამზადება, შემდეგ ზომაზე დაჭრა (რგოლები სხვადასხვა ზომისაა), დახვევა, თავების დაბრტყელება, დახვრეტა, ფარეშის (მოქლონის) დამზადება, ჩაქსოვა, მირგება, ფარეშის გაყრა და მოქლონვა.

აღსანიშნავია, რომ ამ ოპერაციათა უმეტესობას ქალები ასრულებდნენ. განთქმული ყოფილა გუდამაყრული ჩაბალახი და შაბალხეთური ჯაჭვი, ოლო სვანური საბუთი – ჯაფარიძეების სასისხლო სიგელი, ამ მხრივ, ფასდაუდებელ ინფორმაციას შეიცავს. აქ მოხსენიებულია 300 ჯაჭვის პერანგი, სხვადასხვა სახეობის. ჯავშნის განვითარებულ წარმოებაზე მეტყველებს ჯაჭვის პერანგების კონკრეტული სახელდებები მათი დამზადების მიხედვით, მაგალითად: სამანქანური და ზეიდალი.

სულხან-საბას ცნობით, ჯაჭვის პერანგების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად „ჯავშანი“ იხმარებოდა, რომელიც 5 სახეობის ყოფილა: **სამანქანი, ზეიდალი, ხოსროანი, ქირიფქა და ჯაბალა.** ეს სახეობები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა სხვადასხვა ნიშნით: ფარეშოვანი, უფარეშო, ნიკარტოვანი, გადაგრეხით ძნელად გადასატეხი, მრგვალ და ბრტყელთვლიანი, ბასრთვლიანი, ღარღაროვანი და ა.შ. საბას მოცემული აქვს, როგორი უნდა იყოს კარგი აბჯარი: „გრძელი და ფართო, ჯაჭვისთვალი რაზმად და რაზმად დაწყობილი იყოს, ფარეშ-შვენიერი და ძნელად გადასახსნელი, ნოტიოობაში გვიან დაგესლდეს, ყრილი არა ჰქონდეს, კალთიდამ შედევნებით უსხო და უსხოსი იყოს, მკერდთა, ბეჭთა და ღლიათა უზრქელესი და მიყრილი იყოს, ქირაფქის თვალი ხმალსავით იზევდეს და სამანქნისა მრავალსაგრეხი იყოს, რომელსაც ნიკარტი ჰქონდეს გვარიანი და რომელსაც ღარი მოხდომილად“.

სულხან-საბას იქვე ჯავშნის კიდევ ერთი სახეობა – **თორნი** აქვს მითითებული: „ტანსაცვამია რკინის ჯაჭვივით, მაგრამ არს მთელი რკინა პოლოტიკი ტანთჩასაცმელი, თორნი მთლიანი ფოლადისაგან ან სპილენძისაგან გაკეთებული საფარი“, რომელიც ორად იხსნებოდა და იკვრებოდა. ან იყო ერთმანეთზე გადაბმული ხუთნაწილოვანი ჯავშანი, რომელიც დანარჩენებისაგან სწორედ ამ მთლიანობით განსხვავდებოდა. როგორც აღინიშნა, ჯავშნის დამზადება საქართველოს ყველა კუთხეში იცოდნენ.

ხევსურული ჯაჭვის პერანგი ძირითადად იყოფოდა **ფარეშიანად** და **უფარეშოდ**. იგი ჩამოდის „საწელემდე და მკლავებზე – იდაყვებამდე“. ჯაჭვი ხევსური მეომრის აუცილებელი თავდასაცავი იარაღი იყო, ჩაჩქანთან ერთად. რაც შეეხება სვანეთს, ფოლკლორული მონაცემებით, აქაური შეიარაღება მოიცავს აბჯარს, ზურჩს, ჰეშნავირს (სამკლაური) და სამუხლეებს (იგივე „ლექვთულიარი“).აბჯარი ანუ რკინის პერანგი აქ გავრცელებული ყოფილა, ძირითადად, **სამანქანური** და **ზედალური**.

ჯაჭვის პერანგის ნაწილი იყო **„ქაშქანი – ჯავშნის სამხარიღლიე“**, რომელიც მხარსა და იღლიას იცავდა.

ცალკე ელემენტი იყო მკლავის დასაფარი საშუალება, რომელიც ჯავშნის გაგრძელება იყო. საბას მის სახელად **ხელნავი** აქვს მოყვანილი: „ხელნავი – საომარი სამკლავე“. **სამკლავე** ერქვა ხევსურული ჯავშნის ნაწილსაც, რომელიც იდაყვიდან მაჯამდე ფარავდა მკლავს. სამკლავე ორი ნაწილისაგან შედგება: 1. სამკლავე; 2. სამაჯური. ესენი ერთმანეთთან დაკავშირებულია „ჭიკუთი“ (გირგოლები). სამკლავეს აქვს „ღვედები“, რომლებითაც ის მკლავზე მაგრდება.

**ხელნავი** ანუ სამკლავე სვანური აბჯრის აუცილებელ ატრიბუტადაც გვევლინება. მას სვანურად **„ჰეშნავირ“** ჰქვია.

ხევსურული აბჯრის შემადგენლობაში წარმოდგენილია **საფუხარი** – ხელის მტევნის დასაფარი ჯაჭვის თათმანი (საფუხარი – ხელსაცვამი). საბრძოლო ხელთათმანის გარეთა მხარე ჯაჭვით იყო დაფარული, შიდა – ქსოვილით გამოკრული. ჯავშნის გარეთ ხშირად იცვამდნენ საომარ სამოსელს, რომელსაც, საბას განმარტებით, **იალმაგი (ალმაგი)** ჰქვია. „ალმაგი სამოსელი არს ჯაჭვთა გარეგან საცმელი“. სხეულის ქვედა ნაწილის დასაცავად გამოყენებული იყო **სამუხლე და საბარკული.**

სამუხლე პოლოტიკი, რომელსაც **საყირმუზა** ეწოდებოდა, მუხლის დასაფარი ნაწილია. თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლოტიკი მთლიან რკინას ჰქვია, აღმოჩნდება, რომ მეომრები მუხლის დასაფარად ერთიან სამუხლეს ხმარობდნენ. სვანებიც იყენებდნენ სამუხლეს, რომელსაც „ლექვთილიარ“ (ლე – თავსართი, ქუთულ – მუხლი) ერქვა.

„საბარკული“ გვხვდება ვეფხისტყაოსანსა და „შაჰნავაზიანში“. როგორც ტერმინიდანაც ჩანს, „საბარკული“ ბარკლის საფარი ნაწილი იყო.

დაახლოებით, ამავე დანიშნულების ელემენტს შეიცავს ხევსურული აბჯარი, რომელსაც **საჩერნე** ეწოდება. იგი ნაწარმოებია სიტყვისგან „ჩერანი“ (ხევს. – წვივის ძვალი). საჩერნე მეომრის ფარავდა წვივს, მოდიოდა თეძოდან და კოჭამდე გრძელდებიდა, ჯაჭვისგან იყო მოქსოვილი და გადაკერებული იყო შარვალზე. მკვლევარი გ. გასიტაშვილი მას ხევსურული აბჯრის თავისებურ ელემენტს უწოდებს. ჩვენი აზრით, ის საბარკულის მსგავსია და საერთო ქართული აბჯრის მახასიათებელია.

თავდაცვითი იარაღის აუცილებელი ატრიბუტია **ფარი,** რომელსაც უძველესი დროიდან იყენებდნენ ქართველური ტომები.

თავიდან გამოიყენებიდა დაწნული, ხის, ტყავის ან ტყავგადაკრული ფარები. ქართველური ტომები ძირითადად პატარა მრგვალი ფორმის ფარებს იყენებდნენ.

მხოლოდ იბერიელების შესახებ არის ცნობა, რომ მათ დიდი ზომის ფარები ჰქონდათ. ბრინჯაოს უძველესი ფარი, რომელიც საქართველოშია აღმოჩენილი, ძვ. წ. ᲮᲩᲘ-ᲘᲮ საუკუნეებს მიეკუთვნება. ასეთი ფორმის ფარები აქ ᲮᲓᲩᲘ საუკუნემდე გამოიყენებოდა. მრგვალი ფარი, ძირითადად, ცხენოსნობასთანაა დაკავშირებული. მსუბუქი და პატარა ზომის გამო, მხედრისთვის ის უფრო მოსახერხებელი იყო.

„ქართლის ცხოვრებაში“ საინტერესო ცნობაა დაცული, რომ ვახტანგ გორგასალს „ვიგრის“ (ანუ ნიანგის) ტყავისაგან დამზადებული ფარი ჰქონდა: „და აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშნითა, და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერა ჰკუეთდა მახვილი“. ამ ცნობიდან კარგად

ჩანს, რომ ქართველები ფარის დამზადების ხელოვნებას კარგად ფლობდნენ, იმდენად კარგად, რომ გორგასლის „მახვილით გაუკვეთელ“ ფარს ნიანგის ტყავისაგან გაკეთებულად მიიჩნევს მემატიანე.

ფარის დამზადება ყველა კუთხეში იცოდნენ. ძირითადად ხეზე ტყავგადაკრული ფარები მზადდებოდა, რომელთაც ზედ რკინის სალტეები უკეთდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ფარისათვის საჭირო ტყავს შავად ღებავდნენ, რის გამოც მათ „შავფაროსნებად“ (ყარაყალღანები) მოიხსენიებდნენ.

ქართული მრგვალი ფორმის ფარი, მასალისა და დამზადების ტექნიკით, შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად: **ხის ფარები** (ან ტყავგადაკრული წნული ფარები); **ტყავის ფარები; კომბინირებული ფარები** (ტყავის ფარი, რკინის სალტეებით შეჭედილი) და **რკინის ფარები**. ფარს ჰქონდა ტყავის საკიდი (რომლითაც მეომრის მხარზე იყო გადაკიდებული) და უკანა მხარეს ხელის ჩასაკიდებელი (საბღუჯი).

ხევსურები, ჩვეულებრივი მრგვალი ფარის გარდა, ხმარობდნენ ე.წ. **უბის ფარს,** რომელსაც უბის მარცხენა მხარეს იდებდნენ, გულის დასაცავად. აბჯრის გამოყენებამდე მკერდის (გულის) დამცავ მსგავს საშუალებას ძველად ბევრგან იყენებდნენ. ხევსურებმა „უბის ფარი“ გვიანობამდე შემოინახეს. მრგვალი ფორმის ფარების გარდა, ქართველები იყენებდნენ ოვალურ და დიდი ზომის ფარებსაც – **დელამფარს**. აღნიშნული ტერმინი ნახსენებია ხალხურ პოეზიასა და თქმულებებში.

ფართან ერთად, თავდასაცავ იარაღად საბას ნახსენები აქვს **ჩელთი,** რომელსაც განმარტავს, როგორც ბრტყელ მახვილს. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ „ჩელთი“ ფარივით (ოთხკუთხა) იარაღი იყო.

იარაღის ტარებას შესაბამისი წესები ჰქონდა. მშვიდობიანობის დროს სამეფო ჯარის იარაღი, სამხედრო დროშასთან ერთად, ზარადხანაში ინახებოდა და მას მხოლოდ ბრძოლის დაწყების წინ გადასცემდნენ მეომრებს. რაც შეეხება მოსახლეობაში არსებულ იარაღს, მშვიდობიანობის დროს სრული აღჭურვილობის ტარება არ იყო რეკომენდებული, ამიტომ ძირითადი შეიარაღება ოჯახებში ინახებოდა.

ი. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ იარაღის მასიურად ტარების წესი გვიან, მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის დროს დამკვიდრდა, როცა მოსახლეობა იძულებული იყო, თავად დაეცვა თავი მოსალოდნელი თუ მოულოდნელი საფრთხისაგან; თუმცა, ამავე დროს, ქართულ ყოფაში არსებობდა ძვირფასი, საზეიმო ხასიათის მსუბუქი იარაღის ტარების წესი, რომელიც ქართული ჩაცმულობის ორგანული ნაწილი იყო(ქამარ-ხანჯალი).

მაღალ დონეზე იყო სამხედრო წეს-ჩვევათა კულტურა როგორც ქართულ ლაშქარში, ისე უბრალო მოსახლეობაში. მხედრული უნარების სწავლებას ვაჟები ოჯახში პატარაობიდანვე იწყებდნენ, 15-16 წლიდან კი მათ იარაღის ტარების უფლება ეძლეოდათ. ყველა კუთხეში განვითარებული იყო საბრძოლო წესებისა და იარაღის გამოყენების სწავლების კულტურა, რაც ფარიკაობა-ხმალაობაში (კეჭნაობაში), ორთაბრძოლა-ჭიდაობების სხვადასხვა სახეობაში გამოიხატებოდა. მეომრული ჩვევების გამომუშავება-დახვეწას ემსახურებოდა უამრავი საბავშო და ნადირობის რთული ჩვეულება.

ქართულ შეიარაღებაში საბრძოლო და თავდასაცავი იარაღის თითქმის ყველა სახეობაა წარმოდგენილი, რაც ომებში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. ამავე დროს, ქართული შეიარაღება ადგილობრივი წარმოშობის თავისებურ ელემენტებსაც შეიცავს, რაც იარაღის მაღალ კულტურაზე მეტყველებს.

საბრძოლო-თავდაცვითი იარაღი უძველეს პერიოდსა და შუა საუკუნეებში უფრო მეტად მაღალხარისხოვანი იყო და შესაბამისი პერიოდის მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებდა. ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენის შემდეგ ვითარება შეიცვალა.ადრე იარაღის თითქმის სრული შემადგენლობა ძირითადად ადგილზე იწარმოებოდა და ძალიან მაღალი ხარისხის იყო. ცეცხლსასროლი იარაღი კი უკვე მთლიანად უცხოეთიდან შემოჰქონდათ. თავის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდში საქართველო მთლიანად სხვაზე იყო დამოკიდებული. ვითარება ᲛᲔᲪᲐᲛᲔ-ᲪᲐᲛᲔ საუკუნეებში ოდნავ შეიცვალა. შესაძლებელი გახდა თოფების ადგილზე აწყობა და გამართვა, გაჩნდა საარტილერიო დანადგარები, თუმცა ამან სურათი მთლიანად ვერ შეცვალა. ამდენად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იარაღის მაღალი კულტურის მქონე ქვეყანა, ფაქტობრივად, ამ სფეროს სრულად გამოეთიშა და თანამედროვე ტიპის იარაღის შექმნაში ვერ მონაწილეობდა.

შეიძლება ითქვას, რომ მაღალ დონეზე განვითარებული საბრძოლო თავდაცვითი იარაღი, მისი მრავალფეროვნება და მაღალი ხარისხი, სამხედრო ჩვეულებათა მაღალი კულტურა და მეომრული ხასიათი, ერთობლიობაში, განაპირობებდა გამოცდილი, დიდი ტრადიციების მქონე ძლიერი მებრძოლის ფორმირებას, წარმატებით რომ დაიცავდა თავის ქვეყანას. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო უძველესი და დიდი საბრძოლო ტრადიციების ქვეყანაა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა სამხედრო ხელოვნების განვითარებაში.

## §67. სატევრით ბრძოლის ხერხები

საქართველოში არსებობდა ხანჯლით (სატევრით) ბრძოლის არაერთი კუთხური სკოლა. ეს მიმდინარეობები ერთმანეთისაგან ძირითადად ორთაბრძოლის წესებით, ანუ შეზღუდვის წინასწარი პირობით განსხვავდებოდა: მზერის შეზღუდვით (თვალახვეული) რკინება და ხელისა და იარაღის შეზღუდვით რკინება (ერთი ხანჯლით, ორი ხანჯლით, ერთი ხანჯლით – ორის წინააღმდეგ და ა. შ.).

მოძიებულ სახეობათა მსგავსებას იარაღის ფორმა და სარიტუალო წეს-ჩვეულებები განაპირობებდა. ისინი თითქმის უცვლელად მოვიდა ჩვენამდე. ეს ნაირსახეობანი, პირობითად, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: თვალახვეული და თვალხილული ხანჯლაობა.

თვალახვეული ხანჯლაობა, თავის მხრივ, ორ ძირითად სახეობად იყოფა:

– რკინება ცალ ხელში ხანჯლით, მეორეში –„საჩხრიალოთი“, ან ორი ხანჯლით;

– თვალახვეულის რკინება თვალხილულთან (გადმოცემაში შემორჩენილია თვალახვეულის შიშველი ხელებით, ან ხელში თავსარქმლის ამარა შერკინება თვალაუხვეველ, შეიარაღებულ მეტოქესთან).

თვალახვეული ხანჯლაობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სხვადასხვა სახით იყო ცნობილი. საგანგებო ვარჯიშის გარდა, იგი დუელის ერთგვარი სახეობაც ჩანს. მართალია, ამგვარი ორთაბრძოლა სახიფათო იყო, მაგრამ მებრძოლი, რომელიც რამდენიმე ასეთ შერკინებაში გაიმარჯვებდა, მზად იყო არათუ საბრძოლო, არამედ ურთულესი სამსტოვრო დავალებაც შეესრულებინა.

ამ სახეობაში ბავშვების წვრთნა, განსაკუთრებული სირთულის გამო, ადრეული ასაკიდან იწყებოდა – ჯერ წესების შესწავლით, შემდეგ საგანგებო ვარჯიშით, რომელიც დღითიდღე რთულდებოდა. ეს წვრთნები ნამდვილ შერკინებამდე ყმაწვილს უკვე სულით ხორცამდე ჩამოყალიბებულ მებრძოლად აქცევდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით თვალახვეული ხანჯლაობის სხვადასხვა ვარჯიშს. ეს კი თვალნათლივ მოწმობს ამ სახეობის ზოგადქართულ ხასიათს. სამწუხაროდ, დღეს იგი რამდენიმე ხანდაზმულის მეხსიერებაშიღაა შემორჩენილი.

თვალხილულად ხანჯლაობა ძირითადად სამ სახეობად იყოფა: ერთი ხანჯლით; ორი ხანჯლით; შერეული, რომელშიც, ხანჯალთან ერთად, გამოიყენებოდა სხვა დამხმარე იარაღები (უბის ფარი, ქუდი, თოკი, სარტყელი, სამკლავე (ხელნავი) და სხვა).

ერთი ხანჯლით ბრძოლა იყოფა ორ მიმართულებად: ი – ცალი ხელით ხანჯლაობა, როცა შეიარაღებული ხელი დაცულია ხელნავით, მეორე კი გაკრულია ზურგს უკან (თუშეთი, ფშავი...); იი – შეუიარაღებელი ხელი თავისუფალია და მუშაობს დაზღვევის მიზნით. ამ შემთხვევაში, ხშირია თავისუფალი ხელით დარტყმა, ჯიკავი, დაჭერა (ეს უკანასკნელი საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება) და ა.შ.ცალი ხელით ხანჯლაობებიდან საინტერესოა სვანური ნაირსახეობა, როდესაც შეტევამდე ხანჯალს ზურგს უკან მალავენ, რათა მოულოდნელი და გამოუცნობი გახადონ შეტევის მიმართულება.

ხანჯლაობაში წვრთნა მიმდინარეობდა წესით – მარტივიდან რთულისაკენ და თამაშ-თამაშ. დაახლოებით, 10-12 წლამდე ბავშვებს გამოუმუშავებდნენ ძირეულ ჩვევებს: იარაღით სწრაფად სირბილი, ქვიდან ქვაზე ხტომა, გოდორში ჩახტომა-ამოხტომა, საჩვევი იარაღის ტრიალი – „ტორღვება“, სიპ ქვებზე შემდგართა „ტოტაობა“, იგივე მკლავთა „ხლართი“, საჩვევი იარაღით ბღლარძუნი, მდინარის კალაპოტში ქვებზე ფეხდაუცდომლად სირბილი, ხანჯლის დამალობანა, ნასროლი ვაშლის ხანჯლის წვერით დაჭერა ან გაკვეთა ჰაერში, უწვერო სარის მოგერიება და ა.შ.

დღეისთვის მოძიებულია ხანჯლაობის 150-მდე ილეთი, რომელთაგან გამორჩეულად საინტერესოა: გამოწალვა, ჩეხვა, მოსმა, ჩხუტება, კვრა, აკვრით მოსმა, დაღალატებით დასმა და სხვა.

## §68. ხევსურული ფარიკაობა

ხევსურული ფარიკაობა ხმლის ფლობის მრავალმხრივ უნიკალური სახეობაა, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი ძირეული ქართული წარმოშობისაა. ისტორიული წყაროების თანახმად, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში მთიანეთში იკვეთება ფარიკაობის გამორჩეული ხელწერით აღბეჭდილი სკოლა. წყაროს თანახმად, ფშავ-ხევსურთა საფარიკაო ოსტატობას რომაელთა მრავლისმნახველი სარდალი პომპეუსიც მოუხიბლავს. მას საგანგებო სანახაობაც კი გაუმართავს, „თუ ვითარ ხმარობდნენ იგინი საჭურველთა საომართა და ჰყვეს მათ ვარჯიში ხმლითა და ვითარს სახითა ჯერ არს ბრძოლასა და შინა ხმარება ხმლისა და ფარისა“, – მოგვითხრობს ლეონტი მროველი.

ფარიკაობის ეს სახეობა გამორჩეულია ზუსტი და დახვეწილი მოძრაობებით. მაჯიდან „ძალის დაბერტყვით“, როცა შემტევი ხელი ფარს უკანაა, თავდამცველს ურთულდება შეტევაზე საპასუხო მოქმედების დასაწყებად დროის შერჩევა. ფარიკაობა, თავისი ცხრა ძირითადი დგომის გამო, ძალზე მომჭირნეა დაცვაში და სხარტია შეტევისას, რაც საშუალებას იძლევა, ძალის უმცირესი დანახარჯით მიაღწიო შედეგს. ადვილი მისახვედრია, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს იმ მებრძოლისათვის, რომელსაც ნიადაგ მრავალრიცხოვან მომხდურთან უწევდა შერკინება.

არსებობს მასალა საკულტო სკოლების შესახებ, რომელთაც „ხატის მეომრებად“ მოიხსენიებენ. ისინი წინასწარი შეთქმით მიდიოდნენ ბრძოლაში და მხოლოდ ხატისა თუ სალოცავის „დავალებით“ იბრძოდნენ.

ხევსურები თავიანთ ყმაწვილებს ხუთი წლიდან წვრთნიდნენ სამხედრო საქმეში. მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე, თითქმის უცვლელი სახით, შემორჩა მთაში წვრთნის წყობა. ამან საშუალება მისცა მკვლევრებს, შედარებით სრულად გასცნობოდნენ მას. ყმაწვილთა წვრთნა ძირითადად საფიხვნოზე მიმდინარეობდა. მამა-პაპისგან სახლში ნასწავლ უნარ-ჩვევებს მკაცრი და პირუთვნელი უხუცესების წინაშე აჩვენებდა მომავალი მეომარი.

ბრძოლაში ხევსური, ჭეშმარიტი ოსტატის შესაფერისად, იყენებდა როგორც რელიეფს, ისე ყველა იმ საგანს, რომელიც ხელში მოხვდებოდა. ასე რომ, ერთი მხრივ, ჩვენ წინაშეა მკაფიოდ გამართული სახეობა, მეორე მხრივ – ბრძოლის თავისუფალი სტილი, რომელიც, მებრძოლის გამოცდილებისა და ვითარების შესატყვისად, ხშირად სრულიად მოულოდნელად ვითარდებოდა.

ხევსურული „ჭრა-ჭრილობა“, ასევე, საბრძოლო შერკინების ნაირსახეობაა. მისთვის დამახასიათებელია „მხარიღლივ დაკვრა“ (მახვილის დაკვრა საჭიროა მხარზემოდან მოქნევით, რაც ამ უკანასკნელს (მოქნევას) ძალოვანსა და გამეტებულს ხდის). „ჭრა-ჭრილობაში“ გვხვდება სხვა ძალოვანი მოქნევებიც: „თავშემოვლებული“, „მკერდით ჩეხვა“ და ა.შ.

გამართული და ჩამუხვლით კეჭნაობანი საჩვევ-სავარჯიშო დანიშნულებისაა. ეს შერკინებანი იმდენად დახვეწილია, რომ სრულად გამორიცხავს სერიოზული დაზიანების ალბათობას. ფარიკაობა მიმდინარეობს უკან არდახევის პრინციპით. ხევსურებს, წვრთნის დაწყებიდანვე, ჩვევად ჰქონდათ ერთის ორთან ვარჯიში, რათა ყმაწვილი მტრის სიჭარბეს იმთავითვე შესჩვეოდა.

ამ სახეობის ილეთთა ძირითადი ჯგუფებია: შეტევის დასწრება, მოგერიება და უკუშეტევა. კეჭნაობისას ოსტატობად ითვლებოდა მოწინააღმდეგის შეტევისას მისი დასწრებით დაკეჭნა და შემდგომ მხოლოდ შეტევების მოგერიება. დაკეჭნა მით უფრო ფასობდა, რაც უფრო მცირე სიღრმე ექნებოდა ჭრილობას.ჯდიდოსტატები კი, გახურებული შერკინებისას, მეტოქეს მკლავიდან ხმლით ბალანს პარსავდნენ. ამ უაღრესად დახვეწილ შერკინებაში დიდად ფასობდა ძალის დაზოგვაც. „ხმლის მეტი ქნევა მშიშრობით არიო“, – მოძღვრავდნენ ახალბედებს ოსტატები. წვრთნა საჩვევი იარაღით იწყებოდა. როცა ჭაბუკი მორკინალი სათანადო ოსტატობას გამოავლენდა, მას საგანგებო წესით გადასცემდნენ „თეთრ იარაღს“ – მამისეულ ხმალ-ხანჯალს და ამიერიდან იგი ოჯახის დამცავ-მარჩენალი ხდებოდა.

წვრთნის მეთოდებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მახვილზე ძალის გატარების“ ხერხი, რომლის უცოდინარსაც კაფიით გაკენწლავდნენ ხოლმე: „ხმალ როდი გასჭრის გალესვით, ხმალს უნდა გააჭრევინო“. ხმალაობისა თუ ფარიკაობის ეს ხერხი, სახეცვლილი ფორმებით, ყველა სკოლაში გვხვდება. განსხვავებებს განაპირობებდა იარაღის ფორმა, სახეობა, ილეთების დინამიკა და კუთხის ადათ-ჩვევები.

ხმლის ფლობის ქართული სკოლა, ხმალზე „ძალის მოდების“ 8 წესითა და საბრძოლო ცოდნის თვითმყოფადობით, თუ არ აღემატება, არაფრით ჩამოუვარდება სხვა ცნობილ სკოლებს. ამის დასტური თავად ჩვენი ერის არსებობაა.

საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი და დახვეწილი ილეთების დიდი მარაგი მეომარს საშუალებას აძლევდა, გამკლავებოდა რიცხობრივად აღმატებულ მტერს და ბრძოლიდან, უმეტეს შემთხვევაში, გამარჯვებული გამოსულიყო.

## §69. ცხენოსნობა

ჩვენმა წინაპარმა ცხენის მოშინაურებას ერთ-ერთმა პირველმა მიჰყო ხელი. მცირე ხრამის პეტროგლიფი ცხენების რემის გამოსახულებით პალეოლითის ეპოქას ეკუთვნის. საქართველოში გარეული ცხენის ნაშთები გვხვდება გვიანი პალეოლითის ნამოსახლართა კულტურულ ფენებში, ბრინჯაოს ხანაში (ჩრრ ათასწლეული ძვ.წ.) კი იგი უკვე მოშინაურებული იყო და დიდად ზემოქმედებდა საზოგადოების, კერძოდ, სამხედრო საქმის განვითარებაზე. ამავე დროიდან იღებს სათავეს ცხენის აღკაზმულობის ცალკეული ელემენტები (ნაპოვნია ლაგამი, დეზები), ასევე – საკულტო ქანდაკებები და სხვადასხვა სამკაული.

ივანე ჯავახიშვილის გადმოცემით, „თუბალები საუკეთესო ჯიშის მაღალი ცხენებით იყვნენ განთქმულნი: აშურბანიფალი ამბობს – ტაბალს ხარკად მათი ქვეყნის სასიქადულო მაღალი ცხენები დაუწესეთო“.

3400 წლის წინანდელ ხეთურ ტექსტში, რომლის ავტორიც მითანელი კიკული გახლავთ, აღწერილია ცხენის გაწვრთნა, ასევე, მოთხრობილია ცხენოსნობისა და საბრძოლო ეტლების შესახებ. კიკულის ტექსტის თანახმად, ცხენის წვრთნა შვიდ თვეს გრძელდებოდა. კიკული მითანელია და წყაროები ადასტურებენ, რომ ხეთები საცხენოსნო საქმეში მითანელთა პრიორიტეტს აღიარებდნენ. კიკულის დასახელებული ერთ-ერთი ფერი ცხენისა, „ბაბრუ“, ქართულ ლექსიკაში დღესაც გვხვდება (ბობრი – მოყავისფრო, მოჩალისფრო). ეს კი, შესაძლოა, მიზეზ-შედეგობრივ კავშირს გამოხატავდეს მითანური და წინარექართული ტომების ცხენოსნურ ტრადიციებს შორის.

რაც შეეხება ხეთთა სამკაცა (ერთი მეეტლე, ორი მებრძოლი) საბრძოლო ეტლს, იგი ზუსტად ემთხვევა სულხან-საბასეულ „სამდგომის“ განმარტებას. ლექსიკოგრაფი მეეტლეს ინიოხად

მოიხსენიებს (ბერძნული წყაროებით, ქართული ტომები ჰენიოხებად იწოდებოდნენ, მეეტლე წინაპართა გამო).

აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ. ირის.) თავის „არგონავტიკაში“ წერს: „არესის ველი ქალაქის (იგულისხმება ქუთაისი) პირისპირ მდებარეობდა, მდინარის ნაპირისგან ოდნავ მოშორებით. არესის ველზე ვრცელი ასპარეზი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ, ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად, ბრძოლასა და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ ხოლმე“.

გადმოცემით შემორჩა საცხენოსნო თამაშობათა ოდითგან განთქმული მიდამოები. ასეთი საგანგებო მოედანი ყოფილა გამართული ქალაქ აფსირტეში (მეცნიერთა ვარაუდით, დღევანდელ სარფში). გურიაში ასეთი ნაგომარის ველი ყოფილა, სადაც თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს მხედრობა ეპაექრებოდა ერთმანეთს სიჩაუქეში. სამეგრელოში ასეთად სახელდება ხუფენიას მინდორი, თბილისში – დიდუბის ველი და საბურთალო. შავთელს, თამარის სასახლის აღწერისას, მის ერთ სიკეთედ მიაჩნია „ჰიპოდრომისა განხმულობანი“. კახეთში ყველაზე დიდი ასპარეზობა წინანდლის სასახლესთან, დიდ ველზე იმართებოდა.

ისტორიულად, ცხენი (ცხადია, საბრძოლო და არა სატვალახო ან საკიდარი) მსახურთა ფენის წარჩინებულობის პირველი ნიშანი იყო.

კახეთის მეფის – ალექსანდრეს ცხენოსან ლაშქარში, გარდა ხმალ-შუბის ჩინებული მოხმარებისა, მხედარს უნდა შესძლებოდა ხელის დაუხმარებლად ცხენზე შეჯდომა, სვლის დროს ჩამოხტომა, აღვირის გარეშე ცხენის მართვა, აღმართ-დაღმართზე ჭენება; ამავე დროს, მას უნდა სცოდნოდა ცხენის მოვლა და მკურნალობაც კი.

საინტერესოა ᲘᲒიი საუკუნის რუსეთის არმიის ფელდმარშალ მინიხის შეხედულება ჰუსართა ქართული პოლკის მხედრების შესახებ: „ქართველები ისე იქცეოდნენ, როგორც შეშვენის მამაცსა და სანდო ხალხს... მოვალეობას ერთობ მამაცურად ასრულებდნენ, ისე, რომ მეტის მოთხოვნა შეუძლებელია“.

როგორც ცნობილია, ვახტანგ Დი-ს ეკუთვნის „წიგნი ცხენთა ცნობისა და აქიმობისა“. ის ფაქტი, რომ ამ სახის სახელმძღვანელო უშუალოდ მეფის მიერაა შედგენილი, თავისთავად უმაგალითოა და კიდევ ერთხელ ადასტურებს ცხენისა და მასთან დაკავშირებული კულტურის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი ყოფიერებისთვის.

არსებობს სამეგრელოში ცხენის სალოცავი დღის – „თერდობის“ აღწერა. ამ დღეს ცხვებოდა ცხენის ფორმის პურეული, თავის აღკაზმულობიანად, აგრეთვე – კვიცის ფორმის პატარა კვერები, ოჯახის სულადობის შესატყვისად.

ცხენის ადგილობრივ სახეობათაგან დღემდე მოაღწია მეგრულმა და თუშურმა. ორივე მათგანი შესანიშნავადაა შეგუებული გარემო პირობებთან.

მეგრული ცხენი მომცრო ზომისაა (129 სმ. ნიდაოში), მკვრივი აგებულების. იგი შეგუებულია სუბტროპიკულ კლიმატსა და მაღალმთიან გაუხშოებულ ატმოსფეროს. რთულ რელიეფზე სვლისას გამოირჩევა საზრიანობით. თავისუფლად ატარებს 100-130 კგ. ტვირთს.

თუშური ცხენი, ასევე, ერთ-ერთი უძველესი ჯიშია. სიმაღლე ნიდაოში 134-136 სმ-ია. წაგრძელებული კორპუსით. გამოიყენება საჯდომად და ტვირთმზიდად. მთის ბილიკებზე 12 საათში, დაახლოებით, 100-120 კილომეტრის გავლა შეუძლია 100 კგ-მდე ტვირთით. განსაკუთრებით ფასობს თოხარიკი ცხენები, რომლებიც ამ სახეობაში ხშირადაა.

**ცხენოსნობის სახეობანი.** „ათ დღემდის ისმის ყოველგნით ხმა წინწილისა, ებნისა, მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა“, – მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსანი“.

ᲘᲒიი ს-ის იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლო წერს: „ქართველები მეომრობით არიან განთქმულნი. ეს ჭეშმარიტებაზე უფრო ჭეშმარიტია, ვინაიდან ქართველების ლაშქარი, ნადირობის გარდა, რაშიაც ისინი განუწყვეტლივ იწრთობიან, მე ვნახე განსაკუთრებულ თამაშებში, რომლებშიც ისინი ხელმარჯვე ტყორცნას სწავლობენ, ისე, როგორც ეს ქვემოთ იქნება აღწერილი.

მეფის ნათესავის ქორწილი გადაიხადეს. ქორწილში დაპატიჟებული იყო საქართველოს ყველა კუთხის წარჩინებული პირი. განკარგულება გასცეს, რომ თამაშობა ქალაქგარეთ, დიდ მინდორზე გაემართათ. მინდვრის შუაში აღმართეს მაღალი ყაბახი, რომლის წვერზე მოათავსეს ვერცხლის დაახლოებით 25 პიასტრად ღირებული თასი. შემდეგ ყველა ისინი, რომელთაც ჯირითში მონაწილეობა უნდა მიეღოთ და ცხენებზე იყვნენ შემსხდარნი, ერთი ისრის სასროლი მანძილით გაშორდნენ ყაბახს. თითოეულს რკინის წვეტშემოცლილი ისრითურთ დაჭიმული მშვილდი ეჭირა ხელში. მოასპარეზეებმა ერთბაშად ცხენებს დეზი ჰკრეს და გაშმაგებული ჭენებით ყაბახისაკენ გაემართნენ. ყველას თვალი თასისაკენ იყო მიპყრობილი. მხედრები ყაბახს მიუახლოვდნენ თუ არა, თასს ისარი სტყორცნეს. ვუცქერდი, თუ როგორ ცდილობდა თითოეული მათგანი თასისთვის ისარი მოეხვედრებინა და ძირს ჩამოეგდო. ბოლოს ერთ-ერთმა მოახერხა ეს, რამაც ირგვლივ მყოფთა საერთო აღტაცება გამოიწვია. ჭეშმარიტად ქების ღირსია ის, ვინც გაშმაგებულ ცხენს ასე აჭენებს, ოსტატურად ირჯება-იღუნება და ისარს ისე სტყორცნის, რომ ასეთ სიმაღლეზე ახვედრებს...

ეს რომ დამთავრდა, ამავე ადგილზე ახლა მეორე თამაშობა გაიმართა. ამ თამაშობისათვის რვა ჩოგანი ჩამოარიგეს. ეს ჩოგნები ჩვენებური ჯოხების (ბურთის სათამაშოდ რომ იხმარება) მსგავსად არის გაკეთებული, მაგრამ ამათი ჩოგნის ტარი უფრო გრძელია და მას უსათუოდ ცხენზე მსხდარნი

ხმარობენ. ამ ხალხის ამგვარი ვარჯიშობის ნახვას არაფერი სჯობია. პირდაპირ განსაცვიფრებელია მათ მიერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე დაუჯახებლად მართვა, მიწიდან ბურთის აღება. ამასთან, ისინი ისე დაბლა იხრებიან, რომ ბევრჯერ ვიფიქრე, გადმოვარდებიან და მიწაზე ზღართანს მოადენენ-მეთქი, მაგრამ ასეთი რამ თითქმის არასოდეს მომხდარა. მათ სხვა თამაშობანიც აქვთ, მაგრამ სიმოკლისთვის არ აღვწერ. სპარსელები, რომლებიც ყოველთვის ესწრებიან ქართველთა ვაჟკაცურ გართობა-თამაშობებს, აღფრთოვანებით აღწერენ მათ, ამით ისინი პატივით მოსავენ ქართველთა მეომრულ ღირსებებს“.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი კი უკვე ხანდაზმულ ერეკლე რი-ზე ასეთ ამბავს მოგვითხრობს: „რჩეულთა შორის ნიშანს რომ ვერავინ მოახვედრა, მეფემ დაიძახა: „ახლა ჩემი რიგი არისო“ და ოქროთი დარახტული საუკეთესო წითელი ცხენი მოჰგვარეს; მოხუცებულმა, ტანით მომცრო კაცმა, ხელი სტაცა უნაგირის ტახტას და ფრინველივით მოაფრინდა, უზანგში ფეხი არ გაჰყო... აღნიშნულ ადგილას რომ მივიდა, ისე სწრაფად მოიმარჯვა თოფი, რომ ყველანი გაოცდნენ. ამასთანავე გავარდა თოფი და ტყვიამ ნიშანი გახვრიტა. ყველამ შეწუხებით დაიძახა: „ცოდო არ არის, შენ საქართველოს მოუკვდეო...“ მან კი ცხენი უკან მოაბრუნა და ყველას სიამოვნებით უთხრა: „მე, მოხუცებულმა, გაჯობეთ ყველას“.

სულხან-საბას მიხედვით, საცხენოსნო სახეობათა ზოგადი სახელი არის თქერება, რაც განმარტებულია, როგორც ცხენზე ჯდომის დროს თამაშობა.

უძველესი საცხენოსნო სახეობაა მარულა. მასში მონაწილე ცხენი საგანგებოდ იწვრთნებოდა გამძლეობაში, რადგან, დაახლოებით, 30-კილომეტრიანი დისტანციის დაფარვა უწევდა. გამძლეობის თვალსაზრისით, ცხენის ქართული ჯიშები მართლაც გამორჩეულნი იყვნენ. ისინი 25 წლის ასაკშიც კი საკმაო დატვირთვას უძლებდნენ (ძირითადად, იგულისხმება მეგრული და თუშური ჯიშის ცხენები).

მარულასთან შედარებით ახლომდგომი სახეობაა თარჩია, რომლის ძირითადი ამოცანაც იყო დევნა და ნადავლის (ამ შემთხვევაში ქალის მანდილის) წართმევა.

მარულას მსგავსია აღმოსავლეთ მთიანეთში გავრცელებული სახეობა – მთიდან დაშვება. წესის სიმარტივის მიუხედავად, ეს არის ერთ-ერთი ურთულესი სახეობა. კერძოდ, მხედარი ზის უბელო და ულაგამო ცხენზე, მუცელზე ამოტარებული თოკის ამარა და, ნიშანზე, ციცაბო დაღმართში მოაჭენებს მას.

საინტერესო და სანახაობრივია ისინდი, რომელიც უფრო სამხედრო ყაიდისაა. ბუნებრივია, რომ ამ თამაშობაში უხვად გვხვდება საბრძოლო ხასიათის ელემენტები (მაგალითად, ჭენებისას ზურგში ნასროლი შუბის ჰაერში დაჭერა და საპასუხო შეტევა).

ყაბახიც ერთ-ერთი უძველესი საცხენოსნო თამაშობაა. იგი, ამავე დროს, იყო სამხედრო ვარჯიშობა. ჩვენამდე მოღწეული წყაროების თანახმად, გარდა მშვილდ-ისრისა, ამ სახეობაში გამოიყენებოდა ისინდიც (მომცრო სატყორცნი შუბი). „უცქირეთ ქართველების მშვენიერ ცხენოსნობას, როგორ კარგად მართავენ თავიანთ ცხენებს. ესაა ხელოვნება ცხენოსნობაში, იშვიათად მიღწეული. იგი მოითხოვს დიდი მოძრაობისა და გონების თანაარსებას“, – მიუწერია „ყაბახის“ ამსახველი ნახატისათვის იტალიელ მოგზაურ,ს ქრისტეფორო კასტელს.

მკერდაობაში მოასპარეზის ამოცანაა, მოწინააღმდეგის ცხენი დაძგერებით გააგდოს დათქმული მოედნიდან. შინაარსი თავისთავად მეტყველებს, რომ იგი წმინდა საბრძოლო ხასიათის ვარჯიშობაა. სწორედ ამ ხერხით იბრძოდა უიარაღოდ დარჩენილი მოხუცი ლუარსაბ მეფე გარისის ბრძოლაში.

მოქნევა გაჭენებული ცხენის მკვეთრად დამუხრუჭების ხელოვნებაა. ეს სახეობა საბრძოლო ვარჯიშია და, წესის სიმარტივის მიუხედავად, უაღრესად რთული შესასრულებელია და სანახაობრივადაც საინტერესოა.

ჩეხვა – ეს სახეობაც საბრძოლო-საწვრთნელი დანიშნულებისაა და ემსახურება მხედრის გაწვრთნას ხმლით ჩეხვაში. ამ სახეობაში ზოგი მხედარი ორი ხმლითაც გამოდიოდა. მოასპარეზის ამოცანაა გაჭენებული ცხენიდან ხმლის მაჯაში ტრიალით გზად დახვედრებული სხვადასხვაგვარი საგნების (თიხის ჭურჭელი, წნელების კონა, ხის ტოტი და სხვა) გაჩეხვა.

სხაპი არის მხედრის მიერ ცხენის ცეკვება და წარმოაჩენს ცხენის წვრთნის მაღალ ოსტატობას.

საინტერესო სახეობაა ტანასობა, რაც გაჭენებულ ცხენზე მხედრის მიერ სხვადასხვა რთული სატანვარჯიშო ელემენტის შესრულებას გულისხმობს. მასთან ახლო მდგომია, მაგრამ აუცილებლად გამოსაყოფია მიპატიჟება. ამ სახეობაში მხედარი ქალი გამოიხმობს ვაჟს და სთავაზობს, გაიმეოროს მის მიერ შესრულებული ვარჯიში. ეს სახეობა თავისთავად მეტყველებს ქალთა მაღალ სამხედრო ოსტატობაზე.

საცხენოსნო სახეობებში, სანახაობრიობის თვალსაზრისით, გამოირჩევა ცხენბურთი, რაც არის ზოგადი დასახელება სადღეისოდ აღდგენილი ოთხი სახეობისა:

1. გაძრი (აღდგენილია თეიმურაზ მეორის ლექსის მიხედვით). აღდგენის შემდეგ ის პირველად ჩატარდა თბილისში 1948 წელს.
2. რადი, რადრაბაგანი აღდგენილია თეიმურაზ მეორის ლექსის მიხედვით. აღდგენის შემდეგ პირველად ჩატარდა თბილისში 1958 წელს.
3. სახელწოდება ცნობილი არ არის. ჩვენამდე მოაღწია არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერის“ მეშვეობით.

4. ყვანჭის ცემა. ამ სახეობებთან ახლოს დგას ცხენიანი ლელობურთი.

ასევე, გავრცელებული სახეობები იყო სადგინი, კიდირი, ქართაში, საჯვარო დოღვი (იმართებოდა კოპალას დღესასწაულზე), სამანის დალახვა, საჩუქრის მოტაცება, დაბრკოლებათა გადალახვა, ცხენნი, ცხენთრბოლება, ლიჩაჟ (სვანური) და სხვანი.

მეფე ერეკლეს შვილიშვილი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი მოგვითხრობს: „დასრულდა ნადიმი და მეფე გამობრძანდა უცხოდ მორთული გარეთ. ამასთან მეფე ირაკლიმ ოქროს ფერი მოვარაყულის ჩოგნით, წითელი სმოგვის ბურთი, პატარა ყმაწვილის თავის ტოლა, აიღო და ჩოგანში თამაშობით, შეისევანი ცხენი გაიგდო, დიახ, სწრაფი გამქცევი, ორს რაზმებთა შორის, ვიზედაც თვალი ეჭირა ყველას, რომელ რაზმს გადაუგდებს ბურთსა. ჯერ კარგა ხანი ასე ათამაშა სხვადასხვა ნავარდობით, მას უკან პირველ რაზმსა შეუგდო ბურთი და შორიდან შესტყორცნა. თვითონ თავის დიდკაცებით გამობრუნდა. მოვიდნენ და ესენიც ფანჩატურში დასხდნენ მწკრივად მაყურებელი ბურთაობისა. მეფე ირაკლიმ რომ ბურთი შესტყორცნა, იმ პირველმა რაზმმა წამოიღო ბურთი, ერთი-ერთმანეთზე გადათამაშებით, უნდოდათ მეორე მხრის ბაირაღთან გაეტანათ და ამითი დარჩენოდათ სახელი, მაგრამ მეორე რაზმი წამოეგება პირველ რაზმსა და დაერივნენ ერთმანეთში...

იმ დღეს ასე გაფრთხილებულნი იყვნენ მებურთალ-მეჩოგნენი, რომ არც ბურთი მიწაზე დაცემულა, ხელის შეშველება ხომ დიდი სირცხვილი იყო, ასე ჩოგნით უნდა ეტრიალებინათ და კიდეც ატრიალებდნენ, არც დასასვენებლად დამდგარან მზის ჩასვლამდისით; ცხენების შეძახება ხომ დიდი სირცხვილი იყო. მზის ჩასვლამდისინ ვერა რომელმან მხარემ რომ ვერ გაიტანა ბურთი, ცხენკაციანათაც დიდად დაიღალნენ, მეფემ უბრძანა გაშველება. ეს ამგვარი ბურთაობა, დიახ, ხშირად ყოფილა ჩვენს ქვეყანაში ძველის დროებიდანვე, უკანასკნელ დრომდის“.

## §70. გაწვრთნილობა

წყაროების ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში სამხედრო მომზადებით, შეძლებისდაგვარად, მთელი მოსახლეობა იყო დაკავებული. ამაში გამონაკლისად არც ქალი გვევლინება.

ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოში თვით სასულიერო სასწავლებლის მოწაფენიც კი გადიოდნენ ფიზიკურ მომზადებას. ᲫᲠ საუკუნის ცნობილი მოღვაწის — გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში მითითებულია, რომ მას წესად ჰქონია მოწაფეთა „ველად გასვლისა მღერად“.

დავით აღმაშენებლის მიერ გელათის აკადემიაში საგანგებოდ მოწვეული თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნისა და პედაგოგის — იოანე პეტრიწის აღმზრდელობითი სისტემა ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: გონებრივი, ფიზიკური, ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდა.

ასეთი ტრადიციის არსებობას ადასტურებს აგრეთვე გადმოცემა გრემის მონასტრის ორმოცი ბერის შესახებ, რომელთაც გზა გადაუჭრეს მოულოდნელად მოვარდნილ მტერს და ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს, რათა ერეკლე მეფეს ლაშქრის შეკრება მოესწრო.

წვრთნა ადრეული ასაკიდან იწყებოდა და ძირითადად ბუნებრივ დაბრკოლებებზე იყო მორგებული. მოვარჯიშე იმთავითვე ეჩვეოდა ოღროჩოღროზე სირბილსა თუ სიპ ქვებზე წონასწორობის დაცვას. სიმაღლეში ხტომისას ის კაცს უნდა გადავლებოდა თავზე და არა თამასას, ხოლო სიგრძეზე ჭოკით ხტომისას — ხევსა და მდინარეს, რათა საბრძოლო ვითარებასთან უკიდურესი მიახლოებით გაწვრთნილიყო. ამგვარად გაწაფული მოსახლეობა, საჭიროების შემთხვევაში (ქუდზე კაცი), საკმაოდ მაღალი ხარისხის ლაშქარს ადგენდა. სამხედრო მომზადების აღნიშნული სისტემა საგანგებო რიტუალებითა და საკმაოდ მკაცრი ტრადიციებით იყო უზრუნველყოფილი.

„სამეგრელოს აღწერაში“ არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს: „ბავშვები ისე ატარებენ იარაღს, ფარსა და მშვილდს, თითქოს დაბადებიდან იყვნენ შეჩვეულნი ბრძოლას. ყველანი ისე გულმოდგინედ ეკიდებიან ამ საქმეს, რომ მუდამ მზად აქვთ ყოველივე, რაც საჭიროა ლაშქრობაში; საუკეთესო ცხენს, თუ არა ლაშქრობაში, არ დაღლიან; ასევე ლაშქრობისთვის აქვთ გადანახული საუკეთესო სურსათი. ყოველი იარაღი ისე აქვთ გაწყობილი, რომ მთავრის პირველივე დაძახილზე შეძლონ ლაშქრად გასვლა. გარდა ამისა, დასვენების დროსაც კი მშვილდ-ისარი, ფარ-ხმალი, აბჯარი და სამაჯეები სასთუმალთან ულაგიათ, რათა საჭიროებისამებრ საბრძოლველად მზად იყვნენ...

პატარებსა და ნორჩ ახალგაზრდებს სასტიკ ზამთარშიაც კი ფეხთ არ აცმევენ და აჩვევენ თოვლში ფეხშიშველ სიარულს. საშინელ პაპანაქებაში სანადიროდ მიდიან. ხშირად შიშვლები გავლენ ხოლმე უდიდეს მდინარეებში. ამას იმიტომ ჩადიან, რომ ცქვიტები და მარდები შეიქნენ და შეეჩვიონ იმ გასაჭირს, რომელიც ომიანობას მოაქვს.“

გარდა სახალხო ლაშქრისა, ბუნებრივია, არსებობდა სამხედროთა ფენაც, რომელიც უფრო მაღალი დონის სამხედრო და ფიზიკურ მომზადებას გადიოდა (გავიხსენოთ სიტყვა **გოთაული**, რომელიც საერო საქმიდან განმდგარსა და იარაღით მებრძოლ კაცს ნიშნავს). არსებობდა საგანგებო დანიშნულებისა და გაწვრთნილობის რაზმებიც, რომელთაც განსაკუთრებული ხასიათის საბრძოლო ოპერაციები უნდა შეესრულებინათ. ესენი იყვნენ: მტევებარნი, მარბიელნი, მსტოვარნი, მანდატურნი, კერკეტონი და სხვა.

**სამოსი-აღკაზმულობა.** ჩაცმულობის ყველა იმ სახეობას, რომლებიც ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებშია, ეთნოგრაფიულთან ერთად, უმეტესობას სახმარი ღირებულებაც შემორჩა. მაგალითად, დარბაზში ვარჯიშის დროს საუკეთესო ფეხსამოსია: ბაგვი, კაპჭანა ან კარაჭინა. ისეთი სამოსი, როგორიცაა: ჭონია, ჩაქურა, კვერტო, დურა და მისთანანი, შეუცვლელიც კი იყო.

ძვ. წ. ბრ ათასწლეულის ბ ნახევრით დათარიღებული თრიალეთის ვერცხლის თასის ამ ფრაგმენტზე გამოსახულია სარიტუალო მსვლელობა, რომლის მონაწილენიც ნიღბებში, კუდიან მოსასხამებსა და ჭვინტაპრეხილ ფეხსამოსში გამოწყობილან (სვანეთში ჩვენს დრომდე შემორჩა მგლის ტყავის მოსასხამები, რომელთაც კუდი ჰქონდა დატოვებული).

საინტერესო ცნობას გვაწვდის სტრაბონი ერთი საგანგებო აღჭურვილობის შესახებ. მისი თქმით, თოვლზე სასიარულოდ მთიელები (კავკასიელები) ფეხზე იმაგრებენ ლითონის წვეტებით მოჭედილ ხარის გამოუქნელი ტყავის ფართო ნაჭერს.

ასევე, საინტერესო თემებია ბრინჯაოს ხანის ნაირგვარი აბზინდები, ბუნებრივი საღებავებით ღებვის ტექნოლოგია, შურდულად გამოსადეგი თავსაბური – ფაფანაკი, დამცავი დანიშნულების ნახატები ტანისამოსზე, ზედა წიბოში მავთულგაყრილი თუშური ქუდი (ტრავმის შესასუსტებლად) და სხვა მრავალი.

საგანგებოდ შევჩერდეთ ხევსურულ ტალავარზე. ეს სამოსი (თუ საგანგებო შემკულობაზე უარს ვიტყვით), საოცრად შესაფერისია სავარჯიშოდ, შედარებითი სიიაფის, დამზადების სიმარტივისა და მოხერხებულობის თვალსაზრისით.

## §71. ნადირობა

მოვარჯიშეთა ფიზიკური მომზადებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ბუნებრივ პირობებთან შეგუება, ლაშქრობა, სენთი (ორიენტირება), ბანაკად დგომა, საკვებისა და სამკურნალო მცენარეების მოპოვება და ა.შ.

ნადირობა, ყოფითი დანიშნულების გარდა, იმთავითვე იყო ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ელემენტი და ეს არაერთი წყაროთი დასტურდება.

თრიალეთის მცირე ხრამის კლდის მხატვრობის ერთი ნაწილი ნადირობის სცენებს ასახავს. ყველა ნახატში ხაზგასმულია, რომ ნადირობაში მთავარია არა დევნა ან მონადირება, ან უშუალოდ სანადირო იარაღი, არამედ წინასანადირო რიტუალი. კომპოზიციის ძირითადი ფიგურაა მონადირე, ხელში სახრით – იმდროინდელი სარიტუალო იარაღით, ხოლო მშვილდ-ისარი იქვე, გვერდითაა გამოსახული. ნადირობის თვალსაზრისით, საინტერესოა ბადით შეპყრობილი ირმისა და ცხენის გამოსახულებანი, რაც მონადირის მიერ ამ ტოტემური ცხოველების ფლობის ნიშანია და მონადირეში ქურუმის ფუნქციის აღმოცენებაზე მეტყველებს. ამ პეტროგლიფთაგან ყველაზე უხნესი მეზოლითის ხანისაა (ძვ.წ. ᲑᲠᲘ-ᲐᲡᲣ ათასწლეულები).

არქანჯელო ლამბერტი („სამეგრელოს აღწერა“) მოგვითხრობს, რომ ნადირობა „მეგრელთა უმთავრესი საქმიანობაა და მას ყოველი წოდებისა და მდგომარეობის მეგრელი ეტანება“ და იქვე მოჰყავს მეგრული ანდაზა: „ბედნიერი ის არის, ვისაც ჰყავს კარგი ცხენი, უკეთესი ძაღლი და საუკეთესო მიმინო“.

ნადირობაში მონაწილეობა ფეოდალურ საქართველოში ვასალური მოვალეობა იყო. ა. რობაქიძის აზრით, „ნადირობის გასამხედროებული ბუნება უდავო ფაქტად გვეხატება“. ასეთ ნადირობაზე გამომსვლელნი სადროშოებად იყვნენ დაყოფილნი. ივანე სურგულაძე, „დასტურლამალის“ კვლევისას, ამბობს: „ნადირობა აქ ისეა აღწერილი, როგორც ლაშქრობა: ჯარის გამოძახება, მისი სადროშოდ დაყოფა, სწორად სიარული ნადირობის წინ და სხვა“.

ყველა ჩვენგანისთვის მაგალითი უნდა იყოს ვახტანგ ᲒᲠ-ის დამოკიდებულება ხალხის მიერ ერთხელ მიგნებული ხერხისა და წლობით დაგროვილი ცოდნის მიმართ. ამის ნათელი მაგალითია ჩანაწერი: „მუხის ფითრი მარიამობის თვეში დაკრიფე, რომელიც მკუხე იყოს, დაჭყლიტე, მერე წყალში ჩასდევ, იმაში კარგად ჭყლიტე, დააცალე. მერმე გარდასწურე. რაც ძირს დარჩეს, ან 10 – 12 წვეთი ზეთისხილის ზეთი, ან თაფლი დაასხი. მერე ალვახაზივით რა ზეთი გაერიოს და კარგად აიზილოს, ერთ ქილაში ჩადევ. როდესაც გინდოდეს, ჩხირებზედ წაუსვი, ქანდარებად გააწყევ ასეთ ადგილას, ფრინველი შესხდეს. რაც ფრინველი ან შეჯდება, ან ფრთას შეახებს ვერსად წაუვა, დაიჭერს“.

მეფე თეიმურაზ ბრ ნადირობას მიმართულებებად ახარისხებს: „აქა ისრით ნადირობის თქმა“, „აქა ქორისა და მიმინოს ნადირობის ამბავი“, „აქა თევზის ნადირობის ამბავი“ და სხვანი.

არჩილ მეფემ ნადირობის აღწერით არა მარტო უდიდესი ცოდნა შემოუნახა შთამომავლობას, არამედ კიდევ ერთხელ წამოსწია ომთა შორის განუწყვეტელი ვარჯიშის მნიშვნელობა და იგი ყმაწვილთა აღზრდის საგანგებო ზნედ დასახა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით („საქართველოს ეკონომიური ისტორია“), სანადირო ბეგარა დაკავშირებული იყო სამხედრო ბეგარასთან: „ნადირობას მარტო კერძო გასართობის თვისება არ ჰქონდა, არამედ სამხედრო ვარჯიშის მაგიერი იყო და ბეგარასავით სამხედრო ვალდებულებას წარმოადგენდა“.

„იმერეთის მეფემ ალექსანდრე ირ-მ დაიმორჩილნა დადიან-გურიელნი და მთავარნი სხვანი ლაშქრობათა, ნადირობათა და მეფედ მათთა ხმობითა მსახურებათათა“, - აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი.

ვახტანგ ირ-ს გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოსათვის შეუწირავს 3 სოფელი, ოღონდ „ლაშქარსა და ნადირობასა გვეახლებოდნენო “, ანუ სრული თარხნობა იმიტომ არ მივეცით, რომ „ლაშქრობა ქვეყნის სიმაგრე არის და ნადირობა – ლაშქრობის მასწავლებელიო“.

იმერეთშიც ასევეა: ბაგრატ მეფემ გელათს შესწირა სოფელი ნავენახევი, „ხელშეუვალად და განთავისუფლებით, თვინიერ ნადირობასა კიდე და ნადირის ჯერგად ნუ დაგვაკლდებიანო“.

ნადირობის სამხედრო ბუნებაზე ნათლად მეტყველებს ფარსადან გორგიჯანიძის ეს ფრაზაც: „მას ჟამსა, ოდეს მეფემა როსტომ რომ სანადიროდ გაილაშქრა“.

ნ. ურბნელის თქმით, „ძველ დროში ახალწელიწადს ვაჟკაცობის იერი ედო და მაღალი წოდებაც ამ დღესასწაულს ისე მიეგებებოდა ხოლმე, თითქოს საომარი დღეაო, საომარი ვარჯიშობაო... საახალწლო დღეობის სულსა და გულს ნადირობა შეადგენდა“.

ნანადირევის შესანახად გამოიყენება შემდეგი ხერხი: ნანადირევი უნდა შეიტანო თოვლის ჩამონაზვავში მდინარის ან ნაკადულის მიერ გაჭრილ გვირაბში იმ სიღრმეზე, რომ მზის სხივი ვერ მისწვდეს. ინახება დიდხანს და, რაც მთავარია, არ ეკარება მწერი და ნადირი.ასევე, საინტერესოა გადმოცემა იმის შესახებ, რომ სახლიდან შორს გასული მთიელები გათოშვისაგან თავდასაცავად სამოსს შუა ნამჯას იფენდნენ.

ასეთია ქართული საბრძოლო ხელოვნების შემადგენელი ელემენტების დახასიათება.

## §72. საფორტიფიკაციო – თავდაცვითი ნაგებობები საქართველოში

საქართველოს ტერიტორია თავდაცვითი ნაგებობებითაა მოფენილი, რაც ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიული წარსულითაა განპირობებული. რთული გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე საქართველოს უძველესი დროიდან უწევდა სხვადასხვა დამპყრობლების შემოსევებისაგან თავდაცვა, რის გამოც თითქმის ყველა სტრატეგიული პუნქტი ციხესიმაგრეებით იყო გამაგრებული.

საფორტიფიკაციო ქსელისა და ნაგებობების უმთავრესი დანიშნულება იყო ქვეყნის დაცვა და უსაფრთხოება. თუმცა ეს მხოლოდ ქვეყნის ერთიანობისას ხდებოდა შესაძლებელი. ქვეყნის დაშლის პირობებში თავდაცვის ერთიანი სისტემა არ არსებობდა. ის მხოლოდ რეგიონების ინტერესებს ემსახურებოდა. ამიტომ ციხესიმაგრეთა განლაგებისა და მდებარეობის მიხედვით, კარგად შეიძლება ამა თუ იმ ეპოქის პოლიტიკური სურათის აღდგენა. როცა ქვეყანა ერთიანი იყო, სიმაგრეთა ძირითადი ნაწილი ქვეყნის გარე საზღვრების პირას იგებოდა, ხოლო დაშლილობის პერიოდში – ქვეყნის შიდა ნაწილებში, კუთხეთა სასაზღვრო ზოლებში.

თავდაცვითი ნაგებობის ეფექტურობას განაპირობებდა მისი სიმტკიცე, მშენებლობისა და დაგეგმარების ხარისხი, ასევე – მდებარეობა. ქართულ ციხესიმაგრეთა უდიდესი ნაწილი, ყველა ამ კომპონენტის გათვალისწინების შედეგად, აუღებლად ითვლებოდა და საუკუნეების მანძილზე ასრულებდა თავის ფუნქციას.

ციხეები გამორჩეულად ხარისხიანად შენდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება მათ ადგილმდებარეობას ექცეოდა. ციხესიმაგრის ასაშენებლად ტერიტორიის შერჩევას სხვადასხვა მიზეზი განსაზღვრავდა. დრო-ჟამის შესაფერად, ეს მიზეზიც ცვალებადი იყო. ციხე-სიმაგრის მიუვალობასთან ერთად, მთავარი იყო მისი სტრატეგიული დანიშნულება, ამიტომ სიმაგრეებს აშენებდნენ გზებისა და გადასასვლელების გასაკონტროლებლად. ამასთანავე, იგი ისეთ ადგილას უნდა აეშენებინათ, რომ იქიდან სივრცის კონტროლიც ყოფილიყო შესაძლებელი. ციხის აგებისას ითვალისწინებდნენ ადგილის მიუვალობასაც. რთული რელიეფური პირობები გამოიყენებოდა სიმაგრეთა თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. მათი ნაწილი მიუვალ და მაღალ ადგილას შენდებოდა, ბუნებრივი მონაცემები (კლდე, მთა, მდინარე) კი სიმაგრეთა სიმტკიცის გასაძლიერებლად გამოიყენებოდა. ქართულ ციხე-სიმაგრეთა უდიდესი ნაწილი მოხერხებულად და ჰარმონიულად იყო შერწყმული გეოგრაფიულ გარემოსთან, რაც საქართველოს განსაკუთრებულ და განუმეორებელ იერს აძლევდა.

ციხესიმაგრეთა ეფექტურობას განსაზღვრავდა მათი ჩართვა ერთიან საფორტიფიკაციო ქსელში, რაც სხვადასხვა ადგილას მდებარე ძირითადი ციხეების ურთიერთკავშირს ნიშნავდა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან, ისე ეთნოგრაფიული მასალიდანაც ჩანს, რომ ძირითადი ციხეები ერთმანეთს კოშკებით უკავშირდებოდნენ. სწორედ ამ საგუშაგო კოშკებზე დანთებული ცეცხლით ციხეებს აძლევდნენ ნიშანს, რის შედეგადაც მთელი საფორტიფიკაციო ქსელი მტრის შემოსევისათვის მზად იყო. ეს სისტემა მოქმედებდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მხოლოდ ამ დანიშნულებით, განსაკუთრებით მიუვალ ადგილებშიც კი შენდებოდა საგუშაგო კოშკები, საიდანაც მოხერხებულად და დროულად გადაიცემოდა სიგნალი. ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების შემდეგ, ცეცხლის ნაცვლად, ამ მიზნით თოფსა და ზარბაზანს იყენებდნენ, თუმცა საქართველოს მთიანეთში გვიანობამდე შემორჩა მისი ცეცხლით გადაცემის წესი, რადგან, გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, ის ბევრად ეფექტური იყო, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღი.

**თავდაცვითი ნაგებობების სახეობები.** საცხოვრებელი ადგილის გამაგრება ადამიანმა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისთანავე დაიწყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული, იწყება თავდაცვითი ნაგებობების განვითარების რთული და მრავალფეროვანი პროცესი. ისინი ვითარდებოდა ადამიანის ცხოვრების წესისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მის სტილსა და ხასიათს განაპირობებდა იარაღისა და საბრძოლო ხელოვნების განვითარება, გეოგრაფიული გარემო, ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების წესი, სამეურნეო ყოფა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება.

ხანგრძლივი დროის მანძილზე იქმნებოდა სხვადასხვა სახის თავდაცვითი ნაგებობა, რომლებიც იცვლებოდა ეპოქის შეაბამისად. როგორც აღინიშნა, საქართველო უმდიდრესია როგორც თავდაცვითი ნაგებობების სიმრავლით, ისე მისი სახეობებით. შეიძლება ითქვას, რომ აქ თითოეული კუთხე და ეპოქა შესაბამისი სტილის თავდაცვითი ნაგებობებითაა წარმოდგენილი.

თავდაცვითი ნაგებობების სახეობათა ძირითად ცვლილებას საქართველოს საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი გარდამტეხი მოვლენები განაპირობებდა. თავდაპირველად სიმაგრეები იგებოდა ქვის მშრალი წყობით, შემაკავშირებელი ხსნარის გარეშე. მშენებლობაში პირველი სერიოზული ცვლილება რკინის იარაღის გამოყენებამ გამოიწვია, რამაც შესაძლებელი გახადა სამშენებლო მასალის უკეთ დამუშავება. შემდგომი ცვლილება დუღაბის გამოყენებას უკავშირდება, რის შემდეგაც სიმაგრეები აღარ იგებოდა მშრალი წყობით.პლეონტი მროველის ცნობის თანახმად, საქართველოში დუღაბი ძვ.წ. ⴰⴰⴰ საუკუნიდანაა ცნობილი.

სახელმწიფოს წარმოშობასა და გაძლიერებას მოჰყვა ქალაქების გაჩენა და აღმავლობა, რის შედეგადაც ვითარდებოდა ზღუდეშემოვლებული ციხე-ქალაქები. ეს პერიოდი ძვ.წ. ⴰⴆ–ⴰⴰⴰ საუკუნეებს მოიცავს.

ახ.წ. ⴰⴆ-Ⴆ საუკუნიდან ქალაქების მშენებლობის განვითარება უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა, ⴰⵄ-ⵄ საუკუნიდან კი მათი დაწინაურება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რასაც თან ახლდა ციხესიმაგრეთა მასშტაბების ზრდაც.

სიმაგრეთა მშენებლობაში კარდინალური გარდატეხაა ⵂⴆⴰ საუკუნიდან, რაც ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ გამოიწვია. საჭირო გახდა ციხესიმაგრეთა დაგეგმარების ძირეული ცვლილება, საისრეებისა და სალოდეების ნაცვლად, შემოვიდა სათოფურები და საზარბაზნეები, ციხეთა გალავნები რამდენიმე იარუსად კეთდებოდა. ეს ცვლილებები მთელი სამი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

**თავდაცვითი ნაგებობების კლასიფიკაცია:** თავდაცვითი ნაგებობების კლასიფიკაცია უძველესი დროიდან ასე წარმოგვიდგება:

1. მეგალითური (ციკლოპური) ციხე;
2. ციხე-ქალაქი;
3. ციხესიმაგრე;
4. ციხე-დარბაზი;
5. ციხე-გალავანი;
6. კლდეში ნაკვეთი ქალაქი, გამოქვაბული;
7. კოშკი (კოშკური დასახლება);
8. ციხე-სახლი;
9. გამაგრებული ეკლესია-მონასტერი;

კლასიფიკაციის ეს ფორმა ზოგადია, რადგან თითოეული მათგანი შეიცავს მრავალ ქვეტიპს, რომლებსაც ემატება ამა თუ იმ ეთნოგრაფიული კუთხის გეოგრაფიული პირობებისა და სამეურნეო-კულტურული სპეციფიკის თავისებურებებით გამოწვეული სხვაობები.

**მეგალითური ციხე.** უძველესი სახეობის სიმაგრე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება, არის მეგალითური ანუ ციკლოპური სახის ციხე. მისი გავრცელების პერიოდად, ძირითადად, ძვ. წ. ⴰⴰⴰ ათასწლეულის ბოლო და ⴰ ათასწლეულია მიჩნეული. ასეთი ციხეები აგებულია ნატეხი ქვით, თუმცა ურევია დიდი – ორი-სამი მეტრის სიგრძის ქვებიც. ამგვარი სიმაგრეები დაგეგმარებით წრიული და კუთხოვანი იყო.

კედლები ნაშენია მშრალი წყობით, ქვას დამუშავების კვალი არ ეტყობა, მას ბუნებრივი სახით იყენებდნენ. კედლების სისქე 1,5 მეტრიდან 3,5 მეტრამდე მერყეობდა. დღემდე შემორჩენილი გალავნების მაქსიმალური სიმაღლე 4-5 მეტრია. მის კედლებში მხოლოდ კარია დატანებული, არ გვხვდება სატრანსპორტო შესასვლელი – ჭიშკარი.

ასეთი სახის სიმაგრეები ძირითადად შემაღლებულ ადგილზეა განლაგებული – გორის ან მთის წვერზე, თუმცა გვხვდება უფრო რთული ფორმისაც – როცა ციხეები ფერდობზე იარუსებადაა განლაგებული.

ციკლოპური ციხეები, ცხადია, გავრცელებული იყო იქ, სადაც ქვა ბუნებრივად ბლომად მოიპოვებოდა. არსებული ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძირითადად, ეს ისტორიული ქვემო ქართლია. მეგალითური ციხეებია შემდეგი: გორნარი, სანთა, გუმბათი, ნორდევანი, ჩხიკვთა, ავრალნუ და სხვა.

**ციხე-ქალაქი.** ანტიკური პერიოდიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ციხე-ქალაქები, რომელთა შესახებ ინფორმაციას ძირითადად ბერძნულ და ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში და „ქართლის ცხოვრებაში“ ვხვდებით, რაც არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება.

ციხე-ქალაქის აუცილებელი ნიშანი მისი დაცულობა იყო. ქალაქი – პოლიტიკური ან სავაჭრო ცენტრი – აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაცული. ამისთვის, პირველ რიგში, ყურადღება ექცეოდა ადგილმდებარეობის სწორად შერჩევას – ქალაქისათვის შეძლებისდაგვარად ირჩევდნენ ბუნებრივად გამაგრებულ ადგილს, რომლის დაცვაც ზღუდეებითა და კოშკებით უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. ამასთანავე, ციხე-ქალაქი სავაჭრო მაგისტრალების სიახლოვეს უნდა გაშენებულიყო. გათვალისწინებული იყო ბუნებრივი წყლის მარაგის არსებობა. შემდეგ მიმართავდნენ ქალაქის გამაგრებას: მას შემოევლებოდა ზღუდე (გალავანი), რომელშიც ბურჯები და კოშკები იყო ჩართული. ქალაქში აუცილებლად იგებოდა ძირითადი ციხე-ციტადელი, რომელიც ყველაზე მეტად იყო გამაგრებული.

ქალაქის ზღუდეში, ანუ გალავანში, ჩართული იყო კარი. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ის იყო „დიდნი კარნი ზღუდისანი“ და „ცოტანი კარნი“. პირველი განკუთვნილი იყო ქარავნებისა და ჯარის მსვლელობისათვის, ხოლო მეორე – ჩვეულებრივ მოსიარულეთათვის. კარი, ცხადია, ძირითადი სამიმოსვლო გზების მიმართულებით იყო. შებინდებისთანავე ქალაქის ყველა კარი იკეტებოდა და მხოლოდ გათენებისას იღებოდა. გამონაკლისი აღდგომა იყო, როცა მთელი ღამის განმავლობაში ღია იყო ქალაქის შესასვლელი. კარი გასაღებით იკეტებოდა. მას გუშაგები იცავდნენ.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, საქართველოში ძვ.წ. ა ათასწლეულის მეორე ნახევარში უკვე არსებობდა ძლიერი და გამაგრებული ქალაქები: ხუნანი, რუსთავი, გაჩიანი, მცხეთა, წუნდა, უფლისციხე, ურბნისი, კასპი და ა.შ. უფრო გვიანდელ პერიოდში, ბერძნული წყაროების მიხედვით, დასტურდება უკვე ბიჭვინთის, დიოსკურიის, შორაპნის, ფაზისისა და სხვა ციხე-ქალაქების არსებობა.

უძველესი პერიოდის ქალაქების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიური მასალა. როგორც გათხრებიდან ჩანს, ანტიკურ პერიოდში გალავნები ღრმა საძირკველზე იგებოდა – საძირკველში იწყობოდა თლილი ქვები, რომლებზეც ამოჰყავდათ ალიზ-აგურის ზღუდე-გალავნები, კოშკები და ბურჯები (ვანი, ბაგინეთი, არმაზის ციხე და ა.შ.). შენების ასეთი სტილი გავრცელებული იყო ძვ. წ. ააა საუკუნემდე.

ამავე პერიოდის გალავნების სისქე სამ მეტრს აღწევდა, რაც საბრძოლო იარაღის სახეობით იყო განპირობებული: ძირითადად გამოიყენებოდა კედლის შესანგრევი მოწყობილობები, რის გამოც გალავანი სქელი უნდა ყოფილიყო, რათა შემოტევისთვის გაეძლო და არ ჩამონგრეულიყო. საძირკვლის სიღრმეცა და სიმტკიცეც, ნაწილობრივ, იმით იყო განპირობებული, რომ მტერს ძირი არ გამოეთხარა და კედელი არ ჩამონგრეულიყო.

ანტიკური ხანის ციხე-ქალაქებიდან გამაგრების სტილითა და სრულყოფილებით დასავლეთ საქართველოში ვანი გამოირჩეოდა, აღმოსავლეთ საქართველოში კი – მცხეთა.

ვანი ძვ. წ. ააა საუკუნიდან მძლავრი გალავნებითაა გამაგრებული, ამასთანავე, შესანიშნავადაა გამოყენებული ბუნებრივი პირობებიც. ეს ციხე-ქალაქი განფენილია ბორცვზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან კი აკრავს ღრმა ხევები, რომელთა ნიპირებიც მიუვალი ციცაბო კლდეებია. ქალაქს შემოვლებული აქვს გალავანი, კოშკებით გამაგრებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია კარიბჭე, რომელიც ხის მძიმე კარით იკეტებოდა. კარიბჭეს ჰქონდა რკინით ჭედილი ორი კარი. ერთი – გარეთა ვერტიკალურად, ბაგირების საშუალებით მოძრაობდა. კარიბჭესთან მდგარა ორი დიდი ზომის კოშკი: ერთი – ნახევარწრიული, მეორე – რვაგვერდა. გალავნის დღემდე შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, რომ იგი 5 მეტრის სისქის ყოფილა.

მცხეთა ანტიკურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე კარგად გამაგრებული ციხე-ქალაქი იყო. იგი მდებარეობდა მტკვრისა და არაგვის შესართავთან. მასთან მისასვლელი ყველა ძირითადი გზა ციხე-ქალაქებით იყო გამაგრებული. ჩრდილოეთიდან არაგვის გზა გადაკეტილი იყო ციხე-ქალაქ წიწამურით, დასავლეთიდან მომავალი გზა მტკვრის ვიწროებში – სარკინეთით, აღმოსავლეთის შემოსასვლელი კი – არმაზციხით.

ადრე და გვიანფეოდალურ ხანაში ერთ-ერთი ძლიერად გამაგრებული ციხე-ქალაქი იყო საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ქალაქი უბნებად იყოფოდა და ყოველი მათგანი ციხეებითა და გალავნებით იყო გამაგრებული. თავისი არსებობის მანძილზე თბილისი მრავალჯერ შეიცვალა, რადგან, შემოსევების შედეგად, ხშირად ნადგურდებოდა. მიუხედავად ამისა, მას ყოველთვის აღადგენდნენ. ცნობების არარსებობის გამო არ შეგვიძლია ვთქვათ, როგორი იყო თბილისი შუა საუკუნეებში. ჩანახატები და აღწერილობები მის შესახებ მხოლოდ ᲘᲓაა საუკუნიდან გვაქვს. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ თბილისი სხვადასხვა ციხით იყო გამაგრებული და გალავანშემორტყმული.

ვახუშტის მიხედვით, თბილისი შედგებოდა სამი ქალაქისაგან: თბილისი, კალა და ისანი. საქართველოს დედაქალაქმა ძველი სახე, საბოლოოდ, ᲛᲐᲡ საუკუნეში დაკარგა, ციხე-ქალაქის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ.

ციხე-ქალაქების სტილი და გამაგრების სისტემა დროთა განმავლობაში იცვლებოდა, როგორც ადრე, ისე გვიანფეოდალურ ხანაში. ამ დროს გვხვდება ადმინისტრაციული, სავაჭრო და

ფეოდალის ციხე-ქალაქები. მუდმივი შემოსევების შედეგად, ციხე-ქალაქები ხშირად ნადგურდებოდა. მათ უმეტესობას მაინც აღადგენდნენ, ნაწილი კი საბოლოოდ აღიგვებოდა პირისაგან მიწისა.

ქართულ ციხე-ქალაქებს შორის აღსანიშნავია შემდეგი: ურბნისი, რუსთავი, სამშვილდე, გორი, თელავი, დმანისი, სურამი, ახალციხე, ახალქალაქი, ციხეგოჯი, ციხისძირი (პეტრა), ქუთაისი, ანაკოფია.

**ციხესიმაგრე.** ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის მთავარი საშუალება ციხესიმაგრე იყო. მიუხედავად იმისა, რომ სიმაგრეთა დანარჩენი სახეობებიც დიდ როლს ასრულებდნენ, თავდაცვითი ფუნქცია, ძირითადად, მაინც ციხესიმაგრეს ეკისრებდა.

ციხესიმაგრეში მუდმივად უნდა მდგარიყო გარნიზონი, რომელიც მზად იქნებოდა საბრძოლველად. ის ქვეყნის მმართველს ემორჩილებოდა და ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს იცავდა.

ციხესიმაგრის აგების დროს უმთავრესი ყურადღება მის მდებარეობას ექცეოდა, რადგან მას უნდა დაეცვა ქვეყანაში შემომავალი ყველა ძირითადი მაგისტრალი და გზა. შეძლებისდაგვარად, იგი მიუვალი უნდა ყოფილიყო, რისთვისაც იყენებდნენ ბუნებრივ სიმაგრეებს. ამდენად, ციხე სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას უნდა აშენებულიყო. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არათუ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილებია ციხეებით გამაგრებული, არამედ თითქმის ყველა გზაჯვარედინსა და გორაკზე გვხვდება დიდი თუ პატარა ციხეები თუ მათი ნანგრევები.

ქვეყნის თავდაცვის ქმედუნარიანობა, სტრატეგიული ადგილების გამაგრების გარდა, საფორტიფიკაციო ქსელის ეფექტურობაზე იყო დამოკიდებული. ქვეყნის მთლიანობისა და ძლიერების ხანაში, ციხესიმაგრეები სწორედ ერთიანი ქსელის შექმნის პრინციპით იგებოდა. თავის მხრივ, ანალოგიური პრინციპი მოქმედებდა ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარესა და საფეოდალოში, სადაც იყო საფორტიფიკაციო ქსელი, რომელიც კონკრეტულ კუთხეს იცავდა, თუმცა, ერთიანობის ხანაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთელი ქვეყნის დაცვის საქმეში.

საფორტიფიკაციო ქსელის ეფექტურობისათვის, ციხესიმაგრეთა სწორი განლაგების გარდა, აუცილებელი იყო მათ შორის კომუნიკაცია. ციხეში მყოფ გუშაგს უნდა მიეღო და გადაეცა ინფორმაცია მტრის შემოსევის შესახებ, რისთვისაც საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა სასიგნალო კოცონი. სასაზღვრო პუნქტიდან მომავალი განგაში ამ საშუალებით ყველა ძირითად ციხესიმაგრეს გადაეცემოდა. ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების შემდეგ, ამ მიზნით იყენებდნენ თოფსა და ზარბაზანს.

აღსანიშნავია, რომ ციხესიმაგრეთა უმეტესობა განლაგებული იყო ისე, რომ გუშაგებს ერთმანეთის დანახვა არ შეეძლოთ, სიშორისა და გეოგრაფიული პირობების გამო. ამიტომ შუალედურ ადგილებზე შენდებოდა საგუშაგო კოშკები, რომლებიც სიგნალის დროულად გადაცემას უზრუნველყოფდნენ.

ციხეები სტრატეგიული მნიშვნელობითა და სიმტკიცით განსხვავდებოდა, რაც კარგად არის ასახული წერილობით ძეგლებში. ციხეთა დახასიათებისას გამოყენებული სახელდებები ნათლად გამოხატავს ციხესიმაგრეთა დანიშნულებასა და სიმტკიცეს. მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს ციხეთა აღწერისას მათ ასე ახასიათებს: „არამტკიცე“, „ველსა ზედა“, „კლდეზედ“, „კლდითმოზღუდვილი“, „მაგარი“, „მინდორსა ზედა“, „ორი მდინარის შორის“, „უქვითკირო“, „ქალაქის თავზე“, „შეუვალი“, „ძველადი“, „ხიდსა ზედა“. ამასთანავე, ჩანს, რომ მთავარ ციხეს, რომელსაც სტრატეგიული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა, „დედაციხე“ ან „თავადი ციხე“ ერქვა.

საინტერესოა ციხესიმაგრის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც საალყო, ანუ სხვა ციხისა თუ ქალაქის საწინააღმდეგო დანიშნულება ჰქონდა. ქართველები მას შურისციხეს უწოდებდნენ. ამ სახელით, გარდა თბილისისა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც გვხვდება ციხეები. მათი დანიშნულება კონკრეტული პუნქტისა თუ გზის პარალიზება იყო. ამიტომაც დაერქვა შურის (შური – მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა; საბა), ანუ სხვის „საწინააღმდეგო“ (არა თავდასაცავი) ციხე.

ციხესიმაგრის მნიშვნელობასა და სიმტკიცეზე მიუთითებს აგრეთვე ის ეპითეტები, რომლებითაც ქართულ მეტყველებაში იხსენიება აუღებელი ციხესიმაგრე: „მოდინახე“, „რკინის ციხე“, „მგლის ციხე“, „მგლისფერი“, „ქაჯეთის ციხე“ და ა.შ. ამათგან ყველაზე გავრცელებულია „მოდიმნახე“, რომელიც შემდეგში შეცვლილი ფორმით („მოდინახე“) კონკრეტული ციხეების სახელწოდებად იქცა.

ქართული სიმაგრეები ის ობიექტებია, რომელთაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებოდათ საქართველოსა და ქართველი ხალხის გადარჩენაში. სწორედ მათი სიმტკიცისა და აუღებლობის დიდი დამსახურებაა, რომ ქართველებმა გაუძლეს უდიდეს და უამრავ დამპყრობელს და შეინარჩუნეს ქვეყანა. კლდეზე, მის წვერზე, მთებზე, ველსა თუ გორებზე აგებული ციხეები ქვეყანას თავიანთი სიმტკიცით იცავდნენ. მათი აღწერისას ქების უამრავ ეპითეტს ვხვდებით უცხოურ წყაროებში: „ცადაწვდილი“, „აუღებელი“, „მიუვალი“, „ციხის კოშკები ცის სფეროს უთანასწორდებიან“ და ა.შ.

მრავალ ქართულ ციხესა შორის რომელიმეს გამორჩევა ძნელია, თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: დარიალის ციხე, ბებრის ციხე, შორაპანი, თმოგვი, ხერთვისი, ბირთვისი,

აწყური, ძამა, კლდეკარი, ფარცხისი, ბოჭორმა, მანავი, მურის ციხე, ორბელის ციხე, ხოტევი, არტანუჯი, თორთუმი.

**კლდეში ნაკვეთი ქალაქი, გამოქვაბული.** სიმაგრეთა ერთ-ერთი სახეობაა კლდეში ნაკვეთი ქალაქი, რომელიც თავისი დაცულობითა და გამძლეობით გამოირჩეოდა, თუმცა ასეთი ქალაქი საქართველოში ბევრი არ გვხვდება.

კლდეში ნაკვეთი ქალაქი უამრავი ქვაბულისაგან შედგებოდა. ეს იყო ბუნებრივი ციხესიმაგრე, რომელშიც საცხოვრებელი, სალოცავი და საომარი პუნქტები იყო. მას ჰქონდა წყლის ბუნებრივი ან ხელოვნური რეზერვი, რის გამოც იგი თითქმის აუღებლად ითვლებოდა. თავისი შეუვალობიდან გამომდინარე, რუსთაველისეულ ქაჯთა ციხეს ადარებენ. ასეთი ქალაქები საქართველოში ცოტა, მაგრამ სრულყოფილი სახით შემოგვრჩა: უფლისციხე, ვარძია, ვანისა და დავით გარეჯის ქვაბები.

უფლისციხე ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელიც ჩვ. წ-მდეა დაარსებული. ის მთლიანად კლდეშია გამოკვეთილი და, ბუნებრივ პირობებთან ერთად, ხელოვნურადაც გამაგრებულია. კლდე ისეა შერჩეული, რომ მტრისთვის ძნელად მისადგომია. დასავლეთიდან პიტალო კლდით არის დაცული, აღმოსავლეთით გრძელი ხევია, რომელიც უფრო გაუგანიერებიათ და ჩაუღრმავებიათ. ამავე მხარეზე აუგიათ კედელი კოშკებითურთ, ხოლო ჩრდილოეთით მაღალი კლდე ჩაუჭრიათ და კლდეკარი შეუქმნიათ.

სამხრეთით, მდინარის თავზე, ჩაჭრილია სამი მეტრი დიამეტრის გვირაბი, რომლითაც ჩადიოდნენ მდინარეზე. შესაბამისად, გადაჭრილი იყო წყლით მომარაგების პრობლემაც. ამ გვირაბს, მკვლევართა აზრით, ასევე, ნავმისადგომადაც იყენებდნენ, ე.ი ქალაქს სამხრეთიდან სანაოსნო გზა ჰქონდა, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან – სატრანსპორტო (სახმელეთო). უფლისციხე ძნელად მისადგომი და მტკიცე ქალაქი იყო, ამიტომ მისი დაპყრობა იშვიათად ხერხდებოდა. მას მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა ქვეყნის ცხოვრებაში, რაც მისი სახელწოდებიდანაც ჩანს.

სიმაგრის ერთ-ერთი სახეობაა გამოქვაბული. საქართველოს ტერიტორიაზე ის, ბუნებრივი, მრავლად იყო. მოსახლეობა მათ სახიზრად და სიმაგრედ იყენებდა. ბუნებრივ გამოქვაბულებს აუმჯობესებდნენ, აფართოებდნენ. ხელოვნურ ქვაბებს მიუვალ ადგილებში კვეთდნენ. ვახუშტის აღწერილი აქვს ასეთი გამოქვაბულები და მიუთითებს, რომ მათ „სახიზარი და სასიმაგრო“ დანიშნულება ჰქონდათ. ასეთი ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, კოლხეთის დაბლობისა და ალაზნის ველის გარდა. ვახუშტის ცნობით, განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი ყოფილა ძამის ხეობის ზემოთ მდებარე ქვაბები, იქ მოწყობილი ეკლესიითა და კაცთაგან მიუვალობით. ასეთივე ქვაბებს აღწერს ვახუშტი ჯავახეთში, ხომლის კლდეში, ყვირილას ხეობაში და ა.შ. ცნობილია არაგვის ხეობაში არსებული გამოქვაბულებიც, რომელთაც მოსახლეობა თემურ-ლენგის ერთ-ერთი შემოსევის დროს შეეხიზნა. ამ გამოქვაბულებთან სისხლისმღვრელი ბრძოლები გამართულა. მიუხედავად იმისა, რომ მათ გასწვრივ თოკზე მობმული კალათებით ჩაუშვიათ მეომრები, თემურ-ლენგს მაინც ვერ მოუხერხებია გამოქვაბულებში შეხიზნულების დამორჩილება.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ბუნებრივი და ხელოვნური ქვაბები დიდ როლს ასრულებდა ქვეყნისა და მოსახლეობის თავდაცვის საქმეში.

**ციხე-დარბაზი.** თავდაცვითი ნაგებობების ერთ-ერთი სახეობაა ციხე-დარბაზი. მისი წარმოშობა საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას უკავშირდება. ციხე-დარბაზების რაოდენობა საქართველოში ერთიანი სახელმწიფოს დასუსტებისა და დაშლის ფონზე იზრდებოდა.

ციხე-დარბაზი არის სოციალურად დაწინაურებული პირის რეზიდენცია, რომელიც თავის თავში აერთიანებს კომფორტული ცხოვრების პირობებსა და თავდაცვის უზრუნველყოფას. რაც უფრო მეტად ძლიერი იყო ფეოდალი, მით უფრო მტკიცე, გამაგრებული და კეთილმოწყობილი ციხე-დარბაზი ჰქონდა.

ციხე-დარბაზი იყო გალავანშემოვლებული რეზიდენცია, გალავანში ჩართული რამდენიმე კოშკითა და მტკიცე ჭიშკრით. გალავნის შიგნით მოწყობილი იყო გამაგრებული საცხოვრებელი და ყველა დამხმარე ნაგებობა (სამეურნეო, საჯინიბო, აბანო და სხვ.).

ციხე-დარბაზის აუცილებელი კომპონენტი იყო გალავნის შიგნით განთავსებული კარის ეკლესია, სადაც ფეოდალის ოჯახი რელიგიურ მსახურებას აღასრულებდა.

ცხადია, რეზიდენციები ჰქონდათ მეფეებსა და მთავრებსაც, თუმცა მიგვაჩნია, რომ მეფეთა სასახლეები ციხე-დარბაზების კატეგორიას არ უნდა მივაკუთვნოთ, რადგან მათი თავდაცვის, ადგილმდებარეობისა და კეთილმოწყობის პირობები ბევრად უფრო უმაღლესად იყო გადაწყვეტილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სრულყოფილად შემორჩენილი არც ერთი სამეფო სასახლე არ გვაქვს, წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველ მონარქებს ბრწყინვალე, მდიდრული და ჩინებულად დაცული სამეფო რეზიდენციები ჰქონდათ, რომლებიც მტრის შემოსევების შედეგად განადგურდა.

მთავართა სასახლეები შეიძლება ციხე-დარბაზის კატეგორიას მივაკუთვნოთ, რადგან მათი რეზიდენციები ვერ სცდებოდა, ძირითადად, დიდ ფეოდალთა სასახლეების დონეს. როგორც უკვე აღინიშნა, ციხე-დარბაზი სოციალურ ნიადაგზე წარმოიშვა და ეს დატვირთვა მან ბოლომდე

შეინარჩუნა. ვახუშტის კლასიფიკაციით, თავადად არ ჩაითვლებოდა პირი, რომელსაც ციხე-დარბაზი არ ჰქონდა.

ასეთი რეზიდენციის აგებისას უმთავრესი მნიშვნელობა ადგილმდებარეობის შერჩევას ენიჭებოდა, რაც ეპოქების შესაბამისად იცვლებოდა. ადრე და შუა ფეოდალურ ხანაში, ციხე-დარბაზს შედარებით მიუვალ ადგილას აშენებდნენ – მთის ან გორის წვერზე. ამ შემთხვევაში ფეოდალი უფრო მეტად იყო დაცული. გვიანფეოდალურ ხანაში რეზიდენციების ადგილი იცვლება – ციხე-დარბაზებს აშენებდნენ შედარებით ვაკე ადგილებში, მთის ძირებში. მკვლევარნი ამის მიზეზად მიიჩნევენ რთულ პოლიტიკურ ვითარებას. საკუთარ საფეოდალოს მოშორებული მემამულე მოსახლეობას ხშირი შემოსევებისაგან ვერ იცავდა და მათი მართვაც გაძნელებული იყო, ამიტომ რეზიდენცია საფეოდალოს შუაგულში ჩამოჰქონდა, რათა საჭიროების დროს მოსახლეობაც შეეფარებინა, უფრო ახლო კონტაქტი ჰქონოდა მასთან და უკეთაც ემართა იგი. ამის ნათელი მაგალითია ქსნის ერისთავთა რეზიდენციის გადაადგილება. თავდაპირველად იგი ქსნის ხეობის ზედა წელში მდებარეობდა, ქვენიფნევში. ᲛᲓᲠᲠ საუკუნეში გადმოიტანეს ხეობის გაშლილ ადგილში – ახალგორში. ასეთივე მაგალითია მუხრან-ბატონთა რეზიდენციის მოძრაობა ქსნის ციხიდან მუხრანის ველზე. აქვე უნდა შევეხოთ სამეცნიერო წრეებში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ სვანეთისათვის ციხე-დარბაზი არ არის დამახასიათებელი, გარდა დადეშქელიანების რეზიდენციისა. თუმცა, კლასიკური ტიპის სვანური საცხოვრებელი, რომლის რამდენიმე ნიმუში ახლაც არის შემონახული, საპირისპიროს მეტყველებს. სვანური გამაგრებული საცხოვრებელი, რომლის აშენებაც მხოლოდ დაწინაურებულ გვარებს შეეძლოთ, შედგებოდა საცხოვრებელი სახლის, კოშკისა და გალავნით შემოზღუდული ეზოსაგან. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, ეზოშივე იყო კარის ეკლესია, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა ციხე-დარბაზის ყველა მოთხოვნას.

საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ ციხე-დარბაზს ვხვდებით, რომელთა შორისაც აღსანიშნავია შემდეგი: ქვემოჭალა, ანანური, სხვილო, ქვენიფნევი, დუშეთი, ლარგვისი, ახალგორი, ქსნის ციხე, აჩაბეთი, ყორნისი, ძაღინა, მატანი, ხულუტი, სამწვერისი.

**ციხე-გალავანი.** ᲛᲓᲠᲠ–ᲛᲓᲠᲠᲠ საუკუნეებში დაშლილ-დაქუცმაცებულ საქართველოს მეტად მძიმე ვითარება ჰქონდა. იგი სხვადასხვა დამპყრობლის სათარეშოდ ქცეულიყო, რის გამოც მოსახლეობის ელემენტარული უსაფრთხოების დაცვაც კი შეუძლებელი ხდებოდა. სწორედ ამან განაპირობა ქართლსა და კახეთში სიმაგრის ახალი ტიპის – ციხე-გალავნის გამოჩენა.

ციხე-გალავნის ძირითადი დანიშნულება მოსახლეობის შეფარება და დაცვა იყო, ამიტომაც მის მასშტაბს შეძლებისდაგვარად ზრდიდნენ, განგაშის შემთხვევაში, მოსახლეობას თავის სარჩო-საბადებლიანად ციხე-გალავანში შეხიზვნა რომ შესძლებოდა. თავდაცვის ამ სახეობას სხვანაირად „სათემო“ ციხე ერქვა, რადგან მას მთელი თემი ერთად აგებდა. ყოველ თემს ან სოფელს თავისი კოშკი ჰქონდა გამოყოფილი. ციხე-გალავანს თვითონ მოსახლეობა უვლიდა და დარაჯობდა. შეიძლებოდა, ციხე-გალავანი აეგო მეფეს ან რომელიმე ფეოდალსაც, მაგრამ უმთავრესად ის აგებდა, ვის თავშესაფარადაც შენდებოდა.

სხვა ტიპის ნაგებობისაგან ციხე-გალავანი ადგილმდებარეობითაც განსხვავდებოდა. მას აგებდნენ დასახლებულ პუნქტებში, ამ უკანასკნელთა შორის, ან მათ სიახლოვეს. ტევადობას განსაზღვრავდა დამკვეთთა რაოდენობა. სხვა ციხეებისგან განსხვავებით, მას ფართო შესასვლელი უნდა ჰქონოდა. დაგეგმარებისა და ფორმის მიხედვით, ციხე-გალავნები კვადრატული ან სწორკუთხაა, მაგრამ გვხვდება გამონაკლისიც. მუხრანის ციხე-გალავანი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავია როგორც მოცულობით, ისე არქიტექტურული თვალსაზრისითაც.

ᲛᲓᲠᲠᲠ საუკუნეში აგებული ეს ციხე-გალავანი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი და მთავარია კვადრატული გეგმის მქონე გალავანი, რომლის კუთხეებშიც ცილინდრული კოშკებია აღმართული. მასზე ჩრდილო-აღმოსავლეთით მიდგმულია ტრაპეციის გეგმის მქონე გალავანი, ასევე ცილინდრული კოშკებით. მისი სიმაღლე 4 მეტრია. გალავნის ხაზთან მიედინება რუ, რომელიც, სავარაუდოდ, თავდაპირველად გალავნის შიგნით იქნებოდა მოქცეული, წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად. ციხე-გალავანთაგან აღსანიშნავია შემდეგი: ქსოვრისი, წილკანი, ქვემოჭალა, მეჯვრისხევი, არადეთი, შინდისი, ყვარელი, ნაფარეული, ლალისყური, სიღნაღი.

**კოშკი, კოშკური საცხოვრებელი.** თავდაცვითი ნაგებობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა კოშკი, რომელიც გვხვდება როგორც დამოუკიდებელი სახით, ისე სხვა ნაგებობებთან ერთად. იგი თითქმის ყველა სიმაგრის – ციხე-დარბაზის, ციხე-გალავნისა თუ ციხე-სიმაგრის შემადგენელ ნაწილად წარმოგვიდგება.

საქართველოს ტერიტორიაზე კოშკი ᲘᲓ საუკუნეში არსებობდა (უფრო ადრეული მონაცემები არ გვაქვს, რაც ნიშნავს იმას, რომ მანამდე კოშკებს არ აშენებდნენ). ამ პერიოდიდან მოყოლებული, კოშკების შენება ᲛᲓᲠᲠᲠ საუკუნემდე გრძელდებოდა.

კოშკები ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ფორმისა და მოცულობის, ისე დანიშნულების მიხედვით. ისინი ძირითადად ოთხკუთხა ფორმისა და მაღალი იყო – 5 ან 6- სართულიანი. გვხვდება აგრეთვე ზურგიანი, პირამიდული და ცილინდრული ფორმის კოშკები. ზურგიანი კოშკი გავრცელებულია შიდა ქართლში. მკვლევართა აზრით, აღნიშნული ფორმის კოშკი ᲓᲠ საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო. იგი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არსებობდა და

უმნიშვნელოდ შეიცვალა ცეცხლსასროლი იარაღის შემოღების შემდეგ, როცა მას დაემატა სათოფურები.

ცილინდრული ფორმის კოშკები ძირითადად ციხე-სიმაგრეებში, გალავნებში იყო ჩართული. ყველაზე მეტია ოთხკუთხა და მაღალი კოშკი, რომელიც მასიურად საქართველოს მთიანეთში იყო გავრცელებული.

კოშკი სხვადასხვა იყო თავისი დანიშნულებითაც. არსებობდა შემდეგი სახის: სათვალთვალო, თავდასაცავ-საცხოვრებელი და კოშკური სახლები, რომელთაც ჩვენ სასიმაგრო ნაგებობის ცალკე სახეობად – ციხე-სახლად განვიხილავთ. თავდაცვითი დანიშნულების კოშკები ისეთ ადგილებში იყო აგებული, რომ იქიდან მოხერხებულიყო მტრისთვის ბრძოლის გამართვა და მისი მოგერიება. ასეთი კოშკი ისე იყო მოწყობილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დასვენება, ძილი, საჭმლის მომზადება, ე.ი. – შედარებით ხანგრძლივად ცხოვრება. სათვალთვალო კოშკები აკონტროლებდა გზებსა და გადასასვლელებს. მთაში მყოფ გუშაგებს მხოლოდ სიგნალის გადაცემა ევალებოდათ და არა მტერთან შებრძოლება. ასეთი კოშკები მნიშვნელოვან, თითქმის მთავარ როლს ასრულებდა ქვეყნის თავდაცვის საქმეში: მათი საშუალებით, განგაში უმოკლეს ხანში მთელ ქვეყანას გადაეცემოდა. ასეთი კოშკები ციხესიმაგრეთა დამაკავშირებელი ძირითადი რგოლები იყო. თავდაცვითი-საცხოვრებელი კოშკი ითვალისწინებდა ორივე კომპონენტის შეთავსებას – ასეთ ნაგებობაში ცხოვრებაც შეიძლებოდა და თავდაცვაც. თუმცა ე.წ. ციხე-სახლი, ამ კოშკთან შედარებით, ბევრად უფრო რთული ნაგებობა იყო.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს მთიანეთი, სადაც კოშკური კულტურა ყველაზე მეტად იყო გავრცელებული. განვითარების მწვერვალს მან სვანეთში მიაღწია.

საქართველოს ეს კუთხე მოფენილია თეთრად შელესილი მაღალი (5 ან 7-სართულიანი, 20-25 მეტრი სიმაღლის) კოშკებით, რომლებიც განლაგებულია როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზებსა და გადასასვლელებზე, ისე სოფლებში.

თუ დავაკვირდებით, კოშკებიდან სათვალთვალოები იმ მხარესაა დატანებული, საიდანაც გზები შემოდის სოფელში. ამასთანავე, კოშკის აშენებას წლები და დიდი მატერიალური დანახარჯები სჭირდებოდა.

სვანეთში, კოშკების სიმრავლიდან გამომდინარე (აქ კოშკი გვხვდება როგორც ცალკე, ისე საცხოვრებელ კომპლექსში), მართებული იქნებოდა მიგვეჩნია, რომ გავრცელებულია კოშკური დასახლებები, ანუ სოფლები, რომელთაც მთლიანად სიმაგრის სახე აქვს. გვხვდება 10-20- კოშკიანი სოფლები.

სვანური კოშკი თავისი სტილით, კონსტრუქციითა და სამშენებლო ხელოვნებით რადიკალურად განსხვავდება სხვა კუთხეებში გავრცელებული კოშკებისაგან. მას განუმეორებელ იერს აძლევს სიმაღლე, ზედაპირი და კოშკის თავზე განლაგებული მაშიკულები. სვანური კოშკი ოდნავ ვიწროვდება მაღლა, რაც მას სრულყოფილ და ჰარმონიულ ელფერს ანიჭებს. მისი ფორმები გავრცელდა რაჭაში, ლეჩხუმსა და სამეგრელოში. ერთი ანალოგი აგებულია შუა ქართლში, სოფელ წინარეხში.

საქართველოს სხვა კუთხეებში ᲣᲫᲘ–ᲣᲫᲘᲘ საუკუნეებში შენდებოდა პირამიდული და ცილინდრული ფორმის კოშკები. ამათგან მხოლოდ ამ უკანასკნელს ატანებდნენ გალავნებში.

პირამიდული კოშკებიდან აღსანიშნავია შემდეგი: წორბისი, ყორნისი, ძაგანი, ნეკრესი, შილდა და სხვა.

ზურგიანი კოშკის ყველაზე კარგი მაგალითია ზემო მლეთაში არსებული კოშკი, რომელიც ᲣᲫᲘ საუკუნეშია აგებული. იგი ფერდობზე დგას და სწორი პირით გზისკენ (ან ხევისკენ) არის მიმართული, ხოლო მომრგვალებული ზურგით – მთისკენ, კარი წინა მხარეზეა მოწყობილი.

ცილინდრული ფორმის კოშკები, როგორც ცალკე მდგომი, ისე გალავანში ჩართული, საქართველოში უამრავია. ასეთ კოშკებს გარედანაც რთავდნენ ჩუქურთმებით. პროპორციული იყო კარისა და სარკმლების განლაგება. შიგნით მოწყობილი იყო ბუხარი, რომელსაც დეკორატიული გამოსახულებებით ალამაზებდნენ.

ცილინდრული კოშკებიდან აღსანიშნავია თუშმალაშვილების კოშკი, კისისხევი, ქემერტი, პატარძეული, ფცა, გიორგწმინდა, ხეითი და ა. შ.[23]

ტერმინი „კოშკი“ ქართულ წერილობით წყაროებში ᲘᲖ საუკუნიდან გვხვდება. სულხან-საბას განმარტებით, იგი „მაღალი და წვრილი ციხეა“. ცხადია, **კოშკის** დამკვიდრებამდე აღნიშნული ნაგებობის სახელი სხვა უნდა ყოფილიყო. ამ მნიშვნელობით წერილობით წყაროებში გოდოლი იხმარება. სულხან-საბასავე განმარტებით, გოდოლი „კოშკი მაღალია, გინა ბურჯი“. ივანე

[23]ამრიგად, საქართველოში კოშკური კულტურა ძალიან განვითარებულია, რაც განპირობებულია როგორც რთული გეოგრაფიული პირობებით, ისე მწვავე პოლიტიკური და მუდმივი საომარი მდგომარეობით. სწორედ ამ მიზეზებით, საქართველოში კოშკური კულტურა ხალხური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და სრულყოფილი მიმდინარეობაა.

ჯავახიშვილს კი მიაჩნია, რომ კოშკის სახელწოდება მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო „მურყვამი“ – ტერმინი, რომელიც სვანეთშია შემონახული და სვანურად დღესაც კოშკს აღნიშნავს. დიდი მეცნიერი ამ ტერმინს უკავშირებს ხევსურული, ფშაური და თუშური წარმართული ღვთაების პირიმზის ეპითეტს – „მურყვნოსელი“, რომელიც სვანურად ნიშნავს კოშკის მფლობელ ღვთაებას. მისივე დასკვნით, ოთხკუთხა კოშკების თავდაპირველი სახელწოდება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოშიც „მურყვამი“ უნდა ყოფილიყო.

**ციხე-სახლი.** ციხე-სახლი სასიმაგრო ნაგებობათა ის სახეობაა, რომელიც მთიან რეგიონებში იყო გავრცელებული და თავის თავში მოიცავდა საცხოვრებელ, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციის მატარებელ ნაგებობას, რომელშიც ეს ყოველივე ძირითადად ვერტიკალურადაა განლაგებული.

საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობის ასეთი სტილის ჩამოყალიბება განაპირობა გეოგრაფიულმა და სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ. საქართველოს მთაში, სადაც რთული რელიეფური და ბუნებრივი პირობები იყო, რომელსაც ემატებოდა სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სირთულე, შეიქმნა საცხოვრებელი სახეობის ტიპი, რომელიც ყოველმხრივ უზრუნველყოფდა ოჯახს.

ამ ტიპის საცხოვრებლები სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: ციხე – თუშეთში; სახლი – ფშავში; ქვითკირი – ხევში, ხევსურეთსა და მთიულეთში; დუროიანი სახლი – რაჭაში; ლაზგა-მურყუამ – სვანეთში.

საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ეს ციხე-სახლები 2 – 7 სართულამდე მერყეობდა. მიჩნეულია, რომ ისინი თავდაცვითი ნაგებობების ერთ-ერთი უძველესი სახეობაა, რომელსაც ბოლო დრომდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ციხე-სახლს მკვლევარნი ერთ-ერთ უძველეს სასიმაგრო ნაგებობად მიიჩნევენ.

ეპოქათა შესაბამისად, ციხე-სახლიც იცვლებოდა. თავიდან მას საისრე ხვრელები და ჩარდახები ჰქონდა, შემდგომ – მხოლოდ სათოფური. შიგნით მოწყობილი იყო მრავალი ნიშა, რაც საოჯახო ინვენტარის ჩასაწყობად იყო გათვალისწინებული.

ციხე-სახლების ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს სვანეთში, კერძოდ, ბალსქვემო სვანეთში გავრცელებული თავდაცვითი ნაგებობები – „სანცხვირიანი და სვანირიანი“ სახლები.

ამ ქვეტიპების წარმოშობა ცალსახად სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობითაა მოტივიებ-ული. სვანეთის სამთავროსა და ქვემო სვანეთში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობამ დაკარგა კლასიკური ტიპის სვანური კოშკის აშენებისა და ფლობის უფლება. მთავარნი ჩამოართმევდნენ მათ ან უნგრევდნენ. ამ სიტუაციაში განვითარდა თავდაცვითი ნაგებობის აღნიშნული ორი ტიპი, რომლებიც ს. მაკალათიას ციხე-სახლის განვითარების ახალ ეტაპად მიაჩნია.

სვანირიანი სახლი სამსართულიანი ნაგებობა იყო, რომელიც ძირითად საცხოვრებელთან დაკავშირებული იყო გამავალი კარით. მას ჰქონდა „შდურები“ (მაშიკული) და საისრე-სათოფურები. ამავე დროს, იგი დამხმარე ნაგებობა იყო საცხოვრებელი და სამეურნეო თვალსაზრისით, რის გამოც მას ციხე-სახლის ერთ-ერთ ქვეტიპად მივიჩნევთ.

სანცხვირიანი სახლი იყო ნაგებობა, რომელსაც მთავარი გზის მხარეს მიშენებული ჰქონდა ჩარდახი, საიდანაც ისრის ან თოფის სროლა შეიძლებოდა. ტერმინის მიხედვით, ის საისრეს ნიშნავს – ცხვი-ისარი.

ციხე-სახლის ერთ-ერთი ქვეტიპი არის რაჭული „დუროიანი სახლი“, რომელიც სვანურ კოშკს წააგავს, მაგრამ დაბალია, ქვითკირით ნაგები. მას შეთავსებული აქვს საცხოვრებელი ფუნქციაც, საამისოდ აღჭურვილია ყველა აუცილებელი კომპონენტით.

საქართველოში ციხე-სახლებიდან აღსანიშნავია: ჩაჟაშის, ღების, მნის, ოქროყანის, არახვეთის, შატილის, მთათუშეთისა და სხვა ციხე-სახლები.

**გამაგრებული ეკლესია-მონასტრები.** მძიმე ვითარებამ, რომელიც საქართველოს დაატყდა თავს, VIII საუკუნეში განაპირობა თავდაცვის დამატებითი საშუალებების შექმნა, რის შედეგადაც ეკლესია-მონასტრები და წისქვილები აღიჭურვა საბრძოლო ელემენტებით.

თავდაცვითი ფუნქცია ეკისრებოდა ეკლესია-მონასტერზე შემოვლებულ გალავანს, რომელშიც კოშკები იყო ჩართული. მას სათოფურები და მეომრების სასიარულო ბილიკები უკეთდებოდა. ამავე მიზნით იყენებდნენ სამრეკლოსაც. თავად ტაძარს ჰქონდა რამდენიმე ხვრელი, რომლებიც გამოიყენებოდა სათვალთვალოდაც და სათოფურადაც.

გამაგრებულ ეკლესია-მონასტერთაგან აღსანიშნავია: სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავისი, ნინოწმინდა, შილდა, ტბისი; ასევე – მძოვრეთის, ურბნისისა და სხვა სამრეკლოები.

საქართველო გამორჩევით მდიდარია თავდაცვითი ნაგებობებით. მრავალფეროვანია მათი სახეობები და სახეობათა ქვეტიპები. სამშენებლო ხელოვნება მაღალია, შერჩეულია მასალა, დახვეწილია გადახურვის ტექნიკა. საკმაოდ განვითარებულია სიმაგრეთათვის ადგილის შერჩევის, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტების გამაგრებისა და ნაგებობების გარემოსთან შეხამების ხელოვნება. ეს ზრდის სიმაგრის თავდაცვისუნარიანობას, ამასთანავე, სრულყოფს გარემოსთან შერწყმის, ე.ი. ესთეტიკურ მხარეს.

თავდაცვითი ნაგებობები ქმნის ერთიან საფორტიფიკაციო ქსელს. ეს კი ქვეყნის დაცულობის უმთავრესი გარანტია იყო. ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ეს ქსელი მოირღვა და შეიქმნა რეგიონებისა თუ სამეფო-სამთავროების დამცავი ქსელი. იგი იმავე პრინციპით მოქმედებდა, როგორითაც გაერთიანებული და ძლიერი სახელმწიფოს საფორტიფიკაციო ქსელი.

თავდაცვითი ნაგებობები ქართული მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, რომელშიც ნათლად ჩანს ხუროთმოძღვრებისა და საბრძოლო ხელოვნების მაღალი კულტურა.


**საკითხავი ლიტერატურა:**

1. ჯ. კეკელია, საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, თბ., 1996.
2. გ. ყორანაშვილი, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ., 1975.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. ი., თბ., 1970.
4. ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999.
5. სუნ ძი, ომის ხელოვნება, თბ., 2002.
6. ბ. გოიშვილი, ვ. ჩხეიძე, საქართველოს სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია, თბ., 2001.
7. ნ. ბერუჩაშვილი, ზ. დავითაშვილი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2005.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. ი, თბ., 1975.
9. ა. გვიმრაძე, გეოპოლიტიკა, თბ., 2010.
10. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

11. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
12. გ. ანჩაბაძე, სამხედრო ისტორია, თბ., 2002.
13. გ. გამყრელიძე, მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი, ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, თბ., 2005.
14. გ. გასიტაშვილი, ხევსურული აბჯარი, მსე, ტ, 1957.
15. ხ. იოსელიანი, სამხედრო საქმის ისტორიიდან სვანეთში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, დ, თბ., 2002.
16. ხ. იოსელიანი, საბრძოლო-თავდაცვითი იარაღის ამსახველი ტერმინები სვანურ ენაში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, დ, თბ., 2002.
17. ხ. იოსელიანი, სვანეთის ეთნოგრაფიული დღიური, თბ., 1998.
18. ლ. სახაროვა, უძველესი საბრძოლო იარაღის ისტორიისთვის, მაცნე, ისტორიის სერია, №3, თბ., 1973.
19. სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. ი, თბ., 1991.
20. სვანური პროზაული ტექსტები, ლაშხური კილო, თბ., 1979.
21. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. ი, თბ., 1991; ტ. იი, თბ., 1993.
22. ქართლის ცხოვრება, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ტ. ი, თბ., 1955.
23. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. ი, თბ., 1950.
24. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957.
25. კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საბრძოლო იარაღები, ფარი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ᲡᲓიიი თბ., 1959.
26. ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, იიი-იდ, თბ., 1962.
27. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960.
28. თ. მიქელაძე, ქსენოფონტე, „ანაბასისი“, ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ., 1967.
29. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1975.
30. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ფლავიუს არიანე, თბ., 1983.
31. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ა. გამყრელიძემ, თბ., 1973.
32. ქართლის ცხოვრება, ტ. ი, ლეონტი მროველი, წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, თბ., 1955.
33. ქართლის ცხოვრება, ტ. ი, ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, თბ., 1955.
34. ქართლის ცხოვრება, ტ. იი, ჟამთააღმწერელი, თბ., 1959.
35. ვ. ელაშვილი, მშვილდოსნობა, თბ., 1959.
36. კ. ნაჭყებია, ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი, თბ. 1959.
37. ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა (მშენებლობის ხელოვნება და ხუროთმოძღვრული ძეგლები), ტ. ი, თბ., 1970.
38. დ. ბერძენიშვილი, ძველი საქართველოს ციხესიმაგრეთა ზოგიერთი სახეობა წერილობითი ძეგლების მიხედვით, „ანალები“, თბ., 2007.
39. გ. გეგეჭკორი, ციხე-სახლები საქართველოში, „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი“, თბ., 1986.
40. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“, ქართლის ცხოვრება, ტ. იდ, თბ., 1973.
41. პ. ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002.
42. რ. იოსელიანი, თავდაცვითი ნაგებობების ზოგიერთი სახეობის შესახებ სვანეთში, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტს, თბ., 2007.
43. ხ. იოსელიანი, მუჟალის თემი, „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, თბ., 2005.
44. ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2000.
45. ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითაი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945.
46. ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987.
47. ლ. მელიქსედ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938.
48. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. ი, თბ., 1991.
49. ა. ქალდანი, ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კოშკური კულტურა, თბ., 1990.
50. ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946.
51. გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1951.
52. მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, საქართველოს მეფეები, თბ., 2000.
53. გ. ანჩაბაძე, სამხედრო ისტორია, თბ., 2002.
54. ნ. ლომოური, დასავლეთ საქართველო (ეგრისი) იდ-დ საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. იი, თბ., 1973.
55. გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. ი, თბ., 1970.

56. გ. მელიქიშვილი, სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები. ძველი კოლხური სამეფოს განადგურება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. ი, თბ., 1973.
57. გ. მელიქიშვილი, კოლხეთი ძვ.წ. VI-III საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. ი, თბ., 1973.
58. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.
59. გ. ანჩაბაძე, მ. დღვილავა, ე. კუპატაძე, ა. მექვაბიშვილი, თ. შუბლაძე, სამხედრო სწავლება, თბ., 2000.
60. გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი), თბ., 1990.
61. ი. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1990.
62. ვ. გუჩუა, გადავხედოთ წარსულს, თბ., 1967.
63. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, თბ., 1985.
64. დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003.
65. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. ი, თბ., 1955, ტ. ii, თბ., 1959.
66. აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ii, თბ., 1936.
67. გ. ანჩაბაძე, მ. დღვილავა, ე. კუპატაძე, ა. მექვაბიშვილი, თ. შუბლაძე, სამხედრო სწავლება, თბ., 2000.
68. მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.
69. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ii, თბ., 1988.
70. ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით), თბ., 1991.
71. ი. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1990.
72. ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.
73. ჯ. სამუშია, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, წიგ. i, თბ., 1999.
74. გიორგი მცირე, ცხოვრებაი და მოქალაქეობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმიდელისაი, წიგნ. ii, თბ., 1967.
75. პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები VI-VII საუკუნეებში, თბ., 1975.
76. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
77. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. ii თბ. 1965.
78. ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ. 1966.
79. რ. კიკნაძე, VI-VIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1960.
80. ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 118, 1967.
81. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989.
82. ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. iI, 1942.
83. ს. კაკაბაძე, დიდგორის ომი, თბ., 1982.
84. შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1965.
85. შ. მესხია, ძლევაი საკვირველი, საისტორიო ძიებანი, ტ. iii, თბ., 1986.
86. ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973.
87. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.
88. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, თბ., 1995.
89. გ. ჯაფარიძე, ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი, კრ. „დავით აღმაშენებელი“ თბ., 1990.
90. ს. მარგიშვილი, მითები და ლეგენდები დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, თბ., 2006.
91. ს. მარგიშვილი შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-X საუკუნეებში. ცნაწილი i, თბ., 2008.
92. ჯ. სამუშია, რამდენიმე მოსაზრება სოსო მარგიშვილის ნაშრომის შესახებ, კრბ. „მესხეთი“, თბილისი-ახალციხე, 2008.
93. ჯ. სტეფნაძე, დემეტრე პირველი, თბ., 1990.
94. ჯ. სტეფნაძე, მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბ., 1999.
95. ი. გედევანიშვილი, სამხედრო ხელოვნება საქართველოში, ტფ., 1915.
96. ივ. შაიშმელაშვილი, შამქორი, ბასიანი, თბ., 1981.
97. რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
98. თამარ მეფის დროინდელი მატიანე („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო მ. ქადაგიძემ, თბ., 2001.

99. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. ააა, თბ., 1979.
100. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. ააა, თბ., 1982.
101. ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები (ააა-აააა სს.), თბ., 1960.
102. ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ააა-აა საუკუნეებში, თბ., 1967.
103. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (ააა-აა სს.), თბ., 1962.
104. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი ბა, საქართველო აა-აბაა საუკუნეებში, თბ., 1973.
105. გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, თბ., 1990.
106. პ. ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002.
107. კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ აა-ა საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974.
108. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973.
109. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. ააა, თბ., 1965.
110. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987.
111. ქრონიკები, ააა, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ტფ., 1897.
112. რ. კიკნაძე, ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის „თარიხე ალამ-არაიე ამინი“, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, ააა, თბ., 1962.
113. რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობათა ისტორიიდან ა საუკუნის მეორე ნახევარში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ბაა, თბ., 1964.
114. დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ა, თბ., 1960.
115. კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ აა-ა საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974.
116. თომას მეწოფელი, ისტორია, თბ., 1937.
117. მირხონდი, „როუზათ ას-საფა“ (სიწმინდის ბაღი), ტ. ბაა, თბ., 1961.
118. ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანი, „თარიხე ამინი“ (ამინის ისტორია) ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966.
119. ა საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1981.
120. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი აბ, თბ., 1973.
121. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი ბაა, თბ., 1973.
122. ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.), ტფ., 1922.
123. ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1925.
124. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, თბ., 1967.
125. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966.
126. მ. რეხვიაშვილი, სამცხის სამთავრო ააა-აბაა სს, თბ., 1992.
127. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1969.
128. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან აბაა-აბააა სს, თბ., 1971.
129. მცირე ქრონიკები (კინკლოსები, ისტორიული მინაწერები), თბ., 1968.
130. ბესარიონ ორბელიშვილი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი ბ, თბ., 1989.
131. გ. ალასანია, ბოზოქლუ ჯელალის აჯანყება, საისტორიო კრებული, თბ., 2007.
132. მ. სვანიძე, ოსმალეთის ისტორია (1600-1923), ტ. ააა, თბ., 2002.
133. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, ქართული მწერლობა, ტ., ბაა, თბ., 1989.
134. გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964.
135. რ. ფირცხალაიშვილი, ი. ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978.
136. პ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973.
137. კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი, თბ., 1991.
138. გ. ხორგუაშვილი, თევდორე თავდადებული (თევდორე მღვდელი), თბ., 2000.
139. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), საქართველოს საისტორიო მწერლობის ძეგლები, ტ., ააა, თბ., 1980.
140. გ. ნიორაძე, ტაშისკარის ბრძოლა, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, ა, თბ., 1983.
141. ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", საისტორიო მოამბე, ტფ., 1925.
142. ისქანდერ მუნში, „ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორიის გაგრძელება (ცნობები საქართველოს შესახებ)", თბ., 1981.
143. ა. თოდრია, ნ. ხორბალაძე, საქართველოს სამხედრო-ისტორიული ატლასი, თბ., 2009.
144. ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის ჲმუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ, მსკი, ნაკ. 33, 1960.

145. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმნითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969.
146. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ძრ, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1913.
147. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1943.
148. ი. შაიშმელაშვილი, უჯარმისა და მარაბდის ბრძოლები, თბ., 1978.
149. მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1954.
150. პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962.
151. ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977.
152. ჯ. ღვინჯილია, გიორგი სააკაძის პიროვნება, თბ., 1983.
153. შ. ბურჯანაძე, სოლომონ რ-ის მეფობის პირველი პერიოდი., თსუ შრომები., სძრ., თბ., 1950.
154. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების შესახებ, 1466-1770 წ.წ. ტექსტი, გამოსცა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958.
155. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ნაწ. ძრ, თბ., 1953.
156. ნ. დადიანი, ქართველთა ცხოვრება, თბ., 1962.
157. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაწ. ძდ, თბ., 1968.
158. მ. რეხვიაშვილი, იმერეთი სდძრძ საუკუნეში (ნარკვევები), თსუ, 1982.
159. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ნაწ. ძრ, 1964.
160. ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 2, თსუ, 1960.
161. ჯ. სამუშია, საქართველოს დიდი ბრძოლები, თბ., 2009.
162. ა. ჯამბაკურ-ორბელიანი, ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1877.
163. ა. კლიმიაშვილი, მორიგე ლაშქრის საკითხისათვის სდძრძ ს-ის ძრ ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე დ, თბ., 1963.
164. ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1913.
165. პაპუნა ორბელიანი,ამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის რედაქციით, თბ., 1981.
166. დ. მაღლაკელიძე, ერეკლე ძრ-ის სამხედრო ხელოვნება, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2010.
167. ს. ხოსიტაშვილი, ასპინძის ომი, თბ., 1972.
168. ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები, ნაწილი ძრ, თბ., 1965.
169. გ. ქიქოძე, ერეკლე მეორის ომები, თბ., 1943.
170. ივ. შაიშმელაშვილი, კრწანისის ომი. თბ., 1965.
171. გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1958.
172. ზ. შარაშენიძე, ირანი სდძრძ ს. მეორე ნახევარში, თბ., 1970.
173. დ. ბაგრატიონი, საქ. სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, თბ., 1959.
174. ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.
175. სამხედრო ისტორიული ატლასი, თბ., 2010.
176. ოფიცრის ატლასი, თბ., 2013.

# სარჩევი


**შესავალი** ---------- 3

**თავი I**

**საქართველო და ძველი აღმოსავლეთი** ---------- 6

§1. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო და გეოპოლიტიკა ---------- 6

§2. უძველესი ქართული სახელმწიფოები ---------- 12

**თავი II**

**საქართველო და ანტიკური სამყარო** ---------- 19

§3. მეფე ფარნავაზი ---------- 19

§4. რომაელების ლაშქრობა საქართველოში. მეფე არტაგი ---------- 22

§5. მეფეები – ფარსმან რ და ფარსმან რრ ქველი ---------- 29

§6. ანტიკური ეპოქის ავტორთა ცნობები ქართველთა საბრძოლო ხელოვნების შესახებ ---------- 32

§7. ნაოსნობა ანტიკური ეპოქის საქართველოში ---------- 36

**თავი III**

**საქართველო ადრეფეოდალურ ეპოქაში** ---------- 37

§8. მეფე ვახტანგ რ გორგასალი ---------- 37

§9. ირან-ბიზანტიის ომები და საქართველო ---------- 47

§10. ბრძოლები თბილისის ასაღებად ბიზანტიელებისა და ხაზარების ლაშქრობების დროს ---------- 56

§11. არაბობა საქართველოში ---------- 59

**თავი IV**

**საქართველო განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში**

**„ოქროს ხანა“** ---------- 63

§12. საქართველოს გაერთიანება მეფეები დავით რრრ დიდი და ბაგრატ რრრ ---------- 63

§13. საქართველო-ბიზანტიის ახალი ომი ---------- 65

§14. ბრძოლა თბილისის საამიროს წინააღმდეგ ---------- 67

§15. მეფე ბაგრატ რდ ---------- 68

§16. მეფე გიორგი რრ ---------- 71

§17. მეფე დავით რდ აღმაშენებელი საგარეო-პოლიტიკური ვითარება ს/რ საუკუნის მეორე ნახევარში (თურქ-სელჩუკთა ექსპანსიის პერიოდი) ---------- 73

§18. ერწუხის ბრძოლა ---------- 76

§19. ომი თურქ-სელჩუკთა იმპერიასთან ---------- 77

§20. დიდგორის ომი ---------- 81

§21. საქართველოს გაერთიანების დასრულება ---------- 88

§22. მეფე დემეტრე რ ---------- 91

§23. მეფე გიორგი რრრ ---------- 94

§24. მეფე თამარი. შამქორისა და ბასიანის ბრძოლები ---------- 100

§25. გარნისის ბრძოლა ---------- 108

§26. საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ ---------- 112

§27. ქოსე-დაღის ბრძოლა და ქართული მხედრობა ---------- 114

§28. დუმნების სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემის შემოღება საქართველოში ---------- 116

§29. ვალაშკერტისა და ბანას ბრძოლები ---------- 117

§30. კოხტასთავის შეთქმულება ---------- 120

§31. დუმნების სისტემის გაუქმება და სამეფო ხელისუფლების აღდგენა საქართველოში ---------- 121

§32. ქართველი მხედრები ბაღდადისათვის ბრძოლაში ---------- 123

§33. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლა და ქართველი მხედრები ევფრატის ბრძოლაში ---------- 123

§34. ტაშისკარი-შინდარას ბრძოლები და ციხისჯვარის დაცვა ---------- 124
§35. შაბურანის ბრძოლა და ქართული მხედრობა ---------- 127
§36. ალათემურის სამხედრო რეიდი საქართველოში ---------- 128
§37. ბრძოლები თეგუდარისა და ბარახა ყაენის წინააღმდეგ ---------- 129
§38. სირმონ ნოინის თავდასხმები დავით ნარინზე ---------- 132
§39. მეფე დემეტრე ირი თავდადებული ---------- 133
-
§40. მეფე დავით დირირი-ის ბრძოლა მონღოლების წინააღმდეგ ---------- 137
-
§41. ბექა ჯაყელის ბრძოლა აზატ-მოსეს წინააღმდეგ ---------- 143
§42. ქართული ჯარი სირიისა და გილანის ლაშქრობებში ---------- 146
§43. მეფე გიორგი ი ბრწყინვალე ---------- 150
§44. თემურ-ლენგის შემოსევები. მეფე გიორგი დირი ---------- 152
-

**თავი V**
**საქართველო**
**გვიანფეოდალურ ეპოქაში ---------- 162**

§45. ქართველი ხალხის ბრძოლა შავბატკნიანი და თეთრბატკნიანი თურქმანების წინააღმდეგ ---------- 162
§46. ემეფე დავით ს. თელეთის ბრძოლა ---------- 167
§47. ბრძოლები თბილისსა და ბირთვისის ციხესთან ---------- 170
§48. სოხოისტას ბრძოლა ---------- 171
§49.ემეფე ლუარსაბ ი. ბრძოლა ატენის ციხესთან ---------- 172
-
§50. გარისის ბრძოლა ---------- 172
§51.ემეფე სიმონ ი. ციხედიდის ბრძოლა ---------- 173
-
§52. ფარცხისის ბრძოლა ---------- 175
§53. თბილისის ბრძოლა ---------- 176
§54. ხატისსოფლის ბრძოლა ---------- 178
§55. ემეფე ლუარსაბ ირი. ტაშისკარის ბრძოლა ---------- 179
-
§56. შაჰ აბას ი-ის შემოსევები ---------- 185
§57. მარტყოფის ბრძოლა ---------- 187
§58. მარაბდის ბრძოლა ---------- 189
§59. ბახტრიონის აჯანყება ---------- 193
§60. მეფე სოლომონ ი. ხრესილის ბრძოლა ---------- 196
§61. მეფე ერეკლე ირი ---------- 201
§62. ყირბულახის ბრძოლა ---------- 203
§63. ბრძოლები მჭადიჯვრისა და ყვარლის ციხეებთან ---------- 205
§64. ასპინძის ბრძოლა ---------- 209
§65. კრწანისის ბრძოლა ---------- 121

**თავი V**
**ინდივიდუალური საბრძოლო ხელოვნება**
**და ქართული ფორტიფიკაცია ---------- 216**

§66. ქართული საბრძოლო იარაღები ---------- 216
§67. სატევრით ბრძოლის ხერხები ---------- 227
§68. ხევსურული ფარიკაობა ---------- 228
§69. ცხენოსნობა ---------- 229
§70. გაწვრთნილობა ---------- 232
§71. ნადირობა ---------- 233
§72. საფორტიფიკაციო – თავდაცვითი ნაგებობები საქართველოში ---------- 235